ალექსანდრე თვარაძე

საქართველო
და
კავკასია
ევროპულ წყაროებში

XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული
მასალის საფუძველზე

2004

გამოცემის ხარჯები გაიღო:
ფირმა „ჟოკა-ჟოლა გოთლერს ჯორჯიამ"
გულისხმიერებისა და დახმარებისათვის ულრმეს მადლობას მოვახსენებ
ფირმა „ჟოკა-ჟოლა გოთლერს ჯორჯიას"
პრეზიდენტს, ბ-ნ თემურ ჟყოფიას

ნიგნის დაბეჭდვა შესაძლებელი გახდა ბ-ნ ელდარ შენგელაიას დიდი ძალისხმევის და ყურადღების შედეგად, რისთვისაც განაკუთრებულ მადლობას მოვახსენებ მას.

რედაქტორი: აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი

მხატვარი: ვახტანგ რურუა

კომპიუტერული გრაფიკა: არჩილ გოგელია (უმცროსი)

ნიგნის მოშზადებისას გაწეული დახმარებისათვის დიდ მადლობას ვუხდი არჩილ გოგელიას (უმცროსს)
და: გრიგოლ გოგელიას

დიდ მადლობას ვუხდი თანამშრომლობისათვის შემოქმედებით სტუდიას „ქედი"

ნიგნი დაბეჭდა და აიკინძა შს „სეზანში"

© ალექსანდრე თვარაძე

სარჩევი

შესავალი – 6

თავი პირველი
სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობა და
შუა საუკუნეთა საქართველოს სამეფოს
სახელმწიფო იდეოლოგია – **9**

თავი მეორე
შუა საუკენეთა საქართველოს სამეფოს
სახელმწიფო დროშა ქართული მასალის მიხედვით – **73**

თავი მესამე
დასავლეთევროპული ცნობები ქართველთა
და საქართველოს შესახებ (XII-XVI საუკუნეები) – **125**

თავი მეოთხე
შუა საუკუნეთა საქართველოს სამეფოს
შესახებ არსებული აღმოსავლური ცნობების მოკლე მიმოხილეა – **177**

თავი მეხუთე
მასალები შუა საუკუნეების ევროპული
კარტოგრაფიიდან – **187**

თავი მეექვსე
დასავლეთევროპული პორტოლანები – **245**

„ [ქართველებს] ეკუთვნით გოლგოთას წმინდა მთაც და სანატრელი სამლოცველო გოლგოთას მთის ძირში [...] “

ზებალდ რიტერი (უმცროსი), 1479 წელი

შესავალი

XI-XVI საუკუნეების დასავლეთევროპულ ისტორიოგრაფიულ და კარტოგრაფიულ ცნობებს წინამდებარე ნაშრომში უმთავრესად განვიხილავ ქართული სახელმწიფო ხუთჯვრიანი დროშის პრობლემატიკასთან კავშირში. რაკი სახელმწიფო სიმბოლიკის განხილვასთან დაკავშირებული ვითარება საკმაოდ დაძაბულია, აქ აუცილებელია ხაზი გაესვას ერთ გარემოებას. სახელმწიფო დროშის გარშემო გამართულ დისკუსიაში ხშირად ერთად განიხილება ორი საკითხი: გვქონდა თუ არა რეალურად ხუთჯვრიანი დროშა შუა საუკუნეებში, და თუ მართლა გვქონდა ამგვარი დროშა, უნდა აღდგეს თუ არა ის დღესდღეობით სახელმწიფო დროშად. ამასთან, თუ საკმაოდ მწვავე ტონებში მიმდინარეობს მსჯელობა დროშის აღდგენის დაუშვებელობაზე, ასეთივე გაცხარებით გადასწვდებიან ხოლმე იმ საკითხს, იყო თუ არა შუა საუკუნეებში ხუთჯვრიანი დროშა საქართველოსი. ამგვარი მიდგომა არ უნდა იყოს გამართლებული. ეს ორი პრობლემა, ანუ იყო თუ არა აღნიშნული დროშა შუა საუკუნეებში საქართველოს სახელმწიფო დროშა, და თუ ეს დროშა მართლაც იყო საქართველოს კუთვნილება, უნდა აღდგეს თუ არა ის დღეს, მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან (წინამდებარე ნაშრომი დაიწერა 2002 წლის დეკემბერსა და 2003 წლის იანვარში. ხუთჯვრიანი დროშა დღეისათვის უკვე საქართველოს სახელმწიფო დროშაა. მაგრამ საბოლოოდ ტექსტის მაინც უცვლელად შენარჩუნება გადავწყვიტეთ).

რადგან პირველი საკითხი, გვქონდა თუ არა შუა საუკუნეებში ხუთჯვრიანი დროშა, წმინდა სამეცნიეროა და ამ საკითხებზე ისტერიულ ტონებში მსჯელობა ყოვლად დაუშვებელია. არც ტელევიზიაა ის ადგილი, სადაც ეს სამეცნიერო საკითხი უნდა ირკვეოდეს. რა თქმა უნდა, ნებისმიერ პიროვნებას უფლება აქვს ნებისმიერ საკითხზე გამოთქვას თავისი აზრი. ასევე საქართველოს ყველა მოქალაქეს, ცხადია, შეუძლია შესთავაზოს საზოგადოებას ვარაუდი დროშის აღდგენასთან დაკავშირებით. ვერც იმ პრობლემაზე ავუკრძალავთ ვინმეს ლაპარაკს, იყო თუ არა ეს დროშა საქართველოს სახელმწიფოსი შუა საუკუნეებში. მაგრამ ამ საკითხში მაინც ცოტა მეტი სიფრთხილეა საჭირო. რადგან როდესაც გარკვეული სამეცნიერო საკითხის შესახებ გამოვთქვამთ მოსაზრებებს ამ სამეცნიერო საკითხთან დაკავშირებული მასალის არცოდნის გარეშე, ეს ელემენტარული დილეტანტიზმია (თუ სხვა საფუძველი არა აქვს ამგვარ ქმედებას).

მეორე საკითხია, თუ, რა თქმა უნდა, დაბეჯითებით დასაბუთდა, რომ ხუთჯვრიანი დროშა შუა საუკუნეებში მართლაც ეკუთვნოდა საქართველოს, უნდა აღდგეს თუ არა ეს დროშა. აღნიშნული პრობლემა, ბუნებრივია, წმინდა სამეცნიერო სფეროს სცილდება, მაგრამ ასეთი ისტერიული ფორმით ამ საკითხის წინააღმდეგ გალაშქრებაც სრულიად გაუგებარია. ხომ შეიძლება, რომ მშვიდი მსჯელობით, ყველა არგუმენტის გათვალისწინებით მიმდინარეობდეს საკითხის განხილვა და ამ არც ისე რთულ პრობლემას აპოკალიპტური მნიშვნელობა არ ენიჭებოდეს, თითქოს საქართველოს სახელმწიფოს მომავალი მხოლოდ ამ დროშის ყოფნა-არყოფნაზე იყოს დამოკიდებული.

აღნიშნულ ნაშრომში შევეცდები დეტალურად გავაშუქო ის საკითხი, გვქონდა თუ არა შუა საუკუნეებში ხუთჯვრიანი დროშა. ვიდრე შუა საუკუნეთა მასალის განხილვაზე

გადავიდოდე, აქ სასურველია მოკლედ ჩამოყალიბდეს შუა საუკუნეებში ამ დროშის საქართველოში არსებობის ფაქტის საწინააღმდეგოდ გამოთქმული არგუმენტები. თავიდანვე ერთ ფაქტს უნდა გაესვას ხაზი. რა თქმა უნდა, სხვა შემთხვევაა, როდესაც გარკვეული სამეცნიერო პოზიციიდან ხდება იმის უარყოფა, რომ ჩვენ შუა საუკუნეებში ხუთჯვრიანი დროშა გვქონდა. მართალია, აღნიშნულ მოსაზრებებს მე არ ვეთანხმები და ქვემოთ მათ სიმცდარეს დავასაბუთებ, მაგრამ ეს გახლავთ ასე ვთქვათ, წმინდა სამეცნიერო კამათი.

მაგრამ, გარდა სამეცნიერო არგუმენტებისა, მაპატიეთ გამოთქმისათვის, ოლონდ ვისაც არ ეზარება, დღეს ლამის ყოველი მეორე ადამიანი გვთავაზობს თავის მოსაზრებებს იმის შესახებ, გვქონდა თუ არა ეს დროშა შუა საუკუნეებში. ჩამოყალიბდა აღნიშნული საკითხისადმი მიდგომის ერთგვარად ხალხური სტერეოტიპი. ასევე სტერეოტიპულ-ნაივური ფორმა მიიღო ამ დროშის წინააღმდეგ გამოთქმულმა „ბრალდებებმა".

დროშის ზოგადი უარყოფა დაახლოებით შემდეგი მოსაზრებებით ხდება. პირველი გახლავთ უაპელაციო განცხადება, რომ არავითარი ხუთჯვრიანი დროშა არ გვქონია. თუ ვინმე მაინც დაუშვებს, რომ შუა საუკუნეების რომელილაც რუკაზე საქართველოსთან რალაც ჯვარი ვილაცას მიუხატავს, ეს ჯვარი არაფრით საქართველოსი არ შეიძლება იყოს. ეს დროშები ან რომის პაპისაა, ან მისიონერების, ან ჯვაროსნების, ან კიდევ კათოლიკების და მასონების (მასონების საკითხი ცოტა მძიმეა, რადგან როდესაც ამ რუკებზე საქართველოს ტერიტორიასთან ჯვრებს ათავსებდნენ, იმ დროს მასონთა ორდენი ჯერ არ არსებობდა. კათოლიკების და მასონების ერთად დაწყვილებაც არ არის ნანატრი მიგნება).

გადაჭრით შემიძლია ვთქვა, რომ ეს უაპელაციო განცხადებები (და არა სამეცნიერო დებულებები) არ ემყარება დამაჯერებელ, სამეცნიერო არგუმენტებს, რომლებიც კვლევა-ძიების, შესაბამისი მასალის საფუძვლიანი ანალიზის შედეგადაა მიღებული. როგორც წესი, შუა საუკუნეებში საქართველოში ხუთჯვრიანი დროშის არსებობის საწინააღმდეგოდ გაკეთებული უაპელაციო განცხადებები არის მხოლოდ ვარაუდები (ამასთან, ამ ვარაუდებს გვანვდიან კატეგორიული ფორმით, რაც მაშინაც კი მიუღებელი იქნებოდა, ეს მოსაზრებები აბსოლუტურ ჭეშმარიტებას რომ ღალადებდნენ).

რაც შეეხება იმ დებულებას, თითქოს რუკებზე არავითარი ჯვარი არ იყოს საქართველოსთან, ეს არ არის მართალი. რადგან ეს ჯვრიანი დროშები იმ რუკებზე ნამდვილადაა საქართველოსთან მოთავსებული. ხოლო ის ვარაუდები, რომ ეს დროშები საქართველოს გარდა ეკუთვნის ყველას, რომის პაპს, მისიონერებს, ჯვაროსნებს (მასონებს გავანებოთ თავი, ძალიან არასერიოზულია), ასევე არ გახლავთ მართებული. ამ მოსაზრებათა სიმცდარეს დეტალურად დავასაბუთებ ქვემოთ.

აქ ერთ ფაქტს შევნიშნავ მხოლოდ. ზემოთაც ვთქვი, რომ საზოგადოებაშიც ჩამოყალიბდა ერთგვარად სტერეოტიპული დამოკიდებლება ამ საკითხის მიმართ და სწორედ აღნიშნულ საერთო დამოკიდებულებაზე მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა. შესაძლოა ეს ჩემი დაკვირვება სუბიექტური იყოს, მაგრამ ხანდახან სამეცნიერო საკითხებშიც კარგი გაგებით სუბიექტურ ფაქტორს თავისი დანიშნულება აქვს.

დღევანდელი ქართული დროშა, ჩემი აზრით, ყოვლად უგემოვნო და არაესთეტურია. ნითელი ხუთჯვრიანი დროშა, არა აქვს ჯერ მნიშვნელობა იმ საკითხს, იყო ის ჩვენი, თუ არა, ესთეტური თვალსაზრისით მსოფლიოში არსებულ დროშებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოა. როდესაც ამგავარად ვენინააღმდეგებით იმ ფაქტს, რომ ეს (ვალიაროთ: კარგი) დროშა არაფრით არ შეიძლებოდა საქართველოსი ყოფილიყო, თითქოს ჩვენი დღევანდელი სკეპტიკური და ნიჰილისტური მიდგომა გადაგვაქვს შუა საუკუნეების საქართველოზე. დაახლოებით, რაც კარგია, ჩვენი რანაირად იქნებოდა. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ყოვლად გაუმართლებელი მგონია. რადგან, როდესაც ჩვენ ეს დროშა შეიძლებოდა გვქონოდა, მაშინ ვიყავით დიდი ერი და ჩვენი დღევანდელი სკეპტიციზმი ჩვენს ასევე დიდ წინაპრებზე არ უნდა გადავიტანოთ.

სრულიად გაუგებარიცაა დროშის საკითხისადმი დაკავებული ეს წინდაწინ მფრთხალი პოზიცია. ამას შეიძლება მხოლოდ ერთი სახელი ჰქონდეს. ეს არის „კაპიტულანტური პოზიცია", რომელიც დღევანდელი ქართული ცხოვრების ყველა სფეროში შეიმჩნევა და აგრეთვე ვლინდება სახელმწიფო დროშის საკითხის განხილვისასაც: როგორ შეიძლება ჩვენ ჯვრიანი დროშა გვქონოდა და თუ ჯვრიანი დროშა გვქონდა, ის აუცილებლად დასავლეთევროპელებისგანაა გადმოლებული და რომ ალვადგინოთ, ქურდობას დაგვნამებენ

(ვინ დაგვწამებს ქურდობას, ბალდუინ პირველი თუ ბოჰემუნდი?) სხვათა შორის, ქურდობის დაბრალების მოტივიც ძალიან კომიკურია. თუ საბუთდება, რომ ეს დროშა ჩვენია, ვისი რა საქმეა, აღვადგენთ მას თუ არა.

ეს კაპიტულანტური მიდგომა განპირობებულია საქართველოს დღევანდელი მდგომარეობით. რაკი საქართველოს მატერიალურად უჭირს, ხოლო დასავლეთ ევროპა წელში გამართულია, ამიტომ ყველაფერში წინ უნდა დავაყენოთ დასავლეთ ევროპა. და ერთგვარი მორიდებული დამოკიდებულება ჩამოგვიყალიბდა დასავლეთ ევროპის მიმართ. ამგვარ მიდგომას ხომ მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს და ასეთი დამოკიდებულება თუნდაც დასავლეთ ევროპისადმი ქართველებისათვის საკადრისი არ უნდა იყოს.

ამასთან, ზემოთაც ვახსენე, შუა საუკუნეთა მოვლენების შეფასებაში დაუშვებელია დღევანდელი თვალთახედვის შეტანა, თუ ჩვენ მხოლოდ მაშინდელი კონსტელაციების, მაგალითად, ქართველების დასავლეთევროპელებთან და დასავლეთევროპელების ქართველებთან დამოკიდებულების საკითხის გარკვევა გვაინტერესებს. გარდა იმ ფაქტისა, რომ ლეგენდებს დასავლეთ ევროპელები ქმნიან შუა საუკუნეებში ქართველებზე, და არა პირიქით, გასათვალისწინებელია წმინდა სახელმწიფოებრივი ურთიერთმიმართებაც. მაგალითად, თამარისდროინდელ საქართველოს სახელმწიფოში შემავალი ყველა ხალხის მოსახლეობა თითქმის ხუთი მილიონით სჭარბობს გერმანიის მოსახლეობას, ოთხჯერ, ან ხუთჯერ აღემატება ინგლისის მოსახლეობას.

აქ პატრიოტულ პათეტიკაში გადაჭრა, რა თქმა უნდა, სასურველი არ არის. მაგრამ მეცნიერული მიდგომა ყველა მოვლენისათვის საკუთარი სახელის დარქმევას გულისხმობს. ამიტომ შუა საუკუნეების საკითხებზე მსჯელობისას მაინც, დასავლეთ ევროპასთან მიმართებაში წინდაწინ დამნაშავის პოზიცია არ უნდა გვქონდეს. სხვა საქმეა, რომ შეიძლება წმინდა მეცნიერულად დასაბუთდეს: ეს ხუთჯერიანი დროშა ქართული არ ყოფილა. მაგრამ თავიდანვე პესიმისტურად რატომ ვუყურებთ ამ საკითხს? ეს არის საკითხის უფრო ემოციური მხარე. ახლა მაინც სერიოზულ არგუმენტებს დავუბრუნდეთ. შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფო დროშის თუ თანამედროვე დროშის გამოცვლის პრობლემებზე ბოლო წლების განმავლობაში მრავალი გამოხმაურება გამოქვეყნდა. მათი უმრავლესობის წიგნში განხილვის საშუალება თუ აუცილებლობა არ არის. დროშის თემატიკაზე არსებულ რამდენიმე ნაშრომზე ქვემოთ მექნება საუბარი. აქ მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფო დროშისათვის მასალების მოძიების საქმეში განსაკუთრებული სამუშაო გასწია ბ-ნმა ელდარ შენგელაიამ (ბ-ნი ელდარ შენგელაია იმავე დროს გახლავთ „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების კომისიის" თავმჯდომარის პირველი მოადგილე - სიმბოლოების კომისია 1996 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს პარლამენტთან). ბ-ნმა ელდარ შენგელაიამ პარიზიდან და ლონდონიდან ჩამოიტანა დიდი მასალა შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო დროშასთან დაკავშირებით. ამ მასალის ნაწილი, მაგალითად, რიგი დასავლეთევროპული პორტოლანებისა, ქართველი მკითხველისათვის უკვე კარგად არის ნაცნობი. ბ-ნი ელდარ შენგელაიას მიერ ლონდონიდან ჩამოტანილ მასალას შორის აგრეთვე არის ორი რუკა, XIV საუკუნის დასაწყისის I ანონიმის და XIV საუკუნის I ნახევარის I ანონიმის პორტოლანები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ათავსებენ ხუთჯვრიან დროშებს. ეს პორტოლანები საქართველოში არ დაბეჭდილა და, ამდენად, ისინი ქართული საზოგადოებისათვის უცნობია. ბ-ნმა ელდარ შენგელაიამ დიდსულოვნად დამითმო აღნიშნული პორტოლანები გამოსაქვეყნებლად, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოვახსენებ მას. აქვე შევნიშნავ, რომ ევროპული კარტოგრაფიის (ანჟელინო დულჩერტის და ძმები პიციგანოების პორტოლანები) და აგრეთვე საქართველოსთან დაკავშირებული მასალის საფუძველზე ბ-ნმა დავით მუსხელიშვილმა დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ხუთჯვრიანი დროშა შუა საუკუნეებში გახლდათ საქართველოს სახელმწიფო დროშა[1]. ქვემოთ შევეცდები დამატებითი არგუმენტები წარმოვადგინო იმ ფაქტის მხარდასაჭერად, რომ შუა საუკუნეებში ხუთჯვრიანი დროშა მართლაც საქართველოს სახელმწიფოს ეკუთვნოდა.

[1] *დავით მუსხელიშვილი*, საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ, „ტფილისის უწყებანი", 15-18 ოქტომბერი, 1996; იხილეთ ასევე: *დავით მუსხელიშვილი*, ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშა შუა საუკუნეებში, ლიტერატურული საქართველო", 13-20 მარტი, 1998.

თავი პირველი

სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობა და შუა საუკუნეთა საქართველოს სამეფოს სახელმწიფო იდეოლოგია

ევროპულ კარტოგრაფიაში რუკებზე დროშები პირველად დაიტანება პორტოლანებზე. პორტოლანები გახლავთ ძირითადად XIV-XV საუკუნის რუკები. სწორედ ამ რუკებზეა საქართველოსთან ხუთჯვრიანი დროშები მოთავსებული. მაგრამ ვიდრე უშუალოდ პორტოლანურ რუკებზე ვისაუბრებდეთ, სასურველია გაირკვეს საკითხთა მთელი რიგი.

უპირველეს ყოვლისა,უნდა დაისვას შეკითხვა: იძლევა თუ არა შუა საუკუნეთა ქართული რეალობა იმის საფუძველს, რომ დასავლეთევროპელმა კარტოგრაფმა თავის რუკაზე საქართველოს ტერიტორიაზე მოათავსოს ჯვრიანი დროშა. ეს თავიდან ძალიან მარტივი საკითხი ჩანს. რადგან თითქოს ბავშვობიდან ვიცოდით,რომ ჩვენ ვიყავით შუა საუკუნეებში მძლავრი ქრისტიანი ერი. უფრო გვიან, როდესაც დავსუსტდით, ლამის შეეეწირეთ ჩვენი სარწმუნოების დაცვას. ამიტომ, ამ, ასე ვთქვათ, საწყისი ინფორმაციის გათვალისწინებით, თითქოს არც უნდა იყოს გასაკვირი შუა საუკუნეთა საქართველოში ჯვრიანი დროშის არსებობა. უფრო მეტიც: საუკუნეთა განმავლობაში ქრისტიანობის დამცველ ერს ჯვარი რომ აქონოდა დროშაზე,ცოტა ძნელი გასაგებია,რატომ არის ეს ასეთი გასაკვირი. მაგრამ დღეისათვის ამ საკითხის გარშემო ატეხილმა კამათმა ისეთი ფორმა მიიღო,შუა საუკუნეთა მასალის შეძლებისდაგვარად საფუძვლიანი ანალიზი უბრალოდ აუცილებელია.

ქართული მასალის ანალიზის შემდეგ შეეეხები შუა საუკუნეების დასავლეთევროპულ ცნობებს საქართველოზე. რამდენად იძლევა ეს ცნობები პორტოლანებზე საქართველოსთან ჯვრიანი დროშების გაჩენის საფუძველს. რადგან შუა საუკუნეების თუ ადრეული ახალი დროის რუკები, ბუნებრივია, განცალკევებით არ დგანან. მეტწილად კარტოგრაფები ემყარებიან მოგზაურების, ვაჭრების, მისიონერების ჩანაწერებს, ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის ნაშრომებს. ამიტომ, შუა საუკუნეების და ადრეული ახალი დროის დასავლეთევროპულ კარტოგრაფიაში სწორი ორიენტაციისათვის აღნიშნული მასალის გათვალისწინება უბრალოდ აუცილებელია.

დასავლეთ ევროპულ კარტოგრაფიაში ქართული ხუთჯვრიანი დროშის არსებობის საკითხისათვის პრინციპული მნიშვნელობა, ბუნებრივია, არა აქვს ქართველთა შესახებ არსებულ აღმოსავლურ ცნობებს. მაგრამ ზოგადი სურათისათვის ძალიან სასურველია მოკლედ ჩამოვაყალიბოთ,თუ როგორ უყურებდნენ ქართველებს შუა საუკუნეთა მაჰმადიანი ავტორები.

პორტოლანები, როგორც ითქვა, იქმნება ძირითადად მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე საუკუნეებში და დასავლეთ ევროპაში პირველად დროშები სწორედ პორტოლანებზე გამოისახება. მაგრამ პორტოლანებს წინ უსწრებს ეგრეთ წოდებული შუა საუკუნეთა კარტოგრაფიის ლამის ათასწლოვანი ტრადიცია. შუა საუკუნეების რუკებზე, მართალია, დროშებს საერთოდ არ ეხვდებით, მაგრამ როგორც პორტოლანების დროშათა სისტემისათვის, ასევე პორტოლანებთან დაკავშირებული მრავალი საკითხის მართებული გაგებისათვის აუცილებელია შუა საუკუნეების კარტოგრაფიის დეტალური განხილვა. უკვე ამის შემდეგ შეიძლება შეეუდგეთ ევროპული დროშათა სისტემისა და პორტოლანური რუკების ანალიზს.

ვიდრე ყველა აღნიშნული საკითხის განხილვაზე გადავიდოდეთ, აქ მოკლედ უნდა ჩამოყალიბდეს ერთი მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიური საკითხი, რომელსაც როგორც ქართული, ასევე დასავლეთევროპული დროშათა სისტემისათვის კარდინალური მნიშვნელობა აქვს. აგრეთვე სასურველია, რომ ამ საკითხის ზოგადი მინახაზი აქვე მოვიტანოთ, რათა დასავლეთევროპული სურათი მეტად თუ ნაკლებად თვალწინ გექონდეს, ვიდრე ქართული მასალის ანალიზს დავიწყებდეთ.

*

ქრისტიანული სიმბოლიკის მქონე დროშების საერო ხელისუფლებასთან გაჩენას დასავლეთ ევროპაში წინ უძღოდა საკმაოდ რთული, ხანგრძლივი, მსოფლმხედველობრივი, იდეოლოგიური და სოციალური პროცესები. ადრეული შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში საერო ძალაუფლების მქონე პირებთან ქრისტიანული სიმბოლიკის მქონე დროშები პრაქტიკულად არ ფიქსირდება (თუ არ ჩავთვლით ერთ-ორ გამონაკლისს). რადგან ეკლესია ამ დროისათვის მეომრის ხელობას, საერო ბრძოლას, უარყოფს, როგორც ცოდვის წყაროს. შესაბამისად, არც თავის სიმბოლიკას აძლევს საერო პირებს ომებში გამოსაყენებლად[1].

ვითარების კარდინალურად ცვლის დასავლეთ ევროპაში ეგრეთ წოდებული კლუნის მოძრაობა და კლუნის რეფორმა. კლუნი გახლავთ მონასტერი სამხრეთ საფრანგეთში, საიდანაც მეათე საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო იმდროინდელი ევროპისათვის კარდინალური მნიშვნელობის მქონე რეფორმა. კლუნის მოძრაობიდან წამოსულმა პრინციპებმა მალე მოიცვა ლათინური სამხრეთი და მეთერთმეტე საუკუნის შუა წლებიდან მყარად დამკვიდრდა გერმანულ ჩრდილოეთშიც. ფაქტიურად, კლუნის მოძრაობის იდეებმა მეთერთმეტე საუკუნის შუა ხანებისათვის სულიერი და პოლიტიკური თვალსაზრისითაც დაიმორჩილეს მთელი დასავლეთ ევროპა. მეთერთმეტე საუკუნის შუა ხანებიდან რომის პაპები უკვე ხდებიან უშუალოდ კლუნის მოძრაობიდან გამოსული ბერები.

კლუნის მოძრაობის კარდინალური პრინციპები მოკლედ შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს. კლუნიური რეფორმის მთავარი ნიშანი ნებისმიერ შეთხვევაში გახლდათ უკიდურესი ასკეტიზმი ეკლესიის შიგნით. ანუ კლუნის მოძრაობის მიერ ეკლესიის რეფორმირება გამოიხატა რადიკალური ასკეტიზმის პრინციპების დამკვიდრებაში (მაგალითად, ამ ეპოქიდან ეკრძალებათ დასავლეთ ევროპაში მღვდლებს ქორწინება). გარდა ასკეტიზმისა, ამ მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი გახლდათ მორწმილების პრინციპი. ანუ ბერი ემორჩილება უსიტყვოდ მოძღვარს, მოძღვარი მის წინამდგომს, რეფორმირებული მონასტრები – კლუნის დედა ეკლესიას, საერო პირები – სასულიერო ხელისუფლებას. ტოტალიტარიზმის ელემენტები ამ საყოველთაო მორჩილებაში ნამდვილად არის. ოღონდ ერთი უნდა შევნიშნოთ. კლუნის მოძრაობის განმახორციელებელი ბერები ზნეობრივად მაღალი სუფთანი იყვნენ და აქედან ის უზარმაზარი ძალაც და ის შედეგებიც, რაც კლუნის მოძრაობას მოჰყვა, რაგინდ მიუღებლად უნდა მოგვეჩვენოს მათი რიგი მიზნები თუ მტკიცებულებები.

კლუნის მოძრაობის ემთავრესი ნიშანი მაინც იყო სასულიერო და საერო ხელისუფლებას, სასულიერო და საერო წოდებებს შორის ურთიერთობის ახალი ფორმის დამკვიდრება. თუ ადრე ეკლესია გადაჭრით უარყოფდა მეომრის ხელობას და საერო ბრძოლას, ამ დროიდან სიტუაცია იცვლება. გარკვეული კომპრომისის ფასად მოხერხდა საერო და სასულიერო წოდებათა მორიგება. ეკლესიამ დასაშვებად მიიჩნია მეომრის ხელობა და ბრძოლა ერთი მნიშვნელოვანი კორექტივით: ეს ბრძოლა უნდა მიმდინარეობდეს ეკლესიის, რელიგიური მიზნების ან ღმერთისათვის. წოდებათა ამგვარმა დაახლოებამ მკვეთად კარგი შედეგიც მოიტანა. მაგალითად, აღნიშნული მოძრაობის საფუძველზეც აღმოცენდა ქრისტიანი რაინდის, და, საერთოდ, რაინდის იდეალი, რომელიც ქრისტიანული

[1] ჯვაროსნული იდეის გამომუშავების თემას ევროპულ ენებზე მიეძღვნა მრავალი ნაშრომი. ამ პრობლემატიკისათვის დღემდე უნაბიჯნელოვანეს გამოკვლევად რჩება კარლ ერდმანის ნიგნი, სადაც აღნერილია დასავლეთ ევროპაში ჯვაროსნული იდეის და სამხედრო-ქრისტიანული მოდელმხედველობის თანდათანობითი აღმოცენების პროცესი: Carl ERDMANN, Die Entstehung des Kreuzzugsgedankens (= Forschungen zur Kirchen- und Geistesgeschichte, Bd. 6). Darmstadt 1980². იხილეთ ასევე: Friedrich-Wilhelm WENTZLAFF-EGGEBERT, Kreuzzugsdichtung des Mittelalters. Studien zu ihrer geschichtlichen Wirklichkeit, Berlin 1960; Albrecht NOTH, Heiliger Krieg und Heiliger Kampf in Islam und Christentum. Beiträge zur Vorgeschichte der Geschichte der Kreuzzüge (= Bonner Historische Forschungen, Bd.26), Bonn 1966; Rainer Christoph SCHWINGES, Kreuzzugsideologie und Toleranz. Studien zu Wilhelm von Tyrus (= Monographien zur Geschichte des Mittelalters, Bd. 15). Stuttgart 1977.

სათნოებებისათვის ერთგვარად რეალურად იბრძვის ცხოვრება'ში, იცავს ქერივ-ობლებს, ეხმარება გაჭირვებულებს.

მაგრამ ზოგადი შედეგები წოდებათა ამ დაახლოებისა მაინც უფრო შორსმიმავალი იყო. როგორც ითქვა, საერო მეომარის პროფესია და ბრძოლა იმ შემთხვევაში პოვებდა საყოველთაო ქრისტიანულ სისტემაში თავის კუთვნილ ადგილს, თუ საერო ხელისუფალი, საერო რაინდი დაემორჩილებოდა ღმერთს და ღმერთისათვის სასურველი მიზნებისათვის იბრძოლებდა. ბუნებრივია, ღმერთისადმი მორჩილება გამოიხატებოდა ეკლესიისადმი მორჩილებით, ხოლო ღმერთის სურვილებსაც ეკლესია ამცნობდა საერო პირებს. ვითარების სრული შეცვლა ერთი ხელის დაკვრით არ მომხდარა. მთელი ეს პროცესი მიმდინარეობდა თითქმის საუკუნის განმავლობაში. სწორედ კლუნის მოძრაობის შედეგია რომის პაპების და გერმანიის იმპერატორების უსასრულო ბრძოლაც. კლუნის მოძრაობიდან გამოსული რომის პაპები, რეფორმის პრინციპების შესაბამისად, სთხოვენ საერო ხელისუფალს, გერმანიის იმპერატორს, ღმერთისა და ამქვეყნად მისი წარმომადგენლის, რომის პაპისადმი სრულ მორჩილებას, რის წინააღმდეგაც ცდილობენ აჯანყებას იმპერატორები, მაგრამ გამარჯვებულები უმრავლეს შემთხვევებში რომის პაპები რჩებიან.

თანდათან იცვლება ქრისტიანის სანიმუშო სურათიც. თუ აქამდე დასავლეთ ევროპაში იდეალი მაინც მონასტერში განმარტოებული ბერია, ახლა ქმედითი არსებობით მცხოვრები ბერის გვერდით თავის ადგილს იკავებს ქრისტიანული მიზნებისათვის მებრძოლი საერო რაინდი. ოღონდ საერო რაინდს სჭირდება რეალური მტერი, ვის წინააღმდეგაც ის ხილულ სამყაროში იბრძოლებს და არა თავის სულში, ასკეტის მსგავსად. სწორედ აქ ხდება კარდინალური შემობრუნება. თუ ასკეტი თავის სულში ებრძვის ეშმაკს, ვინ არიან ხილულ სამყაროში ეშმაკის მოციქულები და მიმდევრები? რა თქმა უნდა, ურჯულოები. მათ უნდა დაუპირისპირდეს საერო კასტა, ისინი უნდა მოაქციოს ქრისტიანებად, თუ ღმერთისათვის სასურველ საქმეთა კეთება სურს.

ამგვარად, XI საუკუნის შუა ხანებისათვის პირველად ჩნდება ჯვაროსნული ელემენტები დასავლეთ ევროპაში, რაც გამოიხატება ჯერჯერობით მხოლოდ ესპანეთსა ან სიცილიაში ცალკეულ მაჰმადიან მმართველებთან ბრძოლით. საუკუნის დასასრულს ეს მოძრაობა უცებ იფეთქებს და ჯვაროსნული მოძრაობის სახეს იღებს. მიზანიც უფრო შესაფერისი გამოჩნდა ამუამად. ურჯულოთა ხელში მყოფი მაცხოვარის საფლავის განთავისუფლება.

საერო რაინდს სჯერა, რომ ღმერთი მოუწოდებს ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ. ხოლო თავისი ბრძოლით ის ღმერთს ემსახურება. ამიტომ ღმერთისგან მოწყალებას, მადლის გადმოსვლას კი აღარ ელოდებიან რაინდები, არამედ ერთგვარად საზღაურს მოითხოვენ მსახურებისათვის თავიანთი სიუსერენისაგან. ღმერთს უნდა წმინდა მიწის განთავისუფლება. ღმერთს და მისთვის მებრძოლ რაინდს შორის დაახლოებით ისეთი ურთიერთმიმართებაა, როგორიც სიუსერენსა და ვასალს შორის. ქრისტე ერთგვარად მეფეა, ოღონდ არა მისტიკურ პლანში, არამედ ჯვაროსანთა მხედრობას მიუძღვის წინ. ჯვაროსნული ომების პროპაგანდა ქრისტესათვის მებრძოლებს პირდება სამოთხეს.

ამდენად, ჯვაროსნული მოძრაობა მსოფლმხედველობრივი კუთხით ნორმალური ქრისტიანული იდეოლოგიის ფარგლებში თავსდება და ჯვაროსნულ მოძრაობაში, იგივე მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით, არაფერი არ ყოფილა ისეთი განსაკუთრებული, რაც მანამდე, მეტი თუ ნაკლები ფორმით, არ დაფიქსირებულიყოს აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში. უბრალოდ, დასავლეთ ევროპის ჯვაროსნულმა მოძრაობამ უაღრესად ფართო მასშტაბი მიიღო და ამანაც განაპირობა ამ მოვლენის ერთი შეხედვით განსაკუთრებულობა ქრისტიანულ სამყაროში.

სხვათა შორის, ჯვაროსნულ მოძრაობასთან და, საერთოდ, სამხედრო-ქრისტიანულ იდეოლოგიასთან დაკავშირებით მართლაც აუხსნელ პარადოქსთან გვაქვს საქმე. როგორც ითქვა, მთელი ჯვაროსნული მოძრაობა ფაქტიურად გახლავთ კლუნის მოძრაობის ასკეტი ბერების მიერ გატარებული იდეოლოგიური რეფორმის შედეგი. მაგრამ ეკლესიის წარმომადგენლებისაგან ასკეტურ საფუძველზე აღმოცენებულმა მოძრაობამ მართლაც

იმპერიალისტური ფორმა მიიღო. ეს არის ეროგეარად ასკეტური იმპერიალიზმი, როდესაც ასკეტთა კასტამ ქვეყნიერების დიდ ნაწილს ფაქტიურად მთლიანად საკუთარი მსოფლმხედველობა მოახვია თავს.

ამდენად, ჯვაროსნული მოძრაობა გახლავთ სასულიერო და საერო წოდებების დაახლოების თუ მორიგების უშუალო შედეგი. ეს მსოფლმხედველობრივი ელემენტი, რასაც ჯვაროსნული მოძრაობა დაემყარა, მთლიანად ტრადიციულ, შუა საუკუნეთა ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში თავსდება. სხვა საქმეა, რამდენად შეესაბამება ის საწყისი ქრისტიანობის პრინციპებს, მაგრამ ამ საკითხს აქ ნუ გამოვედეენებით. დასავლეთევროპულ საერო სახელმწიფოებთან ქრისტიანული სიმბოლიკის დროშები სწორედ ჯვაროსნული ომების ეპოქიდან იწყებს ძირითადად გაჩენას (როგორც ითქვა, რამდენიმე ადრეულ გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით).

ოღონდ სრულიად მცდარია ამ პერიოდის ევროპული დროშების ჯვაროსნულად მონათვლა. ამ სიტყვაში ნეგატიური მნიშვნელობის ჩადებით. რადგან ეს გახლავთ წმინდა ქრისტიანული დროშები, რომლებიც ეკლესიამ მისცა საერო პირებს, წოდებათა ზემოთ აღნიშნული დაახლოების შედეგად. ქრისტიანული დროშებით ევროპელი რაინდები ჯვაროსნულ ომებში მართლაც წავიდნენ, მაგრამ ეს დროშები ამ დროის ევროპაში თავის ადგილს იმკვიდრებენ ჯვაროსნული ომების გარეშეც და ჯვაროსნული ომების შემდეგაც მრავალი საუკუნის განმავლობაში დასავლეთ ევროპაში ეხვდებით ფაქტიურად მხოლოდ ქრისტიანული სიმბოლიკის მქონე დროშებს.

ამ გარემოების საფუძველი მარტივი ასახსნელია. რადგან კლუნის მოძრაობის შედეგად დასავლეთევროპულ ქვეყნებში ქრისტიანობა იქცა ფაქტიურად სახელმწიფო რელიგიად, რომლის პრინციპები მთლიანად განსაზღვრავენ როგორც შიდა, ისე საგარეო პოლიტიკას (სხვა საქმეა, რამდენად ქრისტიანულია ეს პოლიტიკა უმრავლეს შემთხვევებში, ქრისტიანობის ჭეშმარიტი გაგებით, მაგრამ ეს კვლავ ცალკე საკითხია, სახელმწიფო პოლიტიკის ოფიციალური საფუძველი ნებისმიერ შემთხვევაში არის ქრისტიანული იდეოლოგია).

ამდენად, დასავლეთევროპული დროშებიც შეესატყვისება სახელმწიფო იდეოლოგიას. ვითარება იცვლება განმანათლებლობის ეპოქიდან და საფრანგეთის რევოლუციის ხანიდან, როდესაც ევროპის ცალკეულ ქვეყნებში ქრისტიანობა თანდათან კარგავს სახელმწიფო იდეოლოგიის სტატუსს და შესაბამისად გადასხვაფერდება ქრისტიანული დატვირთვის მქონე სახელმწიფო სიმბოლიკაც. რადგან ქრისტიანულ იდეოლოგიას ენაცვლება სხვა სახელმწიფო იდეოლოგია, რომელსაც თავისი მოძღვრების, თავისი შინაარსის შესატყვისი სახელმწიფო სიმბოლიკა მოაქვს თან.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს უნდა შევეხოთ. მართალია, ეკლესია დასავლეთ ევროპის საერო მმართველებს დაახლოებით ჯვაროსნული ომების ეპოქის დასაწყისიდან აძლევს ქრისტიანული სიმბოლიკის მქონე დროშებს, მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ჯვაროსნულ ომებამდე დასავლეთ ევროპის დროშათა სისტემა მთლიანობაში მეტად დაბალ საფეხურზეა. დასავლეთ ევროპელების დროშათა სისტემა საბოლოოდ ყალიბდება დაახლოებით მეთორმეტე საუკუნეში, განსაკუთრებით ბიზანტიელების და ასევე არაბების გაელენით, ვისთანაც დროშათა, ფერთა და გერბთა სისტემა უკვე საუკუნეებს ითვლიდა და რომლებთანაც უშუალო შეხებაში დასავლეთევროპელთა ძირითადი მასა მხოლოდ ჯვაროსნული ომების დაწყების შემდეგ მოვიდა.

შესაბამისად, დასავლეთ ევროპაში ქრისტიანული სიმბოლიკის მქონე დროშების საერო პირებთან გაჩენის აუცილებელი იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი საფუძველი იქმნება მხოლოდ X საუკუნის დასასრულიდან. ქრისტიანული სიმბოლიკის მქონე დროშები საერო მმართველებთან ჩნდება ძირითადად XI საუკუნის შუა ხანებიდან. ამასთან, ქრისტიანული სიმბოლიკის მქონე დროშათა სისტემა ამ ეპოქის დასავლეთ ევროპაში მეტად ნაკლულია. ეს დროშათა სისტემა საბოლოო სახეს ღებულობს ჯვაროსნული ომების ეპოქაში, ბიზანტიელების და არაბების უშუალო გაელენით.

აქეე მოკლე შენიშვნა უნდა გაკეთდეს ლათინთა იერუსალიმის სამეფოს დროშასთან დაკავშირებით. უშუალოდ იერუსალიმის სამეფოს დროშაზე ხუთი ჯვარის კომპოზიცია ჩნდება XII საუკუნიდან (სავარაუდოდ XII საუკუნის შუა ხანებიდან). რაკი ხუთი ჯვარის კომპოზიცია უკავშირდება ქრისტეს და იერუსალიმს, სწორედ ამიტომ დააქვთ იერუსალიმის მფლობელ ლათინებს ის თავიანთ დროშაზე. მაგრამ ეგრეთ წოდებული იერუსალიმის ჯვარი, ანუ ხუთჯვრიანი კომპოზიცია, ან იერუსალიმის ჯვარის მსგავსი კომპოზიცია, როდესაც ერთი ჯვარის გარშემო მინდორი შევსებულია ოთხი დეტალით, აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში ცნობილია უკვე I საუკუნიდან. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მომაწოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელმა, ქ-ნმა თამილა მგალობლიშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ მას. უკვე I-IV საუკუნეების იერუსალიმის ებრაულ-ქრისტიანული კულტურა უხვად გვთავაზობს როგორც უშუალოდ ხუთჯვრიან, ასევე იერუსალიმის ჯვარის მსგავს სხვადასხვა კომპოზიციებს. შესაბამისად, ეს კომპოზიცია დასავლეთევროპელთა გარეშეც და, სავარაუდოდ, მათზე ადრეც კარგად იყო ნაცნობი ქართული სამყაროსათვის. ეს ფაქტი კელავ მშვენიერად დასტურდება ქართული ნუმიზმატური თუ საეკლესიო მასალით. ამდენად, ამ ფაქტზე უკვე ქვემოთ ვიმსჯელებთ დეტალურად, თავიანთი სახელმწიფო დროშის შექმნისას ქართველებს იერუსალიმის ჯვარის დროშაზე დასატანად დასავლეთევროპელთა შუამდგომლობა ნამდვილად არ დასჭირდებოდათ. ლათინთა იერუსალიმის სამეფოს დროშას კი არავითარი კავშირი არა აქვს ქართველთა სახელმწიფო დროშასთან. უბრალოდ, არსებობს ქრისტიანული სიმბოლიკის საერთო მარაგი, საიდანაც როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ქრისტიანი ერები იღებენ თავიანთ სიმბოლიკას. აქედან გარკვეული პარალელიზმიც, რასაც თვითონ დასავლეთ ევროპის შიგნითაც ხშირად ეხედებით.

სამეცნიერო ლიტერატურაში საყოველთაოდ გაზიარებული ჭეშმარიტებაა, რომ ეკლესიის და სახელმწიფო პოლიტიკის მთლიანობა რამდენიმე საუკუნით ადრე ფიქსირდება აღმოსავლურ ქრისტიანულ, კერძოდ, ბიზანტიურ სამყაროში. ეს მთლიანობა ბიზანტიაში თაობიდანვე განსაზღვრავდა იმ იდეოლოგიის არსებობას, რამაც უფრო გვიანდელი ხანის დასავლეთ ევროპაში ჯვაროსნული მოძრაობა წარმოშვა. აგრეთვე ცნობილი ფაქტია, რომ მეშვიდე საუკუნეში პერაკლე კეისარის ბრძოლა სპარსელების წინააღმდეგ, მეათე საუკუნის ბიზანტიური რეკონკისტა, ემყარება დაახლოებით ჯვაროსნული მსოფლმხედველობის საკმაოდ მსგავს იდეოლოგიურ საფუძველს. ოღონდ ამ იდეოლოგიის არსებობა არც დასავლეთ ევროპელებს უშლიდა ხელს გვიან, რომ ჯვაროსნული იდეოლოგიით ქრისტიანული ბიზანტიის წინააღმდეგ ებრძოლათ (სქიზმატიკოსობის არგუმენტის მოშველიებით) და ბიზანტიაც, არაბებთან სამხედრო-ქრისტიანული იდეოლოგიით დაპირისპირებისას, პარალელურად ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე გეებრძვის ჩვენც და იმავე დასავლეთევროპელებსაც უფრო გვიან.

ეს გახლავთ სწორედ აღნიშნული, პირობითად დავარქვათ, სამხედრო-ქრისტიანული იდეოლოგიის ერთ-ერთი პარადოქსი და ნათელია, რომ ხშირად ამ იდეოლოგიას სახელმწიფო მთლიანად არგებდა საკუთარ ყოველად არაქრისტიანულ პოლიტიკურ ინტერესებს. მაგრამ ეს კელავ ცალკე საკითხია. ფაქტია, რომ საერო სახელმწიფოში ქრისტიანული სიმბოლიკის მქონე დროშების არსებობისათვის აუცილებელი სამხედრო ქრისტიანული მსოფლმხედველობა (რასაც დასავლეთ ევროპაში ჯვაროსნული იდეოლოგია ეწოდა) ბიზანტიაში ფიქსირდება დასავლეთ ევროპაზე გაცილებით ადრე. ბიზანტიურ არმიაში ქრისტიანული სიმბოლიკის მქონე დროშები ჩნდება ასევე ადრეულ საუკუნეებში და მოგვიანებით ბიზანტიური დროშების სისტემა დიდ გაელენას ახდენს დასავლეთევროპულზე.

აქედან გამომდინარე, ქართული დროშათა სისტემის კელვევისას თავიდანვე დასავლეთ ევროპაზე სწორების აღება მცდარია. რადგან დასავლეთ ევროპაში, როგორც ვნახეთ, შესაბამისი მსოფლმხედველობრივი საფუძველიც და ქრისტიანული დროშათა სისტემაც

ყალიბდება გაცილებით გვიან. რიგ შემთხვევებში სწორედ ბიზანტიის გაელენით. საქართველო კი, ბუნებრივია, თავიდანვე იყო აღმოსავლური ქრისტიანობის არეალში მოქცეული და როდესაც დასავლეთ ევროპელებთან უშუალო კავშირები იწყება, მეთორმეტე საუკუნიდან, დასავლეთ ევროპა მაშინაც არ არის საქართველოს სახელმწიფოსათვის ის კულტურული სიდიდე, რომელიც ქართული ცხოვრების რომელიმე სფეროზე გავლენას ახდენდეს. კულტურული ცხოვრების ცენტრი ამ ეპოქაში ბიზანტიაში, არაბებთან და წინა აზიაშია (სხვათა შორის, იგიეე ჯვაროსნული მოძრაობა თითქოს დასავლეთ ევროპელთა გაუცნობიერებელი მცდელობაა ამ კულტურულ სამყაროსთან შეხებაში მოსვლის, აღნიშნულ სამყაროში შეჭრის, მაცხოვარის საფლაეის განთავისუფლების საბაბით). ამასთან, საქართველოს გაანდა საკუთარი არანაკლებ ძველი ქრისტიანული ტრადიცია და როდესაც იმ საკითხს ვარკვევთ, შეიძლებოდა თუ არა ჯერიანი დროშა გექონოდა, უწინარესად ალბათ საკუთარი კულტურა უნდა გავაანალიზოთ.

ქვემოთ მოვიტან აღნიშნული კუთხით ქართული მასალის შეძლებისდაგვარად დეტალურ ანალიზს. ეს განხილვა გვინიეენებს, რომ სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობა[1] საქართველოში დასრულებული ფორმით ფიქსირდება უკვე მეხუთე საუკუნიდან და უწყვეტ ხაზად მიდის იმ დრომდე, როდესაც დასავლეთევროპულ პორტოლანებზე საქართველოსთან ჯვრიანი დროშები დაიტანება. აგრეთვე თითქმის უწყვეტი ხაზი აქვს ქართულ სახელმწიფო დროშას მოყოლებული ვახტანგ გორგასალიდან გიორგი ბრწყინვალის, ანუ ევროპული პორტოლანების ეპოქამდე. საქართველოს გაანია სამხედრო-ქრისტიანული იდეოლოგიის, სახელმწიფოში ქრისტიანული დროშების გაჭენის აუცილებელი საფუძველის, და დროშათა სისტემის. საკუთარი, მრავალსაუკუნოვანი, დასავლეთევროპულზე რამდენიმე საუკუნით ადრინდელი ტრადიცია. აღნიშნული ტრადიციის ბიზანტიასთან ურთიერთმიმართების გარკვევა ცალკე საკითხია და ხუთჯერიანი დროშის პრობლემისათვის მას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს ამ შემთხვევაში.

აქ ერთი მოკლე შენიშვნაც უნდა გაკეთდეს. ხშირად გავიგონებთ საქართველოში მტკიცებულებას, რომ ჯვაროსნების მიზნები იყო სხვა, ისინი იყვნენ კოლონიალისტი აგრესორები, ხოლო საქართველო თავს იცავდა მხოლოდ და ჯვაროსნებთან შეხებაში მარტო შემთხვევითობამ მოიყვანა. ეს ტრადიციული კლიშე მცდარია. როგორც ითქვა, ჯვაროსნული იდეოლოგია ჩვეულებრივი ქრისტიანული მსოფლმხედველობის ფარგლებში თავსდება. მსგავსი იდეოლოგია იგივე ბიზანტიასა და საქართველოში გაცილებით ადრე ფიქსირდება. ამასთან, დასავლეთ ევროპაშიც ჯვაროსნული მსოფლმხედველობა იწყება თავდაცვითი ომებით არაბების წინააღმდეგ, ესპანეთსა და სიცილიაში. მაგრამ აღნიშნულ იდეოლოგიაში ყოველთვის ერთი ნაბიჯია თავდაცვიდან შეტევაზე გადასვლამდე და ეს ერთი ნაბიჯი ძალიან მარტივად იდგმება ხოლმე.

მსგავსი სურათია საქართველოშიც. მაგალითისათვის მაღალი შუა საუკუნეები შეგვიძლია ავიღოთ. თუ მანამდე გარკვეულ ხანს ქართველები თავს იცავენ მაჰმადიანებისაგან, დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული, ეს აღარ არის თავდაცვა და საქართველოს სახელმწიფო აწარმოებს ექსპანსიურ პოლიტიკას, რაც შუა საუკუნეებისათვის სავსებით ბუნებრივი მოვლენაა. ამასთან, ამ ექსპანსიურ პოლიტიკას ძირითადად ქრისტიანული იდეოლოგია უმაგრებს ზურგს. თავდაცვის შემდეგ პირველი ნაბიჯია სომხეთის ქრისტიანთა დახსნა მაჰმადიანებისაგან. თამარის დროს ქართველთა ბრძოლა უკვე მსოფლიო ქრისტიანობის დაცვის კონტექსტში მიმდინარეობს. როგორც ჩანს, უკვე თამარის ხანაშივე ჩნდება და ლაშა-გიორგის მეფობის დროს საბოლოო სახეს ღებულობს იდეა იერუსალიმის ურწმუნოთაგან დახსნისა, ან მაჰმადიანთა ციტადელის, ბაღდადის დამხობისა, სადაც

[1] „სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობა" შემომაქვს როგორც პირობითი სამუშაო ტერმინი. საქართველოში დაფიქსირებული სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობის გამოვლინებანი მეტად მსგავსია დასავლური ჯვაროსნული მსოფლმხედველობისა. მაგრამ აღნიშნულ ორ მსოფლმხედველობას შორის გარკვეული განსხვავებები მაინც არის. ამასთან, ჯვაროსნული მსოფლმხედველობა აღნიშნავს კონკრეტულ ისტორიულ მოვლენას. ამიტომ ამ ტერმინის, ჯვაროსნული მსოფლმხედველობის, ქართულ რეალობასთან დაკავშირებით ხმარება, ბუნებრივია, გამართლებული არ იქნება.

ხალიფას ნაცელად ქართველთა კათალიკოსის დასმა სურდათ (ჯუეინის მიხედვით). თუმცა ქართული სამხედრო ქრისტიანული მსოფლმხედველობა ნაწილობრივ, ცხადია, განსხვავდება დასაველეთევროპული ჯვაროსნული იდეოლოგიისაგან. ქართველთა თავდაცვითი ომები უწინარესად მაინც პოლიტიკურად იყო მოტივირებული. მაგრამ ამ პოლიტიკურად მოტივირებულ ომებს მთლიანად საფუძველად ედო სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობა. მხოლოდ რელიგიური თვალსაზრისით დასაბუთებულ ომს ქართულ ისტორიაში უნდა ეხვდებოდეთ ერთხელ, ვახტანგ გორგასალის მეფობისას (ჯუანშერის მიერ დახატული სურათის მიხედვით). დასაველეთევროპული ჯვაროსნული მოძრაობა კი უწინარესად რელიგიურად გახლდათ მოტივირებული. რადგან ჯვაროსნებს სურდათ ქრისტეს საფლავის ურწმუნოთაგან დახსნა და აღმოსაველეთის ქრისტიანთათვის დახმარების აღმოჩენა. მაგრამ არსდება თუ არა აღმოსაველეთში ჯვაროსანთა სახელმწიფო, იერუსალიმის სამეფო, ვითარება მნიშვნელოვნად იცვლება. იერუსალიმის სამეფო უკვე აღმოსაველური სამყაროს პოლიტიკური სუბიექტია და მისი ომებიც უმეტესწილად უკვე პოლიტიკურად არის მოტივირებული. მაგრამ ამ პოლიტიკური ხასიათის ომებს საფუძველად უდევს ჯვაროსნული მსოფლმხედველობა. ამასთან, ხშირად ჯვაროსნული მსოფლმხედველობის ტრანსფორმაცია და რეალობასთან მორგება ხდება არსებული რეალობის გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში, როდესაც პოლიტიკურად მოტივირებულ ომს საფუძველად უდეეს სამხედრო-ქრისტიანული ან ჯვაროსნული მსოფლმხედველობა, პარალელიზმი დასაველეთევროპულ და ქართულ სამყაროებს შორის აშკარაა.

აქ, რა თქმა უნდა, ასევე გასათვალისწინებელია ქართველ მეფეთა იშვიათი შემწყნარებლობა და ტოლერანტობა[4]. მაგრამ ეს პოზიციაც გამომუშაებულია ქრისტიანული იდეოლოგიის საფუძველზე, როგორც ეს საერთო მასალის ანალიზიდან აშკარად ჩანს. ეს არ არის ყოველგვარ აღმსარებლობაზე მაღლა მდგომი ტოლერანტობა. ამასთან, იგივე ტოლერანტობის თუ შემწყნარებლობის ნიმუშებს მრავლად ეხვდებით ჯვაროსნებთანაც. საინტერესოა, რომ წარმართების ხატი რადიკალურად განსხვავდება ჯვაროსნული ომების დაწყებამდე და შემდეგ. რადგან წარმართის სახება, რომლითაც პირველი ჯვაროსნები გაუშვეს პალესტინაში ბერებმა, დიდად არ განსხვავდება ქრისტიანული ტრადიციის ეშმაკის სახებისაგან. ეს ხატი ჩამოყალიბდა მონასტერთა სენაკებში, ძირითადად წმინდა მამათა ნაწერების საფუძველზე, რეალობის ყოველგვარი ცოდნისა თუ გათვალისწინების გარეშე. პალესტინაში მისულმა ჯვაროსნებმა კი სხვაგვარი სურათი აღმოაჩინეს და აქედანაც იწყება ტოლერანტობის იშვიათი ნიმუშების გამოვლინებანი (რისი საუკეთესო მაგალითიცაა სალადინის ურთიერთობა ევროპელ მეფეებთან). ამ მხრივ, საინტერესოა ჯვაროსნული ომების ეპოქის ევროპული ლიტერატურაც, რომელიც ზუსტად ასახავს აღნიშნულ განვითარებას. თუ პირველ სარაინდო რომანებში გამოყენილი წარმართები ჯოჯოხეთის მოციქულებად არიან დასახულნი, შემდგომში თანდათან ყალიბდება „კეთილშობილი წარმართის" ხატი[5]. სხვა რელიგიებისადმი თანდათანობითი ტოლერანტულობის გამომუშაებას ნაწილობრივ ხელი შეუწყო დასავლეთ ევროპაში სქოლასტიკური მეთოდის განვითარებამაც. მაგრამ,

---

[4] შუა საუკუნეების საქართველოში მაჰმადიანებთან რელიგიური დაპირისპირების და მშვიდობიანი თანაცხოვრების ფაქტებთან დაკავშირებით იხილეთ: გიორგი ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსაველეთის ისლამური სამყარო, თბილისი, 1995, გვ. 199-256. იქვე შესაბამისი ლიტერატურაც. ქართული სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობის ბიზანტიურ და დასაველეთევროპულ პარალელებთან დეტალური შედარების საშუალება ამჟამად არ არის. ასევე ცალკე განხილვის საგანია სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობის ფონზე მაჰმადიანური და ანტიკური სამყაროებისადმი გამოჩენილი ტოლერანტობის მაგალითები. ახლო ხანში მკითხველს შეეთავაზებ ნაშრომს, სადაც განვიხილავ შუა საუკუნეების ქართულ ისტორიას, ისტორიოგრაფიას, ლიტერატურას, ფილოსოფიას და თეოლოგიას. მოვიტან ქართული ქრისტიანული სამხედრო მსოფლმხედველობის დეტალურ შედარებას დასაველეთევროპულ და ბიზანტიურ ეითარებასთან. ასევე გავაანალიზებ შუა საუკუნეების ქართულ კულტურაში ანტიკური და მაჰმადიანური სამყაროების მიმართ გამოჩენილი ტოლერანტობის ფაქტებს, დასაველეთევროპული და ბიზანტიური პარალელების გათვალისწინებით. ასევე წარმოვადგენ დეტალურ ანალიზს, როდის ემყარება ქართული კულტურა მხოლოდ ქრისტიანობას, როდის შემოდის ანტიკური და მაჰმადიანური ელემენტები, სად ხდება ამ ყველაფრის სინთეზი ან ქრისტიანული მსოფლმხედველობის ფარგლებს გარეთ გასვლა.

[5] შუა საუკუნეების დასაველეთ ევროპაში მაჰმადიანობისა თუ ანტიკურობისადმი ტოლერანტულობასთან დაკავშირებით იხილეთ: Hermann Reuter, Geschichte der religiösen Aufklärung im Mittelalter vom Ende des 8. Bis zum Anfang des 14. Jahrhunderts, Bd. 1-2, Berlin 1875.

ერთიც უნდა ითქვას,ქარიოული შემწყნარებლობის ნიმუშები მართლაც მსოფლიო მასშტაბის მოვლენაა და მსგავს ტოლერანტობას ამ ეპოქის დასავლეთ ევროპელებთან ნამდვილად არ ვხვდებით.

ქართული მასალიდან არ განეიხილავ მხატერულ ლიტერატურას,რადგან ლიტერატურა, როგორც წესი, მაინც სახელმწიფო იდეოლოგიის გარეთ დგას. ამიტომ უნდა შეეეხოთ ისტორიულ ქრონიკებს,სადაც მეტად თუ ნაკლებად ფიქსირდება სახელმწიფო პოზიცია და საიდანაც სახელმწიფო იდეოლოგიის რეკონსტრუირებაა შესაძლებელი. აქვე შევნიშნავ: თავისთავად ცხადია, ქრონიკების მთელი მასალა ისტორიული თვალსაზრისით შესწავლილი და გამოკვლეული აქვს ქართულ ისტორიოგრაფიას (უბრალო მაგალითისათვის ივანე ჯავახიშვილის ფუძემდებლური ნაშრომების ან საქართველოს ისტორიის ნარკვევების გახსენებაც საკმარისია, ცალკეულ მრავალრიცხოვან გამოკვლევებზე რომ აღარაფერი ეთქვათ,რომელთა დეტალური ციტირების აუცილებლობა ამ შემთხვევაში არ არის). ამიტომ მკითხველს შესაძლოა გაუჩნდეს გაურკვევლობის გრძნობა, თუ რა აუცილებლობაა შუა საუკუნეთა ქართული ქრონიკებიდან ყველასათვის ისედაც კარგად ნაცნობი ციტატების დამოწმება. მაგრამ აღნიშნული მასალის საკმაოდ დეტალური განხილვა სასურველად მივიჩნიე სამი მიზეზის გამო.

დროშის საკითხზე მსჯელობისას მოწინააღმდეგე მხარე პრაქტიკულად არ ითვალისწინებს შუა საუკუნეთა ქართული კულტურის თუ მსოფლმხედველობის ქრისტიანულ საფუძვლებს. ამის მაგალითია კითხვა,რომელიც რეფრენად გვესმის (ყოველ შემთხვევაში უკანასკნელ ხანებამდე ეს კითხვა ძალიან ხშირად ისმოდა): რანაირად შეიძლებოდა ქართულ დროშაზე გამოსახული ყოფილიყო ჯვარი? ჰკონდა თუ არა ჯვრიანი დროშა საქართველოს, ცალკე პრობლემაა. მაგრამ, რათა ეს კითხვა ამ ფორმით აღარ დაისვას, მთელი ამ მასალის წიგნში მოტანა აუცილებლად ჩავთვალე. რომ ნათელი იყოს: არაფერი გასაოცარი შუა საუკუნეების საქართველოში ჯვრიანი დროშის არსებობის ფაქტში არ არის, თუნდაც მხოლოდ ქართული მასალის საფუძველზე.

მეორე მიზეზი აღნიშნული მასალის აქ მოტანისა შემდეგია. საბჭოთა პერიოდში, ბუნებრივია, ქართული შუა საუკუნეების სახელმწიფოს იდეოლოგიურ საფუძვლებსე ამგვარი ხაზგასმით ყურადღება ვერ გამახვილდებოდა. მაგალითად, ნაშრომი მხოლოდ შუა საუკუნეების საქართველოს იდეოლოგიურ პრობლემებს რომ მიძღვნოდა. რადგან ეს იდეოლოგია ემყარება და გამოხატავს მხოლოდ ქრისტიანულ პრინციპებს. ამიტომ საქმისათვის საზიანო არ უნდა იყოს, თუ ქართული ქრონიკების ის პასაჟები, სადაც სახელმწიფო იდეოლოგიის კონტურები იკვეთება აშკარად, მთლიანობაში გვექნება თვალწინ დროშის საკითხზე მსჯელობისას. მით უმეტეს, რომ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, შუა საუკუნეთა ქართული სახელმწიფოს იდეოლოგიას დამოუკიდებელი გამოკვლევა არ მიძღვნია.

მესამე მიზეზი შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფოს იდეოლოგიაზე მსჯელობისა შემდეგია: აღნიშნული მსოფლმხედველობის გათვალისწინებას კარდინალური

1877 (Neudr. Aalen 1963); Hans NAUMANN, Der wilde und der edle Heide (Versuch über die höfische Toleranz), კრებულში: Vom Werden des deutschen Geistes. Festgabe für Gustav Ehrismann. Berlin, Leipzig 1925, გვ. 80-101; Ludwig DENECKE, Ritterdichtung und Heidengötter, Leipzig 1930; Dana Carleton MUNRO, The Western Attitude Toward Islam during the Period of the Crusades, in: Speculum 6, 1931, გვ. 329-343; Gustav MENSCHING, Toleranz und Wahrheit in der Religion, Heidelberg 1955; Siegfried STEIN, Die Ungläubigen in der mittelhochdeutschen Literatur von 1050-1250. Darmstadt 1963 (Neudr.); Julia GAUSS, Anselm von Canterbury. Zur Begegnung und Auseinandersetzung der Religionen, in: Saeculum 17, 1966, გვ. 277-363; DIES., Toleranz und Intoleranz zwischen Christen und Muslimen der Zeit vor den Kreuzzügen, in: Saeculum 19, 1968, გვ. 368-389; Richard W. SOUTHERN, Das Islambild des Mittelalters, Stuttgart [u. a.] 1981; Religiöse Toleranz. Dokumente zur Geschichte einer Forderung, hrsg. von Hans R. Guggisberg (= Neuzeit im Aufbau, Darstellung und Dokumentation, Bd. 4), Stuttgart, Bad Cannstatt 1984; Die Begegnung des Westens mit dem Osten, hrsg. von Odilo Engels, Peter Schreiner (= Kongreßakten des 4. Symposions des Mediävistenverbandes in Köln 1991 [...]). Sigmaringen 1993; Toleranz im Mittelalter, hrsg. von Alexander Patschovsky, Harald Zimmermann (= Vorträge und Forschungen, Konstanzer Arbeitskreis für Mittelalterliche Geschichte, Bd. 45), Sigmaringen 1998; Wege zur Toleranz. Geschichte einer europäischen Idee in Quellen, hrsg. von Heinrich Schmidinger, Darmstadt 2002. ბიზანტიაში ისლამის პრობლემასთან დაპირისპირების თვალსაზრისით იხილეთ: Carl GUTERBOCK, Der Islam im Lichte byzantinischer Polemik 1912; Julia GAUSS, Glaubensdiskussionen zwischen Ostkirche und Islam im 8.-11. Jahrhundert, in: Theologische Zeitschrift 19, 1963, გვ. 14-28; John MEYENDORFF, Byzantine Views of Islam, in: Dumbarton Oaks Papers 18, 1964, გვ. 113-132.

მნიშვნელობა აქვს შუა საუკუნეთა საქართველოს სახელმწიფო დროშის საკითხისათვის. რადგან ქრისტიანული სიმბოლიკის მქონე დროშა შუა საუკუნეებში ქვეყანას აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სახელმწიფოს იდეოლოგია არის ქრისტიანობა, უფრო სწორედ, ქრისტიანობა თავისი სპეციფიკური ფორმით: სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობის სახით. მხოლოდ ამ შემთხვევაში ხდება საერო და რელიგიური პრინციპების გამთლიანება, რაც, თავის მხრივ, ქრისტიანული სიმბოლიკის დროშების საერო ხელისუფლებისათვის გადაცემის საწინდარია.

„ნინოს მიერ ქართლის მოქცევა"

საქართველოში სამხედრო ქრისტიანული მსოფლმხედველობას ჩანასახის სახით ეხედებით უკვე მეოთხე საუკუნეში, მირიან მეფის დროს[4]. ამ შემთხვევაში მეფე მირიანს საეარაუდოდ გადმოაქვს იმპერატორ კონსტანტინეს მიერ შემუშავებული მოდელი, როდესაც საერო ხელისუფალი ქრისტიანული იდეოლოგიით ებრძვის მტერს. როგორც ცნობილია იმპერატორ კონსტანტინეს დროს საერო არმიას ომში პირველად წარემძღვარა წინ ჯვარი. ზემოთაც ითქვა, პოლიტიკის და რელიგიის ამგვარი მთლიანობა ბიზანტიის იმპერიაში ადრეე იყო მოცემული. ყველა ნიშნის მიხედვით, საქართველო მისდევს ბიზანტიურ მოდელს. რელიგიის და პოლიტიკის მთლიანობის აღნიშნულ პროცესს დასავლეთ ევროპაში ვხედებით გაცილებით გვიან.

სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობის მოკრძალებულ გამოვლინებას პირველად ვხედებით, როდესაც მეფე მირიანს წარმართთ მთიელთა მოქცევა სურს ძალის გამოყენებით. მეფე ეუბნება წმინდა ნინოს და ეპიკოპოს იოანეს: „*მნებავს ესრეთ, რათა იძულებით მახჳილითა მოვაქციენთ მთჳულნი* [...] *და დაეამონნეთ ძესა ღმრთისასა და ეთაყვანნეთ პატიოსანსა ჯუარსა*" (125). მაგრამ წმინდა ნინო და ეპისკოპოსი იოანე უარყოფენ წარმართთა ქრისტიანად მოქცევის ამგვარ გზას: „*არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახჳილისა აღება, არამედ სახარებითა და ჯუარითა პატიოსნითა უჩვენოთ გზა ჭეშმარიტი, მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ, და მადლმან ღმრთისამან განანათლოს ბნელი იგი გულთა მათთა*" (125). წმინდა ნინო და ეპისკოპოსი იოანე მიდიან მთიელთა მოსაქცევად. მეფე მათ თავიანთ ერისთავს გაატანს თან. მთიულებს „*უქადაგეს მათ სჯული ქრისტიანეთა ჭეშმარიტი, მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ. ხოლო მათ არა ინებეს ნათლისღება. მაშინ ერისთავმან მეფისამან მცირედ წარმართა მახვილი მათ ზედა და ძლევით შემუსრნა კერპნი მათნი*" (125).

ნინოს ცხოვრების ავტორი მოკრძალებით შენიშნავს, რომ მეფის ერისთავმა გაჯიუტებულ მთიულებზე მცირე ძალა მაინც იხმარა. მართალია, მსოფლმხედველობრივ პლანში სარწმუნოებისათვის ძალის გამოყენების შესაძლებლობა წმინდა ნინოს და ეპისკოპოს იოანეს მიერ უარყოფილ იქნა, მეფეც თითქოს დათანხმა მათ, მაგრამ საბოლოოდ საერო ძალა მაინც ერთვება წარმართთა გაქრისტიანების პროცესში. ამდენად, წმინდა ნინოს ცხოვრებაში პირველად ფიქსირდება სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობა გარკვეული ფორმით, როდესაც საერო ხელისუფლება დგება ეკლესიის სამსახურში, რათა სამხედრო გზით აღასრულოს კონკრეტული რელიგიური მიზნები.

იმპერატორ კონსტანტინეს მძველად ჰყავდა წაყვანილი მეფე მირიანის შვილი ბაქარი. როდესაც კონსტანტინე შეიტყობს, რომ მირიანმა ქრისტიანობა მიიღო, შვილს უბრუნებს უკან. კონსტანტინე აგრეთვე უგზავნის წერილს მეფე მირიანს: „ [...] *ეინათგან იცან შენ*

---

[4] „ნინოს მიერ ქართლის მოქცევის" ტექსტი იხილეთ შემდეგ გამოცემაში: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. 1, თბილისი, 1955, გვ. 72-138. „ნინოს მიერ ქართლის მოქცევიდან" მოტანილ ციტატებს ფრჩხილებში მივუნერ გვერდებს აღნიშნული გამოცემიდან. ასევე ციტატების შემდეგ ფრჩხილებში მივუთითებ გვერდებს ქვემოთ მოტანილ დანარჩენი ქრონიკების მასალაშიც, რომელიც სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემული ქართლის ცხოვრებიდან არის ამოღებული.

ჩაბეჭა ერთობრსება. ღმერთი დაუსაბამო. დამბადებელი ყოველისა, არღარა მიხმს მე შენგან ძმეული. არამედ კმა არს ჩვენ შორის შუამდგომელად ქრისტე. ძე ღმრთისა, პირველ ჟამთა შობილი. რომელი განკაცნა ხსნისათვის ჩვენისა. და ჯვარი მისი პატიოსანი, რომელი მოცემულ არს ჩვენდა წინამძღვრად. გულითა მოსავთა მისთა და შუამდგომელობითა ღმრთისა დამბადებულისათა ეიყენეთ ჩვენ სიყვარულსა ზედა ძმებრივ. [...]" (128).

კონსტანტინეს წერილში გაკრთება მოტივი, რომ ქრისტეს ჯვარი პატიოსანი მიცემული აქვთ მეფეებს წინამძღვრად. ამ პასაჟის მიხედვით, ჯვარი პატიოსანის წინამძღვრობა შეიძლება სიმბოლურადაც იქნეს გაგებული, ერთგვარად ჯვარის წინამძღვრობა სულიერ პლანზე. მაშინ აღნიშნულ ეპიზოდს ჩვენი საკითხისათვის, სამხედრო-ქრისტიანული იდეოლოგიის პრობლემისათვის პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ ნინოს ცხოვრების შემდგომი მონაკვეთი გვაეარაუდებინებს: ამ შემთხვევაშიც ჯვარის წარძღვანება საერო არმიის მიერ ომში ჯვარის წინ წაღებას უნდა ნიშნავდეს.

მირიან მეფე დასნეულდება და გრძნობს სიკვდილის მოახლოებას. მეფე მოაყვანინებს თავისთან დედოფალ ნანას და უფლისწულ ბაქარს. მეფე მირიანი გარდაცვალების წინ ბაქარს ეუბნება: „*შენდა მიმიცემია გვირგვინი მეფობისა ჩემისა. ღმერთმან დამბადებელმან ცისა და ქვეყანისამან დაგამტკიცენ შენ სრულსა სარწმუნოებასა ზედა. იწყრთოდი ყოველადვე მცნებათა ძისა ღმრთისათა და დაადგერ სრულიად მათ ზედა. და სახელსა ზედა ქრისტესსა სიკვდილი ცხოვრებად გიჩნდინ, რომლითა წარუვალი ცხოვრება მოიყო. და სადა პოვნე ენებანი იგი ცეცხლისანი კერპნი, ცეცხლითა დაწვენ, და ნაცარი შეიქმნ, რომელნი მათ ესვიდენ.* [...] *ხოლო შენ ამას შეუდეგ გულითა შენითა და თავი შენი შეეფარე ძესა ღმრთისასა, პირველ ჟამთა შობილსა და განკაცებულსა და ენებულსა ხსნისათვის ჩვენისა. და წარძღვანებითა პატიოსნისა ჯვარისათა სძლო მტერთა, ყოველი აქვს ჩვენულება გულითა მოსავთა მისთა.* [...]" (129-130).

როგორც ეხედავთ, მეფე მირიანის სიტყვაში, რომელსაც ის გარდაცვალების წინ ეუბნება შვილს, ფიგურირებს მტრებთან ჯვრის წარძღვანებით ბრძოლის მოტივი. ეს ფაქტორი კი გულისხმობს საერო არმიის ბრძოლისათვის სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობის საფუძვლად დადებას. რადგან მსგავს შემთხვევაში საერო და სასულიერო, რელიგიური პოლიტიკის თანხვედრა ხდება. სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობის ჩანასახად შეიძლება ასევე მივიჩნიოთ მეფე მირიანის სიტყვები, კერპთა და კერპთა მოიმედეთა განადგურების შესახებ.

ზოგადად ქრისტიანული მსოფლმხედველობის დომინანტობის თვალსაზრისით მეტად შთამბეჭდავია მეფე მირიანის აღსასრულის სცენა. მეფემ „*მოაყვანებინა ჯვარი იგი წმიდისა ნინოსი, რომელი პირველითგან აქენდა, და ჩამოჰკიდა გვირგვინი სამეფო ჯვარსა მას. და მოიყვანა ძე თვისი ბაქარ და თავსა მისსა გამოსახა სახე ჯვარისა. და აღიღო გვირგვინი ჯვარისაგან და დადგა თავსა ძისა თვისისა*" (130).

გარდაცვალების წინ მეფე მირიანი მოატანინებს ქრისტეს ჯვარს და ჯვარზე კიდებს თავის გვირგვინს. შემდეგ მოყავს მემკვიდრე, უფლისწული ბაქარი და ჯვარს გარდასახავს. მეფე იღებს ჯვარიდან გვირგვინს და ბაქარს ადგამს თავზე. ეს არის პირველი შემთხვევა საქართველოს ისტორიაში, როდესაც მეფე უშუალოდ ქრისტესაგან იღებს ძალაუფლებას. ქრისტიანული რიტუალის მიხედვით ხდება მეფედ კურთხევა. მეტად მძლავრია მომაკვდავი მეფე მირიანის მიერ გვირგვინის ქრისტეს ჯვარზე დაკიდების მოტივი. ეს მონათხრობი შორეულ სიახლოეეს ამყარებს შუა საუკუნეების გერმანულ ლეგენდასთან, რომლის მიხედვითაც სალვთო რომის იმპერატორმა მეორედ მოსვლის წინ გვირგვინი უნდა დადოს იერუსალიმში ჯვრის წინ.

ამდენად, მეფე მირიანის ეპოქის საქართველოში პირველად ეხედებით სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობის ელემენტებს საწყისი ფორმით. აღნიშნული მსოფლმხედველობის აღმოცენება გახლავთ საერო ხელისუფლებასთან ქრისტიანული სიმბოლიკის მქონე ღროშების გაჩენის წინაპირობა.

ჯუანშერი
„ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა"

ჩვენი საკითხისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჯუანშერის ქრონიკას „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა"[7]. ამიტომ აღნიშნული ნაწარმოები აქ საკმაოდ დეტალურად უნდა განვიხილოთ. რადგან სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობა თავისი დასრულებული სახით საქართველოში ფაქტიურად უკვე ფიქსირდება მეხუთე საუკუნეში. ხოლო ამის შესახებ ისტორიკოსი წერს მერვე საუკუნეში ან კიდევ მეთერთმეტე საუკუნის შუა ხანებში (ნაშრომი უკვე დასაბეჭდად გახლდათ მომზადებული, როდესაც საშუალება მომეცა მენახა ბ-ნ დავით მუსხელიშვილის სტატია ჯუანშერის ქრონიკის დათარიღებასთან დაკავშირებით - დ.მუსხელიშვილი, „ქართლის ცხოვრების" უძველესი ნაწილის შედგენილობა და ჯუანშერის თარიღი, კრებულში: საქართველო ეახტანგ გორგასლის ეპოქაში, 1999 წლის 18-19 მაისს ჩატარებული კონფერენციის მასალები, თბილისი, 1999, გვ.72-89 - ბ-ნი დავით მუსხელიშვილი ჯუანშერის ქრონიკას ათარიღებს VIII ს-ის 40-60 წლებით, რაც, ჩემი აზრით, უფრო მართებული უნდა იყოს). შესაბამისად, აღნიშნული მსოფლმხედველობა ამ დროისთვისაც აქტუალურია, რადგან განსაკუთრებით შუა საუკუნეებში შექმნილი ნაწარმოებები ყოველთვის შეესაბამებიან სახელმწიფოს ან პუბლიკის ინტერესებს. ამასთან, აქ არ ვეხები საკითხს, რამდენად შეესატყვისება ჯუანშერის მონათხრობში ესა თუ ის ამბავი ისტორიულ რეალობას. აღნიშნული პრობლემა ცალკე კელეეის საგანია. აქ სულ სხვისთვის მთავარია, იმდროინდელი საქართველოს მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიური სურათი დავინახოთ და თუ რა თვალით, რა პოზიციიდან უყურებს მოვლენებს მეცხრე ან მეთერმეტე საუკუნის ისტორიკოსი.

არჩილის და მირდატის
მეფობის პერიოდი

ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა" ამგვარად იწყება:

„ვითარ-იგი შეიპყრეს ქართველთა მეფე მირდატ სპარსთა წყობასა შინა და წარიყვანეს ბაღდადს და მუნ მოკვდა. და დაიპყრეს ქართლი სპარსთა და განრყვნეს ეკლესიანი, და დამალეს ჯვრები ქართველთა. და ყოველთა შინა ეკლესიათა ქართლისათა ცეცხლის მსახურთა სპარსთა აღაგზნეს ცეცხლი" (139).

თავიდანვე შემოდის ქრონიკაში რელიგიური დაპირისპირების მოტივი. ამასთან, თავისი დროის გავლენით ჯუანშერს ასპარეზზე გამოყავს ბაღდადი, რაც მეხუთე საუკუნის სპარსელებთან დაპირისპირებისას წინა პლანზე, ცხადია, ვერ იქნებოდა. მაგრამ ეს აქტუალურია უკვე ისლამის აღმასელის შემდეგ მცხოვრები ქართველისათვის. ბაღდადის, მაშმადიანთა სახელმწიფოს ცენტრის აქ დასახელებას კიდევ უფრო მეტად გადაყავს მონათხრობი რელიგიური დაპირისპირების სიბრტყეზე.

ქართლის აზნაურები მცხეთაში მეფედ სვამენ არჩილს:

„ამან არჩილ [...] გამოარჩინნა ჯვარნი და მოკაზმნა ეკლესიანი, მოსრნა და განასხნა ყოველნი ცეცხლის მსახურნი საზღვართაგან ქართლისათა, [...] *და წარძღვანებითა ჯვარისათა იწყო ბრძოლად სპარსთა"* (140).

კელავ მთავარი აქცენტი კეთდება რელიგიური დაპირისპირების მოტივზე. ამასთან, აქ ფიქსირდება მნიშვნელოვანი ფაქტი. ქართულ არმიას მეხუთე საუკუნეშიც ჯვარი მიაქვს ბრძოლისას, ისევე როგორც მირიან მეფის დროს. „წარძღვანებითა ჯვარისათა", ბუნებრივია, გადატანითი მნიშვნელობით არ არის ნახმარი. ეს ფაქტი კონტექსტიდანაც ჩანს და მას

[7] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ნიგნში: ქართლის ცხოვრება, ტ. I (1955), გვ. 139-244.

შემდეგი მოვლენებიც ადასტურებენ. ომში არმიისათვის ჯვრის წარძღვანების ტრადიცია აგრეთვე დასტურდება მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებშიც. "უკვე დასაწყისშივე შეიძლება შეკნიშნოთ: არაფერი გასაკვირი არ არის, არმიას, რომელსაც წინ ჯვარი მიაქვს ომში, ასევე ჰქონოდა ჯვრიანი დროშა (ქართული არმიის მიერ ომში ჯვარის წარძღვანების ჩვეულებას, აგრეთვე ქართულ ქრონიკებში აღნიშნულ წესთან დაკავშირებულ პასაჟებს დეტალურად ეხება ბ-ნი თეიმურაზ საყვარელიძე[1]).

მაშინ სპარსთა მეფის სატრაპი, რანის, მოვაკანის და ადარბადაგანის (ანუ დღევანდელი აზერბაიჯანის და ჩრდილოეთ სპარსეთის დიდი ნაწილის) გამგებელი კრებს ჯარს და ილაშქრებს არჩილზე.

„ხოლო არჩილ. სასოებითა და მინდობითა ღმერთისათა, მიეგება საზღვართა ზედა ქართლისათა და რანისათა, ეწყო მუნ მდინარესა ზედა ბერდუჯისასა და ძალითა პატიოსნისა ჯვარისათა მოსრნა და ტყვე ყენა" (140).

ქართველთა მეფე მტერს ამარცხებს ჯვარის ძალით. იგულისხმება, რომ ეს ჯვარი ბრძოლაშიც თან ჰქონდათ. ამასთან, ჯუანშერის მთელ ქრონიკაში ფიგურირებს მსოფლმხედველობრივი მოტივი: ქართველი მეფეები ყველა ბრძოლას ღმერთის სახელით წარმართავენ. აღნიშნული პოსტულატი სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობის ერთ-ერთი უმთავრესი საყრდენია, როდესაც საერო არმიას ღმერთი და რელიგიური ფაქტორი უმაგრებენ ზურგს.

მეფე არჩილი დაარბევს რანს, მობრუნდება და ქადაგს მთელ საქართველოში გამოაცხადებინებს:

„არა ძალითა ჩვენითა, არცა სიმხნითა, არცა სიბრძნითა, არცა სიმრავლითა სპათათა ესძლეთ მტერთა, არამედ ჯვარითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, ძისა ღმერთისათა, რომელმან მოგვცა წინამძღვრად და საჭურველად ჯვარი მისი პატიოსანი. აწ ყოველთა ქართველთა ადიდეთ სამება ერთარსება, ღმერთი დაუსაბამო, დამბადებელი ყოველისა. შეწირეთ მადლობა, და მტკიცემცა არიან გულნი თქვენნი სარწმუნოებასა ზედა სამებისა წმიდისასა" (140).

სხვათა შორის, მსგავსი სიტყვა დიდი წარმატებით შეეძლო წარმოეთქვა რომელიმე ევროპელ ჯვაროსანსაც. ამდენად, აქ ეხედებით სამხედრო-ქრისტიანული იდეოლოგიის ტრადიციულ მოდელს. როდესაც საერო ხელისუფალი თუ საერო მეომარი მტერს უქირისპირდება ღმერთის სახელით. ამ ბრძოლაში მთავარია არა საერო ადამიანის ამქვეყნიური ღირსებები, არამედ ღმერთის თანადგომა. ღმერთი კი შეეწევა მას, რადგან მორწმუნე იბრძვის ჭეშმარიტი საქმისათვის, ანუ ურჯულოთა წინააღმდეგ. მართალია, გამომდინარე ისტორიული რეალობიდან, ხშირად ხდება ამ იდეოლოგიის ყოველდღიურობისათვის მორგება, არაქრისტიანებთან კომპრომისებზე წასვლა, მაგრამ ეს ცალკე საკითხია (სხვათა შორის, იგივე ტამპლიერები, ანუ ქრისტიანობასა და ეკლესიასთან განსაკუთრებით ახლოს მყოფი, სასულიერო ორდენის წარმომადგენელი რაინდები წმინდა მიწაზე ევროპელ მეფეებს ხშირად ფუნდამენტალისტურ ისლამურ სექტასთან, ასასინებთან კავშირში ებრძოდნენ).

აქვე ფიქსირდება ყურადსაღები ფაქტიც. ჯვარი, რომელიც აქვთ ქართველებს, მათ მისცა უშუალოდ ქრისტემ. შესაბამისად, პირდაპირი ურთიერთმიმართებაა დამყარებული ქართველთა მებრძოლ არმიასა და იესო ქრისტეს შორის. ჯვარის მიღება ქრისტესაგან გარკვეული თვალსაზრისით უკვე გულისხმობს ჯუანშერთან ქართველთა მთელი ბრძოლის იერუსალიმზე ორიენტირებულობას, რაც ხუთჯვრიანი დროშის საკითხისათვის მეტად საყურადღებოა, რადგან ამ დროშის სიმბოლიკა, ყველა ნიშნის მიხედვით, უკავშირდება იერუსალიმს და მაცხოვარის ხუთ ჭრილობას[2].

---

[1] თეიმურაზ *საყვარელიძე*, XII საუკუნის ქართული ჭედური ხელოვნების ისტორიიდან, თბილისი, 1980, გვ. 4-6.

[2] ჯუანშერთან იერუსალიმზე ორიენტირებულობასთან დაკავშირებულ რიგ სხვა პასაჟებზე აგრეთვე ყურადღება გამამახვილებინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის თანამშრომელმა სიმონ ჯანაშიამ, რისთვისაც დიდ მადლობაა ვუხდი მას.

არჩილის გარდაცვალების მერე მეფე ხდება მირდატი. დედოფალ საგდუხტის მიერ ვახტანგის შობის შემდეგ: *„გამოიღეს ხვასტაგი დიდძალი, ოქრო და ვეცხლი, და განუყვეს გლახაკთა. და შეწირეს მადლობა ღმრთისა მიმართ ლოცვითა და ღამისთევითა დღეთა მრავალთა.* [...] *და ევედრებოდეს ყოველნი ღმერთსა აღზრდისათვის ვახტანგისსა*" (143).

მსგავსი ადგილები იმდენია ქრონიკებში, რომ, როგორც ითქვა, თუ აუცილებლობა არ იქნა, ქვემოთ მათ დეტალურად აღარ მოვიტან. რადგან მაშინ უბრალოდ ქრონიკების მთლიანად გადმოწერა იქნება საჭირო. შეეეხები მხოლოდ კარდინალური და ზოგადი მნიშვნელობის პუნქტებს, რომლებიც განსაკუთრებით სამხედრო-ქრისტიანულ მსოფლმხედველობას უკავშირდება. ეს პასაჟები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, როგორ არის მთელი სახელმწიფო ცხოვრება ქრისტიანული იდეოლოგიით გამსჭვალული, რასაც იგივე დროშის ფაქტორისათვის თავისი მნიშვნელობა აქვს, რაოა აღარ გაგვიკვირდეს სახელმწიფო დროშაზე ჯვარის თუ ჯვრების გამოჩენა.

მეფე მირდატი მალევე გარდაიცვალება. ვახტანგი ამ დროს შვიდი წლისაა. დედოფალმა საგდუხტმა ქრისტიანობა ადრევე მიიღო. ბარზაბოდმა შვილის გაქრისტიანების, ასევე არჩილის და მირდატის მიერ მისი კუთვნილი მხარეების რბევის გამო შური რომ არ იძიოს, საგდუხტი ეახლება მამამისს ბარდავში, სთხოვს შენდობას ქმრის და მამამთილის საქმეებისთვის, ასევე მის მიერ სხვა აღმსარებლობის არჩევისათვის. *„და ევედრებოდა, რათა არა აიძულოს დატევება ქრისტეს სჯულისა, რამეთუ იგი არს ღმერთი ჭეშმარიტი. და ევედრებოდა, რათა იპყრას შვილი მისი მამულსა შინა მისსა და მოურავ ექმნეს იგი სპარსთა მეფესა წინაშე*" (144).

როგორც ეხედავთ, ფაქტიურად ნებისმიერი მოქმედება მოტივირებულია ქრისტიანული სარწმუნოების ინტერესებით. სწორედ ეს ნიშნავს, რომ ქრისტიანული იდეოლოგია არის სახელმწიფოში ყველაფრის განმსაზღვრელი. თუ თანამედროვე ხელისუფალი ან ადამიანი მოქმედებისას უმეტესწილად საზომად იღებს ამქვეყნიურ კანონს, საკუთარ მსჯელობას, ინტერესებს, შუა საუკუნეებში, და კონკრეტულად ჯუანშერთან, ყოველი მოქმედების, სახელმწიფო იქნება ეს თუ პირადი, განმსაზღვრელი არის ქრისტიანული ღმერთი და ქრისტიანული მსოფლმხედველობა. დასავლეთ ევროპაში ამგვარ ფორმას ქრისტიანული იდეოლოგია, როგორც ითქვა, რამდენიმე საუკუნით გვიან ღებულობს.

ბარზაბოდი შეიწყალებს შვილს. საგდუხტი ბრუნდება საქართველოში. ბარზაბოდი მცხეთაში გზავნის ცეცხლის მსახურებს და მათ ეპისკოპოსად ადგენს ბინქარანს. ვახტანგის მცირეწლოვნობის დროს ქვეყანას განაგებს დედოფალი საგდუხტი. მალე კვდება ბარზაბოდი და სპარსეთის მეფე მის ნაცვლად ჩრდილოეთ სპარსეთის სატრაპად ნიშნავს ბარზაბოდის შვილს, ვარაზ-ბაკურს. საქართველოში დიდებულთაგანი არავინ, მაგრამ ბინქარანის ქადაგების შედეგად უბრალო ხალხიდან ბევრმა მიიღო ცეცხლთაყვანისმცემლობა. საგდუხტ დედოფალი მაზდეანთა წინააღმდეგ გამოსვლას ვერ ბედავს, მაგრამ საბერძნეთიდან ეპისკოპოსად მოყავს მიქაელი, რომლის ენერგიული ქმედების შედეგად მაზდეანობაზე ხალხის გადასვლა იკლებს. ამ დროს,როდესაც ვახტანგი მხოლოდ ათი წლისაა, ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოვიდნენ ალანები, დაარბიეს შიდა ქართლი, ვახტანგის და მირანდუხტი, რომელიც იმ დროს კასპში იყო, ტყვედ ჩაიგდეს. ასე რბევა-რბევით გადავიდნენ რანსა და მოვაკანში (დღევანდელი აზერბაიჯანი), გაიარეს დარუბანდის კარები და ჩრდილოეთ კავკასიაში დაბრუნდნენ. იმავე დროს ბერძნებმა აფხაზეთიდან მიიტაცეს დასავლეთ საქართველოს რიგი მხარეები, რომლებიც ქართლის, ანუ იბერიის სამეფოს შემადგენლობაში შემოდიოდნენ.

ხალხი ამგვარად ლაპარაკობდა: *„განვამრავლეთ ცოდვა ღმრთისა მიმართ და არა კეთილად ვიპყართ სჯული ქრისტესი და წესი იოვანეს მცნებისა. სამართლად მოაწია ღმერთმა ჩვენ ზედა ესე რისხვა, რამეთუ მიგვცნა ჩვენ წარტყვევნად უცხოთა ნათესაყთა.* [...] *ხოლო ესე არა მეფეთა ჩვენთა ცოდვისაგან იქმნა, არამედ ერისა ცოდვათაგან. აწ მეფე ჩვენი ერმა არს და არ გვიყვის ჩვენ წინამძღვარი, რომელიმცა სასოებითა ქრისტესითა და წინამძღვრებითა ჯუარისათა წარგვიძღვა ჩვენ*" (146).

ამ შემთხვევაშიც ნათელია, როგორი საყოველთაო ხასიათი აქვს ერის ისტორიის თუ კონკრეტული ქმედების ქრისტიანულ კალაპოტში მოქცევას. ქრისტიანების წარმართებზე გამარჯვებისას ღმერთი შეეწეოდა მათ. როდესაც წარმართები ამარცხებენ ქრისტიანებს, ქრისტიანული იდეოლოგიის მიხედვით ღმერთი არ შეიძლება წარმართებს ეხმარებოდეს. ამიტომ შემუშავდა ამგვარი მოდელი, რომელიც დასაბამს იღებს ჯერ კიდევ ძველი აღთქმიდან: ღმერთისათვის სასურველი ერის დაღმასვლას განაპირობებს ამ ერის ცოდვები, რისთვისაც ღმერთი წარმართთა ხელით სჯის მას და არა ის, თითქოს ღმერთი წარმართებს ეჯგეს მხარში.

ეს პოზიცია უწყვეტ ხაზად გასდევს ქართულ ქრონიკებს. მთელი ქართული ისტორია აღნიშნულ ჭრილშია შეა საუკუნეთა ავტორების მიერ დანახული. გვიანდელ ქრონიკებში მესიანისტური ელემენტები გაცილებით მძლავრადაა გამოხატული, რის საფუძველსაც უკვე ჯუანშერთან ეხვდებით დასრულებული ფორმით. ღმერთისადმი ამგვარი დამოკიდებულება ძველ აღთქმაში ჰქონდათ ებრაელებს. მაგრამ მას შემდეგ, რაც ებრაელებმა ქრისტე უარყვეს. ქრისტიანული ტრადიციისათვის ებრაელთა რჩეულობა იკარგება. ღმერთისადმი ქართველების მსგავსი მიმართების ჩამოყალიბებით ქრონიკები ფაქტიურად ებრაელებს ღმერთთან ქართველებით ანაცვლებენ (ამ ფაქტის გათვალისწინებით, ასევე კლარჯეთელ წმინდანთა ცხოვრებასაც თუ გადავავლებთ თვალს, სადაც საკუთარი თავი და მოღვაწეობა ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე მოციქულთა სწორად მიაჩნიათ, იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი" ისე განცალკევებით მდგარად არ უნდა გამოიყურებოდეს).

ალანებზე ლაშქრობა

როდესაც ვახტანგ გორგასალი თხუთმეტი წლის გახდა, შეკრიბა სამეფოს დიდებულები და მიმართა: *„მეფეთა და ერთა ზედა მოიწევის განსაცდელი და ჭირი ღმრთისა მიერ ცოდვათა მათთაგან: ოდეს მორწმუნეთა აკლონ მსახურება ღმრთისა და გარდაჰხდეს მცნებასა, მოაწევს ჭირთა ესევითართა ზედა, რომელი აწ ესე მოიწია ჩვენ ზედა.* [...] *გვწყალონა ჩვენ ღმერთმან, დამშადებელმან ცისა და ქვეყანისამან. ამისთვის გეიხმს ჩვენ, რათა ემადლობდეთ მოწყალებათა მისთა.* [...] *არამედ სასოებითა და მინდობითა ღმრთისათა, სამებისა ერთარსებისა დაუსაბამოსათა და წარძღვანებითა ჯვარისა მის პატიოსნისათა, რომელი მოცემულ არს წინამძღერად და საჭურველად გულითა მოსავთა მისთა,*[...] *ეიძიოთ შური ოესთა ზედა"* (147-148).

მეფე ვახტანგის სიტყვის პირველი ნაწილი ზემოთ ნათქვამის კარგი ილუსტრაციაა. ქართლზე მოწეული ჭირი, სპარსელების, ბიზანტიელების და ალანების თავდასხმების სახით, არის ღმერთის მიერ ქართველთა დასჯა მათი ცოდვების გამო. მეფის სიტყვებში დაახლოებით შემდეგი აზრიც იკითხება: ღმერთის მადლობელნი უნდა იყვნენ ამ სასჯელისათვის და თავიანთი სათნო ცხოვრებით თუ ქრისტიანობისათვის ბრძოლით შეძლებენ ცოდვების გამოსყიდვას. ამასთან, ალანების წინააღმდეგ გორგასალი საომრად მიდის ჯვარის წარძღვანებით. ალანებზე ლაშქრობას საფუძვლად უდევს წმინდა სამხედრო-ქრისტიანული (განზრახ არ ვამბობ ჯვაროსნული, რადგან ეს ტერმინი მაინც კონკრეტულ მოძრაობასთან ასოცირდება, თორემ პრაქტიკულად ამ ორ იდეოლოგიას შორის არსებითი განსხვავება არ არის) მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიური საფუძველი. მართალია, გორგასალის სამხედრო კამპანია ალანების ქრისტიანებად მოქცევას არ გულისხმობს, მაგრამ თვითონ ჯვაროსანთა ომებშიც არც ისე ხშირად ფიგურირებს უშუალოდ წარმართების გაქრისტიანებისათვის ბრძოლა. მთავარი მიზანი ღმერთის დახმარებით წარმართთა დამარცხებაა. ამასთან, გორგასალის ალანებზე ლაშქრობა, ბუნებრივია, პოლიტიკური ინტერესებით არის მოტივირებული, მაგრამ ყველა ამ პოლიტიკურ ქმედებას თვალნათლივ საფუძვლად უდევს სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობა.

გორგასალს პასუხობს მთავარსარდალი ჯუანშერი:

„ცხოვნდი, მეფეო, უკუნისამდე დიდებით და მტერთა შენთა ზედა ნებაალსრულებით! ჭეშმარიტი ბრძანე: ცოდვათა ჩვენთა მიერ მოიწია განსაცდელი ესე ჩვენ ზედა და სამართლად დაგვსაჯნა ღმერთმან, რამეთუ განვამრავლეთ ცოდვა წინაშე მისსა. და გვიღირს მადლობა ღმრთისა მიმართ, რამეთუ დიდსა პატიჟსა ღირს ვიყვენით და არა ეზომსა, რომელ მოიწია ჩვენ ზედა. არამედ მრავალმოწყალემან არა შეცოდებათა ჩვენთა ოდენი პატიჟი მოგვაგო და ამით კნინითა პატიჟითა გვწვართნა. და ჩვენ, მკვიდრთა ქართლისათა, ამისთვის დიდი მადლობა გვიღირს ღმრთისა მიმართ" (148). შემდეგ ჯუანშერი მიმართავს ვახტანგს, რომ მისი ასაკისათვის შეუფერებელი სიბრძნის, სხვა დიდი სათნოებების მიუხედავად, მეფე ჯერ კიდევ არ არის მიღწეული იმ ასაკს, როდესაც შეძლებს სრულფასოვნად გაუძღვეს ჯარს ომში. „ [...] *გამოარჩიე ერთი ვინ ჩვენგანი წინამძღვრად სპისა ჩვენისა* [...] *და ძალითა სამებისა, ღმრთისა ერთარსებისათა, წარვიდეთ და ვიძიოთ შური. ხოლო შენ იყავ შინა და განაგებდი მეფობასა. უკეთუ ცოდვათა ჩვენთაგან ვიძლიენეთ ოვსთაგან, მეფობა შენი უვნებელად დარჩეს, ხოლო უკეთუ კეალად თავითა შენითა ცოდვათა ჩვენთაგან იძლიო, სრულიად წარწყმდეს ქვეყანა ჩვენი, რამეთუ ნაცვალი შენი არა არს ქვეყანასა ზედა*" (149).

მოაჯარსარდალ ჯუანშერის სიტყვებიც ასევე გამსჭვალულია მთლიანად სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობის პრინციპებით. სპასპეტი თან უმატებს, ჩვენი ცოდვების ჯერონს ღმერთმა კიდევ ნაკლები სასჯელი გეკამარა, რისთვისაც ღმერთის მადლობელნი უნდა ვიყოთო. ქრონიკაში პირდაპირ ნათქვამი არ არის, მაგრამ შემდეგი ნიუანსი ერთგვარად იგულისხმება: გარდა წმინდა შურისძიების ფაქტორისა, ამ ლაშქრობით ქართველები ღმერთს ერთგვარად თავისკენ მოაბრუნებენ, რითაც ცოდვებსაც გამოისყიდიან. აქ ჩანასახში უკვე მოცემულია ის პრინციპი, რაც ჯვაროსნული მოძრაობის საყრდენად წერტილად იქცა შემდგომში: ქრისტიანი მხედარის მიერ საერო, მაგრამ ღმერთისათვის სასურველი ბრძოლით ცოდვების გამოსყიდვა.

გორგასალი სახლში დარჩენაზე უარს ამბობს: „ [...] *არამედ მინდობითა ღმრთისათა და წინამძღვრობითა ჯვარისა მის პატიოსნისათა თავითა ჩემითა წარვალ. და ვესავ მრავალმოწყალებათა მისთა, არა გამწიროს და მომცეს ძლევა*" (150).

ისევე ჩვენი საკითხისათვის მნიშვნელოვანი ფაქტის დადასტურება: ომში ჯვარის წამძღვარებით მიდიან და ეს ჯვარი, როგორც ზემოთ ენახეთ, უშუალოდ ქრისტესგან მიიღეს. ამასთან, საერო ომში ღმერთი უჭერს მხარს ქრისტიან მეომრებს.

როდესაც წასელა ვეღარ დაუშალეს, დიდებულებიც დაემოწმენ გორგასალს: „*ცხოვნდინ, მეფეო, უკუნისამდე! იქმნეს განზრახვა შენი, ღმერთმან დამბადებელმან მოავლინენ ანგელოზი მისი ძალად შენდა, და დასცვენ ყოველნი მტერნი შენნი, დაამტკიცენ მეფობა შენი!*" (150).

დიდებულების რწმენითაც გორგასალს ღმერთი და მისი გამოგზავნილი ანგელოზი დაუჭერენ მხარს ბრძოლაში. შესაბამისად, საერო ბრძოლის კვლავ რელიგიურ სფეროსთან სიახლოვეში მოყვანასთან გვაქვს საქმე.

ვახტანგს ოსეთში სალაშქროდ მიჰყვება ვარაზ-ბაკურიც, ჩრდილო-დასავლეთ სპარსეთის სატრაპი, თავისი ჯარით, რადგან ალანებმა მისი ქვეყანაც მოარბიეს. გარკვეული პარადოქსული ვითარება ამ სურათში შეინიშნება. ლამის რელიგიური ლაშქრობა ხორციელდება წარმართებთან, ამ შემთხვევაში მაზდეანებთან ერთად. ვიდრე საომრად დაიძრებოდენ საქართველოდან: „[ვახტანგი] *შემოვიდა ქალაქად და აღასრულა შვიდეული ერთი ლოცვითა და მარხვითა და ღამისთევითა. და განუყო ხვასტაგი დიდძალი ვლახაკთა*" (151).

სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობის კონტექსტში აქ მნიშვნელოვან ფაქტთან გვაქვს საქმე. ბრძოლაში წასელის წინ მეფე აღასრულებს მკაცრ რელიგიურ რიტუალებს და ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით იქცევა. ამგვარი ქმედება შემდგომში ლაიტმოტივად გასდევს ჯვაროსნულ მოძრაობას.

გორგასალი „*წარემართა სახელსა ზედა ღმრთისასა, განვლო კარი დარიალანისა*"

(151). შესაბამისად, ალანების წინააღმდეგ გორგასალი იბრძეის ღმერთის, ქრისტიანული ღმერთის სახელით.

უკვე კავკასიონის გადალმა იწყება ომი. თავიდან ფალავანები იწყებენ ბრძოლას. ვახტანგის სპარსი ფალავანი ფარსმან-ფარუხი მარცხდება ალანთა მეფის ხაზარ ფალავანთან, თარხანთან. იმ დღეს დაპირისპირება ასე დასრულდა. ქართველები შემერთალი არიან, რადგან ფარსმან-ფარუხი მათ შორის საუკეთესო ფალავანი იყო.

ღამით გორგასალი „*დადგა ლოცვად და ცრემლითა ევედრებოდა ღმერთსა და ეიდრე გარეოენებადმდე არა დაედგა ქვე ლოცვისაგან – ითხოვდა ღმრთისაგან შეწევნასა. და მინდობითა ღმრთისათა ეკულებოდა თვითბრძოლა თარხანისი, რამეთუ უშიშ იყო, ვითარცა უხორცო. და იმედი ჰქონდა ღმრთისაგან და ძალისა თვისისაგან*" (152).

კვლავ საუკეთესო მაგალითი, რომ ვახტანგ მეფის ბრძოლა ფაქტიურად რელიგიური ომის კონტექსტში მიდის. წარმართთან დაპირისპირებისას მთავარია ღმერთის შეწევნა. ჯუანშერი აქ ადამიანის ძალასაც უმატებს გამარჯვებისათვის აუცილებელ კომპონენტად, ოღონდ ეს ამქვეყნიური ელემენტი მეორე პლანზეა მაინც. ფაქტიურად ქრონიკების იდეალია მძლავრი საერო ადამიანი, რითაც ამქვეყნიურ ასპექტს პოზიტიური მნიშვნელობა ენიჭება, განსხვავებით ჰაგიოგრაფიისაგან. მაგრამ ქრონიკებში ადამიანის მთელი ქმედება ემყარება ღმერთის ნებას და ამგვარად რეალურ ცხოვრებაში ახორციელებს ღვთაებრივ, ქრისტიანულ იდეალს. ქრონიკების ადამიანის ხატი ორ პრინციპს, სოფლიერს და ზესთასოფლურს, ერთმანეთთან ახამებს, მაგრამ ეს ხდება მთლიანად ქრისტიანული მსოფლმხედველობის ფარგლებში და ადამიანის ქრისტიანული ხატის პრიმატით, რადგან საერო ცხოერება მისაღებია მხოლოდ ქრისტიანული მსოფლმხედველობის საფუძველზე და ქრისტიანული იდეალებისათვის ბრძოლის ფონზე.

მეორე დღეს თარხანის წინააღმდეგ საბრძოლად გადის მეფე ვახტანგი. მანამდე მიმართავს თავის ლაშქარს: „*არა მინდობილ ვარ მე ძალისა ჩემისად და სიმხნისა ჩემისად, არამედ მინდობითა ღმრთისა დაუსაბამოსათა, სამებისა ერთარსებისა ყოელისა დამბადებელისათა განვალ თვითბრძოლად თარხანისა*" (152). ბრძოლამდე გორგასალი მიწაზე დაემხო „*თაყვანი სცა ღმერთსა, აღიპყრნა ხელნი თვისნი და თქვა: ჰე, უფალო, დამბადებელო ყოელისაო და შემმატებელო კეთილთაო, აღმამაღლებელო მოსავთა შენთაო! შენ იყავ მწე ჩემდა, მოაელინე ანგელოზი შენი ძალად ჩემდა და დაეც უსჯულო ესი და არცხვინე მგმობართა შენთა, რამეთუ არა ძალისად ჩემისად მინდობილ ვარ, არამედ მოწყალებისა შენისად.* [...] *და რქვა სპათა თვისთა: – ევედრებოდით ღმერთსა და ნუ შეძრწუნდებით!*" (153). გორგასალი გაეიდა საბრძოლად „*და დადგეს სპანი მისნი ზურგით მისსა. შეძრწუნებულნი და საესენი მწუხარებითა თვის-თვისსა სჯულსა ზედა ევედრებოდეს ღმერთსა*" (153).

მთელი ეს პასაჟები, თუ არ ეცდები, იმდენად შთამბეჭდავია ქრისტიანული სამხედრო მსოფლმხედველობის დომინირების თვალსაზრისით, რომ ღმერთმა უნდა დასცეს უსჯულო და ასე შემდეგ, მგონი ხშირად დეტალურ კომენტარსაც არ საჭიროებს. მაგრამ ბოლო ციტირებული წინადადებისას ამ ქრისტიანული სამხედრო იდეოლოგიით გამსჭვალულ ნაწარმოებში მოულოდნელად რელიგიური ტოლერანტობის მოტივი შემოდის. რადგან ჯუანშერთან ქართველები და სპარსელები ვახტანგის გამარჯვებისათვის ღმერთზე ლოცულობენ თავ-თავიანთი რელიგიების მიხედვით. შესაბამისად, დაშვებულია შემდეგი ფაქტი: ქრისტიანები და ცეცხლთაყვანისმცემლები ერთ ღმერთზე ლოცულობენ სხვადასხვაგვარი ფორმით! ამდენად, პირველივე ქართულ ნაწარმოებში, სადაც დაფიქსირებულია სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობა თავისი ჩამოყალიბებული ფორმით, მოცემულია რელიგიური ტოლერანტობის ნიმუშიც. მართალია ეს რელიგიური ტოლერანტულობის გამოვლინება მაინც გამონაკლისი უფროა ამ შემთხვევაში ქრონიკის საერთო სურათის ფონზე, მაგრამ თავისთავად უაღრესად მნიშვნელოვან პრეცედენტთან უნდა გვქონდეს საქმე. რადგან რენესანსამდე სრული რელიგიური ტოლერანტულობის იდეა იგივე დასავლეთ ევროპისათვის უცხოა. მიუხედავად იმისა, რომ ეგრეთ წოდებული

რაინდული ტოლერანტულობის (ან ადამიანური ტოლერანტულობის, რაც მოწინააღმდეგე მხარის რელიგიაზე არ ერცელდება) ნიმუშებს მაღალი შუა საუკუნეების დასაელეთევროპულ კულტურაში უხვად ვხვდებით.

თარხანი გორგასალის დანანდერებასა ამბობს: *„მე გოლიათთა და გმირთა გამოცდილთა მბრძოლი ვარ, არა ყმაწვილთა, გარნა შენ ზედაცა დაეიმდაბლო თავი ჩემი"* (153).

ესეც ტიპიური შემთხვევაა ქრისტიანული სამხედრო იდეოლოგიის პოზიციებიდან დაწერილი ნაწარმოებისათვის. როგორც წესი, არსებობდა ამპარტავანი წარმართის კლიშე, რომელსაც ღმერთი მალევე სჯიდა ხოლმე მისი ამპარტავნებისათვის. ქრისტიანს ახასიათებს ღვთისმოსაობა, თავმდაბლობა, ღმერთზე მინდობა. თუმცა ქართული ძეგლები დასავლეთევროპულებზე გაცილებით ნაკლებად სქემატურნი არიან ამ მხრივ და უფრო რეალისტურადაც აფასებენ იგივე არაქრისტიანებს ხშირად.

ვახტანგი პირველივე შეტევისას კლავს თარხანს, მიწაზე დავარდება, ღმერთს თაყვანს სცემს და ამბობს: *„ყურთხეულ ხარ შენ, უფალო, რომელმან მოავლინე ანგელოზი შენი და დაეცი მტერი ჩემი! შენ ხარ აღმამაღლებელი მოსავთა შენთა, შენ ხარ, რომელმან აღადგინი ქრისტიანისაგან გლახაკი და სორეთაგან აღამაღლი დავრდომილი"* (153-154).

წარმართი მოკლა არა მეფე ვახტანგმა, არამედ ანგელოზის ხელით უშუალოდ ქრისტიანთა ღმერთმა!

მეორე დღეს საბრძოლად გამოდის ალანების სხვა ბუმბერაზი, ბაყათარი. გორგასალი ბაყათარს გამოწვევაზე პასუხობს: *„არა ძალითა ჩემითა ვსძლე თარხანს, არამედ ძალითა დამბადებელისა ჩემისათა. და არა მეშინის მე შენგან, ვითარცა ძალისა ერთისაგან, რამეთუ ძალი ქრისტესი ჩემ თანა და ჯვარი მისი პატიოსანი საჭურველ ჩემდა"* (154).

კვლავ წინა პლანზე გამოდის ჯვარი, რომელიც მეფეს და არმიას აქვთ. სხვათა შორის, მაცხოვარის თანხლება ამ შემთხვევაში გამოიხატება ქრისტეს ჯვარის ლაშქართან ყოფნით. ეს არ არის სიმბოლურად ნაგულისხმევი ფაქტი. როგორც პური და ღვინო არის ქრისტეს სისხლი და ხორცი, ასევე ქრისტე რეალურად მოიაზრება მის ჯვართან ერთად. რაც უნდა უცხო იყოს ამგვარი ხედვა თანამედროვე ადამიანისათვის.

ვახტანგი კლავს ბაყათარს. *„და პირველ დავარდა ქვეყანასა ზედა და თაყვანი სცა ღმერთსა და შეწირა მადლობა უმეტეს პირველისა. ... და მოდგა მახლობელად სპათა თვისთა და რქვა ხმითა მაღლითა: მხნე იყვენით და განძლიერდით, რამეთუ ღმერთი ჩვენ კერძო არს!"* (155).

გორგასალი ლაშქარით გადადის იერიშზე და ამარცხებს ალანებს. მცხეთაში დაბრუნების შემდეგ: მეფე ვახტანგმა „ [...] *შეწირა მადლობა ღმერთისა მიმართ მრავლითა ლოცვითა და ღამისთევითა და გლახაკთა მიცემითა*" (158).

რელიგიური რიტუალები ლაშქრობამდე და ლაშქრობის შემდეგ ერთგვარ ჩარჩოს ქმნიან მთელი კამპანიისათვის.

ომი ბიზანტიასთან

ალანების წინააღმდეგ მოწყობილი ლამის რელიგიური ომის მერე მოულოდნელია გადასვლა, როდესაც გორგასალი სპარსელებთან ერთად ქრისტიანული ბიზანტიის წინააღმდეგ მიდის საომრად. შემდეგ, როგორც ვნახავთ, ეითარება კვლავ კარდინალურად იცვლება და ისევ რელიგიისათვის ბრძოლა გამოდის წინა პლანზე. ამ ყველაფერს განაპირობებს შემდეგი ფაქტორი. ბუნებრივია, ისევე როგორც დასავლეთევროპელებს, ქართველებს კიდევ უფრო მეტად უხდებოდათ თავისი იდეოლოგიის გარკვეულწილად მორგება რეალობისათვის. რადგან, რაც უნდა ქრისტიანულად ყოფილიყო განწყობილი გორგასალი, პოლიტიკური ეითარება ხშირად სხვა გადაწყვეტილებების მიღებასაც აიძულებდა. რეალური სურათი კი აქ დაახლოებით შემდეგია ალბათ. ალანებთან ომის მერე სპარსელების მეფემ გორგასალს მოსთხოვა ბიზანტიელების წინააღმდეგ ომში გაყოლა. საქართველოს დარბეევის თავიდან

ასაცილებლად ვახტანგი იძულებული გახდა დათანხმებულიყო. უკვე ბიზანტიის ტერიტორიაზე ყოფნისას გორგასალს მოელენები საშუალებას მისცემენ გადავიდეს უფრო სასურველი ბიზანტიელების მხარეს.

გორგასალის საფუძველი პრაგმატული პოლიტიკური გათვლებიც გახლდათ, ცხადია. საკარაულდოდ, მეფე ვახტანგის გადაწყვეტილებები რელიგიურადაც იყო მოტივირებული. რაც გამოიხატა ბიზანტიელებზე და არა სპარსელებზე კურსის აღებით. მაგრამ მთელი ამ რეალური პოლიტიკური სიტუაციიდან ქვემოთ ვნახავთ, თუ რა სურათს ქმნის ჯუანშერი. ამასთანავე, ჯუანშერის მიერ შექმნილი იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი ფონისათვის რეალური საფუძველი მეხუთე საუკუნეში ნამდვილად არსებობდა და ეს ყველაფერი იწერება მეცხრე ან მეთერთმეტე საუკუნეში.

ჯუანშერის მიხედვით,ვახტანგი სპარსთა მეფეს წაჰყვა მხოლოდ და მხოლოდ ნათესაური გრძნობების გამო. აქ ჯუანშერს შემოაქვს წმინდა ქრისტიანული თვალთახედვა. გორგასალი ნამდვილად ქრისტიანი მეომარი იყო ალანებთან დაპირისპირებისას და იბრძოდა ქრისტიანული ღმერთის სახელით. მაგრამ მეფე ვახტანგი ღმერთისათვის სასურველ საქმეს ცოტა ხნით სცილდება, რადგან ამქვეყნიური კავშირების ძაფები გადასძალავენ. ანუ გორგასალმა ნათესალა,რომ ნათესავისათვის დახმარება უფრო მნიშვნელოვანია,ვიდრე ღმერთისათვის სამსახური. ოღონდ ერთი კონკრეტული შემთხვევა მალევე აფხიზლებს, უარს ამბობს ღმერთის მსახურებისათვის ამქვეყნიური კავშირების მჯობინებაზე და შემდეგ ბოლომდე ქრისტიანული იდეალების,ღმერთის ერთგულ მხედრად რჩება. სპარსელებსადმი მიმხრობით ჯუანშერი ერთგვარად გაატარებს ვახტანგს ამქვეყნიურისაკენ მიდრეკილ ბილო საფეხურს. რათა შემდეგ მისი სტილიზაცია მოახდინოს უნაკლო ქრისტიან გმირად.

გორგასალს დაქვემდებარებული ჯარის ნაწილები, ძირითადად სპარსელები, ანგრევენ ეკლესიებს და ხოცავენ სასულიერო პირებს. გორგასალის ბრძანებით შეწყდება მღვდლების, დიაკვნების და ბერების დევნა. სასულიერო პირებს უფლება ეძლევათ უშიშრად დატოვონ თავიანთი სამალავები. ამ შემთხვევით იწყება ვახტანგ მეფის შემობრუნება. ვახტანგი მიმართავს თავის ჯარს: „ [...] *და ჩვენცა ვართ სჯულსა ზედა ბერძენთასა აღმსარებელ ქრისტესა, რომელ არს ღმერთი ჭეშმარიტი ყოველთა.* [...] *ანუ ჰგონებთ, ვითარმედ ბერძენნი განწირა ღმერთმან? არა უმეტესნი ქვეყანანი სპარსთანი მათ შემუსრენეს და მათ შემოურთვნა?* [...] *აწ უკვე ყოველნი ნათესავნი უფალსა ღმერთსა მსახურებდით და დასცხერით ენებათაგან ეკლესიისათა!*" (163)

გორგასალის მიერ თავისიანების გაკიცხვა – არ გრცხვენიათ, რას აკეთებთო, ბოლომდე ლოგიკური არ გამოდის, რადგან თვითონ წამოიყენანა საომრად. მაგრამ ეს მცირე უხერხულობა ჯუანშერს ნამდვილად ეპატიება, რადგან დანარჩენ პუნქტებში საკმაოდ დამაჯერებლად გადაყავს მეფე ვახტანგი სპარსელებთან ერთად ქრისტიანი ბიზანტიელების წინააღმდეგ ბრძოლიდან კვლავ წმინდა სამხედრო-ქრისტიანული იდეოლოგიის პოზიციაზე (ვახტანგის ორჭოფული მდგომარეობის აღწერის შესახებ იხ. ნ. ბერძენიშვილის წერილი: ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1955. სტატიის შესახებ მიმითითა ბ-ნმა დავით მუსხელიშვილმა. ვახტანგ გორგასალის მეფობასთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე დ. მუსხელიშვილი, საქართველო IV-VIII საუკუნეებში, თბილისი, 2003, გვ. 139-212).

განთავისუფლებულ ბერძენ სასულიერო პირებს შორის იყვნენ მღვდელი პეტრე და ბერი სამოელი, ბიზანტიელები. პეტრეს გორგასალი იტოვებს თავისთან. ვახტანგი ამბობს, რომ ღმერთი მისი ქმედებით ალბათ ნასიამოვნებია. პეტრე რიდით ეტყვის, გაქო მლინქვინელურად, თუ გაეკადნიერდე და სიმართლე გითხრაო. გორგასალი სიმართლის გაგებას მოისურვებს. პეტრე ეუბნება, რომ მიუხედავად ამ კარგი საქციელისა, მთელი თაყისი მოქმედებით და მანამდე მისი ჯარის მიერ ქრისტიანების ხოცვით მაინც უაღრესად განარისხა ღმერთი:

„ [...] *ხოლო აწ გითხრა გულისსიტყვა შენი: არა უმეცრებამან აღგძრა ბრძოლად ძეთა ზედა ღმრთისათა, არამედ შეულისათვის ნათესავისა შენისა სპარსთასა. და არა უწყია, რამეთუ ბერძენნი ნათესავნი ღმრთისანი არიან აღთქმისა მისთვის, რაჟამს უწოდა მათ*

შეილად ღმრთისა და მოსცა მათ ბეჭედი, რომლითა შემესრა ჯოჯოხეთი, და არს იგი ჯვარი" (165).

აქ ეხედაეთ ზემოთ გამოთქმული დებულების დადასტურებას, რომ ეახტანგი იძულების ან ქრისტიანობის დავიწყების გამო კი არ გაჰყვა სპარსელებს ბიზანტიელების წინააღმდეგ, არამედ ნათესაურ ვალდებულებებს დაემორჩილა და ეს იყო სწორედ მისი შეცდომა, რომ სოფლიური კავშირები ზესთასოფლურ ვალდებულებებზე წინ დააყენა. პეტრე მღვდელის სიტყვაში ასევე წინა პლანზე იწყებს გამოსვლას ღმერთის წინაშე მაინც ბერძენთა პრიმატი, რასაც ქვემოთ გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.

როდესაც ეახტანგი ჰკითხავს, რას ითხოვს პეტრე მისგან, მღვდელი პასუხობს: მას სურს, ეახტანგს სპარსელების ნაცვლად კეისართან ჰქონდეს კარგი ურთიერთობა. ეახტანგი უპასუხებს, თუ ამ ღამეს ლოცვით კეისარს მიჩვენებთ, მაშინ დაგიჯერებ, რომ შენი განსრახვა ქრისტესათვისაც სასურველია.

გორგასალს ძილში გამოეცხადება წმინდა ნინო. გორგასალი წმინდა ნინოს მიყავს, როგორც ჯუანშერი ამბობს, ორი მეფის წინაშე, ზეცისა და ქვეყნის. ზესთასოფლური მეორეჯერ ამ შემთხვევაში არის გრიგოლ ნაზიანზელი, ხოლო ქვეყნის მბრძანებელი გახლავთ ბიზანტიის იმპერატორი. „*და მიიწია იგი* [გორგასალი] *სწრაფით და იხილნა ორნი საყდარნი: ერთსა ზედა მჯდომარე ჭაბუკი საჭურველითა გვირგვინოსანი* [ბიზანტიის იმპერატორი] *და მეორეთა საყდართა იხილა მოხუცებული მჯდომარე ზეწრითა სპეტაკითა* [გრიგოლ ნაზიანზელი]. *და თავსა ზედა ედგა გვირგვინი ნათლისა, არა ოქროსა, და ფერხთა მისთა თანა ჯდა ნინო* [...] (167)".

გორგასალი მიდის ბიზანტიის იმპერატორთან, რომელიც ტახტზე თავის გვერდით ეთაყვისუფლებს ადგილს. იმპერატორი უბოძებს ძვირფას ბეჭედს და შემდეგ მიმართავს მეფე ეახტანგს: „*უკეთუ გნებავს, რათა მოგცე გვირგვინი, აღეთქვი ვინ-ესე დგას ჩვენ ზედა, რათა პბრძოდი მტერთა მისთა და მიიღე მისგან გვირგვინი. მოიხილა ეახტანგ და იხილა ჯვარი, რომელსა ფრთეთა მისთა ზედა აქვნდა გვირგვინი. და უმეტესად ხილვამან ჯვარისამან დასცა შეძრწუნება, რამეთუ ესაშინელეს იყო ზარი მისი. და დადუმნა.* [...] *და მიჰყო ხელი კეისარმან და მოიღო გვირგვინი ჯვარისაგან და დაარქვა გვირგვინი იგი ეახტანგს თავსა*" (167).

ამ ხილვას კარდინალური მნიშვნელობა აქვს მთელი ქრონიკისათვის. ფაქტიურად აქ მოცემულია საქართველოს და ბიზანტიის დამოკიდებულების მოდელი დაახლოებით მეთერთმეტე საუკუნემდე (ქართველების და ბიზანტიელების ურთიერთმიმართებაზე აქ კარგად ცნობილ შეხედულებას გაეიმეორებ). მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს აქეთ თავიანთი მნიშვნელოვანი ქრისტიანული ტრადიცია, თვითონ იბრძვიან ჯვარის სახელზე, მაინც აღიარებულია ბიზანტიელების პრიმატი ღმერთის წინაშე. როგორც ცნობილია, დაახლოებით იგივე სურათია ადრექრისტიანულ ქართულ კულტურაშიც. მეთორმეტე საუკუნიდან ვიღებთ უკვე სხვა ვითარებას, როდესაც ქართველები ბიზანტიელებს თავიანთ მასწავლებლებად აღარ თელიან. ფაქტიურად ხილვაში მოცემულია გორგასალის პირდაპირი ურთიერთმიმართება ქრისტესთან, მაგრამ ეს კავშირი მაინც ერთგვარად ბიზანტიის იმპერატორის შუამავლობით მყარდება. ანუ ჯვარისაგან მიღებულ გვირგვინს მეფე ეახტანგს ბიზანტიის იმპერატორი ადგამს თავზე. აღნიშნული სცენით კვლავ ნათლად დასტურდება, როგორ ემყარება ფაქტიურად მთელი სახელმწიფო პოლიტიკა ქრისტიანულ მსოფლმხედველობას. მეფობის ერთგვარი ლეგიტიმაცია ქრისტეს და ჯვარის ხელდასხმით ხდება. ფრთოსანი ჯვარის ხილვის პასაუს შესაძლოა დროშის საკითხისთვისაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეს, ოღონდ ამ საკითხს ქვემოთ შეეეხოთ.

გორგასალი ხილვის შემდეგ გადადის ბიზანტიელების მხარეს. ეახტანგი ბიძამისს, ჩრდილოეთ სპარსეთის სატრაპს ეუბნება, რომ სიფრთხილე მართებთ, რათა ბიზანტიელებმა ზღვიდან არ დაუარონ და უკან დასახვეი გზა არ შეუკრან. მაშინ სპარსელების და ქართველების ჯარი უკან იწვეს რამდენიმე დღის საკალზე და ბანაკდება შავი ზღვის სამხრეთით, სპერის მიდამოებში. გორგასალის მიერ ბიზანტიის კეისართან გაგზავნილი

მღვდელი პეტრე მოუთხრობს კეისარს ვახტანგის ხილვის შესახებ. კეისარს ეს ამბავი ძალიან გაახარებს და პეტრეს პირით ვახტანგს თავის მხრიდანაც უდასტურებს კავშირის შეკვრას. ამასთან,კეისარი შავი ზღვით გზავნის მილაერ ფლოტს და თვითონაც სახმელეთო გზით აღმოსავლეთისკენ მოდის ძლიერი ლაშქრით. კეისრისგან გამოგზავნილი მოციქული სპარსელებისაგან საიდუმლოდ გორგასალს მოართმევს გვირგვინს და ჯვარს.

მეფე ვახტანგი ფაქტიურად რეალობაში იღებს იმას, რაც სიზმარში იხილა: გვიგვინს ღმერთისგან, ოღონდ კეისარის მეშვეობით, და მაცხოვარის ჯვარს, ამქვეყნიურ სახეს ხილვაში ნანახი მისტიური ჯვარისა. აქ ერთი ფაქტია გასათვალისწინებელი. მაცხოვარის ჯვარი ქართულ არმიას აქამდეც მიჰქონდა ბრძოლაში. მაგრამ ქრისტეს მეორე ჯვარის ბიზანტიელებისაგან გადმოცემით ხაზი ესმება მაინც ბიზანტიელთა პრიმატს,თუმცა შემდეგ, ინდოეთის ლაშქრობის ამბებში ჯუანშერს ეს პრიმატი ისევე უკანა პლანზე გადააქვს და ცენტრალური მნიშვნელობა კელავ ქართველთა რელიგიურ ბრძოლას და ქართველთა იერუსალიმზე პირდაპირ ორიენტაციას ენიჭება. ეს სურათი დაახლოებით ჰგავს მეცხრე-მეთერთმეტე საუკუნეებში ქართველების დამოკიდებულებას ბიზანტიელებთან. თან ჯერ კიდევ აღიარებენ ბიზანტიელთა უპირატესობას, მაგრამ უკვე საკმარის ძალას გრძნობენ საიმისოდ, რომ ბიზანტიას გაუტოლდნენ და დაამარცხონ კიდეც. ამგვარი ფორმა ბიზანტიელებთან ურთიერთობისა, როგორც ცნობილია, დაეით კურაპალატის და განსაკუთრებით გიორგი პირველის დროს შეიმჩნევა, ერთდროულად ბერძნების პრიმატის დაშვება და მათთვის ჯობნის სურვილი.

კეისარი მოდის იმ მიდამოებში, სადაც ვახტანგის და ვარაზ-ბაკურის ჯარები არიან დაბანაკებულნი. იწყება ბიზანტიელების და სპარსელების ომი. ქართველები ბევრდზე გადგნენ და ბრძოლაში არ ჩარეულან. ბიზანტიელების მხედართმთავარია პალეკარპოს ლოღათელი, კეისარის დისშვილი. სპარსელები მარცხდებიან და ბიზანტიელების მხედართმთავარი კლავს სატრაპ ვარაზ-ბაკურს.

შემდეგ ჯუანშერი გეთავაზობს უაღრესად შთამბეჭდავ სცენას,სადაც მთელი სიმძაფრით ელინდება სამხედრო-ქრისტიანული იდეოლოგიის პრინციპები. მეფე ვახტანგი ამბობს:

„არა რომელი ჩვენ გვინდა, გარნა რომელი ღმერთსა სთნდა, რამეთუ ჩვენ ვიტყოდით მშვიდობასა, არამედ სილაღემან სპარსთამან აგინა ღმერთსა და ღმერთმან შურ იგო. [...] *აწ დამდაბლდა სილაღე სპარსთა, მოიყვანეთ ჯვარი და წარვიძღვანოთ, რათა რომლითა გეძლევენ. მითვე იძლიენენ*" (173). მღვდელ პეტრეს მოაქვს ჯვარი, გორგასალი უბრძანებს: *„დადგ წინაშე პირსა მტერისასა და ერისა ჩვენისასა და არქვ ყოველთა: 'თაყვანის ეცით ჯვარსა და ესმლოთ მტერსა!' და რომელმან არა თაყვანის ცეს, მოკალთ! – და უბრძანა დემეტრეს, ერისთავსა თვისსა, და ჯუანშერს სპასპეტსა, რათა მიჰყვენ ჯვარსა თანა. და ქადაგი ხმობდა ძლიერად: რომელმან არა თაყვანისცეს ჯვარსა, მოკვედის!* (173-174)"

მეომრებმა ყველა მხრიდან დაიწყეს დენა, რათა თაყვანი ეცათ ჯვარისათვის. მოვაკანის მმართველმა ბორზომ უარი თქვა ჯვრის თაყვანისცემაზე: *„არა დაუტეოს ნათელსა შემწყალსა და არა თაყვანისცეს ძელსა მაშმელსა, რომელი განშვენებულ არს ოქროთა და ანთრაკითა. – და სცა მას ლახვარი ჯუანშერ სპასპეტმან და დაეცა მძორი მისი. მიერითგან არღარავინ იკადრა გმობად ჯვარისა* (174)".

მეომრებმა გორგასალს აღუთქვეს: *„უკეთუ შემეწიოს ჩვენ ჯვარი, არღარა იყოს ჩვენდა სხვა ღმერთი, გარნა ჯვარცმული*" (174). გორგასალი მიწაზე დაემხო და მთელ არმიასთან ერთად თაყვანი სცა ჯვარს. მეფე ვახტანგი ჯვარს სთხოვს, აჩვენოს მის ერს სასწაული, რათა მან ურწმუნოდ იწამონ ქრისტესი: *„აჩვენე ძალი შენი ერსა ამას შენსა ურწმუნოსა, რათა მოიყვანნე სარწმუნოებად, უფალო ღმერთო, მორწმუნენი შენნი!* (174)"

ქრისტესაგან მიღებული წმინდა ჯვრით (ძნელი სათქმელია, ეს ის ჯვარია, რომელიც მანამდე ქქონდათ, თუ ბიზანტიის იმპერატორის მიერ გამოგზავნილი. გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს) ქართველები იწყებენ სპარსელთა წინაშე მსვლელობას. ეს პროცესი შთამბეჭდავად არის წარმოდგენილი. ვინც ჯვარს თაყვანს არ სცემს, კლავენ. ბორზო მოვაკენელის სიტყვებიდან ასევე ვიგებთ, როგორ გამოიყურებოდა ჯვარი, რომელიც

ქართველებს ბრძოლაში მიჰქონდათ. ეს არის ოქროთი გამშვენიერებული ხის ჯვარი. მოეაკენელის განგმირვის მერე სიმპტომატურია, რომ ჯუანშერი მოკლულის სხეულზე „მძორს" ამბობს. ეს სცენა ჯუანშერთან სამხედრო-ქრისტიანული იდეოლოგიის კლასიკური მაგალითია. გორგასალის ბოლო სიტყვებში ასევე გაკრთება შემდეგი მოტივი: ჯვარმა ურწმუნო ერს (აქ, შესაძლოა, მხოლოდ სპარსელები არ იგულისხმებოდნენ) უნდა აჩვენოს თავისი ძალა, რათა მათ ურჭეველად იწამონ ჯვარის. უშუალოდ გორგასალისათვის მსგავსი პრინციპული მნიშვნელობის მქონე შემობრუნების პუნქტი გახლდათ ფრთოსანი ჯვარის ხილვა. შემდგომი მოვლენებით ჯვარმა უნდა გამოაჩინოს თავისი ძალა და უბრალო მეომრები დაარწმუნოს ქრისტიანობის სრულ უპირატესობაში.

როდესაც ქართველები სპარსელების წინაშე მცირე ჯვაროსნული მსვლელობით არიან დაკავებულნი, გამოჩნდა ბიზანტიელთა არმია. ბიზანტიელებმა ამჯერად ქართველებზე თავდასხმა დააპირეს. ბიზანტიელების არმიას კვლავ პალეკარპოსი მოუძღვის წინ. გორგასალი ემზადება ბიზანტიელ გენერალთან საბრძოლად და ამბობს:

„არა ძალითა განძლიერდების კაცი, არამედ ღმერთმან მოსცის ძალი. და მე ვეესავ ძალსა შენსა და ვითარცა დავით განვალ ნიშითა ჯვარისათა. მომეც ძალი, ვითარცა დავითს გოლიათსა ზედა, რამეთუ ესეცა მაყვედრებელად და შეურაცხებით მოუხდა ჯვარსა შენსა. რაჟამს იხილა ჯვარი აღმართებულად ძალად ჩვენდა, არა იელტოდა მისგან, არამედ სასოებითა ძალისა მისისათა განვიდეს ბრძოლად. – და თქვა: – იხილი, ღმერთო, ამბარეკავანი და დაამდაბლი, კეალად იხილი ჭირვეული და იხსნი. ხოლო ისი შეურაცხად მისნს და არა მეშინის, რამეთუ ძალი შენ მიერ მოცემული დიდ არს, რომლითა ესძლო. არამედ მეშინის მე შენგან, რამეთუ მდაბალთა ხმანი ისმინნი და შენ გხადი შემწედ ჩემდა (174–175)".

გორგასალი ქარქაშიდან იღებს ხმალს, მიუახლოვდება ჯვარს, ხმალს შეახებს, ამბობს, რომ წესით პალეკარპოსთან საბრძოლად არ უნდა გადიოდეს. რადგან ვახტანგი არის ლომი, ანუ მეფე, ხოლო პალეკარპოსი – ხარი, მონა. მაგრამ იღებს ბერძენი გენერალის გამოწვევას, რათა დაამარცხოს ის და ამგვარად ერმა საბოლოოდ ირწმუნოს ქრისტესი.

მეფე ვახტანგი ამარცხებს ბრძოლაში ბიზანტიელთა მთავარსარდალს. *„და სცა ხრმალი ჩაბალახსა ზედა და განაპო თავი მისი ვიდრე ბეჭთამდე. და მიჰყო ხელი და უპყრა თავისა მისისა ნახევარი და მოიღო წინაშე ჯვარისა და თქვა: ყოველისა განდგომილისა შენისა ესე იყავნ ნაწილი!"* (175)

რეალური ვითარება ალბათ შემდეგი გახლდათ. როგორც ჩანს, როდესაც ქართველები სპარსეთის ლაშქრის წინ ჯვარით მსვლელობით იყვნენ გართულნი და ქრისტიანობის მოწინააღმდეგე სპარსელებს კლავდნენ, ბიზანტიელებმა გადაწყვიტეს, სპარსელებისთვის ჯობნის მერე ამ ახალი და ცოტა საეჭვო მოკავშირისთვისაც მოეთავებინათ ხელი. ქართველთა ქრისტიანობა ბიზანტიელებისთვისაც არ იქნებოდა დიდი ხელის შემშლელი ფაქტორი. ჯუანშერის მიხედვით, ქართველებზე ბიზანტიელების თავდასხმა ბერძნების გენერალის დამოუკიდებელი გადაწყვეტილება იყო.

ყოველ შემთხვევაში, როგორც კი ბიზანტიელები იერიშზე გადმოდიან, სამხედრო-ქრისტიანულ იდეოლოგიას მეფე ვახტანგი და ჯუანშერი უპრობლემოდ მიმართავენ ბიზანტიელების წინააღმდეგ. ამის მოტივაცია გახლავთ ის, რომ წმინდა ჯვარის და მასთან მყოფი ქრისტიანი მეომრების დანახვაზე ბიზანტიელი გენერალი კი არ გაჩერდა, არამედ თავდასხმა განაგრძო. მაშინ ავტომატურად ბიზანტიელთა გენერალი ხდება ღმერთის წინააღმდეგ მოქმედი (ქართველთა პოზიციიდან) და იქნება შესატყვისი საფუძველი სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობის მის წინააღმდეგ მიმართვისა[10].

[10] მსგავსი პარადოქსულობა ხშირად ახასიათებს იმ მსოფლმხედველობებს, მაგალითად, გამოცხადების რელიგიებს, რომლებიც თავიანთი არსებობის თუ ქმედების საფუძვლად უშუალოდ ღმერთს სახავენ. რადგან რეალურ ვითარებაში უკვე ადამიანები არგებენ ღმერთის შესაძლო ნებას მიმდინარე ისტორიულ მოვლენებს. ამ ფაქტს უკავშირდება XII საუკუნის ევროპელი პუმანისტის იოანე სოლსბერიელის ცნობილი გამონათქვამი, რომ ავტორიტეტებს, წმინდა მამებს, აქვთ სანთლის ცხვირი, რომლის ყველა მხარეს მიტრიალება შეიძლება. ანუ მათი ციტირებისას ნებისმიერ ადამიანს (თუ ის მაინცდამაინც ათეისტი არ არის) უმრავლესს შემთხვევაში შეუძლია წმინდა მამების დებულებების თავისი მოსაზრებების სასარგებლოდ მოხმობა.

მეფე ვახტანგის სიტყვაში კვლავ ღმერთის და წმინდა ჯვარის მხარდაჭერას ესმება ხაზი. გორგასალი, როგორც ითქვა, ბრძოლის წინ მიდის წმინდა ჯვართან, შეახებს მას ხმალს და საომრად გადის. ამასთან, ეს ბრძოლა კიდევ იმით გამოდის მოტივირებული, რომ ვახტანგმა ბიზანტიელი გენერალი ჯვარის შემწეობით უნდა მოკლას, რათა სპარსელებმა (შესაძლოა ქართველებმაც) ურყევად ირწმუნონ ქრისტესი და ჯვრის. ფრთოსანი ჯვარის ხილვამ საბოლოოდ დაარწმუნა ვახტანგ მეფე ქრისტიანობის უპირატესობაში. ამჟამად მთელ არმიას უნდა ანახოს ღმერთმა სასწაული, რათა მათ მისი ირწმუნონ. ეს სასწაული გამოდის გორგასალის მიერ ქრისტიანი გენერალის მოკვლა. შესაძლოა მსგავსი გადაწყვეტა ბოლომდე ლოგიკური არ მოგვეჩვენოს, მაგრამ საერთო სურათი ამგვარია (აქ ყოველთვის უნდა ვითვალისწინებდეთ, ჯუანშერს თავისი სისტემის აგება ხშირად არცთუ სახარბიელო რეალობის საფუძველზე უხდება). თუმცა ზოგადი ასრი მაინც ნათლად იკითხება ჯუანშერთან: ბიზანტიელები არიან ღმერთის პირმშო ერი და, აქედან, უძლეველები. გორგასალს ურყევად სწამს ღმერთის და ჯვარის. ღმერთის რჩეული ბიზანტიელები ქრისტიანი ქართველების წინააღმდეგ იწყებენ ომს. ამგვარად, ისინი მიდიან ღმერთის ნების წინააღმდეგ. როგორც კი ღმერთის პირმშო ბიზანტიელები ჭეშმარიტი გზიდან გადაუხვევენ, რაც უნდა დიდ საერო ძალას ფლობდნენ ისინი, მაშინვე კარგავენ ღმერთის მხარდაჭერას და მარცხდებიან. სასწაული კი გორგასალის მიერ ღმერთის შემწეობით ესოდენ ძლიერი მოწინააღმდეგის დამარცხება გამოდის. ბრძოლის შემდეგ გორგასალს ბიზანტიელი გენერალის მოკვეთილი თავი მოაქვს ჯვარის წინაშე. საკმაოდ მძიმე სცენებია, მაგრამ შუა საუკუნეები უნდა შევაფასოთ არა დღევანდელი პოზიციიდან, არამედ ისე უნდა შეეხედოთ მოვლენებს, როგორც შუა საუკუნეების ადამიანი აღქვამდა მათ. ამასთან, მსგავსი პასაჟები დიდ არსებით სიახლოვეს ამყარებენ დასავლეთევროპულ ჯვაროსნულ იდეოლოგიასთან. ოღონდ ამჯერად აღნიშნული ორი მოვლენის დეტალური შედარებისაგან თავი უნდა შეეიკავოთ.

საბოლოოდ კეისარი და მეფე ვახტანგი ხვდებიან ერთმანეთს და კეისარი ქართველებს უბრუნებს თავიანთ ტერიტორიებს. მეფე ვახტანგი ბრუნდება მცხეთაში. სპარსეთის მეფე კვდება და მის ნაცვლად მისი შვილი ადის ტახტზე.

ვახტანგ გორგასალის ლაშქრობა ჯორჯანზე, სინდსა და ინდოეთზე

გორგასალის სინდსა და ინდოეთში ლაშქრობის აღწერამდე აქ სასურველია შეეეხოთ შემდეგ საკითხს. სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნულა, რომ ჯუანშერის ქრონიკა მხატვრული თხრობის ელემენტებსაც მრავლად შეიცავს. ჯუანშერთან აგრეთვე აშკარად შეინიშნება, თუ შეიძლება ასე ითქვას, თხრობის ორი პლასტი. ერთის მხრივ, ჩვენს წინაშეა ისტორიული ვახტანგ გორგასალი, მეორეს მხრივ, კი რეალობის საფუძველზე ჯუანშერი ქმნის მეფე ვახტანგის ერთგვარად იდეალურ ხატს, რეალობის მცირედი სტილიზაციის საშუალებით. ეს ორი პლასტი ქრონიკაში ხშირად მაინცდამაინც ლოგიკურად არ ერგება ერთმანეთს, თუმცა თხრობის სიმწყობრე აღნიშნული გარემოებით არ ირღვევა.

ჯუანშერთან ერთ შრეს ქმნის საქართველოს და წინა აზიის რეალური პოლიტიკური სურათის წარმოსახვა. გორგასალი ილაშქრებს ალანებზე. შემდეგ სპარსეთის მეფეს მიუყვება ბიზანტიელების წინააღმდეგ საომრად. გორგასალის მიერ ამ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღების საგარაუდო მიზეზი უნდა იყოს სპარსელთა თავდასხმის საქართველოსათვის თავიდან აცილება. ბიზანტიასთან ომს მოსდევს კვლავ სპარსეთის მეფესთან ერთად ჯორჯანის, სინდის, ინდოეთის და აბისინიის წინააღმდეგ წასვლა. ამ შემთხვევაშიც ალბათ გორგასალი ბოლომდე ნებაყოფლობით არ მიიღებდა მონაწილეობას სპარსელთა მიერ წარმოებულ რეალიან ომში. გორგასალის ცხოვრება სრულდება სპარსელებთან ომით. მთელი ეს, ასე ვთქვათ, რეალური შრე ჯუანშერის ქრონიკაშიც ნათლად ჩანს.

გორგასალი რომ უდაოდ დიდი მასშტაბის მეფე იყო, ანბანური ჭეშმარიტებაა. მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტიც: როგორც ჩანს, ქრისტიანობა საქართველოს სამეფოსაგან ამგვარად განუყოფელი სწორედ გორგასალის ენერგიული და მძლავრი მმართველობის შემდეგ გახდა. გორგასალის ტიპაჟიც კარგადაა გამოკვეთილი ქრონიკაში: მძლავრი, ენერგიული, ქვეყნის საქმეთა განხორციელებისას ფანატიზმამდე მისული დაუნდობლობით. გორგასალმა აშკარად უმნიშვნელოვანესი საფუძვლები ჩაყარა საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვისაც. ასეთი ფორმით სამხედრო-ქრისტიანული იდეოლოგიის შემქმნელი, თუ სახელმწიფო პოლიტიკაში გადამტანიც ვახტანგ გორგასალი უნდა იყოს. თუმცა აღნიშნული სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობის ელემენტები ჩანასახის სახით უკვე მეფე მირიანთან ფიქსირდება. ამ იდეოლოგიამ კი შემდგომში უმთავრესი როლი შეასრულა საქართველოს მძლავრ სახელმწიფოდ ქცევაში. მაგრამ გორგასალს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთი საფეხური დააკლდა, რომ ფარსმან პირველის, ფარსმან ქველის, ან დავითის მსგავსად საქართველო წინა აზიის მძლავრი სახელმწიფოს საფეხურზე აეყვანა. გორგასალის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური რეალობა საბოლოო ჯამში მაინც არის ლავირება ბიზანტიასა და სპარსეთს შორის საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებლად. თუმცა პოლიტიკური ლავირებისას, უკვე ითქვა, გორგასალი პირდაპირ ფანატიზმით მისდევეს ქრისტიანობის მაგისტრალურ ხაზს.

ამგვარად, ჯუანშერის ქრონიკაში რეალური პოლიტიკური ვითარება წარმოადგენს ერთ შრეს. მაგრამ იქვე ჯუანშერი აყალიბებს თავისი გმირის იდეალურ სახესაც, რისთვისაც რეალურ მოვლენებში მცირე მსოფლმხედველობრივი კორექტივების შეტანა სჭირდება ხოლმე. ალანებზე გორგასალის ლაშქრობა სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობის დომინანტობის კონტექსტში მიდის. ამ შემთხვევაში სრულ რეალურ ელემენტთან უნდა ვიქონდეს საქმე. მაგრამ ვითარება იცვლება უკვე ბიზანტიის ომის აღწერისას. ჯუანშერის კონცეფციის მიხედვით, გორგასალს იძულების გამო კი არ მიუღია სპარსელთა ბიზანტიურ ლაშქრობაში მონაწილეობა, არამედ მხოლოდ იმიტომ გაჰყვა სპარსელთა მეფეს, რომ შეცდომით ნათესაური კავშირი ღმერთისათვის მსახურებას ამჯობინა. ამგვარად, ქრისტეს მხედარის გზიდან გორგასალი მცირე ხნით გადაიხრება სოფლიური პრინციპისაკენ. ამასთანავე, ჯუანშერთან მთელი ბიზანტიურ-სპარსული პოლიტიკის მოვლენები ტრიალებენ მხოლოდ მეფე ვახტანგის გარშემო. ბიზანტიაზე ლაშქრობის აღწერისას ჯუანშერი სპარსეთის მეფეს კუთხისაკენ წევს და ცენტრალურ ფიგურად აქცევს გორგასალს.

იგივე ვითარებაა სინდის და ინდოეთის ლაშქრობათა შემთხვევაშიც. ომის წინ გორგასალის იერუსალიმში გამგზავრება და გორგასალის ბრძოლის იერუსალიმზე ორიენტირებულობა, ბუნებრივია, რეალობა უნდა იყოს. მაგრამ ჯუანშერს შემოაქვს გამონაგონის ელემენტი, როდესაც გორგასალის სინდისა და ინდოეთის წინააღმდეგ წასვლის ერთადერთი მოტივაციაა იერუსალიმის და, არც მეტი, არც ნაკლები, ბიზანტიის და მსოფლიო ქრისტიანობის გადარჩენა. აქ ჯუანშერის სტილიზებული გმირი კიდევ ერთ ნაბიჯს დგამს წინ ქრისტიანულ სათნოებათა კიბეზე. გორგასალი თავისი ქვეყნის პოლიტიკურ ინტერესებს კი არ აყენებს წინ ჯუანშერის მიხედვით, არამედ მსოფლიო ქრისტიანობისას. ამასთან, სპარსელთა მეფე იერუსალიმს და წინა აზიას გორგასალის ხათრით უთმობს ბიზანტიელებს (მაშინ, როდესაც ცოტა ხნით ადრე გორგასალთან ომს იმიტომ დაანება თავი, რომ ბიზანტიელთა ჯარები გამოსნდნენ). გარდა ამისა, გორგასალს ინდურ კამპანიაში თან მიყავს ბიზანტიური არმია. ჯუანშერი ამ შემთხვევაშიც სადღაც კულისებისაკენ აჩორებს სპარსელთა მეფეს და სპარსელების ლაშქრობას სინდსა, თუ ინდოეთზე, რომელშიც გორგასალმა მონაწილეობა მიიღო, რათა საქართველო სპარსელების თავდასხმისაგან გადაერჩინა, ჯუანშერი გარდასახავს ვახტანგ გორგასალის ქართულ-ბიზანტიურ, ლამის „ჯვაროსნულ" კამპანიად, რათა იერუსალიმი და ქრისტიანობა გადაარჩინონ. ქრისტიანული სათნოებების უმაღლეს მწვერვალს ჯუანშერთან გორგასალი აღწევს მაშინ, როდესაც ქრისტიანობისათვის იღუპება. ფაქტიურად ჯუანშერი ქმნის ქრისტიანი წმინდა მხედარის სახეს.

ჯუანშერის ქრონიკას ამ ეპოქის ქართული კულტურისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს წმინდა მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისითაც. მსოფლმხედველობრივი კუთხით სწორედ ჯუანშერის ქრონიკაა ჰაგიოგრაფიის შემდგომი საფეხური. ჯუანშერამდელი ქართული ლიტერატურის გადარჩენილი ძეგლები, როგორც ცნობილია, განეკუთვნება უმთავრესად ჰაგიოგრაფიის ჟანრს, სადაც იდეალია ან ქრისტიანობისათვის პასიურად წამებული წმინდანი, რომელიც უარს ამბობს რჯულის ღალატზე, რისთვისაც წარმართები მას კლავენ, ან კიდევ ცხოვრებისაგან გამდგარი ასკეტი. საერო ცხოვრების სურათები მხოლოდ იშვიათად თუ გაიელვებს, ისიც ასკეტური ქრისტიანული მსოფლმხედველობისადმი დაქვემდებარებულობის კონტექსტში. წარმართებისადმი დამოკიდებულებაც ძირითადად ნეგატიურია.

ჯუანშერის ქრონიკაში ამ მხრივ ქართული კულტურისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე მსოფლმხედველობრივ ძვრებს უნდა ეხედებოდეთ (რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ქართულ მეცნიერებაში ჯუანშერის ქრონიკის უშუალოდ მსოფლმხედველობრივ მხარეზე ყურადღება არ გამახვილებულა). პირველად შუა საუკუნეების ქართულ ლიტერატურულ ძეგლში ცენტრშია არა ასკეტური ყოფა და განდგომილი, არამედ – საერო ადამიანი, საერო ბრძოლა, თავგადასავალი. თვალში საცემი კონტრასტია ჯუანშერის ქრონიკაში აღწერილ ბატალურ სცენებსა და ჰაგიოგრაფიის მონასტრის სიმყუდროეეს შორის. ოღონდ ჯუანშერთან გაკეთებულია ერთი მნიშვნელოვანი მსოფლმხედველობრივი შესწორება. კულტურული ცხოვრების ზედაპირზე მოქცეული საერო ყოფა მთლიანად ქრისტიანული მსოფლმხედველობის ჩარჩოშია ჩასმული. საერო ბრძოლა მიმდინარეობს ქრისტიანული იდეალებისა და ქრისტიანული ღმერთისათვის. ამდენადაა ეს სოფლიური პრინციპი მისაღები და დასაშვები. გორგასალის ინდურ თავგადასავლებსა და ორთაბრძოლებსაც ერთგვარი თვითღირებულება არა აქვთ ჯერ კიდევ. ყველა ამ თავგადასავლს გორგასალი გადის ქრისტიანობისა და იერუსალიმისათვის ბრძოლისას. ჯუანშერის გმირი, მართალია, საერო ადამიანია, მაგრამ ფინალში გორგასალი ფაქტიურად ქრისტიან წმინდანად ასრულებს ცხოვრებას. დიდი გადასახედიდან ჰაგიოგრაფია და ჯუანშერი საბოლოოდ ერთ მიზანთან მიდიან მაინც. ოღონდ მათ თავიანთი გმირები სხვადასხვა გზებით მიჰყავთ ამ მიზნისაკენ. ჰაგიოგრაფიის პერსონაჟები ასკეტიზმის გზით მიდიან ქრისტიანული სრულყოფილებისაკენ, გორგასალი კი – საერო ცხოვრების და საერო ბრძოლების გაელით. ამდენად, როგორც ითქვა, ეს სოფლიური ცხოვრებაც და საერო ბრძოლებიც ჯუანშერთან მთლიანად ქრისტიანული მსოფლმხედველობის ნიშნითაა აღბეჭდილი. მაგრამ მნიშვნელოვანია შემდეგი პუნქტი: ჯუანშერი ნაწარმოებში გამონაგონის და თავგადასავლის ელემენტების შემოტანით ფაქტიურად ისტორიოგრაფიული და მხატვრული ლიტერატურის ზღვარზე დგას. ამგვარადაც ის მნიშვნელოვან საფუძველს ყრის ქართული სარაინდო რომანის აღმოცენებისათვის.

წარმართებისადმი დამოკიდებულების კონტექსშიც ჯუანშერის ქრონიკა ერთი საფეხურით სცილდება ჰაგიოგრაფიას. რადგან წმინდა ადამიანურ ან მხედრულ პლანში ჯუანშერთან წარმართების შეფასება ნეგატიური აღარ არის. წარმართებს მიეწერებათ ხშირად იგივე სიქველენი, რომლებიც ადრე მხოლოდ ქრისტიანებისათვის იქნებოდნენ დამახასიათებელნი (მაგალითისათვის სინდთა მეფის პორტრეტია საკმარისი). რელიგიურ პლანში უნივერსალიზმს, ბუნებრივია, ჯუანშერთან არ ეხედებით, ერთადერთი ქეშმარიტი რელიგია ქრისტიანობაა. მაგრამ ჯუანშერთან უკვე მოცემულია რელიგიური უნივერსალიზმის, რელიგიური ტოლერანტობის ჩანასახები (მაგალითად, ქართველთა და სპარსთა ერთი ღმერთისადმი ლოცვა თავ-თავიანთი რელიგიების პოზიციებიდან). რელიგიური უნივერსალიზმი, თუნდაც ჩანასახის ფორმით, შუა საუკუნეებისათვის, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, უიშვიათესი მოვლენაა.

ნებისმიერ შემთხვევაში, ჯუანშერის ქრონიკის მიხედვით, გორგასალის საერო ბრძოლები მთლიანად ორიენტირებულია ქრისტესა და იერუსალიმზე. ეს ფაქტი კი დიდი მნიშვნელობისაა, რადგან შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფო დროშის საეარაუდო

შემქმნელი გორგასალი გახლდათ. ამ დროშაზე კი ყველა ნიშნის მიხედვით იერუსალიმის ჯვარი, ხუთჯვრიანი კომპოზიცია იყო გამოსახული, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ბიზანტიური კამპანიის დასრულებიდან სამი წლის შემდეგ სპარსელთა ახალი მეფე ილაშქრებს საქართველოს წინააღმდეგ. გორგასალი წერილს უგზავნის ბიზანტიის კეისარს: „ [...] *აწ აღმისრულებიეს აღთქმა ჩემი, რომელი აღმითქვამს: რამეთუ სადაცა მიპოვნიეს სახლი ცეცხლისა, დამივსია ფსლითა და მოგვნი და მსირნი მათნი მიმიცემიან სატანჯველსა ბოროტსა. ... აწ სწრაფით წარმოემართნენ სპანი შენნი, რათა აქა შინა დაეცნენ ყოველნი მტერნი ჯვარისანი და მოიცალო შენ ყოველთა მტერთა შენთაგან. ხოლო უკეთუ ჩვენ გვძლოს, განძლიერდეს იგი და შემოვიდეს საზღვართა შენთა.* [...] " (179).

როგორც ვხედავთ, გორგასალი შიდა სახელმწიფო პოლიტიკასაც სამხედრო-ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე დამყარებით წარმართავს და იგივე პრინციპებს იყენებს საგარეო ურთიერთობებშიც. ეს მოტივები გორგასალის წერილიდანაც კარგად ჩანს. როდესაც მეფე ვახტანგის მოციქულები კონსტანტინოპოლში ჩავიდნენ, კეისარი უკვე ხაზარებთან საბრძოლველად იყო წასული. ბრძოლა ქართველებსა და სპარსელებს შორის ცვალებადი უპირატესობით ოთხ თვეს გაგრძელდა. ამ დროს მოვიდნენ ბიზანტიის კეისარის ელჩები, მოართვეს მეფე ვახტანგს კეისარის წერილი, რომ უგზავნის დასახმარებლად ბიზანტიელთა ჯარს გენერალ ლეონის მეთაურობით. როდესაც სპარსელების მეფემ ბიზანტიელთა არმიის გამოჩენის შესახებ შეიტყო, მეფე ვახტანგს გამოუგზავნა მოციქული: *„რასათვის მოვსწყდებით ურთიერთას, ძმანი კაცნი ვართ.* [...] *უკეთუ ცეცხლი არს ღმერთი, შეუკალეს იგი! ხოლო ჩვენ დავადგრეთ სიყვარულსა ზედა მამათა ჩვენთასა. ხოლო თვითოეული ჩვენგანი სათნოსა სულისა თესისასა და ემსახურებდეს*" (181).

მართალია, სპარსთა მეფის ამ სიტყვებში გარკვეული ფარისეველობა არის. მაგრამ თვითონ ის ფაქტი უაღრესად მნიშვნელოვანია, როდესაც ჯუანშერი თავის ქრონიკაში წარმართს ამგვარი სიტყვების თქმის უფლებას აძლევს. მართალია, სპარსელთა მეფე ბოლომდე გულწრფელი არ არის ამ დროს, მაგრამ მაინც გაკრთება რელიგიური ტოლერანტობის ელემენტები.

ვახტანგი ასევე უგზავნის სპარსთა მეფეს ელჩს: „*აწ, უკეთუ გვბრძოდი ჩვენ დატეობისათვის სჯულისა, მოეკვდეთ ჩვენ მისთვის, ვითარცა იგი მოკვდა ჩვენთვის, და მან აღმადგინნეს ჩვენ. ხოლო უკეთუ აღასრულო სიტყვა შენი და არა იყოს ცეცხლი ღმერთად შენდა და იყოს ღმერთად ჩვენდა ქრისტე, მამად და უფლად გხადო შენ*" (181).

გორგასალის სიტყვებში რელიგიური ფაქტორი კვლავ წინა პლანზეა. ამასთან, ვახტანგ მეფესთან მოკრძალებულად გაკრთება მოტივი, რომ სპარსელთა მეფემ ცეცხლთაყვანისმცემლობაზე უარი უნდა თქვას. თუმცა შემდგომში ჯუანშერი აღნიშნული მოტივის აქცენტირებას აღარ ახდენს. ქართველებს და სპარსელებს შორის მყარდება მშვიდობა და მეფეები ერთმანეთს ხედებიან: „*მოიკითხეს ურთიერთას და ყვეს აღთქმა თავის-თავისა სჯულსა ზედა გარდაუვალ*" (181-182).

ესეც საინტერესო ფაქტია, თავ-თავის სჯულზე დაფიცების და რელიგიური მტრობის ამ ეპოქაში ისევ ერთგვარი გამონათებაა.

ბიზანტიელი გენერალის ლეონის თხოვნით მეფე ვახტანგი სპარსეთის მეფეს მოელაპარაკება. მშვიდობას დაამყარებს ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის, რადგან კეისარი სპარსელებისაგან ახალ თავდასხმას მოელოდა. ასე ეთქვათ, ვახტანგის ხათრით სპარსელების მეფე ხოსრო ზავზე თანხმდება. ჯუანშერი ფაქტიურად მეფე ვახტანგის შუამავლობას მიაწერს იმ ფაქტს, რომ სპარსელებმა პრეტენზია აღარ განაცხადეს იერუსალიმზე და „ქალაქი სჯულისა" დაუტოვეს ბიზანტიელებს. ამდენად, იერუსალიმის გადამრჩენელად დასახულია ვახტანგ გორგასალი (აღნიშნული მოტივები რომ ბოლომდე ლოგიკური არ არის და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეორე პლასტს განეკუთვნება ქრონიკაში, ზემოთაც ითქვა. რადგან სპარსეთის მეფემ გორგასალთან ბრძოლა ბიზანტიელების შიშით

შეწყვიტა სულ ცოტა ხნის წინ. მაგრამ ეს მაინც ცალკე საკითხია და არც ჯუანშერთან, არც მეფე ვახტანგთან ქრისტიანული მსოფლმხედველობის დომინანტობისათვის ამ პრობლემას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს).

სპარსელების მეფე ვახტანგ გორგასალს დახმარებას სთხოვს აბაშელთა, ელამელთა, ინდოელთა და სინდელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. თავის თხოვნას ხოსრო ერთგვარ დასაბუთებასაც მოაყოლებს: ჩემი ქვეყნის უხუცესები მეტად გამინაწყენდნენ, ბიზანტიის დაპყრობას ელოდნენ ჩემგან და ბიზანტიელებს იქით დაეუთმო მიწები (დაახლოებით იგულისხმება კონტექსტის მიხედვით, რომ ამ დათმობაში ვახტანგის ხათრმაც ითამაშა დიდი როლი). ამასთან, ვახტანგს დასაც სთხოვს ცოლად ხოსრო. გორგასალი დიდებულებთან ერთად თათბირობს და ბიზანტიელი გენერალი ლეონი, რომელიც თათბირს ესწრება, ასეთ რჩევას მიცემს: *„დიდ არს კეთილი შენი ბერძენთა ზედა, უფროს მეფეთა მათ, რომელნი სხენან საყდართა მათთა. [...] და დღეს შენ მიერ მიეცემის ჯაზირა და ფილისტიმი, რომელი მშვიდობით არარომელსა მეფესა ბერძენთასა შეუპყრიეს. და მართალ არს ხვასრო. უკეთუ არა ყო მის თანა სათნოება, უხმრად შერაცხოს იგი ერმან მისმან"* (184-185).

ლეონის სიტყვებშიც იგივე აზრი იკვეთება: რაკი გორგასალის ხათრით ბიზანტიელებმა ირდილო შუამდინარეთი და პალესტინა მიიღეს, ვახტანგი ნამდვილად უნდა დაეხმაროს ხოსროს. ამ რჩევის შემდეგ გენერალი ლეონი მიდის კეისართან, რათა ვითარება შეატყობინოს. ინდოეთზე ლაშქრობის წინ ვახტანგ გორგასალი, დედამისი და მისი და ხვარანძე მიდიან იერუსალიმში წმინდა ადგილების მოსალოცად. სპარსეთის მეფე, ხოსრო ელოდებოდა მათ ანტიოქიაში. როდესაც უკვე ანტიოქიიდან უნდა დაიძრანს, აქვე მოდის გენერალი ლეონი ბიზანტიური ჯარის ნაწილებით, აგრეთვე კეისრის დანაბარებითა და წერილით, სადაც კეისარი აღფრთოვანებას გამოხატავს ვახტანგის განზრახვის გამო და აუწყებს, რომ ბიზანტიური არმიის ნაწილები ლეონის მეთაურობით ამ ლაშქრობაში ვახტანგს ექვემდებარებიან. ბაღდადში ექეს თვეს გრძელდება ხოსროს და ვახტანგის დის ქორწილი. ამის მერე საომრად დაიძრნენ.

ფაქტიურად სპარსელების ლაშქრობა აღმოსაელეთ აზიაში, როგორც ითქვა, ჯუანშერთან სტილიზებულია ვახტანგ გორგასალის რელიგიურ ლაშქრობად. ამას მეტყველებს ომამდე იერუსალიმის მოსალოცად წასვლა, ასევე ბიზანტიური ჯარიც რომ თან მიჰყავს გორგასალს ინდოეთში საომრად. ოღონდ საკმაოდ პარადოქსულია ვითარება, როდესაც ეს ლაშქრობა წარმართებთან ერთად ხორციელდება და იერუსალიმში ლოცვის შემდეგ ბრძოლაში წასვლას ბაღდადში გამართული ქორწილი უძღვის წინ.

პირველად დაარბიეს კასპიის ზღვის აღმოსაელეთით მდებარე ჯორჯანი. იქიდან შეიჭრენ ინდოეთში. ინდოეთში სამ წელიწადს იბრძოლეს და დიდი ხარკი აიღეს ინდოელთა მეფისაგან. იქიდან შეეიდნენ სინდში[11]. სინდელებმა დიდი ზარალი მიაყენეს სპარსელების ჯარებს. *„და მოსწყდა ურიცხვი ერი სპარსთაგანი. ხოლო ძალითა ქრისტესითა არასადა იძლიენეს ვახტანგის სპათაგანნი და ყოელადვე მძლედ გამოჩნდეს მტერთა ზედა"* (188). სინდთა მეფე გამაგრებული იყო თავისი ქვეყნის დედაქალაქში. სინდთა მეფე და ვახტანგი ბრძოლაში ვერცერთხელ ვერ შეხვდნენ ერთმანეთს. ამავე დროს სინდელები ვერაგულად მოკლავენ ვახტანგ გორგასალის ეჯიბ საურმაგს. ვახტანგი მკვლელებს დახოცავს და ერთგული ეჯიბის სიკვდილის გამო დამწუხრებული ბრუნდება უკან. ამ დროს ქალაქის გალავანზე გადმოდგება სინდთა მეფე და გორგასალთან იწყებს პაექრობას. სინდთა მეფე ჯერ იგავით მიმართავს გორგასალს, სადაც მიანიშნებს ვახტანგის მძიმე და საკმაოდ ორაზროვან მდგომარეობაზე სპარსელთა ჯარში. შემდეგ კი პირდაპირ ეტყვის: როდესაც ჩემგან დასუსტებულ სპარსელებს ხედავ, ნაცვლად იმისა, სპარსელებს დაუპირისპირდე შენი ქვეყნის ჯარით, ჩემთან ბრძოლით საერთო მტერს იქით აძლიერებ. რადგან დამამარცხებენ თუ არა მე სპარსელები, მაშინვე მოიცლიანო შენი ქვეყნის დასამორჩილებლად. სინდთა

[11] მდინარე ინდის სანაპიროებზე. ჯუანშერის ქრონიკის არც ნმინდა ისტორიულ და არც გეოგრაფიულ მხარეს ამჯერად არ ვეხები.

მეფის არგუმენტები საკმაოდ ლოგიკური ჩანს.

გორგასალიც ჯერ იგავით მიმართავს სინდთა მეფეს, შემდეგ კი ეუბნება:

„ [...] *ეგრეთვე შენ ბრმა ხარ გონებისა თვალითა და ყრუ ხარ გონებისა ყურითა: არა ხედავ, არცა გესმის და არცა უწყი ცხოვრება სულიერი. და არცა სურვიელ ხარ შენ მისლვად ცხოვრებასა მას საუკუნოსა, ნათელსა მას დაუსრულებელსა, დიდებასა მას მოუგონებელსა და მიუწდომელსა. და არცა იცნობ შენ ღმერთსა შემოქმედსა ყოველისასა, რომელის მიერ შეიქმნა ყოველივე* (192)".

აქამდე გორგასალის პასუხი გონებრივი არგუმენტებისაგან საკმაოდ შორს არის, ძირითადად უაპელაციო რწმენის პოზიციიდან უპირისპირდება სინდთა მეფეს, მაგრამ შემდგომ მოდის მნიშვნელოვანი მონაკვეთი მეფის სიტყვაში:

„*არა მიქნია მოსლვა ამას ქვეყანასა დიდებისათვის ამა სოფლისა,არცა მსახურებისათვის სპარსთა მეფისა, არამედ მსახურებისათვის ღმრთისა დაუსაბამოსა, სამებისა ერთარსებისა, დამბადებელისა ყოველთასა, დიდებისათვის მერმისა საუკუნოსა დაუსრულებელისა. რამეთუ ჩემითა აქა მოსლვითა პირველად გამომიხსნია იერუსალემი, წმიდა ქალაქი, სადა დადგეს ფერხნი უფლისა ჩვენის იესოს ქრისტესნი,და მუნ აღასრულა ყოველივე ხსნისათვის სულთა ჩვენთასა. და შემდგომად ყოველი საქრისტიანო დამიხსნია მოოხრებისაგან,რამეთუ მისცეს მოდა ჟამი სპარსთა მეფესა მოტევენად ყოველისა საქრისტიანოსა.*

დაღათუმცა ქვეყანა ჩემი დაცულ იყო ძალითა ქრისტესითა და სიმხნითა სპათა ჩემთათა, არაფელ უცალო იყვნეს ბერძენნი და ვერ წინააღუდგებოდეს. და ესრეთ ჯერ არს ჩვენ ქრისტეს მოსავთაგან, რათა ერთისა მოყვისა ჩვენისათვის დავდვათ სული ჩვენი. ხოლო ბუერისა-ბევრეული სული დახსნილ არს ჩემითა აქა მოსლვითა. და ამისთვის მიქმნიეს ესე, რათა ღმერთმან დამბადებელმან შეიწიროს მსახურება ესე ჩემი და აღმისუბუქნეს ცოდვანი ჩემნი" (192-193). ის რაც შენ თქვი, რომ სპარსელები ამ ლაშქრობაში გამარჯვების შემდეგ ჩემი ქვეყნისთვისაც მოიცლიან, ამის არ მეშინია. რადგან ღმერთის შეწევნა არ მომაკლდება და ქრისტიანები მხარში ამომიდგებიანო.

შემდეგ გორგასალი განაგრძობს: „*დაღათუმცა არა იყო მიზეზი ქრისტიანეთა ხსნისა და თვით ძალად სპარსთა მოსრულ ეიყავ აქა, ჯერ იყო ესეცა პირველად ნათესაობისათვის, და შემდგომად ამისთვის, დაღაცათუ არა ჭეშმარიტსა სჯულსა ზედა არიან სპარსნი, არამედ მეცნიერნი არიან ღმრთისა დამბადებელისანი და რწმის ცხოვრება სულიერი. ხოლო თქვენ სრულიად უმეცარნი ხართ ღმრთისანი და უგულისხმო, ვითარცა ცხენი და ჯორი.* [...] *და სახელსა ზედა ღმრთისასა და მცნებათა მისთათვის თუ მოვკვდეთ, უკედაენიეე ვართ და სიკეთილისაგან ცხოვრებად მივიცვალებით*" (193).

საინტერესოა არგუმენტაცია: გორგასალი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა წამოსულიყო სინდთა მეფეზე სალაშქროდ. რადგან სპარსელთან ნათესაობის გარდა, მიუხედავად იმისა, რომ სპარსელებს მცდარი სარწმუნოება აქვთ, სულიერი ცხოვრების მაინც სწამთ, განსხვავებინ სინდელებისაგან. აქ თვალნათლიეაა სხვადასხვა აღმსარებლობის ხალხთა ქართული ქრისტიანობის პოზიციიდან დანახული კლასიფიკაცია მოცემული. ცეცხლთაყვანისმცემლობა ქრისტიანობაზე ერთი საფეხურით დაბლა დგას. თუმცა გარკვეული პოზიტიურობა მაინც მიეწერება, რადგან, ჯუანშერის სიტყვებით, სპარსელები მაინც ერთ ღმერთს ემსახურებიან. თუმცა რელიგიის ფორმა აქვთ მცდარი. ხოლო სინდელთა საკარაუდო კერპთაყვანისმცემლობა უპირობოდ უარიყოფა. ამასთან, ინდება ჯვაროსნულ-რელიგიური ელემენტიც. ვისაც ნამდვილი ღმერთის არ წამს, მათ წინააღმდეგ ბრძოლაა აუცილებელი. სწორედ სინდელთა ეს ურწმუნოება გამოდის გორგასალის გამოლაშქრების მესამე მიზეზი (პირველი საფუძველია იერუსალიმის და მსოფლიო ქრისტიანობის ხსნა, მეორე – სპარსელ მეფეებთან არსებული ნათესაური დამოკიდებულება).

გორგასალის სინდეთზე წასვლის მთავარი მოტივაცია არის ამ ლაშქრობით წარმართთა დაპყრობისაგან იერუსალიმის გადარჩენა, რადგან ბიზანტიელთა კეისარს სპარსელებთან ომისათვის არ ეცალა და იერუსალიმი დაუცველი იყო დარჩენილი, თორემ მის საკუთარ ქვეყანას სპარსელები ვერაფერს ავნებდნენ. ანუ კვლავ მოცემულია ორიენტაცია და

უშუალო კაეშირი იერუსალიმზე. ამასთანავე, წარმართის და ქრისტიანის დიალოგში ვხედავთ საინტერესო გრადაციას. წარმართი ემყარება გონების არგუმენტებს, თითქოს მის მსჯელობაში ყოველიეე ლოგიკურია. მაგრამ არ ესმის, თუ როგორ შეიძლება ზეციური მიზნებისათვის ადამიანმა გაწიროს ამქვეყნიური ცხოერება (აღნიშნულ შემთხვევაში საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური ინტერესები, რადგან ეს ქვეყანა, ჯუანშერის მიხედვით, მტერთაგან დაცული იყო). გორგასალის პასუხი კი სწორედ რწმენის პოზიციიდან აჩვენებს წარმართებისა და გონების სისუსტეს ქრისტიანობასა და რწმენასთან მიმართებაში. აქ ტრადიციულ მოდელთან გეაქვს საქმე, როდესაც ჭეშმარიტ რელიგიაზე დაბლა მდგომ წარმართობას ქრისტიანი აეტორები უკეთეს შემთხვევაში უტოვებენ გონების სფეროს, ხოლო ქრისტიანობა ყოველიეე დანარჩენს სწორედ რწმენის ფაქტორით აღემატება.

სინდთა მეფე გორგასალს პასუხობს: *„არამედ რომელ სთქუ შენ, თუ – სახელისათჳს ღმრთისა ჩემისა მოეკედ. სიკუდილისაგან ცხოერებად მეიცალეალები, – მაშა უკეთუ კაცმან უწყოდის მის ზედა მოჩაეალი დიდება და კეთილი, ჯერ არს ესრეთ, რათა ისწრაფოს მიმთხვეედ სუფეისა მის. აწ უკეე ჭეშმარიტად უწყი სუფეედ მისლეა შენი. გამოეედ ბრძოლად ჩემდა, რათა ჩემ მიერ მიიცალო დღეს სიკუდილისაგან ცხოერებად. რამეთუ წარჩინებული ესი შენი* [მოკლული ეჯიბი საურმაგი] *წარმიელენია წინამორბედად შენდა, რათა განგიმზადოს სადგური შენი*" (193).

როგორც ვხედავთ, ჯუანშერს ირონიის ელემენტი შემოაქვს ზესთასოფელთან მიმართებაში. თუმცა ამ ირონიულ სიტყვებს წარმართს ათქმეინებს. ხოლო გორგასალის რელიგიური ელემენტებით გაჯერებულ პასუხში წარმართის ხუმრობა მკრეხელობად და ღვთის გმობად არის დასახული: *„აწინდელი სიკუდილი არა მჩინს სიხარულად. რამეთუ ცოდეილი ეარ და არა სრულიად აღმისრულებია მცნება ღმრთისა და არა სრულიად აღმიხოციან ცოდეანი ჩემნი სინანულითა. არამედ ძალითა ქრისტესითა არა მეშინის მე შენგან სიკუდილისა, რამეთუ იგი არს მფარველი ჩემი, რომლისა მიერ დაცულ ეარ ყოელადეე. და მრაეალმოწყალემან ღმერთმან მრაელითა ძალითა მისმიერითა ჩემ მოინისა მისგან მოგკლას მგმობარი მისი და სული შენი წარეიდეს ბნელსა მას გარესკნელსა, ცეცხლსა უშრეტსა*" (194).

ქრისტიანული სამხედრო იდეოლოგიის მოტიეების პარალელურად გარდაცელილი წარმართების ხვედრიც ნათელი ხდება ჩეენთვის ამ მსოფლმხედველობის შესაბამისად: ისინი მიდიან ჯოჯოხეთში.

ბრძოლაში ვახტანგი მძიმედ დაჭრის სინდთა მეფეს, მაგრამ არ მოკლაეს და ისე მიგერის სპარსთა მეფეს. ეახტანგ გორგასალის თხოენით სპარსელთა მეფე გაუშეეს სინდთა მეფეს და მისგან მიღებულ დიდ ხარკს და მძეელებს დასჯერდება. ეს ტოლერანტობის და შემწყნარებლობის კარგი მაგალითია ამ სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობის ფონზე. სინდეთიდან წამოსული სპარსელები და ქართველები დაარბეევენ აბაშეთს. გორგასალი ომში წასელიდან რვა წლის მერე ბრუნდება უკან.

ომი სპარსელებთან

უკეე საქართველოდან ეახტანგი მოციქულს გზავნის ბიზანტიაში, რათა წამოიყვანოს იქიდან კათალიკოსად პეტრე და ეპისკოპოსები, მათ შორის ბერი სამოელი. როდესაც ეს ამბავი გაიგო ეპისკოპოსმა მიქაელმა, მეფეს ქრისტიანობის ღალატი და ცეცხლთაყვანისმცემელთა მხარეს გადასვლა დადო ბრალად.

გორგასალმა შეუთვალა: *„ძალითა ქრისტესითა შეველ და სიმართლით გამოველ ძალითავე ქრისტესითა. და უბრალო ეარ, ღმერთმან იცის!* (196)" მეფე ეახტანგმა აგრეთვე დაუდასტურა ეპისკოპოსს თავისი განზრახეა, რომ საბერძნეთიდან კათალიკოსის და ეპისკოპოსების ჩამოყვანა სურს. მაშინ მიქაელი დაწყეელის გორგასალს და მის არმიას. მეფე ეუბნება თავის მეომრებს: *„დაღაცათუ უბრალო ეარ, სიმდაბლე ჯერ არს ჩეენგან*"

(196). მეფე ეახლა ეპისკოპოსს, *„გარდახდა სახედარსა, რათამცა შეემთხვია ფერხთა ეპისკოპოსისთა. და განძრა მან ფერხი და მიამთხვია პირსა მეფისასა ფანდაკითა და შემუსრა კბილი მისი* (196)". გორგასალმა თქვა: *„სილაღე ესე ამპარტავნებისა არს საცდური ეშმაკისა. უკეთუ სიმრავლემან ცოდვათა ჩემთამან აღგძრა,არა გაქვს ხელმწიფება ბოროტისა,არამედ შენდობისა,ვითარცა იტყვის სახარება.* [...] *ხოლო შენ პგონებ,ვითარმცა შენითა სიფერაგითა ჩვენ დაგვაცადენ სიყვარულსა ქრისტესსა. მაშინ გამოჩნდა ცხადად, რაჟამს გესმა უმთავრესისა შენისა ქართლად მოყვანება და აღეგ ზენ შურითა ბოროტად"* (196-197).

ვახტანგი მიქაელს დასასჯელად გზავნის კონსტანტინოპოლის პატრიარქთან და თან ატანს თაეის კბილსაც, რომელიც მიქაელმა ამოუგდო დარტყმით. კონსტანტინოპოლის პატრიარქის მიხედვით,სისხლის დათხვევის გამო მიქაელი ეპისკოპოსობის ღირსი აღარ არის, ხოლო მეფეზე ხელის (უფრო სწორედ ფეხის) აღმართვისათვის, წესით სიკვდილით უნდა სჯიდნენ. მიქაელს გადასახლებაში უშვებენ ერთ-ერთ მონასტერში. კონსტანტინოპოლიდან, ანტიოქიის პატრიარქის ხელდასხმით,იბერიაში გზავნიან კათალიკოსსა და ეპისკოპოსებს. პეტრეს გორგასალი კათალიკოსად სვამს მცხეთაში.

ჯუანშერი გორგასალს ქრისტიანული სრულქმნის ყველა საფეხურს გაატარებს. ეს ფაქტები, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რეალობას ემყარება. მაგრამ ჯუანშერი საბოლოო ხარეზში უნდა სვამდეს ცალკეულ ამბებს. გორგასალი ქრისტესათვის იბრძვის უკვე ადარაფების წინააღმდეგ. ნათესაური კავშირების გამო ქრისტეს იდეალური მხედარის გზას კოტა ხნით გადაუხვევს. ამ მცირე სისუსტის დაძლევის შემდეგ გორგასალის ქრისტესათვის ბრძოლის ერთი საფეხურით ამაღლება ხდება. გორგასალი მიდის იერუსალიმში სალოცავად და იერუსალიმის გადასარჩენად ქრისტიანული იდეოლოგიით ილაშქრებს ინდოეთსა და სინდის სამეფოზე. თითქოს გორგასალი თავისი განვითარების მწვერვალს არის მიღწეული. მაგრამ ამას მოსდევს მიქაელ ეპისკოპოსის სცენა, როდესაც თავისი თანამდებობის დაკარგვის გამო მიქაელი ვახტანგსა და მის მხედრობას ქრისტეს ღალატს დააბრალებს. აქ გორგასალი მიქაელის საქციელს პასუხობს უკიდურესი თავმდაბლობით. ქრისტიანულ სათნოებათაგან ერთ-ერთი უმთავრესის, ქრისტიანული სიმდაბლის მიხედვით იქცევა. ეს ქრისტიანული სიმდაბლე კიდევ უფრო აღამაღლებს საერო მეფეს. ამგვარი სიმდაბლის გამოვლინება აქამდე განდეგილებისათვის იყო დამახასიათებელი და არა საერო ადამიანისათვის. აღნიშნულ სიმდაბლეს გორგასალი კიდევ უფრო აჰყავს ერთგვარად რელიგიურ საფეხურზე.

გარეკეული ხნის მერე კვდება სპარსთა მეფე ხოსრო და ტახტზე ადის მისი შვილი, ასევე ხოსრო. სპარსეთის მეფე ვახტანგს უგზავნის წერილს, სადაც სთხოვს, რომ ვახტანგი წარუძღვეს მას ბიზანტიაზე სალაშქროდ, ხოლო ერთ-ერთი ქალიშვილი მიათხოვოს, რათა ხოსროც ვახტანგის შვილიეთი გახდეს. დაახლოებით იმგვარ ფინალს ვუახლოვდებით, რაც სინდთა მეფემ უწინასწარმეტყველა ვახტანგს. მაგრამ ჯუანშერი საკითხისადმი საერთო მიდგომას არ ცვლის. პრინციპში ჯუანშერს საესებით ლოგიკურ დასასრულამდე მიყავს რწმენის კარდინალური ხაზი. სინდთა მეფის ნაწინასწარმეტყველები გონების პოზიციიდან სრულიად მართებული გახლდათ და ეს გორგასალმაც იცოდა. მაგრამ საქმე სწორედ ის არის, რომ ჯუანშერთან გორგასალი გონებაზე ერთი საფეხურით მაღლა მდგომ რწმენას ეწირება და იდეალურ პლანში გამარჯვებული გამოდის.

გორგასალი ამ დროისათვის თბილისს აშენებს და სპარსეთის მეფეს შეუთვლის: *„უთხარით მეფესა ხვასროს: პირველად განემზადე ბრძოლად ჩვენდა და ეგრე შეეედ საბერძნეთად, რამეთუ ძალნი, რომელნი იქმნნეს, ყოველნი ძალითა ჯვარისათა იქმნნეს. აწ ცხოვრება ჩვენი იყავნ სასოებითა ჯვარცმულისათა"* (200).

სპარსელების ჯარი შემოდის საქართველოში. იორზე ბრძოლა სამ დღეს გაგრძელდა და ორივე მხრიდან ბევრი დაიღუპა. მეფე ვახტანგი ეუბნება კათალიკოსს: *„ეწყოდე, რამეთუ არა ხარკისა მიცემისათვის გვბრძვანან, არამედ ქრისტეს დატეობისათვის. აწ მე ესე განმიზრახავს, რამეთუ ცხოვრებასა ჩემსა სიყვდილი უმჯობეს არს სახელსა ზედა*

ქრისტესსა" (201). კათალიკოსი ეთანხმება მეფე ვახტანგს და უმატებს, რომ სპარსელთა გამარჯვების შემთხვევაში *„არა-ხოლო-თუ ქართლი მიეცეს განსარყენელად, არამედ იერუსალემიცა, რომელ არს მშობელი ყოველთა შეილთა ნათლისათა*" (201).

შესაბამისად, კვლავ წინა პლანზეა მოტივები, რომ სპარსელებთან ბრძოლა უწინარესად არის ქრისტიანობისათვის ომი, ხოლო გორგასალი თავისი ქმედებით უშუალოდ იერუსალიმს იცავს. თუ ვახტანგი მთელი ძალებით წინ არ აღუდგა სპარსელებს, მაშინ საქართველოსთან ერთად იერუსალიმიც დაიღუპება.

გადამწყვეტ ბრძოლაში იმარჯვებენ ქართველები, მაგრამ გორგასალს სასიკვდილოდ დაჭრის სპარსი მეომარი. სპარსელები უკან იხევენ რუსთავამდე. მაგრამ ამ დროს იგებენ, რომ მეფე ვახტანგი მძიმედაა დაჭრილი და ხელახლა გადმოდიან შეტევაზე. მოაოხრებენ თბილისსა და არმაზს. მაგრამ მცხეთის ციხე-სიმაგრის აღებას ვერ შეძლებენ. ამ დროსვე კვდება გორგასალის სიმამრი, ბიზანტიელების კეისარი. კეისარი ხდება მისი შვილი ზენონი. მოდის ვახტანგის დასახმარებლად. დაახლოებით სპერის მიდამოებში გაიმართება დიდი ომი ბიზანტიელებს და სპარსელებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი მეომარი დაიხოცა ორივე მხრიდან, ვერცერთმა ვერ შეძლო გამარჯვება. როდესაც ვახტანგ გორგასალი სიკვდილის მოახლოებას იგრძნობს, მოიხმობს კათალიკოსს, თავის ცოლს, შვილებს, დიდებულებს და მიმართავს მათ:

„ [...] *მე, ესერა, წარვალ წინაშე ღმრთისა ჩემისა. და ემადლობ სახელსა მისსა, რამეთუ არა დამაკლო გამორჩეულთა წმიდათა მისთა. აწ გამცნებ თქვენ, რათა მკუკიცედ სარწმუნოებასა ზედა სდგეთ და ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილსა სახელსა მისსა ზედა, რათა წარუვალი დიდება მოიგოთ* [...]" (203).

ამდენად, იდეალური ქრისტიანი მეფის სიცოცხლე ასევე ამაღლებულად სრულდება. გორგასალი ფაქტიურად არის ქრისტიანი მხედარი, ქრისტიანი მეომარი, საერო წმინდანი. ჯუანშერის მიხედვით, ვახტანგ გორგასალი დაიღუპა ქრისტიანობისა და იერუსალიმისათვის.

თუ შევაჯამებთ ზემოთქმულს, სურათი შემდეგია. აქტიური სამხედრო ქრისტიანული მსოფლმხედველობა, როდესაც ქრისტიანობა ფაქტიურად სახელმწიფოს საფუძველს წარმოადგენს, სახელმწიფოს შიდა და საგარეო პოლიტიკის ნებისმიერ ნაბიჯს თუ მოვლენას მთლიანად განსაზღვრავს, საქართველოში თავისი ჩამოყალიბებული სახით ფიქსირდება უკვე მეხუთე საუკუნეში, ხოლო აღნიშნული მოვლენების შესახებ გვამცნობს მეკვრე ან მეთერმეტე საუკუნის ძეგლი, რაც ამ ეპოქაში აღნიშნული იდეოლოგიის აქტუალურობაზე მიუთითებს. ეს მოვლენა ქრისტიანულ სახელმწიფოში გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რათა საერო ხელისუფლებასთან ქრისტიანული სიმბოლიკის მქონე დროშები დაფიქსირდეს. დასავლეთ ევროპაში აღნიშნულ პროცესს გაცილებით გვიან აქვს ადგილი. ამასთან, ვახტანგ გორგასალის თითქმის მთელი ცხოვრება დასახულია ზოგადად ქრისტიანობისა და კონკრეტულად იერუსალიმისათვის ბრძოლად. მთელ ქრონიკას თან გასდევს ერთგვარი კავშირი იერუსალიმთან. ქრონიკაში აგრეთვე რამდენჯერმეა დაფიქსირებული, რომ ქართულ არმიას ომში წინ მიაქვს მაცხოვარის ჯვარი. თვითონ ჯვარს უდიდესი მნიშვნელობა ეთმობა ჯუანშერთან. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს: სახელმწიფო დროშაზე უბრალოდ ჯვრის თუ იერუსალიმის ჯვრის არსებობისათვის სრულიად საკმარისი საფუძველი არსებობდა უკვე მეხუთე საუკუნეში.

უცნობი ავტორი

„მატიანე ქართლისა“

ჯუანშერის ქრონიკის შემდეგ მოკლედ შეეხოთ უცნობი ავტორის „მატიანე ქართლისას” რამდენიმე პასაჟს[12].

„ხოლო ამიერითგან იწყო შემცირებად მეფობამან დიდთა მეფეთა ხვასროანთამან. პირველად, უფლება სარკინოზთა განდიდნა და მიერითგან მიეცა ყოველი ესე ქვეყანა ჟამითი-ჟამად რბევასა და ოხრებასა. [...] *რამეთუ განგებითა ღმრთისათა სიმრავლისათვის ცოდვათა ჩვენთასა განდიდნა ნათესაი აგარიანთა. და განეფინა ქადაგება მაჰმად უსჯულოსა და მრავალი ერი შეუდგა მას*” (250).

„მატიანე ქართლისაც” გვთავაზობს უკვე კარგად ნაცნობ შეხედულებას,რომ ურწმუნოთა ქრისტიანებზე გამარჯვება განპირობებულია მხოლოდ ქრისტიანთა ცოდვებით. ამდენად, ზოგადი სქემა ისტორიისადმი მიდგომისა ფაქტიურად ყველა ქრონისტთან ერთია და მთლიანად ქრისტიანული ეელტბილდის ფარგლებში თავსდება. მაჰმადის შესახებ ნათქვამი ფრაზაც კარგად მიანიშნებს რელიგიური დაპირისპირების ხარისხზე.

აღწერილია აბულ-კასიმის საქართველოში ლაშქრობა და საერო მებრძოლის,გობრონის ქრისტიანობისათვის წამება. ეს ფაქტი ნიშანდობლივია იმ კუთხით,რომ საერო ადამიანის, საერო მებრძოლის და არა, მაგალითად, განდეგილის ქრისტიანობისათვის თავდადებაა წარმოსახული.

აფხაზთა მეფე გიორგის უცნობი ავტორი ამგვარად ახასიათებს: *„იყო იგი სრული ყოველითა სიკეთითა, სიმხნითა და ახოვნებითა, ღმრთისმოყვარე იყო, უმეტეს ყოველთა მაშენებელი ეკლესიათა, მოწყალე გლახაკთა, უხვი და მდაბალი და ყოველითა კეთილითა და სათნოებითა სრული*” (265).

გიორგი არის ბაგრატ მესამის ბაბუა და ერთ-ერთი ძლიერი მეფე ქართველთა შორის, ვიდრე საქართველო გაერთიანდებოდა. თითქმის ყველა ქართველი ქრონისტის მიხედვით, შუა საუკუნეების იდეალური მეფისათვის აუცილებელია უმრავლეს ქრისტიანულ სათნოებათა ფლობა და ესეც ნაწილია იმ საკითხისა, თუ როგორ განსაზღვრავდა ქრისტიანული იდეოლოგია სახელმწიფო ცხოვრებას.

„ამასვე ჟამსა მოვიდეს სარკინოზნი, რომელთა უხმობდეს საჯობით, და მოტყვენეს კახეთი და დაწვეს ჯვარი და მცხეთა და შეიქცეს. და წარვიდეს და წარიტანეს თანა ჯვარი პატიოსანი დაჭრილი. და შეედვათ სნება მუცლისა და გულისხმა ყვეს, რომელ ჯვარისაგან ევნოთ. შეკრიბნეს ნაწილნი და წარმოსცნეს ჯვარსა. ჩაკრიბნეს ბუდესა შინა და აღმართეს ადგილსაე თვისსა” (265).

ეს ადგილიც მნიშვნელოვანი უნდა იყოს ჩვენი საკითხისათვის. აქ საეარაუდოდ ლაპარაკია იმავე ქრისტეს ჯვარზე, რომელსაც ფლობდა გორგასალი და რომელიც, ყოველ შემთხვევაში გორგასალის დროს, ქართულ არმიას ომში წინ წარემძღვარებოდა. ამ ცნობით ეიგებთ ქრისტეს ჯვარის ბედს, გორგასალის პერიოდიდან საქართველოს ხელახალ გაძლიერებამდე. ეს ჯვარი მცხეთაში ყოფილა აღმართული. ამ დროის ომებში მიჰქონდათ თუ არა ჯვარი ლაშქარის წინ, არ ვიცით.

დაეით კურაპალატის მიერ ბიზანტიაში ჯარის გაგზავნასა და გენერალ ბარდა სკლიაროსის დამარცხებასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: *„რომლისათვისცა მისცა კურაპალატმან [თორნიკე ერისთავს] თორმეტი ათასი მხედარი რჩეული და შეწევნითა ქრისტესითა აოტა სკლიაროსი და ვიდრე სპარსეთადეე მეოტად წარიქცია*” (273).

შესაბამისად,ამ შემთხვევაშიც საერო არმიას,ქართულ არმიას ბრძოლაში შეეწევა ქრისტე, ღმერთი. ყოველ ასეთ მაგალითს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტის საილუსტრაციოდ, რომ საერო პოლიტიკა და რელიგიური ფაქტორი აღმოსაელურ ქრისტიანულ სამყაროში,ამ შემთხვევაში საქართველოში,ადრეული საუკუნეებიდანვე ერთ მთლიანობად მოიაზრებოდა.

[12] „მატიანე ქართლისას“ ტექსტიც იხილეთ ნიგნში: ქართლის ცხოვრება, ტ. I (1955), გვ. 249-317.

საერო პოლიტიკის და რელიგიური ფაქტორის ამგვარი მთლიანობა გახლდათ, როგორც ითქვა, ქრისტიანული სიმბოლიკის მქონე დროშების საერო ხელისუფლებასთან გამოსენის წინაპირობა.

„მატიანე ქართლისა" ამგვარად ახასიათებს დავით კურაპალატს: *„რამეთუ იყო პირველად ღმრთისმოყვარე და გლახაკთმოწყალე. მდაბალი, მშვიდი და ძვირუხსენებელი, ეკლესიათა მაშენებელი, ტკბილი, უხვი, კაცთმოყვარე და ფიროსანთმოყვარე, ყოველთათვის კეთილისმყოფელი და საგსე ყოვლითა კეთილითა. ამან აღაშენა მონასტერი და საყდარი ღმრთისა, წმიდა ეკლესია ხახულისა"* (274).

ამ შემთხვევაშიც მოცემულია რელიგიური სათნოებებით შემკობილი საერო მმართველის იდეალი.

ბაგრატ მესამის და განჯის ამირა ფადლონის დაპირისპირებასთან დაკავშირებით ეკითხულობთ: „ [...] *მიმართეს ფადლონს, დიდად განლაღებულსა, მოძულესა ქრისტიანეთასა, რომელი-იგი ყოველითურთ ეძიებდა წარწყმედასა ყოველთა ჯვარის მსახურთასა"* (280). ამდენად, რელიგიური დაპირისპირების მოტივი ბაგრატ მესამის დროსაც ჩვეულებრივად ფიქსირდება. შემდეგ ეკითხულობთ ძლიერი მეფის, ამ შემთხვევაში ბაგრატ მესამის, ტრადიციულ დახასიათებას, სადაც ქრისტიანული სათნოებანი ამკობენ საერო ხელისუფალს: *„ეკლესიათა მაშენებელი იყო, გლახაკთა მოწყალე და სამართლის მოქმედი ყოველთა კაცთათვის"* (282).

„მატიანე ქართლისაში" მოთხრობილია, თუ როგორ აპირებს ბაგრატ მეოთხის დედა, დედოფალი მარიამი, იერუსალიმის მოსალოცად წასვლას. ეს ფაქტიც ანგარიშგასაწევი უნდა იყოს. ერთი, რომ ტრადიციულად გრძელდება სახელმწიფო პირების ორიენტაცია იერუსალიმზე. ამასთან, „მატიანე ქართლისას" მიხედვით, იერუსალიმის ურწმუნოთა ხელში ყოფნა ქრისტიანთა და, შესაბამისად, ქართველთა ცოდვების შედეგიცაა.

უცნობი ავტორი აღწერს დიდი სელჯუკი სულტანის, ალფარსლანის მეთაურობით თურქების შემოსევას ბაგრატ მეოთხის მეფობის დროს: „ [...] *და მოისრა ურიცხვი სული ქრისტიანეთა და ტყვე იქმნა.* [...] *მოოხრდეს ყოველნი ეკლესიანი და სიმრავლითა მძორისათა არღარა დაედგმოდეს ქვეყანასა თვალნი. და ცოდვათა ჩვენსა მოსაგებელსა რისხვასა ღმრთისასა ზეცით ცეი წამებდა და სისხლის მწვიმელი ღრუბელი აღმოსავლეთით მოეფინა ქართლსა ზედა. და იქმნა ღამე უკუნი, ვითარცა ნათელი დღისა"* (309). ამდენად, ცენტრალური ხაზი, ქრისტიანთა ცოდვებისათვის ღმერთის მიერ წარმართთა ხელით მათი დასჯის სახით, კვლავ უცვლელადაა მოცემული.

„მატიანე ქართლისას" მოკლე ანალიზიც აჩვენებს, რომ ქრისტიანული იდეოლოგია ტრადიციულად განმსაზღვრელი რჩება სახელმწიფოსათვის. ოღონდ ერთი ფაქტი ნამდვილად გასათვალისწინებელია. ის შემტევი პათოსი, რაც ქართულ ქრისტიანობას აქვს ბაგრასალის დროს, მომდევნო რამდენიმე საუკუნეში შედარებით კლებულობს. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. ერთია საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად. შედარებით წერილი ხელისუფალნი ძირითადად ერთმანეთთან ბრძოლით არიან დაკავებულნი. არაბების ცალკეული შემოსევების დროს ქრისტიანობისათვის თავდადება კვლავ წინა პლანზეა, მაგრამ ეს მაინც თავდამცველის პასიური შემართების მოდელია. ამასთან, გორგასალისათვის დამახასიათებელი სამხედრო ქრისტიანული იდეოლოგია გვიანდელი ხანის მეფეებმა სათანადოდ ვერ განაახლეს. გორგასალთან მიახლოებული მასშტაბით ეს კვლავ უნდა ნიდეოდეს სავარაუდოდ დავით კურაპალატთან. რადგან როგორც კი ქვეყანა იწყებს აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარებას და ექსპანსიურ პოლიტიკას, მაშინვე დგება ქრისტიანული იდეოლოგიის აქტუალიზაციის პრობლემა. რადგან განსაკუთრებით აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოებისას ქვეყანას აუცილებლად სჭირდება მყარი მსოფლმხედველობრივი საყრდენი. აშკარაა, რომ ვახტანგ გორგასალს და დავით აღმაშენებელს 'შორის პერიოდში ეს სამხედრო ქრისტიანული იდეოლოგია ისევ განმსაზღვრელ როლს ასრულებს საქართველოში, ხშირად, როგორც ითქვა, უფრო პასიური ფორმით. თითქოს ელოდება ძლიერ მეფეს, რომელიც მის განახლებას მოახდენს.

როგორც ითქვა,ქრისტიანული სამხედრო იდეოლოგია სახელმწიფო პოლიტიკის საფუძველი გორგასალის შემდეგაც არის. მაგრამ ეს სამხედრო იდეოლოგია კელავ ფართო მასშტაბებს იღებს დავით აღმაშენებლის დროს,როგორც კი ქვეყანა დიდი საგარეო ომების წარმოებას იწყებს. აღნიშნული იდეოლოგიის მძლავრ აქტუალიზაციას გორგასალის შემდეგ ახდენს დავით აღმაშენებელი. ეს დაახლოებით თანხვდება ჯვაროსნული მოძრაობის საწყის პერიოდს, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს უბრალო პარალელიზმთან. რადგან დავითმა მხოლოდ იმის განახლება მოახდინა, რაც საქართველოში მრავალი საუკუნის განმავლობაში არსებობდა. დავითის დროს სახელმწიფო იდეოლოგიის საფუძვლად თვისებრივად ახალი, ქართული სამყაროსათვის უცნობი რაიმე პრინციპი არ ჩანს, რაც, ვთქვათ, დასავლეთევროპელთა გარკვეულ გავლენას გვავარაუდებინებდა.

ქრონისტთან ეკითხულობთ[1]: *„რამეთუ იწყეს* [თურქებმა] *მიერითგან რბევად, ტყვევნად და ძოვრბევად, წვად, სრვად და ტყვეობად ჩვენ ქრისტიანეთა“* (318-319). ქრონიკები ქართველების აღსანიშნავად თვითონ „ქართველის“ გარდა მგონი უფრო ხშირად ხმარობენ ტერმინ „ქრისტიანს“, რაც კელავ ხაზს უსვამს რელიგიური ფაქტორის დომინანტობას შუა საუკუნეების ქართველთა ეელტბილდში. ამ შემთხვევაშიც მრავალი ცალკეული მაგალითის აქ მოტანის აუცილებლობა არ არის.

„რამეთუ წმიდანი ეკლესიანი შექმნეს [თურქებმა] *სახლად პუნეთა თვისთა, ხოლო საკურთხეველნი ღმრთისანი ადგილად არაწმიდებისა მათისა. და მღდელნი რომელნიმე თვით შეწირეასავე შინა საღმრთოსა მსხვერპლისასა მუნვე მახვილითა შეწირულ იქმნეს და სისხლნი მათნი აღირივნეს მეუფისათა თანა“* (320). შესაბამისად, თურქებთან დაპირისპირებისას პოლიტიკური ფაქტორის გარდა, თაეიდანეე მკვეთრად ესმება ხაზი რელიგიურ-მსოფლმხედველობრივ პრინციპს.

შემდეგ დავითის ისტორიკოსი ეხება გიორგი მეორის მალიქ შაჰთან წასელის ფაქტს: *„და ესრეთ დადვა* [გიორგი მეორემ] *სული თვისი და სისხლნი ქრისტეანეთა ხსნისათვის. და მინდობითა ღმრთისათა და წარძღვანებითა ძელისა ცხოვრებისათა წარვიდა ასპანს, ნახა სულტანი და შეწყნარებულ იქმნა მისგან, ვითარცა შვილი საყვარელი“* (321).

გიორგი მეორის მალიქ შაჰთან წასელა ასევე ქრისტიანობისათვის თავის დადებადაა მოაზრებული. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაშიც შესაძლოა წმინდა პოლიტიკურ აქტთან გვქონდეს საქმე. ამ შემთხვევაში კელავ ჩნდება ქრისტეს ჯვარი. ასევე მნიშვნელოვანია: გიორგი მეორე ისპაჰანში ჯვარის წარძღვანებით მიდის. აქ თითქოს იგულისხმება, ჯვარი გიორგი მეორის წინ მიაქვთ. რადგან ეს უნდა იყოს ის დიდი ჯვარი, რომელიც გორგასალის დროს არმიას მიქონდა ომში, „მატიანე ქართლისას“ მიხედვით კი აღმართული იყო მცხეთაში.

დავითის ისტორიკოსის ქრონიკის დასაწყისშიეე ეეცნობით ქრონისტის მსოფლმხედველობრივ კონცეფციას: „ [...] *რამეთუ ყოველმან ასაკმან და ყოველმან პატივმან ყოველითურთ შესცოდეს ღმერთსა და მიიქცეს გზათაგან წრფელთა ყოვლისა მიმართ უკეთურებისა. და ბუნებით მოწყალე და სახიერი ღმერთი* [...] *განარისხეს.* [...] *ამას ყოველსა ზედა არავე დასცხრა გულისწყრომა უფლისა ჩვენ ზედა. რამეთუ არა შეეინანეთ. არცა გულისხმა ეყოთ, არცა ჯეროვნად მოვიქეცით გზათა მიმართ უფლისათა. ამისთვისცა ქვეყანით მავალთა ბოროტთა ზედა სხვანიცა საშინელებანი ზეგარდამონი ღმრთისა მიერ მოელინებულნი გვემანი მოიწევნეს ქვეყანასა ჩვენსა ზედა“* (322).

[1] უცნობი ავტორი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, წიგნში: ქართლის ცხოვრება, ტ. I (1955). გვ. 318-364.

შემდეგ ქრონისტი განაგრძობს, რათა ცოდვილებს არ დაეწყოთ მტკიცება, წარმართთა მიერ საქართველოს აოხრება არისო არა ღმერთის მიერ ქრისტიანთათვის მათი ცოდვების გამო სანაცვლოს მიზღვა, არამედ დროის და მოვლენების ცვალებადობის, წმინდა შემთხვევითობის შედეგი. ღმერთმა უარესად დასაჯა ქრისტიანები. აღდგომა დღეს ღმერთმა რისხვით მოხედა ქვეყანას და საზარელი მიწისძვრა დაატეხა ქრისტიანებს თავს.

კვლავ ეხედავთ: ერი საკუთარ ისტორიას მთლიანად ქრისტიანულ ჭრილში უყურებს. ყოველი ნაბიჯი ღმერთზეა ორიენტირებული. ნებისმიერი მოქმედებისათვის ერი სანაცვლოს ელოდება ღმერთისაგან. ნაციის მთლიანი თვითშეგნება გამსჭვალულია ქრისტიანული იდეოლოგიით. თავისთავად საინტერესო ფაქტია, მართალია ნეგატიურ პლანში, მაგრამ მაინც, დავითის ისტორიკოსის მიერ განსხვავებული სააზროენო ნაკადის დაფიქსირება. აღამიანები, რომლებიც გარკვეულ ისტორიულ მოვლენებს შემთხვევითობას მიაწერდნენ და არა ღმერთის ნებას, უნდა იყვნენ გარკვეული ფილოსოფიური ან სააზროენო სკოლის წარმომადგენლები, და არა ჩვეულებრივი მასის.

ქრონისტი ასკვნის, „*შეწევნითა ღმრთისათა მოეშენა ქვეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი*" (325-326). დავითის ქმედებაც ყოველთვის ღმერთისაგან კურთხეულად მოიაზრება. დავითს ნებისმიერ გამარჯვებას აძლევს ღმერთი. აღნიშნული თვალთახედვის დამასაბუთებელ ყველა პასაჟს დეტალურად აღარ მოვიტან.

რუის-ურბნისის კრების აღწერაც ქრონისტის მსოფლმხედველობის შესახებ საგულისხმო მასალას გვაძლევს. „*მას ჟამსა განიცადა მეფემან გონებისა თავლითა და კეთილად გულისხმა ყო საქმე, რომლითა მოიმადლებდა ღმერთსა და სარგებელი დიდი იქნებოდა*" (326). როგორც ქრონისტი წერს, წმინდა ეკლესიები, ღმერთის სახლები, აკაზაკთა თავშესაფრად იყო ქცეული. უღირსებს და უწესოებს თავიანთი წარმომაელობის წყალობით, როგორც აკაზაკებს, ხელში ჰქონდათ საეპისკოპოსოები ჩაგდებული. მღვდლებად და ქორეპისკოპოსებადაც თავიანთი მსგავსი ხალხი ჰყავდათ დადგენილი. ეს უკანასკნელნი კი მათთვის დაქვემდებარებულ პირებს საღმრთო სჯულის ნაცვლად უსჯულოებაში წვრთნიდნენ. „*თვით სახლით უფლისათ და მღდელთაგან გამოვიდოდა ყოველი უსჯულოება და ცოდვა, რომელთა თვალი ღმრთისა ხედვიდა ყოველთა და განრისხებულ იყო*" (327). აქ ქრონისტი განსაკუთრებით უსვამს იმ ფაქტორს ხაზს, რომ საულიერო და საერო პირებს თავიანთი ცოდვებისათვის ღმერთის წინაშე განსხვავებულად მოეთხოვებათ პასუხი. დავითი კრებს კათალიკოსს, მღვდელთმთავრებს, მეუდაბნოეებს, მოძღვრებს, მეცნიერებს. მრავალდღიანი განსჯის და გამოძიების შემდეგ უღირსი სასულიერო პირები განკეთეს და შეანცვნეს „*გარდამოსთხინეს საყდართაგან* [...] *და მათ წილ ჭეშმარიტნი მწყემსნი და სათნონი ღმრთისანნი დაადგინნეს.* [...] *და ესეცა* [...] *აღასრულა მეფემან დავით უწინარეს ყოველთა კეთილთა საქმეთა თვისთა, რომლისა სანაცველოდ იხილეთ, თუ რა განაგო ღმერთმან გულთმეცნიერმან, უძილმან მცველმან ისრაელისამან*" (328).

დავითის მთელ საქმეთა სათავეში მემატიანე ფაქტიურად აყენებს მეფის მიერ ეკლესიის დაუნდობლად გაწმენდას უღირსი სასულიერო პირებისაგან. აქ კარდინალური მნიშვნელობისაა ჩვენს მიერ მოტანილი ციტატის ბოლო ფრაზა. ამ ფრაზის მიხედვით, ყველა მომავალი გამარჯვება ღმერთმა დავითს მისცა აღნიშნული კეთილი საქმის, ეკლესიის განახლების სანაცვლოდ. ამ შემთხვევაშიც კარგად ჩანს რელიგური ფაქტორის და საერო პოლიტიკის ურთიერთმიმართება შუა საუკუნეების ველტბილდში. მემატიანისთვის ეკლესიის უღირს პიროვნებათაგან გაწმენდას უმთავრესი მნიშვნელობა აქვს. დავითი თავდაპირველად, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერის სულიერ სიბრტყეზე ამყარებს წესრიგს, რაც განსაკუთრებულად სასურველია ღმერთისათვის, რადგან ეკლესია, ქრონისტის მიხედვით, ღმერთის სახლია. ყოველი მომავალი გამარჯვების საძირკველი აღნიშნული საქმე გამოდის. ასევე უაღრესად ყურადსაღებია ღმერთის ისრაელის მცველად მოხსენიება. აქ ფაქტიურად ვხედებით იმ შეხედულებას უკვე ღია ფორმით, რაც წინა ქრონიკებში მოკრძალებულად იყარაუდებოდა. ქრონისტებისათვის ღმერთის რჩეული ერი ქართველები არიან და ამით არის განპირობებული, რომ ერის ყველა ქმედებას, ქრონისტების თანახმად,

შესაბამისი საზღაური მოსდევს, ანუ ღმერთი დარაჯობს თაეისი ერის ყოველ ნაბიჯს. დავითის ისტორიკოსი ერთგვარად ანაცელებს ღმერთთან ებრაელებს ქართველებით.

აღნიშნული ხაზი შემდგომშიც უცვლელად გრძელდება ქრონიკაში. „*და ვინათგან ღმერთი ესრეთ განაგებდა საქმეთა დავითისთა და წარუმართებდა ყოველთა გზათა მისთა და მოსცემდა ჟამად-ჟამად ძლევათა საკვირველთა და უძღოდა ძალითი-ძალად, – არცა იგი უდებებდა განმრავლებად ტალანტთა,არამედ სრულითა გულითა მსახურებდა და მათ იქმოდა, რომელნი ნებისა ღმრთისად დაამტკიცნის.* [...] “ (329).

ფაქტიურად დავითის ურთიერთმიმართება ღმერთთან, თუ შეიძლება ასე ითქვას, ორმხრივ სელებზეა აგებული. ღმერთის ყოველ წყალობას მოსდევს დავითის ქმედება, ღმერთისათვის სასურველი. ამ შემთხვევაში ღმერთისათვის მოსაწონი მორიგი ნაბიჯია გელათის მონასტრის აგება. ასევე ღმერთისათვის სასურველ საქმეთა რიგშია დავითის ისტორიკოსთან მეფის მიერ ქსენონის აშენება და მუდმივი პატრონობა. როდესაც მეშატიანე ქსენონში მისული დავითის ქცევას აღწერს, ეს არის ქრისტიანული სიმდაბლის და მოყვასის სიყვარულის უმაღლესი გამოვლინებანი.

დავითის ისტორიკოსი აღწერს დიდგორის ბრძოლას: „*რამეთუ პირველსაცე ომსა იოტა ბანაკი მათი და იერტოდა,რამეთუ ხელი მაღლისა შეეწეოდა და ძალი ზეგარდამო ფარვიდა მას და წმიდა მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძღოდა მას, და მკლავითა თვისითა მოსრვიდა ზედამოწევნულთა უსჯულოთა მათ წარმართთა. რომელ თაეით იგი უსჯულონი და ეუბეცარნი მოღმართ აღიარებდეს და მოგვითხრობდეს მასწავლასა ამას მთავარმოწამისა გიორგისსა,და ვითარითა ღონითა მოსრნა სახელოვანნი იგი მებრძოლნი არაბეთისანი და ანუ მეოტთა ვითარ სიმარჯვით და განკრძალულად სდევნნა და მოსრნა, რომლითა აღიეხნეს ველნი, მთანი და ღელვნი მძორებითა*” (341).

ეს პასაეიც უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობის თვალსაზრისით. წარმართთა წინააღმდეგ ბრძოლაში წმინდანი უშუალოდ მიუძღვის ქრისტიანთა არმიას და თვითონ ხოცავს მოწინააღმდეგეებს. ქრისტიანობისათვის აქტიურად მებრძოლი წმინდა გიორგის კულტის დაფიქსირებასაც, როგორც ქეემოთ ენახაეთ, დროშების საკითხისათვის უაღრესად დიდი დატვირთვა აქვს. ამასთან, ამგვარი აქტიურად მებრძოლი წმინდანის ხატი დასაელეთ ევროპაში სწორედ ჯვაროსნული იდეოლოგიის ჩამოყალიბების შემდეგ ჩნდება. თვითონ ფაქტი ქრისტიანული ღმერთის და ქრისტიანი წმინდანების მიერ საერო ბრძოლაში მონაწილეობის მიღებისა არის პოლიტიკური და რელიგიური მსოფლმხედველობის თანხვედრის ცხადი გამოვლინება. ამ, შეიძლება ითქვას, ჯვაროსნული იდეოლოგიის საერო პოლიტიკაში გადანაცელების შედეგად ხდება რელიგიური სიმბოლიკის მქონე დროშათა მიღება საერო ხელისუფლების მიერ.

დავითის მიერ ანისის აღებისა და ჩრდილოეთ სომხეთის საქართველოსათვის შემოერთების შესახებ ეკითხულობთ: „*დაიპყრნა არფასლანიანნი და ამოსწყვიდნა იგინი, რომელთა დიდი საყდარი ანისისა მისგითად მოეკაზმათ და ქრისტიანეთა სისხლითა იგი საყდარი და ქალაქი მოერწყო.* [...] *ღმრთისმოყვარემან დავით აღმაშენებელმან მოლათა და დარიშმანთა სისხლითა ახლადვე მან მორწყო და საყდარი იგი ახლად მონათლა,რომელი აღეშენა ბერძენთა ასულსა დედოფალსა კატრონიტეს და იქოვე ესაფლავა*” (345). როგორც ცნობილია, დავითი კათალიკოსთან, ეპისკოპოსებსა და მეომრებთან ერთად მიდის ბერძენი დედოფალის საფლავთან და სამჯერ ჩასძახებს სასიხარულო ამბავს, რომ ღმერთმა მისი საყდარი უსჯულოთა ხელიდან დაიხსნა.

ამ შემთხვევაშიც ცოცხალ სურათს ვღებულობთ მაშინდელი რეალიების შესახებ. ისტორიკოსის სიტყვების გამეორება ანისის ეკლესიაში მაამადიანთა დახოცვის შესახებ საჭირო აღარ არის. აგრეთვე ყურადსაღებია, რომ დავითი ანისში მიეიდა ბიზანტიელი, ანუ მართლმადიდებელი დედოფალის საფლავთან, და არა მიუღებელი გრიგორიანელი სარწმუნოების მქონე რომელიმე მოღვაწის განსასვენებელთან. შუა საუკუნეებში, ბუნებრივია,მსგავს ნიუანსებს დიდი მნიშვნელობა აქვს.

დავითის ისტორიკოსი ხაზს უსვამს ღვთისმოშიშობის ფაქტორს მეფესთან, საერო ადამიანთან. *„ესე შიში უფლისა მოიგო სიერმითგან თვისით დაკით და პასაკსა მისსა თანა აღორძნდა და კამსა თვისსა ესეკვითარნი ნაყოფნი გამოიხვნა,რომლითა ორკერძო ცხოერება თვის კანაშკნა. რომლითა შეამკვნა საქმენი თვისნი, რომლითა განაგნა ხორციელნი და წარმართნა სულიერნი*" (347).

დავითის ისტორიკოსი იძლეა სრული პიროვნების იდეალს, ოღონდ ქრისტიანული მსოფლმხედველობის ფარგლებში და ქრისტიანული ელემენტის პრიმატით. როდესაც საერო ცხოერება მთლიანად ჩართულია რელიგიურ წესრიგში, რადგან ეს საერო ცხოერება ექვემდებარება ქრისტიანულ სისტემას. ხოლო საერო ხელისუფალი, საერო ადამიანი სოფელში ამკვიდრებს ზესთასოფლურ, ქრისტიანულ წესრიგს. ამდენად არის ეს საერო ცხოერება მისაღები ქრონისტის პოზიციიდან.

ყველასათვის კარგადაა ცნობილი დავითის სიყვარული სწორედ რელიგიური ლიტერატურის მიმართ: *„ხოლო ისმენდი, თუ ვითარ გონიერად დედად სიბრძნისა რა პოვა შიში უფლისა, ღმერთთადც – საღმრთონი წერილნი. და ესენი მდიდრად შეიკრიბნა, რაოდენნი პოვნა გარდამოღებულად ენასა ქართველთასა სხვათა ენათაგან. ძველნი და ახალნი*" (347).

დავითის წიგნებშიც ბუნებრივია, რომ ქრისტიანული რელიგიური ლიტერატურა დომინირებს. თუმცა ერთიც გასათვალისწინებელია. ხშირ შემთხვევებში ქრონისტები გვერდს უვლიან ქართველ მეფეთა იმ საინტერესო პიროვნულ მხარეებს, რომლებზეც აღმოსაველური წყაროები გვაწვდიან ცნობებს: განსაკუთრებული ინტერესი ისლამისადმი, მაგალითად, ტოლერანტულობა მაჰმადიანობისადმი. მაგრამ ეს გვერდის აელაც მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფო ჭრილში ცენტრალური ადგილი მხოლოდ ქრისტიანული მსოფლმხედველობისაა.

ქრონისტი დავითის გამარჯვებებს ეხება: *„რამეთუ სულტანი დასვა მოხარკედ თვისა.* [...] *დასცნა წარმართნი, მოსრნა ბარბაროზნი.* [...] *მეოტად წარიქცივნა არაბნი, იავარად – ისმაიტელნი, მტვერად დასხნა სპარსნი, ხოლო გლეხად – მთავარნი მათნი*" (351).

აღნიშნულ პასაჟშიც ნათლად იკითხება ქართველების მოწინააღმდეგეებთან დაპირისპირებისას რელიგიური საფუძველის არსებობა (რაც, ცხადია, დავითის ომებისას პოლიტიკურ მოტივაციას სრულიად არ გამორიცხავს, თავისთავადაც გულისხმობს ეროგვარად). რადგან წარმართების დამარცხება და ბარბაროსების მოსრვა ლიტონი სიტყვები არ არის. მაშინდელი ადამიანისათვის ამ გამოთქმებს სრული შინაარსობლივი დატვირთვა აქვთ.

ქრონისტი დეტალურად ეხება დავითის ქრისტიანულ სათნოებებს. აღწერს საერო ადამიანის, მეფის, ღვთისმოშიშ და რელიგიურ ცხოერებას. დავითის დროს მონასტრები, საეპისკოპოსოები და ეკლესიები ლოცვის და რელიგიური რიტუალების განაწესს სამეფო კარიდან იღებდნენ. *„ხოლო საეშმაკონი სიმდერანი, სახიობანი და განცხრომანი და გინება ღმრთისა საძულელი და ყოველი უწესობა მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა და ურიცხვსა მას შინა სიმრავლესა ენათა ნათესაეთასა,ვითარცა ცათა შინა მყოფთა შორის*" (352). ამას მოსდევს გლახაკებსა თუ სასულიერო პირებზე დავითის მიერ გაცემული უსაზღვრო წყალობის აღწერა. *„რამეთუ ლაერანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თვისთა ოდენ სამყოოთა,არამედ საბერძნეთისნიცა,მთაწმიდისა და ბორღალეთისანი,მერმეცა ასურეთისა და კვიპრისა, შავისა მთისა, პალესტინისანი აღაენა კეთილითა. უფროსღა საყლაკი ეფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და მყოფნი იერუსალემისანი თვითოფერთა მიერ მუსაწირაეთა განამდიდრნა. კეალად უშორესცა ამათსა: რამეთუ მთასა სინასა, სადა იხილეს ღმერთი მოსე და ელია, აღაშენა მონასტერი და წარსცა ოქრო მრავალათასეული* [...]" (352-353). შემდეგ ქრონისტი კეალვ ხაზს უსვამს დავითის მიერ ეკლესიათა აგების და ასევე წარმართთა ქრისტიანად მონათვლის ფაქტებს: *„ხოლო ამათ თანა რაოდენნი ეკლესიანი აღაშენნა,* [...] *რაოდენნი ეკლესიანი, წარმართთაგან შეგინებულნი, განწმიდნა სახლად ღმრთისად, რაოდენნი ნათესავი წარმართთანი შეილად წმიდისა ემბაზისად*

მოიყვანნა და შეაწყნარნა ქრისტესა! და დადვა მისთვის უმეტესი მოსწრაფება, რათამცა ყოველი სოფელი მოსტაცა ეშმაკსა და შეასაკუთრა ღმერთსა, რომლითა მიიღო მადლი მოციქულობისა" (353-354).

აქ ალბათ უნდა გაეჩერდეთ, თორემ ნახევარი ქრონიკის სიტყვასიტყვით გადმოწერა მოგვიწევს. ამ ერცელი ნაწყვეტიდან კარგად ჩანს, თუ როგორ ემყარება პრინციპში მთელი სახელმწიფო სისტემა ქრისტიანულ მსოფლმხედველობას. დავითი არის ერთგვარი იდეალური ქრისტიანი მეფე, რეალობაზე დამყარებით, ცხადია, ხოლო ისტორიკოსის მიერ აღწერილი დავითის სამეფო ლამის ქრისტიანულ ზეციურ სამეფოსაა მიახლოებული. ბოლო ფრაზა აქაც კარდინალური მნიშვნელობისაა და კარგად გეიჩვენებს, რა პოზიციიდან უყურებს ამ ეპოქის ადამიანი სამყაროს. ეს თვალთახედვა სახელმწიფოებრივ პოზიციასაც გეიჩვენებს ფაქტიურად: დავითმა მთელი სოფელი, ანუ საერო სამყარო თავისი მძლავრი ქრისტიანული მეფობით მოსტაცა ეშმაკს და ქრისტეს გაუსაკუთრა. სიმპტომატურია, რომ დასავლეთევროპული ლეგენდა იდეალური ქრისტიანი მეფის პრესბიტერი იოანეს და მისი ასევე იდეალური ქრისტიანული სახელმწიფოს შესახებ სწორედ დავითის შესახებ დასავლეთ ევროპელებთან არსებული ცნობების საფუძველზე აღმოცენდა. ეს ფაქტიც კარგად გეიჩვენებს, რა მძლავრი ქრისტიანული სამეფო იყო საქართველო, რომ ევროპელთა ლეგენდა იდეალურ ქრისტიან მმართველსა და იდეალურ ქრისტიანულ სახელმწიფოზე სწორედ ქართული მასალის გაელენით წარმოიშვა.

ქრისტესი განაგრძობს: *„და კეთალად მღდელთმოძღვართა, მღდელთა და დიაკონთა, მოსაზღონთა და ყოველთა კაცთა ესევე საქმე ექმნა წესიერებად და გზად ყოველთა სათნოებათა მიმართ. რამეთუ შიშითა მისითა ვერ იკადრებდიან უწესოდ სლვად, ვინათგან ეშინოდიან არარას დაფარულობა წინაშე მისსა და მის მიერ ქება სათნოებისა და ძაგება არაწმიდათა და უწესოთა საქმეთა.* [...] *ესე დიდნი საქმენი, ღმრთისაგან ოდენ შესაძლებელნი, ესრეთ ადვილად წარმართნა ამით, ვითარცა ვერვინ ადვილ წარმართის ეგრეთ.* [...]" (355-356).

ბოლო ციტატაში გრძელდება ქრისტიანული მსოფლმხედველობის ცენტრალური ხაზი. დავითის ქმედება უშუალოდ ღმერთისაგან მოდის. ხოლო სოფელში მეფე დავითი რეალობად აქცევს ზესთასოფლურ ქრისტიანულ სამეფოს. ყოველ შემთხვევაში, მეფის ქმედებათა ერთ-ერთ მთავარ მოტივაციად აღნიშნული ფაქტორი ისახება.

ისტორიკოსი ეხება დავითის მოკვლათა მცდელობებს: *„და არაოდეს მიუშვა ღმერთმან კვერთხი ცოდვილთა მართალსა მას ზედა, არცაოდეს მისცა იგი ხელთა მძიეველთა მისთასა.* [...] *გარნა ყოველსა შინა ხელი იგი ზეგარდამო ფარვიდა მდევართა მისთაგან"* (362). დავითის ღმერთისაგან დაცულობა ისევ რელიგიური მსოფლმხედველობის დომინანტობაზე მიანიშნებს.

დავითის ისტორიკოსი მოგვითხრობს მეფის გარდაცვალების შესახებ, როდესაც წმინდანი მეფე, საერო ადამიანი ღმერთს ზეცაში მიყავს. *„ეგრეთვე ჟამსა შინა შვენიერსა და ჯეროვანსა მოუწოდა ღმერთმან შემყვარებელსა თვისსა და მარადის მოსურნესა სამარადისოდ მეფობად წინაშე მისსა.* [...] *სადა თვით იგი ბუნებით ღმერთი მეუფებს მადლით ღმერთქმნილთა ზედა, მუნ აღიყვანა მის თანა მეფობად"* (362). დავითის ქრისტიანული სათნოებებით გამსჭვალული მიწიერი ცხოვრების შესატყვისი საზღაურია მარადიული მეფობა ზეცაში. დავითის მთელი ამქვეყნიური ცხოვრება ზესთასოფლური ყოფის შემზადებადაა მოაზრებული. თავისი ქრისტიანული ცხოვრებით დავითმა ზეციური მეფობისთვისაც შექმნა საფუძველი.

ამდენად, დავითის ისტორიკოსის მასალის ანალიზითაც დასტურდება, რომ მთელი ამ ეპოქის ქართული ცხოვრება ფაქტიურად გაჯერებულია ქრისტიანული მსოფლმხედველობით, ქრისტიანული მსოფლმხედველობა არის ყოველი მოქმედების საზომი და, აქედან, სახელმწიფო იდეოლოგია. ამასთან, საგარეო პოლიტიკაში, განსაკუთრებით საერო ბრძოლებისას აღნიშნული ქრისტიანული იდეოლოგია გეთავაზობს სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობის სპეციფიკურ ფორმას, რასაც, როგორც ბევრჯერ ითქვა,

დიდი მნიშვნელობა აქვს საერო ხელისუფლებასთან ქრისტიანული სიმბოლიკის მქონე დროშების გამოსენისათვის. კიდევ გავიმეორებ: ქართული შუა საუკუნეების კულტურის ისტორიაში ნამდვილად არის მოვლენები, რომლებიც ქრისტიანული მსოფლმხედველობის გარეთ გადიან და უნივერსალურ სისტემებს ქმნიან. ამის მაგალითია რუსთაველი. მაგრამ კულტურის მოვლენები დგას ცალკე, ხოლო სახელმწიფო იდეოლოგია ცალკე. შუა საუკუნეები კი არარელიგიურ სახელმწიფო იდეოლოგიას არ იცნობს. ჩვენს გარშემო სამყაროში არის ან ქრისტიანობა, ან ისლამი. სახელმწიფო იდეოლოგიას ყოველთვის განსაზღვრავს შუა საუკუნეებში შესაბამისი რელიგია. სახელმწიფო სიმბოლიკაც იდეოლოგიის შესატყვისია მუდამ. ამიტომ, თუნდაც ჯუანშერის და დავითის ისტორიკოსის წაკითხვის შემდეგ რატომ უნდა გამოიწვიოს გაკვირვება იმ ფაქტმა, რომ საქართველოს ერთი ან ხუთი ჯვარი შეიძლებოდა ჰქონოდა დროშაზე, ჩემთვის ცოტა ძნელი გასაგებია.

უცნობი ავტორი

„ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე"

დავითის ისტორიკოსის ქრონიკის განხილვის შემდეგ მოკლედ შევეხოთ „ლაშა გიორგის დროინდელ მატიანეს"[14].

დემეტრე პირველის შესახებ ვკითხულობთ: *„პირველად მოშიში იყო ღმრთისა, სვიანი და გამარჯვებული, სიმაღლესა და სიმდიდრესა შინა მდაბალი და გლახაკთა მოწყალე, ობოლთა და ქვრივთა განმკითხველი, საყდართა და ეკლესიათა, მღდელთა და მონაზონთა კეთილისმყოფელი, შემწირველი სოფელთა და აგარაკთა.* [...]" (365).

ყოველი მნიშვნელოვანი მეფის შესახებ ეხედებით მხოლოდ ამგვარ ქრისტიანულ სათნოებათა ხაზგასმას და ეს არის საერთო წესი ქრონიკებში.

გიორგი მესამის დახასიათებას „ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე" ამგვარად იძლევა: *„დავ(ა)და მეფედ გიორგი, უმაღლესი ყოველთა მეფეთასა, მძლე და მორჭმული მტერთა და შეცოდებულთათვის, კეთილისმსახური ღმრთისა, საყდართა, ეპისკოპოსთა, მეუდაბნოეთა, მღდელთათვის კეთილისმყოფელი იყო და უკადრი შეცოდებისა დიდთა და ცოტათაგან, გლახაკთა და ქვრივთათვის მოწყალე იყო და ერთგულთათვის უხვი და მბოძებელი იყო"* (367).

დაახლოებით მსგავსი ქრისტიანული სულისკვეთების აღწერას იძლევა ქრონიკა თამარ მეფესთან დაკავშირებითაც: *„იქმნა ყოველთა მეფეთა შორის უდიდეს, სვიანი და ბედნიერი, ღმრთისმოშიში* [...] *და თავი ყოველთა კეთილთა ღმრთისმოშიშება არს და სიმდაბლე, ეკლესიათა და მონაზონთა მოყვარე, გლახაკთა და მოხიერთა განმკითხველი. საბერძნეთისა მთაწმიდისა, იერუსალემისა და შავმთისა საყდარნი და ეკლესიანი რომელნიმე დარღვეულნი აღაშენნა.* [...] *ლოცვისა მოყვარე იყო დაუცადებელი, – ვითარ მოწესემან, უწინარეს ძილისა ლოცვა და ფსალმუნება გარდაიხადა"* (368).

ბუნებრივია, ზოგადი ხაზი ქრისტიანული მსოფლმხედველობის, ქრისტიანული იდეოლოგიის, არც „ლაშა-გიორგის დროინდელ მატიანეში" იცვლება. თუმცა სხვა ქრონიკებთან შედარებით მასალა „ლაშა-გიორგის დროინდელ მატიანეში" ამ კუთხით შედარებით ნაკლებია.

[14] უცნობი ავტორი, ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე, წიგნში: ქართლის ცხოვრება, ტ. I (1955), გვ. 365-371.

როგორც ითქვა, გორგასალის შემდეგ სამხედრო-ქრისტიანული იდეოლოგიის მძლავრ განახლებას ახდენს დავით აღმაშენებელი. დავითის მერე ეს იდეოლოგია თავისი აქტიური ფორმით, მეტად თუ ნაკლებად, ყველა მეფესთან ფიქსირდება და განსაკუთრებით წინა პლანზე გამოდის თამარის მეფობისას. ოღონდ აქ ერთი საინტერესო განსხვავებაა. დავით აღმაშენებელმა ფაქტიურად შიშით და მუქარით სასულიერო და საერო პირებიც თავის ნებაზე მოდრიკა და აიძულა ეცხოვრათ ისე, როგორც ეს მას სურდა, ანუ დამორჩილებოდნენ ქრისტიანული მსოფლმხედველობის უმკაცრეს ნორმებს. თამარის მეფობის პირველ წლებში შედარებითი არეულობის შემდეგ, როდესაც ახალგაზრდა ქალის მეფობით სარგებლობენ ცალკეული დიდებულები, ვითარება ისევე დავითის დროინდელი საქართველოს მსგავსი ხდება. მაგრამ თამარს ერთგვარად რბილად, თითქოს მხოლოდ საკუთარი მაგალითის მიცემით მიყავს სამეფო ამ ქრისტიანული ცხოვრების წესისაკენ.

აქ გასათვალისწინებელია, რამდენი კულტურული ხაზი იკვეთება იგივე თამარის ეპოქის საქართველოში. ერთის მხრივ, ქვეყნის ცხოვრებისათვის უმთავრესი მნიშვნელობისაა სახელმწიფო ქრისტიანული იდეოლოგია და ამ იდეოლოგიის უკომპრომისოდ მიმყოლი ცენტრალური სახელისუფლებო ხაზი. მეორეს მხრივ, კულტურულ ლანდშაფტს ძირითადად განსაზღვრავს რუსთაველი თავისი უნიკალურობით. რუსთაველის უნიკალურობის უკან საკარაუდოდ საზოგადოების მთელი ფენა დგას. აგრეთვე თამარის მეფობაში უნდა იწუნებდეს ჩასახვას სიმდიდრით განპირობებული ის თავაშვებულობაც, რაც თვითონ თამარის მეფობისას მკაცრი პოლიტიკის გამო არ ჩნდება, მაგრამ ლაშა-გიორგის და რუსუდანის სუსტი მმართველობის წლებში მძლავრად იფეთქებს და ამ თავაშვებულობის ეერმოელა ქვეყნის დაღმასვლის ერთ-ერთი მიზეზიც ხდება.

„ისტორიანის და აზმანის“ უცნობი ავტორი დასაწყისშივე ჩაურთავს რამდენიმე სტრიქონს ვახტანგ გორგასალის შესახებ[15]:

„*შენ, ვახტანგ, სანატრელი ხარ შენთვის ღმრთის მაქებარისა,* [...] *მუსულმანთ ამწყვედელისა, ქრისტიანთ მშენებარისა.* [...]“ (5). გორგასალის მაჰმადიანთა ამწყვედელად დასახვა ქრონოლოგიური თვალსაზრისით ბოლომდე ზუსტი არ არის, მაგრამ რელიგიური დაპირისპირების სულისკვეთება კარგადაა დაჭერილი.

გიორგი მესამის გამეფებასა და პირველ საგარეო აქტივობასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „*ამან რა იპყრა შარავანდედი მეფობისა,* [...] *აღიჭურნა მკლავნიცა მუსრვად და მოწყვეტად წინააღმდგომთა ქრისტეს სჯულისათა – აგარიანთა, ისმაიტელთა და მამადიანთა*“ (5).

საქართველოს საგარეო ომებს, როგორც ზემოთ განხილული მასალიდანაც ნათელია, საფუძვლად უდევს სამხედრო-ქრისტიანული, რელიგიური იდეოლოგია. გიორგი მესამის მეფობაში, როგორც მოსალოდნელიც იყო, სახელმწიფოს იდეოლოგიური საფუძველი ცვლილებას არ განიცდის. სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობის საკმაოდ მძლავრ განახლებას გიორგი მესამეც ახდენს, რაც მისი აქტიური საგარეო პოლიტიკითაც გახლდათ განპირობებული.

ქრონისტი აღწერს ანისთან გამართული ბრძოლის პერიპეტიებს. გიორგი მესამეს თან ახლავან იოანე მწიგნობართუხუცესი და სუმბატ სეიმონქმნილი. იოანე, სუმბატი და სხვა დიდებულები მეფე გიორგის არ ურჩევენ მაჰმადიანებთან შებმას, რადგან მცირე ჯარი ჰყავთ თან წამოყვანილი. გიორგი მაინც ბრძოლაში აპირებს ჩაბმას. „*არა დამორჩილდა მხნე მხნეთა და გოლიათი გოლიათთა, ჭეშმარიტად მიმღები მოწამეთა ღვაწლთა და გვირგვინსა, თვით სეხნაობითაცა მიმსგავსებული გიორგი: მან თუ ერთი ეშაპი, ამან კვლა*

[15] უცნობი ავტორი, ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წიგნში: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. 2, თბილისი, 1959, გვ. 1-114.

პეური ბეურთა სახენი ასპიტნა და იქედნეთანი სძლიენა უძლეველმან მხედარმან. [...] *მხილველმან სარკინოზთა სპაებისაჰნი გარდასლვითა მლოცველმან და მავედრებელმან, თუალთა ზეცად აღმზურველმან. აღსაჭურველეს მიმცემელმან იოვანესდა ძელისა ცხოერებისა მიძღუანეულ*" (7-8).

როგორც ვხედავთ, გიორგი მესამე წმინდა გიორგისთან არის შედარებული. ამასთან, წმინდა გიორგიმ მოკლაო ერთი ეეშაპი, ხოლო გიორგი მესამემ მრავალი ასპიტი და იქედნე, ანუ მაჰმადიანი. ომის წინ გიორგი მესამე ლოცულობს. საერო ბრძოლის მთელი ეს სცენა სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობის სულისკვეთებითაა გამსჭვალული. გიორგი მესამე იოანე მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს აძლევს ჯვარს, რათა ქართული არმიის წინ წავიდეს ქრისტეს ჯვარით. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ალბათ გარკვეულ ზღვრამდე მიუძღოდა არმიას ჯვარით ხელში. უშუალოდ ომში ჯვარი ხელთ ეპყრა ჯვარისმტვირთველს. ეს პროფესია, როგორც ქვემოთ ენახავთ, პირდაპირაა დაფიქსირებული ქართულ არმიაში. ამდენად, ვახტანგ გორგასალის წმინდა ჯვარი, ქრონიკების მიხედვით, ქართული არმიის წინ ომში წამძღვანებულად ფიქსირდება გიორგი მესამის ეპოქაში, თუმცა ალბათ იგივე დავითის დროსაც და ადრეც ეს ჩვეულებრივი მოვლენა იქნებოდა. აქ ისევ იბადება კითხვა: თუ არმიას წინ ქრისტეს ჯვარი მიაქვს, რატომ არის ასეთი დაუშვებელი, რომ დროშაზე ჯვარი ან ჯვრები ჰქონდეს გამოსახული, თუკი ეს ფაქტი სხვა წყაროებითაც დასტურდება?

ბრძოლის წინ გიორგი მესამე მიმართავს არმიას: „*აცნო ძმანო, ერისკაცნო და ერთრჯულნო! თუ რაზომ დიდად კეთილ არს სარმრთოთა სჯულთა და ქრისტეს სახარებისათვის სიკედილი* [...]" (8). მეფე გიორგის მიხედვით, მსგავსი მხრე სიკვდილი საკუთარ გზის შესაფერისი შემზადება იქნება. შემდეგ გიორგი მესამეს მოყავს მაგალითები, როგორ დადეს თავი ჭეშმარიტი რელიგიისათვის ებრაელებმა და ბერძნებმა სპარსელებთან ბრძოლაში. „*აწ ფრთოვანნო ლომნო ჩემნო,* [...] *აღვიხვნეთ ლახვარნი და ოროლნი და უგმირნეთ ურწმუნოთა ღვთაებისა მისისათა*" (8). გიორგი მესამე წარმოთქვამს ‘ეკანასკნელ ლოცვას და მოუწოდებს თავის არმიას: „*მოუმენო, იგიცა ეჯობთ, რომელმანცა უმსწრაფეს უხვთქნეთ დროშის მქონესა და დაცემითა მისითა დაესცეთ ბანაკი ნავალისი*" (9).

მაჰმადიანებთან ომი, გიორგი მესამის მიხედვით, არის ქრისტესათვის ცხოერება და სიკვდილი. აქვე გაკრთება, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ჯვაროსნული" აზრიც, რომ ურწმუნოებთან ბრძოლაში დაღუპეთ საუკუნო სასუფეველს შეიმზადებენ. ომის წინ მეფე აღასრულებს რელიგიურ რიტუალებს ლოცვის სახით. ყოველივე ეს თვალსჩინო მაგალითია უკვე მრავალჯერ ნახსენები სამხედრო-ქრისტიანული იდეოლოგიისა. ამასთან, ბრძოლისას ურწმუნოთა ღვთაებაც უნდა განგმირონ. ურწმუნოთა ღვთაებას მოკლავენ მტრის დროშის ძირს დაცემით. საინტერესოა აგრეთვე ძველი ბერძნების საკუთარ მხარეზე ყართვა ურწმუნოებთან დაპირისპირებასთან დაკავშირებით მოხმობილი შედარებების კონტექსტში. ეს ფაქტი მიუთითებს ამ ეპოქის საქართველოში ერთგვარ პუმანისტურ ტენდენციებზე. გასაგებია: ქართველები თავიანთი ბრძოლებით, რომელთაც რელიგიური მსოფლმხედველობა უდევს საფუძვლად, აგრძელებენ ებრაელთა, ბიბლიური ერის ხაზს. ამგვარი შედარება კარგად ჯდება ქრისტიანული მსოფლმხედველობის ფარგლებში. მაგრამ ებრაელებთან ერთად ანტიკური ბერძნების დაწყვილება ამ სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობის პოზიციებიდან, ერთის მხრივ, ულოგიკობაა. რადგან, აღნიშნული გადასახედიდან აღებული, ანტიკური ბერძნებიც მაჰმადიანთა მსგავსი წარმართები არიან. მაგრამ აქ შემოდის, როგორც ითქვა, ერთგვარი პუმანისტური ელემენტი. ქრონისტი კულტურულ პლანში ანტიკურობის მემკვიდრედ უნდა თვლიდეს თავს.

ანისთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ უცნობი ავტორი განაგრძობს: „*ამას ესეოთარსა განსაცხრომელსა და სახარულევანსა მეფობასა შინა თვით მეფე მისით სპითურთ გარდამავალი თაყვანისმცემელ ექმნა ზენასა განგებასა. არა სჯულთა სიმტკიცეთა, არცა მსხვილბარკალთა მაბაკაციისათა, არამედ მას ზენასა ხვედრსა და ზეშთა წმიდასა განგებასა უგალობდა. დამხეულ სიმდაბლითა დავარდა წინაშე უფლისა*

ღმრთისა საბაოთისთა ძალთასა და ცრემლთა მიერ სულდართულ დაჯდა განსვენებად [...]" (10).

ქრონისტი ხაზს უსვამს: გამარჯვების ამ სიხარულში მეფე მიწაზე ემხობა, ღმერთს თაყვანს სცემს და მადლობას შესწირავს. აქაც ვხედებით კარგად ნაცნობ მოტივს ქრისტიანთათვის ყველა გამარჯვების ღმერთის მიერ მინიჭების შესახებ. ამასთან, ეს გამარჯვება მოიპოვეს არა ადამიანური ძალის წყალობით, არამედ მხოლოდ ღმერთის შეწევნით.

გიორგი მესამის გამარჯვების შემდეგ მზადდება მაჰმადიანთა კოალიციური ლაშქრობა საქართველოს წინააღმდეგ: „ [...] *განისმა ამოწყვეტა შამისა და ჯაზირისა, სომხითისა და არზრუმისა ლაშქართა, ხელმწიფეთა და დიდებულთა. მიესმა სულტანსა ხვარასნისასა და ერაყისასა, და ხალიფას მპყრობელსა დიდისა ბაბილოვნისასა და ცრუ სჯულისა მდებელსა სარკინოზობისასა, და ეარაზგ ათაბაგსა სპარსეთისასა. და მწევართა და შემკრებელთა ისლამობისათა მოახსენეს და ძებნეს ცეცხლითა განლეულნი ძვალნი ზოროასტროსისნი, რომელი იყო პირველი მეფე და ეარსკლავთმრიცხველი სპარსთა შორის*"[...]" (11).

კარგად ჩანს, როგორია მაჰმადიანობისადმი დამოკიდებულება ქრისტიანობის პოზიციიდან. საქართველოს მოწინააღმდეგედაც ერთიანი ისლამური სამყაროა დასახული. ამასთან, მოწინააღმდეგე მაჰმადიანებს, არც მეტი, არც ნაკლები, ზარატუსტრას ძელებიც ეზიარებიან ქრისტიან ქართველებთან დაპირისპირებისას.

ერთ-ერთ ბრძოლაში გიორგი მესამე მარცხდება სპარსელებთან. ქრონისტი აღნიშნავს, მოხდა საკვირველი საქმე, დამარცხების მიუხედავად, ქართველთა მხრიდან ბრძოლაში არ დაღუპულა არა თუ არც ერთი ცნობილი დიებული, არამედ რომელიმე თაეადის უმაც კი, „*თვინიერ ერთისა ჯვარისმტვირთველისა ქანისძისა და ერთისა ბედითის კაცის აზნაურის კიდე. გარნა ჯვარი წარმოყვანებულ იქმნა მშვიდობით*" (14).

„ისტორიანი და აზმანის" მიხედვით დასტურდება, რომ საქართველოს არმიას წინ მიუძღოდა ჯვარისმტვირთველი ქრისტეს წმინდა ჯვარით. საეარაუდოდ, ეს არის იგივე ჯვარი, რომელიც დაფიქსირებულია ვახტანგ გორგასალის ცხოვრებაში და რომელიც „მატიანე ქართლისას" მიხედვით სასწაულებრივად გადაურჩა თურქებისაგან მოტაცებას. გორგასალის შემდეგ ეს ჯვარი აღმართული ყოფილა მცხეთაში. ამასთან, ქართულ არმიაში არსებობდა ჯვარისმტვირთველის თანამდებობა.

დემნას აჯანყების მონაწილე დიდებულები მაჰმადიანური ქვეყნებისაგან ცდილობენ დახმარების მიღებას, ზოგი წავიდა შაპარმენთან, ზოგი – სპარსეთის სულტანსა და ათაბაგთან. თუმცა საქართველოდან გაქცეულმა დიდებულებმა გიორგის საწინააღმდეგოდ ჯარის შეკრება ვერ შეძლეს. „*ეგრეთვე უქმადვე უკუნაქცია მართლმსაჯულობამან ქრისტესმან*" (20).

ფაქტიურად ნებისმიერი ისტორიული მოელენა ქრონიკებში უკავშირდება ღმერთის ნებას და ღმერთის საერთო სისტემას.

სახელმწიფოს დიდებულები გიორგი მესამის გარდაცვალების შემდეგ მოახსენებენ დედოფალ რუსუდანს, თამარის მამიდას, თამარის გამეფებასთან დაკავშირებით:

„ [...] *აღვიდეს და ამაღლდეს და დაჯდეს საყდარსა თვისთა მამათასა აღპყრობითა და აღძღვანებითა ძელისა ცხოვრებისათა.* [...]" (26). თამარი ტახტზე უნდა ავიდეს წმინდა ჯვარის აღძღვანებით, ანუ მისი გამეფება ჯვრისაგან იქნება კურთხეული და მისი მოქმედებაც ამ ჯვრის ნიშნით უნდა მიდიოდეს.

ავტორი აღწერს თამარის მეფედ კურთხევას: „*აღმყვანელთა საყდართა და საჯდომთა მამაპაპეულთა აღსვეს მზე იგი მზეთა და ნათელი ნათელთა.* [...] *და მოიღეს გვირგვინი.* [...] *და მოახსენეს მთასა ზეთისხილთასა ჯვარი გამოჩენილი კოსტანტინესთვის.* [...]" (26). აქ იგულისხმება: იმპერატორ კონსტანტინეს ჯვარი ეხლა საქართველოშია და ეს ჯვარი უნდა აღიძღვანოს ტახტზე ასვლისას თამარმა. საეარაუდოდ ეს არის ის ჯვარი, რომელიც იმპერატორ კონსტანტინესაგან მიიღო მეფე მირიანმა და რომელიც მნიშვნელოვან ომებში ქართულ არმიას წარემძღვარება წინ. ქრისტეს მეორე ჯვარი ბიზანტიის იმპერატორისაგან

მიიღო ვახტანგ გორგასალმაც. შესაძლოა ამ ეპოქის ქრონისტებთან რიგ შემთხვევებში ეს ჯვარიც იგულისხმებოდეს. თუმცა იმ ფაქტის გარკვევას, როდის რომელი ჯვარი იგულისხმება, ამ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა ალბათ არცა აქვს.

„ისტორიანი და აზმანის" ავტორი ხაზს უსვამს, რომ თამარ მეფე უწინარესად ფლობდა ღმერთის შიშს. ამის შემდეგ კი: *„ესეოდენნია დიდებანია და სიმდიდრეთა გარდარეულთა და სიმაღლესა შინა ესრეთ იყო. ეითარმცა ყოველად არარაი ჰქონებოდა, და უდარეს და უულახაკეს ყოველთა კაცთასა შეერაცხა თავი თვისი* [...]" (28). მაგრამ ნურც იმას იფიქრებთო, რომ ღმერთისათვის თავგადადებულს ქვეყნის მართვისათვის ნაკლები ყურადღება დაეთმო. *„არამედ უზესთაეს ყოველთა მეფეთა და ბრძენთა და ფილოსოფოსთასა კეთილად განაგო და შეამყო და წარმართა"* (28) სახელმწიფო საქმეები. თამარმა, თავდაპირველად საღმრთო ცხოვრებას და ზენა დიდებას რომ ეძიებდა, *„ქვენაცა ესე დიდება და სიმდიდრე უხვებით და საკსებით მიიღო"* (28).

აქ საქმე გვაქვს კვლავ ქრისტიანულ, ადამიანის მთლიან იდეალთან, ქართული ქრონიკებისათვის რომ არის დამახასიათებელი. უწინარესად ორიენტირება ხდება ნამდვილ, ზეესთასოფლურ, ქრისტიანულ ღირებულებებზე, ხოლო ამის შემდეგ დაშვებულია საერო ცხოვრების და საერო ბრწყინვალების მიღებაც. საერო ბრწყინვალება და საერო სიმდიდრე, ან ძალაუფლება ამ მსოფლმხედველობაში მხოლოდ მაშინ პოვებს თავის ადგილს, თუ მას უკან უდგას ნამდვილი, რელიგიური ღირებულებები. ქრონიკებში ადამიანის ეს მთლიანი ხატი ქრისტიანული მსოფლმხედველობის შიგნით ყალიბდება (აქ სამწუხაროდ ადგილი და საშუალება არ არის, რათა ადამიანის ეს ხატი შეეადაროთ სარაინდო რომანის ან ჰაგიოგრაფიის ადამიანის ხატს). ასევე უნდა აღვნიშნო: თამარის ქრისტიანული პოლიტიკის თუ ცხოვრების ქრისტიანულ კრედოსთან დაკავშირებით ვეხები მხოლოდ ცენტრალური მნიშვნელობის მქონე პასაჟებს. სხვა შემთხვევაში აქაც თითქმის მთელი ქრონიკის გადმოწერა იქნებოდა აუცილებელი.

ქრონისტი ეხება მხარგრძელების გრიგორიანულ სარწმუნოებას: *„ესე ზაქარია და ივანე მხარგრძელის ძენი, დაღაცათუ მეფეთათვის ერთგულნი იყენეს და დიდად გამოცდილნი ლაშქრობათა შინა, კაცნი სახელოვანნი, არამედ სჯულითა სომეხნი იყენეს. ესე ივანე წერილთა ზედმიწევნით მეცნიერი იყო. რომლისათვისცა გულისხმა ჰყო სიმრუდე სჯულისა თვისისა, ნათელიღო და იქმნა ჭეშმარიტი ქრისტიანე.* [...]" (33). კვლავ ვხედავთ, რომ სარწმუნოების საკითხებში ცენტრალური სახელმწიფო ხაზი უკომპრომისოა. განსხვავებული აღმსარებლობის მქონე მხარგრძელების სახელმწიფო აპარატში მოთმენა ერთის მხრივ ტოლერანტობაა, მეორეს მხრივ, თავიდან ამ ფაქტს, როგორც არაერთხელ აღნიშნულა, ალბათ პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა, ვიდრე სომხეთის მიწებს საბოლოოდ შემოიმტკიცებდნენ. სომხეთში ქართველთა მდგომარეობის გამყარებასთან ერთად, იწყება სომეხთა მოქცევის მცდელობები.

ქრონისტი მოგვითხრობს, თუ როგორ შეუყვარდება არსრუმის მაპმადიანი ამირას შვილს თამარი. ამისათვის მშობელთა ნების საწინააღმდეგოდ მაპმადიანობაზე უარის თქმასაც არ ერიდება: „ [...] *აღარ დამხედმან მშობელთა არნებობისამან და დამგდებელმან მჯამედიასამან, სჯულისა ტკბილისამან, რომელმან მოზიდვითა კაცთათა უმოძღვრა კაცთა საწუთო ესე ნებასა ზედა თვისსა.* [...]" (43). მაპმადიანობა ამქვეყნიურ სიამოვნებათა რელიგიად ისახება, რაც, ცხადია, თავისთავად მიანიშნებს, რომ ეს აღმსარებლობა ქრისტიანობაზე, ზესთასოფელზე ორიენტირებულ რელიგიაზე თვისებრივად დაბლა დგას. ქრონიკებში ყველგან იგრძნობა რელიგიური დაპირისპირების ფაქტორი.

ლაშა-გიორგის დაბადებასთან დაკავშირებით შენიშნულია: *„იხარებდეს, იშვებდეს, იმოთხვიდეს სამოთხესა შინა ამის საწუთოსასა, განმათავისუფლებელნი ტყვეთანი, შემწირველნი ეკლესიათანი, მწირეებელნი მღდელთანი და მიმცემელნი მონაზონთანი, მოწყალენი გლახაკთანი, ერთბამად მადიდებელნი ღმრთისანი, მწყობელნი ეპისკოპოსთანი შეიღისავე სამყოთა სპათა თანა. და თვით დედოფალმან რუსუდან და გაზრდილმან მსმან მეფემან დაკით და დამან თამარისმან და ყოველთა მყოფთა ამის სამეფოსათა,*

მსგავსად მოგეთასა, ხელყევს ძღვნებად და მინიჭებად" (57).

თამარის ეპოქაში შევებასაც და გახარებასაც საფუძელად ედება უწინარესად ქრისტიანული სათნოებები. მხოლოდ ამ სათნოებებზე დამყარებულ ლხენას აქვს ღირებულება. საინტერესო შინაარსის ტერმინია აგრეთვე წუთისოფელში არსებული სამოთხე, რის შექმნაც სწორედ აღნიშნული ქრისტიანული სათნოებების და კურტუაზული, საკარო ცხოვრების წესის ერთმანეთთან შერწყმით უნდა იყოს შესაძლებელი ქრონისტის მიხედვით. მნიშვნელოვანია აგრეთვე ცნობა, რომ შეიდიევ სამეფოს არმიას თან ახლაეან ეპისკოპოსები. ეს ფაქტიც მიუთითებს, რომ სახელმწიფო, საერო პოლიტიკა და რელიგიური ფაქტორი შუა საუკუნეების საქართველოში ერთმანეთისაგან განუყოფელი იყო. ციტატის ბოლოს კი გაკეთებულია საკმაოდ გაბედული და სარისკო შედარებაც: როგორც მოგვებს მიუტანიათ ძღვენი მაცხოვარის დაბადებისას, ასეთივე საჩუქრები კეთდება ახალშობილი ლაშა-გიორგის სახელზე.

თამარის ჯარი ილაშქრებს არზრუმზე: „*შიგნით* [არზრუმში] *მყოფნი, ვითარცა მხეცნი, ილრკესენდეს კბილსა მათსა და წვერსა იფხვრიდეს.* [...] *და მთქმელნი ესრე ტიროდეს: ვინა ნუმცა ესევითარი შერისხვა, ვინათგან არაოდეს გვიხილავს ტომი ქრისტიანეთა სანახებსა საყოფელთა ჩვენთასა*" (58). კელავ წინა პლანზეა ქრისტიანთა და მაჰმადიანთა დაპირისპირება. ამასთან, თამარის ისტორიკოსებთანაც ქართველები გაცილებით ხშირად აღნიშნებიან ტერმინ „ქრისტიანით", ვიდრე – „ქართველით".

აღწერილია შამქორის ბრძოლა. არმიას წინ მიუძღვის მწიგნობართუხუცესი ანტონი ქრისტეს ჯვარით ხელში. „*განმამხნობელნი ურთიერთარსისანი, მომგონებელნი ქრისტეს მათისათვის ენებათანი, აღმხილველნი ღმრთისა და მითვალველნი და მისთა შევრდომითა თაყვანისმცემელნი, შემვედრნი სულთა და სხეულთანი მოახსენებდეს ერთი-ერთისა სიმხნესა, მარჯვებულობასა პაპათა და მამათასა, თუ ვითარ ძველ ოდესმე წინაშე დავითისა ოცდაათშვიდმეტნი გმირნი მბრძოლობდეს და მძლეობდეს უცხოთესლთა და ვითარ სპანი ვახტანგისნი წინაშე ვახტანგისა, და ვითარ სპანი ახლისა დავითისნი წყობათა დავითისთა იერუსალემს ერთობდეს, აწ შვილისა მის თამარისნი.* [...]" (69).

შამქორის ომის წინა ვითარებაც ნათლად გამოხატავს სამხედრო-ქრისტიანული იდეოლოგიის დომინანტობის ფაქტს საერო სახელმწიფოსა და საერო არმიაში. მწიგნობართუხუცეს-ჯყონდიდელს შამქორის ბრძოლაში წინ მიაქვს ქრისტეს ჯვარი. მეომრები იგონებენ ქრისტეს ტანჯვას, რომელიც მაცხოვარმა მათთვის გადაიტანა. მიწაზე დაცემულნი ლოცულობენ ღმერთის სახელზე. თავის გასამხნევებლად იხენებენ წინაპართა საგმირო საქმეებს. ეს ფაქტორიც წმინდა რელიგიურ ჩარჩოშია მოქცეული. პირველად სახელდება ბიბლიური დავითი, შემდეგ – ვახტანგ გორგასალი, რომელიც რა იდეოლოგიით იბრძოდა იერუსალიმისათვის, უკვე ვნახეთ, ბოლოს კი – დავით აღმაშენებელი, ასევე იერუსალიმისათვის ომის კონტექსტში (ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული მართებული მოსაზრების თანახმად, იერუსალიმში დავითის წყობასთან ახალი დავითის ჯარის შეერთება უნდა გულისხმობდეს, რომ დავით აღმაშენებელის გარკვეულმა საჯარისო კონტიგენტმა ჯვაროსნების რომელიმე ოპერაციაში შესაძლოა მონაწილეობა მიიღო).

შამქორის ბრძოლაში სპარსეთის ათაბაგზე გამარჯვების შემდეგ ნათქვამია: „*მადრასათა წილ აღმართნეს ეკლესიანი და მყივანთა წილ ჰკრეს ძღესა, და ნაცელად მუყრთა იხილეუბოდა ღაღადება მღდელთა ადონაისადმი: 'უფალო საბაოთ ძალთასა*" (72). აღნიშნულ ადგილსაც არ სჭირდება დიდი კომენტარი. ყველაფერი მიდის ქრისტიანობის გამარჯვებების და ისლამთან დაპირისპირების ნიშნით.

„ისტორიანის და აზმანის" აეტორს მოაქვს ხალიფას დროშის გელათის მონასტრისადმი შეწირვასა და სპარსელებზე გამარჯვებასთან დაკავშირებით თამარის მიერ დაწერილი იამბიკო. თამარი მიმართავს ღვთისმშობელს:

„ [...] *შენგან, ქალწულო, რომელსა შენთვის დავით*
როკვიდა, ძისა ღმრთისა ძედ შენდა ყოფად,
მე, თამარ, მიწა შენი და მიერიე,

ცხებულობასა ღირსმყოფ და თეისობასა.
ეღვეს, ღადირთად. საჰხრით და ჩრდილოეთით
შუამყლობელი იეარს შენდა ემრთმელობ,
ჩალიფას დროშა თანავე მანიაკსა
შვერთე. ცრუ-სჯულთა მოძღვრისა ღაზოდ მძღვანი,
ვინ დაეით. ძეებრ ეფრემის მოისარმან,
მოორთხნა. მოსრნა სულტნითა. ათაბაგით.
ერანს ებრძოლეს ჩემ მიერ მისთა სპათა
ჩვენნი მხეღარნი. მოსავნი შენნი, სძალო,
მოწულნეს. მოსწყვიდეს აგარის ნათესავნი.
მუნით მოხმულთა ნიჭთაგან ერთსა ამას
შენდა შვეწირავ. მიოხე ძეებრ, ღმერთო!" (74-75).

თამარის იამბიკოც გამსჭვალულია შემტევი, მაჰმადიანებთან მკვეთრად დაპირისპირებული სამხედრო-ქრისტიანული იდეოლოგიით. ამასთან, თამარი ნათლად ამბობს: აგარის ნათესავებს, ანუ მაჰმადიანებს, ებრძვის ღვთისმშობელის მოსავი, ღვთისმშობელის თაყვანისმცემელი არმია. ეს არმია ომობს თამარის „მიერ". არმია ომში მიყავს დავითს, დავით სოსლანს და მანვე წაართვა მტერს ხალიფას დროშა. ამიტომ ქართველი არმია არის „მისი სპა", ანუ დავითის. მაგრამ აქ ქრონისტი სახელ დავითში ორ მნიშვნელობას უნდა სდებდეს. რადგან იამბიკოს პირველ სტრიქონებში ლაპარაკია ბიბლიურ დავითზე. შესაბამისად, ქართული ლაშქარი იმავდროულად არის ღმერთის არმია, ქრისტეს არმია, ბიბლიური არმია და ღვთისმშობლის არმიაც. ამ ნიშნით მიდის თამარის მთელი მეფობა. ასევე აღიქვამენ თამარის მეფობას მაჰმადიანებიც და დასავლეთევროპელებიც. ფაქტიურად თამარის მეფობაში წარმოებული ყველა ომის საფუძველია აქტიური, სამხედრო-ქრისტიანული იდეოლოგია. ეს მსოფლმხედველობა თავისი არსებით იდენტურია დასავლეთევროპული ჯვაროსნული იდეოლოგიის. ის ფაქტი, რომ ქართული არმიის ომებს რელიგიურზე უწინარესად პოლიტიკური მოტივაცია ჰქონდა, ეითარებას არ ცვლის. ამ შემთხვევებში მხოლოდ ცალკეული ნიუანსების გადაადგილებასთან გვაქვს საქმე, როდის არის გარკვეული ომი მხოლოდ რელიგიური ომი და როდის იწარმოება პოლიტიკური ხასიათის ომი რელიგიური მსოფლმხედველობის საფუძველზე. იგივე დასავლეთ ევროპაში ესპანურ რეკონკისტას მთლიანად პოლიტიკური მოტივაცია უდევს საფუძვლად. მაგრამ რეკონკისტას აქვს რელიგიური ომის სახე. როდესაც ჯვაროსნები პირველად მიდიან პალესტინისაკენ აღმოსავლელი ქრისტიანების დასახმარებლად და მაცხოვარის საფლავის გასათავისუფლებლად, ეს არის წმინდა რელიგიური, საღვთო ომი. ოღონდ ყალიბდება თუ არა პალესტინაში იერუსალიმის სამეფო, ჯვაროსანთა პოლიტიკური ერთეული, ამ სამეფოს მიერ გამართულ ომებს აქვს უკვე უმთავრესად პოლიტიკური მოტივაცია და მიზნები. რელიგიური ფაქტორი გადადის მეორე პლანზე. თუმცა იერუსალიმის სამეფოს ომების აბსოლუტურ უმრავლესობას საფუძვლად უდევს სამხედრო-ქრისტიანული იდეოლოგია. აღნიშნულ საკითხებზე ამ შემთხვევაში დეტალური საუბარის საშუალება, როგორც ითქვა, არ არის.

თამარის იამბიკოში მოცემულია ასევე მცირე გეოგრაფიული ინფორმაცია, რომლითაც შუა საუკუნეების ქართველების გეოგრაფიულ წარმოდგენებზე გარკვეული სურათი შეიძლება შეიქმნათ. თამარი ასახელებს ქვეყნიერების ოთხ უკიდურეს მხარეს: ჩრდილოეთი, სამხრეთი, ღადირი და ედემი. ჩრდილოეთი და სამხრეთი სად მთავრდებოდა ქართველებისათვის, ძნელი სათქმელია. მაგრამ ღადირის და ედემის სახით მოცემულია ორი კონკრეტული გეოგრაფიული პუნქტი. ღადირი ეს არის გადესი, გიბრალტარის სრუტესთან მდებარე ქალაქი. ხოლო უკიდურეს აღმოსავლეთში თამარის მიხედვით თავსდება სამოთხე. როგორც ქვემოთ კარტოგრაფიული მასალის ანალიზისას ვნახავთ, ეს მონაცემები მთლიანად თანხვდება შუა საუკუნეების ქრისტიანული სამყაროს გეოგრაფიულ წარმოდგენებს. ამასთანავე, თამარის იამბიკოში უკვე მოცემულია საქართველოს მსოფლიო

ქრისტიანული ბატონობის პრეტენზია, რადგან თამარი ისახება ჩრდილოეთს, სამხრეთს, ღადირს და ედემს შუა მდებარე ტერიტორიის, ანუ მთელი მსოფლიოს მბრძანებლად.

ქრონისტი ეხება სპარსელებისაგან ამირ-მირანის მოწამელის ფაქტს: *„ეინათგან ṗიბრძნელ და მეცნიერობად ნათესაესა აგარიანთასა აქვს საქმე გრძნებისა და მოგვობისა.* [...] *შემდგომითი შემდგომად არიან მჩხიბავნი, მწამლველნი, უარისმყოფელნი ღმრთისანმ*" (76). ასე ვერაგულადვე მოაწალინებს ათაბაგი აბუბექრი მის ძმას ამირ-მირანს. მაჰმადიანობის ნეგატიურ ჭრილში წარმოჩენა, რომ ისინი არიან გრძნეულნი, მწამლველნი და ასე შემდეგ, აგრძელებს ტრადიციულ ხაზს.

ქრონისტი მოგვითხრობს თამარის ქრისტიანულ სათნოებათა შესახებ: *„ვერ შეიტყუა იგი* [თამარი] *საშვებელმან ამის საწუთროსამან, არცა მეფობამან გვირგვინისამან და სკიპტრამან, არცა ქვათა პატიოსანთა უხვად ქონებამან, არცა სპათა სიმრავლემან* [...]" (79). მრავალი ძველი მეფის, განსაკუთრებით ბრძენი სოლომონისაგან განსხვავებით, თამარი ერთი წუთითაც არ გადასცდენია ღმერთისათვის სასურველ გზას. *„ესრე უბრძნე იქმნა ბრძენისა მის* [სოლომონის], *რომელ ესეოდენ შეიყვარა ღმერთი იგი და უცხო ექმნა საკითხურთა სოფლისათა*" (79). ღმერთმაც ისმინა მისი და სანაცველო მიაგო ღვთისმოსავი ცხოვრებისათვის: *„რამეთუ ღამე ყოველ მღვიძარება, ლოცვა, მუხლთ დრეკა და ცრემლით ვფცრება ღმრთისა ზემდგომრობითა განსაკირველელ აქნდა*" (79). კვლავ ლამის ასკეტური ქრისტიანობა წამოიწევა წინა პლანზე თამარის დახასიათებისას. სხვათა შორის, ყველა ბაზალური ქართველი მეფე სწორედ ქვეყნისათვის ამ თავდადებით და ლამის ასკეტური ბუნებით გამოირჩეოდა.

აქ აღარ მოვიტან სცენას სომხებთან სარწმუნოებრივი დაპირისპირებისა, სადაც იმისდა მიხედვით, თუ ვის, ქართველების, ან სომხების, სეფისკვერს შეჭამს სამ დღეს ნაშიმშილევი ძაღლი, უნდა გადაწყდეს, რომელი მხარის აღმსარებლობაა ჭეშმარიტი. ქართველთა სამეფო კარი იმდენადაა ქრისტიანული მსოფლმხედველობით გამსჭვალული, რომ ხანდახან ეს უცნაურ ფორმებსაც კი ღებულობს, როგორც მაგალითად ძაღლის, სეფისკვერის და ამ არცთუ სასახელო „გამარჯვებასთან" დაკავშირებით მოწყობილი სახეიმო ლიტანიის შემთხვევაში. მაგრამ თითოეული ასეთი ამბავი კიდევ უფრო უსვამს ხაზს ქრისტიანული მსოფლმხედველობის დომინირებას და ყველაფერ ამას რომ ეკითხულობთ, საქართველოს დროშაზე მოთავსებული ერთი ან ხუთი ჯვარის ფაქტი ისეთ საოცრებად აღარ გვეჩვენება. აგრეთვე არ მოვაქვს ნაშრომში ქრონიკების ერცელი ციტატები თამარის მიერ საქართველოში თუ დანარჩენ მსოფლიოში გაფანტულ ქართულ მონასტრებზე გამოჩენილი მზრუნველობის და პატრონობის შესახებ. ყველა ამ ფაქტში ისევდაისევ ნათლად ჩანს, რომ სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის თვალსაზრისით ქრისტიანობას ალტერნატივა არა აქვს.

რუქნადინის კარგად ცნობილ, თამარისადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „[...] *შენ გიბრძანებია ქართველთათვის აღებად ხრმალი მუსულმანთა ხოცად. ესე არცა რომელ ხრმალი დიდისა მოციქულისა მოამედისა, მისისა ერის თავისა, ბოძებულთა. აწ წარმომიყენია ყოველი მხედრობა ჩემი, რათა აღვხოცო ყოველი მამაკაცი მაგ ქვეყნისა. და ცოცხალი იგი ოდენ დარჩეს, რომელი წინამომეგებოს, თავეანი სცეს ჩათრსა ჩემსა, სასოება იგი თქვენი ჯვარი წინაშე ჩემსა დალეწოს და მოამადი აღიაროს*" (93). რუქნადინის წერილში კარგად ჩანს, თუ როგორ ესმოდათ მაჰმადიანებს ქართველთა პოლიტიკა და ეს კარგად დასტურდება აღმოსავლური წყაროებითაც. მიუხედავად ქართველი მეფეების იშვიათი ტოლერანტობისა. რუქნადინიც ქართველთა წინააღმდეგ მუჰამედის არმიას გზავნის.

თამარის საპასუხო წერილი გამსჭვალულია სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობის ელემენტებით: *„ძალსა ღმრთისა ყოვლის მპყრობელისასა მინდობილმან, მარადის ქალწულისა მარიამისა სასოებით მოსაკმან და პატიოსნისა ჯვარისა მვედრებელმან წარეიკითხე ღმრთისა განმარსხებული წიგნი შენი.* [...] *შენ ოქროსა მეყვირეთა სიმრავლისად მინდობილ ხარ, ხოლო მე – არცა სიმდიდრესა და არცა*

ცხებულობასა ღირსებასა და თეისობასა.
ჟღეჟს. ღადირთად. სამხრეთ და ჩრდილოეთით
შეუპყრობელი იავარს შენდა ემრთმელობ,
ხალიფას დროშა თანავე მანიაკსა
შეურთე. ცრუ-სჯულთა მოძღვრისა ლაზოდ მძღეანი,
ვინ დავით. ძეებრ ეფრემის მოისარმან,
მოირთხნა. მოსრნა სულტნითა. ათაბაგით.
ერანს ებრძოლეს ჩემ მიერ მისთა სპათა
ჩვენნი მხედარნი. მოსავნი შენნი, სძალო,
მოწყალნეს. მოსწყვიდეს აგარის ნათესავნი.
მუნით მოსმულთა ნიჭთაგან ერთსა ამას
შენდა შევწირავ. მიოხე ძეებრ, ღმერთო!" (74-75).

თამარის იამბიკოც გამსჭვალულია შემტევი, მაჰმადიანებთან მკვეთრად დაპირისპირებული სამხედრო-ქრისტიანული იდეოლოგიით. ამასთან, თამარი ნათლად ამბობს: აგარის ნათესავებს, ანუ მაჰმადიანებს, ებრძის ღვთისმშობელის მოსაე, ღვთისმშობელის თაყვანისმცემელი არმია. ეს არმია ომობს თამარის „მიერ". არმია ომში მიყავს დავითს, დავით სოსლანს და მანვე წაართვა მტერს ხალიფას დროშა. ამიტომ ქართული არმია არის „მისი სპა", ანუ დავითის. მაგრამ აქ ქრონისტი სახელ დავითში ორ მნიშვნელობას უნდა სდებდეს. რადგან იამბიკოს პირველ სტრიქონებში ლაპარაკია ბიბლიურ დავითზე. შესაბამისად, ქართული ლაშქარი იმავდროულად არის ღმერთის არმია, ქრისტეს არმია, ბიბლიური არმია და ღვთისმშობლის არმიაც. ამ ნიშნით მიდის თამარის მთელი მეფობა. ასევე აღიქვამენ თამარის მეფობას მაჰმადიანებიც და დასავლეთევროპელებიც. ფაქტიურად თამარის მეფობაში წარმოებული ყველა ომის საფუძველია აქტიური, სამხედრო-ქრისტიანული იდეოლოგია. ეს მსოფლმხედველობა თავისი არსებით იდენტურია დასავლეთევროპული ჯვაროსნული იდეოლოგიის. ის ფაქტი, რომ ქართული არმიის ომებს რელიგიურზე უწინარესად პოლიტიკური მოტივაცია ჰქონდა, ვითარებას არ ცვლის. ამ შემთხვევებში მხოლოდ ცალკეული ნიუანსების გადაადგილებასთან გვაქვს საქმე, როდის არის გარკვეული ომი მხოლოდ რელიგიური ომი და როდის იწარმოება პოლიტიკური ხასიათის ომი რელიგიური მსოფლმხედველობის საფუძველზე. იგივე დასავლეთ ევროპაში ესპანურ რეკონკისტას მთლიანად პოლიტიკური მოტივაცია უდევს საფუძვლად. მაგრამ რეკონკისტას აქვს რელიგიური ომის სახე. როდესაც ჯვაროსნები პირველად მიდიან პალესტინისაკენ აღმოსავლელი ქრისტიანების დასახმარებლად და მაცხოვარის საფლაევის გასათავისუფლებლად, ეს არის წმინდა რელიგიური, საღვთო ომი. ოღონდ ყალიბდება თუ არა პალესტინაში იერუსალიმის სამეფო, ჯვაროსანთა პოლიტიკური ერთეული, ამ სამეფოს მიერ გამართულ ომებს აქვს უკვე უმთავრესად პოლიტიკური მოტივაცია და მიზნები. რელიგიური ფაქტორი გადადის მეორე პლანზე. თუმცა იერუსალიმის სამეფოს ომების აბსოლუტურ უმრავლესობას საფუძვლად უდევს სამხედრო-ქრისტიანული იდეოლოგია. აღნიშნულ საკითხებზე ამ შემთხვევაში დეტალური საუბარის საშუალება, როგორც ითქვა, არ არის.

თამარის იამბიკოში მოცემულია ასევე მცირე გეოგრაფიული ინფორმაცია, რომლითაც შეა საუკუნეების ქართველების გეოგრაფიულ წარმოდგენებზე გარკვეული სურათი შეიძლება შეეიქმნათ. თამარი ასახელებს ქვეყნიერების ოთხ უკიდურეს მხარეს: ჩრდილოეთი, სამხრეთი, ღადირი და ედემი. ჩრდილოეთი და სამხრეთი სად მთავრდებოდა ქართველებისათვის, ძნელი სათქმელია. მაგრამ ღადირის და ედემის სახით მოცემულია ორი კონკრეტული გეოგრაფიული პუნქტი. ღადირი ეს არის გადესი, გიბრალტარის სრუტესთან მდებარე ქალაქი. ხოლო უკიდურეს აღმოსაელეთში თამარის მიხედეით თავსდება სამოთხე. როგორც ქვემოთ კარტოგრაფიული მასალის ანალიზისას ვნახავთ, ეს მონაცემები მთლიანად თანხვედება შეა საუკუნეების ქრისტიანული სამყაროს გეოგრაფიულ წარმოდგენებს. ამასთანავე, თამარის იამბიკოში უკვე მოცემულია საქართველოს მსოფლიო

ქრისტიანული ბატონობის პრეტენზია, რადგან თამარი ისახება ჩრდილოეთს, სამხრეთს, ღადირს და ედემს შუა მდებარე ტერიტორიის, ანუ მთელი მსოფლიოს მბრძანებლად.

ქრონისტი ეხება სპარსელებისაგან ამირ-მირანის მოწამელის ფაქტს: *„ეინათგან სიბრძნედ და მეცნიერობად ნათესავსა აგარიანთასა აქვს საქმე გრძნებისა და მოგვობისა.* [...] *შემდგომითი შემდგომად არიან მჩხიბავნი, მწამლველნი, უარისმყოფელნი ღმრთისანი*" (76). ასე ვერაგულადვე მოაწალინებს ათაბაგი აბუბექრი მის ძმას ამირ-მირანს. მაჰმადიანობის ნეგატიურ ჭრილში წარმოჩენა, რომ ისინი არიან გრძნეულნი, მწამლველნი და ასე შემდეგ, აგრძელებს ტრადიციულ ხაზს.

ქრონისტი მოგვითხრობს თამარის ქრისტიანულ სათნოებათა შესახებ: *„ვერ შეიტყ�sა იგი* [თამარი] *საშვებელმან ამის საწუთროსამან, არცა მეფობამან გვირგვინისამან და სკიპტრამან, არცა ქვათა პატიოსანთა უხვად ქონებამან, არცა სპათა სიმრავლემან* [...]" (79). მრავალი ძველი მეფის, განსაკუთრებით ბრძენი სოლომონისაგან განსხვავებით, თამარი ერთი წუთითაც არ გადასცდენია ღმერთისათვის სასურველ გზას. *„ესრე უბრძნე იქმნა ბრძენისა მის* [სოლომონის], *რომელ ესეოდენ შეიყვარა ღმერთი იგი და უცხო ექმნა საცოცურთა სოფლისათა*" (79). ღმერთმაც ისმინა მისი და სანაცელო მიაგო ღვთისმოსაეი ცხოვრებისათვის: *„რამეთუ ღამე ყოველ მღვიძარება, ლოცვა, მუხლთ დრეკა და ცრემლით ვეცრება ღმრთისა ზემდგომრობითა განსაკეირვებელ აქენდა*" (79). კვლავ ლამის ასკეტური ქრისტიანობა წამოიწევა წინა პლანზე თამარის დახასიათებისას. სხვათა შორის, ყველა ჰაგიოგრაფი ქართველი მეფე სწორედ ქვეყნისათვის ამ თავდადებით და ლამის ასკეტური ბუნებით გამოირჩეოდა.

აქ აღარ მოეიტან სცენას სომხებთან სარწმუნოებრივი დაპირისპირებისა, სადაც იმისდა მიხედვით, თუ ვის, ქართველების, ან სომხების, სეფისკვერს შეჭამს სამ დღეს ნაშიმშილეი ძაღლი, უნდა გადაწყდეს, რომელი მხარის აღმსარებლობაა ჭეშმარიტი. ქართველთა სამეფო კარი იმდენადაა ქრისტიანული მსოფლმხედველობით გამსჭვალული, რომ ხანდახან ეს უცნაურ ფორმებსაც კი ღებულობს, როგორც მაგალითად ძაღლის, სეფისკვერის და ამ არცთუ სასახელო „გამარჯვებასთან" დაკავშირებით მოწყობილი საზეიმო ლიტანიის შემთხვევაში. მაგრამ თითოეული ასეთი ამბავი კიდევ უფრო უსვამს ხაზს ქრისტიანული მსოფლმხედველობის დომინირებას და ყველაფერ ამას რომ ეკითხულობთ, საქართველოს დროშაზე მოთავსებული ერთი ან ხუთი ჯვარის ფაქტი ისეთ საოცრებად აღარ გეეჩვენება. აგრეთვე არ მომაქვს ნაშრომში ქრონიკების ერცელი ციტატები თამარის მიერ საქართველოში თუ დანარჩენ მსოფლიოში გაფანტულ ქართულ მონასტრებზე გამოჩენილი მზრუნველობის და პატრონობის შესახებ. ყველა ამ ფაქტში ისევდაისევ ნათლად ჩანს, რომ სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის თვალსაზრისით ქრისტიანობას ალტერნატივა არა აქვს.

რუქნადინის კარგად ცნობილ, თამარისადმი გაგზავნილ წერილში ეკითხულობთ: „[...] *შენ გიძრძანებია ქართველთათვის აღვბად ხრმალი მუსულმანთა ხოცად. ესე არცა რომელ ხრმალი დიდისა მოციქულისა მოამედისა, მისისა ერის თავისა, ბოძებულთა. აწ წარმომიელენია ყოველი მხედრობა ჩემი, რათა აღვხოცო ყოველი მამაკაცი მაგ ქვეყნისა. და ცოცხალი იგი ოდენ დარჩეს, რომელი წინამომეგებოს, თაყვანი სცეს ჩათრსა ჩემსა, სასოება იგი თქვენი ჯვარი წინაშე ჩემსა დალეწოს და მოაჰმადი აღიაროს*" (93). რუქნადინის წერილში კარგად ჩანს, თუ როგორ ესმოდათ მაჰმადიანებს ქართველთა პოლიტიკა და ეს კარგად დასტურდება აღმოსავლური წყაროებითაც. მიუხედავად ქართველი მეფეების იშვიათი ტოლერანტობისა. რუქნადინიც ქართველთა წინააღმდეგ მუჰამედის არმიას გზავნის.

თამარის საპასუხო წერილი გამსჭვალულია სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობის ელემენტებით: *„ძალსა ღმრთისა ყოვლის მპყრობელისასა მინდობილმან, მარადის ქალწულისა მარიამისა სასოებით მოსავმან და პატიოსნისა ჯვარისა მვედრებელმან წარვიკითხე ღმრთისა განმარისხებელი წიგნი შენი.* [...] *შენ ოქროსა მეკირეთა სიმრავლისად მინდობილ ხარ, ხოლო მე – არცა სიმდიდრესა და არცა*

ძალსა სპათა ნემთასა, არამედ ძალსა ღმრთისა ყოელისა მპყრობელისასა და ჯვარისა წმიდისა, რომელი შენ ჰბმე. [...]" (93-94). თამარის წერილი თავისთავადაც ეპისტოლარული ჟანრის კარგი ნიმუშია და ქრისტიანული მსოფლმხედველობის შესანიშნავი მაგალითიც. მაჰმადიანი მინდობილია ამქვეყნიურ სიკეთეებს, ხოლო ქრისტიანი მხოლოდ ღმერთის ძალას. ამასთან, თამარის წერილში ისევ წინა პლანზეა ქრისტეს წმინდა ჯვარის ქართველებისადმი შემწეობის მოტივი.

ქრონისტი ლაპარაკობს ბასიანის ბრძოლაზე: *„პირველსა მოკიდებასა და ხეთქებასა ხრმალთასა მოხედა წყალობააურაცხელმან ღმერთმან მოსავთა ჯვარისათა, და განადიდა დიდება დავითისი და თამარისი ვარძიისა ღმრთისმშობელმან*" (97). ქართველები დასახული არიან ჯვარის მოსავებად, ჯვრის მიმდეერებად, ჯვრის თაყვანისმცემლებად. ხოლო ნებისმიერი გამარჯვება მათ უშუალოდ ღმერთისაგან ეძლევათ. ეს მომდეენო ციტატებშიც კარგად ჩანს, რომელთა აქ მოტანის აუცილებლობა აღარ არის.

შემდგომ „ისტორიანსა და აზმანში" უკვე მოდის არდაველის ამირას მიერ აღდგომა დღეს ანისის დარბევის და ეკლესიებში თორმეტი ათასი ქრისტიანის დახოცვის ისტორია. ამ შემთხვევაშიც მაჰმადიანების მხრიდან ერთგვარ სიმბოლურ აქტთან გვაქვს საქმე, რომ მაინცდამაინც აღდგომა დღეს მოაწყვეს ეს ლაშქრობა და ძირითადად ეკლესიებში მყოფი ხალხი დახოცეს. არდაველის ამირამ ისარგებლა მხარგრძელთა ანისში არყოფნით. მხარგრძელები ამ დროს გეგუთში იყვნენ თამარ მეფის წინაშე. საქართველოს სამეფო კარი იწყებს საპასუხო აქციის მზადებას. მხარგრძელები მიმართავენ დედოფალ თამარს: *„მოიწია ბორიტი ჩვენ ზედა გარდასლვითა მცნებათა ღმრთისათა. უბორიტესად ესოდენი სული ქრისტიანე მოიკლა ცუდრჯულთა სარკინოზთა მიერ ცოდვათა ჩვენთათჳს. არამედ ვესავ წყალობასა ღმრთისასა და პატიოსანსა ჯვარსა, რათა არა მისცეს მოსავნი ჯვარისანი სრულიადსა წარწყმედასა სარკინოზთა მიერ, არამედ შერ ეოცოთ, ნაცელის ქმნად განვემზადნეთ, და სიცრუვე მათი მათვე მიექცეს.* [...]" (101)

ყველგან ფიგურირებს დაპირისპირება ქრისტიანებს და მაჰმადიანებს შორის. ქართველები განიცდიან თუ არა მცირე მარცხს, მაშინვე ხდება მოტივის აქტუალიზაცია, რომ ღმერთი მის რჩეულ ერს ცოდვებისათვის სჯის. ქართველების შემწედ ყველგან ისახება ქრისტეს ჯვარი, ანუ ჯვარის ნიშანი მუდამ წინა პლანზეა, ქართველები არიან ჯვარის თაყვანისმცემლები. ასევე თითქმის მუდამ ნეგატიურ პლანში მოიხსენიება ისლამი.

შემდეგ ვკითხულობთ არდაველის წინაამდეგ ქართველთა მიერ მოწყობილი რეიდის ამბებს. მხარგრძელები ანისში მიდიან და ომისათვის მზადებას იწყებენ. *„მოეახლა ბილწისა სჯულისა მათისა მარხვა*" (102). ჯერ კიდევ გეგუთში მყოფი თამარის ბრძანებით ქართული არმია იგზავნება ჩრდილოეთ სპარსეთში. არდაველს მოულოდნელად დაესხენ თავს. *„ესრეთ მოეწონეს ჟამი, რომელ აიდი განთენდებოდა, რომელ არს აღვსება მათი.* [...] *ვითარ ხმა ყო ქადაგმან ბილწისა ქადაგებისა მათისამან და გახშირდა მუყრთა ყოვილი, ყოველგნით ცხენი შემოუტიეეს მხარგრძელთა, შეუხდეს და უომრად ხელთ იგდეს ქალაქი. [...] ხოლო სულტანი არდაველისა მოკლეს.* [...] *ათორმეტი ათასი კაცი რჩეული მიმგითთა შინა მოკლეს, ვითარ მათ ყვეს ანისისა ეკლესიასა შინა.* [...]" (102).

მეტად ხატოვნადაა დახასიათებული მაჰმადიანთა რელიგიაც და რელიგიური რიტუალიც, მარხვა. სწორედ მეჩეთებში თორმეტი ათასი კაცის მოკვლა, მართალია ანისის აქციის საპასუხოდ, მაგრამ მაინც, ხაზს უსვამს აღნიშნულ ეპოქაში წარმოებული ომებისას რელიგიური მხარის დომინანტობას. ყველაფერი ეს ისევ ჯერიანი დროშისაკენ მიდის, როგორც მკითხველი უნემოდაც ხვდება ალბათ.

„ისტორიანი და აზმანი" თამარის ეპოქაში მოწყობილ სამხედრო აქციათა აღწერას ასრულებს ხორასანის კამპანიით. როდესაც ქართული ჯარი ზაქარია მხარგრძელის მეთაურობით ხორასანისაკენ, სპარსეთის სიღრმისაკენ წავიდა, სპარსეთის ერთ-ერთ დაპყრობილ ქალაქში, მიანაში, დატოვეს ქართველი მცველები. ამ დროს მიანას მმართველთან მოდის მოციქული და ეუბნება, რომ დიდმა სულტანმა (აქ ხვარაზმშაჰი უნდა იგულისხმებოდეს) და ბილანელებმა ქართველებს სპარსეთის სიღრმეში ყველა

გზა შეუკრეს და გაანადგურესო. მაშინ მიანას მბრძანებელი ქალაქის მცხოვრებლებს ამოახოცინებს ქართულ გარნიზონს. ქართველებიდან გადარჩება მხოლოდ ერთი მეომარი, რომელიც ქალაქში დამალვას შეძლებს. მიანაში მოციქულის მიერ მოტანილი ცნობა ტყუილი გამოდგა. გამარჯვებული ქართული არმია უკან ბრუნდება. ზაქარია მიანას მმართველს ეკითხება, სად არის ქართული გარნიზონი. მმართველი ატყუებს ზაქარიას, რომ ქართველი მცველები წავიდნენ თაერიზში, იქ დატოვებული ქართული ჯარის ნაწილებთან. ამ დროს გამოდის დამალული ქართველი მეომარი და ზაქარიას ატყობინებს: მიანელებმა ქალაქის თავის ბრძანებით ქართული გარნიზონის წევრებს ტყავი გახადეს და ძელზე ჩამოკიდეს. *„ვითარ ესმა ესე ზაქარიას და ივანეს, ძლიერად გამწარდეს და ბოროტად აღეკვნნდა. და შეიპყრეს მელიქი და თვისნი მისნი, და ყოველნი სიკვდილად დასაჯეს. და მოაკვლინეს თვით იგი და შვილნი მისნი, და განხადეს ტყავები და საყივარსა, რომელსა მენარა უწოდეს, ზედა ჩამოჰკიდეს. და ქალაქი მოაოხრეს, მოწვეს, ტყვე ყვეს"* (108).

სიმპტომატურია, რომ მიანას მმართველისა და დიდებულების დასასჯელ ადგილად მინარეთი გამოიყენება. ყოველი დაშქრობისას ქართველები რელიგიური დაპირისპირების ფორმას აძლევენ თავიანთ ბრძოლას და სწორედ ამ ჭრილში უყურებს შუა საუკუნეების ქართველი თავის ცხოვრებასაც და ომებსაც. ასევე აღიქვამენ ქართველთა პოლიტიკას მაჰმადიანებიც და დასავლეთევროპელებიც.

ხორასანის ლაშქრობის შემდეგ: *„ხოლო მეფეცა თამარ არა უმადლო იპოვა ღმრთისა მიმართ. აღასრულებდა ლიტანიობასა და ლამისთევასა, მრავალნი გასცა ობოლთა და გლახაკთა ზედა.* [...] *იყო მადლობა ესევითარისა გამარჯვეებისათვის ღმრთისა მიმართ"* (109). გამარჯვებებს მუდამ თან მოსდევდეს ქრისტიანული სათნოებების გამომხატველი მოქმედებები და რელიგიური რიტუალების აღსრულება.

ბასილი ეზოსმოძღვარი

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი"

თავისი მეფობის დასაწყისში თამარი აწყობს საეკლესიო კრებას[16]. იერუსალიმიდან გამოიხმობს ნიკოლოზ გულაბერისძეს, რომელიც საქართველოდან კათალიკოსობის პატივს გაექცა. აგრეთვე გარს შემოიკრებს ეპისკოპოსებს, ბერებს და მეუდაბნოეებს, რათა ეკლესიაში დაბუდებული ბოროტებანი აღმოფხვრას.

თამარი მიმართავს შეკრებილ სასულიერო მოღვაწეებს, რომ გამოიძიონ ეკლესიაში არსებული ბოროტების ფაქტები, ამხილონ და განკვეთონ უღირსი საეკლესიო პირები: *„თქვენ სიტყვითა, ხოლო მე საქმით, თქვენ სწავლით, ხოლო მე განსწავლით, თქვენ წვრთით, ხოლო მე განწვრთით ზოგად ხელი მივსცეთ დაცვად სჯულთა საღმრთოთა შეუგინებელად, რათა არა ზოგად ეიზღვიენეთ: თქვენ ვითარცა მღდელნი, ხოლო მე ვითარცა მეფე.* [...]" (118). კათალიკოსი მიქაელი, რომელსაც მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელოც მიტაცებული ჰქონდა, ვერ გადააყენეს. მაგრამ მთელ რიგ უღირს ეპისკოპოსთა ნაცვლად დასვეს საღმრთო ხალხი. ამავე კრების ბოლოში შემოდიან სპასალარები და ერისთავები, რომლებიც სასულიერო პირებს სთხოვენ, იცრუონ თამარის დაქორწინებისათვის.

თამარის მმართველობის პირველ ეტაპზე პარალელიზმი დავითის მეფობასთან აშკარად ჩანს. თამარსაც სამეფო მოღვაწეობის დაწყება სულიერი სფეროს განწმენდით სურს. შესაბამისად, შემოდის სახელმწიფო, საერო საქმიანობის ღმერთისა და რელიგიური ნიშნით წაყვანის მოტივი. ოღონდ, დავითისაგან განსხვავებით, თამარის პოლიტიკა ამჯერად ბოლომდე წარმატებული არ იყო. არც არის გასაკვირი, თამარი ამ დროს სულ ახალგაზრდაა, ქალია. ამასთან, ის ფაქტიც, რომ დიდებულები საეკლესიო კრების დასასრულს დარბაზში შედიან და თამარის დაქორწინებას მოითხოვენ, მეფის აუტორიტეტის სასარგებლოდ

[16] ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, წიგნში: ქართლის ცხოვრება, ტ. 2 (1959), გვ. 115-150.

არ იმოქმედებდა. დავითთან დაკავშირებით კი ნიშანდობლივია: რუის-ურბნისის კრება მეფემ მოაწყო ტახტზე ასვლიდან მხოლოდ თოთხმეტი წლის შემდეგ. როგორც ყველა სხვა საქმეში, დავითმა აქაც დიდი მოთმინება და შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა. დავითს რომ ეს კრება მეფედ კურთხევის შემდეგ მალევე გაემართა, თამარის მსგავსად, არ არის გამორიცხული. ისეთი წარმატებით ვერ დაესრულებინა ის, როგორც 1103-1104 წლებში. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა თვითონ ფაქტი, საერო პოლიტიკისათვის ერთგვარი რელიგიური მსოფლმხედველობრივი საფუძველის დადებისა.

თამარი ზაქარია მხარგრძელს უბოძებს ამირსპასალარობას, ივანეს – მსახურთუხუცესობას. ქრონისტი შენიშნავს: *„ესე კაცნი ღირსნი იყვნეს კაცობისანი: დაღაცათუ სჯულითა სომეხნი იყვნეს, გარნა ყოველითურთ მართლმადიდებლობისა მოსავნი. ესე ივანე წერილთა ზედმიწევნითა სწავლული იყო, რომელისათვისცა გულისხმა ჰყო სიმრუდე სჯულისა სომეხთასა, ნათელიღო და იქმნა ჭეშმარიტ ქრისტიანე*" (123).

აქაც გასათვალისწინებელია „დაღაცათუ" ნიუანსი: მიუხედავად გრიგორიანობისა მაინც ღირსეული ხალხი იყოო. შემდეგ კი ბასილი ეზოსმოძღვარი ხაზს უსვამს ივანე მხარგრძელის მართლმადიდებლად მონათლის ფაქტს. ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს რელიგიური ანტაგონიზმის მოტივთან, რომელიც ხშირად სახელმწიფო პოლიტიკასაც გამსჭვალავს, ტოლერანტობის ხშირ გამოვლინებათა ფონზეც.

ბასილი ეზოსმოძღვარი ეხება თამარის მიერ საქართველოს სამეფოს საქმეთა წარმართვას, ვინ აღწერსო ამ ყველაფერს, მაჰმადიანური სახელმწიფოებისადმი ხარაჯის დადების ფაქტს: *„მერმე ცნას ერაყამდის ქვემოთ მისგან დადებული ხარაჯა და ბაღდადის კერძ მარდამდის, და თვით იგი ხალიფა შეშინებული და მოაჯე კმა არს ქვეყნდომით მოქმედისაგან. ითქუმოდენ წერილისა: მოაკლდენ ძალი ბაბილოვნისა და აღაჩინა მთა ერმონისა, განქარდა კვამლი სუბაკთა და განძლიერდეს ბჭენი სილიმისანი. ესეოთართა წყალობათა შინა ღმრთისათა იშვებდა ერი ქრისტიანეთა*" (124).

მოტანილი მაგალითები მოწმობენ: ქართველთა პოლიტიკა ურწმუნოებთან მიმართებაში აგრძელებს ბიბლიურ ხაზს. ამასთან, ქართველები ყველგან ხაზგასმით ისახებიან ქრისტიანთა ერად. თამარისდროინდელ ქრონიკებშიც ქართველების აღსანიშნავად უმთავრესად გამოიყენება ტერმინი „ქრისტიანები".

შამქორის ბრძოლაზე, სპარსეთის ათაბაგთან გამართულ ომთან დაკავშირებით ბასილი ეზოსმოძღვარი მოგვითხრობს, სპარსელები მიდიან ბაღდადის ხალიფასთან და აუწყებენ იმ მძიმე მდგომარეობის შესახებ, რომელშიც ქართველთა მიზეზით აღმოჩნდნენ: *„რომელი-ესე ყო ხალიფა: განახვნა ძველნი საგანძურნი და იდუმალ წარაველინა კაცი ყოველსა შინა სპარსეთსა, მისცა ოქრო აურაცხელი, რათა შეკრიბონ ყოველით კერძო ლაშქარი ურიცხვი. და მისცა ბრძანება, რათა რომლისაცა სამთავროსაგან სპარსთასა არა წამოვიდენ, თვით მათ ზედა მისლვითა იაკარყენენ.* [...]" (125). ბასილი ეზოსმოძღვარის მიხედვით, იკრიბება მთელი აღმოსავლეთის ჯარი. კვლავ ტრადიციულ სურათს ეხედავთ ქართველების მაჰმადიანობასთან დაპირისპირებისას. ამასთან, აღნიშნულ ბრძოლებში უშუალოდ ხალიფასთან ქართველებს შეტაკება არ მოსელიათ. როგორც ცნობილია, ბაღდადის ხალიფების საერო ხელისუფლება, განსაკუთრებით დიდი სელჯუკების მერე, მეტად შესუსტებულია. მაგრამ როდესაც ცალკეული მაჰმადიანი ხელისუფლები ხალიფას ხულდასხმით იბრძვიან ქრისტიანებთან, ეს სწორედ რელიგიურ ომს ნიშნავს მაჰმადიანური პოზიციიდან. ამასთან, იმ მაჰმადიან მმართველებს, ვინც აღნიშნულ ომში მონაწილეობას არ მიიღებს, მათი სამფლობელოების დარბევით ემუქრებიან. ეს პრინციპიც, როდესაც მაჰმადიანი ხელისუფალი ისჯება იმისათვის, რომ ურჯულოთა წინააღმდეგ ომში მონაწილეობისაგან თავს იკავებს, ჯერ კიდევ პირველი ხალიფების ეპოქიდან იღებს დასაბამს და რელიგიური ომის ერთ-ერთი განუყოფელი კომპონენტია (ამ საკითხზე ამ შემთხვევაში დეტალურად არ შეეჩერდები).

როდესაც მაჰმადიანური კოალიციის შეკრების ამბავი საქართველოში მოდის, თამარი ანტონ ჭყონდიდელს უბრძანებს, სასწრაფოდ გასცენ არმიის შეკრების ბრძანება: „კვალად

მიუმცენით ყოველთა ეკლესიათა და მონასტერთა, რათა დაუცადებელნი ღამისთეევანი და ლიტანიაობანი აღესრულებოდიან ყოველსა ადგილსა. და წარგზავნეთ ფრიადი საფასე და სახმარი გლახაკთათვის, რათა მოიცალონ ლოცვად და მოწყალე ყონ ღმერთი. ნუ სადა თქვან წარმართთა: სადა არს ღმერთი იგი მათი!" (125). ფაქტიურად თამარის ეპოქაში წარმოებულ თითქმის ყველა ბრძოლას აქვს რელიგიური ომის სახე. კიდეე ეიმეორებ, რომ ეს გარემოება სრულიადაც არ გამორიცხავს პოლიტიკური მოტივაციის არსებობას აღნიშნული ომების წარმოებისას. ასევე რელიგიური რიტუალების აღსრულება უძღვის წინ ნებისმიერი ბრძოლის წარმოებას. ამ შემთხვევაშიც მეტად შტამბეჭდავი სურათია: არმია მიდის საომრად, მთელ სახელმწიფოში კი რელიგიური რიტუალები აღესრულება. თამარის ბოლო ფრაზითაც ხაზი ესმება იმ გარემოებას, რომ ქრისტიანთა ღმერთი შეეწევა თაეის არმიას წარმართებთან, ამ შემთხვევაში მაჰმადიანებთან ბრძოლაში.

დედოფალი თამარი მიმართავს უკვე შეკრებილ ქართულ არმიას: მეომრები მტრების სიმრავლემ არ უნდა შეაკრთოს, რადგან ღმერთი ქრისტიანებს შეეწევა. შემდეგ თამარს მოყავს ბიბლიური მაგალითები გედეონის სამასი მეომრის მიერ მადიამელების დამარცხების შესახებ, ასევე თუ როგორ გაანადგურა ასურელთა ბანაკი ღმერთის ანგელოზმა იეზეკიელის ლოცვის შედეგად. *„მხოლოდ ღმერთსა ოდენ მიენდეენით და გუელნი თქვენნი სიმართლით იპყრენით წინაშე მისსა და სასოება ყოველი ჯვარისა ძალისა ქრისტესის იყავნ. შეისწრაფეთ ქვეყანად მათდა შეწევნითა ყოველად წმიდისა ჯვარითმშობელისათა და ძალითა უძლეველისა ჯვარისათა წარემართენით. ულოცა მათ და შეავედრა ღმერთსა, წარუძღვანა ძელი ცხოვრებისა"* (126). თამარი არმიას თან გააყოლებს მწიგნობართუხუცეს ანტონ ჭყონდიდელს, რომელიც ბრძოლაში წმინდა ჯვარით წინ წაუძღვებოდა ჯარს. თვითონ თამარი ფეხშიშველი მიდის მეტეხის ეკლესიაში. *„და წინაშე ხატსა მას წმიდასა მდებარე არა დასცხრებოდა ცრემლითა ვედრებად, ვიდრემდის სრულყო ღმერთმან სათხოველი მისი"* (126).

თამარის სიტყვა ამჯერადაც სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობის სრული დომინანტობის კლასიკური ნიმუშია. ღმერთი არის ქრისტიანების საერო არმიის მხარეს. ქართული ისტორია კვლავ ბიბლიის ხაზის გაგრძელებად მოიაზრება. ღმერთის გარდა ქართველთა უშუალო შემწეა ქრისტეს ჯვარი. ამ ჯვარით ქართულ არმიას წინ მიუძღვის მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი. პასაჟი სრულდება თამარის რელიგიურობის ლამაზი გამოხატულებით, როდესაც დედოფალი ფეხშიშველა მიდის სალოცავად.

შამქორის ბრძოლის დაწყებამდე ქართველი მეომრები *„მყის გარდახდეს ცხენითგან ყოველნი, თაყვანის სცეს ღმერთსა, და წმიდასა ჯვარსა ევედრნეს ცრემლითა"* (127). მუდამ ეხვდებით რელიგიური ბრძოლის ელემენტებს, როდესაც მაჰმადიანთა წინააღმდეგ საერო ბრძოლას ქრისტიანული მსოფლმხედველობა და ქრისტიანული რიტუალები ედება საფუძვლად.

შამქორის ომში გამარჯვების შემდეგ ალაფით ავსებული ქართველების ჯარი შედის განჯაში:

„შეიყვანეს დავით [სოსლანი] *დარბაზსა შინა, ტახტსა სასულტნოსა ზედა დასვეს, [...] და ღორის ხორცითა დიდად ძალი პურობა გარდაიხადეს"* (127). შემთხვევითი არ არის იმის ხაზგასმა, რომ მაჰმადიანურ განჯაში სუფრა ღორის ხორცით გადაიხადეს სპარსელებზე გამარჯვების შემდეგ.

დიდი სიმდიდრე გროვდება ქვეყანასა და სამეფო კარსე. ბასილი ეზოსმოძღვარის მიხედვით, ამ ბრწყინვალების გამო თამარს ქრისტიანული სიმდაბლე არასდროს დაუკარგავს. კიდევ უფრო მეტს გასცემდა გლახაკებზე, ეკლესიებზე, ქერიეებსა და ობლებზე. ამგვარი მოქმედების შედეგად *„სარწმუნოება განმტკიცნებოდა, წმიდანი ეკლესიანი შეიმკობოდეს მრავალფერთა მიერ სამკაულთა, ლოცვანი და ღამისთეყანი განმრავლდებოდეს.* [...] *წყალობა ღმრთისა განმრავლდებოდა და ყოველი სიბოროტე ეშმაკისა მოეძლურდებოდა"* (129). სამხედრო-ქრისტიანული იდეოლოგიის პარალელურად სამეფო კარზე გამეფებულ რელიგიურობასაც თავისი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს საიმისოდ, რათა ნათლად გამოჩნდეს,

როგორ არის ქრისტიანული მსოფლმხედველობით გამსჭვალული მაშინდელი პოლიტიკური ცხოვრება. თამარის ქრისტიანული ხატის საკითხს, დიდი საერო ძალაუფლების და ბრწყინვალების ფონზე, ზემოთ უკვე შეეხე და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

ბასილი ეზოსმოძღვარი განაგრძობს: *„აივსებოდა ნილოსი და იეფობდა ეგვიპტე, მოაკლდებოდა ისმაელს, განიქიტრებოდა აგარ, იკურთხეოდა ისაკ. ესე სხვამან ვინმე სჩვისათვის თქვა და მე აქა ამისთვის წინასიტყვა ვყოფ, რამეთუ მოაკლდებოდა ძალსა მაჰმადიანთასა, და მცემელიცა ებანსა, რამეთუ ქრისტიანეთა ორღანონი ხმოვანობდეს კიდით კიდეამდე. დაშრტა სასოება მუსურმანთა და ყოველითურთ უღონონი ღონეყოფდეს, რათა წყალობად მოიზიდონ წყალობისმოყვარე თამარ.* [...]" (131-132). ბასილი ეზოსმოძღვარი ბიბლიის ციტატზე ამბობს, ეს სხვამ სხვა რამეზე თქვაო, და ბიბლიის აღნიშნულ პასაჟს უკავშირებს მის თანადროულ ქართულ-მაჰმადიანური დაპირისპირების თემატიკას. მთელი ქართული ისტორია ისევე და ისევე ბიბლიური ხაზის უშუალო გაგრძელებად მოიაზრება. ყველგან დომინირებს რელიგიური, ქრისტიანული ფაქტორი. ქართული პოლიტიკა მიდის სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობის ნიშნით და შუა საუკუნეებში სხვაგვარად ვერც იქნებოდა. ამასთან, მუდამ მთავარი პუნქტია ომი და დაპირისპირება მაჰმადიანებთან.

შემდეგ უკვე თხრობა გადადის რუმის სულთან რუქნადინზე. რუქნადინი შედარებულია ზღარბთან. ხოლო მისი არმია ზღარბის მართვეებთან: *„ვითარცა იტყვიან გძღარბისათვის ხმელისასა,* [...] *რაჟამს იხილნეს ნაშობნი თვისნი მრავალ, გამოვალს ბუდეთ თვისით მართვეებით და განაწყობს და გოდლოის მათ ზედა"* (133). ასევე მოიქცევა რუქნადინი, როდესაც მის მიერ შეკრებილ მეომართა სიმრავლე იხილა: *„აღსავსენ ულსითა, მსგავსად სეინაქერემისა, და ამაღლდა ღმერთსა ზედა* [...]" (133) და საქართველოსკენ გამოსალაშქრებლად დაიწყო მზადება.

წარმართების ცხოველებთან შედარება (ამ შემთხვევაში რუმის სულთანის, რუქნადინის გაამპარტავნებული ზღარბად გამოყვანით), როგორც წესი, ყოველთვის ნეგატიურ პლანშია ქრისტიან ავტორებთან. სამაგიეროდ ქრისტიანები ძირითადად დასახულნი არიან ლომებად და არწივებად. მაგრამ ქართულ ქრონიკებში ეს ტენდენციურობა მაინც გაცილებით ნაკლებად იგრძნობა, იგივე დასავლეთევროპული ტექსტების ფონზე. ქართველ ქრონისტებთან ხანდახან მოწინააღმდეგეც შეიძლება იყოს ლომი ჭაბუკი. ხშირად ეს ისევე ქრისტიანთა სიძლიერის გამოსაჩენადაც არის ხოლმე, რადგან გაცილებით სასახელოა ძლიერი მოწინააღმდეგის დამარცხება. მაგრამ, როგორც წესი, ქართული ქრონიკები ამ მხრივ საკმაოდ ობიექტურნი ჩანან.

რუქნადინის წერილის „ისტორიანისა და აზმანისეული" ვარიანტი ზემოთ უკვე განვიხილეთ. აქვე სასურველია ბასილი ეზოსმოძღვარის ვერსიის მოტანა მეტი თვალსაჩინოებისათვის. რუქნადინი თავის თავს სახავს ცისქვეშეთში უძლიერესად, ანგელოზთა მსგავსი ძლიერების მქონედ, ღმერთის თანამდგომად, დიდი მუჰამედისაგან მოვლინებულად. შემდეგ უშუალოდ თამარს მიმართავს: *„შენ გიძრძანებია ქართველთად აღებად ხრმალთა და ღმრთისაგან საყვარელისა ისლემთა ერისა დახოცად, მუსულმანთა.* [...] *და აწ მე მოვალ, რათა უსაჯო სამართალი სახლსა სპარსთასა და განგწყვართო შენ და ერი ეგე შენი არაოდეს კადრებად აღებად ხრმლისა, რომელი ღმერთსა ჩვენდა უბოძებია. ხოლო ცხოვნებით იგი ოდენ ვაცხოვნო, რომელმან უწინარეს მოსლვისა ჩემისა თაყვანის მცემს წინაშე კარვისა ჩემისა და აღიაროს ქადაგება მოჰამად მოციქულისა და უარყოს სჯული შენი და ხელითა თვისითა იწყოს წინაშე ჩემსა ლეწად ჯვარისა, რომლისა მიმართ დაგიცთ ცუდი სასოება"* (133-134).

როგორც ითქვა, არაქრისტიანის მთავარი ნიშანია ღმერთის გმობა და ამპარტავნება. ქრისტიანთან თავმდაბლობა და ღმერთის მინდობაა წინა პლანზე. მაგრამ ეს ის შემთხვევებია აშკარად, როდესაც მოვლენების მხატვრული სტილიზაცია კი არ ხდება, არამედ ქრონიკები რეალური ისტორიულ სურათს უნდა გადმოგვცემდნენ. ეს რეალური ისტორიული სურათი კი არის ქართველთა მიერ მაჰმადიანთა წინააღმდეგ გარკვეული თვალსაზრისით საღვთო

ომის წარმოება. და მაჰმადიანებიც ზუსტად ასე აღიქვამენ აღნიშნულ ფაქტს, მათი მხრიდანაც ქართველებთან დაპირისპირებას ერთმნიშვნელოვნად რელიგიური იდეოლოგია უდეეს საფუძვლად. ეს ფაქტი რუქნადინის ბოლო სიტყვებიდანაც კარგად ჩანს, მხოლოდ ჯვარის დალეწვის შემთხვევაში თუ პპირდება ქართველებს სიცოცხლის შენარჩუნებას.

თამარის საპასუხო წერილი სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობის კლასიკური მაგალითია. თამარი რუქნადინს სწერს: *„ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა მინდობილმან და მარადის ქალწულისა მარიამის მეედრებულმან და პატიოსნისა ჯვარისა სასოებით მოსაკმან წარვიკითხე ღმრთისა განმარისხებელი წიგნი შენი. [...] შენ ოქროსა შეკრებულთა სიმრავლისა მეეერთა მინდობილ ხარ უმეცარი მსჯაერსა ღმრთისასა. ხოლო მე არცა სიმდიდრეთა,არცა სპათა ჩემთა სიმრავლესა,არცა რას სხვასა კაცობრივსა საქმესა მინდობილ ვარ, არამედ ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა და შეწევნასა ქრისტეს ჯვარისასა, რომელსა შენ ჰგმობ*" (135). თამარი ასევე უთვლის რუქნადინს: *„წარმომიგზავნია მხედრობა ქრისტეს მოსახელე არა შენდა თაყვანისცემად, არამედ დამსობად შენდა – ზვავისა მაგის და ამპარტავნისა გულისა შენისა, რათა განისწავლო ღმრთისა მიერ არღარა გმობად სახელსა მისსა. იყავნ ნება ღმრთისა და ნუ შენი. [...]*" (135)

პატიოსან ჯვარში თამართანაც კონკრეტულად ის ჯვარი უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც ქართულ არმიას მიაქვს ომში. როდესაც თამარი ქრისტეს ჯვწევნაზე ლაპარაკობს, ეს ჯვარი უშუალოდ არის წარმოდგენილი სახელმწიფო ატრიბუტიკაში და ქართულ არმიას წინ წარეძღვანება ხოლმე მაჰმადიანებთან ბრძოლისას. თამარის წერილის მიხედვით რუმის სულტანის წინააღმდეგ საომრად პირდაპირ მიდის ქრისტეს მხედრობა. ქართული არმიის მოქმედება ფაქტიურად ამ ეპოქის ყველა ომში მოაზრებულია ქრისტესთვის ბრძოლად. შესაბამისად,საერო პოლიტიკას საფუძვლად უდეეს ქრისტიანული მსოფლმხედველობა. საერო პოლიტიკისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობის შერწყმის შედეგად ვიღებთ სამხედრო-ქრისტიანულ მსოფლმხედველობას. თამარის წერილში ისევ ხაზი ესმება წარმართის ამპარტავნებას და ქართველთა დედოფალის ქრისტიანულ სიმდაბლეს. რუქნადინი ომისას ემყარება მატერიალურ სიძლიერეს და სიმდიდრეს, ხოლო თამარი – ქრისტიანთა ღმერთს.

თამარი გარკვეულ მანძილზე გააცილებს არმიას. როდესაც დედოფალი არმიას უკვე უნდა გამოთხოვებოდა, *„განვიდა უმაღლესსა ადგილსა, სადა ყოველთა ხედვიდა, და დაეარდა მუხლთა თვისთა ზედა დიდხან და ტიროდა წინაშე ღმრთისა. [...] მერმე მოიყვანნა წინაშე თვისსა ყოველნი წარჩინებულნი და უბრძანა ერისთავთა, რათა თვითეული მათი მოვიდოდის წინაშე წმიდასა ჯვარსა და თაყვანისცემდენ და შეემთხვეოდიან. და იწყეს მოსლვად ყოველთა და ტირილით ვედრებად და თაყვანისცემად პატიოსნისა ჯვარისა და ამბორის ყოფად და ეგრეთვე შემთხვევად ხელსა თამარისსა. [...] რამეთუ ერთითა ხელითა თვით მას ეპყრა ძელი ჯვარისა, ხოლო ერთითა – ეზოსმოძღვარსა ბასილის და ჯვარისმტვირთველსა. სრულიქმნა რა ყოველთაგან ესრე სახედ თაყვანისცემა ჯვარისა, მერმე თვით მიიქა პატიოსანი იგი ჯვარი ხელითა თვისითა და ამხედრებულთა ზედა ყოველსა მხარსა ნიში ჯვარისა გამოსახა სამგზის, დაულოცა, და ეგრეთ წარემართნეს მინდობილნი ღმრთისანი და თამარის ცრემლთანი*" (136).

ჩვენს წინაშეა როგორც მხატვრული თვალსაზრისით უაღრესად შთამბეჭდავი რიტუალი, ასევე მეტად მნიშვნელოვანი სამხედრო ქრისტიანული მსოფლმხედველობის საკითხისათვისაც. შემაღლებულ ადგილზე მარტო მყოფი დედოფალი თამარი დიდხანს ლოცულობს. შემდეგ დიდებულებს მოაქვთ ქრისტეს ჯვარი. ყოველი რჩეული დიდებული ჰკოცნის ჯვარს და თამარს ემთხვევა ხელზე. როდესაც დიდებულები ჯვარს და თამარს ეთაყვანებიან, თამარი უკვე თავისი ხელით იღებს ჯვარს და მთელ არმიას სამჯერ გადასახავს პირჯვარს. ბასიანის ბრძოლაც, ყველა სხვა ბრძოლის მსგავსად, მიდის მკვეთრად რელიგიური ნიშნით. სხვათა შორის, ამგვარი ღვთისმოსაობა გვიანდელი ხანის ჯვაროსნებისათვის იშვიათადაა დამახასიათებელი. საქართველოს კი ამ მძლავრი

რელიგიური იდეოლოგიის საკუთარი, დასავლეთ ევროპისაგან დამოუკიდებელი, დასავლეთ ევროპაზე ძველი ტრადიცია აქვს.

ამ ადგილას კვლავ დაფიქსირებულია ჯუარისმტვირთველის პროფესია. ჯუარისმტვირთველს თამართან ერთად უჭირავს ჯვარი, როდესაც დიდებულები ჯვარის თაყვანისსაცემად მოდიან. ჯვარი თამართან და ჯვარისმტვირთველთან ერთად უკავია მესამე პიროვნებასაც, ეს გახლავთ თეიმონ ქრონიკის ავტორი. ავტორი მოკრძალებული სიამაყით შენიშნავს, რომ ჯვარი თეიმ დედოფალ თამართან ერთად ბასილი ეზოსმოძღვარსაც ეპყრა ხელთ.

დედოფალი თამარი ბრუნდება ოძრხეში. იწყება ტრადიციული რელიგიური რიტუალები, ლოცვა, მარხვა, ღამისთევა, ლიტანიობა, რომლებიც წინ უძღვის ხოლმე ქართველთა ომებს.

ბასიანის ბრძოლაში *„პირველსა მოკიდებასა და ხეთქებასა ხრმალთასა მოხდა წყალობაჲურაცხელმან ღმერთმან მოსავთა ჯუარისათა და განადიდა დიდება დავითისი და თამარისი ვარძიისა ღმრთისმშობელმან. და ანაზდად ეგეოდენი იგი სიმრავლე [მტრის] განსქდა, იძლია და დაიპარტა"* (138). ქრისტიანთა ბრძოლაში გამარჯვების მთავარი ფაქტორი ისევ არის ღმერთი და ამ შემთხვევაში ვარძიის ღვთისმშობელი. ხოლო ქართული არმია ჯვარის მოიმედად არის მოხსენიებული პირდაპირ, როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში.

რუმის სულთანთან ქართველთა გამარჯვების შესახებ ნათქვამია: *„ესეოდენი დიდებული ძლევა მიმადლა ღმერთმან ცრემლთა და სასოებისა სიმტკიცეთა თამარისთა"* (139). კვლავ ხაზგასმულია ქრისტიანობის ფაქტორი და გარკვეეით ეკითხულობთ, რომ ღმერთმა ეს გამარჯვება მისცა თამარს მისი ცრემლების და მტკიცე რწმენის სანაცვლოდ.

თამარმა ბასიანის ბრძოლაში მოგებული ნადაელით აავსო ეკლესიები, ბერები, მთხოვნელები. *„ესრეთ ადიდებს ღმერთი მადიდებელთა თეისთა, ესრეთ აღამაღლებს წინაშე თეისსა მდაბალთა, ესრეთ შემწე არს მოსავთა მისთა, ესევითართა ნიჭთა მიანიჭებს მინდობილთა თეისთა. რამეთუ არარაი სხვა დაიდვა თამარ გულსა თეისსა, ეითარ დასაბამი იგი სიბრძნისა – შიში ღმრთისა და სამართალი და წყალობა სწორად ყოველთა ზედა.* [...] *ამისთვის აკურთხა იგი ღმერთმან უკუნისამდე და დაადგრა თაეისა მისსა გეორგეინი პატიოსნებისა და დასდვა წელთა მისთა მახეილი ძლიერებისა და წარემართა სუფევად უკუნისამდე ჭეშმარიტებისათვის, სიმშვიდისა და სიმართლისა"* (140-141). ბასილი ეზოსმოძღვარი შენიშნავს, თამარი მართავდა ქვეყანას არა სხვადასხვა ვერაგული საშუალებებით, *„არამედ სიმართლითა და უმანკოებითა დავითიანნითა, სიმშვიდითა იაკობის მსგავსითა, სიუხვითა აბრამისებრითა, მოწყალებითა იესოს ღმრთისა მსგავსითა* [...]" (141).

შესაბამისად, თამარის ყველა გამარჯვება, ქრონისტის მიხედვით, არის დედოფალის ღვთისმოსაობის შედეგი. ამ ქრისტიანული სათნოებების გამო მიაგებს ღმერთი მას სანაცვლოს. მთელი ისტორია მიდის ღმერთთან ურთიერთმიმართების გარკვეეის ჭრილში. ხოლო თამარის მმართველობა გამოდის ბიბლიისა და უშუალოდ ქრისტეს ღვაწლის გაგრძელება.

ბასილი ეზოსმოძღვარი აღნიშნავს, რომ თამარი ზრუნავდა არა მხოლოდ საკუთარი სამეფოს გამო *„არამედ ყოველთა ქრისტიანეთათვის. და რომელნი მძლავრობდეს ქრისტიანეთა, ყოველთა მიუმცნო, რათა ანაზდად იყენენ და ფიცხლად დამორჩილდნენ შიშითა და სიყვარულითა მისითა"* (141). თამარი პატრონობდა ეკლესია-მონასტრებს ალექსანდრიიდან მოყოლებული, სინას მთაზე, იერუსალიმში, თრაკიაში, კონსტანტინეპოლში, შაე მთაზე, კეიპროსზე და სხვა მხარეებსა თუ ქალაქებში. უგზაენიდა ძვირფას საეკლესიო ნივთებს და აურაცხელ ოქროს. *„ესე ყოველნი აღავსნა ქველის საქმითა, რომლისათვის ისმინეთ, თუ ვითარ მოხდეიდა ღმერთი საქმეთა მისთა"* (142).

საქართველოს სამეფოს გაძლიერებასთან ერთად, როგორც ეხედავთ, უკვე ახალი იდეოლოგიური პოსტულატი გამოდის წინა პლანზე. თუ არაბების მძლავრობის ხანაში ქართული ქრისტიანული სახელმწიფო იდეოლოგია ქვეყნის შიდა სიერცით იფარგლება და აქცენტი სარწმუნოების შენარჩუნებასა გადატანილი მაჰმადიანებთან

შეურიგებელი დაპირისპირებით, შემდეგ უკვე ეხედავთ, როგორ საფეხურ-საფეხურ იწყებს სახელმწიფოსთან ერთად ქართული იდეოლოგია შეტევაზე გადასვლას (რომელია წინ, სახელმწიფოს გაძლიერება და იდეოლოგიის თავისი მიზნებისათვის მორგება, თუ იდეოლოგიის საფუძველზე სახელმწიფოს მომძლავრება, ამ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს). თამარის დროს კი ეს პროცესი უკვე აპოგეას აღწევს, როდესაც ქართული სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებს მთელი მსოფლიოს ქრისტიანთათვის ზრუნვას.

შემდეგ ქრონიკაში მოდის ტრაპიზონის იმპერიის დაარსების პასაჟი. შავი მთიდან, ანტიოქიიდან, მთაწმინდიდან და სხვა მრავალი ადგილიდან ჩამოდიან ბერები. თამარი მათ უხვად დაასაჩუქრებს ოქროთი და ძვირფასეულობით, რათა თავთავიანთ მონასტრებში წაიღონ. *„წარვიდეს მონაზონნი იგი და მიიწევნეს რა კონსტანტინპოლედ, ესმა მეფესა ბერძენთასა ალექსის, ანგარსა, რომელმან ძმასა თვისსა ისაკს თვალნი დასწვნა და მეფობა წარეცლო. ესე ყოველითურთ ბოროტი კაცი იყო.* [...] *იხილა სიდიდე იგი ოქროსა, რომელი მიეცა თამარს, და წარეცლო მათ მონაზონთა. ცნა რა ესე თამარ მეფემან, ნაცვლად სხვა ეფროსი წარგზავნა მათ წმიდათა მიმართ და ამით უმეტეს არცხეინა ეშმაკი. ხოლო გარისსნა მეფესა ზედა ბერძენთასა, წარგზავნნა მცირედნი ვინმე ლიხთ იქითნი და წარეცლეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კოტიორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფეხლაღონისა და პონტოსანი.* [...] *ხოლო ესმა ესე ყრანგთა, რამეთუ მიეღო ბერძენთა შეწევნა აღმოსავლეთით. გამოვიდეს ვენეტიკნი და წარეცლეს სამეფო ქალაქი მეფობისა თანა* [...]" (142).

ტრაპიზონის იმპერიის დაარსების ცნობაც დიდი მნიშვნელობისაა ქრისტიანული იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი საკითხისათვის. ზემოთ ჩვენ ვნახეთ, თუ რა მარტივია სამხედრო-ქრისტიანული იდეოლოგიის თავისი ერთმორწმუნეების წინააღმდეგ მიმართვა, როდესაც ამ მსოფლმხედველობით გორგასალი ისევე დასაბუთებულად ებრძვის ბიზანტიელებს, როგორც სპარსელებს (ამგვარადვე იქცეოდნენ ბიზანტიელებიც, დასავლეთევროპელებიც. აღნიშნული შემთხვევის კლასიკური ნიმუშია მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა, როდესაც მაპმადიანების წინააღმდეგ საღვთო ომისათვის გამზადებულმა ჯვაროსნების ჯარმა გაანადგურა ქრისტიანული სახელმწიფო, ბიზანტია).

ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საკითხი წმინდა მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით საქართველოში ალბათ გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. რადგან ქართველები მაინც ეკუთვოდნენ აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროს. ამ დროს კი ფაქტიურად ჯვაროსნებთან ერთად ანგრევენ ბიზანტიას (ამ ფაქტს ქვემოთ შევეხები მოკლედ). ამიტომ სიმპტომატურია, რომ ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობის საფუძველიც წმინდა რელიგიურია. ბიზანტიის „უღმერთო" იმპერატორმა გაძარცვა ქრისტიანი ბერები. ქრონისტის მიხედვით, მხოლოდ ქრისტიანობის ღირსების აღსადგენად, ღმერთისათვის სასურველი საქმის გასაკეთებლად მიდის ქართველთა ჯარი ბიზანტიაში. ამასთან, ეს იმპერატორი, რომელმაც თამარის ნაწყალობევით დატვირთული ბერები გაძარცვა, როდესაც თამარის ჯარი ბიზანტიაში შედის, ტახტიდან დაახლოებით რვა-ცხრა თვის ჩამოგდებულია. მაგრამ ბიზანტიაზე ლაშქრობასაც, წმინდა პოლიტიკურ აქტს, საფუძველად უნდა დადებოდა რელიგიური დასაბუთება.

გარდაცვალების წინ თამარი იხმობს თავისი სამეფოს წარჩინებულებს და მიმართავს მათ: *„მე, ესერა, მივიწოდები მსაჯულისაგან საშინელისა, უსაშინელესისა უფროს მეფეთა ქვეყანისათა"* (145). თამარი შეაევედრებს დიდებულებს თავის შვილებს. *„შევედრნა ყოველთა და მიუთვალნა წინაშე ხატსა ქრისტესსა და ჯუარსა ცხოველისმყოფელსა"* (145). დედოფალ თამარის ბოლო სიტყვებია: *„ქრისტე, ღმერთო ჩემო მხოლოო, დაუსრულებელო მეუფეო ცათა და ქვეყანისაო! შენ შეგევედრებ სამეფოსა ამას, რომელი შენ მიერ მერწმუნა, და ერსა ამას, პატიოსნითა სისხლითა შენითა მოსყიდულსა, და შვილთა ამათ ჩემთა, რომელნი შენ მომცენ, და მერმე სულსა ჩემსა"* (145). ყველანი გადიან მწარედ მტირალნი. *„და თამარ დაიძინა ძილი იგი მართალთა* [...] *და აღივსო მზე ქართლისა და საფლავმან*

სადიდებელად თვისად დაუჭირეა ცხოვრება მსოფლიო ყოველთა ქრისტიანეთა" (146).

ასეთივე მძლავრი რელიგიური ნაკადით სრულდება თამარის მეფობა. თამარი გარდაცვალების წინ მთელ ერს შეაყედრებს ქრისტეს ჯვარს. ბასილი ეზოსმოძღვარის მიხედვით თამარის გარდაცვალება დიდი დანაკლისია მთელი მსოფლიოს ქრისტიანებისათვის. ანუ კლავ წინა პლანზეა ახალი იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი მოტივი. ეს იდეოლოგიური მოტივი ლაშა-გიორგის მეფობაშივე რეალურ, ამ ახალი მსოფლმხედველობრივი ელემენტის შესატყვის გეგმებში გადაიზრდება. სურთ ბაღდადის, მთელი მუსულმანური სამყაროს ცენტრის აღება და იქ ქართველთა კათალიკოსის დასმა ხალიფას ნაცვლად. მეორე მიზანია იერუსალიმის განთავისუფლება ურწმუნოებისაგან. სამწუხაროდ, თამარის ქარაფშუტა შვილებმა ქართველთა დიდი დედოფალის მიერ უკვე მეტად მაღალ საფეხურზე აყვანილი სახელმწიფო განსაცვიფრებელი სისწრაფით დაანგრიეს. სამეცნიერო განსჯისას ყოველგვარი პათეტიკა და ეროვნული გრძნობები, ცხადია, ზედმეტია. მაგრამ იგივე მეცნიერება გულისხმობს ყველაფრისათვის თავის სახელის დარქმევას, ყველა შესაძლებლობის გათვალისწინებას. თეორიულად თუ დავუშვებთ, რომ თამარის მერე ლაშა-გიორგის ნაცვლად ქვეყნის სათავეში მოსულიყო დავითის გაქანების პიროვნება, მაშინ საქართველო მართლაც მსოფლიო მასშტაბის იმპერიად იქცეოდა. მაშინ დავითს უკვე დასაწყისშივე ექნებოდა ის ძალა, რომელიც ამ გეგმების განსახორციელებლად გახლდათ საჭირო და რის თავიდან არარსებობა'სეც ასე მწარე სინანულით ლაპარაკობს დავითის ისტორიკოსი.

ჟამთააღმწერელი

„მონღოლთადროინდელი მატიანე"

ჟამთააღმწერელთან, ვითარების და თემატიკის შესაბამისად, კლავ წინა პლან'ზე გამოდის დავითის ისტორიკოსის შემდეგ ქრონისტებისათვის უცხო ნოტები, რომ ღმერთი თავის ერს სჯის მისი ცოდვების გამო. ჟამთააღმწერელის მთელი მატიანე ამ კარდინალურ პრინციპს ეფუძნება და მონღოლების დროინდელი საქართველოს მთელი ისტორია, მთლიანობაშიც და ცალკეულ შემთხვევებშიც, აღნიშნული პოზიციის მიხედვით არის გააზრებული. ისტორიისადმი მიდგომა მკვეთრი ქრისტიანული იდეოლოგიის პოზიციიდან არ შეცვლილა და, ბუნებრივია, ვერც შეიცვლებოდა. ისტორიული ვითარების შესაბამისად ამ იდეოლოგიის შიგნით შეიცვალა მხოლოდ პოზიცია, რომლიდანაც ქრონისტი უყურებს მოვლენებს. რადგან საქართველო აღარ არის გამარჯვებული სახელმწიფო.

განჯაზე ლაშქრობის წინ ლაშა-გიორგი მიმართავს თავის დიდებულებს[17]: „[...] *შეწევნითა ღმრთისათა და წარძღვანებითა პატიოსნისა ჯვარისათა და სიქველითა თქვენითა ვსძლოთ მტერთა და წინააღმდგომთა ჩვენთა*" (152). დიდებულები პასუხობენ მეფეს: „*დიდი ნუგეშინისცემა მოგვემატა ღმრთისა მიერ, რამეთუ გპოვეთ ახოვანი და გოლიათი, გორგასლიანი და დავითიანი, მსგავსი მათი. მინდობითა ღმრთისათა და ძალითა თქვენითა დავიმორჩილეთ ურჩნი მეფობისა თქვენისანი და შევანანოთ ყოველთა ურჩება თქვენი.*" (152). აქ საქმე გვაქვს მცირე გაელვებასთან, მძლავრი ქართული არმიის ომში წასვლის, ვიდრე შემდგომი ხანის კატაკლიზმები დაიწყებოდეს. ტრადიციულად ქართულ არმიას კვლავ წინ მიაქვს ქრისტეს ჯვარი. ხოლო ბრძოლაში ისევ და ისევ ღმერთზე მინდობილნი მიდიან. მხოლოდ ამის შემდგომ ემყარებიან საკუთარ სიქველეს.

შემდეგ ჟამთააღმწერელი ეხება ლაშა-გიორგის უწესო ცხოვრებას: „*რამეთუ იყო ესე ლაშა-გიორგი მხნე, ახოვანი, ძლიერი, ლალი, ამპარტავანი, თავხედი, თვითბუნება, ვითარცა მითქვამს, უხვი, სახიობის მოყვარე, ღვინის მოყვარე და გემოთმოყვარე. და მშვიდობა იყო სამყოსა შინა მისსა. და შეტევულ იყო სმასა და ჭამასა.* [...] *ვითარცა წინასწარმეტყველიცა*

[17] ჟამთააღმწერელი, მონღოლთადროინდელი მატიანე, ნიგნში: ქართლის ცხოვრება, ტ. 2 (1959), გვ. 151-325.

იტყვის: ჭამა იაკობ, განძღა, განსხვა, განსუქნა და დაუტევა ღმერთი შემოქმედი თვისი, და განუდგა ღმერთსა მაცხოვარსა თვისსა ეგრეთვე იქმნა ნათესავსაცა ამას შინა ქართველთასა, რამეთუ განძღეს და იშვებდეს და უწესობად მიდრეკეს. [...]" (156-157).

ლაშა-გიორგის და მაშინდელი ეითარების აღწერა აშკარად რეალურ სურათს უნდა ემყარებოდეს, რამდენადაც არ უნდა ამეტებდეს ჟამთააღმწერელი და ეს ქართულ ისტორიოგრაფიაში მრავალჯერ აღნიშნულა. მაგრამ ისტორიული ვითარების გარკვევას გავანებოთ თავი. აქ ჩვენთვის მთავარია საკითხისადმი ჟამთააღმწერელის მსოფლმხედველობრივი მიდგომა. თუ შეეადარებთ წინა ქართველ მეფეთა და ქვეყნის საერთო ეითარების დახასიათებას ქრონისტებთან, განსხვავება მართლაც საგრძნობია და ამ ფაქტს წმინდა რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი დატვირთვაც აქვს შემდეგი მიზეზის გამო. როგორც ზემოთ ენახეთ, ყველა ძლიერი ქართველი მეფის გამარჯვებები ქრონისტების მიერ ერთმნიშვნელოვნად მიეწერება ამ მეფეთა სათნოებებს და ქრისტიანული ცხოვრების წესს. ამისათვის ღმერთი მათ სანაცვლოდ აძლევს გამარჯვებებს. ასეა დაწყებული გორგასალიდან, თამარის ჩათვლით. სხვაგვარი პოზიცია მთელი სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის საყრდენების მსხვრევას გამოიწვევდა. რადგან არაქრისტიანთა გამარჯვების შემთხვევაში გამოვიდოდა, რომ ღმერთი ეხლა მათ უჭერს მხარს. ამიტომ ქართველთა ნებისმიერი მარცხი მხოლოდ მათი ცოდვებიდან შეიძლება მოდიოდეს. მით უმეტეს, რომ ლაშა-გიორგის დროინდელი ეითარება ჟამთააღმწერელს, როგორც ჩანს, საამისო მასალას ეხვად აწვდიდა. შესაბამისად, ჟამთააღმწერელთან აშკარად მოცემულია ეს კონცეფცია, რომ მონღოლებთან ქართველების დამარცხება და მისი თანმდევი მოვლენები სწორედ ამ წინა ცოდვების შედეგი იყო.

ჟამთააღმწერელი მონღოლთა რწმენის შესახებ შენიშნავს: *„ამათ აქვნდათ სჯულად ერთისა ღმრთისა უკედავისა თაყვანისცემა. პირი მზის აღმოსავლეთით ქნიან და სამისა ჩოქისა ქნა და სამჯერ თაყვანისცემა და შუათითის წვერისა ნებსა ზედა დადება და ლოტაკცუნება, – და მეტი არარაი"* (158). ჟამთააღმწერელის მიხედვით, ჩინგიზ-ყაენს თავისი მმართველობის დასაწყისში მაღალ მთაზე გამოეცხადა ქრისტე. ქრისტემ ასწავლა ჩინგიზ-ყაენს *„სამართალი, სჯული, სიწმიდე და სიმართლე, ტყუილისა, პარვისა და ყოვლისა ბოროტისაგან განშორება, და რქვა: თუ მცნებანი ესე დაიმარხნე, ყოველი ქვეყანა შენთვის და ნათესაჲსა შენისათვის მომიცემიეს. წადი და აღიღე ყოველი ქვეყანა, რაოდენი გეძლოს!"* (162) როდესაც ყაენი გახდა და ხატაეთი დაიპყრო, იქ შევიდა ქრისტიანულ (სავარაუდოდ ნესტორიანულ) ეკლესიაში: *„იხილა მან ხატი მაცხოვრისა იესო ქრისტესი, მეყსეულად თაყვანი სცა და თქვა: აჰა, კაცი იგი, რომელი მთასა ჩინეთისასა ვიხილე, ამა სახითა იყო, ამან მასწავა ყოველი ესე წესი"* (162).

მონღოლების სისხლიანი ომების ქრისტეს მიერ ხელდასხმულად გამოცხადება, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ პრობლემატურია. მაგრამ ამ ფაქტს თავისი ლოგიკური ახსნა აქვს. ქრისტიანულ სახელმწიფო იდეოლოგიას უნდა განემარტა, რანაირად შეიძლება, ღმერთი ურწმუნო ერს დასაპყრობად აძლევდეს ლამის მთელ ქვეყნიერებას, მათ შორის თავის რჩეულ ერს, ქართველებს. ქართველების დამარცხება მიეწერა ქართველთა ცოდვებს. სხვა შემთხვევებში კი ამ უცნაური მოვლენის, ლამის ნახევარი ქვეყნიერების მონღოლთა მიერ დაპყრობის ღმერთის ნებასთან შესაბამისობაში ყოფნის დასასაბუთებლად ჩნდება სხვადასხვა არგუმენტები, მონღოლთა მიერ ერთი ღმერთის თაყვანისცემის შესახებ, მსჯელობა მონღოლების პოზიტიურ სახეზე. აქ ისე არ არის საქმე, რომ ქრონისტი ყველაფერს იგონებდეს გარკვეული კონსტრუქციის შესაქმნელად. ყოველივე ამას რეალური ისტორიული საფუძველი მართლაც ჰქონდა. მონღოლები თაყვანს სცემდნენ ერთ ზეცას. აქედან ერთი ღმერთის თაყანისცემის მოტივი. მონღოლებთან ჟამთააღმწერელის მიერ დაფიქსირებული თვისებები აღმოსავლური წყაროებითაც დასტურდება (ყოველ შემთხვევაში მონღოლთა გამოჩენის საწყის ეტაპზე). ასევე ფაქტია ჟამთააღმწერელისათვის, რომ ქრისტიანული ღმერთი და ქრისტიანული მსოფლმხედველობა განსაზღვრავენ მთელი სამყაროს არსებობას. ყოველივე ამის ერთმანეთზე მორგებას ახდენს უკვე სახელმწიფო

იდეოლოგია ჟამთააღმწერელის ხელით. შუაში ისმება ჩინგიზ-ყაენის მიერ არც მეტი, არც ნაკლები. ქრისტეს ხილვა, აქეთ ქართველთა ცოდვები და მონღოლების გამოჩენით დარღვეული მწყობრი. ქრისტიანული სამყაროს ხატი კელაე თავის პირვანდელ სახეს ღებულობს.

სხვათა შორის, მსგავსი ინტერპრეტაციების გაკეთების საშუალებას ნაწილობრივ მონღოლთა პოლიტიკაც იძლეოდა. მონღოლები დიდხანს ყოველგვარი რელიგიისადმი ინდიფერენტულნი რჩებოდნენ. შუა აზიაში და წინა აზიაში არსებული რეალობიდან გამომდინარე, თუ არ ჩაეთვლით საქართველოს სამეფოს წინააღმდეგ წარმოებულ ომს, ძირითადად ცეცხლით და მახვილით გადაუარეს მაჰმადიანურ სახელმწიფოებს. ამ ფაქტმა ჯვაროსნებს შორისაც დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია. მონღოლები მაშინვე დაისახენ ქრისტიანებად, პრესბიტერ იოანეს და მეფე დავითის ლეგენდა პირდაპირ ჩინგიზ-ყაენზე გადაიტანეს, და ეგვიპტეში მყოფი ჯვაროსნები დახმარებას ელოდებოდნენ პრესბიტერ იოანესგან თუ მეფე დავითისაგან, რომელიც ამ ეტაპზე დასავლეთ-ევროპელებთან უკვე ჩინგიზ-ყაენია. ამ დროს ჯვაროსნები ასევე უცდიან აღმოსავლეთიდან მეორე მხსნელ არმიას, ქართველებს, ლაშა-გიორგის მეთაურობით.

მონღოლების საქართველოში შემოჭრამ ჯვაროსნებს შორისაც გაურკვეველობა გამოიწვია. რადგან ორი ქრისტიანი მოკავშირე მოულოდნელად ერთმანეთს დაერია. ჯვაროსნებისთვისაც ამ ფაქტს ახსნა სჭირდებოდა. თუ ჟაკ დე ვიტრი ამ მოვლენებამდე სულ რამდენიმე წლით ადრე პანეგირიკებს უძღვნის ქართველებს, 1221 ან 1222 წელს ევროპაში გაგზავნილ მის წერილში, სადაც სრულადაა მოცემული აღმოსავლური წარმომავლობის ეგრეთ წოდებული მეფე დავითის რელაციოს ტექსტი, მონღოლების საქართველოში შემოჭრა უკვე ახსნილია იმ ფაქტით, რომ ქართველებმა მაჰმადიანებთან დაიწყეს თანამშრომლობა, რის გამოც ქრისტიანმა მონღოლებმა მათზე ილაშქრეს. ბრალის ქართველებისათვის დადება ბუნებრივია, რადგან დამარცხებული მხარე ამ შემთხვევაში ქართველები არიან. დასავლეთ-ევროპელებთანაც ამ კონცეფციის შექმნას საყრდენად ედო რეალური მოვლენები. როდესაც მონღოლები საქართველოს საზღვრებთან ჩნდებიან, როგორც ცნობილია, ლაშა-გიორგი ჩრდილოეთ სპარსეთის ათაბაგ უზბეგს და ხლათის აიუბიან მმართველ ალ-აშრაფს მოუწოდებს ელჩების მეშვეობით, მონღოლების წინააღმდეგ კოალიცია შეკრან. ალ-აშრაფი ამ დროს ჯვაროსნების უშუალო მტერია და, სავარაუდოდ, ეს ინფორმაცია მიეიდა ჯვაროსნებამდე. ქართველებს მაჰმადიანებთან თანამშრომლობის ბრალდება მალევე მოეხსნათ, ხოლო მონღოლები ბათუს მიერ ადრიატიკის ზღვასა და გერმანიის სასაზღვრებამდე განხორციელებული რეიდის შემდეგ დასავლეთევროპულ ელიტბილდში იდეალური, სათნო ქრისტიანებიდან იქცნენ გოგის და მაგოგის აპოკალიპტურ, კაცივჭამია ხალხებად, სატანის მოციქულებად.

აღმოსავლეთ საქართველოს არმიის მონღოლებთან ერთად ბრძოლა მთელი მეცამეტე საუკუნის განმავლობაში და მონღოლებთან მეტად თუ ნაკლებად უმტკივნეულო მორიგება, როგორც ცნობილია, სწორედ მონღოლების მიერ ქრისტიანობისადმი შემწყნარებლობამ და მაჰმადიანური ქვეყნების წინააღმდეგ წარმოებულმა ომებმა გამოიწვია.

ჟამთააღმწერელი ახასიათებს რუსუდანის მეფობის დასაწყისი ხანის სურათს: *„გარნა იწყეს უძღებება და განცხრომა ყოველმან ასაკმან და მიიქცეს ყოველნი სიბოროტედ. და ეითარ არა გამოიცადეს ღმერთი, ამისთვის მისცნა იგინი ღმერთმან უჯეროდ გინებად და ხოცად წარმართთა მიერ. რამეთუ მეფეცა რუსუდან ჩვეულებითა წესსა ძმისა თვისისასა ეიდოდა განცხრომითა და სიმღერითა. ამისთვის აღდგეს ბოროტნი უდიდესნი”* (168).

რუსუდანის დახასიათება ჟამთააღმწერელთან თანხვედება მისი ძმისას. აქაც ძლაერი ქრისტიანული იდეოლოგიური ელემენტი იგრძნობა. როგორც ლაშა-გიორგის დროინდელი ცოდვების შედეგი იყო მონღოლების შემოსევა, ასევე რუსუდანის დროს დამკვიდრებულ წესებს ღმერთის მიერ სასჯელად მოჰყვა ხვარაზმელების გამოჩენა.

სხვათა შორის, ჟამთააღმწერელის რიგი დებულებები ბოლომდე სწორი არ უნდა იყოს. მონღოლებთან პირველი მარცხი არც ისეთი ტრაგიკულია, როგორც ეს

ჟამთააღმწერელთანაა მოცემული. ამის მერე ქართველები მაინც აგრძელებენ ექსპანსიურ პოლიტიკას, ფაქტიურად მზადდება ათაბაგის მთელი სახელმწიფოს, ანუ ჩრდილოეთ სპარსეთის, საქართველოს სახელმწიფოში შემოყვანის. აღმოსაელური სანდო წყაროების მიხედვით,ჯალალედინს სწორედ ქართველები უპირებდნენ განდევნას სპარსეთის მიწებიდან, რომლებიც თავისად მიაჩნდათ. ჯალალედინის ისტორიკოს ან-ნასავისთან ქართველებს ამ დროისათვის კლანჭები უკვე ჩასობილი აქვთ მარაღასათვის,ურმიის ტბის პირას მდებარე ქალაქისათვის. ჯუვეინიც სწორედ აღნიშნულ პერიოდზე ამბობს, რომ ქართველები ბაღდადის აღებას და იქ კათალიკოსის დასმას აპირებდნენ. ხოლო მარინო სანუდოს, ოლივერუსის და ვინსენ დე ბოვეს მიხედვით, ქართულ არმიას დამასკოს ან სხვა რომელიმე სახელგანთქმული მაჰმადიანური ქალაქისათვის უნდა დაერტყა. როგორც ჩანს, მზადდებოდა სამხრეთისაკენ მიმართული დიდი სამხედრო კამპანია. აქ იევნე ათაბაგის ღალატმა მართლაც ფატალური შედეგი იქონია საქართველოსათვის. ჟამთააღმწერელთან ასევე საერთოდ არ ფიგურირებს დიდი ჯვაროსნული ლაშქრობის გეგმები, რომლებსაც უექვველად ადასტურებენ დასავლური წყაროები. აღნიშნული მონაცემები ალბათ კარგად აგებულ სიტემაში გარკვეულ დისონანსს შეიტანდა. მაგრამ ჟამთააღმწერელის სუბიექტივიზმს ერთი გამართლება აქვს. ეს ყველაფერი მიდის რუსუდანის უნიჭო, უმწეო და ხშირად დანაშაულებრივი მმართველობის ფონზე (რაც კარგად ჩნდება დავით ულუს მოკვლის მცდელობასთან დაკავშირებული გვიანდელი ეპიზოდისას). გეგმები დაახლოებით ერთი აქვთ, რაც თამარის დროის საქართველოს, მაგრამ ქვეყნის სათავეში მყოფი პირები მასშტაბის მიხედვით, ცხადია, ახლოსაც ვერ მიელენ თავიანთ დიდ მშობელთან.

გარნისის ბრძოლაში ჯალალედინთან დამარცხების შემდეგ შალვა ახალციხელი ტყვედ ვარდება. შალვას იცნობენ ნახჭევანელები და ადარბადაგანელები, მოახსენებენ სულტანს მისი სიმამაცისა და სიქველის შესახებ. ჯალალედინი შალვას დიდ პატივში იტოვებს თავისთან, უბოძებს ადარბადაგანის ქალაქებს. მაგრამ *„შემდგომად წელიწადისა ერთისა მოიკლა სულტნისა მიერ არა დატეეებისათვის სჯულისა. აიძულებდა დატეეებასა სჯულისასა და უქადებდა ნიჭსა და პატივთა უმეტესთა. ხოლო მან არა უსმინა, არცა აღირჩია წუთ ჟამისა ამის პატივი, არცა უარყო სახელი ქრისტესი. კვალად სულტანი ლიქნიდა და ეტყოდა უარყოფასა ქრისტესსა, არამედ იგი გარემიაქცევდა სიტყვათა მისთა. კვალად სულტანი ექადოდა მრავალფერითა სატანჯველითა და აშინებდა, არამედ იგი მტკიცედ ეგო სარწმუნოებასა ზედა. ხოლო შემდგომად მრავალთა ტანჯვათა მწარითა სიკვდილითა განიყვანა საწუთისაგან წმიდა შალვა და მოწამობისა გვირგვინითა შემკული აღვიდა წინაშე ქრისტესსა*" (171).

ამ შემთხვევაშიც რელიგიური მოტივია წინა პლანზე. თუმცა შალვა ახალციხელის მოკვლის მიზეზად აღმოსაელური წყაროები უფრო სანდო ინფორმაციას უნდა იძლეოდნენ, რომ შალვას კავშირი ჰქონდა ქართველებთან და საქართველოსკენ მიმავალ ჯალალედინის ჯარს ხაფანგს უმზადებდა, რაც შემთხვევით გაიგო ჯალალედინმა. მაგრამ ქრონისტისათვის შალვას დაღუპვის ერთადერთი მიზეზი შეიძლება იყოს სარწმუნოებისათვის თავის დადება. აქედანაც კარგად ჩანს, როგორ გამსჭვალავს შუა საუკუნეების ქართველ ქრონისტთა ველტბილდს ქრისტიანული მსოფლმხედველობა.

ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს ჯალალედინის მიერ თბილისის აღების შესახებ: *„ხოლო არა შემინდობს ტკივილი გულისა მოხსენებად, თუ ვითარ იქმნეს ხვარაზმელნი შინაგან ქალაქსა. ვინ-მე უძღოსა მაშინდელთა თქმულთა და ქმნილთა და განსაცდელთა, რომელი მოიწია ქრისტიანეთა ზედა?"* (175). მუდამ ხაზი ესმება ქრისტიანობის ფაქტორს. რომ მთელი ეს განსაცდელი ქრისტიანებს ატყდებათ თავს, რაც კვლავ და კვლავ წინ წამოსწევს მაჰმადიანებთან რელიგიური დაპირისპირების მოტივს.

ქართველებზე *„ესევითარნი ჭირნი მოიწევნეს, რომელ არაოდეს ძველთა სადამე წიგნთა მიერ სმენილ არს, რომელნი თანაშეეხსწორებიან ქრისტეს ჯვარისა მცმელთა იუდიანთა ზედა ქმნულთა მიერ იერუსალიმისა სრულიადსა მოსპოლეასა ტიტეს და ვესპასიანეს მიერ* [...] *რომლისა მსგავს იქმნა ჟამსაცა ამას სარკინოსთა მიერ ქალაქსა ამას ტფილისისასა.*

[...]" (176-177)

ეს ნიუანსიც დიდი მნიშვნელობის უნდა იყოს. ზემოთ ითქვა, რომ საქართველოს ისტორია ქრონისტებს ებრაელთა ბიბლიური თაეგადასავალის ანალოგიით მიჰყავთ. ღმერთთან ებრაელები ერთგვარად ქართველებით ჩაანაცვლეს. ეს ჩანს როგორც გამარჯვეებების, ასევე დამარცხებებისასაც. ამ შემთხვევაში ჯალალედინის მიერ თბილისის აღება შედარებულია რომაელთა მიერ იერუსალიმის განადგურებასთან. ამ ანალოგიას წმინდა მსოფლმხედველობრივი ხასიათი აქვს. ებრაელების მსგავსად, ქართველებზეც ცოდვების გამო მოიწია ეს სასჯელი. რადგან ღმერთი თავის რჩეულ ერს ცოდვებისათვის სჯის.

ქრონისტი ეხება ჯალალედინის მიერ თბილისის დარბევის ეპიზოდებს. თბილისის ხელში ჩაგდების შემდეგ სულტანმა *„იწყო უბოროტესთა ბოროტთა ქმნად ქრისტიანეთა ზედა.* [...] *ამას თანა არაეე დამშვიდნა ცუდრჯული იგი და ბილწი: მოიგონა სხეაცა სიბოროტე.* [...] *იწყო რღეეეად ეკლესიათა, ვიდრე საფუძეელადმდე აღფხვრა, რომლისათვის იკადრა და ხელყო სიონისა გუმბადსა შემუსრვად და ზედა ბილწისა საჯდომისა მისისა აღშენებად. რომელი-იგი ხიდითა მაღლითა და გრძლითა განხიდა აღსელად*" (177). შემდეგ მოდის ისტორიოგრაფიისათვის კარგად ცნობილი ფაქტი, როდესაც ჯალალედინი სიონთან დაადებინებს იესო ქრისტეს და ღვთისმშობელის ხატებს: *„და ბრძანა ყოეელთა მათ აყრობილთა ქრისტიანეთა, მამათა და დედათა, იძულებით დათრგუნეა პატიოსარია ხატთა და დატე

მოიაზრებს.

ეამთააღმწერელთან დაეით ულუს თაეგადასავალთა შესახებ მოთხრობილი ერცელი ისტორიიდანაც კარგად ჩანს, როგორ მთლიანად არის ქართველთა სახელმწიფო ცნობიერება გაჯერებული ქრისტიანული იდეოლოგიით, იქნება ეს ღვთისმშობელის მიერ დაეით ულუს მრავალგზის სასწაულებრივი გადარჩენა, თუ რუსუდანისათვის ღმერთის მიერ სანაცველოს მიგება მისი საქმისათვის. ქრისტიანული ელემენტის დომინანტობის კარგი მაგალითია ასევე ალამუთის ციხესთან ქართველთა ჯარისათვის თავს გადამხდარი ამბავი, ღვთისმშობლის მიერ ქართველთა ხსნის შესახებ, რომლის აქ ციტირება საჭირო აღარ არის.

სხვათა შორის, უმეტეს შემთხვევებში ქრონიკების მთელი პასაჟების გადმოწერა ხდება აუცილებელი, იმდენადაა ყველაფერი ამ ქრისტიანული მსოფლმხედველობით გაჯერებული. მაგრამ ქრონიკათა მასალის კითხვისას ნათელი უნდა ხდებოდეს, რომ საქართველოს დროშაზე ჯვარის გამოჩენა არ არის რაღაც განსაცვიფრებელი მოელენა.

როდესაც ქართველთა ჯარის ნაწილი ალამუთთან იბრძვის, სახელმწიფო უმეფოდაა დარჩენილი და ქვეყანაში ისედაც არეულობაა, სააქართველოს სამეფოს შემოესევიან სირიელი (შამი) თურქები ყარახანის მეთაურობით. ისინი არბევენ ვალაშკერტის მხარეს, რომელიც ამ დროს საქართველოს სამეფოს შემადგენლობაშია. ვალაშკერტს და საქართველოს სამეფოს სომხური მიწების დიდ ნაწილს ფლობს მანდატურთუხუცესი შანშე მხარგრძელი. მანდატურთუხუცესი შანშე შეკრებს თაეის ჯარს, ასევე ავაგ ათაბაგის მებრძოლებსაც, და მიდის თურქებთან საომრად. *„იქმნა ომი ძლიერი და მოსწყდა სიმრავლე ურიცხეი სპათაგან თურქთასა, ხოლო სპანი შანშესნი კეთილად დაცულ იყვნეს შეწევნითა ძელისა ჯუშარიტისათა, რომლისა მიმართ მინდობილ იყო. და ვითარ შენიეთდა ომი, იძლია ყარახან. იგი და სპა მისი იელტოდეს. და დევნა უყვეს ვიდრე ხლათამდე, მოსრეს და ტყვე ყვეს სიმრავლე ურიცხეი.* [...]" (212).

აქ კვლავ ფიქსირდება არმიის მიერ ქრისტეს ჯვარის ომში წარძღვანების ფაქტი ქართველი დიდებულის მიერ, რომელსაც იმავდროულად სახელმწიფო პოსტიც უჭირავს. ასევე საინტერესოა, რომ ამ ხანაში ცალკეულ ქართველ დიდებულს კიდევე შესწევს ძალა, ილაშქროს ვანის ტბის რეგიონამდე. ეს ფაქტი კარგად მიანიშნებს ქვეყნის დიდ სამხედრო პოტენციალზე, რომელიც შესატყვისი მასშტაბის მმართველის არყოლის გამო მეტწილად უქმად იხარჯება.

ეამთააღმწერელი ახასიათებს სამცხის სპასალარის და საქართველოს სამეფოს მეჭურჭლეთუხუცესის სარგის ჯაყელის შვილს, ბექა ჯაყელს: *„და იყო ესე ბექა ტანითა ახოვან, ფერითა პაეროვან, თმითა და თვალითა გრემან და შვენიერ. ბეჭითა და მკერდითა სრულ, ძალითა ძლიერ, ომსა შინა მხნედ მბრძოლი, ცხენსა ზედა მხნე და მოისარი ნადირთა ხელოვანი, გონებითა ფრთხილ, მაშენებელი ქვეყანათა, ეკლესიათა და მონასტერთა და ღმრთისმოსავთა კაცთა პატივისმცემელ, მლოცავი, რომელ არა დაეკლდის ცისკრის ლოცვათა, სამხრად და მწყხრად, ვითარ ტვიბიკონი მოსცემდის წესსა ლოცვისასა. ამისთვის პატივ სცა ღმერთმან და მეუღლეცა შემსგავსებული მოანიჭა, ლოცვისა, მარხვისა და გლახაკთ მოწყალებისა, მონასტერთა და ხატთა პატივის მოყვარე, ობოლთა და უღონოთა აღმზრდელი"* (273).

როგორც კი ძლიერი მმართველი ჩნდება, მაშინვე აღდგენას იწყებს ქართველი მეფის თუ მთავარის ტრადიციული ქრისტიანული სურათი. ყველა ამ შემთხვევაში რეალობასთან უნდა გვქონდეს საქმე, რადგან გართობას და დროსტარებას გადაყოლილ მეფეებს სახელმწიფო საქმეებისათვის მართლაც აღარ ეცალათ, რასაც შედეგად მოჰყვებოდა ის არეულობები, რომლებზეც, მაგალითად, ეამთააღმწერელი მოგვითხრობს. მეფის ან მთავარის ამგვარი დახასიათება თამარის მერე მგონი პირველია ქართულ ქრონიკებში. მართალია, ბექა ჯაყელი გიორგი ბრწყინვალის ბაბუაა დედის მხრიდან და ეამთააღმწერელის სიმპატია ამითაც შეიძლებოდა ყოფილიყო განპირობებული, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რა დაუნდობლად ამხელს იგივე ეამთააღმწერელი გიორგი ბრწყინვალის მამის, დემეტრე

თაყვადაღებულის პიროვნების იმ მხარეებს, რომლებიც მის საერთო სურათს ბოლომდე არ შეესაბამებიან. მისი მიუდგომლობა ყველა სხვა შემთხვევაშიც სავარაუდებელი უნდა იყოს. სხვათა შორის, ბექა ჯაველის დახასიათებისასაც საერო მმართველის სრულ ხატთან გვაქვს საქმე. როდესაც ბრწყინვალე გარეგნული, საერო ყოფა მთლიანად დამყარებულია ქრისტიანულ სათნოებებზე, ქრისტიანულ მსოფლმხედველობრივ საფუძველზე.

აბაღა ყაენის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ადის ყაენი აპმედი. დემეტრე მეფე მიდის სპარსეთში ყაენის წინაშე. ყაენი პატივით მიიღებს დემეტრეს. დემეტრე თავის ქალიშვილ რუსუდანს ერთ-ერთ დიდ მონღოლ წარჩინებულს გაატანს ცოლად. *„რომლისათვის დიდად გარისხებული ნიკოლოზ კათალიკოსი ფრიად აბრალებდა და ღმრთისა სასჯელთა თვალუხოსა აქადებდა.* [...] *აქამომდე მეფე დიმიტრი, კეთილად მმართველი, სკიპტრათა სამეფოთა შემკობილი და მოწყალებისა და მოსამართლეობისა, მონა ზონთა და ეკლესიათა. ყოველთა წესთა საღმრთოთა და კაცობრივთა კეთილად ზედამიწევნით მმართველი. სისრულისაგან მცირედ მიდრკა და აღერია წარმართთა. და ისწაკნა საქმენი მათნი უძღებებისა და სიძვისა. გულის სიტყვისა უკანა შედგომილმან მოიყვანნა ცოლნი სამნი* [...] *რომელი დედათა შეაცდუნეს სოლომონისებრ. და ურიცხვთა კეთილთად მიერ აღესებული მცირედ სიბოროტედ მიდრკა*" (282). ნიკოლოზ კათალიკოსი ამხილებდა მეფეს, მაგრამ ეერაფერი გააწყო. *„ამისთვის დაუტევა კათალიკოსობა და ხელითა თვისითა აკურთხა ჯვარისმტვირთველი მეფისა აბრაპამ კათალიკოსად*" (282).

ფაქტიურად დემეტრე მეფის დაღუპვას ჟამთააღმწერელთან წინ უძღვის მეფის ქრისტიანული გზიდან გადაცდენის ფაქტი. მართალია ეს ყოველივე რეალობას უნდა ემყარებოდეს, მაგრამ საერთო ქრისტიანული ჩარჩო, რომელშიც ცალკეული ქრისტიანული მოვლენებია ჩასმული, აქაც ნათლად იკითხება. ჯვარისმტვირთველის პროტოტიპი კიდევ ერთხელ ფიქსირდება ქართულ ქრონიკაში, ამასთან მონღოლების პერიოდშიც.

ყაენ აპმედს განუდგა აბაღა ყაენის შვილი არღუნი. ხორასანში მყოფმა ნიოსებმა არღუნი ყაენად გამოაცხადეს. ყაენი აპმედი მიდის არღუნთან და განდგომილებთან საომრად, თან მიყავს ქართველების ჯარიც. ხორასანში მყოფ ქართულ ლაშქარს, მონღოლების ერთმანეთში ბრძოლისაგან დამოუკიდებლად შემდეგი ისტორია შეემთხვა.

„ხოლო ეითარ ვიდოდეს ხვარასანს, შეერბეს სპანი ვინმე უწესონი და ცუდნი კაცნი და მტერნი ქრისტეანეთანი, რომელ ქრისტიანის კაცის სიკვდილი დიდად ღვაწლად უნდეს. რამეთუ ულმერთოსა მის მოპმედის მოძღვრება ესრეთ იყო, რომელ დაეწერა ცუდი სიტყვა წიგნსა მისსა 'ყურანსა' შინა, ვითარმედ: 'უკეთუ მოპკლათ ქრისტეანე, სამოთხეს შესლვად ხართ. და უკეთუ მათგან მოიკლათ, მაშინცა შესლვად ხართ. ამისთვის ულმერთო იგი კრებული ჯიმრთა შეერბა და სდაცა პოებდეს ქართველსა ერთსა გინა ორსა, მოკლვიდიან" (284). ამის შესახებ გაიგებს რატი სურამელი, მიყავს სამასი კაცი, ჯიმრებს პირველიეე შეტაკებისას დაამარცხებს.

ქრისტიანობის და ისლამის დაპირისპირების მოტივი უწყვეტად გადადის მონღოლების ხანაშიც. ეს მოტივი ფაქტიურად ლამის ყველა ამდროინდელ დაპირისპირებას უდევს საფუძვლად. მაგრამ ყურანის მიმართ ჟამთააღმწერელი ამ შემთხვევაში ბოლომდე ობიექტური არ არის. რადგან თვითონ ყურანი ქადაგებს წარმართებთან დაპირისპირებას, ხოლო წერილის, წიგნის მფლობელთა, ანუ ებრაელთა და ქრისტიანთა მიმართ საკმაოდ ლოიალურია. ცალკე საკითხია უკვე მომდევნო საუკუნეებში წარმოშობილი რელიგიური დაპირისპირება მაპმადიანებსა და ქრისტიანებს შორის. აქვე უნდა აღინიშნოს, მაპმადიანთა ხატი, მაპმადიანური რელიგიის არსება ქართულ ძეგლებში ძირითადად შეუდარებლად ახლოსაა რეალობასთან, ვიდრე იგივე შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში. დასავლეთ ევროპულ ნაწარმოებებში, მას შემდეგაც კი, რაც ჯვაროსნული ომების დროს მაპმადიანებთან უშუალო შეხებაში მოვიდნენ, ხშირად მუსულმანებს მიაწერენ პოლითეიზმს, არც მეტი, არც ნაკლები, შვიდასი ღვთაების თაყვანისცემას. აცხადებენ, თითქოს მუსულმანთათვის მაპმადი ღმერთი ყოფილიყოს.

ყაენი არღუნი დემეტრე მეორეზე ან ეჯვს მიიტანს, რომ ის შეთქმულებაში მონაწილეობდა,

ან კიდევ თავის მტრების წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიას იყენებს საიმისოდ, რათა მისთვის არასასურველ მეფე დემეტრეს გაუსწორდეს. დემეტრეს იხმობენ ყაენთან სპარსეთში და დემეტრემ იცის, რომ სიკვდილი ელოდება. შეკრებს სასულიერო პირებს, დიდებულებს და მიმართავს მათ: მამის, დავითის გარდაცვალების შემდეგ დემეტრე დარჩენილა პატარა ბავშვი, რომელიც მონღოლებზე იყო დამოკიდებული. „ [...] *ღმერთმან ყოვლისა მპყრობელმან და უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან და ყოვლად წმიდამან ღმრთისმშობელმან, რომლისა ნაწილადცა ვართ, და ჯვარმან პატიოსანმან, რომელი მოგვევიჭა ჩვენ მეფეთა, დამიცვა და მიმაწია ასაკად სისრულისა და მომმადლა მეფობა, სკიპტრა და პორფირი მეფობისა*" (287). ამჟამად ყაენი განრისხებულია და თავისთან მიხმობს. თუ ყაენთან არ წაველ და მთიულეთს შეეფარებ თავს, მაშინ მონღოლები შემოესევიან ქვეყანას, „*რაოდენი სული ქრისტიანე სიკვდილსა მიეცემის და ტყვე იქმნების, და ეკლესიანი შეიგინებიან და მოოხრდებიან, ხატნი და ჯვარნი დაიმუსრვიან*" (287). თუ ყაენს ვეახლები, ნამდვილად ვიცი, მომკლავს. მაგრამ „*მრავალმღელვარე არს საწუთო ესე, დაუდგრომელ და წარმავალ, დღენი ჩვენნი სიზმრებრ და აჩრდილებრ წარვლენ, და უნებელ და მსწრაფლ თანა გვაც წარსცლა სოფლისა ამისგან. რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, ვაკეთო ჩემთვის მრავალი სული მოკვდეს და მე ტვირთმძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისგან!*" (287) საბოლოოდ დემეტრე მიდის ყაენთან, სადაც სიკვდილით დასჯიან.

როგორც ეხედავთ, დემეტრეს მძლავრი და შთამბეჭდავი სიტყვა მთლიანად რელიგიურადაა მოტივირებული. ყაენთან წასვლის მთავარი საფუძველი არის ის გარემოება, ჟამთააღმწერელის მიხედვით, რომ ქრისტიანები და ქრისტიანობა იხსნას დაღუპვისაგან. შესაბამისად, კონკრეტულ საერო ქმედებას საფუძველად უდევს ქრისტიანული მსოფლმხედველობა. თუმცა, ბუნებრივია, დემეტრეს ქმედება პოლიტიკურადაც არის მოტივირებული და თავისი ერის გადარჩენას ისახავს მიზნად. დემეტრე მეფის სიტყვაში კვლავ ნახსენებია ქრისტეს ჯვარი, რომელსაც ქართველი მეფეები ფლობენ.

დემეტრეს სიკვდილით დასჯას მოსდევს ყაენ არღუნის მძიმე ავადმყოფობისაგან სიკვდილის აღწერა. ჟამთააღმწერელს შემოაქვს ისევ ქრისტიანული კონცეფცია, რომ ფაქტიურად ღმერთმა დასაჯა არღუნი ღმერთისაგან ცხებულზე, ქართველთა მეფეზე და ქრისტიანებზე ხელის აღმართვის გამო.

ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს დემეტრე მეორის შვილის, დავით მეფის შიშის შესახებ, როდესაც მეფეს სპარსეთში არ უნდა წასვლა. კარგი რომანისტის მსგავსად აქვს დავითის მერყეევი პორტრეტი გამოყვანილი. გადაწყვეტს საბოლოოდ დავითი სპარსეთში ყაენის წინაშე წასვლას და უცებ რაღაც ახალი ფაქტორი წამოყოფს თავს, რის გამოც ეს შიში ხელახლა ეწყება და ისევ გადაიფიქრებს. დავითის შიშს წმინდა პოლიტიკურის გარდა რელიგიური მოტივაციაც აქვს. ყაზან ყაენის კარზე აღზევებული ნაეროზი, ყაენისაგან ფარულად და დამოუკიდებლად, სდევნიდა ქრისტიანებს და მათ გამაჰმადიანებას ცდილობდა. ნაეროზმა გადაწყვიტა ილხანთა სახელმწიფოში გაენადგურებინა ქრისტიანობა და ქრისტიანული ეკლესიები. ტაძრების ნგრევა ჯერ თავრიზში დაიწყო, მალე საქართველოშიც გამოგზავნა ხალხი, რათა ქვეყანა და ეკლესიები მოეოხრებინათ. თავიდან ვარძიას უპირებდნენ განადგურებას. ამ აქციას ხელმძღვანელობდა ნაეროსის ერთ-ერთი ნათესავი. „*მოიწია რისხვა ყოვლადწმიდისა ვარძიის ღმრთისმშობელისა მას ზედა, რომელ მოეიდოდა მოსაოხრებლად ვარძიისა ღმრთისმშობელისა და პატიოსნისა ჯვარისა დასამხობლად. ამისთვის მეხდატეხილ იქმნა და განგალა მეხმან სრულიად და დაიწვა ძვალითურთ. ესრეთ საკვირველებითა დაიცვა სამყოფი თვისი ვარძიისა ღმრთისმშობელმან*" (300-301). ღმერთის რისხვა ასევე მოიწია ნაეროზზეც, რომელსაც ყაზან ყაენი მისი უსამართლო და ბოროტი საქმეების გამო სიკვდილით სჯის.

აღნიშნული ამბავში დაცული რელიგიური ელემენტის გარდა საინტერესოა ვარძიაში დაცული ჯვარის საკითხიც. ძნელი სათქმელია, ამ დროისათვის ვარძიაში აღმართული ჯვარი ის ცენტრალური ჯვარია, რომელიც არმიას ბრძოლაში მიაქვს, თუ მეორე ჯვართან გვაქვს საქმე.

კონკრეტულად ჟამთააღმწერელის და ზოგადად ქართული ქრონიკების ღმერთის ხატზე შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ერთგვარად ძველი აღთქმის ღმერთი, რომელიც მუდამ აქტიურადაა წარმოდგენილი რეალურ ისტორიაში, ჰყავს თავისი რჩეული ერი, და ამ ერის თუ ამ ერთან დაკავშირებული სხვა ხალხების ნებისმიერ კარგ თუ ცუდ ნაბიჯს იქვე მიაგებს სანაცელოს. ოღონდ ქრონიკების ღმერთის რჩეული ერი, ბუნებრივია, არის ქართველობა და არა ებრაელები.

ყაზან ყაენის დროს ასეევ: „*ამათ შყოთთა რა შინა იყო ქეყანა ქართლისა, არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და არცა შენება ყოველადვე, ვითარ დღეთა აქაბ მეფისათა ელიას მიერ სამ წელ და ექვს თვე. გარნა აჰა ხუთ წელთა იყო ოხრება, რამეთუ ესოდენთა სიბილწეთა, სიდიმერთთა ცოდვათა შემოსრულთათვის განრისხდა ღმერთი და ვიქმნენით მიცემულ პირველად მწარესა ტყვეობასა და მეორედ ბარბაროზთა მიერ სრვასა და ხოცასა.* [...]" (309-310). ისევე ნნდება ბიბილიური ისტორიის ანალოგიები, საქართველოს ცხოვრებისათვის საფუძვლად დადებული.

თურქები აზატ-მოსეს მეთაურობით ბასიანის მხრიდან შემოესევიან საქართველოს. ქართველები არ ელოდნენ თურქების თავდასხმას, ამიტომ შემოსულებმა თავიდან ბევრი ხალხი დახოცეს. ტაოს ერისთავი თაყა ფანასკერტელი დახმარების სათხოვნელად მოდის ბექა ჯაველთან. ბექა შეკრებს სამცხის, შავშეთის, კლარჯეთის დიდებულებს და მიმართავს მათ: დიდმა და სახელოვანმა, სკიპტრისა და პორფირის მქონებელთა შორის ყველაზე უფრო სახელგანთქმულმა მეფემ, დავით აღმაშენებელმა, დასცა და დაამხო თურქების ძლიერება. დავითის დროიდან თურქები საქართველოში აღარ გამოჩენილან. „*ა!" ცოდვათა ჩვენთათვის კვალად აღიძრნეს მძვინვარედ და მოაოხრეს ტაო და ეკრიცხეი სული ტყვე ყვეს და მოსწყვიდეს პირითა მახვილისათა, ეკლესიანი დასცეს და ხატ'ბიდენი შეაგინეს. და კვალად განმზადებულ არიან ბოროტის ყოფად ქრისტიანეთა და ძოოხრებად, ვინათგან მეფე შემცირებულ არს მძლავრებისაგან თათართასა.* [...] *შეეკრბეთ ყოველითა ძალითა ჩვენითა და მიემართოთ თურქთა და არა მივსცნეთ თავნი და შეილნი ჩვენნი. და არა განგვწირნეს ღმერთმან მოსავნი მისნი და აღმსარებელნი მისნი და მოგვეცეს ძლევა მათ ზედა, ვითარ მისცა მამათა ჩვენთა ძლევა მათ ზედა. დავდვათ თავი ჩვენი სჯულისა შეუგინებლობისათვის და ძმათა ჩვენთათვის. უეჭველად ღმერთი მოგვანიჭებს ცხოვრებასა.*" (311-312).

ბექა ჯაველის სიტყვებიც ტრადიციულად გამსჭვალულია იმ სამხედრო-რელიგიური იდეოლოგიის ელემენტებით, რომლებსაც ზემოთ შეეეხეთ დეტალურად. აღნიშნული იდეოლოგია არსებობას აგრძელებს როგორც მეფეებთან, ასევე ცალკეულ მთავრებთან. როგორც კი ომის ხანა იწყება, ხდება მისი მძლავრი განახლება, თუკი შესატყვისი გაქანების პიროვნების მართვას თანხვდა ეს მოვლენა. ერმა ერთგვარად უნდა იცოდეს, რისთვის იბრძვის. ბექა ჯაველის მიხედვით, სარწმუნოებისა და ერისათვის ბრძოლის ან დაღუპვის სანაცელოდ ღმერთი საუკუნო ცხონებას მიანიჭებს ქართველ მეომრებს.

შემოსეულ თურქებზე ვკითხულობთ: „ [...] *რამეთუ ყოველთა ქალაქთაგან გამოჭყვა კაცი სჯულითა სარკინოზი ხოცად ქრისტიანეთა*" (312). თურქები დამარცხდნენ და გარბიან. „*ესრეთ წინადაუსახვიდა ღმერთი ძლევასა ბექას თურქთა ზედა*" (313). თურქები დევნეს მ'სის ჩასელამდე. „*ხოლო მოხედნა ღმერთმან წყალობით მოსავთა ჯვარისათა*" (314), რადგან ბექას მთელი ჯარიდან სულ ხუთი კაცი დაიღუპა. „*ესრეთ მოსცა ღმერთმან ძლევა და გამარჯვება ბექას, ლაშქართა თურქთა მათ ზედა*" (314). დიდი ალაფით დატვირთულები უკან ბრუნდებიან. ჟამთააღმწერელი ახასიათებს ბექას პიროვნებას: „*რამეთუ იყო ბექა მონასტერთა და ეკლესიათა მაშენებელი და მონაზონთა და ხუცესთა და მოწესეთა კაცთა პატივისმცემელი. და არა დაალდის ეკლესიასა მისსა წესი ლოცვისა ცისკრად, სამხრ და მიმწ'ყარი. და ლაშქარნი მისნი ვერ დააკლდებოდიან სამსა ამას ლოცვასა. და ამისთვის უმარჯვებდა ღმერთი. და მოსცა ყაენმან კარი და მიმდგომი მისი ქეყანა*" (315).

ქართული არმია ჯვრის მოიმედედ არის დასახული. ბექა ჯაველი არის ღვთისმოსაე, ნამდვილი ქრისტიანი მმართველი. ამიტომ უმარჯვებს მას ღმერთი. ყველა გამარჯვებას

ბექა ჯაველს აძლევს უშუალოდ ღმერთი, მისი ღვთისმოსაობის და ქრისტიანული ცხოვრების წესის სანაცვლოდ.

რელიგიური დაპირისპირების მოტივი ისევ მძლავრად იფეთქებს ვახტანგ მესამესთან დაკავშირებული შემთხვევის აღწერისას: *„ეითარ წარვიდა ვახტანგ, მოუხდეს კაცნი ხოდრისელნი, სჯულითა სარკინოზნი და მტერნი ქრისტეს აღმსარებელთანი და ყოველთა ქრისტიანეთა, და რქვეს ყაენსა ხარბადანს: უკეთუ არა ყოველთა ქრისტეანეთა დაატყვებინო სჯული და ეკლესიანი არა დააქციენ, არა განგემარჯვოს მტერთა ზედა და არა წარგემართოს მეფობა შენი და ხელმწიფება. – ესე სიბილწე წარმოსთხიეს ცუდრჯულთა"* (320). ყაენმა ისმინა და დაიწყო ეკლესიების ნგრევა. საქართველოში გამოაგზავნა ჯარი ერთ-ერთი ნოინის მეთაურობით, რათა დაენგრიათ ეკლესიები, მეფეც და ხალხიც გაემაპმადიანებინათ. სპარსეთიდან წამოსულ მეფე ვახტანგს და მის ჯარს მონღოლთა დამსჯელი ექსპედიცია ნახჭეანთან წამოეწია. მაშინ მეფე ვახტანგი მიმართავს თავის ჯარს: *„აკცნო, ძმანო და ერთრჯულნო და ქრისტეს ღმრთისა ჭეშმარიტად აღმსარებელნო! უწყით სჯული მამათა მიერ და გასმიეს ქადაგება წმიდათა მოციქულთა და უწყით ღვაწლნი და ახოვანებანი მოწამეთანი და გიხილვან თვალითა თქვენითა ტაძარსა შინა მათსა ურიცხვნი სასწაულნი და გასმიეს სახარებასა შინა უტყეველისა პირისა, ვითარმედ: რომელმან აღმიაროს მე წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა"* (321). ამიტომ ნუ შეშინდებით, წავიდეთ ყაენის წინაშე და დავდოთ ჩვენი სული იმისთვის, ანუ ქრისტესათვის, ვინც: თავისი სული ჩვენთვის დადო. გაეწიროთ თავი სიკეთილისათვის, დანარჩენს კი ღმერთი გადაწყვეტსო.

ვახტანგ მეფე თავისი ჯარით ეახლება ყაენს, მუხლს მოიყრიან მის წინაშე და მეფე მიმართავს: „ [...] *მოვიდა ბრძანება, რათა ყოველთა ქრისტიანეთა დაუტეოთ სჯული ჩვენი. აწ ისმინეთ: ბეღნიერთა პაპათა და მამათა თქვენთა პმონა და მსახურა პაპამან და მამამან სვენმან ამით სჯულითა, და აროდეს გვასმიეს, თუ სჯული ქართველთა ავი არს, არამედ უწარჩინებულეს ეყოფილეართ ყოველთაგან. და სპარსთა სჯული უფროს საძაგელად შეურაცხა პირველთა ყაენთა* [...]" (321). თუ სპარსელების სიტყვას ისმენ, მე, ჩემი ქართველი დიდებულებით მზად ვარ *„სიკვდილად სჯულისათვის ქრისტეანობისა* [...]" (321). ყაენი მოლბება ვახტანგის ამ კეთილშობილური საქციელის შემხედვარე და ქრისტიანთა რბევის შეწყვეტას ბრძანებს.

როგორც ვხედავთ, ქართველი მეფეების და ქართული არმიის, ანუ საერო ხელისუფალის და საერო არმიის ლამის ყველა მოქმედება მიდის ქრისტესათვის თავდადების ნიშნით. ვახტანგ მეფესთან დაკავშირებულ აღნიშნულ პასაჟს გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქართული დროშის საკითხისთვისაც, როგორც ქვემოთ ნუმიზმატიკური მასალის განხილვისას ვნახავთ.

ქართული ქრონიკების მასალის ანალიზის შედეგად მივდივართ შემდეგ დასკვნებამდე. ქრისტიანული იდეოლოგია შუა საუკუნეებში არის საქართველოს სახელმწიფო იდეოლოგია. ამ ქრისტიანულ იდეოლოგიას საქართველოში აქვს აქტიური ფორმაც, რაც გამოიხატება საერო ბრძოლის ეკლესიის მიერ კურთხეულობაში. აღნიშნული იდეოლოგია საქართველოში დასრულებული ფორმით უკვე ფიქსირდება მეხუთე საუკუნეში, ჩანასახის სახით მას ეხვდებით მეოთხე საუკუნეში და ეს მსოფლმხედველობა კარდინალური მნიშვნელობისაა, რათა ქვეყანას ჰქონდეს ქრისტიანული სიმბოლიკის მქონე დროშა. რადგან საერო ხელისუფლებას ქრისტიანული სიმბოლიკის დროშა შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საერო სახელმწიფო პოლიტიკას საფუძვლად უდევს სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობა და სახელმწიფო იდეოლოგიას განსაზღვრავს ქრისტიანობა. დასავლეთ ევროპაში ყველა ამ მოვლენას, შესაბამისი იდეოლოგიის ჩამოყალიბებას და საერო მმართველებთან ქრისტიანული სიმბოლიკის მქონე დროშების გაჩენას ადგილი აქვს საქართველოსთან შედარებით რამდენიმე საუკუნით ვვიან.

თავი მეორე

შუა საუკუნეთა საქართველოს სამეფოს
სახელმწიფო დროშა ქართული მასალის მიხედვით

წინამდებარე თავში განეიხილაე შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფო დროშის პრობლემას უშუალოდ ქართული მასალების საფუძველზე. შუა საუკუნეთა ქართული ქრონიკების მასალის ანალიზმა გვიჩვენა: ის სახელმწიფო იდეოლოგია, ან მსოფლმხედველობა, რომლის გარეშეც საერო ხელისუფლებას ვერ ექნება ქრისტიანული სიმბოლიკის მქონე დროშები, საქართველოში ფიქსირდება უკვე მეხუთე საუკუნეში, ვახტანგ გორგასალის ეპოქაში. შესაბამისად, არაფერი გასაკვირი იმაში არ არის, რომ ქრისტიანული სიმბოლიკის დროშა შეექმნა უკვე ვახტანგ გორგასალს.

უშუალოდ ქართული სახელმწიფო დროშის თემატიკის განხილვამდე სასურველია ზოგადად შეეეხოთ დროშების საკითხს შუა საუკუნეთა საქართველოში. სახელმწიფო დროშის გარდა შუა საუკუნეებში არსებობდა მეფის პირადი დროშებიც. თვითონ სახელმწიფო დროშაც ორგვარი ყოფილა, ერთი იყო „დიდი დროშა", რომელიც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოჰქონდათ, ხოლო მეორე – სანიადაგოდ სახმარი დროშა. სახელმწიფო და სამეფო დროშების გარდა შუა საუკუნეებშიეე არსებობდა სხვადასხვა კუთხეთა მმართველების, საქართველოს მეფის არმიის, მეფის მცველების, ხელოვნებისა, საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყნების დროშები. იგივე დასტურდება ქართული ეკლესიისაც[1].

საქართველოში, როგორც დანარჩენ ქრისტიანულ თუ არაქრისტიანულ აღმოსავლურ სამყაროში, ადრეულ შუა საუკუნეებშიეე უნდა არსებულიყო დროშათა ჩამოყალიბებული სისტემა. ამის სამაგალითოდ გამოდგება VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის, აგათია სქოლასტიკოსის მონათხრობი ბიზანტიის კეისარის მიერ ლაზიკის მეფედ წათეს დამტკიცების შესახებ: „*წათემ* [...] *ფეხი შემოდგა თავის ქვეყანაში,* [...] *ლაზები* [...] *გახარებულნი იმით, რომ როგორც იქმნა გადარჩნენ უბედურებას, მიაცილებდენ მას ჩამწკრივებულნი: ყოველგნით საყვირების ხმა ისმოდა, და დროშები იყო მაღლა ამართული*"[2]. როგორც ვხედავთ, ადრე შუა საუკუნეების დასაელეთ საქართველოში დროშები ჩვეულებრივი მოვლენაა.

ადრეული ხანის საქართველოში დროშების არსებობის ფაქტი დასტურდება წმინდა ნინოს ცხოვრების მიხედვითაც. ნინოს ცხოერებაში აღწერილია დღესასწაულზე გამოსული მოსეიმე ხალხი: „*აღიესნეს მთანი იგი დროშაითა და ერითა* [...] *ყუავილითა*"[3]. ამდენად, დროშების არსებობის ფაქტი დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოშიც, წმინდა ნინოს ეპოქაში.

საქართველოში ყოფილა ჩვეულება, როდესაც ქართველი მთავარი ეინმეს მფარველობას ცნობდა, თავისი სამფლობელოს ცენტრალურ პუნქტზე აღმართავდა სიუზერენის დროშას. კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, პატრიკიოზმა აშოტ კისკასმა გურგენ მაგისტროსის მტრობით არტანუჯის ციხე გადასცა რომანოს კეისარს (920-944). კეისარის მოციქულმა ციხის ჩაბარების შემდეგ გალავანზე ბიზანტიის იმპერატორის დროშა ააფრიალა[4]. ეს გარემოება არაპირდაპირ უნდა მიუთითებდეს იმაზეც, რომ დამოუკიდებელ ხელისუფალთ საქართველოში ციხეებსა და ქალაქებზე თავთავიანთი დროშები უნდა ჰქონოდათ აღმართული.

---

[1] დროშათა მასალის მიმოხილვისას ვემყარები სარა ბარნაველის წიგნს: ქართული დროშები, თბილისი, 1953. გვ. 11.

[2] გეორგიკა, ბიზანტიელი მნერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ტფილისი, 1936, ბერძნ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა (ციტირებულია ნიგნიდან: სარა *ბარნაველი* [1953]. გვ. 8).

[3] სარა *ბარნაველი* (1953). გვ. 8.

[4] სარა *ბარნაველი* (1953). გვ. 9.

ასევე სავარაუდოა,რომ უკვე ადრე შუა საუკუნეებშივე ქართული ჯარის ქვედანაყოფებს, ბიზანტიური არმიის მსგავსად, მრავალი ცალკეული დროშა უნდა ჰქონოდათ. პირველ ასეთ ცნობას გვაწვდის XIII საუკუნის ისტორიკოსი სტეფანოზ ორბელიანი, რომლის მოწმობითაც უშუალოდ საქართველოს ამირსპასალარის განკარგულებაში იყო 12 დროშა, ხოლო თითოეულ დროშაში შედიოდა 1000 კაცი[5].

ისტორიკოსების მიერ დაფიქსირებული სადროშოების დიდი რაოდენობა სპეციალისტებს აფიქრებინებს, რომ საქართველოში იქნებოდნენ დროშების დამამზადებელი სპეციალური ოსტატებიც[6].

ამდენად, ადრე შუა საუკუნეების საქართველოში დროშათა სისტემის არსებობას აფიქსირებენ როგორც ქართული, ასევე უცხოური წყაროებიც. შესაბამისად, გორგასალის ეპოქაში სახელმწიფო დროშის შექმნის ფაქტი აღნიშნული კუთხითაც საესებით დასაშვები გამოდის.

ჯუანშერი

„ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“

ჯუანშერის ქრონიკა „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა" უშუალოდ დროშის პრობლემასთან დაკავშირებულ მასალას არ გვთავაზობს[7]. მაგრამ ჯუანშერის ქრონიკა, სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობის საკითხების გარდა, კიდევ ორი კუთხითაა ქართული სახელმწიფო დროშის კონტექსტში ყურადსაღები.

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების ქართული სამეფოს დროშა ქრონიკების მიხედვით უპირველესად უკავშირდება ვახტანგ გორგასალის სახელს. რადგან ქართული სახელმწიფო დროშა ისახება გორგასლიანად, და მხოლოდ ამის მერე ბაგრატოვანურად და დავითიანად. ამასთან, ქვემოთაც ვნახავთ, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" თანახმად, გორგასალი აღნიშნული სახელმწიფო დროშით შევიდა სინდეთში, რომელსაც ინდოეთსა და სინდზე სპარსელთა მიერ მოწყობილ ლაშქრობაში მიიღო მონაწილეობა. არავითარი საფუძველი არ გვაქვს, არ ეენდოთ ქართული ქრონიკების მონაცემებს. შესაბამისად, დროშის საკითხის კონტექსტში ჯუანშერის მიერ მოწოდებულ რიგ ცნობებს შეიძლება დიდი მნიშვნელობა ჰქონდეთ.

ჯუანშერის ქრონიკის განხილვისას ზემოთ დეტალურად ვისაუბრეთ პასაჟზე, რომელსაც გორგასალის ცხოვრებისათვის კარდინალური მნიშვნელობა აქვს. ეს გახლავთ ფრთოსანი ჯვარის ხილვის სცენა. ამ ხილვით იწყება გორგასალის საბოლოო და ურყევი შემობრუნება ქრისტიანობისაკენ. გორგასალმა ფრთოსანი ჯვარის სახით იხილა ქრისტე და ამ ფრთოსანი ჯვარისგან მიიღო სამეფო გვიგვინი. შესაბამისად, სახელმწიფო პოლიტიკა მთლიანად ქრისტიანული იდეოლოგიითაა კვლავ გამსჭვალული და ამ იდეოლოგიაში კარდინალური მნიშვნელობა ენიჭება ფრთოსანი ჯვარის მოტივს. ქართული სახელმწიფო დროშა პირველად ფიქსირდება ვახტანგ გორგასალთან. შემდგომში ამ სახელმწიფო დროშის უწყვეტი ხაზი მოდის გიორგი ბრწყინვალემდე. გიორგი ბრწყინვალის ეპოქაში ევროპულ პორტოლანებზე პირველად ჩნდება ქართული სახელმწიფო დროშა, სადაც თეთრ ფონზე ხუთი წითელი ჯვარია მოთავსებული. ქართული სახელმწიფო დროშის სავარაუდო შემქმნელი არის გორგასალი. რადგან ეს დროშა პირველად ჩნდება მეჯე ვახტანგთან დაკავშირებით და ის გორგასლიანადაც მოიხსენიება შემდგომში. გორგასალის ცხოვრებაში ცენტრალური მნიშვნელობა აქვს ქრისტეს ხილვას ფრთოსანი ჯვარის სახით. ქვემოთ დაერწმუნდებით, ხუთჯვრიანი დროშა ევროპულ პორტოლანებზე

[5] სარა ბარნაველი (1953). გვ. 12.
[6] სარა ბარნაველი (1953). გვ. 15.
[7] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, წიგნში: ქართლის ცხოვრება, ტ. 1 (1955), გვ. 139-244.

ნამდვილად საქართველოს სახელმწიფოსია და, კიდევ ერთხელ გავიმეოროთ, ამ დროშის სავარაუდო შემქმნელი არის გორგასალი. ტერმინი „ფრთოსანი ჯვარი" საესებით დასაშვებია ხუთჯვრიან კომპოზიციასაც გულისხმობდეს. რადგან ცენტრალური დიდი ჯვრის გარშემო ოთხ მინდორში მოთავსებულ ჯვრებს წარმოსახვითი ხაზებით თუ დავაკავშირებთ ერთმანეთთან (მარჯვენა, ზედა პატარა ჯვარს მარცხენა, ქვედა პატარა ჯვართან და მარცხენა, ზედა პატარა ჯვარს მარჯვენა, ქვედა პატარა ჯვართან), მართლაც ფრთოსანი ჯვარის გამოსახულებას ვღებულობთ. რა იქნებოდა იმაზე ბუნებრივი, რომ გორგასალს თავისი ცხოვრებისათვის კარდინალური მნიშვნელობის მქონე ეს ხილვა დაედო საფუძვლად სახელმწიფო დროშისათვის? მსგავსი მოსაზრება, რა თქმა უნდა, ეარაუდია, მაგრამ ამგვარი შესაძლებლობა საესებით რეალური მგონია.

ჯუანშერის ქრონიკა მეორე მნიშვნელოვან პუნქტსაც გვთავაზობს დროშის საკითხთან დაკავშირებით. როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ჯუანშერის ქრონიკის დეტალური განხილვის შემდეგ, გორგასალის მთავარი ომები მოაზრებულია იერუსალიმისათვის ბრძოლად. გორგასალი უბრუნებს ქრისტიანულ სამყაროს იერუსალიმს (ყოველ შემთხვევაში, საქართველოდან წამოსული მოვლენათა შეფასება ამგვარია), გორგასალი იერუსალიმის გადასარჩენად ილაშქრებს სპარსელებთან ერთად ინდოეთსა და სინდზე, ინდოეთის კამპანიამდე გორგასალი უშუალოდ ჩადის იერუსალიმში, ხოლო სპარსელებთან საქართველოში ომი აგრეთვე იერუსალიმისათვის ბრძოლად არის ჯუანშერთან დასახული. თუ გავიხსენებთ, რომ ხუთჯვრიანი დროშა გახლავთ ეგრეთ წოდებული „იერუსალიმის ჯვარი", ამ დროშის მნიშვნელობა საეარაუდოდ მიანიშნებს ქრისტეს ხუთ ჭრილობაზე, მაშინ შეიძლება დავუშვათ: გორგასალის ცხოვრება იძლევა სრულ საფუძველს საიმისოდ, რათა შევეკ ვახტანგს იერუსალიმის ჯვარი გამოესახა დროშაზე.

ამდენად, ვახტანგ გორგასალის ეპოქაში პირველად საქართველოს ისტორიაში ვხედავთ სამხედრო-ქრისტიანულ მსოფლმხედველობას დასრულებული ფორმით. ამგვარი მსოფლმხედველობის ქვეყანაში არსებობა აუცილებელია, რათა საერო ხელისუფლებას ჰქონდეს ქრისტიანული სიმბოლიკის მქონე დროშები. გორგასალის ომები ორიენტირებულია იერუსალიმის დაცვაზე (რიგ შემთხვევებში თუნდაც სიმბოლურად, ქრისტიანობის დაცვით). გორგასალის ცხოვრებაში ცენტრალური ადგილი უკავია ფრთოსანი ჯვარის ხილვას და, არ არის გამორიცხული, ფრთოსანი ჯვარი სწორედ ხუთჯვრიან კომპოზიციას გულისხმობდეს. ამასთან, ამ ეპოქის საქართველოში დროშები ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც დანარჩენ აღმოსავლურ ქრისტიანულ თუ არაქრისტიანულ სამყაროში, დროშათა სისტემა საქართველოშიც გავრცელებულია. აქედან გამომდინარე, გორგასალის ცხოვრებაში მოცემული წინაპირობების მიხედვით, სრულიად დასაშვებია, მეფე ვახტანგს ჰქონოდა ხუთჯვრიანი დროშა. ამგვარი დაშვება რჩება მაინც ეარაუდად. მაგრამ ეს ეარაუდი საკმაოდ მყარ არგუმენტებს უნდა ემყარებოდეს. თუმცა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ქართული ქრონიკები დროშასთან დაკავშირებით მეორენაირი ინტერპრეტაციის შესაძლებლობასაც იძლევიან.

ღმრთისა" (94-95).

ამ ჯერადაც ნახსენებია სახელმწიფო დროშა, ოღონდ კონკრეტული დეტალების დასახელების გარეშე. დროშის გაგზავნას მთელი რელიგიური რიტუალი უძღვის წინ. როდესაც არმია ომში მიდის, მთელი ქვეყანა მისთვის ლოცულობს. ეს ყველაფერი ლამაზ ლეგენდასავითაა. თამარის დროს წარმოებული ომების ფორმა მათთვის საფუძველად დადებული რელიგიური იდეოლოგიის თვალსაზრისით, ასევე ამ ომების თანმხლები რელიგიური რიტუალები, შეიძლება ითქვას, რომ ჯვაროსნებისათვის იდეალი იქნებოდა. იმიტომაც არის, რომ დასავლეთევროპელები ქართველებზე ლეგენდებს ქმნიან, ქართველებს სახავენ იდეალურ ქრისტიანებად.

„ისტორიანის და აზმანის" მოდელინო ნაწილი მოგვითხრობს უკვე ხორასანში ლაშქრობის შესახებ. თბილისთან თამარ მეფე ხვდება საომრად გამზადებულ არმიას: „*და მოიღო* [თამარმა] *დროშა სვიანად ხმარებული, გორგასლიანი და დავითიანი, და შეავედრა მასვე ვარძიისა ღმრთისმშობელსა. დროშა და ლაშქარი დალოცა და წარავლინა სპარსეთს. და მისცა დროშა ზაქარია ამირსპასალარსა. და წარემართნეს სპარსეთად*" (104).

თამარის დროშა, „ისტორიანის და აზმანის" მიხედვით, ამ შემთხვევაში ისახება გორგასლიანად და დავითიანად. თუ რას გულისხმობს ტერმინი „გორგასლიანი", სემოთაც ითქვა, თავისთავად ნათელია. ამ ტერმინით ქართული დროშის ისტორიის სათავეში დგება ვახტანგ გორგასალი და ასევე დაშვებულია, რომ ეს დროშა სახელმწიფო დროშა გახლდათ დანარჩენი გორგასლიანი მმართველების დროსაც. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს დროშასთან დაკავშირებით ტერმინ „დავითიანის" შინაარსის დასუსტებას და ამ საკითხს ქვემოთ, ჟამთააღმწერელის ქრონიკის განხილვისას შევეხები დეტალურად. სახელმწიფო დროშის ლამის ყოველ ომში გაგზავნას წინ უძღვის დროშასთან დაკავშირებული წმინდა რელიგიური რიტუალი. ეს ფაქტორიც უეჭველად გვიდასტურებს, რომ დროშაზე ქრისტიანული სიმბოლო უნდა ყოფილიყო აუცილებლად გამოსახული.

ბასილი ეზოსმოძღვარი
„ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი"

ბასილი ეზოსმოძღვარი* ეხება გიორგი მესამის გარდაცვალების შემდეგ თამარის მეფედ კურთხევის ცერემონიას: „*განიყარეს გლოვა და დასცეს საყვირსა, ვითარცა ოდესმე სოლომონისთვის, და დადგეს სვიანი ტახტი ვახტანგეთი, საყდარი დავითიანი, რომელი პირველ მთოვარისა განამზადა მეფეთ-მეფემან საბაოთ ელოიმ სამფლობელოდ ზღვითი-ზღვამდი და მდინარითგან კიდემდი სოფლისა. აღმართეს სკიპტრა დიდებულთა, ძელი ჯვარისა და მის თანა დროშა დავითისი, არაოდეს მობერილი წინააღმდგომთაგან ნიათა. და ყოველთა ერთხმაქმნილთა აწვიეს თამარს ხრმალი მამული, თანა საყდრითურთ მამისა მინიჭებული*" (115-116).

ბასილი ეზოსმოძღვარი სახელმწიფო დროშას აქ დავითის დროშას უწოდებს, მაგრამ ეს „ისტორიანის და აზმანის" ან ჟამთააღმწერელის ცნობებს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, როგორც ქვემოთ დაერწმუნდებით. დროშასთან იქვეა ტრადიციული ჯვარი. აქ კიდევ ერთი საინტერესო დეტალი ჩნდება. ბაგრატიონთა სამეფო ტახტიც გარკვეულწილად ვახტანგ გორგასალთან იღებს დასაბამს. რადგან, დროშის მსგავსად, სამეფო ტახტიც გორგასლიანად და დავითიანად არის სახელდებული. ამასთან, „დავითიანი" ამ შემთხვევაში კონტექსტის მიხედვით უნდა გულისხმობდეს ბაგრატიონურსაც, ბიბლიურ დავითსაც და ალბათ დავით აღმაშენებელსაც, როგორც დროშის შემთხვევაში. ეს ტახტი უშუალოდ ბიბლიური ღმერთისაგან მოდის, ის საყაროს, ან მთვარის შექმნამდეა დამზადებული, მთელ

* ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, წიგნში: ქართლის ცხოვრება, ტ. 2 (1959), გვ. 115-150.

ქვეყნიერებაზე მბრძანებლობისათვის (*„პირველ მთოვარისა განამზადა მეფეთ-მეფემან საბაოთ ელო�მ სამყლობელოდ ზღვითი-ზღვამდი და მდინარითგან კიდემდი სოფლისა“*. აქედან კარგად ჩანს, უკვე რა მასშტაბებს იღებს ქართული მონარქიის იდეოლოგიაც და მომავალი საეარაუდო მიზნებიც). ბიბლიური ღმერთის, საბაოთ-ელოღიმის შემდეგი რგოლი ტახტის ისტორიაში სწორედ ბიბლიური დავითი უნდა იყოს. ამის მერე კი მიედიეართ მომდევნო საფეხურამდე, ანუ ვახტანგ გორგასალამდე. უაღესად ყურადსაღები მგონია ამ შემთხვევაშიც ქრონისტის ხედვა და მის მიერ შემოთავაზებული კონცეფცია ტახტის წარმომავლობის შესახებ. მართალია, ბიბლიური დავითისაგან და, ამდენად, ნაწილობრივ ბიბლიური ღმერთისგანაც საკუთარი გენეალოგია ბაგრატიონებს გამოყავდათ, მაგრამ აქ ვახტანგ გორგასალიც, ბაგრატიონებისაგან დამოუკიდებლად, თუ შეიძლება ასე ითქვას, გარკვეული ფორმით უშუალოდ უკავშირდება ბიბლიურ ღმერთსა და საეარაუდოდ ბიბლიურ დავითსაც. რადგან გორგასალის სამეფო ტახტი ყოველგვარ ეჭვს გარეშე მომდინარეობს უშუალოდ ბიბლიური ღმერთისაგან, საეარაუდოდ ბიბლიური დავითის საფეხურის გავლით (როგორც ითქვა, „დავითიანში“ კონტექსტი გვაფიქრებინებს ბაგრატიონების გარდა ბიბლიურ დავითსაც). ამასთან, „დავითიანი“ აქაც ბევრი მნიშვნელობის მქონე ტერმინი უნდა იყოს და დავით აღმაშენებელზე, ქართული მონარქიის განმაახლებელზეც უნდა მიგვიანიშნებდეს. ჩემი აზრით, შეიმჩნევა პარალელიზმი დროშის შემთხვევასთან. დროშაც ამგვარადვე კავშირდება გორგასალთან, გორგასლიანებთან, დავით აღმაშენებელთან, ბაგრატიონებთან და, ყველა ნიშნის მიხედვით, ბიბლიურ დავითთანაც.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ შუა საუკუნეთა საქართველოს სახელმწიფოს მთელი სამეფო სიმბოლიკის თუ სამეფო ხელისუფლებასთან დაკავშირებული ატრიბუტიკის სათავეში დგას ვახტანგ გორგასალი. ეს ფაქტი კიდევ უფრო ამყარებს ყველა ამ ატრიბუტის და მათ შორის დროშის გორგასალისგან გამოყვანის ფაქტს. თუ რა იდეოლოგიით ქმნიდა ამ ყველაფერს გორგასალი, აქ აღარ გავიმეორებ.

ბახიანის ბრძოლის წინ თამარი რუქნადინს უგზავნის საპასუხო წერილს. ამის შემდეგ *„ცოტაოა შინა ღღეთა შემოკრბეს* [ქართველი მეომრები] *ვითარცა ვეფხნი სიკისკასითა და ვითარცა ლომნი გულითა. ქრისტესა ღმერთსა ესვიდეს და არღარა ყოვნეს, არამედ მსწრაფელ მიმართეს ტაძარსა ყოელად წმიდისა ღმრთისმშობელისასა ვარძიას. და ვარძიისა ღმრთისმშობელსა წინაშე ცრემლით შეევედრნა* [თამარმა] *სოსლან დავით და სპა მისი და დროშა ბედნიერად ხმარებული. და წარგ ზავნა ვარძიით ლაშქარნი, რომელთა თვით თამარ უძღოდა წინა შიშველითა ფერხითა და ცრემლითა ასოელებდა ღაწვთა თვისთა“* (134).

კვლავ ქრისტიანული რიტუალებით მზადდება მაჰმადიანებთან ბრძოლა. ამ მხრივ, ქრონიკების მიხედვით, გორგასალთან და თამართან რელიგიური ფაქტორი ყველაზე უფრო მძლავრად იგრძნობა. დავითთანაც, ბუნებრივია, მკვეთრად ქრისტიანული ასპექტი დომინირებს, მაგრამ ასე ყოველ სიტყვას და ყოველ ომს ქრიტიანული რიტუალი წინ არ უძღვის. სახელმწიფო დროშა ისევ მიაქვთ ვარძიის ეკლესიაში და ღვთისმშობელს შეავედრებენ. მთელი აქ მოტანილი მაგალითები აშკარად მიუთითებენ, რომ დროშაზე ქრისტიანული სიმბოლოს გარდა სხვა ვერაფერი იქნებოდა გამოსახული.

ჟამთააღმწერელი ეხება მონღოლთა პირველ გამოჩენას საქართველოს სახელმწიფოებთან[10]:

„მაშინ მოიწია რისხვა ზეგარდამო უსჯულოებათა და ცოდვათა ჩვენთათვის. და ივლტოდეს ქართველნი და სპანი და თვით მეფე ლაშა. და ურიცხვი სული ქრისტიანე მოკვდა. სადა-ივი დიდიცა ივანე ათაბაგი, სამცხისა სპასალარი, ძლით ცოცხალი განერა. [...] და აჰა იქმნა მოწყენა სრულიადისა ღმრთისა რისხვისა და განწირეა ქართველთა ნათესავისა სიმრავლისათვის უსჯულოებათა ჩვენთასა. და იქმნა უკუქცევა სვესეიანისა ბედისა, მაღლისა და სარინისა დავითიანისა დროშისა გამარჯვებულისა. რამეთუ ვინათგან მიეცა ღმერთსა დიდსვესა და დიდბედისა დავითისდა გამარჯვება, აქ ჟამამდე სვიანი იგი ბრძოლათა შინა დროშა დავითიანი და გორგასლიანი გამარჯვებული არასადა ძლეულ იყო. ხოლო აჰა, ვითარ იქმნა ცვალება ბედისა ქართველთა ნათესავისა, არღარა მიეცა ძლევა თათართა ზედა ვიდრე ჟამამდე ჩვენთა" (164-165).

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" მიხედვით, ვღებულობთ ქართული სახელმწიფო დროშის უწყვეტ ხაზს ვახტანგ გორგასალიდან გიორგი ბრწყინვალის ეპოქამდე. საუკუნეების განმავლობაში დროშის რაიმე ცვლილებაზე არავითარი მინიშნებაც არ არის, ეს გახლავთ ვახტანგის და დავითის, გორგასლიანების და ბაგრატიონების („ბაგრატოანური" თან შესაძლოა ბაგრატ III გულისხმობდეს, როგორც ივანე და ჯავახიშვილი და სარა ბარნაველი ვარაუდობენ, თუმცა ამ საკითხს ქვემოთ შეეხები).

მაგრამ უკვე ბასილი ეზოსმოძღვართან ეხვდებით მოტივს, რომ ეს დროშა არის „არაოდეს მობერილი წინააღმდგომთაგან ნიავთა". ამ ნიუანსს აღასტურებს ჟამთააღმწერელის აქ მოტანილი პასაჟიც: „აქ ჟამამდე სვიანი იგი ბრძოლათა შინა დროშა დავითიანი და გორგასლიანი გამარჯვებული არასადა ძლეულ იყო". შესაბამისად, ქართული სახელმწიფო დროშა უძლეველად, დაუმარცხებლად ისახება ბასილი ეზოსმოძღვარის და ჟამთააღმწერელის მიერ. აგრეთვე იკითხება შემდეგი ასრი: ეს დროშა დაუმარცხებელი იყო მონღოლების შემოსევამდე. დაუმარცხებლობის რეალობა თანხვდება პერიოდს დავით აღმაშენებლიდან მონღოლების გამოჩენამდე. მაგრამ გორგასალის შემდეგ ეპოქაში ქართული არმია და, ბუნებრივია, მასთან ერთად დროშა დაუმარცხებელი ვერ იქნებოდა. ამიტომ აქ ძალაუნებურად გვახსენდება არაერთხელ გამოთქმული ვარაუდი, რომ დავით აღმაშენებელმა გორგასალის ერთ ჯვარს დაუმატა ოთხი ჯვარი და ამიტომ გახდა დროშა გორგასლიან-დავითიანი. მაშინ თითქოს წინააღმდეგობაც იხსნება, რომ დროშა ქრონიკების მიხედვით არის გორგასლიანიც და დაუმარცხებელიც. ამგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, გამოსარიცხი არ არის.

მაგრამ მე მაინც ვიხრები იმ შეხედულებისაკენ, რომ ქართული სახელმწიფო დროშა უცვლელია ვახტანგ გორგასალიდან გიორგი ბრწყინვალის ეპოქამდე. რადგან გორგასლიანად და დავითიანად სახელდება მაინც გულისხმობს, რომ ეს ერთი დროშაა. დავითის მიერ გარკვეული ცვლილებების შეტანის შემთხვევაში დროშის შინაარსი მთლიანად იცვლება. ამიტომ ეს იგივე დროშა ვეღარ იქნებოდა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ჰერალდიკის კანონების მიხედვით, დროშათა შინაარსის ამგვარი ცვლა მაინცდამაინც მიღებული პრაქტიკა არ უნდა იყოს. ამასთან, თუ დაეუშვებთ, რომ დავით აღმაშენებელმა გორგასალის ერთ წითელ ჯვარს დაუმატა ოთხი მცირე წითელი ჯვარი, მაშინ ვღებულობთ იერუსალიმის ჯვარს. ხოლო თეთრ ან ვერცხლისფერ ფონზე გამოსახული ერთი წითელი ჯვარი არის წმინდა გიორგის ჯვარი. გორგასალის, ქრონიკების მიხედვით ქართული სახელმწიფო დროშის შემქმნელის ცხოვრებაში კი სწორედ მძლავრად არის წინა პლანზე იერუსალიმის, და არა წმინდა გიორგის ფაქტორი. ყოველი კონკრეტული დროშის

[10] ჟამთააღმწერელი, მონღოლთადროინდელი მატიანე, ნიგნში: ქართლის ცხოვრება, ტ. 2 (1959), გვ. 151-325.

უკან ყოველთვის დგას კონკრეტული შინაარსი. გორგასალის ცხოვრებაში მოცემულია ზუსტად ხუთჯერიანი დროშის შესატყვისი შინაარსი. ამასთან, როგორც ქვემოთ ენახავთ, ხუთჯერიანი კომპოზიცია გარკვეული ფორმით დავით აღმაშენებლამდეც ფიქსირდება ნუმიზმატურ და საეკლესიო მასალაში. რაც, თავის მხრივ, ზურგს უმაგრებს ვარაუდს, რომ ხუთჯერიანი კომპოზიცია უკვე ვახტანგ გორგასალს შეეძლო დროშაზე დაეტანა. ამასთან, ანგარიშგასაწევია „ისტორიანი და აზმანის" ცნობაც, რომ ქართული სახელმწიფო დროშა უფრო გორგასლიანურია. ამგვარი ფრაზა დროშის შინაარსის ცვლილების შემთხვევაში ალბათ ეეღარ ითქმებოდა. რაც შეეხება დროშის დაუმარცხებლობის ფაქტორს, ამ შემთხვევაში ამგვარი ეარაუდი დასაშვები მგონია. გორგასალის დროშა, როგორც მთელი სახელმწიფო, ერთგვარად ახალ სიმაღლეზე აიყვანა დავით აღმაშენებელმა და დავითის შემდეგ გახდა ეს დროშა სრულიად დაუმარცხებელი. იქნებ ქრონისტების ფრაზები სწორედ ამ პერიოდს გულისხმობენ და მათი სიტყვების განერცობა არ უნდა მოხდეს უფრო ადრეულ პერიოდზეც? თეორიულად შეიძლებოდა იმის დაშვებაც, რომ არაბების შემოსევის შემდეგ გორგასალის დროშა გადადის უკანა პლანზე და შემდეგ ბაგრატ III ან დავით აღმაშენებელი აღადგენენ მას სახელმწიფო დროშად. რადგან დროშაში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში ეს დროშა ამგვარი ხელაღებით ეეღარ დაისახებოდა ვახტანგ გორგასალის დროშად. ეს იქნებოდა უკვე სრულიად სხვა შინაარსის მქონე დროშა.

სამწუხაროდ მოტანილ ორ ვერსიას მაინც ერთგვარი თანაბარი არსებობის უფლება აქვთ დავით აღმაშენებლის წინა პერიოდამდე. მაგრამ დავით აღმაშენებლის და გიორგი ბრწყინვალის დროშა კვლავ ყოველგვარ ეჭვს გარეშე ერთი და იგივე დროშაა. რადგან, უამთააღმწერელის მიხედვით, ქართულ სახელმწიფო დროშას *„არღარა მიეცა ძლევა თათართა ზედა ვიდრე უამთაამდე ჩვენთა"*, ანუ გიორგი ბრწყინვალის ეპოქამდე, როდესაც უამთააღმწერელი თავის მატიანეს წერს. დავითის შემდგომ ეპოქაში დროშასთან კონტექსტში აღარ ჩნდება არავითარი ახალი ტერმინი ან ცნობა, რაც სახელმწიფო დროშაში რაიმე შინაარსობლივი ცვლილების ფაქტს დაგვაშვებინებდა. უამთააღმწერელის სიტყვებით კი ნათლად ირკვევა: გიორგი ბრწყინვალის დროს გორგასლიან-დავითიან დროშას კვლავ მიეცა გამარჯვება. ანუ გიორგი ბრწყინვალეს აქვს იგივე დავით აღმაშენებლის დროშა. კიდევ ვიმეორებ: არავითარი დოკუმენტური წყარო არ არსებობს საიმისოდ, რომ გიორგი ბრწყინვალის მიერ დროშაში კიდევ რაიმე ცვლილების შეტანა დაეშვათ[11].

სხვათა შორის, იმ ვარაუდს, რომ დავით აღმაშენებელმა გარკვეული კორექტიები შეიტანა სახელმწიფო დროშაში, აძლიერებს ხოლმე შემდეგი გარემოებაც: დროშა ქრონისტების მიერ ისახება გორგასლიანად და დავითიანად. მაგრამ ტერმინი „დავითიანი" არ არის აუცილებელი ყოველთვის დავით აღმაშენებელს გულისხმობდეს. „ისტორიანის და აზმანის" მიხედვით, ეს დროშა ერთმნიშვნელოვნად არის გორგასლიანური და ბაგრატოანური. ბასილი ეზოსმოძღვარი დროშას უწოდებს დავითიანს. დროშა თითქოს დავით აღმაშენებელთანაც გამოდის დაკავშირებული. ხოლო უამთააღმწერელთან ეს დროშა ჯერ არის დავითიანი, ხოლო მერე იქვე – დავითიანი და გორგასლიანი. ანუ წყაროების

---

[11] ტერმინ ბაგრატოანურს ბაგრატ III-ს უკავშირებს სარა ბარნაველიც (სარა *ბარნაველი* [1953]. გვ. 15). სარა ბარნაველი „ისტორიანის და აზმანის" ცნობასთან დაკავშირებით, სადაც სახელმწიფო დროშით გორგასალის სინდეთში შესვლაზეა ლაპარაკი, შენიშნავს: *„ეს შესანიშნავი ცნობა დროშის შესახებ ჩვენ წინ გადაშლის რაღაც ფურცლებს დაკარგული საისტორიო თხზულებისა ვახტანგ გორგასალის მეფობის შესახებ"*. თუმცა იქვე მიუთითებს: *„თვით ჯუანშერის ისტორიაში სინდეთში გალაშქრების ამბავი სრულიად არ არის დაკავშირებული საქართველოს სამეფო დროშასთან, დროშა ამ თხზულებაში არ არის ნახსენები"* (სარა *ბარნაველი* [1953]. გვ. 16). ივანე ჯავახიშვილი სიფრთხილით ეკიდება ცნობას, რომ დროშა გორგასლიანიც იყო: *„თუ მრავალგვარი და ხანგრძლივი უკულმართობის გამო, რომელიც აღმოს. საქართველოს ვახტანგ გორგასლის შემდგომ თავს დაატყდა, ადვილი დასაჯერებელი არ არის, რომ დამოუკიდებლობის ისეთი სიმბოლო, როგორიც სახელმწიფო დროშაა, მტრების კლანჭებს გადაპრჩენოდეს, ის ცნობა მაინც სრულ ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს, რომ თამარ მეფის დროს და შემდეგშიაც საქართველოს სახელმწიფო დროშა ბაგრატიცა (ალბათ III-ის) და დავით აღმაშენებლის ნაქონები დროშა იყო"* (იგ. *ჯავახიშვილი*, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. 2. გვ. 207. ციტირებულია წიგნიდან: სარა *ბარნაველი* [1953]. გვ. 15). დავით აღმაშენებელის, თამარის და გიორგი ბრწყინვალის დროშის იდენტურობის შესახებ იხილეთ: დავით მუსხელიშვილი, ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშა შუა საუკუნეებში, „ლიტერატურული საქართველო", 13-20 მარტი, 1998, გვ. 5.

მიხედეთ ქართული სახელმწიფო დროშა ნებისმიერ შემოხვევაში უკავშირდება ეახტანგ გორგასალის სახელს. რიგ წყაროთა თანახმად, დროშასთან დაკავშირებით გორგასალის სახელის გვერდზე ჩნდება დავითის სახელიც. მეორე ტერმინი, რომლითაც ეს დროშა აღინიშნება, დავითიანი, თავისთავად ასოცირდება დავით აღმაშენებლის, გორგასალის მერე ყველაზე მძლავრი მეფის სახელთან. მაგრამ არ არის მაინცდამაინც აუცილებელი, რომ დავითიანი ყველა შემთხვევაში სწორედ დავით აღმაშენებელს გულისხმობდეს. როგორც ითქვა, „ისტორიანი და აზმანში" სახელმწიფო დროშა არის გორგასლიანური და ბაგრატოონური. ბასილი ეზოსმოძღვართან – დავითიანი, ხოლო ჟამთააღმწერელთან – ჯერ დავითიანი, ხოლო იქვე – დავითიანი და გორგასლიანი. ქართული ქრონიკების მიხედეთ რიგ შემთხვევებში დავითიანი და ბაგრატოანური გამოდის ერთმანეთის სინონიმები. ანუ უწინარესად აქ ლაპარაკი უნდა იყოს არა დავით აღმაშენებელზე, არამედ მოცემულია უბრალოდ ბაგრატიონების მეორე სახელი, დავითიანები, რომლითაც ისინი ტრადიციულად აღინიშნებიან იგივე ქართულ ქრონიკებში, როგორც დავით წინასწარმეტყველის შთამომავლები. აქედან გამოდის აზრი: გორგასლიანი დროშა დავით აღმაშენებელმა კი არ იმემკვიდრეა, არამედ ეს გადაეცა ბაგრატიონების გვარს მას შემდეგ, რაც ქართლის მეფობა გორგასლიანებისაგან გადავიდა მათთან. მგონი ამ შემთხვევაში ყველაფერი თავის ადგილზე უნდა დგებოდეს და ეახტანგ გორგასალიდან გიორგი ბრწყინვალემდე ქართული სახელმწიფო დროშის თითქოს უწყვეტ ხაზს ვიღებთ. ამასთან, ბაგრატოონური, ისევე როგორც დავითიანი, მარტო ერთი მნიშვნელობის ტერმინი არ უნდა იყოს. ბაგრატოანური საეარაუდოდ ბაგრატიონებთან ერთად გულისხმობს საქართველოს გამაერთიანებელსაც, ბაგრატ III.

ოღონდ გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორი. ბასილი ეზოსმოძღვართან და ჟამთააღმწერელთან დავით აღმაშენებელთან დაკავშირების ნიუანსიც ჩნდება ნამდვილად, როდესაც, მაგალითად, ბასილი ეზოსმოძღვარი ხმარობს ერთგან ტერმინს „დროშა დავითისი", ხოლო ჟამთააღმწერელი დავითიან და გორგასლიან დროშაზე ლაპარაკამდე დავით აღმაშენებლის ღმერთისაგან გამარჯვებულობას უნდა გულისხმობდეს. მაგრამ ეს გარემოება საერთო სურათს თითქოს არ ცვლის. რადგან, ჩემი დაკვირვებით, ქრონისტები ტერმინებში „დავითიანი" და „დავითისი" რამდენიმე მნიშვნელობას დებენ ხოლმე ერთდროულად. პირველი აზრი „დავითიანისა" აშკარად „ბაგრატოანურის", როგორც ბაგრატიონთა დინასტიის, სინონიმურია და ეს მნიშვნელოვანია დროშის ზოგადად ბაგრატიონებისათვის კუთვნილების საერთო ჩარჩოს შესაქმნელად. ამ ჩარჩოს შიგნით კი, დასაშვებია დროშის სახელის მოხსენიებისას ხანდახან დავით აღმაშენებელზეც იყოს მინიშნებული. რადგან დროშა სათანადო სიმაღლეზე სწორედ დავითმა აიყვანა.

ამასთან, ბასილი ეზოსმოძღვარის „დროშა დავითისი", როდესაც კონკრეტულ დავითზეა ლაპარაკი, თითქოს უფრო ბიბლიური დავითისაკენ უნდა იხრებოდეს. ბასილი ეზოსმოძღვართან იმავე ადგილას, როგორც ზემოთ ვნახეთ, ლაპარაკია სამეფო ტახტზე. ეს სამეფო ტახტი არის ბაგრატიონების. ბაგრატიონებმა ის მიიღეს აგრეთვე გორგასლიანებისაგან, რადგან ტახტი არის „ეახტანგეთი". იმავდროულად ეს ტახტი გახლავთ „დავითიანი" და ეს დავითიანი შესაძლოა აღმაშენებელზეც მიანიშნებდეს, მაგრამ უწინარესად უნდა გულისხმობდეს ბიბლიურ დავითს. რადგან გორგასალის ტახტი სამყაროს შექმნამდე მოამზადა ბიბლიურმა ღმერთმა საბაოთ-ელოღიმმა. შესაბამისად, გორგასალსა და ღმერთს შორის თითქოს აუცილებლობა მოითხოვს ერთგვარად ბიბლიური შუალედური რგოლის არსებობას. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიური დავითისაგან გენეალოგია ბაგრატიონებს გამოყავდათ, ეახტანგ გორგასალს უშუალო კავშირი ეჩნდება ბიბლიურ სამყაროსთან და ეს დროშისთვისაც მნიშვნელოვანია.

„დროშა დავითისი" შესაძლოა გულისხმობდეს ბიბლიურ დავითსაც იმ აზრით, როგორც თავისი ტახტი მიიღო გორგასალმა ბიბლიური სამყაროდან, ასევე მოხდა დროშის შემთხვევაშიც. რაკი ბიბლიური დავითი ქრისტეს მამადაც ითვლება ერთგვარად, ეს დროშაც გამოდის უშუალოდ ღმერთის, ქრისტეს დროშა. თუ არ ვცდები, მსგავსი ვარაუდი არ უნდა

იყოს ბოლომდე მიუღებელი. დროშაზე ჯვრების არსებობა ამ შემთხვევაში ბიბლიური დავითის დროშად დასახვის სავარაუდო შესაძლებლობას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს. რაკი დავითი უშუალოდ ქრისტეს მამად ითვლება. შესაძლოა ამ შემთხვევაშიც აუცილებელი გახლდათ თეორია ქართული დროშის უშუალოდ ღმერთისაგან მომდინარეობის შესახებ. ბიბლიური დავითი, როგორც შუალედური რგოლი ღმერთსა და ქართველ მეფეებს შორის, ამ შემთხვევაში საესებით მისაღები კანდიდატურა უნდა ყოფილიყო. თეორიულად დროშის გამოყენანა უშუალოდ ქრისტიანული პერიოდის დასაწყისიდანაც შეიძლებოდა. მაგრამ, ტახტის მსგავსად, უკეთ უნდა ეჯერდეს, რომ ეს დროშაც ასევე არსებობდა სამყაროს შექმნამდე ღმერთთან ზეცაში. გასათვალისწინებელია აგრეთვე: ქართული არმია პირდაპირ ბიბლიური დავითის არმიადაც ცხადდება ხოლმე, როგორც თამარის იამბიკოდან დაერწმუნდით. ეს ფაქტიც ხელს უნდა უწყობდეს დროშასთან დაკავშირებით ბიბლიური დავითის სახელის გამოჩენის ეარაუდს.

ჟამთააღმწერელთან კიდეე ორჯერ არის ნახსენები ქართული სახელმწიფო დროშა, ოღონდ უკვე კონკრეტული დეტალების გარეშე. საქართველოს უახლოვდებიან ხვარაზმელები: *„ვითარ ცნა რუსუდან შემოსლვა ხვარაზმელთა სამეფოსა შინა მისსა, მოუწოდა ყრმათა იმერთა და ამერთა და მოიღო დროშა სეფე. და მოუწოდა ივანე ათაბაგსა, რომელი მას ჟამსა მიმხცოვრებულ იყო, არა განცხადებულად, არამედ ფარულად მონაზონ ქმნილ იყო. განაჩინა მეფემან რუსუდან სპათა მისთა თავად და უბოძა დროშა სვიანი და წარაგზავნა ბრძოლად სულტნისა მის გალალდინისა"* (169).

დროშაზე რაიმე მნიშვნელოვანი ცნობა აქ აღარ არის. გარდა იმისა, რომ კვლავ ქრისტიანული რელიგიური იდეოლოგიით ნაწარმოებ ომში მიაქვთ სახელმწიფო დროშა. რუსუდანი დროშას უბოძებს ივანე მხარგრძელს, რომელიც ჯალალედინთან საბრძოლად მიეგზავნება.

ჯალალედინთან მეორე, გადამწყვეტ ბრძოლასთან დაკავშირებით ეკითხულობთ: *„ხოლო თვით დროშა სეფე არა წარგზავნა* [რუსუდანმა] *საქმისათვის ივანე ათაბაგისა.* [...]" (183). საინტერესოა, რომ გარნისის ბრძოლაში ივანე ათაბაგის ღალატის გამო რუსუდანი არმიას ჯალალედინთან მეორე ბრძოლისას სახელმწიფო დროშას აღარ ატანს. ჟამთააღმწერელი ამ ფაქტთან დაკავშირებით მეტს არაფერს გვეუბნება.

სახელმწიფო დროშის ბედზე ლაშა-გიორგის მეფობის შემდეგ ქრონიკების მიხედვით ინფორმაცია აღარ გვაქვს. ქრონიკების გარდა რამდენიმე სხვა წყარო გვაწვდის მცირე ინფორმაციას შუა საუკუნეთა საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ.

სვიან დროშას ახსენებს თავის ანდერძში დავით აღმაშენებელი: *„მე წარვედ წინაშე მსაჯულისა, მისისაებრ განმგებელი მეფობისა* [...] *მივეც (მემკვიდრეს დიმიტრის) დროშა ჩემი სვიანი, აბჯარნი ჩემნი სამეფონი და საჯერჭლენი ჩემნი ზემონი და ქვემონი"*[12]. ძნელი სათქმელია, ამ შემთხვევაში იგულსხმება მეფის პირადი დროშა, თუ დიდი სახელმწიფო დროშა. ალბათ მაინც მეორე.

გორგასლიან და დავითიან დროშას ახსენებს „აბდულმესიას" ავტორიც. ეს დროშა დავით აღმაშენებელს მიჰქონდაო ლაშქრობაში:

„გორგასლიანი,
დავითიანი
დროშა იახლის
მსვრელად მტერთათვის"[13].

ჩემს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, შუა საუკუნეებში ბოლოს სახელმწიფო დროშა ნახსენებია „ხელმწიფის კარის გარიგებაში" (გიორგი ბრწყინვალის ხანა). „ხელმწიფის კარის გარიგების" მიხედვით, დასავლეთ საქართველოს ზარდახანაში ინახებოდა საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს „დიდი სამეფო დროშა"[14]. რაც შეეხება იმ

[12] სარა ბარნაველი (1953). გვ. 18.
[13] სარა ბარნაველი (1953). გვ. 18.
[14] სარა ბარნაველი (1953). გვ. 19.

ფაქტს, თუ რომელ სამეფოს დარჩა XIII საუკუნეში სახელმწიფო დროშა, ძნელი სათქმელი უნდა იყოს. წესით ერთიანი საქართველოს მემკვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო იყო და სახელმწიფო დროშაც აქვე უნდა დარჩენილიყო. შესაძლოა „ხელმწიფის კარის გარიგების" ცნობა ამ ეარაუდს ხელს არც უშლიდეს და ერთიანი საქართველოს დროშა გარკვეულ ხანს ყოფილიყოს დასავლეთ საქართველოს ზარდახანაში.

ძნელი სათქმელია იგულისხმება თუ არა სახელმწიფო დროშა „ხელმწიფის კარის გარიგების" შემდეგ პასაჟში: „აწ" *გაცხადება ესთქვათ დიდი დღესასწაული და წესი არის, რომე მეფე სადაც იყოს, რაც სული კაცი არის ქრისტეანი, ყოველიეე წაეა, დიდი დროშა ააბან და მენობათენი წინათ და დროშა განადამცა წინა ამართული, და მერმე ჯვარისმტვირთველი შემოსილი და ძელი ცხოვრებისა ხელთა*"[15].

ამის შემდეგ, დღეისათვის არსებული მასალების საფუძველზე, ერთიანი საქართველოს სამეფოს დროშის შესახებ ფაქტიურად აღარაფერი ვიცით. ერთადერთი XIX საუკუნის დასაწყისში ეხედებით ამ კუთხით ორ საინტერესო ცნობას. XIX საუკუნის პირველ ნახევარში, რუსეთში გადასახლებული ქართველი ბატონიშვილები დავითი და ბაგრატი ახალციხის ბრძოლასთან დაკავშირებით ახსენებენ დავით აღმაშენებლის დროშას.

დავით ბატონიშვილთან ეკითხულობთ: „*ხოლო წელსა 1811 მოიკრიბნა ტორმასოვმან ამერ-იმერნი და მხედრობანი რუსთანი.* [...] *მოადგა ახალციხესა.* [...] *იძლიევნენ რუსნი და ამერ-იმერნი, და მიეღეს თურქთა ორი ზარბაზანი და ბაერაკი დავით აღმაშენებელისა, რომელიცა თანა აქუნდათ იმერთა, მით რამეთუ კერძოსა ძლით იმერთა იძლიევნენ რუსნი*"[16].

იგივე მოვლენის შესახებ ბაგრატ ბატონიშვილი მოგვითხრობს: „*ხოლო წელსა 1810, ნოემბრის 5 წარვიდა უპირველესი მართებელი საქართველოისა ტორმასოვი ახალციხის დასაპყრობელად მხედრობითა თვისითა და ეგრეთვე ქართლ-კახეთითა და იმერეთითა, რომელნიცა ახლდა თანა დადიანი ლეონცა მხედრობითა თვისითა.* [...] *მიეტყვნენ ციხესა ზედა იმერნი.* [...] *იძლევნენ და წარეღეს ოსმალთა იმერთა დროშაი* [...] *დავით მეფისა აღმაშენებელისა*"[17].

ამდენად, ტორმასოვის თანმხლებელმა ქართველებმა შვიდი საუკუნის განმავლობაში გადარჩენილი დავით აღმაშენებლის დროშის თურქებისათვის ჩაბარება მოახერხეს. აღნიშნულ დროშასთან დაკავშირებით სარა ბარნაველიც შენიშნავს, რომ ძნელი გასარკვევია, იყო ეს გორგასლიანი სახელმწიფო დროშა, თუ მეფე დავითის პირად დროშასთან გვქონდა საქმე[18].

აქვე შეეეხოთ საკითხს, თუ რა ფერის იყო სახელმწიფო დროშა ან რა იყო მასზე გამოხატული ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით. უნდა ითქვას, რომ მასალა ამ შემთხვევაში მეტად მწირია. როგორც ზემოთ ვნახეთ, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორის მიხედვით, სახელმწიფო დროშა „სინდეთს შესვლითგან მოსჰეტაკდებოდა". შესაბამისად აქ დროშის თეთრი ფერი უნდა იგულისხმებოდეს („მოსჰეტაკდებოდას" მეორე დასაშვები მნიშვნელობა „განწმენდის" სახით, რომ სინდეთსა და ინდოეთზე მოწყობილი ლაშქრობით, როდესაც იერუსალიმის დაცვაზეა აქცენტი გაკეთებული, დროშა ერთგვარად განიწმინდა, ალბათ აქ არ უნდა ვივარაუდოთ). დროშის ზოგადად თეთრი ფერი არ უნდა გამორიცხავდეს იმის შესაძლებლობას, რომ დროშაზე სხვა რამეც იყო გამოსახული.

სახელმწიფო დროშასთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის XIII საუკუნის ისტორიკოსი სტეფანოზ ორბელიანი თავის „სივნიეთის ისტორიაში". სტეფანოზ

---

[15] ციტირებულია ნიგნიდან: თეიმურაზ *ყაფარელიძე*, XII საუკუნის ქართული ჭედური ხელოვნების ისტორიიდან, თბილისი, 1980, გვ. 4.

[16] სარა *ბარნაველი* (1953), გვ. 19.

[17] სარა *ბარნაველი* (1953), გვ. 19. სარა ბარნაველი მართებულად შენიშნავს, რომ დავით აღმაშენებლის დროშა შესაძლოა თურქეთში აღმოჩნდეს. კარგი იქნებოდა, თუკი ვინმე სპეციალისტი დაინტერესდება აღნიშნული საკითხით.

[18] სარა *ბარნაველი* (1953), გვ. 20.

ორბელიანის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო დროშა იყო თეთრი, ხოლო მასზე გამოსახული ნიშანი – წითელი. ხოლო ორბელებს ნაბრძანები ჰქონდათ, ეტარებინათ წითელი ფერის დროშა თეთრი ნიშანით[19]. სტეფანოზ ორბელიანის აღნიშნული ცნობა, ბუნებრივია, პირდაპირ უჭერს მხარს ევროპული პორტოლანების მონაცემებს, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო დროშად ხუთჯერიან დროშას სახავენ.

სტეფანოზ ორბელიანის ცნობა კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ქართული დროშის ისტორიისათვის, თუ გავითვალისწინებთ ამ საკითხთან დაკავშირებით ბ-ნ დავით მუსხელიშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას[20]. ბ-ნი დავით მუსხელიშვილის თანახმად, „ნიშნ" (ნიშანი, გამოსახულება) ძველ სომხურში იმავე დროს ჯვარს ნიშნავდა და სომხურიდან ქართულად თარგმნილ ძველებში ეს სიტყვა ხშირად კონტექსტის მიხედვით ასევე ითარგმნებოდა. ამიტომ სტეფანოზის ტექსტი შეიძლება ასეც იკითხებოდეს: „წესად იყო ხელმწიფის (დროშის) ალამი თეთრი ყოფილიყო, ხოლო (ზედ) წითელი ჯვარი ჰქონოდა". როგორც მკვლევარი ფიქრობს, იმ ფაქტს, რომ „ნიშნ" სტეფანოზს მხოლობით რიცხვში აქვს ნახმარი, ამ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს და დიდი ჯვრის გარშემო განლაგებულ მინდვრებში ოთხი მცირე ჯვრის არსებობას არ უნდა გამორიცხავდეს (აღნიშნულ დასკვნას არაპირდაპირ ადასტურებენ ქართული ქრონიკები, რომელთა მიხედვითაც დავით აღმაშენებლის და გიორგი ბრწყინვალის დროშა ერთმანეთის იდენტურია. ასევე ზურგს უმაგრებენ ამ ვარაუდს, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ქართული ნუმიზმატური მასალა და დასავლეთევროპული პორტოლანებიც).

ამ ფაქტის დასასაბუთებლად, რომ ხუთჯერიანი დროშა საქართველოს სახელმწიფო დროშად გახლდათ, თითქოს პაპუნა ორბელიანის ცნობაც მნიშვნელოვან საყრდენს უნდა იძლეოდეს. ამიტომ პაპუნა ორბელიანის ინფორმაცია საქართველოში ხუთჯერიანი დროშის არსებობის ერთ-ერთ საბუთად ითვლება. თუმცა, ჩემი აზრით, პაპუნა ორბელიანთან ხუთჯერიან დროშაზე არ უნდა იყოს ლაპარაკი. პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს თეიმურაზ მეორის მეფედ კურთხევის შესახებ: *„ძმანა მეფემ დროშათა გაკეთება, გააკეთეს, ვითაც ძველად რიგი ყოფილიყო, დროშა ოთხი ჯვარითა მოცული"*[21]. ამ ციტატის წაკითხვისას მარილაც იქნება შთაბეჭდილება, რომ ლაპარაკია ხუთჯერიან დროშაზე. რადგან დროშა თითქოს მოცულია ოთხი ჯვარით. შესაბამისად, აქ შეიძლება იგულისხმებოდეს, სხვა მასალის გათვალისწინებით: ერთი ჯვარი, ან დროშაზე ცენტრალური გამოსახულების გარშემო მინდვრებზე დატანილია კიდევ ოთხი ჯვარი. მაგრამ თუ დავუკვირდებით ციტატის გაგრძელებას, პაპუნა ორბელიანთან ლაპარაკია არა ოთხი ჯვარით მოცულ დროშაზე, არამედ – ოთხ დროშაზე, რომელთაგან თითოეული ჯვარით გახლავთ მოცული. რათა სურათი თვალნათლივ იდგეს ჩვენს წინაშე, ციტატას მთლიანად მოვიტან პაპუნა ორბელიანის ნაშრომიდან: *„ძმანა მეფემ დროშათა გაკეთება, გააკეთეს, ვითაც ძველად რიგი ყოფილიყო, დროშა ოთხი ჯვარითა მოცული. ერთი უბოძა ორბელიანს ქაიხოსროს, მეორე – მუხრან-ბატონს კონსტანტინეს, მესამე – ამილახორს დიმიტრის და მეოთხე ბატონის კერძო ელიდა. გაემართნენ მცხეთას მეფენი ორნი და დედოფალნი. [...] ვინ ვისა დროშაზე ჯარი ყოფილიყო, ისევ ძველსა რიგზე განაწესეს და შემოეხვივნეს თვის-თვისი ჯარი დროშათა. ორისაე საერისთაოს ჯარი აეკალას მოეგებენეს, უბძანა ორსაე ერისთვის ჯარს მუხრან-ბატონის დროშაზე მისვლა, ვითაც ძველთაგან ორი ერისთვის მამული მუხრან-ბატონის სასარდლო ყოფილიყო. [...]"*[22]

---

[19] სარა ბარნაველი (1953), გვ. 13. 16. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი წერდა: *„რაკი XIII ს. დამლევის ისტორიკოსს სტ. ორბელიანს საქართველოს სახელმწიფო დროშის ალამის წმინდა გიორგის სახით შოხატულობის შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი, ამიტომ ჯერ კიდევ გამოსარკვევია, XI-XIII საუკუნეებშიც იყო ალამზე წმინდა გიორგის სახე გამოყვანილი, თუ ეს მერმინდელი დანართია"* (იგ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ნიგ. II, ნაკ. 2, გვ. 211. ციტირებულია წიგნიდან: სარა ბარნაველი [1953], გვ. 16).

[20] დავით *მუსხელიშვილი*, ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშა შუა საუკუნეებში, „ლიტერატურული საქართველო", 13-20 მარტი, 1998, გვ. 5.

[21] პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბილისი, 1981, გვ. 102.

[22] პაპუნა ორბელიანი (1981), გვ. 102.

როგორც ციტირებული ნაწყვეტიდან უნდა ჩანდეს, აქ ნამდვილად ლაპარაკია ოთხ დროშაზე და არა ოთხ ჯვარზე. აქედან სამ დროშას მეფე უბოძებს ქაიხოსრო ორბელიანს, კონსტანტინე მუხრან-ბატონს და დიმიტრი ამილახორს. მეოთხე დროშა, სავარაუდოდ, მეფის ვაკერდზე რნება ამ მსელელობისას. ციტატის შემდგომი მონაკვეთიდანაც ნათლად ჩანს, რომ აქ რამდენიმე დროშა იგულისხმება, როდესაც ჯვარის ნაწილების კონკრეტულ დროშებთან დაჯგუფებაზეა საუბარი. ამგვარად აქეს გაგებული აღნიშნული პასაჟი სარა ბარნაველს თავის წიგნში[23]. კონსტანტინე მუხრან-ბატონის დროშა, სარა ბარნაველის მიხედვით, ჯერ კიდევ ექვთიმე თაყაიშვილს უნახავს საუკუნის დასწყისში სოფელ დიღომში, მუხრან-ბატონების სახლში. დროშა წარმოადგენს ვერცხლის მრგვალ ფირფიტას, ანუ ამ შემოხვეევაში საქმე გვაქვს რუსულენის (გიორგი მესამის დის) XII საუკუნის მეტად მსგავს დროშაკთან. სწორედ ამას უნდა გულისხმობდეს პაპუნა ორბელიანი, როდესაც ამბობს, გააკეთეს დროშა, როგორც ძველად წესი ყოფილიყო. პაპუნა ორბელიანის თანახმად, თითოეული დროშა ჯვარით გახლდათ მოცული. სარა ბარნაველის წიგნში აგრეთვე მოცემულია მუხრან-ბატონის დროშის გამოსახულება[24]. აქედან შეიძლება გაეიგოთ, თუ რა იგულისხმება ჯვარით მოცულში. მუხრან-ბატონის დროშის ორივე მხარეს, ცენტრში, მოთავსებულია მზის სხივოსანი დისკო, რომლის შიგნითაც ვხედავთ წმინდა გიორგის გამოსახულებას. მზის დისკოს უკან, დროშის როგორც წინა, ასევე უკანა მხარეზე, დატანილია დიდი ჯვარი. ოღონდ ჩანს ჯვარის მხოლოდ ბოლოები ოთხ მხარეს. შესაბამისად, დროშის ცენტრალური გამოსახულება მართლაც ერთგვარად ჯვარით გამოდის მოცული და სწორედ ეს უნდა იგულისხმებოდეს პაპუნა ორბელიანის ცნობაში.

ჩვენთვის საინტერესო შემდეგი ცნობა, სადაც სახელმწიფო დროშაც შეიძლება იგულისხმებოდეს, გაცილებით გვიანდელი ხანისაა, თარიღდება XIX საუკუნით და თეიმურაზ ბატონიშვილს ეკუთვნის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თეიმურაზ ბატონიშვილთან ეკითხულობთ: *„რათა სხვათა შორის წმიდათა აქვნდესთ* [ქართველებს] *უმეტესი სასოება და სურვილი წმინდისა გიორგისა, ვინაიდგან განგებულებითაცა ზეგარდამოთა გიორგიელად წოდებულ იყვნეს იგინი უწინარეს* [...] *და მეფენი მარადის დროშათა ზედა და ღერბთა მათთა დასწერდეს სახესა წმიდისა* [...] *გიორგისასა და ეგრეთვე ყოველთა ზედა საჭურველთა და ჩაფხუტთა ზედა მხედართასა და იქმნა სახეი მისი შეწყნარებულ პირველს ორდენად გიორგიისა სახელმწიფოსა"*[25].

თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობა ნამდვილად ანგარიშგასაწევი და ყურადსაღებია. როგორც ქვემოთ ვნახავთ, დასავლელი მოგზაურებიც ხშირად აფიქსირებენ იერუსალიმში ჩასულ ქართველ პილიგრიმებთან წმინდა გიორგის გამოსახულებიან თუ წმინდა გიორგის დროშას. წმინდა გიორგის დროშები რაღაც ფორმით უეჭველად ექნებოდათ სამეფო კარზეც. მაგრამ მაინც უნდა გაეითვალისწინოთ: თეიმურაზ ბატონიშვილი კონკრეტულად სახელმწიფო დროშაზე არ ლაპარაკობს. არ არის გამორიცხული, კონკრეტულ მეფეებს, ცალკეულ მთავრებს, მხარეებს, ან არმიის ნაწილებს მართლაც ჰქონოდათ წმინდა გიორგის ალმები საკუთარ დროშებად.

იოანე ბატონიშვილის ასევე გვიანდელი ცნობაც უშუალოდ სახელმწიფო დროშას არ ეხება. მაგრამ გარკვეულწილად ყურადსაღებ ინფორმაციას გვაწვდის. იოანე ბატონიშვილის მიხედვით, დავით აღმაშენებელის გერბზე გამოსახული იყო რქოსანი ცხენი. ლეგენდის თანახმად, ეს ცხენი თვითონ მეფე დავითს დაუჭერია, როდესაც მარტო მიდიოდა თბილისიდან ქუთაისში. ამის შემდეგ მოხდა, როგორც იოანე ბატონიშვილი მოგვითხრობს, რქოსანი ცხენი მეფის გერბზე: *„ღერბსა ამა მეფისასა შეესძინეს ცხენი რქოსანი, რომელიც მოიპოა თვით მეფემან, მიმავალმან მარტომ ტფილისიდგან ქუთაის(ს) საშერებელად.* [...]

---

[23] სარა ბარნაველი (1953), გვ. 71.

[24] სარა ბარნაველი (1953), ტაბულები: XXVII-XXVIII.

[25] თეიმურაზ ბატონიშვილი, ისტორია დანყებითგან იერუსალიმისა, სპბ, 1848, გვ. 18, 19 (ციტირებულია ნიგნიდან: სარა ბარნაველი [1953], გვ. 83).

იხილა მცხეთას იწროთა ადგილთა [...] ცხენი ესე რქოსანი, დაუძახა მეფემან [...] აღუდეა ლაგამი წმინდის გიორგის ცხენისა [...] ცხენი იგი ესრეთი იყო მკვირცხლ და მალი, რომელ ერთს დღეს ადრე მივიდის ტფილისიდგან ქუთაის და მუნიდგან ქართლს და ქართლიდგან კახეთს"[26].

სარა ბარნაველი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ხომ არ იგულისხმება ამ შემთხვევაში გორგასლიანი დროშის გამოსახულება, რასაც შეეძლო გამოეწვია აღნიშნული ლეგენდის წარმოშობა[27]. თეორიულად შეიძლებოდა დაშვება, რომ გერბის და დროშის გამოსახულებანი იდენტური იყო, მაგრამ აქ მაინც საქმე გვაქვს მხოლოდ ვარაუდთან, რომელსაც კონკრეტული ფაქტები ზურგს არ უმაგრებენ. ამასთან, იოანე ბატონიშვილთან ლაპარაკია მხოლოდ უშუალოდ მეფის გერბზე. ეს გერბი კი იგივე სახელმწიფო გერბი შეიძლება არც იყოს.

მეტად ყურადსაღებ მოსაზრებას გამოთქვამს დროშის თავის მოყვანილობასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი: *„საქართველოს სახელმწიფო დროშის თავის მოყვანილობის შესახებაც მოიპოვება ცნობები. საფიქრებელია, რომ XII ს. მაინც ქართულ ეროვნულ დროშას თავზე ჯვარი უნდა ჰქონოდა. ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ არაბ მემატიანის იბნ ალ-ასირის სიტყვით თამარ მეფის დროს არზრუმის მბრძანებელს, რომელიც საქართველოს მეფის ყმად-ნაფიცი იყო და მის ნაწყალობევ საპატიო სამოსლით იმოსებოდა, ქართველებმა ისეთი დროშა გააკეთებინეს, რომელსაც თავზე ჯვარი ამკობდაო. თუ ქართველები თავიანთ ყმად-ნაფიცს ანუ ვასალს დროშის თავზე ჯვარს აკეთებინებდნენ, ეს იმას ამტკიცებს, რომ თვით ქართველებსაც სახელმწიფო დროშის თავზე ჯვარი ჰქონიათ.* [...] *ჯერ კიდევ თეიმურაზ I დროს კახთა ბატონის დროშის თავი ბროლის ჯვარი ყოფილა*"[28]. ივანე ჯავახიშვილის აღნიშნული ვარაუდი საესებით გამართლებული უნდა იყოს. ეს ფაქტი არაპირდაპირ შესაძლოა ისევ იმ გარემოებაზე მიანიშნებდეს, რომ არაფერი გასაკვირი არ არის, სახელმწიფო დროშაზეც ჯვარი თუ ჯვრები ყოფილიყო გამოსახული.

მოწინააღმდეგე მაჰმადიანებთან დაფიქსირებულ ცალკეულ დროშებს, ბუნებრივია, ქართული დროშათა სისტემისათვის დიდი მნიშვნელობა არა აქვთ. მაგრამ აქ მაინც მოკლედ მოვიტან რამდენიმე პასაჟს ქართული ქრონიკებიდან, სადაც მაჰმადიანთა დროშებზეა ლაპარაკი. ეს ადგილები იმაზეც მიგვანიშნებენ, რომ აღმოსავლურ სამყაროში არსებობდა კარგად ჩამოყალიბებული დროშათა სისტემა. შესაბამისად, ქართული დროშების მასალას თავს თუ დავანებებთ, სხვა მონაცემებს გინდაც არ ეფლობდეთ, ქართველთა მოწინააღმდეგეებთან დროშათა ჩამოყალიბებული სისტემის არსებობა თავისთავად გვაფიქრებინებდა: ქართველებსაც, რომელნიც ამ აღმოსავლურ სამყაროსთან მუდამ უშუალო შეხებაში იმყოფებოდნენ, აუცილებლად უნდა ჰქონოდათ დროშათა დასრულებული და მწყობრი სისტემა.

„ისტორიანი და ასმანი შარავანდედთანი" ეხება ქართველ დიდებულთა აჯანყებას თამარის წინააღმდეგ, როდესაც გიორგი რუსის მეფედ დასმა სურდათ. გუსან ტაოსკარელი და სხვა ქართველი დიდებულები, რომლებიც შეთქმულებისას თამარის წინააღმდეგ გამოვიდნენ, აჯანყების ჩაშლის შემდეგ გაიქცნენ შაჰ-არმენთან. ამის მერე შაჰ-არმენის ჯართან ერთად გამოილაშქრეს საქართველოზე. მათ წინ მიეგებენ „*ზაქარია ფანასკერტელი და ძინიელნი, კალმახელნი, ყრმანი კარგნი და პატრონისაგან შეწყალებულნი.* [...] *დაღაცათუ* [მოწინააღმდეგის] *ლაშქარნი დიდნი იყვნეს და პატრონნი თორმეტისა დროშისანი და ესენი მცირენი, და მხსენებელთა ქრისტეს სჯულისათა და თამარის ბეღისა*

---

[26] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, საქ. მუზ. ხელნაწერი 2134, გვ. 473„ (ციტირებულია წიგნიდან: სარა *ბარნაველი* [1953], გვ. 16).
[27] სარა *ბარნაველი* [1953], გვ. 17.
[28] ივ. *ჯავახიშვილი*, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი 2, გვ. 211 (ციტირებულია წიგნიდან: სარა *ბარნაველი* [1953], გვ. 17).

და სიმარდისათა შეებმა ეკვეს და სიდიდითა მათითა და სიკეთითა დიდად დაჭირვებული ომი კარდოსნადღეს" (55-56). როგორც ვხედავთ, მაჰმადიანურ სამყაროშიც დროშათა სისტემა ნეიულებრივი მოვლენაა. ამასთან, თორმეტი დროშის ხსენების ფაქტი სწორედ დროშათა ჩამოყალიბებულ და მწყობრ სისტემაზე მიანიშნებს.

„ისტორიანი და აზმანის" ავტორი შამქორის ბრძოლაში ქართველების გამარჯვების აღწერის მერე მოგვითხრობს: *„იქმნა თამარისა შეწყალება, რომლისათვის დროშა იგი ხალიფასი, რომელი მოიღო შალვა ახალციხელმან, წარგზავნა ესე მონასტერსა დიდსა წინაშე ხახულისა ღმრთისმშობელისასა, მსგავსად მამის პაპისა მათისა: მაშინ მას წარეგზავნა მოძრეველი ქველისაგან ღორბეზე სადაყაის ძისა, ყამთა დიდგორთა გაქცეველთა, მანიაკი ოქროსა, შემკული თვალებითა ძვირფასისათა*" (74). როგორც დობეიზ იბნ სადაყას ოქროს მანიაკი შესწირა დავით აღმაშენებელმა დიდგორის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ გელათის მონასტერს, ასევე უძღვნის თამარი ხალიფას დროშას ხახულის ღვთისმშობელს. ხალიფას დროშის ხახულში გაგზავნას, ცხადია, რელიგიური დატვირთვაც აქვს. ზოგადად ისლამური სამყაროს რელიგიური დროშის ქრისტიანული მონასტრისადმი შეწირვა სიმბოლური აქტია. როგორც ქართულ მხარეზე ფიქსირდება ერთი ცენტრალური, სახელმწიფო დროშა, მსგავსი ვითარებაა მაჰმადიანურ სამყაროშიც. ამგვარი ცენტრალური დატვირთვისაა ამ შემთხვევაში ხალიფას დროშა. ქვემოთ მსგავსი ვითარებაა რუქნადინის დროშის შემთხვევაშიც.

„ისტორიანი და აზმანიში" ეკითხულობთ მსახურთუხუცეს ივანეს მაჰმადიანებთან ბრძოლის შესახებ. ივანე მხარგრძელი არ მოერიდება თავისი ჯარის სიმცირეს, შეებმება მოწინააღმდეგეს და დაამარცხებს მათ. მაჰმადიანთა რაზმებს უძღვებოდნენ: *„თვით ბალშან, გაზრდილი ელდიგუზ ათაბაგისა, ლომი ჭაბუკი, პატრონი დვინისა და სომხითისა, ძმა სურმანელისა, სურმანელითა ლაშქრითა, ალი შურიშამი, დიდად მყოფი, კაცი მმარჯვე, ეგრეთვე დროშის პატრონი.* [...]" (77). მაჰმადიანურ სამყაროშიც დროშის ტარების უფლება მხოლოდ რჩეულ დიდებულებს უნდა პქონოდათ. იგივე სურათი იყო საქართველოშიც (ამ ფაქტს, მაგალითად, სტეფანოზ ორბელიანის ცნობაც ადასტურებს ორბელთა დროშის შესახებ), მაგრამ ამ მასალის დიდი ნაწილი დღეისათვის, სამწუხაროდ, დაკარგულია.

ბასილი ეზოსმოძღვარის მიხედვით, შამქორის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ ქართველები ნადაელს და ხელში ჩაგდებულ დროშებს გააწყობენ თბილისის შემოგარენში: „ [...] *ეგრეთვე ყოველნი იგი ამირანი თვის-თვისითა დროშითა: პირველად ხალიფას დროშა, მერმე ათაბაგისა, შემდგომი – შემდგომად*" (128). აგრეთვე ყურადსაღები უნდა იყოს, გამარჯვების აღნიშვნისას მოწინააღმდეგის დროშებისათვის ასეთი ყურადღების დათმობის ფაქტი. ბასილი ეზოსმოძღვართან აგრეთვე ფიქსირდება, რომ ქართველებმა მოგვიანებით, ბასიანის ომში, ხელში ჩაიგდეს რუქნადინის დროშა (140).

•

წიგნი უკვე დასაბეჭდად გახლდათ გამზადებული, როდესაც საშუალება მომეცა მენახა ქართულ სახელმწიფო დროშასთან დაკავშირებით ახლად გამოსული წიგნი[29]. რაკი ნაშრომში მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული ქართულ სახელმწიფო დროშაზე, აუცილებელია მოკლედ შევეხოთ წიგნში გამოთქმულ მთავარ დებულებებს.

ავტორი ვარაუდობს, რომ ვახტანგ გორგასალის დროშა გახლდათ თეთრი ფერის[30]. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად მოტანილია „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ზემოთ განხილული ცნობა, სადაც XIII საუკუნის დასაწყისის სახელმწიფო დროშაზე

[29] დავით. კლდიაშვილი, ქართული პერალდიკის ისტორია, საქართველოს სახელმწიფოებრიობის სიმბოლოები, წიგნი I, დროშა სვანურად მოლმარებული, თბილისი, 2003.

[30] დავით. კლდიაშვილი (2003). გვ. 38.

ნათქვამია, რომ ის „სინდეთს შესელითგან მოსპეტაკდებოდა". აღნიშნული მოსაზრება, რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევია. ზემოთაც ვახსენეთ: თუკი არსებული წყაროების მიხედვით უეჭველად დასტურდება დავით აღმაშენებლის და გიორგი ბრწყინვალის დროშების იდენტურობა, იგივეს ხელაღებით ვერ ეიტყვით ვახტანგ გორგასალის სახელმწიფო დროშაზეც. რადგან ქრონიკები სხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობასაც ტოვებენ. მაგრამ მარტო „ისტორიანის და ასმანის" ცნობის საფუძველზე გორგასალის დროშის მხოლოდ თეთრი ფერისად დასახვა არ უნდა იყოს გამართლებული. რადგან „ისტორიანი და ასმანის" ცნობა არ გამორიცხავს, რომ თეთრ დროშაზე გარკვეული ნიშნები, სახელდობრ, წითელი ჯვარი ან ჯვრები, შეიძლებოდა ყოფილიყო გამოსახული. ამასთან, როგორც ითქვა, „ისტორიანი და ასმანი" ამბობს XIII საუკუნის დასაწყისის დროშაზე, რომ სინდეთში შესვლით სწორედ ეს სახელმწიფო დროშა მოსპეტაკდებოდა. XIII საუკუნის დასაწყისის დროშა კი, თვითონ დავით კლდიაშვილის შეხედულებითაც მხოლოდ თეთრი არ ყოფილა (მკვლევარის ვარაუდით გორგასალის და ბაგრატ III-ის თეთრ დროშაზე დავით აღმაშენებელმა დაიტანა ერთი ჯვარი). როგორც ითქვა, ქრონიკების, ნუმიზმატური და საეკლესიო მასალის ანალიზი გვავარაუდებინებს: გორგასალის დროშა იდენტურია დავით აღმაშენებლის და გიორგი ბრწყინვალის დროშის. თუმცა თვითონ ქრონიკები ტოვებენ მეორე შესაძლებლობასაც, რომ გორგასალის დროშაში დავით აღმაშენებელმა გარკვეული ცვლილებები შეიტანა (ამგვარი შესაძლებლობის დაშვების შემთხვევაშიც ერთმნიშვნელოვნად ვერ ეიტყვით, თითქოს გორგასალის დროშა მხოლოდ თეთრი იყო. მარტო „ისტორიანის და ასმანის" ცნობა ამისათვის საკმარისი არ არის. „ისტორიანის და ასმანის" ცნობის ფონზეც შეიძლებოდა გორგასალის დროშაზე მაგალითად ერთი ჯვარი ყოფილიყო. აქ მთავარია არა „ისტორიანის და ასმანის" დებულება დროშის სითეთრის შესახებ, არამედ ქრონიკების ცნობები, რომ მონღოლებამდე ქართველთა დროშა დაუმარცხებელი იყო. სწორედ ეს ამბავი წარმოშობს სირთულეს, გორგასალის დროშა დავით აღმაშენებლის და გიორგი ბრწყინვალის დროშას გავუთანაბროთ. თუმცა, ითქვა უკვე, ქრონიკები სხვა მხრივაც საგულისხმო მასალას გვაწვდიან, რაც გორგასალის და გიორგი ბრწყინვალის დროშის იდენტურობას გვაფიქრებინებს). ამდენად, რომელ შეხედულებასაც უნდა მიეკვეთროთ, არსებული ფაქტობრივი მონაცემების ფონზე აუცილებელია მეორე შესაძლებლობის თუნდაც გათვალისწინება.

შემდგომ დავით კლდიაშვილი გამოთქვამს მოსაზრებას: გორგასალის თეთრი დროშა კვლავ აღადგინა ბაგრატ მესამემ[31]. როგორც ითქვა, მკვლევარის ვარაუდი ვახტანგ გორგასალის დროშაზე უდავოდ გასათვალისწინებელია, თუმცა მნიშვნელოვანი კორექტივებით. ამ შემთხვევაში ვითარება სხვაგვარადაა. იმ ფაქტის საილუსტრაციოდ, რომ ბაგრატ მესამის დროსაც დროშა გახლდათ თეთრი, მოტანილია შემდეგი საბუთი: „[დროშა] *თეთრი ფერის ქსოვილს წარმოადგენდა და დასტურდება კიდეც სვეტიცხოველის (XI ს.) სამხრეთ ფასადის ფრესკითაც. სვეტიცხოველის ტაძრის მშენებლობა დასრულდა და მისი მოხატვა მეფე ბაგრატ IV-ის დროს მოხდა. ფრესკაზე გამოსახულია ბიზანტიური ტრირემა,* [...] *მის კიბეზე, საზღვაო კანონების მიხედვით, ბიზანტიის დროშა – წითელზე ყვითელი ჯვრით, - ფრიალებს. ფოკ და გროტ-ანძებზე საქართველოს ეროვნული თეთრი დროშებია გამოსახული, რასაც ფოკ-ანძაზე ამირსპასალარის წითელი ყვითელჯვრიანი ბრეიდ-ეიმპული აქვს დამატებული. ამასთან ერთად, მაშინდელი ნეკულების თანახმად, ხომალდის „ლათინური" – დახრილი იალქნები ქართული ეროვნული დროშის ფერის მიხედვით თეთრია და არა წითელი ან სხვა რომელიმე ფერი. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ბაგრატ IV-ე ბიზანტიურ სამოხელეო კურაპალატის ტიტულს ატარებდა. მითუმეტეს მას შემდეგ, რაც 1054 წელს, ქუყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო, იგი იმპერატორ მიხეილ IV პაფლაგონიელს მორჩილებით ეახლა, ხომალდზე დროშათა ამგვარი*

[31] დავით *კლდიაშვილი* (2003), გვ. 40-41.

ეამოსახვა არ უნდა იყოს გასაკვირი, რადგან საქართველო, ფაქტობრივად, ბიზანტიის იმპერიის ნაწილს წარმოადგენდა"[32].

ბაგრატ მეოთხის დროს საქართველო ფაქტობრივად ბიზანტიის იმპერიის ნაწილს ნამდვილად არ წარმოადგენდა. მაგრამ მთელი ეს მსჯელობა უდავოდ უაღრესად საინტერესო იქნებოდა, რომ არა შემდეგი გარემოებები. ავტორი არ უთითებს,რა წყაროების საფუძველზე მოაქვს აღნიშნული მასალა და რა წყაროების საფუძველზე გვთავაზობს აქ მოტანილ დასკვნებს. ერთი შეხედვითვე ნათელი იყო, რომ მსჯელობაში ელემენტარული უზუსტობებია დაშვებული. ნემი ვარაუდები დამიდასტურა ხელოვნებათმცოდნეებთან კონსულტაციებმაც[33]. მკვლევარის მიხედვით, სვეტიცხოველის მოხატვა მეფე ბაგრატ მეოთხის დროს მოხდა. ეს შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ სვეტიცხოველში დღეისათვის გადარჩენილი მოხატულობა თარიღდება XVII საუკუნის მეორე ნახევარით. შესაბამისად, გინდაც ამ მხატვრობაში გარკვეული ცნობები იყოს დაცული XI საუკუნის საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ, ბუნებრივია, ეს უაღრესად მნიშვნელოვანი იქნებოდა, მაგრამ იმის აღნიშვნა აუცილებელია, რომ აქ გაცილებით გვიანდელი ხანის მოხატულობასთან გვაქვს საქმე. დავით კლდიაშვილის მიხედვით, სცენა, სადაც თითქოს გამოსახულია ბიზანტიური გემები ქართული დროშებით, მოთავსებულია ტაძარის სამხრეთ ფასადზე. მაგრამ ეკლესიის სამხრეთ ფასადზე საერთოდ არაეთარი ფრესკას არ ეხედებით. ერთადერთი ფრესკა, სადაც მსგავსი შინაარსის სურათია მოცემული, გამოხატულია სვეტიცხოველის შიგნით, სამხრეთი მკლავის სამხრეთი კედლის აღმოსავლეთის მონაკვეთზე, და არა სამხრეთის ფასადზე. ოღონდ კონკრეტულად ეს ფრესკაც თარიღდება XVII საუკუნის მეორე ნახევარით, და არა ბაგრატ მეოთხის ეპოქით. ამასთან, ეს ფრესკა გახლავთ 148-150 ფსალმუნების ილუსტრაცია, რომელიც მიგვანიშნებს განკითხვის დღეზე, მიცვალებულების ამოსვლით და განკითხვის დღის სცენებით[34]. აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც: ფსალმუნის ილუსტრაცია არის დაკანონებული სცენა, რომელსაც, როგორც წესი, ბიზანტიასთან დაკავშირებულ სამყაროში მცირედი ვარიაციებით ერთნაირად გამოხატავდნენ. ძნელი სათქმელია, რის საფუძველზე დაასკვნა ავტორმა, რომ განკითხვის დღის სცენაში გამოსახულ გემებზე ბაგრატ მეოთხის დროშები ფრიალებს. ამგვარი შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, გამორიცხული არ იქნებოდა, მაგრამ მკვლევარს იქვე უნდა მოეცა შესატყვისი ახსნა ან დასაბუთება. ამ შემთხვევაში კი ელემენტარულ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე.

დავით კლდიაშვილის მიხედვით, თეთრ დროშაზე პირველად ერთი წითელი ჯვარი დაიტანა დავით აღმაშენებელმა[35]. ამის დასასაბუთებლად მოტანილია ერთი ცნობა, რომელიც ეკუთვნის დავითის ისტორიკოსს და რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი: *„წმიდა მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძღოდა მას და მკლავითა თეისითა მოსრეიდა ზედამოწევნულთა უსჯულოთა მათ წარმართთა, რომელ თვით იგი უსჯულონი და უმეცარნი მოღმართ აღიარებდეს"*. დავითის ისტორიკოსის ამ ერთი ცნობის საფუძველზე, მკვლევარს კი მხოლოდ ეს ერთი ცნობა მოაქვს, ნამდვილად არ საბუთდება, რომ დავითმა გამოხატა თეთრ დროშაზე ერთი წითელი ჯვარი. როგორც ითქვა, ქრონიკების მასალის საფუძველზე დამაჯერებლად მტკიცდება დავით აღმაშენებლის და გიორგი ბრწყინვალის დროშის იდენტურობა. გიორგი ბრწყინვალის ეპოქის დასავლეთევროპული პორტოლანები კი საქართველოს სახელმწიფო დროშად სახავენ წითელ ხუთჯვრიან თეთრ დროშას. ქრონიკების მონაცემებს ცხადად უმაგრებს ზურგს ნუმიზმატური მასალაც. უკვე

---

[32] დავით *კლდიაშვილი* (2003). გვ. 40-41. იხილეთ ასევე: გვ. 86. შენიშვნა 25.

[33] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განეული კონსულტაციისათვის დიდ მადლობას მოვახსენებ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელს, ქ-ნ ფლერ დეედარიანს.

[34] მაღლა *ამირანაშვილი*, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1971. გვ. 385. იგივე აზრის იყო რენე შმერლინგიც. იხილეთ ასევე: მცხეთა, ცოცხალნი: საქართველოს ძველი ქალაქები, გამომცემლები: მარინე ბულია, მზია ჯანჯალია, თბილისი, 2000. გვ. 68-69.

[35] დავით *კლდიაშვილი* (2003). გვ. 44, 46-47.

თამარის,შემდგომ კი ეახტანგ მესამის მონეტებზე პირდაპირ არის გამოსახული ხუთჯერიანი ფიგურის მეტად მსგავსი კომპოზიცია. რაც შეეხება დავითის ისტორიკოსის ცნობას წმინდა გიორგის მიერ დიდგორის ბრძოლაში წარმართების უშუალო განადგურებაზე, აქ დროშაზე არსად ლაპარაკი არ არის. არ გახლავთ აუცილებელი, დავითის ისტორიკოსს ამ შემთხვევაში მაინცდამაინც დროშა ეგულისხმა. თუმცა, ბუნებრივია, სამეფო კარზეც და ისედაც, დავითის ეპოქის საქართველოში წმინდა გიორგის დროშები იარსებებდა.

დავით კლდიაშვილის ბოლო დებულება შემდეგი გახლავთ: ხუთი წითელი ჯვარი სახელმწიფო დროშაზე პირველად გიორგი ბრწყინვალემ დაიტანა[36]. მეც, ბუნებრივია, ვემხრობი იმ მოსაზრებას, რომ გიორგი ბრწყინვალის დროს სახელმწიფო თეთრ დროშაზე გამოსახული იყო ხუთი წითელი ჯვარი. მაგრამ, როგორც ითქვა, არსებული მონაცემების მიხედვით, ეს დროშა უეჭველად პქონდა დავით აღმაშენებელს და, არ არის გამორიცხული, სახელმწიფო დროშა ამ ფორმით უკვე ეახტანგ გორგასალისაგან იღებდეს დასაბამს.

იმ ფაქტის დასამტკიცებლად, რომ ოთხ ჯვარს გიორგი ბრწყინვალე უმატებს დავით აღმაშენებლის ერთჯერიან დროშას,მკვლევარს მოჰყავს შემდეგი საბუთები: „*საქართველოს ეროვნული ,გორგასლიან-დავითიანი' დროშა XIV საუკუნემდე, ფაქტიურად გიორგი V ბრწყინვალემდე არ შეცვლილა. ამის დასტურია პოლონელი მოგზაურის კოტოვიჩის ცნობა, რომელსაც ,კლიტენი იერუსალიმისანის' მისაღებად წმინდა ქალაქში წმ. გიორგის დროშით შემოსული ქართველთა მხედრობა უნახავს*". ამდენად, გიორგი ბრწყინვალის ელჩები იერუსალიმში შედიან ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროინდელი წმინდა გიორგის სახელმწიფო დროშით, ანუ თეთრ ფონზე მოთავსებული ერთი წითელი ჯვარით, და მხედრად „კლიტენი იერუსალიმისანის" გიორგი ბრწყინვალესათვის გადაცემის შემდეგ ხდება საქართველოს დროშაზე იერუსალიმის ჯვარის დატანა. ეს ყველაფერი ამ შემთხვევაში საბუთდება პოლონელი მოგზაურის კოტოვიჩის, იგივე კოტოვიკუსის ცნობით, რომელსაც „კლიტენი იერუსალიმისანის" ჩასაბარებლად წმინდა გიორგის დროშით იერუსალიმში შესული ქართული მხედრობა უნახავს. იოჰანეს კოტოვიკუსი თავისთავად შესანიშნავ ცნობას გვაწვდის ქართველებზე, მაგრამ, ძნელი სათქმელია, როგორ ნახავდა XVII საუკუნის დასაწყისის პოლონელი მოგზაური XIV საუკუნის დასაწყისში იერუსალიმში შესულ ქართულ მხედრობას? იოჰანეს კოტოვიკუსს გინდაც მართლა დაეფიქსირებინოს იერუსალიმში წმინდა გიორგის დროშით შესული ქართველ პილიგრიმთა ჯგუფი, ეს იქნებოდა XVII საუკუნის დასაწყისში[37]. იოჰანეს კოტოვიკუსის გარდა იერუსალიმში ჩასულ ქართველ პილიგრიმებთან, როგორც ქვემოთ ვნახავთ, წმინდა გიორგის დროშას ადასტურებენ მარინო სანუდო, ქვემორაინული აღმოსავლეთის აღწერა, იოჰანეს ფონ პილდესჰაიმი. მაგრამ, ამ საკითხზე კიდევ ვისაუბრებთ, ეს წმინდა გიორგის დროშა არ არის აუცილებელი სახელმწიფო დროშა იყოს.

შემდეგი საბუთი გიორგი ბრწყინვალის დროს დანარჩენი ოთხი ჯვარის დროშაზე დატანის არის ის, რომ ყაზან ყაენის არმიაში საქართველოს მეფე ვახტანგ მესამე წმინდა გიორგის ჯერიანი დროშით იბრძოდა[38]. ავტორი ამ შემთხვევაში წყაროდ უთითებს გრიგოლ ფერაძის წიგნს. გრიგოლ ფერაძესთან მართლაც ვკითხულობთ იმდროინდელ ცნობას: ქართველებს ჯერიანი დროშა პქონდათ ამ ომში. მაგრამ წმინდა გიორგის დროშაზე იქ ლაპარაკი არ არის, ამასთან, არც ის არის დაკონკრეტებული, არის თუ არა სახელმწიფო დროშაზე ლაპარაკი[39]. თუმცა ჯერიანი დროშის დაფიქსირების პრეცედენტი თავისთავად უაღრესად მნიშვნელოვანია.

---

[36] დავით *კლდიაშვილი* (2003). გვ. 48, 49, 57, 59-62, 67-68.

[37] იოჰანეს კოტოვიკუსის ცნობა ქართველების შესახებ იხილეთ წიგნში: მიხეილ *თამარაშვილი*, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბილისი, 1995². გვ. 360-361.

[38] დავით *კლდიაშვილი* (2003), გვ. 60.

[39] გრიგოლ *ფერაძე*, უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, თბილისი, 1995². გვ. 35.

აღნიშნულ საკითხში დავით კლდიაშვილის მთავარი დებულება ნამდვილად მნიშვნელოვანია. რაკი პიპა ქვენიფნეველის 1320 წლის ელჩობის შემდეგ „ქლიტენი იერუსალიმისანი" (ალბათ აქ იგულისხმება ქრისტეს საფლავი და არა მთლიანად იერუსალიმი) ქართველთა ხელში გადმოვიდა, გიორგი ბრწყინვალეს უკვე შეეძლო იერუსალიმის ჯვრის თავის დროშაზე გამოსახვა. ამ არგუმენტის საფუძველზე გიორგი ბრწყინვალის მიერ სახელმწიფო დროშაზე ხუთჯვრიანი კომპოზიციის დატანის მოსაზრება უფრო მეტ წონას იძენს. მოვლენათა ამგვარი მდინარება მართლაც შესაძლებელი იქნებოდა. მაგრამ არსებული მონაცემები და ფაქტები აღნიშნული ეარაუდის საწინააღმდეგო სურათს ქმნიან.

როგორც ითქვა, ქართული ქრონიკების მასალის ანალიზი უეჭველად გვიდასტურებს: დავით აღმაშენებლის და გიორგი ბრწყინვალის სახელმწიფო დროშა ერთი და იგივეა (არ არის გამორიცხული, ეს დროშა უშუალოდ ვახტანგ გორგასალთანაც იღებდეს დასაბამს ამ ფორმით). ასევე ამყარებს ქრონიკალური მონაცემების ანალიზს ნუმიზმატიკური მასალაც. ხუთჯვრიანი კომპოზიციის თითქმის იდენტური გამოსახულებანი მოთავსებულია თამარის მონეტებზე, ასევე ვახტანგ მესამის 1298/99 წლების მონეტაზე. სხვათა შორის, თვითონ დავით კლდიაშვილიც იზიარებს იმ შეხედულებას, რომ იერუსალიმის ჯვარი უკვე დავით კურაპალატის მონეტაზეა გამოსახული. დასავლეთევროპული პორტოლანებიც ჩვენ მოსაზრებას უნდა უჭერდნენ მხარს. პირველი პორტოლანური სახის რუკები ჩნდება XIII საუკუნის ბოლოს. დღემდე გადარჩენილ პორტოლანებს შორის ერთ-ერთი პირველია პიეტრო ვესკონტეს 1320 წლის პორტოლანი. პიეტრო ვესკონტეს პორტოლანი [1] საქართველოს ტერიტორიაზე აღმართულ დროშაზე უკვე გვთავაზობს იერუსალიმის ჯვარის კომპოზიციას. მართალია,პორტოლანები ხშირად საკმარისად ოპერატიულად რეაგირებდნენ თანადროულ მოვლენებზე. მაგრამ პიეტრო ვესკონტეს პორტოლანი დამაჯერებლად თარიღდება იმავე წლით,როდესაც პიპა ქვენიფნეველის ელჩობა შედგა. ძალიან მცირეა იმის ალბათობა,რომ ვესკონტეს იმავე წელს მოესწრო ქვენიფნეველის ელჩობის შედეგების გაგება და დროშის თავის რუკაზე დატანა. ქრონიკალური და ნუმიზმატური მასალის ანალიზის შედეგებს თუ გავითვალისწინებთ, საერთო კონტექსტში ვესკონტეს პორტოლანიც იმ მოსაზრებას უნდა უმაგრებდეს ზურგს, რომ იერუსალიმის ჯვარი უფრო ადრეც იყო საქართველოს სახელმწიფო დროშაზე გამოსახული.

რაც შეეხება ბრძოლის იერუსალიმზე ორიენტაციას ან კიდევ იერუსალიმის გარკვეული ნაწილების ფლობას, გიორგი ბრწყინვალეზე მეტად ამის უფლება შესაძლოა ვახტანგ მესამეს ჰქონდა. როგორც ცნობილია, ვახტანგ მესამემ 1300 წელს ყაზან ყაენთან ერთად აიღო იერუსალიმი. მონღოლებმა იერუსალიმი გადასცეს ქართველებს. ამ უკანასკნელებმა კი ერთი წლის განმავლობაში შეძლეს იერუსალიმის შენარჩუნება[*]. მაგრამ იგივე ვახტანგ მესამესთან იერუსალიმის ჯვარი მონეტაზე იერუსალიმის აღებამდეა გამოსახული. მონეტებზე იერუსალიმის ჯვარი ფიქსირდება თამართანაც, შესაძლოა დავით აღმაშენებელთანაც. იერუსალიმზე ორიენტირებულია ფაქტიურად ყველა მძლავრი ქართველი მეფის მოღვაწეობა. იერუსალიმის ჯვარის სახელმწიფო დროშაზე არსებობის სრული მსოფლმხედველობრივი საფუძველი გვაქვს დავით აღმაშენებელთანაც, გიორგი მესამესთანაც, თამართანაც. როგორც ითქვა, საკუთარი ომების იერუსალიმზე ორიენტირება ლამის ყველაზე მძაფრად უკვე ვახტანგ გორასალთან ფიქსირდება. ამდენად, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, ხუთი წითელი ჯვარი ქართულ სახელმწიფო დროშაზე გიორგი ბრწყინვალეს ეპოქამდე გაცილებით ადრე იყო გამოსახული.

[*] გრიგოლ ფერაძე (1995), გვ. 35-36.

რაკი წინამდებარე წიგნი საზღვარგარეთ ყოფნისას მომზადდა, ამიტომ საქართველოში გამოქვეყნებული მთელი რიგი შრომების ნახვა მხოლოდ მაშინ მოხერხდა, როდესაც წიგნი უკვე დასაბეჭდად გამზადებული იყო. ამიტომ აქვე მოკლედ განვიხილავ ქართული სახელმწიფო დროშის საკითხისადმი მიძღვნილ მეორე წიგნს, რომელიც ეკუთვნით ბ-ნებს აპოლონ სილაგაძეს და გოჩა ჯაფარიძეს („ავმართე დროშა მეფისა, ალმითა წითელ-შავითა", თბილისი, 1999).

ავტორების თანახმად, შუა საუკუნეებში ხუთჯერიანი დროშის საქართველოსადმი კუთვნილება არ საბუთდება. ბ-ნ სილაგაძესა და ბ-ნ ჯაფარიძესთან ეკითხულობთ: *„გვაქვს სადმე ამ დროშის ნიმუში შემორჩენილი? ამ დროშის ნიმუში არ არსებობს. არის მისი რაიმე სახით აღწერა ქართულ წყაროებში? გვაქვს მისი აღწერა უცხოურ წყაროებში? დღემდე ცნობილ აღმოსავლურ და დასავლურ წყაროებში ასეთი დროშის* [...] *აღწერა არსად არ მოგვეპოვება. მაშ, რა გერჩება ხელთ და რას ეყრდნობით? მხოლოდ და მხოლოდ საეკლეო მონაცემების ევროპული რუკებისა"*[41].

ამგვარი მსჯელობა ერთი შეხედვით შესაძლოა დამაჯერებლადაც მოგვეჩვენოს. მაგრამ მსჯელობაში უგულვებელყოფილია საკითხების მთელი რიგი. ქართული სახელმწიფო დროშის ნიმუში ნამდვილად არ შემონახულა. ქართული სახელმწიფო დროშის აღწერასაც ქართული ქრონიკები არ გვთავაზობენ. მაგრამ ქართული წყაროების მიხედვით, სრულიად ნათლად ფიქსირდება ერთიანი სახელმწიფო დროშის არსებობა ვახტანგ გორგასალიდან გიორგი ბრწყინვალის ეპოქის ჩათვლით. სამწუხაროდ, ქართული წყაროები მართლაც არ გვატყობინებენ, რა იყო დროშაზე გამოსახული. ამიტომ, თუკი უცხოურ მასალაში მცირე მონაცემები მაინც არსებობს საქართველოს სახელმწიფო დროშასთან დაკავშირებით, მათ წვენილის ძალიან დიდი ფასი აქვთ. მართალია, ქართული ქრონიკები არ აღწერენ სახელმწიფო დროშას, მაგრამ, როგორც ითქვა, მთელი საუკუნეების განმავლობაში ეს დროშა ჩასმულია სამხედრო-ქრისტიანული იდეოლოგიის გარემოცვაში. სახელმწიფო იდეოლოგია შუა საუკუნეების საქართველოში არის ერთმნიშვნელოვნად ქრისტიანობა. შესაბამისად, დროშაზე გამოსახული შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ქრისტიანული სიმბოლო. რადგან სახელმწიფო სიმბოლიკა შუა საუკუნეებში შეესატყვისება სახელმწიფო იდეოლოგიას. ქართველ მეფეთა პოლიტიკა უკვე ვახტანგ გორგასალთან, სახელმწიფო დროშის შემქმნელთან, ორიენტირებულია მთლიანად იერუსალიმზე. იერუსალიმზე ამგვარი ორიენტაცია ქართველ მეფეთა პოლიტიკაში გრძელდება მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში. შესაბამისად, არაფერი გასაკვირი არ არის, სახელმწიფო დროშაზე ყოფილიყო ქრისტესა და იერუსალიმთან დაკავშირებული სიმბოლო. ამასთან, იერუსალიმის ჯვარის ტიპის გამოსახულებანი კი მეტწილად სახელმწიფო სიმბოლიკის ანარეკლს წარმოადგენენ ხოლმე. იერუსალიმის ჯვარის გამოსახულებები ასევე დაფიქსირებულია ქართულ ეკლესიებში. ეს ფაქტი, რომ ეს კომპოზიცია საქართველოში კარგად იყო ცნობილი, თავისთავად მნიშვნელოვანია. ამდენად, თუ გიორგი ბრწყინვალის ეპოქის პორტოლანები საქართველოს სახელმწიფო დროშად ხუთჯერიან დროშას დასახავენ, ამაში გასაკვირი და ძნელად დასაჯერებელი არაფერი უნდა იყოს. სხვა საქმეა, ეკუთვნის თუ არა მართლაც საქართველოს პორტოლანებზე დატანილი ხუთჯერიანი დროშები.

ბ-ნ აპოლონ სილაგაძის და ბ-ნ გოჩა ჯაფარიძის მიხედვით, ქართული დროშის აღწერა არც ერთ დასავლურ თუ აღმოსავლურ წყაროში არ მოგვეპოვება და ჩვენ ვენდობით ევროპული რუკების საეკლეო მონაცემებს. მცირე წინააღმდეგობა ამ მოსაზრებაში თავიდანვე მოცემულია. რადგან ევროპული რუკები უკვე კონკრეტულ წყაროებს წარმოადგენენ

[41] აპოლონ *სილაგაძე*, გოჩა *ჯაფარიძე*, ავმართე დროშა მეფისა, ალმითა წითელ-შავითა, თბილისი, 1999, გვ. 11.

და დროშის აღწერილობასაც გვაწვდიან (თუ ავტორები წერილობითს წყაროებს არ გულისხმობდნენ ამ შემთხვევაში). რაც შეეხება პორტოლანებს, ძნელი სათქმელია, ავტორები ევროპული რუკების საჯეკეო მონაცემებში გულისხმობენ, რომ თვითონ ევროპული რუკებია საჯეკეო სამეცნიერო წყარო, თუ ამ რუკების მიერ საქართველოს დროშის შესახებ მოწოდებული მასალა არის საჯეკეო. არც ერთი ეს მოსაზრება მართებული არ გახლავთ. XIV-XV საუკუნეების პორტოლანები ევროპულ მეცნიერებაში საყოველთაოდ არის აღიარებული. როგორც მეტად სანდო წყარო იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა შესახებაც ისინი გვაწვდიან ინფორმაციას. რადგან პორტოლანების ავტორები გამოირჩევიან თავიანთი პრაგმატულობით. ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ დაწვრილებით. ამასთან, მრავალი ევროპული ქვეყნის თუ ქალაქის დროშის დასადგენად XIV-XV საუკუნეებში სწორედ პორტოლანები წარმოადგენს სანდო და მნიშვნელოვან წყაროს. საქართველოს დროშის შესახებ კი მხოლოდ ორი პორტოლანი ნამდვილად არ გვაწვდის ინფორმაციას. მოლიანობაში, რვა პორტოლანის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო დროშად ისახება თეთრ ფონზე მოთავსებული იერუსალიმის ჯვარის მსგავსი წითელი კომპოზიცია. ეს პორტოლანებია: პიეტრო ვესკონტეს 1320 წლის შაეი ზღვის ატლასი; XIV საუკუნის დასაწყისის I ანონიმის პორტოლანი; ანჟელინო დულჩერტის პორტოლანი; XIV საუკუნის პირველი ნახევარის II ანონიმის პორტოლანი; ფრანჩესკო და დომენიკო პიციგანოების 1367 წლის პორტოლანი; 1375 წლის კატალანური ატლასი; გაბრიელ დე ვალსეკას 1439 წლის პორტოლანი; გაბრიელ დე ვალსეკას 1447 წლის პორტოლანი. როდესაც შეგვ საუკუნეებში გარკვეული მოვლენის არსებობის შესახებ ინფორმაცია გვაქვს და შემდეგ, ამ მოვლენის კონკრეტულ დეტალს გვიდასტურებს ერთბაშად რვა წყარო, ეს ნამდვილად ძალიან ბევრია. ამასთან, ითქვა უკვე, ეს წყაროები მეტად სანდოა. საქართველოსთან გამოსახული ხუთჯერიანი დროშები ვერ იქნება ვერც დასავლური სახელმწიფოების, ქალაქების, რომის პაპის, მისიონერების და ასე შემდეგ. ქვემოთ დეტალურად დავასაბუთებ, რომ ეს დროშები პორტოლანებზე ეკუთვნის საქართველოს სამეფოს. ამდენად, პორტოლანების და მათი მონაცემებისათვის ანგარიშის გაუწევლობა შეუწყნარებელია.

საქართველოსთან მოთავსებულ დროშასთან დაკავშირებით ბ-ნი აპოლონ სილაგაძე და ბ-ნი გოჩა ჯაფარიძე ფიქრობენ, რომ რაკი ხუთჯერიანი დროშა თბილისის გარდა სევასტიაზეც არის აღმართული, ამიტომ ეს დროშა საქართველოსი ვერ იქნება, რადგან სევასტია საქართველოს იურისდიქციაში არ შედიოდა. რაკი არც საქართველო ყოფილა როდესმე სევასტიის ნაწილი, ამიტომ მიედინართ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ სევასტიაზე და საქართველოზე აღმართული დროშები არ ეკუთვნით არც სევასტიას და არც საქართველოს[42]. ავტორები მოგვიანებით კვლავ შენიშნავენ: *„და ბოლოს, ევროპულ პორტულანებზე, როგორც ითქვა, აღნიშნული ხუთჯერიანი დროშები მთელ რიგ ქალაქებზეა აღნიშნული და ამიტომ ყველაფერი შეიძლება იყოს, გარდა საკუთრივ ქართული სახელმწიფო დროშისა"*[43].

პორტოლანებ'ზე დროშა ხუთი წითელი ჯვარით არ ფრიალებს მთელ რიგ ქალაქებზე. ამ საკითხებზე ქვემოთ ვისაუბრებ დაწვრილებით, მაგრამ მოკლე კომენტარის გაკეთება აქვეა აუცილებელი. თეთრ ფონზე დატანილი ხუთი წითელი ჯვარი რამდენიმე პორტოლანს დააქვს კენძულ კეიპროსის თაზე. რადგან პალესტინის დაკარგვის შემდგომ იერუსალიმის სამეფოს მმართველი დინასტიის წარმომადგენლები გარკვეულ ხანს ცხოვრობდნენ კენძულ კეიპროს'ზე. მეორე ადგილი, სადაც ჩვენთვის საინტერესო ხუთჯერიანი დროშა ჩნდება, არის სევასტია. XIV საუკუნის სამი პორტოლანი სევასტიასთან ათავსებს დროშას ხუთი წითელი ჯვარით. მაგრამ სევასტიასთან ხუთჯერიანი დროშა დამოუკიდებლად არ არის აღმართული. სევასტიის ხუთჯერიანი დროშა მოცემულია სპარსეთის ილხანთა

[42] *აპოლონ სილაგაძე, გოჩა ჯაფარიძე* (1999). გვ. 12.
[43] *აპოლონ სილაგაძე, გოჩა ჯაფარიძე* (1999). გვ. 22.

სახელმწიფოს დროშასთან კომბინაციაში. ამ ფაქტს კი ჩვენი საკითხისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. როგორც ქვემოთ გამოჩნდება, სევასტიის ხუთჯვრიანი დროშა უშუალოდ გიორგი ბრწყინვალის პოლიტიკას უკავშირდება და სევასტიის დროშაც ქართულ მასალასთან დაკავშირებით არის განსახილველი. ამ მოსაზრებას დავასაბუთებ დეტალურად, როდესაც პორტოლანების შესახებ გვექნება ლაპარაკი, წიგნის ბოლო თავში. დროშას ხუთი წითელი ჯვარით პორტოლანებზე ცენტრალური დატვირთვა აქვთ მხოლოდ საქართველოს სამეფოსთან მიმართებაში. რეა პორტოლანის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო დროშა გამოდის თეთრ ფონზე მოთავსებული წითელი იერუსალიმის ჯვარის ტიპის კომბინაცია. ის მოსაზრება კი, თითქოს ეს დროშები რომელიმე გარე ძალას, რომს, მისიონერებს და ასე შემდეგ ეკუთვნოდეს, ეერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და ამ ვარაუდების სიმცდარესაც ქვემოთ დეტალურად დავასაბუთებ.

ავტორები აგრეთვე შენიშნავენ: 1333 წლიდან მოყოლებული პირველი მსოფლიო ომის დასასრულამდე იერუსალიმის ხუთჯვრიანი დროშა, წითელი ჯვრებით თეთრ ფონზე, გამოიყენებოდა როგორც ნეიტრალიტეტის ნიშანი იერუსალიმში რეგისტრირებული გემებისათვის[44]. მაგრამ ამ ფაქტს ქართული სახელმწიფო დროშის საკითხისათვის კელაე არაეითარი მნიშვნელობა არა აქვს. რადგან ეს სიმბოლო იერუსალიმის სამეფოს დროშიდან გადადის ნეიტრალიტეტის გამოსახულებად იერუსალიმში რეგისტრირებულ გემებზე. ლაპინთა იერუსალიმის სამეფოს დროშად ხუთი ჯვარი ჩნდება საკარაუდოდ XII საუკუნის შუა ხანებიდან. ამასთან, ჯვაროსნებს ევროპიდან არ ჩაუტანიათ პალესტინაში ხუთჯვრიანი გამოსახულება. ხუთჯვრიანი გამოსახულება უკავშირდება ქრისტეს და იერუსალიმს. სწორედ იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ აიღეს ჯვაროსნებმა აღნიშნული სიმბოლო თავიანთ დროშად. იერუსალიმის ჯვარი კი აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში ფიქსირდება, როგორც ითქვა, უკვე I საუკუნიდან. ქართული დროშათა სისტემა დასავლეთევროპულზე გაცილებით ძველია, ისევე როგორც ქართული სახელმწიფო დროშა. იერუსალიმზე თავიანთი პოლიტიკის რადიკალური ორიენტაცია ქართველ მეფეებთან ჩნდება უკვე V საუკუნიდან. შესაბამისად, იერუსალიმის ჯვარის თავიანთ სიმბოლოდ ასაღებად ქართველ მეფეებს დასავლეთევროპელთა შუამავლობა ნამდვილად არ დასჭირდებოდათ. რაც შეეხება დროშათა შორის პარალელიზმს, ამ დებულების გამეორება ქვემოთაც ბევრჯერ მოგვიხდება, ქრისტიანულ სამყაროში ეს ჩვეულებრივი მოელენაა. რადგან არსებობს ქრისტიანული სიმბოლიკის, უბრალოდ თუ ვიტყვეთ, ერთი საერთო მარაგი, საიდანაც ყველა ქვეყანა იღებს ქრისტიანული სიმბოლიკის ნიშნებს. დროშათა შორის მსგავსი პარალელიზმი თვითონ დასავლეთევროპულ ქვეყნებსა და ქალაქებს შორისაც ძალიან ხშირია. თუმცა, როგორც უკვე ითქვა, ამ საკითხებზე მოგვიანებით ვისაუბროთ დეტალურად.

იმ ფაქტის დასასაბუთებლად, რომ ქართულ სახელმწიფო დროშაზე გამოსახული იყო წმინდა გიორგი, მკვლევარებს მოყავთ თეიმურაზ ბაგრატიონის ზემოთ განხილული ცნობა: *„მეფენი მარადის დროშასა ზედა და ღერბთა მათთა დასწერდეს სახესა წმიდისა ამის მთავარ-მოწამისა გიორგისასა"*[45]. თეიმურაზ ბატონიშვილის აღნიშნულ ციტატაზე ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი. ეს მოსაზრება, ბუნებრივია, მეტად მნიშვნელოვანია. წმინდა გიორგის დროშები ნამდვილად ექნებოდათ ცალკეულ ქართველ თავადებს, ქართულ მხარეებს. შესაძლოა მეფეებიც ფლობდნენ ამგვარ დროშებს, ვთქვათ, პირადი დროშების სახით. ამასთან, ქრისტიანულ სამყაროში, როგორც დასავლურში, ისე აღმოსავლურში, წმინდა გიორგის დროშად ითვლება აგრეთვე თეთრ ფონზე მოთავსებული ერთი წითელი ჯვარი. შესაბამისად, ყველა ნიშნის მიხედვით, ქართველებს მსგავსი დროშებიც უნდა ჰქონოდათ, რაკი ისინი წმინდა გიორგის სახავდნენ თავიანთ პატრონად. მაგრამ თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობაში, ზემოთაც ითქვა, კონკრეტულად სახელმწიფო დროშაზე მაინც არ

[44] აპოლონ *სილაგაძე, გოჩა ჯაფარიძე* (1999), გვ. 19.
[45] აპოლონ *სილაგაძე, გოჩა ჯაფარიძე* (1999), გვ. 19.

არის ლაპარაკი. ამასთან, აქ ერთი ნიუანსიც გასათვალისწინებელია. ბ-ნ სილაგაძის და ბ-ნ ჯაფარიძის ტექსტში დაშვებულია კორექტურული შეცდომა, რომელიც ასრს ცვლის. რადგან მკვლევარებთან მოტანილ ციტატში ეკითხულობთ, და ეს ციტატი აქ უცვლელი სახით დაეიმოწმე, რომ მეფეები წმინდა გიორგის სახეს მუდამ გამოხატავდნენ „დროშასა ზედა". ამდენად, ლაპარაკია ერთ დროშაზე. ამ შემთხვევაშიც კონკრეტულად სახელმწოფო დროშა მაინც არ იგულისხმება, მაგრამ, როდესაც ვამბობთ, რომ სხვადასხვა მეფეებს მუდამ ერთ დროშაზე დაქონდათ კონკრეტული გამოსახულება, ზოგად კონტექსტს თითქოს მართლაც ერთი კონკრეტული, ცენტრალური დროშისაკენ მიეყავართ. ოღონდ თეიმურაზ ბატონიშვილის ტექსტში ლაპარაკია დროშებზე, და არა დროშაზე. ეს ციტატა ზემოთ დამოწმებული მქონდა სარა ბარნაველის წიგნიდან. ყოველი შემთხვევისათვის გადავამოწმე ორიგინალი და ვარაუდი დამიდასტურდა. თეიმურაზ ბატონიშვილთან ეკითხულობთ: „ [...] *მეფენი მარადის დროშათა ზედა და ღერბთა მათთა დასწერდეს სახესა წმიდისა ამის მთავარ-მოწამისა გიორგისასა და ეგრეთვე ყოველთა ზედა საჭურველთა და ჩაფხუტთა ზედა მხედართასა.* [...][46] *შესაბამისად, აქ ლაპარაკია მრავალ დროშაზე და არა ერთ* კონკრეტულ დროშაზე. ამ კონტექსტიდან კი ნამდვილად არ გამოდის ასრი, რომ თეიმურაზ ბატონიშვილი მაინცდამაინც ერთ სახელმწიფო დროშას გულისხმობდეს.

ბოლოს მკვლევარები აღნიშნავენ, რომ თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობა მყარდება უცხოური საბუთებითაც. 1598 წელს პალესტინაში მყოფი პილიგრიმი იოანეს კოტოვიკუსი წერს: *„ქართველები გიორგი მთავარმოწამეს [...] უაღრეს თაყვანს სცემენ და სხვა წმინდანებზე მეტად განსაკუთრებით სცემენ პატივს, თავის მფარველადაც* [...] *მიაჩნიათ,* [...] *და სამხედრო დროშებზე დახატული მისი სახე ყოველთვის დააქვთ*"[47]. ამის მერე მკვლევარები ამბობენ: ამ ცნობაზე დაყრდნობით ივანე ჯავახიშვილს გამოუთქვამს მოსაზრება, რომ ქართულ დროშაზე თუ დროშებზე სწორედ წმინდა გიორგი იყო გამოსახული. ივანე ჯავახიშვილის ეს ვარაუდი გაუზიარებიათ სხვა მკვლევარებსაც, მათ შორის სარა ბარნაველს[48]. კოტოვიკუსის ცნობას თურმე ადასტურებს მეორე ევროპელი პილიგრიმის ინფორმაციაც. ფრანც ფერდინანდ ტროილოლელი 1717 წელს წერს: *„ქართველები დიდ თაყვანს სცემენ წმინდა გიორგის და ერთგულნი არიან მისი, ყოველ დროშაზე აქვთ მისი გამოსახულება"*[49]. აღნიშნული ცნობებიც უაღრესად საინტერესოა, მაგრამ ქართულ სახელმწიფო დროშასთან მათ კელავ ცოტა რამ თუ აქვთ საერთო. აქ გასათვალისწინებელია: საქმე გვაქვს გვიანდელ, XVI საუკუნის დასასრულის და XVIII საუკუნის დასაწყისის ცნობებთან. შესაბამისად, ამ დროისათვის საქართველოს სამეფო დიდი ხნის დაშლილია და, არსებული მასალის მიხედვით, გორგასლიან-დავითიანი დროშაც ასევე გამქრალია თვალსაწიერიდან (სავარაუდოდ გორგასლიან-დავითიანი სახელმწიფო დროშა გახლდათ ერთიანი საქართველოს არსებობამდე. როგორც ითქვა, გვიანდელი დროის ქართული წყაროები ამ დროშის შესახებ უკვე სდუმან). გარდა ამისა, აქ საქმე გვაქვს პილიგრიმულ ლიტერატურასთან. პილიგრიმები აფიქსირებენ იერუსალიმსა და პალესტინაში ჩასულ ქართველებთან შესაბამის დროშებს. იერუსალიმში წასულ ქართველ პილიგრიმებს კი სახელმწიფო დროშას ადრეც არ გაატანდა არაენი, და XVI საუკუნის ბოლოს ან XVIII საუკუნის დასაწყისში ქართველი მომლოცველები მით უმეტეს ეველარ წაიღებდნენ ამ დროშას იერუსალიმში, რადგან გორგასლიან-დავითიანი აღნიშნულ ეპოქაში სახელმწიფო დროშა აღარ არის. ამასთან, აქ მოტანილ ორ ცნობაში კონკრეტულად სახელმწიფო დროშაზე ლაპარაკი ისევ არ არის. ისე კი, იერუსალიმში ჩასული ქართველ პილიგრიმებს რომ უკვე მაღალი შუა საუკუნეებიდან მოყოლებული თან ჰქონდათ წმინდა გიორგის დროშები, ამ ფაქტს არაენი უარყოფს. იერუსალიმში ჩასულ

[46] თეიმურაზ ბაგრატიონი, ისტორია დანყებითგან ივერიისა, სპბ, 1848. გვ. 19.
[47] ალოონ სილაგაძე, გოჩა ჯაფარიძე (1999). გვ. 24.
[48] ალოონ სილაგაძე, გოჩა ჯაფარიძე (1999). გვ. 25.
[49] ალოონ სილაგაძე, გოჩა ჯაფარიძე (1999). გვ. 25.

ქართველ პილიგრიმებთან წმინდა გიორგის დროშებზე, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ჯერ კიდევ ერთიანი საქართველოს დროს მოგვითხრობენ ევროპელი ავტორები. მაგრამ ეს გახლავთ წმინდა გიორგის ცალკეული დროშები (მხარეთა, დიდებულთა, ქალაქთა...) და არა სახელმწიფო დროშა.

ასევე გაკვირვებას იწვევს სახელმწიფო დროშის კონტექსტში მტკიცებულების მოტანა: კოტოვიკუსის ცნობაზე დაყრდნობით ივანე ჯავახიშვილს გამოუთქვამს მოსაზრება, რომ ქართულ დროშაზე თუ დროშებზე სწორედ წმინდა გიორგი იყო გამოსახული და რომ ივანე ჯავახიშვილის ეს ვარაუდი გაუზიარებიათ სხვა მკვლევარებსაც, მათ შორის სარა ბარნაველს. კოტოვიკუსის ცნობაზე დამყარებით, რა თქმა უნდა, ივანე ჯავახიშვილს შეიძლებოდა დაეშვა, ქართველებს დროშებზე წმინდა გიორგის გამოსახულება ჰქონდათ დატანილი. მაგრამ იგივე ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილიც გამოთქვამდა დაფიქრებას და ეს პოზიცია სწორედ კარგად აისახება სარა ბარნაველის მსჯელობაშიც და წიგნშიც, რის გაუთვალისწინებლობაც ძნელი გასაგებია. სურათის სიცხადისათვის ხელახლა მომაქვს ივანე ჯავახიშვილის მოსაზრება სახელმწიფო დროშასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე ზემოთ უკვე გვქონდა დეტალური საუბარი: *„რაკი XIII ს. დამლევის ისტორიკოსს სტ. ორბელიანს საქართველოს სახელმწიფო დროშის ალამის წმინდა გიორგის სახით მოხატულობის შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი, ამიტომ ჯერ კიდევ გამოსარკვევია, XI-XIII საუკუნეებშიც იყო ალამზე წმინდა გიორგის სახე გამოყვანილი, თუ ეს მერმინდელი დანართია"* (ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგ. II, ნაკვ. 2, გვ. 211. ციტირებულია წიგნიდან: სარა ბარნაველი [1953], გვ. 16).

*

1982 წელს გამოქვეყნდა ოლეგ ტარნოვსკის სტატია, რომელიც ქართული დროშების თემატიკას ეხება (ოლეგ ტარნოვსკი, საქართველოს ისტორიული დროშები, „ისტორია, სახოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში" [ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" ყოველკვარტალური დამატება], 4, 1982, გვ. 57-75). ბ-ნი ტარნოვსკი ასევე გამოთქვამს მცდარ დებულებას სვეტიცხოველის ტაძრის ფრესკაზე გამოხატული დროშების შესახებ (გვ. 58-61). სვეტიცხოველში გამოსახულ დროშებზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, ბ-ნი დავით კლდიაშვილის წიგნის განხილვისას. გარდა ამისა, ბ-ნი ტარნოვსკის მიხედვით, 1375 წლის კატალონიურ ატლასში საქართველოს სამეფოს დროშებად ხუთჯერიანი დროშები ისახება. ამ დროშის ქვემოთ გაკეთებულია წარწერა „საუქართო", რაც საქართველოს უნდა ნიშნავდეს. ფაქტიურად ბ-ნმა ტარნოვსკიმ პირველმა გამოთქვა შეხედულება, რომ საქართველოს სახელმწიფოს დროშაზე შუა საუკუნეებში მოთავსებული გახლდათ ხუთი ჯვარი. აქ, ერთადერთი, მიეუთითებ რამდენიმე შეუსაბამობაზე ბ-ნი ტარნოვსკის სტატიაში. პირველი ნაკლი ის გახლავთ, რომ ავტორი არ უთითებს ამ ეგრეთ წოდებული კატალონიური ატლასის წყაროს, საიდანაც დროშების მასალა აიღო. 1375 წლის კატალანურ ატლასზე ხუთჯერიანი დროშა ნამდვილად გახლავთ მოთავსებული და ეს დროშა ქართულ დროშათა სისტემას უკავშირდება. ოღონდ ეს დროშა დატანილია ქალაქ სევასტიასთან და მის ქვეშ გაკეთებულია წარწერა „Sauasto" და არა „საუქართო". ოღონდ დროშების დანარჩენი მასალა, რომელსაც ეხება რუსი მკვლევარი, 1375 წლის კატალანურ ატლასზე არ ჩანს. თუ არ ვეცდები, ეს ინფორმაცია მკვლევარს აღებული აქვს ამავე ეპოქის ესპანური „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნიდან" (რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი) და ამ წიგნს შეცდომით მოიხსენიებს 1375 წლის კატალონიურ თუ კატალანურ ატლასად. მაგალითად მკვლევარი ეხება ერთ-ერთ დროშას, რომელზეც ასევე ხუთი ჯვარია, და ის ეკუთვნისო „გორინჩოს", რაც მეცნიერის თანახმად, „ბურჯი" ყოფილა. „გორინჩოს", თუ „Corincho"-ს „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნში" მართლაც ეხედებით, ოღონდ ის აღნიშნავს

ერთ-ერთ მცირეაზიულ ქალაქს თუ პროვინციას, და არა საქართველოს. აქ თეთრ დროშაზე შავი ჯვრებია მოთავსებული. „საუქართო" არც „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნში" ჩანს. ამ მასალის მიხედვით, ჩემთვის ცნელი სათქმელია, რომელ წყაროს იყენებდა რუსი მეცნიერი. არ არის გამორიცხული, ბ-ნ ტარნოვსკის მართლაც იმგვარი გამოცემა, ანდა სხვა წყარო ჰქონოდა ხელთ, სადაც მართლაც იყო „საუქართოზე" ლაპარაკი. მაგრამ ვიდრე არ გაირკვევა კონკრეტულად რომელ წყაროს გულისხმობდა რუსი მკვლევარი, მის სტატიაში მოტანილი მასალის საკითხი მაინც ღიად რჩება და ერთგვარი ნაიეური ეტიმოლოგიის საფრთხესაც შეიცავს. თუ „საუასტოს" ნაცელად „საუქართო" წაიკითხა. მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, ხუთჯვრიან დროშას საქართველოს სამეფოს, ჩემს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, პირველად ბ-ნი ოლეგ ტარნოვსკი უნდა უკავშირებდეს.

*

სასურველია აქვე შეეაჯამოთ ქართული ქრონიკების ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები. ქართული სახელმწიფო დროშა უცველელი ფორმით დაფიქსირებულია დავით აღმაშენებელიდან გიორგი ბრწყინვალის ეპოქის ჩათვლით. სახელმწიფო დროშის შემქმნელი ნებისმიერ შემთხვევაში არის ვახტანგ გორგასალი. საეარაუდოდ გორგასალის დროშა იყო დავით აღმაშენებლის და გიორგი ბრწყინვალის დროშის იდენტური (მაღალ შუა საუკუნეებში საქართველოს დროშაზე გამოსახული იყო იერუსალიმის ჯვარი. ვახტანგ გორგასალთან, ქრისტიანული იდეოლოგიის დომინანტობის ზოგად ფაქტს თავს თუ დავანებებთ, რეალურად მოცემულია უშუალო კავშირი და მიმართება იერუსალიმთან. გორგასალის თითქმის მთელი ბრძოლა მოაზრებულია იერუსალიმის დასაცავ ომად. გორგასალის ცხოვრებაში ცენტრალური მნიშვნელობა აქვს მეფე ვახტანგის მიერ ქრისტეს ხილვას ფრთოსანი ჯვარის სახით. ფრთოსანი ჯვარი, სავარაუდოდ, სწორედ ხუთჯვრიან კომპოზიციას უნდა გულისხმობდეს). ქრონიკები არ გვეუბნებიან, რა იყო დროშაზე გამოსახული. მაგრამ, შესატყვისი მასალის ანალიზის საფუძველზე, მივედით დასკვნამდე: დროშაზე შეიძლებოდა გამოხატული ყოფილიყო მხოლოდ ქრისტიანული ნიშანი. რადგან ეს დროშა მრავალი საუკუნის მანძილზე მთლიანად ჩასმულია ქრისტიანულ იდეოლოგიაში. ჯვრიანი, ქრისტიანული სიმბოლიკის მქონე დროშის სახელმწიფო სიმბოლოდ არსებობისათვის აუცილებელია, რომ საერო პოლიტიკას რელიგიური იდეოლოგია ედოს საფუძვლად. ამგვარი საჭირო წინაპირობა, რომელსაც ჩვენ სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობა ეუწოდეთ, საქართველოში თავისი დასრულებული ფორმით ფიქსირდება უკვე ვახტანგ გორგასალთან. ქართული წყაროების მიხედვით, სახელმწიფო დროშაზე თეთრი ფერიც იყო. ქართულ სამყაროსთან ახლოს მდგომი სტეფანოზ ორბელიანის თანახმად, ქართულ სახელმწიფო თეთრ დროშაზე წითელი ნიშანი იყო გამოსახული. ქართული მასალის მონაცემებს, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ერთგვარად მწყობრად ასრულებენ დასავლეთევროპული წყაროები. გიორგი ბრწყინვალის დროინდელ ევროპულ პორტოლანებზე საქართველოს სახელმწიფო დროშაა თეთრ ფონზე გამოსახული ხუთი წითელი ჯვარი.

ქრონიკათა მასალის განხილვის შემდეგ აუცილებელია შეეეხოთ ნუმიზმატურ მონაცემებს[50]. შუა საუკუნეთა საქართველოს სახელმწიფო დროშასთან დაკავშირებით მონეტებიც მნიშვნელოვან საბუთებს გვთავაზობენ. აქვე შეიძლება ითქვას, შუა საუკუნეების ქართული ნუმიზმატური მასალა მყარად უმაგრებს ზურგს დასავლეთ ევროპული პორტოლანების ცნობებს, რომელთა მიხედვითაც შუა საუკუნეთა საქართველოს დროშაზე დატანილი იყო იერუსალიმის ჯვარის ვარიანტი.

თავიდანვე უნდა ითქვას: მონეტებზეც ისევე აისახება სახელმწიფო სიმბოლიკა, როგორც, მაგალითად, ქვეყნის დროშაზე. მონეტაზე და დროშაზე დატანილი სიმბოლოები არ არის აუცილებელი მთლიანად ერთმანეთის იდენტური იყოს. მაგრამ სიმბოლოების გარკვეულ შინაარსობლივ და რიგ შემთხვევებში პირდაპირ თანხვედრასაც ალბათ ნამდვილად უნდა ველოდოთ. როგორც ითქვა, შუა საუკუნეების ქართულ სახელმწიფოს საფუძვლად უდევს ქრისტიანული, უფრო კონკრეტულად, სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობა. ამ საერთო იდეოლოგიური საფუძველიდან უნდა ამოდიოდეს, წესით, სახელმწიფოს მთლიანი სიმბოლიკაც, იქნება ეს მონეტები, დროშა, თუ გერბი.

ფაქტიურად ადრეულ და მაღალ შუა საუკუნეებში გამოშეებული ქართული მონეტების უმთავრესი ნაწილი გამსჭვალულია ქრისტიანული მსოფლმხედველობით, ზოგ შემთხვევებში კი სამხედრო-ქრისტიანული იდეოლოგიის პირდაპირ ნუმიზმატიკაში ასახვასთან გვაქვს საქმე. თავიდან მოკლედ დავახასიათებ მონეტებს, რომლებზეც მაინცდამაინც ჯვარი გამოსახული არ არის, მაგრამ ქრისტიანული მსოფლმხედველობის დომინანტობის თვალსაჩინო მაგალითს გვთავაზობენ.

მაგალითად, ბაგრატ მესამის ვერცხლის დრამის ზურგზე მოთავსებულია ქართული ზედწერილი: *„ქრისტე ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე“*[51]. ბაგრატ მეოთხის ვერცხლის დრამის შუბლზე ელაქერნის ღვთისმშობელია გამოსახული, ხოლო ზურგზე გაკეთებული ქართული წარწერა კვლავ ქრისტეს მიმართავს: *„ქრისტე, ადიდე ბაგრატ მეფე აფხაზთა და ნოველისიმოსი“*[52]. ბაგრატ მეოთხის მეორე ვერცხლის დრამაზე შინაარსი დაახლოებით მეორდება, მეფის ბიზანტიური ტიტულია მხოლოდ განსხვავებული. მონეტის შუბლზე გამოხატულია ელაქერნის ღვთისმშობელი, ზურგზე გაკეთებულია ქართული ზედწერილი: *„ქრისტე, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე და სევასტოსი“*[53]. გიორგი მეორის სამი ვერცხლის დრამა ძირითადად იმეორებს ბაგრატ მეოთხის მონეტების ტრადიციულ ხაზს. სამივე ვერცხლის დრამის შუბლზე ელაქერნის ღვთისმშობელია გამოსახული. სამივე მონეტაზე აგრეთვე სთხოვენ ქრისტეს, რომ ადიდოს გიორგი, მეფე აფხაზთა და ქართველთა. ოღონდ პირველ მონეტაზე გიორგი არის ნოველისიმოსი, მეორეზე – სევასტოსი, ხოლო მესამეზე – კესაროსი[54]. მონეტები კარგად გვიჩვენებენ გიორგი მეორის საფეხურობრივ აღმასვლას ბიზანტიური ტიტულატურის იერარქიაზე.

როგორც გიორგი მეორის იერარქიულ აღმასვლას გვიჩვენებენ მონეტები, ასევე ხატოვნად ეხედავთ საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერების თუ დაღმასვლის სურათს ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით. დაეით აღმაშენებლის პირველი ვერცხლის დრამა თითქოს ტრადიციულ ხაზს აგრძელებს ისევ, ბიზანტიელთა პოლიტიკური თუ რელიგიური ზოგადი პრიმატის აღიარებაში. მონეტის შუბლზე ისევ ელაქერნის ღვთისმშობელია

---

[50] ნუმიზმატიკურ მასალაზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებ სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების თანამშრომელს ქ-ნ თინათინ ქუთელიას. აგრეთვე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო დახმარებისათვის მუზეუმის თანამშრომელს, ქ-ნ ცისანა კაკაბაძეს.

[51] ფული საქართველოში, თბილისი, 2000. გვ. 38-39, 206; მონეტა 49.

[52] ფული საქართველოში (2000). გვ. 38-39, 206; მონეტა 50.

[53] ფული საქართველოში (2000). გვ. 38-39, 206; მონეტა 51.

[54] ფული საქართველოში (2000). გვ. 38-41, 206, 208; მონეტა: 52, 53, 54.

ამოკვეთილი. ხოლო ზურგზე გაკეთებულია ქართული ზედწერილი: *„ქრისტე, ადიდე დავით აფხაზთა მეფე და სვეასტოსი“*[55].

კარგად ცნობილი ფაქტია: ეითარება ბიზანტიის პრიმატის აღიარებასთან დაკავშირებით დავითის მეფობის დასაწყისშივე იცვლება. მაგრამ დავითის დანარჩენ მონეტებს ოდნავ ქვემოთ შეეხები უფრო დაწერილებით. დავითის მიერ დამკვიდრებული კარდინალური ხაზის გაგრძელებას წარმოადგენენ დემეტრეს, დავით მეხუთის, გიორგი მესამის, თამარის მონეტები. XI საუკუნის ქართული მონეტები მსოფლმხედველობრივად ქართულ ქრისტიანულ სივრცეში იყვნენ ჩაკეტილნი. აქცენტი, ბუნებრივია, ქრისტიანობაზე კეთდებოდა. წარწერების ქართულად გაკეთება ქრისტიანობის ფაქტის საქართველოში და ქართველთათვის, ანუ საკუთარი თავისათვის ხაზგასმას ისახავდა თითქოს მიზნად. XII საუკუნეში კი მთელი მსოფლმხედველობრივი გარდატეხა ხდება. ეკითხულობთ თითქოს ძალიან სადა და მშვენიერ წარწერას, რომელიც არაბულადაა გაკეთებული დემეტრე პირველის სპილენძის მონეტის შუბლზე: *„მეფეთ-მეფე, მესიის მახვილი“*[56]. ის ფაქტი, რომ აფხაზთა და ქართველთა მეფეს, ნოველისიმოსს, სევასტოსს და კესაროსს ენაცვლება მეფეთ-მეფე, თავისთავად მეტყველებს პოლიტიკური რეალობის ცვლაზე. მაგრამ ამ შემთხვევაში არანაკლებ მნიშვნელოვანი ჩანს მსოფლმხედველობრივი ცვლა. XI საუკუნის მონეტებზე ქრისტეს ერთგვარად პასიურად სთხოვდნენ მეფის დიდებას. XII საუკუნეში კი სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობის ელემენტები დასრულებული ფორმით მონეტებზეც ჩნდება. რადგან, მონეტების თანახმად, ქართველი მეფეები იქცნენ მესიის მახვილად, ანუ საერო ბრძოლით ახორციელებენ რელიგიურ საქმეს, ქრისტეს საქმეს. თან სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობა აქ პირდაპირ არის მიმართული წარმართების წინააღმდეგ, რადგან მესიის მახვილს წარმართებთან და ურწმუნოებთან დაპირისპირების გარდა სხვა დანიშნულება არა აქვს. შეიძლება ითქვას, რომ ქართული სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობა ნუმიზმატიკურ მასალაშიც პირდაპირ ჯვაროსნულ გაქანებას ღებულობს. ამასთან, დემეტრე მეფის და დანარჩენ ამ დროის მონეტებზეც, სადაც ქართველი მეფეები მესიის მახვილებად არიან დასახულნი, როგორც ითქვა, არაბულ ენაზე არიან შესრულებულნი. ამგვარად, ქართული ქრისტიანობისათვის მსოფლიო მასშტაბის მიცემა და ერთგვარად ურწმუნოთა მთელ სამყაროზე, მათივე ენის საშუალებით გატანა ხდება (ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა არეალს ფარავდნენ თავიანთი მიმოქცევით ქართული მონეტები. მთავარია მონეტებში ჩადებული პრინციპი ქრისტიანული დებულებების ისლამის ენაზე გადმოცემის სახით).

აღნიშნული კუთხით ტრადიციულ ხაზს აგრძელებენ დავით მეხუთის 1155 წლის[57] და გიორგი მესამის მონეტები[58]. როგორც თამარის მეფობა ასრულებს ქართული ისტორიის აღმასვლას, ასევე აგვირგვინებენ თამარის ეპოქის მონეტები მსოფლმხედველობრივ პლანში ქართული ნუმიზმატიკის განვითარების ხაზს. მაგალითისათვის თავიდან შეგვიძლია ავიღოთ თამარის 1187 წლით დათარიღებული სპილენძის მონეტა[59]. მონეტის შუბლზე ეკითხულობთ არაბულ ზედწერილს: *„დედოფალი დიდებული, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა, მესიის თაყვანისმცემელი. განადიდოს ღმერთმან დიდება მისი, განგრძოს ჩრდილი მისი და განამტკიცოს კეთილდღეობა მისი“*. ქრონიკები სახავენ თამარის ეპოქას შიდა, ქრისტიანული ღირებულებების და გარეგნული სიმშვენიერის, გარეგნული ბრწყინვალების ერთგვარ სინთეზად. დაახლოებით იგივე ეითარებაა თამარის აღნიშნული მონეტის წარწერაზეც. თამარი ამ შემთხვევაში მონეტაზე აღარ ისახება მესიის მახვილად, როგორც წინა მეფეები, რომელთა მონეტებზეც

[55] ფული საქართველოში (2000). გვ. 40-41, 208; მონეტა: 55.
[56] ფული საქართველოში (2000). გვ. 44-45, 210. მონეტა: 62. იხილეთ ასევე დემეტრეს მეორე სპილენძის მონეტაც, 63.
[57] ფული საქართველოში (2000). გვ. 44-45, 210; მონეტა: 64.
[58] ფული საქართველოში (2000). გვ. 46-47, 210; მონეტა: 66.
[59] ფული საქართველოში (2000). გვ. 46-47, 212; მონეტა: 70. იხილეთ ასევე მონეტა 71.

მხოლოდ სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობის პრინციპი დომინირებდა. თამარი არის მესიის თაყვანისმცემელი. იმავდროულად თამარი არის ქვეყნის მშვენება. მაგრამ აქ კვლავ რელიგიურ მხარეს კეთდება გადასვლა და ხორციელდება სინთეზი. თამარი გახლავთ არა მხოლოდ ქვეყნის, არამედ სარწმუნოების მშვენებაც. ოღონდ საინტერესოა ნიუანსი, რომელიც წმინდა რელიგიურ ასპექტში შედის, როდესაც თამარი სარწმუნოების სწორედ მშვენებად არის დასახული. ამასთან, ღმერთმა უნდა განადიდოს თამარის დიდება და კეთილდღეობა. მაგრამ ღმერთი მხოლოდ იმიტომ განადიდებს თამარის დიდებას და კეთილდღეობას, რადგან თამარი სარწმუნოების მშვენებაც არის. ამასთან, მთელი ეს სინთეზი არაბულ ენაზე ხორციელდება. სამყაროს გადაეცემა ქართველ მეფეთ-მეფეთა ახალი იდეალი. ეს არის არა მხოლოდ მესიის მახვილი, არამედ სრული მმართველი, ეროგვეარად, ქვეყნის მშვენება, მაგრამ უწინარესად მაინც მესიის თაყვანისმცემელი.

ბაგრატ მესამე საფუძველს უდებს მონეტათა ნაკადს XI საუკუნის განმავლობაში. როგორც ითქება, ეს გამოხატავს ქართულ ქრისტიანულ ხაზს ქვეყნის შიგნით, ბიზანტიის ზოგადი პრიმატის აღიარებით. სავარაუდოდ დავით აღმაშენებელს უნდა გადაყავდეს ქართული ქრისტიანობა ნუმიზმატიკურ მასალაში გარკვეულწილად შეტევასე, როდესაც არაბულად ეცნობება სამყაროს, რომ ქართველი მეფეთ-მეფენი მესიის მახვილები არიან. თამარი სათავეს უდებს მონეტათა ახალ ციკლს, სადაც სრულ, ქრისტიანულ სათნოებებზე დამყარებული გარეგნულად ბრწყინვალე მბრძანებლის ხატს კვლავ არაბულ ენაზე აწვდიან სამყაროს, ოან მესიის მახვილის მოტიეი ხანდახან ისევ წინა პლანზე გამოდის ხოლმე (ამგვარი სრული მმართველის იდეალს, ცხადია, დავით აღმაშენებელიც განასახიერებდა, მაგრამ მონეტებზე ეს პრინციპი თამარის ეპოქაში გამოდის წინა პლანზე).

ლაშა-გიორგის სპილენძის მონეტის შუბლზე არაბულად ეკითხულობთ: *„მეფე უმაღლესი, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, გიორგი, ძე თამარისა, მესიის მახვილი“*[60]. რუსუდანის დროის საქართველომ, როგორც ცნობილია, მონღოლების და ხვარაზმელების შემოსევების შემდეგ სრულად დაკარგა თამარის საქართველოს სიმძლავრე და ბრწყინვალება. მაგრამ ჯერ კიდევ ინერციით ფულს მაინც თამარის ხაზის შესატყვისად ჭრიან, როდესაც ძველი დიდებული ხაზის გაგრძელების მცდელობა ჯერ კიდევ შეიმჩნევა. რუსუდანის 1227 წლის სპილენძის მონეტაზე ეკითხულობთ ამაღლებულ, სადა, მშვენიერ არაბულ ზედწერილს: *„დედოფალი მეფეთა და დედოფალთა. მშვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა, რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი“*[61].

დავით ულუს ერთ-ერთ მონეტაზე კვლავ გაიელვებს დავით აღმაშენებლის დროინდელი იდეალი, როდესაც ქართველი მეფეები თაეიანთი მონეტების საშუალებით არაბულ ენაზე ისლამურ სამყაროს ამცნობდნენ, რომ ისინი მესიის მახვილნი არიან: *„მეფეთა მეფე დავით, ძე გიორგისა, მესიის მახვილი“*[62]. დემეტრე მეორე თაეის სპილენძის მონეტის ზურგზე უკვე შედარებით მოკრძალებულად აღნიშნავს, ამასთან ზედწერილსაც ქართულ ენაზე აკეთებს: *„გვწამს მამა, ძე და სული წმინდა“*[63]. ეს მონეტა მსოფლმხედველობრივად თითქოს XI საუკუნის ნუმიზმატიკურ მასალასთან გეაბრუნებს, როდესაც ქართული ქრისტიანობა მონეტებზე ერთგვარად მთლიანად საქართველოზეა ორიენტირებული (მართალია, ეს მონეტა ალბათ მხოლოდ ქვეყნის შიგნით მიმოქცევისთვის იყო გამიზნული, მაგრამ ამ საკითხს მსოფლმხედველობრივი კუთხისათვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს).

რამდენიმე ქართულ-პულაგუიდურ მონეტას თუ გადავალებთ თვალს, ზოგადი სურათი დაახლოებით შემდეგია. მონეტებზე თვალნათლივ ჩანს ილხანთა სახელმწიფოს პოლიტიკური უზენაესობა, მაგრამ ქართული ელემენტი მძლავრადაა წარმოდგენილი ქრისტიანული მოტივების სახით. ამასთან, წარწერა კვლავ არაბულად კეთდება, რაც კვლავ

[60] ფული საქართველოში (2000). გვ. 50-51, 212; მონეტა: 76. იგივე სურათია ლაშა-გიორგის სპილენძის ორ დანარჩენ მონეტაზეც. იხილეთ მონეტები: 77 და 78.

[61] ფული საქართველოში (2000), გვ. 52-53, 216; მონეტა: 85.

[62] ფული საქართველოში (2000), გვ. 60-61; მონეტა: 103.

[63] ფული საქართველოში (2000), გვ. 63, 220; მონეტა: 111. იხილეთ ასევე მონეტა 112.

ქართული ქრისტიანობის ერთგვარ აქტივიზაციაზე მიანიშნებს. ამასთან, ეს რეალობა შეესაბამება კიდეც XIII საუკუნის მეორე ნახევარის პოლიტიკურ ვითარებას, როდესაც ქართული ჯარი მონღოლთა არმიაში ლამის რელიგიურ ომს აწარმოებდა მაამადიანთა წინააღმდეგ. 1281 წელს თბილისში მოჭრილი ვერცხლის დრამის შუბლზე მონღოლურად ამოტვიფრულია ილხან აბაღას სახელი. მონეტის ზურგზე გამოსახულია ჯვარი და გაკეთებულია არაბული ზედწერილი: *„სახელითა მამისა, ძისა, სულისა წმინდისა,ღმერთისა ერთისა“*[64]. ილხან აჰმედის ასევე თბილისში მოჭრილ (1284 წელს) ვერცხლის დრამის შუბლზე მონღოლურად წარწერილია აჰმედის სახელი, ხოლო ზურგზე გამოსახულია ეარსკვლავი და არაბულად ეკითხულობთ: *„სახელითა მამისა, ძისა, სულისა წმინდისა, ღმერთისა ერთისა“*[65]. დაკით მერვესთან მონეტის ორიგე ტიპს ვხვდებით. 1296/97 წლებში მოჭრილ ვერცხლის დრამის შუბლზე არაბულად წერია: *„ფადიშაჰი უზენაესი, სულტანი მაჰმუდი. ყაზან ყაენი. ხანგრძლივყოს ღმერთმა მეფობა მისი“*. ზურგზე ამოტვიფრულია ასევე არაბული ტექსტი: *„სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმინდისა, ღვთისა ერთისა“*[66]. ხოლო დაკით მერვის 1310 წლით დათარიღებულ სპილენძის მონეტის ზურგზე უკვე ქართულად ეკითხულობთ: *„გვრწამს მამაი, ძე და სული წმიდაი“*[67].

ზოგად მსოფლმხედველობრივ საკითხებს თავს თუ დავანებებთ, აქ განხილული ნუმიზმატიკური მასალა ნათლად უნდა გვიჩვენებდეს: მონეტებზე, რომელთაც სახელმწიფო სიმბოლიკის გამოსახატავად მნიშვნელოვანი დატვირთვა ეკისრებათ, ქრისტიანული მსოფლმხედველობის სრულ დომინანტობასთან გვაქვს საქმე. ქართველ მეფეთა პოზიცია, მიმართული საქართველოსა თუ ისლამური სამყაროსადმი, მუდამ ამოდის ქრისტიანული საფუძველიდან. აქვე შევეხები უკვე იმ მონეტებსაც, რომელთაც ჯვრიანი დროშის თემატიკისათვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ.

თავდაპირველად განვიხილოთ ქართულ-სასანური მონეტები. დღეისათვის არსებული მასალის საფუძველზე, VI საუკუნის ბოლოსკენ ქართულ მონეტაზე სპარსეთის მეფის მხარს ზემოთ ძლივს შესამჩნევი ჯვრის ნიშანი ჩნდება[68]. VI საუკუნის დასასრულის ერთ-ერთი მონეტის შუბლზე თუ მხოლოდ სპარსეთის მეფეა გამოხატული, მონეტის ზურგზე მოთავსებულ ცეცხლის საკურთხეველზე უკვე დიდი ჯვარია აღმართული[69]. ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, როგორც პოლიტიკურად, ასევე მსოფლმხედველობრივად უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენასთან გვაქვს საქმე. ეს ფაქტი, ერთის მხრივ, ქართველთა პოლიტიკური პრეტენზიების ნათელი გამოხატულებაა, მეორეს მხრივ კი მონეტებზე სხვადასხვა რელიგიების სიმბოლოთა, ამ შემთხვევაში ცეცხლის საკურთხეველის და ჯვარის, თანაარსებობის ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევაა ჩვენს წინაშე. სტეფანოზ პირველს მონეტის შუბლზე სპარსეთის მეფის გამოსახულების გარშემო ქართულად უკვე თავისი სახელი აქვს დაქარაგმებული, მონეტის ზურგზე ამოკვეთილ ცეცხლის საკურთხეველზე ისევ ჯვარია აღმართული[70]. სტეფანოზ მეორე თავის სახელს ქართული წარწერით უკვე დაქარაგმების გარეშე, სრულად ათავსებს მონეტის შუბლის ცენტრალურ ნაწილში. ხოლო მონეტის ზურგზე, ცეცხლის საკურთხეველზე უკვე ტრადიციულად აღმართულა ჯვარი[71]. სტეფანოზ პირველის მონეტები VI საუკუნის დასასრულით და მეშვიდე საუკუნის

---

[64] ფული საქართველოში (2000). გვ. 63. 222: მონეტა: 113.

[65] ფული საქართველოში (2000). გვ. 63. 222: მონეტა: 114. დაახლოებით მსგავსი შინაარსისაა ილხან ქეიღათუს (1291-1295) ვერცხლის დრამა. იხილეთ მონეტა 117.

[66] ფული საქართველოში (2000). გვ. 64. 224: მონეტა: 119. იხილეთ ასევე მონეტა 121.

[67] ფული საქართველოში (2000). გვ. 65. 224: მონეტა: 122.

[68] დავით კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი, 1969. გვ. 49.

[69] დავით კაპანაძე (1969). გვ. 49.

[70] დავით კაპანაძე (1969). გვ. 49. სტეფანოზ პირველის და სტეფანოზ მეორის მონეტებთან დაკავშირებით იხილეთ ასევე: ნუმიზმატიკური მასალები მცარეთმცოდნეობის მუზეუმების ექსპოზიციაში, შემდგენელი დავით კაპანაძე, თბილისი, 1956. იხილეთ ასევე: ე. ა. პაბიმოვი, საქართველოს მონეტები, ნაწილი I, მონღოლებამდელი პერიოდი, ს.-პეტერბურგი, 1910 (რუსულად). გვ. 28-29. მონეტა: 18. სტეფანოზ პირველის მონეტებზე იხილეთ ასევე: ფული საქართველოში (2000). გვ. 32-33, 204; მონეტა: 39, 40, 41.

[71] დავით კაპანაძე (1969). გვ. 49. პაბიმოვი (1910). გვ. 30-31: მონეტა: 19.

დასაწყისით უნდა თარიღდებოდეს. სტეფანოზ მეორის მონეტა განეკუთვნება VII საუკუნის პირველ ნახევარს. ბოლოს ჩვენი საკითხისათვის საინტერესოა მონეტა, რომელსაც რუსი მკვლევარი პახომოვი აკუთვნებს გვარამს და VI საუკუნის მიწურულით ათარიღებს[72]. ამ შემთხვევაშიც ცეცხლის საკურთხეველზე აღმართულია ჯვარი. ხოლო ჯვარის ზედა ორ მინდორში, მკვლევარის თანახმად, მოთავსებულია ორი ნახევარმთვარის მსგავსი საგანი.

ამდენად, ქართულ-სასანური მონეტები დროშის საკითხისთვისაც უაღრესად დიდი მნიშვნელობის არიან. მართალია, ეს მონეტები ვახტანგ გორგასალის მეფობის შემდგომი ხანით თარიღდება და მათზე ხუთჯვრიანი კომპოზიცია გამოსახული არ არის. მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც დაახლოებით გორგასალის ეპოქასთან გვაქვს საქმე. ამასთან, თავისთავად უდიდესი დატვირთვა აქვს მონეტაზე VI საუკუნის ბოლოს (სამწუხაროდ, იმ მასალიდან, რაც დღეისათვის შემორჩა) ჯვარის დაფიქსირების ფაქტს. როდესაც ამავე ეპოქის საეკლესიო გამოსახულებები, ბუნებრივია, უხვად გეთავაზობენ ჯვრებს, იგივე დროშის საკითხისათვის ამ ფაქტს კარდინალური მნიშვნელობა ვერ ექნება. რადგან საეკლესიო ხელოვნების ნიმუშები, ცხადია, არ არის აუცილებელი, სახელმწიფო სიმბოლიკას თანხვდებოდნენ. მაგრამ როდესაც საერო მონეტაზე ფიქსირდება, ისიც მრავალჯერ, ცენტრალურ ადგილას, რელიგიური სიმბოლო, ჯვარი, დანამდვილებით შეიძლება ითქვას: ერთის მხრივ, ეს გარემოება ადასტურებს, რომ აღნიშნული ეპოქის საქართველოს საერო-პოლიტიკური იდეოლოგია ემყარება მთლიანად ქრისტიანობას. მეორეს მხრივ კი აღარაფერი გასაკვირი არ არის, იგივე სახელმწიფო დროშაზე ჯვარი, ან თუნდაც სხვა ჯვარი ყოფილიყო გამოხატული. ამ კუთხით შესაძლოა საინტერესო იყოს VI საუკუნის ზემოთ დასახელებული მონეტა, რომელზეც ჯვრის ორ ზედა მინდორში ორი ნახევარმთვარის მსგავსი საგანია მოთავსებული. მართალია, აქ ხუთ ჯვარზე ლაპარაკი არ არის, მაგრამ მნიშვნელოვანია თვითონ ფაქტი: საერო მონეტაზე მოთავსებული ჯვარის ორ მინდორში გარკვეული გამოსახულებების დატანის.

შემდეგი მონეტა, რომელზეც აქ მოკლედ ვისაუბრებ, დავით კურაპალატს ეკუთვნის. ამ სერიიდან სულ რამდენიმე მონეტაა შემორჩენილი. მონეტის შუბლზე გაკეთებულია წერტილოვანი რკალით შემოვლებული ორსტრიქონიანი ქართული ზედწერილი, რომელიც ქარაგმების გახსნის შემდეგ ამგვარად იკითხება: *„ქრისტე, შეიწყალე დავით“*. მონეტის ზურგზე ეხედავთ ოთხსაფეხურიან კვარცხლბეკს (თუ გოლგოთის საკურთხეველს?). კვარცხლბეკზე აღმართულია ჯვარი, რომლის თითოეულ მინდორში, ტოტებს შორის მოთავსებულია დავითის ტიტულის აღმნიშვნელი მთავრული ასოები. აღნიშნული ასოებით შემოკლებულადაა გადმოცემული ტერმინი „კურაპალატი“. ეს ბიზანტიური ტიტული მონეტის შუბლის ზედწერილის გაგრძელებას წარმოადგენს[73].

დავით კურაპალატის მონეტაზე ხუთი ჯვარი არ არის გამოხატული. მაგრამ ჯვრის ოთხ მინდორში თითო-თითო გამოსახულება, ამ შემთხვევაში კონკრეტული ასოა მოთავსებული. შესაბამისად, ვღებულობთ იერუსალიმის ჯვრის მეტად მსგავს კომპოზიციას. ამასთან, ეს კომპოზიცია თარიღდება დავით აღმაშენებელის ეპოქამდე გაცილებით ადრეული ხანით, X საუკუნით. იერუსალიმის ჯვრის ტიპის კონფიგურაცია დაფიქსირებულია სახელმწიფო მონეტაზე, რომელზეც დაიტანება ხოლმე ქვეყნის იდეოლოგიის თუ სიმბოლიკის უმთავრესი გამოვლინებანი.

დავით აღმაშენებელის მმართველობის ადრეულ ხანას უნდა განეკუთვნებოდეს მონეტა, რომლის შუბლზეც მოცემულია ელაქერნის ღვთისმშობელის გამოსახულება. მონეტის ზურგზე, ცენტრში დატანილია წრე. წრეში ჩასმულია ერთი ჯვარი. წრე შემოვლებულია წერტილოვანი რკალით და ჯვარიც წერტილებითვე არის მორთული. წრის ირგვლივ ქართული ზედწერილის მხოლოდ ნაწილია შერჩენილი *„ქრისტე, ადიდე*

---

[72] *პახომოვი* (1910), გვ. 26-27; მონეტა: 16.

[73] დავით *კაპანაძე* (1969), გვ. 62; მონეტა: 47. იხილეთ აგრეთვე: ნუმიზმატიკური მასალები მხარეთმცოდნეობის მუზეუმების ექსპოზიციაში (1956), გვ. 45. *პახომოვი* (1910), გვ. 55, მონეტა: 35, 36. ფული საქართველოში (2000), გვ. 38-39, 206; მონეტა: 48.

დავით მეფე და სეფასტიანი"[14]. ამ შემოხვევაშიც მნიშვნელოვანია: დავით აღმაშენებლის მონეტის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია დიდი ჯვარი. აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით, ზემოთაც ითქვა, ნამდვილად არ არის განსაცვიფრებელი, სახელმწიფო სიმბოლიკის სხვა გამომხატველ ერთეულს, დროშაზე, ჯვარი ან ხუთი ჯვარი ყოფილიყო გამოსახული.

უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს ამ შემთხვევაში დავით აღმაშენებელის მეორე, ბრიტანეთის მუზეუმში დაცული სპილენძის მონეტა. ეს მონეტა ერთადერთი ეგზემპლარია აღმოჩენილი და ეს ფაქტიც ნათლად გვიდასტურებს, ჯერ კიდევ რამდენი რამ არის მოსაძიებელი თუ საპოვნი საქართველოს სიძველეთაგან. მონეტა თარიღდება 1123-1125 წლებით. მონეტის შუბლზე გამოსახულია პირდაპირ მდგომი, სამეფო სამოსელში გამოწყობილი პირი, რომლის გვერდით გაკეთებულია დაქარაგმებული ასომთავრული წარწერა: *„დავით მეფე"*. დავით მეფეს ერთ ხელში უჭირავს ჯვარით დაბოლოებული ლაბარეში, მეორეში – სფერო, რომელსაც ასევე ჯვარი ადგას თავზე. მეფე დავითის გვირგვინზეც ჯვარია გაკეთებული. მონეტის ზურგზე წრის გარშემო გაკეთებულია წარწერა: *„ქრისტე! დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა*[15]". წრის შიგნით ჩახატულია ერთი ფართო ჯვარი. ფართო ჯვარში მოთავსებულია მეორე უფრო მცირე ჯვარი, რომელსაც ოთხივე მხარეს ბოლოები უფართოვდება. ოთხივე ბოლოს შემდეგ კი ფართო ჯვარშივე ჩასმულია თითო წერტილი. საკმარისია ოდნავ შეეცვალოთ წერტილების კონფიგურაცია და მივიღებთ იერუსალიმის ჯვარის მსგავს კომპოზიციას. ეს ფაქტი მით უფრო მნიშვნელოვანი ჩანს, რომ ამგვარი ჯვარი, ოთხ მინდორში მოთავსებული თითო წერტილით, ფიქსირდება თამარ მეფესთან, ვახტანგ მესამესთან და პიერრო ეესკონტეს 1320 წლის პორტოლანზე ეს კომპოზიცია საქართველოს დროშად არის დასახული. ამდენად, თავისთავად საგულისხმო მოვლენაა დავით აღმაშენებელის მონეტებზე ჯვრების გამოჩენა. გარდა ამისა, ერთი ჯვარი შეიძლება იერუსალიმის ჯვარის მსგავს კომპოზიციადაც დაისახოს. ამგვარივე დიდ ჯვარში ჩახატული მცირე ჯვარი ფიქსირდება ბოჭორმის ეკლესიაშიც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, დიდ ხუთჯვრიან კომპოზიციაში. კიდევ ერთხელ გაუსვამ ხაზს: ჯვრები დავით აღმაშენებელთანაც ჩნდება სახელმწიფო მონეტებზე, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

გიორგი მესამის მომდევნო ორი მონეტის შუბლზე გამოსახულია მეფე შევარდენით მარცხენა ხელზე. მეფეს თავზე უკეთია, ან მეფის თავს ზემოთ ამოტვიფრულია ჯვარი. მონეტების ზურგზე გაკეთებულია ტრადიციული არაბული წარწერა: *„მეფე მეფეთა გიორგი, ძე დემეტრესი, მესიის მახვილი*"[16].

გიორგი მესამის შემდეგ განვიხილოთ თამარის მონეტები. თამარის ერთ-ერთ მონეტის შუბლზე გაკეთებულია ქართული ზედწერილი: თამარ, დავით. წარწერის ზემოთ გამოსახულია ჯვარი[17]. ამ შემთხვევაშიც ყურადსაღები უნდა იყოს სახელმწიფო მონეტაზე ჯვარის გამოჩენის ფაქტი.

1200 წლით დათარიღებული თამარის მონეტის ცენტრში მოთავსებულია ამოუცნობი ნიშანი. ყოველ შემთხვევაში, ჩემს ხელთ არსებული ლიტერატურის საფუძველზე, ამ გამოსახულების დამაჯერებელი ახსნა ვერ ვნახე. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ამ ნიშანის მარცხნივ და მარჯვნივ ასომთავრულად დაქარაგმებულია თამარის და დავითის სახელები. ხოლო კუთხეებში ასომთავრულად გადმოცემულია ქრონონიკონი 420, რომელიც 1200 წელს უდრის. მონეტის ზურგზე ეკითხულობთ კარგად ნაცნობ არაბულ წარწერას: *„ღვთიფალი ღვთიფალთა, შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა. თამარი, ასული გიორგისა,*

[14] ფული საქართველოში (2000), გვ. 40-41, 208; მონეტა: 56. იხილეთ ასევე: დავით *კაპანაძე* (1969), გვ. 65; მონეტა: 52. *პაპუმოეი* (1910), გვ. 78; მონეტა: 82.

[15] დავით *კაპანაძე* (1969), გვ. 66; მონეტა: 54. ფული საქართველოში (2000), გვ. 40-41, 208; მონეტა: 57.

[16] ფული საქართველოში (2000), გვ. 46-47, 210; მონეტა: 67, 68.

[17] ფული საქართველოში (2000), გვ. 48-49, 212; მონეტა: 74.

მესიის თაყვანისმცემელი[78]".

მონეტის შუბლის ცენტრში გამოსახული ნიშნის მარცხნივ მოთავსებული ასომთავრული „ქანი" მართლაც უნდა აღნიშნავდეს ქორონიკონის პირველ ასოს. მაგრამ, იმავე დროს, „ქანის" ოთხიე მინდორში მოთავსებულია ოთხი წერტილი, რაც მხოლოდ ასომთავრულის ასო „ქანს" არაფერში არ სჭირდება. ამასთან, „ქანი" თავისი ოთხი წერტილით აშკარად დამოუკიდებელ კომპოზიცია არის მოაზრებული, იმგვარად გაუტანიათ ის მონეტაზე. შესაბამისად, „ქანს" ამ შემთხვევაში დამატებითი დატვირთვაც უნდა ჰქონდეს. ის საკარაუდოდ აღნიშნავს ქრისტეს და იძლევა იერუსალიმის ჯვარის კომპოზიციას (ეს ორი უკანასკნელი მნიშვნელობა ალბათ ერთმანეთის იდენტურია). რადგან ამგვარი კონფიგურაცია იმდენად არის ცნობილი ქრისტიანულ სამყაროში, შეუძლებელია ასეთი მსგავსება შემთხვევითი იყოს, ისიც სახელმწიფო მონეტაზე. აქ რომ შემთხვევითობასთან არ გვაქვს საქმე, დასტურდება დანარჩენი ნუმიზმატური მონაცემებითაც. როგორც ითქვა, იერუსალიმის ჯვარის მსგავსი კონფიგურაცია გამოსახულია უკვე დავით კურაპალატის მონეტაზე. ვახტანგ მესამის და ანონიმურ ქართულ-პულაგუიდურ მონეტაზე კი ჯვარი მინდვრებში ოთხი წერტილით ან ვარსკვლავით პირდაპირ მონეტის ცენტრალურ ადგილისაა გატანილი. თან ამ მონეტებზე ჯვარის გამოხატულებას „ქანის" მნიშვნელობა აღარ აქვს. პიეტრო ვესკონტეს 1320 წლის პორტოლანზეც მსგავსი კონფიგურაციის იერუსალიმის ჯვარი დასახულია საქართველოს დროშად.

ლაშა-გიორგის 1210 წლის მონეტაზეც ცენტრალურ ნაწილში ეხედებით ჯვარს. მონეტის შუბლზე მთელი ტანით პირდაპირ დგას გეორგეინოსანი მეფე დროშით მარჯვენა ხელში (ეს ერთი საინტერესო საბუთი ამ ეპოქაში დროშის დაფიქსირების. დროშაზე თითქოს არაფერი არ ჩანს გამოსახული). მეფის ფიგურის მარცხნივ და მარჯვნივ შერჩენილია რამდენიმე ასომთავრული ნიშანი, რომელიც ასე იკითხება: *„გიორგი ძე თამარისა* [...] *ოცდა ათს*" (ქორონიკონსა 430 = 1210 წელს). მონეტის ზურგის მთელი ფართობი "ტაბია ყვავილოვან ჯვარს. ჯვარის ოთხ ფურცელში მოთავსებულია არაბული წარწერა: *„წელსა ექვსას ექვსსა*" (= 1209/1210). ჯვარის მკლავებს შორის მინდვრებში მეორე არაბული ზედწერილია: *„მეფეთა მეფე გიორგი, ძე თამარისა, მახვილი მესიისა*". ირგვლივ გაკეთებულია რკალი[79].

ფაქტიურად ლაშა-გიორგის ამ მონეტაზე ქრისტიანული სიმბოლოს, ჯვარის და არაბული ენის, ისლამის ენის საშუალებით კეთდება იერუსალიმის ჯვარის კომპოზიციის იმიტაცია. რადგან ჯვარის ოთხივე მინდორში მოთავსებულია არაბული წარწერები. მსოფლმხედველობრივად ეს მოვლენა, ქრისტიანული და ისლამური ელემენტების სინთეზის თვალსაზრისით, კვლავ ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია რელიგიური სამყაროების თანაარსებობისა. მიუხედავად იმისა, რომ ეს სინთეზი ქრისტიანობის საფუძველზე ხდება, ისლამური სამყარო შემოყავთ ქრისტიანობის ერთგვარ დაქვემდებარებაში და ისლამურ სამყაროს თავისივე ენაზე აცნობებენ: ქრისტიანთა მეფეთ-მეფე მესიის მახვილია, მესიის მახვილი კი მხოლოდ არაქრისტიანთა წინააღმდეგ შეიძლება იყოს მიმართული. გარდა ამისა, კიდევ ერთ ქართულ, ცენტრალური მნიშვნელობის მქონე მონეტაზე ჩნდება იერუსალიმის ჯვარის მსგავსი კომპოზიცია. სხვათა შორის, ძალიან ხშირად ქართულ მონეტებზე ერთი ჯვარიც და ხუთფიგურიანი კონფიგურაციაც ჩასმული არის ხოლმე რკალში, როგორც ამ შემთხვევაშიც.

რუსუდანის 1230 წლის ვერცხლის დრამაზე, მონეტის შუბლზე მოცემულია ქრისტეს

---

[78] დავით *კაპანაძე* (1969). გვ. 76: მონეტა: 69. *ახობოვი* (1910). გვ. 103: მონეტები: 132-135. ფული საქართველოში (2000). გვ. 48–49: მონეტა: 72. თამარის მონეტის შესახებ, რომელზეც იერუსალიმის ჯვარის ტიპის კომპოზიციაა დაფიქსირებული, ინფორმაცია მომაწოდა მხატვარმა, ბ-ნმა ვახტანგ რურუამ, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი მას.

[79] დავით *კაპანაძე* (1969). გვ. 78-79; მონეტა: 75. ნუმიზმატიკური მასალები მხარეთმცოდნეობის მუზეუმების ექსპოზიციაში (1956). გვ. 45. ფული საქართველოში (2000). გვ. 50-51; მონეტა: 79.

შარავანდედიანი გამოსახულება. შარავანდედის შიგნით ქრისტეს თავის უკან, კეთდება ჯვარი. შარაეანდედის ირგვლივ ვხედავთ რკალს, რომლის გარეთ განლაგებულია ასომთავრული ზედწერილი: *„სახელითა ღუთისაითა იქმედა ქორონიკონსა 450“* (= 1230). მონეტის ზურგზე მოთავსებულ წრეში ჩანს რუსუდანის დაქარაგმებული სახელი „რ-ს-ნ“ (ასომთავრულით). დიდი წრის გარშემო ეხედავთ უკვე კარგად ნაცნობ არაბულ ზედწერილს: *„დიდოფალი დიდოფალთა, შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, რუსუდან ასული თამარისა. მეფის თაყვანისმცემელი“*[80].

მონეტის ზურგზე ამოტვიფრულ წრეში ჩახატულია უფრო მცირე წრე. ეს უკანასკნელი ოთხ მხარეს ბოლოვდება ოთხი პატარა წრით. ფაქტიურად ვღებულობთ ჯვარის გამოსახულებას. წრის გარშემო, ამ წრიული ჯვარის ოთხ მინდორში კი ჩასმულია ოთხი ეარსკვლავი, რითაც კვლავ უნდა კეთდებოდეს იერუსალიმის ჯვარის გარკვეული იმიტაცია. ვახტანგ მესამის მონეტაზე ამგვარი ოთხი ეარსკვლავი უკვე ჩვეულებრივი ჯვარის გარშემო არსებულ სეგმენტებშია დატანილი. სახელმწიფო მონეტებზე, რომლებზეც ეროვნული სიმბოლიკაც უნდა ჩნდებოდეს ხშირად, იერუსალიმის ჯვარის ამგვარი სხვადასხვა კონფიგურაციებით გამოჩენას შემთხვევითობას ნამდვილად ვერ მივაწერთ.

ზემოთაც ეახსენეთ, რომ ქართულ-ჰულაგუიდურ მონეტებზე ჯვარი ხშირად არის გამოსახული. ვიდრე უშუალოდ ვახტანგ მესამის მონეტებს შევეხებოდეთ, მაგალითისათვის მოვიტან ორ ქართულ-ჰულაგუიდურ მონეტას. ილხან არღუნისა და მისი შვილის 1286/87 წლებით დათარიღებულ ვერცხლის დრამის შუბლზე მონღოლურად წერია *„არღუნი“*, ხოლო არაბულად *„ყაზანი“*. მონეტის ზურგზე გაკეთებულია არაბული წარწერა: *„სახელითა მამისა, ძისა, სულისა წმინდისა, ღმერთისა ერთისა“*[81]. არაბული წარწერის შუაში მოთავსებულია ერთი ჯვარი. აღნიშნულ მონეტაზე, როგორც დანარჩენ ქართულ-ჰულაგუიდურ მონეტებზე, კარგად ჩანს ილხანთა ირანის და ქრისტიანული საქართველოს ინტერესების სინთეზი. დაშვებულია მონღოლთა პრიმატი, რაც გამოიხატება მონღოლი ილხანების სახელთა დატანაში მონეტის შუბლზე. მონეტის ზურგზე, თუ შეიძლება ასე ითქვას, ასპარეზი მთლიანად ქართველებს რჩებათ. არაბულ ენაზე განადიდებენ სამებას და გამოხატავენ ჯვარს. მონეტებზეც გვაქვს დაახლოებით იმგვარი სურათი, რაც ქრონიკებში, დასავლეთევროპულ და აღმოსაელურ ცნობებში, პორტოლანებზე. მძლავრი ქრისტიანი ქართველები, მონღოლთა პოლიტიკური პრიმატის დაშვებით, აწარმოებენ ლამის რელიგიურ ომს მამადიანთა წინააღმდეგ.

მსგავსი სურათია მეორე ქართულ-ჰულაგუიდურ ვერცხლის დრამაზეც, რომელიც ილხან ბაიდუს ეკუთვნის და 1294-95 წლებით თარიღდება. მონეტის შუბლზე მონღოლურად და არაბულად გაკეთებულია ზედწერილი: *„ბაიდუ“*. ვერცხლის დრამის შუბლზე არაბულად ვკითხულობთ: *„სახელითა მამისა, ძისა, სულისა წმინდისა, ღმერთისა ერთისა“*[82]. არაბული წარწერის ცენტრში მოთავსებულია ჯვარი.

ვახტანგ მესამე ჭრის ვერცხლისა და სპილენძის მონეტებს. ვახტანგის ვერცხლის დრამები ქართულ-ჰულაგუიდური დრამის მსგავსად იჭრება, თუმცა მათ შორის გარკვეული განსხვავებანიც არის. ვახტანგ მესამის ჩვენთვის საინტერესო პირველი დრამის შუბლზე გაკეთებულია მონღოლური ოთხსტრიქონიანი ზედწერილი: *„დიდი ხაყანის ნაცვლის ყაზანის სახელით ნაჭედი“*. მონეტის ზურგზე, ცენტრში დატანილია წრე, რომელშიც დიდი ჯვარია ჩასმული. ჯვარისა და წრის ირგვლივ არაბულად ამოტვიფრულია: *„სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმინდისა, ღვთისა ერთისა“*. ასევე მოცემულია ასომთავრული ნიშნების ორი მონოგრამა, რაც შემდეგნაირად იკითხება: *„მეფე ვახტანგ“*. ჩარჩოს გარეგან სეგმენტებში არაბულად ამოკვეთილია თარიღი: *„იქედა წელსა 698“* (= 1298/1299) და გამოშვების რომელიმე ერთ-ერთი თვე[83].

---

[80] დავით კაპანაძე (1969), გვ. 82; მონეტა: 82.
[81] ფული საქართველოში (2000), გვ. 64, 222; მონეტა: 116.
[82] ფული საქართველოში (2000), გვ. 64, 222; მონეტა: 118.
[83] დავით კაპანაძე (1969), გვ. 99; მონეტა: 111. ფული საქართველოში (2000), გვ. 65, 224; მონეტა: 123.

ვახტანგ მესამის ეს მონეტაც თეალნათლივ გამოხატავს იმ სულის,კვეთებას, რომელზეც ცოტა ხნის წინ გვქონდა საუბარი. როდესაც ქართველთა სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობა ისლამის წინააღმდეგ ფართომასშტაბიან ბრძოლას აწარმოებს, ოღონდ ირანის ილხანთა სახელმწიფოს პრიმატის აღიარებით. ფაქტიურად შუა საუკუნეთა ქართული მონეტების უმრავლეს ნაწილზე ვხვდებით ჯვრის ნიშანს, არცთუ იშვიათად იერუსალიმის ჯვარის მსგავს კომპოზიციასაც. რაკი მოსალოდნელია მონეტებზე გარკვეულ სახელმწიფო სიმბოლიკას ვხვდებოდეთ, და რაკი მონეტათა დიდ უმრავლესობაზე ქრისტიანულ ნიშნებს ძირითადად წარმოადგენს მხოლოდ ჯვარი, შეიძლება ეიფიქროთ: ჯვარის ნიშანი ნამდვილად უნდა ყოფილიყო სახელმწიფო სიმბოლიკის შემადგენელი ნაწილი. აქედან გამომდინარე კი, დასავლეთევროპულ პორტოლანებზე ხუთჯვრიანი დროშის საქართველოსთან გამოჩენა საესებით ლოგიკური გამოდის.

დროშის საკითხისათვის განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ვახტანგ მესამის მომდევნო ორ მონეტას. ამ მონეტების შინაარსი ერთმანეთის იდენტურია, მაგრამ ისინი სხვადასხვა წელს არიან მოჭრილნი. პირველი თარიღდება 1297/98, ხოლო მეორე 1299/1300 წლებით.

1297/98 წლის მონეტა არის ვერცხლის დრამა. მონეტის შუბლზე გაკეთებულია მონღოლური სედწერილი: *„დიდი ხაყანის ნაცვლის ყაზანის სახელით ნაჭედი"*. მონეტის ზურგზე არაბულად ამოკვეთილია: *„სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმინდისა,ღვთისა ერთისა. იჭედა 697* [1297/1298] *წელს"*. გაკეთებულია ასევე ქართული წარწერა: *„ვახტანგ მეფე"* (მონეტა)[84]. მონეტის ზურგზე, ცენტრში, ჩახატულია წრე. წრეში მოთავსებულია ჯვარი. სიფლო ჯვრის ოთხ მინდორში განლაგებულია ოთხი ვარსკვლავი. ისლამური სამყაროსათვის არაბულ ენაზე ქრისტიანული ნაკადის გადატანის მსოფლმხედველობრივ ელემენტს თვე თავს დავანებებთ, ამ შემთხვევაშიც ქართულ სახელმწიფო მონეტაზე პირდაპირ ფიქსირდება იერუსალიმის ჯვარის მეტად მსგავსი კომპოზიცია. ამასთან, სულ რაღაც 22/23 წლის მერე პეტრო ვესკონტეს თავის შაავი ზღვის პორტოლანზე ვახტანგ მესამის მონეტებზე აღბეჭდილი კონფიგურაციის თითქმის სრულიად მსგავსი გამოსახულება აქვს საქართველოს დროშად დასახული. ამასთან ქართული ხუთჯვრიანი დროშა ანუვინო დულჩერტის პორტოლანზე და 1375 წლის კატალანურ ატლასზე დაკავშირებულია სპარსეთის ილხანთა სახელმწიფოს დროშასთან. ამდენად, ქართული მონეტები ამ მხრივაც სრულ იდენტურობას ამყარებენ დასავლეთევროპული პორტოლანების მასალასთან. ქართულ მონეტებზეც იერუსალიმის ჯვარი გადაბმულია ილხანთა სახელმწიფოს სიმბოლიკას. როგორც ითქვა, იგივე ვითარებაა ამავე ეპოქის დასავლეთევროპულ და აღმოსავლურ ცნობებშიც, როდესაც მძლავრი ქრისტიანი ქართველები სპარსეთის ილხანთა სახელმწიფოსთან ერთად ებრძვიან მაჰმადიანებს. შესაბამისად, ყველაფრიდან ნათელი უნდა იყოს, რომ დასავლეთევროპული პორტოლანების ცნობები შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო დროშაზე ემყარება აბსოლუტურად რეალურ მონაცემებს.

ვახტანგ მესამის მეორე მსგავსი მონეტა, როგორც ითქვა, პირველისაგან ბევრით არაფრით განსხვავდება. ეს ვერცხლის დრამა თარიღდება 1299/1300 წლებით (699 პიჯრით). ამ მონეტის ზურგზეც, ცენტრში, მოთავსებულია წრე, ხოლო წრეში ჩასმულია ჯვარი. ჯვრის ტოტებს შორის ჩასმულია ოთხი მცირე ვარსკვლავი ან წერტილი. ვახტანგ მესამის დრამების ზურგის სეგმენტებში თარიღთან ერთად არაბული წარწერაცაა: *„იჭედა თბილისს"*[85]. ვახტანგ მესამის ეს მონეტა რაკი 1299/1300 წლით თარიღდება, ძალაუნებურად გვახსენდება, რომ 1300 წელს ვახტანგ მეფემ მონღოლებთან ერთად იერუსალიმი აიღო და ერთი წლის განმავლობაში ინარჩუნებდა ქალაქს. თუმცა ვახტანგ მესამის მონეტაზე იერუსალიმის ჯვარის ტიპის კომპოზიციის გამოჩენა ამ მოვლენის შედეგი არ უნდა იყოს. რადგან, როგორც ვნახეთ, იერუსალიმის ჯვარის მსგავსი გამოსახულება ფიქსირდება

[84] ფული საქართველოში (2000). გვ. 64, 220; მონეტა: 120.
[85] დაკი *კაპანაძე* (1969). გვ. 99; მონეტა: 112.

ვახტანგ მესამის 1297/98 წლების მონეტაზეც. გარდა ამისა, იერუსალიმის ჯვარის მსგავსი გამოსახულება დატანილია დავით კურაპალატის, თამარის, შუსაძლოა დავით აღმაშენებელის, ლაშა-გიორგის და რუსუდანის მონეტებზეც.

ამ ეპოქის ნუმიზმატიკური ძეგლების მიხედვით, XIII-XIV საუკუნეების მიჯნიდან გარკვეულ ხანს, მაგალითად, ახალციხეში, ანისში, ალბათ დმანისშიც საკუთარ მონეტებს ჭრიდნენ. ქართულ-სელაგუიდური დრამები და ამავე ყაიდის სპილენძის ფულსები განსაკუთრებით ერცელდება XIII საუკუნის ბოლო ოც წელიწადში. დაახლოებით ამ დროს ჭრიან ქართულ პროვინციებში ქართულ-სელაგუიდური დრამების და ფულსების ტიპის მონეტებს. აღნიშნული მონეტების მოჭრის ადგილი საბოლოოდ დადგენილი არ გახლავთ. თუმცა პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, მათ ახალციხეში ჭრიდნენ, ანისში თუ დმანისში. დროებით საქართველოსგან გამოყოფილი ცალკეული სამთავროებიდან საქართველოს მეფის ფორმალურ უზენაესობას ყველა აღიარებდა (მათ შორის ჩრდილოეთ სომხეთიც). შესაბამისად, მონეტებსაც ქართული სახელმწიფო ფულის მსგავსად ჭრიდნენ და ასეთ სამთავროებში თუ მხარეებში გამოშვებული მონეტებიც, ბუნებრივია, ქართულ ნუმიზმატიკურ მემკვიდრეობას წარმოადგენს[66].

აღნიშნული ყაიდის ფულიდან აქ შევეხები მხოლოდ ერთ მონეტას. მონეტის შუბლი პირდაპირ იმეორებს ვახტანგ მესამის დრამებსა და ფულსებს. ოღონდ რკალის გარშემო დატანილი ზედწერილი ძალიან დამახინჯებულია. მონეტის თარიღი არ იკითხება. სავარაუდოდ XIV საუკუნის დასაწყისს უნდა განეკუთვნებოდეს. მონეტის ზურგზე ვხედავთ მარჯვნივ მიმართულ ლომს, სხივოსანი მზის გამოსახულებით[67]. რიგორც ვხედავთ, მონეტის შუბლზე დატანილია იერუსალიმის ჯვარის ტიპის გამოსახულება, რომელიც მონეტის ავტორს ვახტანგ მესამის ფულიდან გადაუღია. აქ ცალკეული სამთავროს მიერ სახელმწიფო სიმბოლიკის ერთგვარ გადატანასთან გვაქვს საქმე. ეს მონეტა შესაძლოა ზუსტად იმ დროისაც იყოს, როდესაც პეტრო ეესკონტემ (1320 წელს) თავის პორტოლანზე საქართველოს დროშად ფაქტიურად ამ მონეტაზე მოცემული კომპოზიციის იდენტური გამოსახულება დასახა.

ბოლოს მოვიტან ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი მერეის (1446-1466) ვერცხლის მონეტას, სადაც აგრეთვე ჯვარია გამოსახული. მონეტის შუბლზე ქართული წარწერაა: *„მეფე მეფეთა, მონა ღვთისა გიორგ"*. მონეტის ზურგზე გამოხატულია ჯვარი[68]. ის პგავს დავით აღმაშენებელის მონეტაზე და ბოჭორმის ეკლესიაში დაფიქსირებულ ჯვრებს. როდესაც ერთ ფართო ჯვარში მეორე, შედარებით მცირე ჯვარია მოთავსებული.

ნუმიზმატიკური მასალის ანალიზის შედეგებს თუ შეეჯამებთ, დაახლოებით ამგვარ შედეგებს ვიღებთ: ქართული მონეტებიც, დაწყებული ადრეული შუა საუკუნეებიდან, მთლიანად ემყარება ქრისტიანული მსოფლმხედველობას. ქართულ მონეტებზე აგრეთვე ასახვას პოულობს სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობის ელემენტები. შესაბამისად, მონეტებზე გარკვეულწილად ჩნდება სახელმწიფო იდეოლოგიის პრინციპები. მეტად საყურადღებოა, მონეტებზე სახელმწიფო იდეოლოგიის გარკვეულ ელემენტებთან ერთად, ასევე ასახულიყო სახელმწიფო სიმბოლიკის ზოგიერთი დეტალი. მთავარი ქრისტიანული ნიშანი, რომელსაც მონეტათა უმრავლესობაზე ვხედებით და რომელიც სხვადასხვა პერიოდის მონეტებს ერთგვარად აერთიანებს, გახლავთ ჯვარი. ჯვარი დღეისათვის გადარჩენილ მონეტებზე ცენტრალურ ადგილას ფიქსირდება უკვე VI საუკუნის დასასრულიდან. იერუსალიმის ჯვარის მეტად მსგავსი კომპოზიცია კი დატანილია დავით კურაპალატის, თამარის, ვახტანგ მესამის, XIV საუკუნის დასაწყისის ანონიმურ

[66] დავით კაპანაძე (1969). გვ. 101.
[67] დავით კაპანაძე (1969). გვ. 101; მონეტა: 116.
[68] ფული საქართველოში (2000). გვ. 78, 234; მონეტა: 167.



1

2

3

4



5



6



8



7

9

10

11

12

13

14


15

16

17

18

19

20

21

22

23

მონეტებზე. შესაძლოა იერუსალიმის ჯვარის ნაირი კონფიგურაცია აგრეთვე მოცემული იყოს VI საუკუნის დასასრულის ანონიმურ, დავით აღმაშენებელის, ლაშა-გიორგის, რუსუდანის მონეტებზე. ამასთან, როგორც ითქვა, ქრისტიანული იდეოლოგიის, ჯვარის და იერუსალიმის ჯვარის მსგავსი კომპოზიციის მონეტებზე გამოჩენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. რადგან მონეტებზე აისახება სახელმწიფო იდეოლოგია და საკარაუდოდ სიმბოლიკაც. ქრისტიანული ელემენტები კი ქართულ მონეტებს უწყვეტ ნაკადად გასდევს ადრეული შუა საუკუნეებიდან იმ ეპოქამდე, როდესაც დასავლეთევროპულ პორტოლანებზე საქართველოს სახელმწიფო დროშად ისახება ხუთჯვრიანი ალამი. შესაბამისად, ქართული მონეტები სრულ საფუძველს იძლევიან საიმისოდ, რათა უკვე მეხუთე საუკუნეში ქართულ სახელმწიფო დროშაზე გამოსახული ყოფილიყო ჯვარი ან თუნდაც ხუთი ჯვარი.

*

სახელმწიფო დროშასთან დაკავშირებული ქართული მონაცემების ანალიზის ბოლოს მოკლედ შევეხები საეკლესიო მასალას. ქართულ ეკლესიებში დაფიქსირებულ გამოსახულებებს, ბუნებრივია, სახელმწიფო სიმბოლიკის დადგენისათვის გადამწყვეტი და პრინციპული მნიშვნელობა ვერ ექნება. რადგან ამ შემთხვევაში მაინც წმინდა რელიგიურ სიმბოლიკასთან გვაქვს საქმე. თუმცა, როგორც ზემოთ დავინახეთ, რელიგიური, ქრისტიანული მსოფლმხედველობა იმდენად განსაზღვრავს შუა საუკუნეთა საქართველოს სახელმწიფო იდეოლოგიას, რომ სახელმწიფო სიმბოლიკის დადგენის საქმეში გარკვეული დახმარების გაწევა საეკლესიო სფეროში არსებულ გამოსახულებებსაც შეუძლიათ. ჩვენთვის ინტერესოა ერთი ფაქტი: საქართველოს დროშაზე დატანილი იყო ხუთი ჯვარი. ამ ცნობას გვაწვდიან ევროპული პორტოლანები. ფაქტიურად ეს გახლავთ ერთადერთი ვიზუალური წყარო შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო დროშის გამოსახულების შესახებ. ზემოთაც დავრწმუნდით, ამ ინფორმაციას მთლიანად ზურგს უმაგრებს ქართული ქრონიკების და ნუმიზმატიკური მასალის ანალიზი. ასევე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მოსაზრება უფრო მყარდება საეკლესიო მასალის განხილვის შემდეგ.

ქართულ დროშაზე გამართული კამათისას ხშირად გავიგონებთ ხოლმე: ხუთჯვრიანი კომპოზიცია საქართველოში არ ფიქსირდება. ეს მოსაზრება არ უნდა იყოს გამართლებული. ნუმიზმატიკურმა მასალამაც გვანახა, რომ იერუსალიმის ჯვარის, ან იერუსალიმის ჯვარის მეტად მსგავსი კომპოზიცია დასტურდება ქართული მონეტებით რამდენიმე საუკუნის მანძილზე. დაახლოებით მსგავსი ვითარებაა, საეკლესიო სფეროს სურათსაც თუ ავიღებთ. ამასთან, აქ ერთი ფაქტიც უნდა აღინიშნოს. მოვიტან მხოლოდ ცალკეულ მაგალითებს ხუთფიგურიან კომპოზიციასთან დაკავშირებით. ჩემი დაკვირვებით, ამ კუთხით უფრო გულდასმით მუშაობის შემდეგ (რის საშუალებაც, სამწუხაროდ, დროის განსაკუთრებული სიმცირის გამო ჩვენ აღარ გექონდა), უფრო მეტი მასალა უნდა გამომზეურდეს. ამ შემთხვევაში ასევე არ ვეხები ერთჯვრიან გამოსახულებებს, რომელთაც, ცხადია, აურაცხელი რაოდენობით ვხვდებით ქართულ ეკლესიებში. თუმცა სახელმწიფო სიმბოლიკასთან დაკავშირებით ამ კუთხიდან ერთი მცირე აღნიშვნა უნდა გაკეთდეს. ეგრეთ წოდებული „ბოლნური ჯვარი" ფიქსირდება შუა საუკუნეების ზოგიერთ მონეტაზეც. წრეში ჩახატულ ჯვარს, რომელსაც ბოლოები უფართოვდება („ბოლნური ჯვარი"), ბევრ

1-5. *ქართულ-სასანური მონეტები* (VI *საუკუნის დასასრული-*VII *საუკუნის პირველი ნახევარი*); **6-7.** *დავით კურაპალატის მონეტები* (X *საუკუნის დასასრული*); **8.** *დავით აღმაშენებელის მონეტა* (XI *საუკუნის დასასრული*); **9.** *დავით აღმაშენებელის მონეტა* (1123-1125 *წლები*); **10-14.** *თამარის მონეტები* (1200 *წელი*); **15.** *ლაშა-გიორგის მონეტა* (1210 *წელი*); **16.** *რუსუდანის ვერცხლის დრამა* (1230 *წელი*); **17-18.** *ქართულ-პულაგუიდური მონეტები, ილხან არღუნის და ილხან ბაიდუს ვერცხლის დრამები* (XIII *საუკუნის დასასრული*); **19.** *ვახტანგ მესამის ვერცხლის დრამა* (1298/1299 *წლები*); **20.** *ვახტანგ მესამის ვერცხლის დრამა* (1297/98 *წლები*); **21.** *ვახტანგ მესამის ვერცხლის დრამა* (1299/1300 *წლები*); **22.** *ანონიმური ქართულ-პულაგუიდური მონეტა* (XIV *საუკუნის დასაწყისი*); **23.** *გიორგი მერვის მონეტა* (1446-1466)

ეკლესიაში ცენტრალურ ადგილას ეხვდებით. ასევე გვაქვს მრავალი გამოხატულება ეგრეთ წოდებული „მცირეაზიური ჯვარისა", რომელიც საკარაულოდ გოლგოთის საკურთხეველზეა აღმართული (დავით კურაპალატის მონეტის მსგავსად, ოღონდ ამ შემთხვევაში ჯვრების მინდერები შევსებული არ არის). ამგვარი დიდი ჯვრები დატანილია, მაგალითად, გრემის, ნეკრესის, ახალი შუამთის, ტბაწყურის ეკლესიების ფასადებზე. თუკი ეს საკურთხეველზე აღმართული ჯვარიც მართლაც გოლგოთის ან იერუსალიმის სიმბოლიკას უკავშირდება, შესაძლოა ეს ფაქტი კიდევ ერთი არაპირდაპირი საბუთი იყოს იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველოს სახელმწიფო დროშაზე საესებით დასაშვები იქნებოდა იერუსალიმთან ასოცირებული სიმბოლიკის გამოჩენა. ამ შემთხვევაში კი ვისაუბრებ მხოლოდ იმ ჯვრების გამოსახულებებზე, რომელთა მინდერებიც გარკვეული ფორმით შევსებულია.

1. *ჯვრები ორნამენტიანი გამოსახულებებით, როდესაც ჯვრის ტოტებს შორის განლაგებულ მინდერებში გარედან შემოდის ოთხი შემავსებელი ელემენტი.* ამგვარი კომპოზიციის თვალსაჩინო მაგალითია რუისის ეკლესიის (VIII-IX ან XI საუკუნე) სამხრეთის ფასადზე გამოსახული ჯვარი[89]. ჯვარს უფართოვდება ბოლოები. გარკვეული ორნამენტული დეტალები გარედან იჭრება ჯვარის ოთხივე მინდორში. თითო მინდორი შევსებულია თითო დეტალით. რა თქმა უნდა, ეს არ არის ხუთჯვრიანი გამოსახულება. მაგრამ რუისის ეს ჯვარიც მოწმობს: ჯვარი, რომლის ყოველი მინდორი ოითო დეტალით ივსება, საქართველოს ეკლესიებში შუა საუკუნეებში საკმაოდ გავრცელებულია[90].

2. *ჯვრები, რომელთა ცენტრიდან ოთხივე მინდორში თითო ელემენტი გარე მიმართულებით გადის.* ამგვარი ფიგურის მაგალითია ჯვარის ამაღლება ეკლესიიდან (VI-VII საუკუნეები)[91]. ამ შემთხვევაში ერთ დიდ ჯვარზეა გამოსახული ჯვარის ამაღლების სცენა. დიდი ჯვარის ოთხივე მკლავში ჩახატულია ოთხი ანგელოზის ფიგურა. ანგელოზებს ხელთ უპყრიათ წრე, რომელშიც შედარებით მცირე ჯვარია დატანილი. რკალში ჩასმული ჯვარი მოთავსებულია დიდი ჯვარის ცენტრში. წრეში ჩახატული ჯვარის ცენტრიდან ტოტებს შორის მდებარე თითო სეგმენტში გარე მიმართულებით მიდის თითო, ჯვარის მთავარ ტოტებზე თხელი ხაზი, ან შტო (რამდენადაც ეიცი, ამგვარ ჯვარს „აყვავილებულ ჯვარსაც", თუ „განედლებულ ჯვარსაც" უწოდებენ ხოლმე. ამასთან, ეს არის იგივე ამოძრაველები. მოძრაობაში მოსული ჯვარი ერთ-ერთი ტიპი. მოძრაობაში მოსული ჯვარი, როგორც ცნობილია, სვასტიკის სახელითაა ცნობილი). ნებისმიერ შემთხვევაში, კვლავ ფიქსირდება ჯვარის თითო სეგმენტში თითო დეტალი. ამასთან, ჯვარის ამაღლების ეს სცენა ადრეულ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. აღნიშნული ტიპის ყველა გამოსახულება გვიდასტურებს, რომ ჯვარის ტოტებს შორის არსებული სეგმენტების შევსება უკვე ადრე შუა საუკუნეებიდანვე ჩვეულებრივი მოვლენა იყო საქართველოში[92].

3. *ძირითადად ორნამენტული ხასიათის ჯვრები მინდერებში ოთხი წრით ან წერტილით.* ამ პუნქტში ძირითადად შეეეხები მინანქრული და ორნამენტული ჯვრების გამოსახულებებს, როდესაც ოთხ მინდორში კეთდება ოთხი წერტილი ან მცირე ზომის წრე. აღნიშნული კომპოზიციის, რომელიც დასტურდება მონეტებზეც და გვხვდება ერთ-ერთ პორტოლანზეც საქართველოს დროშის სახით, ფართო გავრცელება მინანქრულ

---

[89] Art and Architecture in Medieval Georgia, გამომცემლები: ვახტანგ ბერიძე [და სხვები], Louvain-la-Neuve 1980, გვ. 421, 458.

[90] ასეთივე ფორმის ჯვარს, როდესაც ორნამენტული დეტალები გარე დეკორაციებიდან იჭრებიან ჯვრის ტოტებს შორის მოთავსებულ სეგმენტებში, ვხვდებით XIII საუკუნის პირველი მეოთხედით დათარიღებულ წულრუღაშენის ეკლესიაშიც (Art and Architecture in Medieval Georgia [1980], გვ. 323, 359). უფრო გვიანდელი ხანისაა ნრეში ჩასმული ამგვარივე ჯვარი ჩახატული ეკლესიის დასავლეთის ფასადიდან (ვახტანგ ბერიძე, XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1994, 54).

[91] ანელი ვოლკოვა, რელიეფური ფილა ზედაზენის მონასტერიდან, შრომების კრებულში: ქართული ხელოვნება, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 8, თბილისი, 1979, გვ. 91-106, 39. 1.

[92] ამგვარი ჯვარის, როდესაც ცენტრიდან გარე მიმართულებით მიმავალი ოთხი შტოა ჯვარის მთავარ ხაზებს შორის მდებარე სეგმენტებზე დატანილი, ერთ-ერთ სახესხვაობას ეხვდებით V საუკუნით დათარიღებული ბოლნისის ეკლესიის სამხრეთი პორტიკის კაპიტელის ორნამენტზე (Art and Architecture in Medieval Georgia [1980], N 340). იხილეთ ასევე XI საუკუნის მესტიის ჯვარზე გამოსახული დეტალი, რომელზეც ჯვარის ცენტრიდან ოთხივე თავისუფალ სეგმენტში გარე მიმართულებით მიდის ოთხი ღერო (Art and Architecture in Medieval Georgia [1980], N 79). ამის მაგალითია კარგად ცნობილი თამარის ჯვარიც. თამარის ჯვარის

და ორნამენტულ ხელოვნებაში არაპირდაპირ ისევე ადასტურებს: იერუსალიმის ჯვარის ტიპის კონფიგურაციის გამოყენება ჩვეულებრივი მოელენა გახლდათ შუა საუკუნეების საქართველოს სინამდვილეში.

მარტვილის ჯვარი თარიღდება X საუკუნით. ცენტრალური ჯვარის ტოტების გარშემო არსებულ ცარიელ სეგმენტებში ჩასმულია ოთხი მოზრდილი ძვირფასი ქვა. ეს ოთხი ძვირფასი ქვა ქმნის ოთხ წრის ან წერტილის მსგავს ფიგურას. შესაბამისად, ვლებულობთ იერუსალიმის ჯვარის მსგავს კონფიგურაციას, როდესაც ჯვარის გარშემო მდებარე მინდვრები ოთხი დეტალით ივსება[93].

ნიკორწმინდის ტაძარის (XI საუკუნის დასაწყისი) ფრონტონზე მრავლად დატანილ ორნამენტებში ვხედებით ორნამენტულ ჯვრებსაც[94]. ჯვარის ოთხივე მინდორში ორნამენტებით კეთდება ოთხი წერტილი ან პატარა წრე და აქაც ვიღებთ ხუთფიგურიან კომპოზიციას.

ისევ ნიკორწმინდაში, აღმოსავლეთის ფასადზე ვხედავთ ორნამენტულ ჯვარს, ჩასმულს უფრო დიდ ორნამენტულ ჯვარში[95]. ამ ორი ჯვარის გარშემო ისევ ორნამენტებით ოთხ მინდორში კეთდება ოთხი წერტილი და აქაც ვღებულობთ ხუთფიგურიან კომპოზიციას. აღნიშნული კომპოზიციის ამგვარი ხშირი განმეორება ისევ მის გავრცელებულობაზე მიუთითებს.

სვეტიცხოველის დასავლეთ ფასადზეც (ნაწილი XI საუკუნე, ნაწილი უფრო გვიანდელი) მრავალ ორნამენტს შორის დატანილია რამდენიმე ჯვარის გამოსახულება, რომელთა მინდვრებზეც ვხედავთ ოთხ წერტილს ან მცირე წრეს[96].

მსგავს კომპოზიციას ვხედავთ ხახულის კარედზეც. ეს გახლავთ დეკორაციული ჯვარი მედალიონში ქრისტეს გამოსახულებით (XII საუკუნის პირველი ნახევარი). ჯვარი მოთავსებულია კარედის ცენტრალური გამოსახულების ქვემოთ.[97] ოთხივე მინდორში ჩასმული ძვირფასი ქვა ქმნის იერუსალიმის ჯვარს მიმსგავსებულ კომპოზიციას.

4. *ჯვრები მინდვრებში გამოსახული ოთხი ფიგურით ან დეტალით.* ამგვარი ჯვარის პირველი მაგალითია დეკორატიული დეტალი რუისის ეკლესიის (VIII-IX ან XI საუკუნე) დასავლეთ ფასადზე[98]. აქ მოცემულია ჯვარის მეტად შთამბეჭდავი გამოსახულება. ჯვარის თითო მინდორში ჩასმულია თითო ფიგურა. ზედა ორ მინდორში განთავსებული ფიგურების შემთხვევაში ალბათ საქმე უნდა გვქონდეს ანგელოზებთან. ძნელი სათქმელია, ვინ არის ქვედა ორი ფიგურა და ჩვენი საკითხისათვის ამ ფაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა პქონდეს. მთავარია, რომ კვლავ ვიღებთ ჯვარს, რომლის ოთხივე მინდორი თითო ელემენტით არის შეესებული.

ნიკორწმინდის ჯვარის ამაღლების სცენაში ჯვარის ტოტების გარშემო მდებარე სეგმენტებზე უკვე ოთხი ანგელოზია გამოსახული[99]. ოთხივე ანგელოზს უჭირავს ერთი ჯვარი და მიაქვთ მაღლა, ზეციისაკენ. ბუნებრივია, არც აქ გვაქვს ხუთი ჯვარის გამოსახულება, მაგრამ შინაარსობლივად ეს ორი კომპოზიცია ერთმანეთს მეტად მიაგავს. ამასთან, როდესაც ხუთფიგურიანი კომპოზიციის (ერთი ჯვარის გარშემო ოთხი

ცენტრთან, ჯვარის მთავარი ტოტების გარშემო მდებარე ყოველ სეგმენტში ჩასმულია ოთხი ძვირფასი ქვა. ამგვარად კვლავ თითო დეტალით ხდება ჯვარის თავისუფალი სეგმენტების შევსება (Art and Architecture in Medieval Georgia [1980], N 62-63).

[93] National Treasures of Georgia, Ed. Ori Z. Soltes, London, New York 1999, გვ. 218-219, N 114.

[94] Art and Architecture in Medieval Georgia (1980), N 452.

[95] Georgien, Wehrbauten und Kirchen, hrsg. von Rusudan Mepisaschwili, Wachtang Zinzadse. Leipzig 1986, გვ. 355, N 518.

[96] Georgien, Wehrbauten und Kirchen (1986), გვ. 280, N 422.

[97] ლეილა *ბუსკოვაძე*, შუა საუკუნეების ტხირული მინანქარი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, თბილისი, 1984, გვ. 66-67, 85. იგივე კომპოზიციას ვხედავთ ხახულის კარედის კიდევ ერთ დეკორაციულ ჯვარზე, რომლის ცენტრალურ ფირფიტაზეც პავლე მოციქულია გამოსახული (ლეილა *ბუსკოვაძე* [1984], გვ. 68-69, 86).

[98] Art and Architecture in Medieval Georgia (1980), გვ. 423, N 461

[99] ნათელა *ალადაშვილი*, ადრეფეოდალური ხანის ქართული ქანდაკების ზოგიერთი საკითხი (რუსულად). შრომების კრებულში: ქართული ხელოვნება, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 8, თბილისი, 1979, გვ. 64-90. 45. ჯვარის ამაღლების ასეთივე სცენებს ვხედებით მარტვილის ტაძრის ერთ-ერთ რელიეფზე (VII საუკუნე), ხახულის ტაძარში (X საუკუნე), აგრეთვე კაცხის ტაძარში (XI საუკუნის პირველი ნახევარი).

დეტალით შევსებული მინდვრები) ასეთი სხვადასხვა ვარიანტები არსებობს საუკუნეების განმავლობაში. ეს ფაქტიც თაეისთაეად მიგვანიშნებს, რომ ხუთჯვრიანი გამოსახულებაც ისეოიე ჩვეულებრივი მოელენა იქნებოდა უძველესი ქრისტიანობის ქვეყანაში, როგორც ზემოთ განხილული კონფიგურაციები.

ფოკას დარბაზულ ეკლესიაში (XI საუკუნის დასაწყისი) სამხრეთის შესასელელის თავზე გამოსახულია ჯვარი[100]. ჯვარის ოთხ მინდორში დატანილია ოთხი საგანი, რომლებიც გარე მხარისაკენ ეიწროვდებიან. ამ შემთხვევაშიც მოცემულია ხუთფიგურიანი კომპოზიცია.

5. *ჯვრები მინდვრებში ოთხი წერტილით ან მცირე წრით.* ხუთჯვრიანი კომპოზიციის საკითხისათვის ამგვარი ჯვრები ოთხი წერტილით საკმაოდ დიდი მნიშვნელობის მგონია. შესაძლოა ამ შემთხვევაში ხუთჯვრიანი კომპოზიციის ერთგვარ ვარიანტთან გვქონდეს საქმე. ნებისმიერ შემთხვევაში ამგვარი კომპოზიცია მეტად მიაგავს იერუსალიმის ჯვარს. ამასთან, ერთი ჯვარი ოთხი წერტილით, როგორც ითქვა, ჩნდება შუა საუკუნეების ქართულ მონეტებზე. ეს კომპოზიცია აგრეთვე საქართველოს დროშაზეა გამოსახული, ზემოთაც ეახსენეთ, პიეტრო ვესკონტეს 1320 წლის პორტოლანზე. პიეტრო ვესკონტეს პორტოლანზე, ქვემოთ დაეწერნენდებით, ჯვარი ხუთი წერტილით არის ხუთჯვრიანი გამოსახულების ერთი ვარიანტი.

წმინდა კვირიკეს ხატის (VII საუკუნე) ზურგზე ეხედავთ სავარაუდოდ გოლგოთის საკურთხეველზე (ან კიბეებზე) აღმართულ ჯვარს[101]. ჯვარის მინდვრებში მოცემულია ოთხი წერტილი. წმინდა კვირიკეს ხატის ეს დეტალი დიდ მსგავსებას ამჟღავნებს დავით ქურაპალატის მონეტის ჯვართან, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

კასაგინას დღეისათვის დანგრეული ეკლესიის (X საუკუნე) სარკმელის ფრაგმენტზე გამოსახულია წრე[102]. წრეში ჩახატულია ჯვარი, რომელსაც ბოლოები უფართოედება. ოთხ მინდორში აქაც მოთავსებულია ოთხი მრგვალი დეტალი, მცირე წრე თუ წერტილი.

ტბაწყურის ეკლესიის (X საუკუნე) ფასადზე დატანილია წრეში ჩასმული ჯვარი[103]. წრეში ჩახატულ ჯვარს ბოლოები უფართოედება. ამასთან, ეს გაფართოებული ბოლოები გარედან შიგნით იზნიქება. ოთხ მინდორში მოთავსებულია ოთხი წერტილი.

კაბერის ეკლესიის (X-XI საუკუნეები) კანკელის ფრაგმენტზე ეხედავთ წრეში ამოკვეთილ ჯვარს[104]. ჯვარის ოთხივე მინდორში დატანილია ოთხი წერტილი. კაბერის ეკლესიის ეს კომპოზიცია ასევე ძალიან ჰგავს ქართულ მონეტებზე მოცემულ გამოსახულებებს.

კუმურდოს (XI საუკუნე) ეკლესიის სამხრეთი გალერეის ქვის სტელის ბაზისზე გამოსახულია წრეში ჩახატული ჯვარი, რომელსაც ბოლოები უფართოედება[105]. ჯვარის თითო მინდორში მოთავსებულია თითო წერტილი და, ამდენად, ვღებულობთ ხუთფიგურიან კომპოზიციას.

თოკის წმინდა გიორგის ეკლესიასთან (XIV საუკუნე) არსებულ სტელაზე აგრეთვე გამოხატულია წრეში ჩასმული ჯვარი გაფართოებული ბოლოებით[106]. მინდვრებში დატანილია ოთხი ფართო წერტილი ან წრე.

6. *ხუთჯვრიანი კომპოზიციები.* აქვე განვიხილოთ ქართულ ეკლესიებში დაფიქსირებული ხუთჯვრიანი კომპოზიციები. კაბერის ეკლესიის (X-XI საუკუნეები) კანკელის ფრაგმენტზე,

---

[100] Georgien. Wehrbauten und Kirchen (1986). გვ. 368, N 539.

[101] გიორგი *ჩუბინაშვილი*, ქართული ოქრომჭედლობა, რეკეეანი ქართულ შუასაუკუნეთა ხელოვნების ისტორიისათვის, ილუსტრაციები, თბილისი, 1959, N 461.

[102] Georgien. Wehrbauten und Kirchen (1986). გვ. 352, N 513.

[103] ჯავახეთი, ისტორიულ-ხეოროთმოძღვრული ეზომკელეეი, გამომცემლები: დიმიტრი თუმანიშვილი [და სხვები], თბილისი, 2000, N 260.

[104] რუსულად *მეფისაშვილი*, X-XI საუკუნეების არქიტექტურის ძეგლები კაბერსა და გოსტიბეში (რუსულად), შრომების კრებულში: ქართული ხელოვნება, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 8, თბილისი, 1979, გვ. 46-63, ნომ. 27, 2.

[105] Georgien. Wehrbauten und Kirchen (1986). გვ. 348, N 506.

[106] ჯავახეთი, ისტორიულ-ხეოროთმოძღვრული ეზომკელეეი (2000). 264.

ქვაზე ამოკეთილია ჯვარი[107]. ჯვარის ცენტრალური ხაზების გეერდით,ოთხ მინდორში ადის ოთხი შტო. მათ გეერდით, მარცხენა მხარეს, ზედა და ქვედა მინდერებში მოთავსებულია თითო-თითო მცირე ზომის ჯვარი. რელიეფის მარჯვენა მხარე დაზიანებულია. ყველა ნიშნის მიხედვით,მარჯვენა მხარის მინდერებშიც დატანილი უნდა ყოფილიყო ორი ჯვარი და აქ საქმე გვაქვს წმინდა ხუთჯვრიან კომპოზიციასთან.

მანგლისის ეკლესიის (XI საუკუნის დასაწყისი) პორტიკის სვეტებზე კეთდება რამდენიმე მსგავსი დეკორაცია[108]. ცენტრში გამოსახულია ორნამენტული ჯვარი. ჯვარის ოთხ მინდორში კეთდება ოთხი ორნამენტული წრე. თითო წრეში ჩახატულია თითო ჯვარი. მთლიანობაში ეს გახლავთ ხუთჯვრიანი კომპოზიცია.

ქართული სახელმწიფო დროშის საკითხისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მომდევნო სამ გამოსახულებას. ამ ცოტა ხნის წინ დმანისში წარმოებული გათხრებისას აღმოჩნდა ქვაჯვარი, რომელზეც მოცემულია პირდაპირ ხუთჯვრიანი კომპოზიცია. ამასთან, ხუთჯვრიანი კომპოზიცია მოწითალო ფერებშია შესრულებული. დმანისის ქვაჯვარის რეპროდუქციები გამოსაქვეყნებლად გადმომცა ბ-ნმა ელდარ შენგელაიამ, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებ მას. ამჟამად სპეციალისტები მუშაობენ ქვაჯვარის დათარიღებაზე. მაგრამ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ქვაჯვარები ძირითადად განეკუთვნება IX საუკუნემდე პერიოდს. თუკი დმანისის ქვაჯვარიც ნამდვილად IX საუკუნეზე ძველია, ჩვენი ვარაუდი, რომ ხუთი ჯვარი ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალს ჰქონდა დროშაზე გამოსახული, დამატებით საყრდენს იძენს. მართალია, დმანისის ქვაჯვარზე დროშა არ არის გამოსახული. მაგრამ აქ სავარაუდოდ უკვე ადრე შუა საუკუნეებში საქართველოში უშუალოდ დასტურდება ხუთჯვრიანი გამოსახულება, ისიც წმიდან ფერებში, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი უნდა იყოს.

ბოჭორმაში დგას დიდი ციხე-სიმაგრის ნანგრევები და X-XI საუკუნეებში აგებული ტაძარი, რომელიც წმინდა გიორგის სახელობისაა[109]. მეთორმეტე საუკუნის კედლის მხატვრობაზე წარმოდგენილია ერთი პიროვნება, რომელიც ხელოვნებათმცოდნეთა ვარაუდით გახლავთ დავით აღმაშენებელი. ტაძრის ფასადის ქვის ფილაზე არის რელიეფი – დიდი ჯვარი, რომლის შიგნით ამოკვეთილია უფრო მომცრო ჯვარი. დიდი ჯვარის მკლავებს შორის ოთხი პატარა ჯვარია – ხუთჯვრიანი კომპოზიციის ტიპიური ნიმუში. ბოჭორმის ხუთჯვრიანი კომპოზიცია სავარაუდოდ XI ან XII საუკუნეებით თარიღდება. ამდენად, ბოჭორმაშიც ფიქსირდება ხუთჯვრიანი კომპოზიცია, იერუსალიმის ჯვარი. აგრეთვე საინტერესოა, რომ შესაძლოა ამ ეკლესიასთან გარკვეული თვალსაზრისით დაკავშირებული იყოს დავით აღმაშენებელი.

ასეთივე კომპოზიცია – დიდი ჯვარი და მის მკლავებთან ოთხი პატარა ჯვარი – გამოსახულია ხარაგაულის რაიონის სოფელ ჩხერის ეკლესიის ფასადზე. მართალია, ჩხერის ეკლესიის ხუთჯვრიანი კომპოზიციის თარიღი უცნობია, მაგრამ აქაც მნიშვნელოვანია ხუთჯვრიანი კომპოზიციის ქართული ეკლესიაში გამოჩენის ფაქტი[110].

---

[107] *რუსუდან მეფისაშვილი* (1979). 27. I.

[108] Art and Architecture in Medieval Georgia (1980). გვ. 378. N 412.

[109] ბოჭორმისა და ჩხერის ეკლესიებში არსებული ხუთჯვრიანი კომპოზიციების გამოსახულებები, სქემები და აღნიშნულ კომპოზიციებთან დაკავშირებული ინფორმაცია მომაწოდა ხელოვნებათმცოდნე ასმათ ოქროპირიძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ მას. ბოჭორმის და ჩხერის ეკლესიებში დაფიქსირებული ხუთჯვრიანი კომპოზიციების ფერადი რეპროდუქციები გამოსაქვეყნებლად გადმომცა აგრეთვე ბ-ნმა ელდარ შენგელაიამ.

[110] ხუთჯვრიან დროშასთან დაკავშირებით აგრეთვე საინტერესო უნდა იყოს შემდეგი საკითხი. ხუთი ჯვარი იკითხება ადრეული ხანის ქართული ცენტრალურგუმბათოვანი ტაძრების (მაგალითად ჯვარი, ნრომი, ბანა და რიგი სხვა ძეგლები) გეგმარებაში. პრინციპი ერთია: ცენტრალური ჯვარი იგება ძირითადი მკლავებისა და გუმბათქვეშა კვადრატის ურთიერთმიმართებით. ხოლო ოთხი მკლავებსშორისი არე განასახიერებს დამატებითს ჯვრებს. ეს ფაქტი განსაკუთრებით თვალსაჩინოა, აღნიშნული ტაძრების სქემებს თუ დავხედავთ (ამ საკითხის შუა საუკუნეების ქართულ დროშასთან ურთიერთმიმართებაზე მუშაობს ხელოვნებათმცოდნე ქ-ნი ასმათ ოქროპირიძე. ამავე საკითხზე გაამახვილეს ყურადღება: თაეის სატელევიზიო გამოსვლაში ბ-ნმა რამაზ პატარაიძემ და ასევე ბ-ნმა ვახტანგ რურუამ). ეკლესიის გეგმარებას, ბუნებრივია, ტაძრების გამოსახულებების მსგავსად, დროშის საკითხისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ვერ ექნება. მაგრამ თვითონ ფაქტი იერუსალიმის ჯვარის უკვე ადრეულ ხანაში ეკლესიათა მშენებლობაში გამოყენებისას მიუთითებს, თუ რაოდენ გავრცელებული და კარგად ნაცნობი გახლდათ შუა საუკუნეების საქართველოში ხუთჯვრიანი კომპოზიცია.

ამდენად, ქართული საეკლესიო მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: ხუთჯერიანი კომპოზიცია საკმაოდ გავრცელებულია ქართულ ეკლესიებში. ეხვდებით როგორც იერუსალიმის ჯვარის გამოსახულებებს, ასევე იერუსალიმის ჯვარის მეტად მსგავს კონფიგურაციებს. ეს ფაქტი, საერთო მასალის ანალიზის კონტექსტში, აგრეთვე ამყარებს მოსაზრებას, რომ საქართველოს სახელმწიფო დროშად შუა საუკუნეებში შეიძლებოდა ყოფილიყო ხუთჯერიანი დროშა. საეკლესიო მასალის მიხედვით, არ არის გამორიცხული, მსგავსი დროშა უკვე ეახტანგ გორგასალს პქონოდა. აღნიშნულ ფაქტს ასევე ადასტურებს, როგორც ზემოთ დავრწმუნდით, შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოს იდეოლოგიური საფუძვლების, ქართული ქრონიკების და ნუმიზმატიკური მასალების ანალიზი.

თავი მესამე

დასავლეთევროპული ცნობები ქართველთა და საქართველოს შესახებ (XII-XVI საუკუნეები)

დასავლეთევროპულ ცნობებს აქ უმთავრესად განვიხილავ ორ კონტექსტში. ქართველთა როგორი ხატი იქმნება ამ ცნობების მიხედვით და რა მნიშვნელობა აქვს აღნიშნულ ინფორმაციას შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფო დროისათვის. ზოგიერთი ცნობის მთლიანად ციტირებისაგან, ბუნებრივია, შეიძლებოდა თავი შეგვეკავებინა, მაგრამ რაკი ქვემოთ მოტანილი ცნობათა დიდი ნაწილი ქართველი მკითხველისათვის უცნობია, მათი სრულად დამოწმება გადავწყვიტე.

*

უშუალოდ დასავლეთევროპული ცნობების განხილვამდე აქ კიდევ ერთ საკითხზე უნდა გავაკეთოდეს აქცენტი. როგორც დავრწმუნდით, ჯვაროსნული მსოფლმხედველობის ანალოგიური სამხედრო-ქრისტიანული იდეოლოგია საქართველოში ფიქსირდება დასავლეთევროპულისაგან დამოუკიდებლად და დასავლეთ ევროპაზე რამდენიმე საუკუნით ადრე. მაგრამ ამ ქართულ ქრისტიანულ იდეოლოგიასა და ჯვაროსნების ასევე წმინდა ქრისტიანულ იდეოლოგიას შორის, როგორც ზემოთ განხილული მასალიდან აშკარა უნდა იყოს, დიდი პარალელებია. სიმპტომატურია, რომ ფაქტიურად საქართველო მეცამეტე საუკუნის დასაწყისიდან ევროპული ჯვაროსნული ლაშქრობების მონაწილეც ხდება გარკვეული თვალსაზრისით (დასავლურ სამყაროსთან ამგვარი პოლიტიკური ერთობის პირველი სიმპტომები მოცემულია უკვე დავით აღმაშენებელთან). ამგვარი დაახლოება სწორედ საერთო რელიგიური საფუძველით აიხსნება. ამიტომ აქ ძალიან მოკლედ და ზოგადად შევეხები საქართველოს სამეფოს ევროპულ ჯვაროსნულ ომებში სავარაუდო ჩართვის პრობლემას (ზოგადად ჯვაროსნულ ომებსა და ამ მოძრაობაში საქართველოს შესაძლო მონაწილეობას ისტორიულ ლიტერატურაში დიდი ადგილი არ ეთმობა ხოლმე. ამ საკითხებზე საბჭოთა დროს, ცხადია, ყურადღება ვერ გამახვილდებოდა. არადა საქართველო XIII-XIV საუკუნეებში ფაქტიურად არის დასავლეთევროპული ჯვაროსნული მოძრაობის მონაწილე. რამდენად დიდი იყო ამ დროს პოლიტიკური მოტივაცია და საკუთარი ინტერესები, ეს ცალკე საკითხია. მაგრამ, ზემოთაც ვახსენე, ეს ელემენტები დასავლეთევროპული ჯვაროსნული მოძრაობის განუშორებელი ნაწილიც გახლდათ. მაგრამ ამგვარი მთლიანობა ქართველებთან ემყარებოდა აგრეთვე, თუ უწინარესად, მძლავრ რელიგიურ მოტივაციას. ამ მოსაზრების მართებულობაში დასარწმუნებლად საკმარისია, ელემენტარულად თვალი გადავაყოლოთ შუა საუკუნეების ქართულ ქრონიკებს და მათს მსოფლმხედველობას). ჯვაროსნულ მოძრაობაში საქართველოს უშუალო მონაწილეობის ფონზე ნამდვილად აღარ უნდა გაგვიკვირდეს, თუ რომელიმე დასავლეთევროპული პორტოლანი საქართველოს სახელმწიფო დროშაზე ხუთ ჯვარს მოათავსებს.

პირველი საკითხი გახლავთ ტრაპიზონის იმპერიის დაარსების ამბავი. ტრაპიზონის იმპერიის შექმნის და ამ დროის ქართული პოლიტიკის ჯვაროსნების მოქმედებასთან მიმართების შესახებ ერცლად ლაპარაკის საშუალება აქ არ არის. მკითხველს გავაცნობ დასკვნის სახით ჩემს მოსაზრებებს და შემდგომში, ცალკე ნაშრომში, შეეცდები უფრო დაწვრილებით დავასაბუთო ეს ვარაუდი.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად შეეხვედებით მოსაზრებას, რომ ტრაპიზონის იმპერიის დაარსება ჯვაროსნების წინააღმდეგ მიმართული აქტიც იყო, რაც ბოლომდე სწორი არ მგონია. ჯვაროსნები კონსტანტინეპოლს საბოლოოდ იღებენ 1204 წლის

აპრილში. მიქელ პანარეტოსის ცნობითაც 1204 წლის აპრილში იქმნება ტრაპიზონის იმპერია[1]. ამ დროს ნდება ტრაპიზონის ტერიტორიაზე ალექსი კომნენოსი, თამარის ჯარის მხარდაჭერით. როდესაც ერთ სახელმწიფოს ერთიდაიმავე წელსა და თვეში ორი სხვადასხვა მხრიდან ანგრევეს ორი სხვადასხვა ძალა, მათ შორის კაეშირის არსებობა აუცილებელი არ არის. მაგრამ მეტად სავარაუდოა.

ბიზანტიელი ისტორიოსი ნიკიტა ხონიატე ჯვაროსანთა მიერ ბიზანტიის ტერიტორიის დანაწილებაზე ასე მოგვითხრობს: *„როდესაც იმათ [ჯვაროსნებმა, რომელთაც 1204 წელს კონსტანტინეპოლი აიღეს] დაიწყეს წილის ყრა ქალაქებისა და ქვეყნების გასანაწილებლად. უნდა გენახათ და გაგაკვირვებოდათ ამ ბისტგადაკრულ კაცთა შეუდარებელი უგუნურება, უფრო შესაფერისად რომ ეთქვათ, სიგიჟე. თითქოს უკვე მეფეთ-მეფეები გამხდარიყვნენ და მიული დედამიწა ხელში ჰქონოდათ, რომელთა სამფლობელოების აღმწერლები დანიშნეს იმ სურვილით, რათა წინასწარ სცოდნოდათ რა ყოველწლიური გადასახადები შემოუვიდოდათ. და ამრიგად შემდეგ ისინი გაეყოთ ერთმანეთში წილისყრით, ხოლო სხვა ტომებსა და მეფეებთან არსებული მოხარკე სამფლობელოები და სახელოები მაშინვე გაინაწილეს; ასეთ ბედში მოხვდნენ: მდიდარი და ნილოსის გასწვრივ მდებარე ალექსანდრია და ლიბია. ლიბიიდან ნუმიდიამდე და დადირამდე გადაჭიმული მხარეები, პართელები და სპარსელები. შემდეგ აღმოსავლელი იბერები და ასირიის ქვეყანა, პირკარულები და რაც კი აღმოსავლეთით უდიდესი მდინარეების წყლებით არის შემოსაზღვრული“.*

ნიკიტა ხონიატესთან მოცემულია ბიზანტიელის ტრაგიკული ხედვა კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ და ეს გასაგებიცაა. ოღონდ ბიზანტიის იმპერიის გაყოფის ტრაქტატში, მგონი თავისთავადაც ნათელია, მსგავსი არაფერი არ წერია.

ჯვაროსანთა მიერ შედგენილი ბიზანტიის იმპერიის გაყოფის შეთანხმება (Partitio Romaniae) თარიღდება 1204 წლის შემოდგომით[2]. ყოველ შემთხვევაში, ბიზანტიის იმპერიის გაყოფის ტრაქტატი გვაქვს ამ ხანიდან. არ ვიცით, აღნიშნულ დოკუმენტს საფუძვლად დაედო თუ არა 1204 წლის მარტის შეთანხმების ტექსტი. 1204 წლის მარტის შეთანხმება შედგა კონსტანტინეპოლზე უშუალო შეტევის წინ. მაგრამ ამ შეთანხმების ტექსტი შემორჩენილი არ გახლავთ. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ 1204 წლის ბიზანტიის იმპერიის გაყოფის საბუთში არ ეხედებით ტრაპიზონს და ყირიმის ნახევარკუნძულის ტერიტორიებს. ბიზანტიის იმპერიის გაყოფის შეთანხმებაში პაფლაგონია და სინოპი ნახსენებია[4].

აღნიშნულ საკითხს შეეხო ბიზანტინისტი ეასილიევიც[3], რომელსაც თავის სტატიაში ტრაპიზონის იმპერიის შექმნის შესახებ უაღრესად პოზიტიურად და მართებულად აქვს შეფასებული ქართველების და განსაკუთრებით დედოფალ თამარის როლი ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საკითხში. ეასილიევი ასევე აღნიშნავს: ბიზანტიის იმპერიის გაყოფის შეთანხმება ტრაპიზონს არ ახსენებს. ასევე გამოტოვებულია შეთანხმებაში ტერიტორიები ყირიმის ნახევარკუნძულის სამხრეთში. ეასილიევის მიხედვით, უკვე 1192-98 წლებში ბიზანტიას დაუკარგავს კონტროლი ყირიმზე. არ ვიცითო როდიდან არის ყირიმი ტრაპიზონზე დამოკიდებული. როდესაც ალექსი კომნენოსი იმპერიას აფუძნებს, ეარაუდობს ეასილიევი, ტრაპიზონის იმპერია უკვე მოიცავს ყირიმს.

---

[1] გეორგიკა, ბიზანტიელ მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტ. 7. თბილისი, 1967. გვ. 165-166.

[2] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტ. 6. თბილისი, 1966. გვ. 137-138.

[3] G. L. Fr. Tafel, G. M. Thomas. Urkunden zur älteren Handels- und Staatsgeschichte der Republik Venedig. Teil 1 (814-1205), Amsterdam 1964². გვ. 464-486. ბიზანტიის იმპერიის გაყოფის ტრაქტატი იხილეთ ასევე: Friedrich Wilken, Geschichte der Kreuzzüge nach morgenländischen und abendländischen Berichten. Bd. 5, Leipzig 1829. დანართი: გვ. 3-7.

[4] Tafel, Thomas (1964). გვ. 476.

[5] A. A. Vasiliev. The Foundation of the Empire of Trebizond (1204-1222), in: Speculum XI, 1936. გვ. 20-21.

ვასილიევი შემდეგ პრობლემას აღარ ეხება, მაგრამ, ჩემი აზრით, ტრაპიზონის ამოვარდნა ბიზანტიის იმპერიის გაყოფის ტექსტიდან აშკარად უნდა მიანიშნებდეს საქართველოსთან არსებულ გარკვეულ შეთანხმებაზე. რადგან ვენეციელებმა და ჯვაროსნებმა მისხალ-მისხალ გაიყვეს ბიზანტიის მთელი ტერიტორია. ეს კარგად ჩანს შეთანხმების ტექსტიდანაც, სადაც დეტალურადაა ჩამოთვლილი ბიზანტიური ქალაქები და ციხე-სიმაგრეები. იქვე აღნიშნულია ხოლმე, ვის ხელში უნდა გადავიდეს კონკრეტული დასახლებული პუნქტი, ვენეციელების, ბიზანტიის ახალი ლათინი იმპერატორის, თუ ბონიფაცი მონფერატის. ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქი, როგორიც იყო ტრაპიზონი, მხოლოდ გარკვეული წინაპირობების შემთხვევაში შეიძლებოდა გამქრალიყო დოკუმენტიდან. იგივე შეიძლება ითქვას ყირიმის ნახევარკუნძულზეც, რომელიც შემდგომში ევროპელებისათვის აღმოსავლეთთან ვაჭრობის საბაზისო ცენტრი გახდა. თუ ტრაპიზონი 1204 წლის მარტის შეთანხმებაშიც არ იყო ტექსტში, მაშინ გადაჭრით შეიძლება თქმა, რომ 1203 წლიდან კონსტანტინეპოლის წინ დაბანაკებულ ჯვაროსნებს (რომლებიც ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქზე მეორე, გადამწყვეტი შეტევისათვის ემზადებოდნენ, ამასთან მაინცდამაინც მომგებიანი პოზიციები არ ჰქონდათ) და საქართველოს სახელმწიფო კარს შორის მართლაც შედგა გარკვეული გარიგება. მაშინ თამარის ისტორიკოსის სიტყვები ჯვაროსნებისათვის ქართველების დახმარებაზე სრული რეალობა გამოდის. თუმცა ის ფაქტიც, რომ ტრაპიზონი და საკარაულოდ ტრაპიზონის კუთვნილი ყირიმის ნახევარკუნძული 1204 წლის შემდგომის შეთანხმებაში არ ფიგურირებენ, თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია და ორ ძალას შორის არსებულ კეთილგანწყობილ ურთიერთობაზე უნდა მიანიშნებდეს.

რაც შეეხება იმპერიის გაყოფის შეთანხმებაში ტრაპიზონის დასავლეთით მდებარე შავიზღვისპირეთის ჯვაროსანთა კუთვნილებად გამოცხადების ფაქტს, ეს გარემოება ჩვენს ვარაუდს მაინცდამაინც ხელს არ უნდა უშლიდეს. რადგან, ბიზანტიური, ასევე დასავლეთევროპული წყაროების მიხედვით, ტრაპიზონი ეკუთვნის ალექსი კომნენოსს, ხოლო დანარჩენ ტერიტორიას იკავებს მისი ძმა დავით კომნენოსი, რომელიც შემდგომში (მართალია, ლასკარისის საფრთხის თავიდან ასაცილებლად) კონსტანტინეპოლის ლათინი იმპერატორის ვასალი ხდება. ჯვაროსანთა და ქართველთა შეთანხმების საფუძველზე შესაძლოა დავით კომნენოსის მცირე სამთავრო ერთგვარ ბუფერულ როლს ასრულებდა ლათინთა იმპერიას და საქართველოს ვასალურ სახელმწიფოს, ტრაპიზონის იმპერიას შორის. მაგრამ ამ ფაქტებს აქ დეტალურად აღარ შევეხები, რადგან აუცილებელია საკითხთა მთელი სპექტრის გათვალისწინებაც და განხილვაც. ბიზანტიურ წყაროებთან დაკავშირებით მხოლოდ რამდენიმე დაკვირვებას მოვიტან.

ბიზანტიელი ისტორიკოსი ნიკიტა ხონიატე აღწერს მანუელ პირველის გარდაცვალების შემდეგ სამეფო კარზე დატრიალებულ მოვლენებს. 1180 წელს მანუელის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტზე ავიდა მისი მცირეწლოვანი შვილი ალექსი. თუმცა სახელმწიფოს მმართველობა ხელში ჩაიგდეს მანუელის ცოლმა, დედოფალმა მარიამმა და პროტოსებვასტოსმა ალექსიმ. მაგრამ რეგენტთა მმართველობის წინააღმდეგ გამოდიან მანუელის შვილი პირველი ცოლისაგან, ასევე მარიამი და მისი ქმარი რაინერ მონფერატი. ისინი აპირებდნენ პროტოსებვასტოს ალექსის მოკვლას, მაგრამ შეთქმულება გამჟღავნდა და მარიამი ქმართან, კესაროს რაინერ მონფერატთან ერთად იძულებულია თავი შეაფაროს დიდ ეკლესიას. მარიამი დარაჯებს აყენებს ეკლესიის დასაცავად და ჯარის შედგენას შეუდგება:

„*ის* [მარიამი] *ცუდი რამეებისაკენ მიისწრაფოდა და არა საქებურ საქმეებისკენ წინ მიიწევდა: მოკავშირე რაზმს ქირაობს და საბრძოლო ბანაკად აქცევს ღუთაებრივ გალავანს; მან შეაგროვა მძიმეშეიარაღებული იტალიელები და დაიქირავა მამაცი აღმოსავლელი იბერიელები, სავაჭრო დავალებებით სატახტო ქალაქში მყოფნი, აგრეთვე მიიმხრო რომაელთა შეიარაღებული ფალანგი*"[6].

[6] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 6 (1966). გვ. 128.

ნიკეტა ხონიატე აგრეთვე მოგვითხრობს ისააკ ანგელოსის მმართველობის წლებში ალექსი ვრანას აჯანყების შესახებ (ეს კვლავ XII საუკუნის ოთხმოციან წლებში). სასოწარკვეთილებაში ჩაყრდნილ ისაკს ამხნევებს და ერანასთან საბრძოლველად აგულიანებს მისი სიძე, ისააკ ანგელოსის დის თეოდორას ქმარი კესაროსი კონრად მონფერატი: *„მართლაც, სულ მოკლე ხანში კონრადმა შეკრიბა ქალაქში მყოფ ლათინთაგან ცხენოსნები დაახლოებით ორას ორმოცდაათამდე, ყველანი მამაცნი, და ხუთასი ქვეითი ჯარისკაცი. არა მცირენი ჩაეწერნენ ჯარში ისმაელიტთაგან და აღმოსავლელ იბერიელთაგან, რომლებიც სამეფო ქალაქში საკაჭროდ იყვნენ გამოგზავნილნ“*[7].

1313 წლით დათარიღებული ეფრემის ქრონიკა აღწერს იგივე ამბავს: ისააკი კრებს ჯარს, რომელშიც არიან სკვითებთან, იტალიელებთან, აგარიანებთან ერთად იბერიელები, და იტალიელი კონრადის თანაბჭობით გაეშართება ერანას წინააღმდეგ[8].

XII საუკუნის ოთხმოციან წლებში კონსტანტინეპოლში მყოფი ქართველები ეხმარებიან ფაქტიურად ჯერ რაინერ მონფერატს და მის ცოლს, შემდეგ კი – რაინერის ძმას, კონრად მონფერატს. მონფერატების ოჯახთან ქართველებს სწორედ მეოთხე ჯვაროსნულ ლაშქრობამდე ცოტა ხნით ადრე უფიქსირდებათ გარკვეული კავშირები. მეოთხე ჯვაროსნულ ლაშქრობაში ჯვაროსნებს მეთაურობს რაინერის და კონრადის ძმა, ბონიფაცი მონფერატი. მონფერატების ოჯახს ქართველებთან თანამშრომლობის ერთგვარი ტრადიცია ჰქონდა და, ზემოთ განხილული ბიზანტიის იმპერიის გაყოფის ტრაქტატის ფონზე, ეს ცნობებიც მნიშვნელოვანი უნდა იყოს ამ კუთხით. თუკი ჯვაროსნებს და საქართველოს სამეფო კარს შორის რაიმე გარიგებას დაეუშვებთ ლათინთა მიერ კონსტანტინეპოლზე შეტევამდე, ეს ცნობები ამგვარ ვარაუდს მხოლოდ ზურგს უნდა უმაგრებდნენ.

დაბოლოს ნიკეტა ხონიატეს კიდევ ერთი მონათხრობი ალექსი მესამე ანგელოსის მმართველობის ხანაში (1195-1203) შავ ზღვაზე მომხდარ მოვლენებზე:

„მაგრამ, აი, რა საქმე ჩაიდინა თვითონ მეფემ. ექვსი ტრიერი ჩააბარა ერთ კაცს, რომლის სახელი იყო კონსტანტინე, ხოლო მეტსახელი ფრანგოპულოსი, და გაგზავნა იგი ეევქსინის პონტოში თითქოს იმ მიზნით, რომ დაეძებნა ტვირთი ერთი ხომალდისა, რომელიც მოდიოდა ფაზისიდან ბიზანტიონში და კერასუნტის მახლობლად დაიმსხვრა, ნამდვილად კი უნდოდა თავს დასხმოდა სატვირთო ხომალდებს, რომლებიც ქალაქ ამინსოში მისცურავდნენ, და მათი ტვირთი დაეტაცნა. მეფის განკარგულების მიხედვით მან გასცურა ეევქსინის პონტოში და არცერთი ხომალდი არ დაინდო, ყველა ხომალდი გაძარცვა, რომლებიც კი ბიზანტიონში მოდიოდნენ, საქონლით დატვირთულები, და ისინიც, რომლებსაც ჩაებარებინათ თავისი საქონელი და სხვა საქონელი ჩალაგებინათ და უკან ბრუნდებოდნენ, – და ორი თვის შემდეგ ის (ფრანგოპულოსი) უკან დაბრუნდა; ზოგიერთი ეაჭარი მახვილით გაასამართლა და ქვესკნელში გაისტუმრა, და მათი ქონება მიითვისა, სხვები კიდევ როდინის ქვაზე უფრო ტიტელები გაისტუმრა“[9].

ფაქტიურად აქ მოცემულია თამარის ისტორიკოსის ცნობის, ალექსი მესამის მიერ ქართველი ბერების გაძარცვის შესახებ, რეალური დადასტურება. რადგან ალექსი მესამის ბრძანებით ბიზანტიური ფლოტი თავს ესხმის ფაზისიდან, ანუ ფოთიდან მომავალ ყველა გემს. ოღონდ ხონიატე, სამწუხაროდ, ამ მოვლენის თარიღს არ ასახელებს. საესებით დასაშვებია, ერთ-ერთ ხომალდზე თამარისაგან დასაჩუქრებული ბერებიც ყოფილიყვნენ.

ტრაპიზონის იმპერიის დაარსებასთან დაკავშირებით ჩვენი შეხედულებები მაინც ვარაუდია (მაგრამ, იყო თუ არა რეალური კავშირი ქართველებს და ჯვაროსნებს შორის, ბიზანტიის იმპერიაში ამ ფორმით ქართველთა შეჭრა ჯვაროსანთა საწინააღმდეგოდ მიმართული აქცია ევრაფრისდიდებით ვერ იქნება). სხვაგვარადაა საქმე ჯერ ლაშა-გიორგის, შემდეგ კი რუსუდანის და ჰონორიუს მესამის მიმოწერის დროს.

[7] გეორგიკა, ბიზანტიელი მნერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 6 (1966). გვ. 129.
[8] გეორგიკა, ბიზანტიელი მნერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 7 (1967). გვ. 89.
[9] გეორგიკა, ბიზანტიელი მნერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 6. (1966). გვ. 132-133.

ჯვაროსნული ომების მკვლევარებიდან ჯერ კიდევ ფრიდრიხ ვილკენი საკმაოდ დაწვრილებით შეეხო რომის პაპის, რუსუდანის და ივანე მხარგრძელის მიმოწერას, ასევე მანამდე ლაშა-გიორგის გეგმებს ჯვაროსნულ ლაშქრობასთან დაკავშირებით. ვილკენი ვარაუდობს, რომ ლაშა-გიორგის დახმარება სთხოვა რომის პაპმა. თუმცა უშვებს მეორე შესაძლებლობასაც, პაპის ეს მოწოდება შესაძლოა განაპირობაო ქართველთა მეფის დამიტაში გაგზავნილმა წერილმა, რომლის მიხედვითაც ქართველებს დამასკოსა ან რომელიმე სხვა ცნობილი მაჰმადიანური ქალაქისათვის უნდა დაერტყვათ[10]. ამდენად, უკვე ლაშა-გიორგის დროს მძლავრი ქრისტიანული საქართველოს სამეფო დასავლეთევროპული ჯვაროსნული მოძრაობის უშუალო მონაწილე ხდება. ამ კუთხით ცალკეა გამოსაკვლევი ქართველთა მიმართება კათოლიკურ სამყაროსთან XIII საუკუნის დასაწყისში. ფაქტი ერთია: საქართველოს სამეფო და დასავლეთი ამ დროს შეადგენენ ერთ მთლიანობას, რაც გამოიხატება საერთო რელიგიური ლაშქრობის მოწყობის სურვილით. ამასთან, ეს არ არის მხოლოდ პოლიტიკური მთლიანობა და კავშირი. მსგავსი წმინდა პოლიტიკური ფორმით ევროპელები ილხანთა ირანის, მოგვიანებით კი უზუნ-ჰასანის ჩართვასაც ცდილობდნენ ჯვაროსნული ტიპის ლაშქრობებში. ქართველებთან სწორედ რელიგიური ერთობის მომენტს ესმება ხაზი, რაც გამოიხატება იმით, რომ ლაშა-გიორგიც და რუსუდანიც ცოდვათა შენდობას სთხოვენ რომის პაპს და ჯვაროსნული ომში მონაწილეობის სანაცვლოდ სწორედ რომის პაპი მიუტევებს ქართველებს ცოდვებს. ბიზანტიელთა და დასავლეთ ევროპის რელიგიური ანტაგონიზმი პოლიტიკურ ნიადაგზე აღმოცენდა. აქ ერთმანეთს იყო გადახლართული რომის იმპერიის მემკვიდრეობის და ქრისტიანულ სასულიერო სამყაროში პირველობის ფაქტორი. როდესაც XIII საუკუნეში ჯვაროსნებმა ბიზანტია დაიპყრეს და მძლავრი ქრისტიანული საქართველო და დასავლეთ ევროპა დარჩნენ ერთმანეთის წინ, ქართველებს, ბუნებრივია, ბიზანტიელთა ეს პოლიტიკურ-რელიგიური ანტაგონიზმი დასავლეთ ევროპასთან არ ჰქონიათ. რადგან საქართველოს სამეფო რომის იმპერიის პოლიტიკურ მემკვიდრეობაზე თუ რომის იმპერიის ევროპულ მიწებზე, ცხადია, პრეტენზიას არ აცხადებდა. არც საქართველოს პატრიარქს ჰქონია მსოფლიო ქრისტიანობის სულიერი ლიდერობის პრეტენზიები, რაც რომის პაპის ავტორიტეტს ეჯეს ქვეშ დააყენებდა. თამარის ეპოქის შემდეგ საქართველოს სამეფოს დასავლეთ ევროპისაკენ რომ მოესურვებინა ექსპანსია, ან მთელი საბერძნეთის მიერთებას ცდილიყო, ყველა ეს პრობლემა ალბათ მართლაც წარმოიშობოდა. მაგრამ ამ ვითარებაში საქართველოს და დასავლეთ ევროპას არც რელიგიური და არც პოლიტიკური თვალსაზრისით არაფერი ჰქონდათ გასაყოფი. სწორედ ამიტომაც მოხდა XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს და დასავლური სამყაროს რელიგიურ-პოლიტიკური გამთლიანება. თუმცა ისტორიის პოზიციიდან ეს წამიერი მთლიანობა დიდხანს არ გაგრძელებულა და, როგორც ცნობილია, რელიგიური ბზარი სხვადასხვა მიზეზების გამო მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში მაინც დარჩა. ახალ დროში კი საქართველოს რუსეთმა თავს მოახვია დასავლურ სამყაროსთან დაპირისპირების რელიგიური პრობლემები, რომლებთანაც საქართველოს არავითარი კავშირი არა აქვს. ჯერ ბიზანტიის და შემდეგ რუსეთის რელიგიური დაპირისპირება

---

[10] Friedrich Wilken, Geschichte der Kreuzzüge. Bd. 6. Leipzig 1830. გვ. 297-298. 382-383. დამიეტაში მყოფი ჯვაროსნების ქართველებისგან დახმარების მოლოდინს, პელაგიუსის ნერილს ქართველთა დახმარების შესახებ და რომის პაპის თხოვნას ქართველთა მეფისადმი, რომ დახმარებოდა ჯვაროსნებს, ეხება აგრეთვე ჯვაროსნული ომების ისტორიის ცნობილი მკვლევარი სტიკენ რანსიმანი (Steven Runciman, Geschichte der Kreuzzüge. Bd. 3. München 1960. გვ. 167, 534). რანსიმანი დეტალურად აღნერს დაკითის მიერ ილღაზის დამარცხებასაც. გარდა ამისა აქვე მოვიტან რანსიმანის ორ გამონათქვამს საქართველოს სამეფოს შესახებ, რადგან რანსიმანი ჯვაროსნული ომების ერთ-ერთ საუკეთესო ისტორიკოსად ითვლება. რანსიმანი ეხება რუქნადინის საქართველოზე ლაშქრობას და შემდეგ აგრძელებს: *„რომლის* [საქართველოს] *დიდი დედოფალი თამარი გაცილებით მეტ საფრთხეს წარმოადგენდა ისლამისათვის, ვიდრე რომელიმე ლათინი მბრძანებელი"* (Steven Runciman. Bd. 3 [1960]. გვ. 104). რანსიმანი ასევე ლაპარაკობს დაახლოებით გიორგი მესამის მეფობის პერიოდზე: *„ერთადერთი ქრისტიანული სახელმწიფო' აღმოსავლეთში, რომელიც მაჰმადიანებთან პატივისცემით სარგებლობდა, გახლდათ შორეული საქართველოს სამეფო, რომელიც იმეამად იმით იყო დაკავებული, რომ გაფართოებულიყო სპარსეთის სელჯუკ მმართველთა ხარჯზე; მათი სირთულეები სალადინისათვის მეტად სასარგებლო იყო"* (Steven Runciman. Geschichte der Kreuzzüge. Bd. 2. München 1960. გვ. 417).

დასავლეთთან (ორიეე შემთხვევაში აღმოცენებული პოლიტიკური პირველობის სურვილის ნიადაგზე). თავისი არსებით სრულიად უცხოა ქართული ქრისტიანობისათვის და არც საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ ინტერესებთან აქვს რაიმე საერთო. სხვა საქმეა, რომ არც ქართველები და არც ქართული ქრისტიანობა არ უნდა გაითქვიფოს დასავლურ სამყაროში, მაგრამ ეს კიდეე ცალკე საკითხია და აქ განსახილველი საგანი არ არის.

აქვე მომაქვს ნაწყვეტები რუსუდანის, რომის პაპის და იეანე ათაბაგის მიმოწერიდან. რუსუდან დედოფლის წერილი რომის პაპს, ჰონორიუს მესამეს:

„უწმინდესო პაპო, მამაო და ყველა ქრისტიანის მეუფეე, ნეტარი პეტრეს ტახტის მპყრობელო. საქართველოს თავმდაბალი დედოფალი რუსუდანი, ერთგული მსახური და შენი ასული ფერხთა წინაშე შენთა თავს ვხრი და მოგესალმები. [...] ვაუწყებთ შენს უწმინდესობას, რომ ძმა ჩემი, ქართველთა მეფე [ლაშა-გიორგი], გარდაიცვალა და მისი სამეფო მე დამრჩა. ასე რომ, ვითხოვთ თქვენს კურთხევას ჩვენთვის და ყველა ჩვენი ქვეშევრდომი ქრისტიანისათვის.

დამიტოვა მეფემ შენი ლეგატისაგან მიეიღეთ შენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რათა ძმა ჩემი ქრისტიანების დასახმარებლად წასულიყო. ეს თავად მისი სურვილიც იყო და წასასვლელადაც ემზადებოდა, მაგრამ, თუ თქვენც გაიგეთ, ჩვენს ქვეყანას ბიწიერ თათართა ტომი შემოესია და მან დიდი ზარალი მიაყენა ჩვენს ხალხს. ექვსი ათასი კაცი ამოგვიწყვიტეს. ჩვენ მათგან საფრთხეს არ ველოდით, რადგან ისინი ქრისტიანები გვეგონა. მაგრამ როგორც კი მივხვდით, რომ ისინი კეთილი ქრისტიანები არ იყვნენ, მაშინვე შვერთებული ძალებით შევუტიეთ მათ, ოცდახუთი ათასი კაცი დავეხოცეთ, ბევრი ხელთ ეიგდეთ, დანარჩენები გავდევნეთ ჩვენი მიწებიდან. ამის გამო დავრჩით და ლეგატის [პელაგიუსის] მითითებისამებრ ვერ წამოვედით.

დიდად გავიხარეთ, როდესაც შევიტყვეთ, რომ შენი ბრძანებით იმპერატორს [ფრიდრიხ მეორეს] მართებს, წმინდა ადგილების დასახსნელად ეხლა სირიაში წავიდეს. მოგვწერეთ ჩვენ, თუ როდის უნდა წავიდეს იმპერატორი და ჩვენც გაეგზავნით ჩვენს მსაყდარომთავარ იეანეს მთელი ჩვენი ჯარით ქრისტიანების დასახმარებლად, წმიდა საფლავის გასათავისუფლებლად ჩამოვლენ იმ ადგილას, სადაც მას უბრძანებთ ჩასვლას.

აგრეთვე გაუწყებთ, რომ ხსენებულმა მხედართმთავარმა და ჩვენი სამეფოს ბევრმა წარჩინებულმა მიიღო ჯვარი და თქვენს გამოსვლას ელოდებიან. ამისათვის ევედრებით და ვთხოვთ შენს უწმინდესობას, მოგვწეროს თავისი წერილი და გვიბოძოს თავისი კურთხევა ჩვენ, აღმოსავლეთში მცხოვრებ ქრისტიანებს. [...]"[11]

რამდენად ჭეეიანურია ჯვაროსნული ლაშქრობისათვის მზადება მონღოლთა შემოსევის მერე, როდესაც წინა და შუა აზიაში ვითარება შესამჩნევად აირია და ნაწილობრივ პოლიტიკურ ძალთა კონსტელაციაც კარდინალურად იცვლება, ცალკე საკითხია (აქ ისიც ჩანს, – ვიმეორებ უკეე გამოთქმულ მოსაზრებას, – რომ, განსხვავებით დავით აღმაშენებელის საქართველოსაგან, მსტოვართა სისტემას თავქარიანი რუსუდანის დროს, როგორც ჩანს, მაინცდამაინც დიდი ყურადღება აღარ ექცევა. რადგან ჯვეებს და სუბუდაის რეიდის შემდეგ მონღოლთა საფრთხე ჩაეღლილად ჩათვალეს. შუა აზიაში მიმდინარე მოელენების რეალურ საქმის კურსში არ არიან, ან კიდეე სათანადოდ ვერ აფასებენ იქიდან მომავალ საფრთხეს, რაც ისევე სახელმწიფო პოლიტიკის სისუსტეა). მნიშვნელოვანია, რომ ამ დროს შექმნილია სრული საფუძველი, რათა საქართველო აღმოსავლეთიდან ჩაერთოს ევროპელთა ჯვაროსნულ ლაშქრობებში. საქართველოს მეფე აღიარებს: რომის პაპი არის ყველა ქრისტიანის მეუფე. ჯვარი იტვირთეს საქართველოს დიდებულებმა (რაც, როგორც ქართული მასალა გვიჩვენებს, ახალი ნამდვილად არ ყოფილა ქართველებისათვის) და რომის პაპისაგან შესაბამისი კურთხევაც მიიღეს. ამასთან, ჯვაროსნულ ლაშქრობაში ჩართვას უკეე ლაშა-გიორგი აპირებდა და მისი სამზადისი მონღოლების გამოჩენამ

[11] ილია ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და ნიგნსაცავებში (XIII-XVI საუკუნეები), თბილისი, 1984, გვ. 176-177. მიხეილ თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბილისი, 1999², გვ. 474-475.

ნაშალა (დასავლურ სამყაროსთან პოლიტიკური დაახლოების ეს ტენდენცია, დავით აღმაშენებელზე ამჯერად აღარ ეისაუბრებ, საკარაუდოდ თამარის ეპოქაშივე იღებს დასაბამს, და ამის გამოხატულებაა ქართული სამეფო კარის ტრაპიზონის კამპანია).

ივანე მხარგრძელმა აგრეთვე გაუგზავნა წერილი რომის პაპს, ჰონორიუს მესამეს: „ [...] *მინდა ვაცნობო თქვენს უწმინდესობას, რომ ჩემი უფალი მეფე* [ლაშა-გიორგი] *გარდაიცვალა და წმინდა მადლით და თქვენი ლოცვა-კურთხევით ჩვენ მეფედ სხვა* [რუსუდანი] *ავირჩიეთ. თქვენი წმინდა და სამართლიანი ბრძანება, თქვენი ლეგატის საშუალებით გამოგზავნილი, მეფემდე და ჩემამდე მოვიდა, მაგრამ როდესაც ჩვენ ვემზადებოდით იარაღის, სურსათის, ცხენებისა და მებრძოლთა საჭირო მარაგით, რათა წამოვსულიყავით ქრისტიანების დასახმარებლად და წმიდა საფლავის გასათავისუფლებლად, ჩვენს ქვეყანას ჯვრის ნიშნებით შენიღბული თათრები შემოესივნენ. გარეგნულად ისინი ქრისტიანულ აღმსარებლებს ჰგავდნენ. ასე მოგვატყუეს და ექვს ათასამდე კაცი მოგვიკლეს.*

მაგრამ, როდესაც ჩვენ მივხვდით, რომ ისინი ნამდვილი ქრისტიანები არ იყვნენ, მაშინ თქვენი წყალობით და წმინდა ჯვრის დახმარებით ჩვენ შევუტიეთ მათ და დავუხოცეთ 25 ათასამდე ცხენოსანი. გარდა ამისა, ზოგი დავატყვევეთ, ხოლო სხვები ვაიძულეთ, ჩვენს საზღვრებს გასცლოდნენ. და ეს იყო მიზეზი, რომ ვერ შეეძელით, შეგვესრულებინა თქვენი ბრძანება, რომელიც ლეგატის საშუალებით გადმოგვეცით.

მაგრამ, როდესაც გავიგეთ, რომ თქვენ მოუწოდეთ იმპერატორს [გერმანიის იმპერატორ ფრიდრიხ მეორეს] *და დასავლეთის სხვა ქრისტიანებს, რომ მათ მართებდათ მიმსახურებლიყვნენ წმინდა საფლავის გასათავისუფლებლად, ძალიან გავიხარეთ და გვინდა ვაცნობოთ, რომ რამდენადაც ჩვენ უკვე მივიღეთ თქვენი ბრძანება, ჩვენ მზად ვართ, ძალიან ჩვენი ლაშქრით მოვიდეთ ქრისტიანების დასახმარებლად. პირადად მე ვაპირებ წმინდა მიწებისათვის ომში მონაწილეობის მიღებას ორმოცი ათასი მებრძოლით, როდესაც ეს თქვენთვის სასურველი იქნება, რადგან, როგორც თქვენთვის ცნობილია, მე და ჩემი ქვეყნის ბეერმა წარჩინებულმა თავადმა ჯვარი მივიღეთ.*

ამასთანავე ვთხოვთ თქვენს უწმინდესობას, გამოგზავნოთ ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის თქვენი ლოცვა-კურთხევა, რათა თქვენი ლოცვა-კურთხევით და უფლის მადლით ჩვენ შეძლოთ, რწმენით ვემსახოთ უფლის სადიდებლად ბრძოლისათვის. [...]"[12]

ივანე ათაბაგის წერილშიც პირდაპირ ჯვაროსნული იდეოლოგია ფიქსირდება უკვე-ოღონდ ივანე მხარგრძელის წრეგადასულ ძალაზე რუსუდანის სუსტი მმართველობის დროს ისიც მიანიშნებს, რომ ჰონორიუს მესამეს მეფეზე გრძელ წერილს უგზავნის. რომის პაპი რუსუდანს პასუხობს ერცელი წერილით, ხოლო ივანეს – გაცილებით მოკლეთი. დიპლომატიურ ეტიკეტში ყველა ამ ნიუანსს დიდი დატვირთვა აქვს. მაგრამ ივანე მხარგრძელის წერილიდანაც ეგებულობთ: ქართველმა დიდებულებმა იტვირთეს ჯვარი და რომის პაპს სთხოვენ ლოცვა-კურთხევას.

რომის პაპის, ჰონორიუს მესამის საპასუხო წერილი დედოფალ რუსუდანს. წერილი თარიღდება 1224 წლის 12 მაისით და მეტად საგულისხმო დებულებებს შეიცავს: „ [...] *უფლის მიერ დიდად გავიხარეთ იმ პატიჟისცემით, რომლითაც შენ ხარ განწყობილი ჩვენდამი და რომის ეკლესიისადმი – მთელი ქრისტიანობის დედისა და მასწავლებლისადმი და ასევე, შენი ღვთისმოსაკი განზრახვით – მონაწილეობა მიიღოთ წმინდა ადგილების განთავისუფლებაში.* [...] *თუმცა ჩვენ ხორციელად თქვენგან შორს ვიმყოფებით, მაგრამ სულიერად თქვენთან ვართ. შენ და შენი სამეფოს სხვა ქრისტიანებს გულითადი თვალით გიყურებთ და გვიყვარხართ რწმენისათვის, რომელიც თქვენ უფალ იესო ქრისტესადმი გაქვთ. მის მიმართ თქვენი რწმენა მით უფრო მისაღებია, რამდენადაც თქვენ ამ რწმენას იცავთ ურჯულო ხალხთა გარემოცვაში. ამ ურჯულო ხალხთა შორის თქვენ ანათებთ, როგორც ლამპარი სიბნელეში და იტანჯებით ისე, როგორც შროშანი ეკლებში, რისთვისაც*

[12] ილია ტაბაღუა (1984). გვ. 178-179. მიხეილ თამარაშვილი (1995), გვ. 475-476.

დაჯილდოებული იქნებით. მიაღწეთ რა სასურველ მიზანს. ეს იქნება თქვენი სულების ხსნა. [...]

ხოლო რაც შეეხება იმას, რომ შენ გსურს შეიტყო ქრისტეს მიერ საყვარელი შვილის, რომაელთა ბრწყინვალე და უაღგუსტოესი იმპერატორის, სიცილიის მეფის, ჩვენი ფრიდრიხის სალაშქროდ წასვლის დრო, გვთავაზობ რა შენს დახმარებას და მონაწილეობას წმინდა მიწების განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, ვაქებთ უფლისმიერ შენს მისწრაფებას. ამ წერილით მოგახსენებთ, რომ იმპერატორს განზრახული აქვს მიიღოს მონაწილეობა ურწმუნოთა ხელიდან წმინდა მიწების განთავისუფლებაში [...] წმინდა იოანე ნათლისმცემელის დღესასწაულიდან ერთი წლის შემდეგ. [...]

შემდეგ, მივუთითებთ შენს უბრწყინვალესობას და მოვუწოდებთ მას უფლის მიერ, რათა თანახმად შენი საქებარი დაპირებისა, ეცადო და ისე მოამზადო შენი ლაშქარი, რომ შესძლო შენი დიდებულებისათვის ღირსეული სამსახური გაუწიო უფალ იესო ქრისტეს. რათა შენ და შენი ქვეშევრდომები უფრო მეტი გულმოდგინებით და უფრო მეტი ღვთისმოსაობით ემზადებოდეთ ესოდენ წმინდა საქმისათვის, რითაც დიდ სამსახურს გაუწევთ უფალს, შენს ერთგულებას ვაუწყებთ, რომ ვინც ამ საქმეში მონაწილეობას მიიღებს: ან თვითონ წავა თავის ხარჯზე, ან თუ თვითონ ვერ წავა, მაგრამ შესაძლებლობის მიხედვით, თავის ხარჯზე შემცველელ ადამიანს გაგზავნის, ასევე ისიც, ვინც სხვის ხარჯზე პირადად მიიღებს მონაწილეობას – ყველა ისინი მიიღებენ მოციქულებრივ შენდობას ყველა ცოდვის მიტევებით, რასაც ისინი ჭეშმარიტად მოინანიებენ აღსარების თქმის დროს.

ასეთივე შენდობას დაიმსახურებენ ლაშქრობის სხვა მონაწილეებიც მაგალითად წელილისა და მისწრაფების მიხედვით, რომელთაც ისინი გამოიჩენენ, დაეხმარებიან რა წმინდა მიწას თავიანთი ქონებით ან ზემოაღნიშნული მოქმედებით. ამ იმდენად დიდ ისტორიულ აქტიას, რომელიც დამტკიცებულია წმინდა და მსოფლიოს ეკლესიის კრების მიერ, ჩვენ ვუბოძებთ ყველა ქრისტიანს, ხოლო განსაკუთრებით შენ და შენი სამეფოსა და მმართველობის ქვეშ მყოფ ყველა ქვეშევრდომ ქრისტიანს. [...] "[11]

უაღესად მნიშვნელოვანი უნდა იყოს XIII საუკუნის დასაწყისში რომის პაპის მიერ ქართველთა მოხსენიება ერად, რომელიც ურჯულოებს შორის ლამპარივით ანათებს. ამასთან, რომის პაპის ქართველებისადმი გაგზავნილი წერილი მეტად ჰგავს რომის პაპების გზავნილებს, რომლებიც ფრანგ ან გერმანელ მეფეებს, ჰერცოგებსა და ბარონებს ეგზავნებოდათ. რადგან რომის პაპი, ჯვაროსნული ომების ტრადიციის შესაბამისად, წინასწარ მიუტევებს ცოდვებს ყველა ქართველ მეომარს, ვინც ამ რელიგიურ ლაშქრობაში მიიღებს მონაწილეობას, აგრეთვე იმათაც, ვინც თვითონ ვერ წავა ომში, მაგრამ რაიმე ფორმით დაეხმარება საომრად წასულებს. აგრეთვე არ უნდა იყოს ჩვეულებრივი ფაქტი, რომ რომის პაპი წერილის ბოლოს ხაზს უსვამს ქართველ ქრისტიანთა განსაკუთრებულობას.

რომის პაპმა, ჰონორიუს მესამემ აგრეთვე მოსწერა პასუხი ივანე მხარგრძელს. ეს წერილიც 1224 წლის 12 მაისით თარიღდება: „ [...] *გავიხარეთ უფალ ქრისტეს მიერ [...] შენი საქებარი და ღვთისმოსაცი განზრახვით, აღმოუჩინოთ დახმარება წმინდა მიწას. [...] ამასთან დაკავშირებით ვაცნობებთ შენს დიდსულოვნებას იმის შესახებ, რაც შენ გაიგე ქრისტეს მიერ დამსახურებულ შვილზე, ჩვენს უაგგუსტოს ფრიდრიხზე, რომის ბრწყინვალე იმპერატორსა და სიცილიის მეფეზე, წმინდა მიწებთან დაკავშირებით, ჭეშმარიტებას წარმოადგენს. [...] ამრიგად, გიგზავნით რა მოციქულებრივ წერილს, მივუთითებთ შენს წარჩინებულებას და მოგიწოდებთ, რათა შენი საქებარი და დიდსულოვანი დაპირების თანახმად იზრუნო შენი ჯარის მომზადებაზე, რათა შესძლო, როგორც ეს შენს დიდებულებას შეეფერება, მოხვიდე საჭირო დროს ქრისტიანთა ჯარის საშველად და შეასრულო უფალ იესო ქრისტეს შესაფერისი სამსახური, რათა შენ, შენმა ქვეშევრდომებმა და ყველა სხვამ*

[11] ილია ტაბაღუა (1984). გვ. 180-182. მიხეილ თამარაშვილი (1995). გვ. 476-477.

საჯაროდ გამოცხადებამდეც კი იცოდეს,რომ შენი პიროვნება ჩვენ გულწრფელად გეიყვარს უფლის მიერ და უფლის მიერვე ძალიან გეიხარია შენი რწმენა და თავდადება. [...]"[14]

მთელი ეს კორესპოდენცია ნათლად ადასტურებს: როგორც ითქვა, ორჯერ, ლაშა-გიორგისა და რუსუდანის დროს, ყველაფერი მზად იყო საიმისოდ, რათა ქართული არმია უკვე ევროპელებთან ერთად წასულიყო ჯვაროსნულ ომში. ლაშქრობისათვის მზადება იმ კონდიციამდე იყო მისული, რომ ქართველ დიდებულებს ჯვაროსნული ომისათვის აუცილებელი ჯვარის აღების რიტუალი უკვე შესრულებული ჰქონდათ და რომის პაპისაგან ყველამ ოფიციალურად მიიღო ცოდვების შენდობა, ვინც ჯვაროსნულ ლაშქრობაში მიიღებდა მონაწილეობას, ან ომში წასულებს გაუწევდა დახმარებას. ეს მოვლენები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, თუ რა დომინანტური პოზიცია უჭირავს ამ დროის საქართველოში ქრისტიანულ იდეოლოგიას. ჯვაროსნულ ლაშქრობებში საქართველოს ასეთი უშუალო და უმტკივნეულო ჩართვა სწორედ ამ ორი სამყაროსათვის დამახასიათებელი საერთო იდეოლოგიური საფუძველებით აიხსნება.

მონღოლთა დროს დასავლეთევროპელები ცდილობენ ირანის ილხანთა სახელმწიფოსა და ქრისტიანებთან ერთად ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზებას. ამასთან, თუ სპარსეთის ილხანთა სახელმწიფოს, ბუნებრივია, მხოლოდ პოლიტიკური ინტერესები ჰქონდა ამ შემთხვევაში, ქართველთა უმთავრესი მოტივაცია სწორედ რელიგიური უნდა ყოფილიყო. საინტერესოა, რომ ქართველთა ჯარმა, მართალია მონღოლების მხარდამხარ, მაგრამ მაინც, XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე შეძლო იერუსალიმის აღება. ამდენად, იერუსალიმზე სწორება რჩება შუა საუკუნეების ქართული ქრისტიანული იდეოლოგიის ერთ-ერთ მთავარ ნიშნად. 1300 წელს, მამლუქთა ჯარის დამარცხების შემდეგ, რაშიც დიდი წვლილი ქართველებსაც მიუძღოდათ, ყაზან ყაენმა იერუსალიმი ქართველებს გადასცა. მაგრამ ქართველებმა მხოლოდ ერთ წელს შეძლეს იერუსალიმის შენარჩუნება. ამ ინფორმაციას ევროპული წყაროებიც გვაწვდიან[15]. ევროპელი მეცნიერი ბერტოლდ შპულერი შენიშნავს, რომ თვით ყაზან ყაენის დროსაც კი ომებში ქართულ არმიას წინ ჯვარი მიქონდა[16]. ეს ფაქტიც მნიშვნელოვანი უნდა იყოს იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო გამოსახული ქართულ დროშაზე. და ქართველთა მძლავრი ქრისტიანობის შესახებ ევროპელებსაც დეტალური ინფორმაცია გააჩნდათ. შესაბამისად, დასავლეთევროპულ წყაროშიც საქართველოს დროშაზე ხუთი ჯვარის დატანა აღარ არის ისეთი გასაკვირი მოვლენა.

ამ კუთხით საინტერესოა აგრეთვე ჯვაროსნული ომების შესახებ ევროპელ მეცნიერთა მიერ შედგენილი აღმოსავლური წყაროების კარგად ცნობილი კრებული: Recueil des Historiens des Croisades, Historiens Orientaux, t. 1-5, Paris. აქ შეკრებილი აღმოსავლური წყაროები, ცხადია, ევროპელ მეცნიერთა მიერაა ამოკრებილი და დალაგებული. მაგრამ მაინც მეტად თვალსაჩინოა, როგორ თავსდება ერთმანეთის გვერდზე პალესტინაში მიმდინარე მოვლენები, ანუ ჯვაროსანთა ბრძოლა და შემდეგ თხრობა უშუალოდ ქართველთა დაპყრობით ომებზე გადადის ხოლმე.

ქართული სახელმწიფო დროშის საკითხისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის უნდა იყოს ცნობა, რომლის თანახმადაც გიორგი ბრწყინვალე იერუსალიმზე ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობას აპირებდა. სამწუხაროდ, ამ საკითხზე შემორჩენილი ინფორმაცია მწირია, მაგრამ ეს მცირე ცნობებიც ნათელს ხდის, რამდენად დიდი მასშტაბის ქვეყანაა

---

[14] ილია ტაბაღუა (1984) გვ. 183-184. მიხეილ *თამარაშვილი* (1995), გვ. 477-478.

[15] Anna-Dorothee von den Brincken. Die „Nationes Christianorum Orientalium" im Verstehndnis der lateinischen Historiographie (von der Mitte des 12. bis in die zweite Hälfte des 14. Jahrhunderts), Köln 1973. გვ. 119. ბენიამენ *ტუდელელი*, მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის (ქართველების ბრძოლა პალესტინის წმინდა ადგილების განთავისუფლებისათვის მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებში), შრომების კრებულში: ქართული წყაროთმცოდნეობა, 2. თბილისი, 1968, გვ. 93. მიხეილ *თამარაშვილი* (1995). გვ. 494.

[16] Bertold Spuler. Die Mongolen in Iran. Politik, Verwaltung, und Kultur der Ilchanenzeit 1220-1350. Berlin 1968, გვ. 208. სხვათა შორის, შპულერი ამავე წიგნის 402-403 გვერდებზე აღმოსავლურ წყაროებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ მონღოლთა სახელგანთქმულ სიმამაცეს უტოლდებოდა ქართველთა სიმამაცე.

ამ დროის საქართველო და რა მნიშვნელობას აძლევენ საქართველოს სამეფოს ევროპელები.

XIV საუკუნის დასავლეთ ევროპაში დაიწყო მზადება მორიგი ჯვაროსნული ლაშქრობისათვის[17]. ფილიპე VI ვალუა ელჩებს უგზავნის სპარსეთის ილხანს და საქართველოს მეფეს. საფრანგეთის მეფეს სურს ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზება. ეს ხდება 1331-1333 წლებში. იმავე დროს ფილიპე VI მოლაპარაკებას აწარმოებს ევროპელ მონარქებსა და ეენეციელებთან. ფილიპე VI ფრანგ მისიონერს, სავარაუდოდ რიკარდო მერჩერს გზავნის სპარსეთში. მერჩერი თავრიზში ჩადის 1332-1333 წლებში. მერჩერს თან აქვს ფილიპე VI წერილები თავრიზის ფრანცისკანელთა პრიორთან და თავრიზში ლათინთა მთავარ ვაჭრებთან. ფრანცისკანელთა პრიორს და ლათინ ვაჭრებს რიკარდო მერჩერი უკეე უნდა გაეგზავნათ სპარსეთის ილხან აბუსაიდთან და საქართველოს მეფესთან. მაგრამ ფრანცისკანელთა პრიორმა და ლათინმა ვაჭრებმა რიკარდო მერჩერს შეატყობინეს, რომ საფრანგეთის მეფის წინადადების აბუსაიდისათვის გამეელავნება არ იქნებოდა სასურველი, რადგან ილხანთა სახელმწიფოს ცოტა ხნის წინ კავშირი დაუდეეს ეგეეიპტის მამლუქებთან, რომლებიც შესაძლო ჯვაროსნული ლაშქრობის მთავარ სამიზნეს წარმოადგენდნენ. ამიტომ თაერიზის თათბირზე გადაწყდა, წერილი გაეგზავნათ მხოლოდ საქართველოს მეფესთან. ეს მეფე გახლავთ გიორგი ბრწყინვალე. ფილიპე VI-ის წერილით ელჩებად საქართველოში უშეებენ რიკარდო მერჩერს და ალექსანდრე ინგლისელს. გიორგი ბრწყინვალეს ფრანცისკანელები თბილისში ორი თვის განმავლობაში დიდი პატივით მიუღია, შეპირდა დახმარებას და გაატანა საპასუხო წერილი საფრანგეთის მეფესთან. წერილს ადრესატამდე უცნობი მიზეზების გამო თითქოს არ მიუღწეია. მაგრამ ფრანცისკანელთა ნაწერებს შემოუნახავთ გიორგი ბრწყინვალის საპასუხო ტექსტი: *„საფრანგეთის დეთაებრივი ხელმწიფენი ხშირად აღძრაეენ აღმოსაელეთის მეფეებს სარკინოზთა წინააღმდეგ (საბრძოლველად), მაგრამ [...] შემდეგ ისინი აღარ მოდიან, სტოვეენ რა* [აღმოსაელეთის მეფეებს] *ამ მტანჯველ ომში (მარტოდ). ამგვარად, (ეთხოვთ) თქვენ დაადგინოთ (გადაწყვეტოთ), როგორ და როდის გადმოლახავთ ზღვას და მყისვე მეც (იქ) მიხილავთ, თქვენი კეთილი ნების შესაბამისად, 30 000 ჯარისკაცით"*[18].

საფრანგეთის მეფისათვის გიორგი ბრწყინვალის მიერ გაგზავნილი წერილიდან ნათლად ჩანს როგორც თვითონ გიორგი ბრწყინვალეს, ასეეე საქართველოს სამეფოს სიმძლავრეც. ერთი შეხედვით უცნაურია, როდესაც ქართველი მეფე მიმართავს ფრანგ მონარქს, რომ აღმოსაელეთის მეფეებს ფრანგი მეფეები ჯვაროსნული ომებისაკენ მოუწოდებენ, მაგრამ შემდეგ თვითონ აღარ მოდიან საბრძოლველად. მაგრამ უშუალოდ ჯვაროსნული ომების ეპოქიდან თითქმის საუკუნეა გასული. გიორგი ბრწყინვალე კი, როგორც ჩანს, უკეე ამოდის XIII საუკუნის მეორე ნახევარის და მისი დროის რეალობიდან. ამ დროს კი იერუსალიმისათვის ბრძოლის პრიორიტეტი ძირითადად მართლაც სპარსეთის ილხანთა სახელმწიფოს და საქართველოს მხარეს გადმოდის. დასაელეთევროპელთა მხრიდან ხშირია კოალიციის შეკვრის წინადადებები, მაგრამ XIII საუკუნის მეორე ნახევარიდან პალესტინაში ფაქტიურად ევროპელთა არცერთი არმია აღარ ჩასულა. გიორგი ბრწყინვალე ამ შემთხვევაში ალბათ უშუალოდ საკუთარ გამოცდილებასაც ემყარება, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ დიდი მეფის შესახებ შემორჩენილი მწირი ინფორმაციიდან უნდა აღეადგინოთ ხილვე საერთო სურათი.

დაახლოებით ამ დროსვე, 1339 წელს, ათავსებს ანეელინო დულჩერტი თავის პორტოლანსე, საქართველოს სამეფოს ტერიტორიასე წითელ ხუთჯვრიან დროშებს. როგორც ენახეთ, გიორგი ბრწყინვალე ამზადებს ჯვაროსნულ ლაშქრობას. ამ ჯვაროსნულ

---

[17] აღნიშნული ამბების აღნერისას მიეხდეე შემდეგ სტატიას: ვაჟა *ყუნაძე*, საქართველოს ისტორიის ევროპული წყაროები, ჟურნალში: მნათობი, 4. 1983. გვ. 158-164. ავტორი, როგორც თვითონ აღნიშნავს, ემყარება ჯიროლამო გოლუბოვიჩის (იგივე კარდინალი იერონიმე) ფუნდამენტურ ნაშრომში დაცულ მონაცემებს.

[18] ვაჟა *ყუნაძე* (1983), გვ. 159.

ომში მონაწილეობის მიღებას გიორგი ბრწყინვალეს სთხოეს საფრანგეთის მონარქი. ამასთან, ამ დროისათვის გიორგი ბრწყინვალე ქრისტეს საფლავის გასაღებებსაც ფლობს უკვე. ყოველივე ამის გათვალისწინებით, რატომ იწვევს გაკვირვებას, რომ წითელი ხუთჯვრიანი დროშები, დროშები იერუსალიმის ჯვარით იგივე დულჩერტის პორტოლანზე შეიძლება საქართველოს სამეფოსი იყოს, ჩვმთვის ცოტა ძნელი გასაგებია.

როგორც ითქვა, იერუსალიმისათვის ბრძოლის იდეა ქართველ მეფეებთან დასაბამს იღებს ვახტანგ გორგასალთან და უწყვეტ ხაზად გასდევს ჩვენს ისტორიას მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში. ეს იდეა განსაკუთრებული სიმკვეთრით ჩნდება ვახტანგ გორგასალთან, დავით აღმაშენებელთან, თამართან, ვახტანგ მესამესთან, გიორგი ბრწყინვალესთან. ეს იდეა ლაიტმოტივად გასდევს ქართველ სასულიერო პირთა მიმართებასაც იერუსალიმთან, როდესაც ქრისტეს საფლავი და გოლგოთა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ქართველთა ხელში გადმოდის. იერუსალიმისათვის სამხედრო ბრძოლის იდეა კიდევ ერთხელ იფეთქებს XVI საუკუნის დასაწყისში. ამ დროს ქართლის მეფე გიორგის, იმერეთის მეფე ბაგრატის და კახეთის მეფე ლევანის შეერთებულ ძალებს პოლიტიკური ვითარება საშუალებას მისცემს, რომ თურქეთის სულთანის ნებართვით დაიპყრონ იერუსალიმი და იქიდან გააძევონ, როგორც ჩანს, ეგვიპტელები. ბერი ეგნატაშვილი მოგვითხრობს: *„ხოლო ამას ჟამსა წარმოუგზავნა კაცი ხონთკარმან მეფეს გიორგის, და მპყრობელსა იმერეთისასა ბაგრატს, და მპყრობელსა კახეთისასა ლევანს, ვითარმედ: „საფლავი ქრისტესი და ადგილნი წმიდანი სჯულისა თქვენისანი დაიპყრეს უსჯულოთა და შეაბილწეს. მოვედით სპითა თქვენითა და განაძეთ ესენი და თქვენდა მიმიცემიაო“. ხოლო რა ესმა მეფესა გიორგის, და მპყრობელსა იმერეთისასა და კახეთისასა, და ყოველთაგე მორჩილთა ბრძანებისა მათისასა, განიმზადეს და შეიყარეს სპა და გაემართნენ. და [...] მივიდნენ იერუსალიმსა. [...] ხოლო ამათ მიუმტკნეს* [იერუსალიმში მდგომ ჯარს] *ბრძოლად მისლა. რა ესმა მათ საქმე ესე, გამოვიდნენ, და ეწყვნენ ურთიერთას და იქმნა ბრძოლა ძლიერად. და მოსცა ღმერთმან ძლევა ქართველთა და საფლავმან ქრისტესმან, და გაემარჯვეთ. და მეოტნი შეეიდნენ ქალაქსა შინა და გაამაგრეს. ხოლო მიჰყვნეს ქართველნი და აართვეს ციხე და ქალაქი და მოსრნეს მუნამყოფნი.* [...] *და მოსცა ქრისტეს საფლავი, გოლგოთა, ბეთლემი, ჯვარის მონასტერი და სხვანი მონასტერნი ყოველნივე ხონთკარმან მათ სიგლითა მტკიცითა“*[19].

ამდენად, დაშლილი საქართველოს ხანაში კიდევ ერთხელ ხერხდება იერუსალიმის დაპყრობა. ქართველებს ძლევას აძლევს ღმერთი და ქრისტეს საფლავი. უშუალოდ იერუსალიმის დაპყრობა ქართულმა არმიამ შეძლო ორჯერ. პირველად ვახტანგ III 1300 წელს, ხოლო მეორედ ქართლის, კახეთის და იმერეთის გაერთიანებულმა ჯარებმა XVI საუკუნის დასაწყისში. სიმპტომატურია, რომ პირველ შემთხვევაში იერუსალიმის დაპყრობა მოხდა მონღოლების პატრონაჟით, მეორეში – თურქების. დამოუკიდებელი ქართული არმია იერუსალიმის დაპყრობის მიზანთან ყველაზე ახლოს იყო თამარის და ლაშა-გიორგის დროს. თუმცა იერუსალიმისათვის ბრძოლის იდეა, როგორც ითქვა, შუა საუკუნეების მთელ ჩვენს ისტორიას ლაიტმოტივად გასდევს.

*

ზემოთაც ვახსენეთ, ქართული ხუთჯერიანი დროშის საკითხისათვის აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს დასავლეთევროპულ ცნობებს ქართველთა შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება პორტოლანებზე საქართველოსთან ჯვრებიანი დროშების მოთავსება იმავე დასავლეთევროპელთა წარმოდგენებს ქართველებზე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ყველა დასავლეთევროპულ ცნობას ქართველთა შესახებ აერთიანებს ერთი პათოსი:

[19] ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი, ნიგნში: ქართლის ცხოვრება (1959). გვ. 353-354.

ქართველები არიან მძლავრი და მეომარი ქრისტიანი ხალხი აღმოსავლეთში, მაჰმადიანების დაუძინებელი მტრები. აქ ერთ ფაქტს უნდა გაესვას ხაზი. არც ერთი დასავლური წყარო არ ეხება მაჰმადიანებისადმი ქართველთა ტოლერანტობის გამოვლინებებს, განსხვავებით იგივე აღმოსავლელი ავტორებისაგან. მაგრამ ეს ფაქტი ზოგადი დაკვირვებისთვისაა მნიშვნელოვანი და თავისი ახსნაც აქვს. ჯერ ერთი, დასავლეთევროპელები აღნიშნული ნიუანსების კურსში შეიძლება არც ყოფილიყვნენ. დასავლეთევროპული ცნობები მოგვითხრობენ იმის შესახებ, რაც მათ იციან: ქართველები არიან მძლავრი ქრისტიანული ერი, თავიანთი თავდასხმებით დიდ ზარალს აყენებენ მაჰმადიანებს, იერუსალიმში შედიან გაშლილი დროშებით, რადგან მაჰმადიანებს მათი დიდი შიში აქვთ და ასე შემდეგ. გარდა ამისა, დასავლეთევროპული ცნობები ქართველებთან წინ წამოსწევენ იმ შტრიხებს, რაც მათთვისაა მნიშვნელოვანი და ეს ბუნებრივიცაა. აღნიშნული ელემენტებია ქართველთა ქრისტიანობის შემტეკი ხასიათი და მაჰმადიანებისადმი მტრობა. მსგავსი მონაცემები კი კარგად თანხვდება ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ საქართველოს სახელმწიფო იდეოლოგიის კარდინალურ ხაზს. ქვემოთ მოტანილი მასალის ნაწილი ქართველი მკითხველისათვის კარგადაა ნაცნობი, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით მათი მოხმობა აუცილებელია, რათა რეფერენად არ გვესმოდეს კითხვა: როგორ შეიძლება საქართველოს დროშაზე ჯვარი ყოფილიყო გამოსახული? (სხვათა შორის, ეს კითხვა დღეს ისეთი სიმძაფრით აღარ აღიქვრის, როგორც რამდენიმე წლის წინ. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინ ჯერიანი დროშის საწინააღმდეგოდ ამგვარი არგუმენტი ხშირად გაისმოდა).

თუ როგორი გახლდათ ქართველთა ხატი დასავლეთევროპელებისაკენ, ამასთან დაკავშირებით საინტერესო უნდა იყოს ცნობილი გერმანელი მკვლევარის, ანა-დოროთეა ფონ დენ ბრინკენის მოსაზრებები ქართველებზე (ფონ დენ ბრინკენმა გამოსცა წიგნი აღმოსავლეთის ქრისტიანი ხალხების შესახებ, სადაც თავი მოუყარა ამ სალხებზე არსებულ ცნობებს XII-XIV საუკუნეთა ლათინურ ისტორიოგრაფიაში. ამ წიგნში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა ქართველთა შესახებ არსებულ მასალასაც. აღნიშნულ წიგნზე დაიბეჭდა გონა ჯაფარიძის რეცენზია [საქართველო XII-XIV საუკუნეების ევროპელთა თვალით. გაზეთში: ლიტერატურული საქართველო, 32, 6 აგვისტო, 1976, გვ. 4]. ამის მერე ფონ დენ ბრინკენის წიგნზე რაიმე გამოხმაურება ქართულ სამყაროში არ შემსვეედრია, თუ რაიმე არ გამომრჩა. უაღრესად სასურველია ამ წიგნის თარგმნა, რადგან ქართველების გარეშეც წიგნში არის მეტად საინტერესო ინფორმაცია აღმოსავლეთის ქრისტიანული სამყაროს ხალხებით დაინტერესებული მკვლევარებისათვის):

„ბიზანტიური რიტუალის ყველა ერი ლათინებთან უარყოფით შეფასებას არ იღებდა. სხვაგვარი იყო დამოკიდებულება ბიზანტიის გარეთ მდგომი ამგვარი სახელმწიფოებისადმი, მით უმეტეს, თუ ისინი გარკვეულ ძალას და პოლიტიკურ ავტორიტეტს ფლობდნენ. აქ ჩანს, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა პოლიტიკური ფაქტორი დასავლეთის დამოკიდებულებაში ცალკეულ ქრისტიან ერებთან, რადგანაც იყო აღმოსავლელთა ერეტიკოსებად გამოცხადება პოლიტიკურ სიტუაციაზე დამოკიდებული. ამგვარი ერის საუკეთესო მაგალითია ქართველები. [...] ასევე განსაკუთრებით იზიდავდა და სიმპათიურს ხდიდა ლათინებისათვის ქართველებს მათი წმინდა გიორგისთან მჭიდრო კავშირი. ისე რომ, ხალხური ეტიმოლოგიით მათი სახელი წმინდა გიორგისგანაც კი გამოიყვანეს"[20].

„თუ ერთმანეთის გვერდზე დავაყენებთ ლათინთა მიერ ბიზანტიელების და ქართველების შეფასებას, განსხვავებანი განმაცვიფრებელია. ორივენი იყვნენ ქალკედონელები, სქისმატიკოსები და მიუდგომელი პოზიციიდან ერთი რიგის ერეტიკოსები. მაგრამ ნებისმიერ ლათინთან ქართველები უაღრესად დიდი პატივისცემით სარგებლობენ. [...] უკვე პირველი ჯვაროსნული ლაშქრობისას ქართველები ღვთისმოსავობის იდეალს განასახიერებდნენ.

[20] Anna-Dorothee von den Brincken, Die „Nationes Christianorum Orientalium" im Verständnis der lateinischen Historiographie (von der Mitte des 12. bis in die zweite Hälfte des 14. Jahrhunderts), Köln 1973, გვ. 103, 105.

[...] *მართალია, ქართველთა მხედრულ დიდებას მეცამეტე საუკუნის დასაწყისში მონღოლთაგან ძლევის გამო ჩრდილი მიადგა, მაგრამ ლათინები მოგვიანებითაც მაინც სასწაულს ელოდებიან მათგან. ქართველებმა ხომ 1258 წელს დაიპყრეს ბაღდადი, ხოლო 1300 წელს წმინდა მიწის აღებაც შეძლეს.*

ქართველები აშკარად შეესატყვისებოდნენ ქრისტიანული რაინდის იდეალს. ისინი იყვნენ მებრძოლნი, გახსნილნი და მაშადიანებთან არ სურდათ შემგუებლური პოლიტიკის გატარება. ჰქონდათ იგივე საბრძოლო მორალი, რაც დასავლეთს, და მოტივი, რომ წმინდა გიორგი მათი პატრონი იყო, დასავლელებს მეტად ხიბლავდა. [დასავლეთევროპელის] მსგავსი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემაც ქართველების მიმართ ლათინელებში დიდ კეთილგანწყობას აღძრავდა. დასავლელებს სჯეროდათ, რომ ოცნება იდეალური მოკავშირისა, რომლის სამფლობელოები გოგის და მაგოგის სამყოფელამდეა გადაჭიმული და რომლის ტერიტორიაზეცაა რიგი საკრალური ადგილებისა, რეალურად განხორციელებულია"[21].

წმინდა საფლავის კანტორი ანსელუსი
1108 წ.

„ [...] *ამ ჯვარს ქართველთა მეფე დავითი, ვიდრე ცოცხალი იყო, დიდ თაყვანისცემას და სიყვარულს უძღვნიდა. ის დავითი, რომელსაც მისი წინაპრების მსგავსად კასპიის კარები, გოგის და მაგოგის ხალხებს რომ აკავებს, ეჭირა და დარაჯობდა, რასაც მისი შვილი დღემდე ასრულებს, ვისი ქვეყანა და სამეფო მიდიელთა და სპარსელთა წინააღმდეგ ჩვენი, ანუ კოქეთი, წინა ბურჯია"*[22].

ჯვაროსნული ომების ეპოქიდან ქართველთა შესახებ არსებულ პირველივე დასავლურ ცნობებში ქართველებს ქრისტიანული პოზიციიდან ლამის აპოკალიპტური მისია ენიჭებათ. რადგან დასავლეთ ევროპის წარმოდგენით გოგის და მაგოგის აპოკალიპტური, კაციჭამია ხალხები ალექსანდრე მაკედონელმა ჩაკეტა კავკასიონს გადაღმა. ანტიქრისტეს გამოჩენისას გოგი და მაგოგი ჯებირებს გადმოანგრევენ. იმ დრომდე გოგს და მაგოგს კავკასიონს გადაღმა აკავებენ ალექსანდრე მაკედონელის მიერ აღმართული ჯებირები და რიგ დასავლურევროპულ ცნობებში – ქართველები. ანუ თავიდანვე მოცემულია ქართული ტერიტორიის და ქართველების ერთგვარი საკრალურობის მოტივი ქრისტიანული პოზიციიდან, რასაც დროშის პრობლემისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს (აღნიშნულ საკითხს ქვემოთ დეტალურად შეეხები). ასევე თავიდანვე დასავლეთევროპელებისათვის ქართველები არიან მძლავრი ქრისტიანი ერი და მოკავშირეები.

ანტიოქიის კანცლერი გალტერიუსი, ანუ გოტიე
1121-22 წლები

ქართულ ისტორიოგრაფიაში უკვე მრავალჯერ ციტირებულ ცნობაში გოტიე მოგვითხრობს, რომ ილ-ღაზიმ შეკრიბა თურქმენთა და არაბთა ურიცხვი ჯარი. შეკრებილთა სიმრავლით გაამპარტავნებულმა ალეპოდან ერთ ხორასანელ (სპარსელ) სულთანთან ერთად გაილაშქრა იბერიაში (ან მიდიაში) დავით მეფის წინააღმდეგ. „*რათა მისი დაქცევის ან განდევნის შემდეგ, თავისუფლად და სრულიად შედგომოდა იერუსალიმის და ანტიოქიის დამორჩილებას და ქრისტიანთა ამოწყვეტას.* [...] *სიამაყით მოლაშქრეს* [ილ ღაზის] *ღვთის რისხვა ედგა წინ: იმავე დღეს, როდესაც სულთანი და თვით ილ ღაზი 600 000 მეომრით*

[21] Anna-Dorothee von den Brincken (1973), გვ. 125.

[22] ზურაბ ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, თბილისი, 1989, გვ. 17-21. Migne, Patrologia Latina, t. 162. გვ. 729-732.

მეფის ქალაქში საიმრად შესულან. მეფე დავითი, წმინდა ჯვრის ნიშნით აღჭურვილი, 80 000 მედიელი და ქრისტიანი მეომრით, მოაწყო რა რაზმები, ორ მთას შუა მდებარე, ტყით დაბურულ ხეობაში განერდა. საიდანაც მტრის შეტევას ელოდნენ.

[მეომრებს] *ასე მიმართა: ქრისტეს მეომრებო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად წესიერად ეიბრძოლეთ, არაფერ ეშმაკის ურცხვ მიმდევარს, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთ რაზმს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება. ის რომ, ჩვენ ყველამ ხელების ცისკენ აპყრობით ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე მოვკვდებით და არ გავიქცევთ. და ვინდაც გვინდოდეს, გაქცევა რომ ვერ შეეძლოთ, ამ ხეობის შემოსასვლელი, საიდანაც შემოვედით, ხეების მორებით ჩავხერგოთ.* [...] *მაშინვე ხეობის მეორე მხარეს მეომრების ძლიერი ყიჟინით* [აურსაურით], *ცხენებისა და საჭურველის უკიდურესი ხმაურით, სხვადასხვაგვარ საკრავთა ღრიანცელით, ურჯულოთა ზარდამცემი ბაირაღებით ჩნდებიან [მოწინააღმდეგენი]. ხოლო მეფე დავითი ამდენ სიმხეცეს მოთმინებით იტანს, თავისიანებს მამაცი სულით ამხნევებს და ანუგეშებს. უმტკიცებს* [რწმენას], *რომ ურჯულოთა გაამაყებული სიმრავლე. წმინდა ჯვარის ძალით და შეწევნით, ნაკლები ჯარით, სწრაფად დამარცხდება.*

ამის მერე, ურიცხვი ბრბოს დანახვისას, ამაყი სულით ატაცებული ქრისტეს მსახურები ძლიერი ყიჟინით თავს დაესხნენ [მოწინააღმდეგეს]. *ხოლო* [წარმართები] *ეყლეის ძალით პირველი შეტაკებისთანავე ბრმავდებიან.* [...] *ღვთის რისხვამ ბოროტნი ქრისტეს მსახურთა და მიდიელთა მახვილის მსხვერპლად აქცია.* [...]"[23]

გალტერიუსის ტექსტი არის ჯვაროსნულ ომებთან დაკავშირებული ლიტერატურის კლასიკური ნიმუში. ოღონდ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გალტერიუსი დავითის ან დიდგორის ბრძოლის მოვლენების სტილიზაციას ახდენდეს ჯვაროსნულ იდეოლოგიასთან შეხამებაში მოსაყვანად. სწორედ ეს არის საინტერესო: გალტერიუსს ეს სტილიზაცია არ სჭირდება, იმდენად თანხვდება დასავლეთევროპელების და ქართველების იდეოლოგიის მსოფლმხედველობრივი საფუძვლები ერთმანეთს. ქართულ ისტორიოგრაფიაში მრავალჯერ აღნიშნულა ის ფაქტი, რომ გალტერიუსის მიხედვით, ილ-ღაზისთან ბრძოლით დავითი ფაქტიურად იერუსალიმს და ჯვაროსნებს იცავს. დავითი იბრძვის ჯვარის ნიშანით აღჭურვილი. დავითის არმიას ქრისტეს მეომრები შეადგენენ. დავითის სიტყვა უადრესად მძლავრი მეხტის მატარებელია გალტერიუსთან. ფაქტიურად ქრისტეს მეომრები მიდიან ჯვაროსნულ ომში, იჭრიან უკან დასახვე გზას. გარდა ამისა, მეტად შთამბეჭდავია დავითის ნათქვამი: თუ იბრძოლებენ სარწმუნოების დასაცავად, არათუ ეშმაკის მიმდევრებს (მაჰმადიანებს), არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დაამარცხებენ. აქ ლამის მისტიკური ელემენტი შემოდის დავითის მძლავრი პიროვნების დახასიათებისას. თუ ეს ელემენტი უკვე დავითის სიცოცხლეში ჩნდება მოვლენათა რეალური აღწერისას, გასაკვირი არ არის, რომ უკვე დავითის გარდაცვალების შემდეგ დასავლეთევროპელებთან დავითზე ამ მისტიკური ელფერის მატარებელი ლეგენდები შექმნილიყო პრესბიტერ იოანეს და მეფე დავითის ლეგენდების სახით. ბრძოლის სურათის აღწერაც ჯვაროსნული ლიტერატურის ტრადიციულ მოდელს თანხვდება. წარმართებისათვის ამპარტავნებასთან ერთად ნიშანდობლივია აურსაური, ღრიანცელი, ამქვეყნიურზე დანდობილი მრავალრიცხოვნება, ხოლო ქრისტიანებისათვის – სიმდაბლე, ბრძოლის წინ მდუმარე ლოცვა და მტრის მორჩილად ლოდინი. დამკვრება არა საკუთარ სიმრავლესა და ძალაზე, არამედ მხოლოდ ღმერთზე. ამ მოდელს ჯვაროსნულ ლიტერატურაში პრაქტიკულად ყველგან ეხვდებით. როგორც ზემოთ მოტანილი მასალის ანალიზისას დავრწმუნდით, მთელი ეს მსოფლმხედველობრივი მხარე გაცილებით ადრეა საქართველოში დაფიქსირებული.

[23] *მიხეილ თამარაშვილი* (1995), გვ. 330-331. *ზურაბ ავალიშვილი* (1989), გვ. 45-47. Galterii Cancellarii Antiocheni, Bella Antiochena, 1121, in: Recueil des Historiens des Croisades, Auteurs Occidentaux, Paris 1895, t. 5, გვ. 130-131. *ქველი ჩხატარაიშვილი, ივანე შაიშმელაშვილი,* დიდგორის ბრძოლა, თბილისი, 1973, გვ. 99.

მეხუთე ანონიმი
XII საუკუნის დასასრული

„ქართველები (Georgitani) დიდი ბრწყინვალებით სცემენ თაყვანს წმინდა გიორგის. სათუთად უყვარდა წვერსა და თმას. აქვთ ერთი წყრთის სიგრძე ქუდები. სასულიერო და საერო პირები ატარებენ ტონზურას, სასულიერონი მრგვალს, საერონი კი ოთხკუთხას. ეკლარისტიისათვის იყენებენ ფერმენტირებულ პურს და საერთოდ ყველა საკითხში ბერძნებს ბაძავენ. ფლობენ საკუთარ დამწერლობას"[24].

დიდი მნიშვნელობისაა უკვე XII საუკუნის დასასრულს დასავლეთევროპულ ცნობაში ქართველებთან წმინდა გიორგის კულტის დაფიქსირება. ქრისტიანულ სამყაროში წმინდანის კულტს უკავშირდება შესაბამისი დროშაც. წმინდა გიორგის დროშა ქრისტიანულ სამყაროში გახლდათ თეთრ ფონზე გამოსახული ერთი წითელი ჯვარი და ამ დროშის არსებობა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, დასავლეთევროპული წყაროებით ქართველებთან რეალურად ჩნდება (წმინდა გიორგის დროშა არ აეურიოთ წითელ ხუთჯვრიან სახელმწიფო დროშაში). აგრეთვე საინტერესო უნდა იყოს XII საუკუნის დასასრულის აეტორთან ქართული ანბანის თემატიკის გამოჩენა.

XIII საუკუნის პირველი ნახევარის ფრანცისკანელი ანონიმი

XIII საუკუნის პირველი ნახევარის ფრანცისკანელი ანონიმის ცნობა ქართველების შესახებ, ანა-დოროთეა ფონ დენ ბრინკენის მიხედვით, თითქმის სიტყვა-სიტყვით მისდევს XII საუკუნის დასასრულის მეხუთე ანონიმის ცნობას[25]. ერთადერთი მეხუთე ანონიმთან ქართველთა ქუდები ერთი წყრთის სიგრძის იყო. ფრანცისკანელი ანონიმი ქართველთა ქუდების სიგრძეს ერთი გოჯით ამოკლებს. ფრანცისკანელ ანონიმთანაც ქართველთა მთავარი ნიშანია წმინდა გიორგის კულტი. ფრანცისკანელი ანონიმი, ისევე როგორც მეხუთე ანონიმისაგან დამოკიდებული ამაეე ხანის მეორე ანონიმი, ხაზს უსვამს ქართველთა მხედრულ სიმამაცეს. ამდენად, აქ ისევ ვხედებით ჩვენთვის მნიშვნელოვან წმინდა გიორგის კულტს ქართველებთან.

ფრანგი ჯვაროსანი რაინდი ბეზანსონის არქიეპისკოპოსამედე დე ტრემლეს
1210-1211 წლები

„ [...] მომივიდა ამბავი, ამ ამბის სიმართლის შესახებ კი სანდო მოციქულებისაგან გავიგე, რომ იბერიიდან [...] ქრისტიანები, ქართველებად წოდებულნი, ურიცხვი მხედრობით და ქვეითი ჯარით, ღმერთის აღმაფრთოვანებელი დახმარებით, დიდი ძალით აღჭურვილნი, ურწმუნო წარმართთა წინააღმდეგ სწრაფად აღდგნენ. უკვე აიღეს 300 ციხე და 9 დიდი ქალაქი, მაგრები დაიპყრეს, ხოლო სუსტები ნაცარტუტად აქციეს. აღნიშნულ ქალაქთაგან ერთ-ერთი, ევფრატზე მდებარე, წარმართთა ქალაქებს შორის ყველაზე წარჩინებული და

[24] Anna-Dorothee von den Brincken (1973), გვ. 103. იხ. ასევე: Drei mittelalterliche Pilgerschriften, hrsg. von Wilhelm Anton Neumann, in: Österreichische Vierteljahrsschrift für katholische Theologie 5, 1866, გვ. 260-261. ასევე: The Library of the Palestine Pilgrims' Text Society, t. 6, London 1897, გვ. 28-29 (Alii sunt Georgitani sanctum Georgium sollempni pompa uenerantes; barbam [et comam multum] nutrientes, gestantes unius cubiti pilleos. Isti tam clerici quam laici coronas habent: clerici rotundas et laici quadratas. Fermentum sacrificant et fere Grecos in omnibus imitantes propriam habent literam).

[25] Anna-Dorothee von den Brincken (1973), გვ. 107.

დიდი ყოფილა. იმ ქალაქის პატრონი ბაბილონის სულთნის შვილი იყო. ზემოხსენებულ ქრისტიანთაგან ტყვეჭშნილს თავი მოეკვეთა. თუმცა უსიმო იქროს განძის მიცემა აღუთქვა. [...] ზემით აღნიშნული [ქართველები] წმინდა იერუსალიმის მიწის დასახსნელად მოელენ და მთელ საწარმართოს დაიმორჩილებენ. მათი წარჩინებული მეფე თექვსმეტი წლისაა, ალექსანდრეს მსგავსია ძალით და სიკეთით, ოღონდ არა სარწმუნოებით. ამ ჭაბუკს თან მოაქვს დედამისის. ეუძღვარეს დედოფალ თამარის ნეშტი. [დედოფალმა თამარმა] სიცოცხლეში იერუსალიმში წასვლის აღთქმა დადო და თავის შვილს სთხოვა, რომ თუ გარდაიცვლებოდა [და აღთქმის შესრულება არ დასცალდებოდა], მისი ნეშტი უფლის საფლავზე წასვენებინა. მას [...] განზრახული აქვს მისი [თამარის ნეშტის] წმინდა ქალაქში გადმოსვენება, წარმართთა ნებით იქნება ეს, თუ მათი ნების საწინააღმდეგოდ"[26].

ქართული სამყაროსათვის კარგად ნაცნობი ეს წერილი უკვე ლამის ჯვაროსნული პანეგირიკია ქართველებზე და ქართველთა უპირატესობაც კი აღიარებული გამოდის დასავლეთევროპელებთან შედარებით. უაღრესად მნიშვნელოვანია თამარის აღთქმის საკითხიც იერუსალიმში წასვლისა. თუ ქართული ქრონიკების მასალას გაეიხსენებთ, ამგვარი აღთქმის არსებობა სავსებით რეალური ჩანს. ყველა ამ დასავლეთევროპულ ცნობას რეფრენად გასდევს ქართველთა მაჰმადიანების წინააღმდეგ ბრძოლის მოტივი და ქართული საგარეო პოლიტიკის აშკარა ორიენტირებულობა იერუსალიმის ფაქტორზე, რასაც, როგორც ითქვა, ხუთჯერიანი დროშის საკითხისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

თიტმარი, 1217 წელი

„ქართველები თაყვანს სცემენ წმინდა გიორგის, არიან მძლავრად შეიარაღებული და დიდ ზიანს აყენებენ სარკინოზებს. ატარებენ თმასა და წვერს. ყველა მათგანს აქვს ტონზურა, როგორც საერო, ასევე სასულიერო პირებს: საერო პირებს კვადრატული, სასულიეროებს მრგვალი. აქვთ საკუთარი დამწერლობა და ახურავთ ერთი წერთის სიგრძის ქუდები"[27].

თიტმარი გახლდათ გერმანელი პილიგრიმი, რომელმაც მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობამდე ცოტა ხნით ადრე მოინახულა წმინდა მიწა. თიტმარის მონათხრობში მეტად საყურადღებოა შემდეგი ფაქტი: 1217 წელს, რათა შეძლებისდაგვარად მშვიდობიანად მიეღწია აკონიდან სინას მთაზე მდებარე წმინდა კატერინას მონასტერამდე (სადაც ასევე ბევრი ქართველი იმყოფებოდა), თიტმარმა ჩაიცვა ქართველი ბერის ტანსაცმელი, აგრეთვე დაიყენა გრძელი წვერი ქართველი ბერების ყაიდაზე[28]. ეს შემთხვევა კარგად გვისვენებს ქართული სახელმწიფოსა და ქართველების ძალას მთელ მაშინდელ აღმოსაელურ სამყაროში. გერმანელი პილიგრიმი, რათა მშვიდობიანად მიეიდეს პალესტინიდან სინას მთამდე, იცვამს ქართველი ბერის ტანსაცმელს! თიტმართან ასევე ფიქსირდება წმინდა გიორგის კულტი ქართველებთან.

---

[26] ზურაბ ავალიშვილი (1989), გვ. 97-98. Reinhold Röhricht, Regesta Regni Hierosolymitani (MXCVII-MCCXCI), New York (Neudr.), გვ. 233-234.

[27] Mag. Thietmari Peregrinatio, Ed. J. C. M. Laurent, Hamburg 1857, გვ. 20, 51. ასევე: Anna-Dorothee von den Brincken (1973), გვ. 108. ასევე: Johann de Plano Carpini, Geschichte der Mongolen und Reisebericht 1245-1247, Übersetzt und erläutert von Dr. Friedrich Risch, Leipzig 1930, გვ. 274, შენ. 2 (Alii sunt Georgiani, sanctum Georgium venerantes, strennui in armis, et Sarracenos multum infestant. Barbam nutriunt et comam. Omnes habent coronas, tam laici quam clerici: laici quadratas, clerici rotundas. Propriam habent litteram, ferentes in capitibus pillea unius ulne longa. [...] Accon igitur iter arripiens, habitu tamquam Georgianus monachus et longa barba simulaui quod non eram, et iui super ripam maris ad iria miliaria uersus Carmelum unde propheta [...]).

[28] ფონ დენ ბრინკენიც იქვე შენიშნავს, რომ ეს ფაქტი მხოლოდ მაჰმადიანთაგან ქართველთა მხედრული სიძლიერის ნინაშე შიშით აიხსნება.

„აღმოსავლეთში არის აგრეთვე კიდევ ერთი ქრისტიანი ხალხი. ეს ერი არის მეტად მებრძოლი, ომში მამაცი, მძლავრი აღნაგობის და ძლევამოსილი. [ამ ერს] *პაკის ურიცხვი მეომარი,* [ეს ერი] *შიშის ზარს სცემს სარაკინოზებს, თავისი თავდასხმებით ხშირად დიდ ზიანს აყენებს სპარსელებს, მიდიელებს და ასურელებს, რომელთა მოსაზღვრე მხარეებშიც სახლობს ურწმუნო ხალხებით გარშემორტყმული.*

ამ ხალხს ქართველებს უწოდებენ, რადგან [ისინი] *განსაკუთრებული მოწიწებით ეპყრობიან და ეთაყვანებიან წმინდა გიორგის, თავიანთ მფარველად და მედროშედ მიაჩნიათ ის ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლაში და ყველა სხვა წმინდანზე მეტად სცემენ პატივს.* [ქართველები] *საღვთო წერილს ბერძნულად კითხულობენ და საეკლესიო საიდუმლოებებსაც ბერძნული წესით ასრულებენ. მათ სამღვდელოებას მრგვალი ტონსურები აქვს, ხოლო საერო პირებს – ოთხკუთხედი.*

უფლის საფლავის მოსალოცად მომავალნი დროშებგაშლილნი შემოდიან წმინდა ქალაქში და ბაჟს არავის უხდიან. სარაკინოზები წყენინებას ვერ უბედავენ, რადგან სახლში დაბრუნებულებს შეუძლიათ შური იძიონ თავიანთ მეზობელ სხვა სარაკინოზებზე. ქრისტიანთა წარწინებულ ქალებს ამორძალთა მსგავსად ომში რაინდებივით იარაღი აქვთ ასხმული. ქართველები მეტად აღშფოთდნენ და დაემუქრენ დამასკოს მმართველ კორადინს, რომელმაც არად ჩააგდო მათი სურვილი და იერუსალიმის კედლები დაანგრია იმ დროს, რომელიც ლათინებს დამიეტასათვის ალყა პქონდათ შემორტყმული. [ქართველებს] *თმა და წვერი ეზრდა წურთამდე აქვთ მოზრდილი და თავზე ქუდები ახურავთ"*[29].

ამ ცნობის წაკითხვის შემდეგ არ უნდა იყოს გასაკვირი, თუ შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპელი რეალ ქართულ სახელმწიფოსთან ჯვრიან დროშას მოათავსებს. ერს, რომლის წარმომადგენლებიც დროშებგაშლილი მიდიან იერუსალიმში, რომელიც შიშის ზარს სცემს მაჰმადიანებს, ცხადია, ექნება ქრისტიანული სიმბოლიკის მქონე დროშა. ჟაკ დე ვიტრის ცნობის დეტალური ანალიზის (მაგალითად ქართველების მიერ ღვთისმსახურებაში ბერძნულის გამოყენების მცდარი ცნობა) აუცილებლობა აქ არ არის. ერთი გარემოება უნდა აღინიშნოს მხოლოდ.

წმინდა გიორგის კულტთან ერთად ჟაკ დე ვიტრის ცნობაში ფაქტიურად რეალურად ფიქსირდება ქართველებთან წმინდა გიორგის დროშა, რადგან წმინდანის მედროშეობა უნდა ნიშნავდეს, რომ ამ წმინდანის დროშა მოაქვთ. როგორც ქრისტე არის წარმოდგენილი ზიარების პურსა და ღვინოში, ან კიდევ თავის ჯვართან, ასევე ყოველი წმინდანი რეალურად მყოფად მოიაზრება საკუთარ ატრიბუტიკასთან. შესაბამისად, როდესაც მეომრებს მიაქვთ წმინდა გიორგის დროშა, იგულისხმება, რომ წმინდა გიორგი უშუალოდ იმყოფება თავის სიმბოლოსთან. წმინდა გიორგის მედროშეობა უნდა ნიშნავდეს, როგორც ითქვა, წმინდა გიორგის დროშის წარძღვანებას. წმინდა გიორგის ჯვარზე კარტოგრაფიული მასალის განხილვისას მექნება დეტალური საუბარი. წმინდა გიორგის დროშა ქრისტიანულ სამყაროში არის ერთი წითელი ჯვარი თეთრ ფონზე. ეს დროშა დაფიქსირებულია გენუელებთან და უფრო მოგვიანებით ინგლისელებთან. იმავე დასავლეთევროპელების მიხედვით, წმინდა გიორგის დროშა უფრო ადრე ჩნდება ქართველებთან.

---

[29] Jacobi de Vitriaco, Libri Duo 1597, Repr. 1971 (Historia Orientalis). გვ. 156-157. გრიგოლ *ფერაძე*, უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, გამოსაცემად მოამზადა [...] გოჩა ჯაფარიძემ, თბილისი, 1995, გვ. 30. Anna-Dorothee von den Brincken (1973). გვ. 108-109. იხილეთ ასევე: გია *გელაძვილი*, მზია *მგალობლიშვილი*, გიორგი *პაიჭაძე*, საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები ევროპულ ენებში, ვრცელ: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბილისი, 1993. გვ. 295-296.

აქვე უნდა შეეეხოთ ერთ მნიშვნელოვან საკითხსაც. იერუსალიმში ჩასულ ქართველ პილიგრიმებთან, ქვემოთაც ვნახავთ, ფიქსირდება წმინდა გიორგის დროშები. წმინდა გიორგის დროშით ქრისტიანულ სამყაროში ყოველთვის აღინიშნება, ითქვა უკვე, თეთრ ფონზე გამოსახული წითელი ჯვარი. ანუ ეს არ გახლავთ ის სახელმწიფო დროშა ხუთი ჯვრით, რაზეც ზემოთ ვექონდა ლაპარაკი. მაგრამ აქ გასაკვირი არაფერია. რადგან განსხვავებით დღევანდელი ვითარებისაგან, შუა საუკუნეებში სახელმწიფო დროშა გამოქონდათ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენებისას, ან გადამწყვეტ ბრძოლებში ატანდნენ არმიას. სახელმწიფო დროშების ასლები, ჩვმს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, შუა საუკუნეებში არ მზადდებოდა, რადგან, როგორც მაცხოვარის ჯვარს, ასევოვე საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფო დროშას. ის ერთგვარ ცოცხალ არსებად მოიაზრებოდა. ამიტომ ცალკეულ პილიგრიმებს იერუსალიმში სახელმწიფო დროშას არავინ არ გაატანდა. შესაბამისად ლოგიკური გამოდის ქართველ პილიგრიმებთან დაფიქსირებული განსხვავებული დროშები, მაგალითად, წმინდა გიორგის დროშა.

წმინდა გიორგის მართლაც საყოველთაო თაყვანისცემის გამო ეს დროშა საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენელს შეიძლებოდა ჰქონოდა. გარდა ამისა, იერუსალიმში ჩასული ქართველი პილიგრიმებიდან საკუთარ დროშებს უეჭველად ფლობდნენ დიდი თავადები, ცალკეული მხარეები. დროშათა ამგვარი სიმრავლე შუა საუკუნეების მძლავრ ქრისტიანულ სახელმწიფოში, როგორც აღინიშნა, ჩვეულებრივი მოვლენაა. ნებისმიერ შემთხვევაში, ქართველ პილიგრიმებთან აქ დაფიქსირებული უნდა იყოს წმინდანის ჯვრიანი დროშა, რაც თავისთავად საინტერესო პრეცედენტია. ხოლო გვიანი ხანის პირველანებზე, როდესაც სახელმწიფო დროშა ჩნდება საქართველოს ტერიტორიად მოაზრებულ სივრცეში, ჩვენ ვხედებით წითელ ხუთჯვრიან დროშას (ყოველივე ამის მტკიცებისას გარკვეული აბსურდულობის გრძნობა არ მშორდება. აბა აბსურდული არ არის იმის მტკიცება, რომ იერუსალიმში ქრისტეს საფლავის მოსალოცად წასულ პილიგრიმს, რომლისთვისაც მთავარი მნიშვნელობა დევს იმ ფაქტში, რომ იერუსალიმის მფლობელი მაჰმადიანი დაამციროს თავისი, ანუ ქრისტიანის ამხედრებული შესვლით წმინდა ქალაქში, შეიძლებოდა ჰქონოდა ქრსტიანული სიმბოლიკის მქონე დროშა?). ქართველთა ქალების ამორძალების ყაიდაზე გამოსახვის მცდარი მოტივის წარმომაელობას ქვემოთ შეეეხები. ეს ფაქტი დასავლეთევროპელთა გეოგრაფიული წარმოდგენებით აიხსნება.

დუნსტაპლის მონასტრის ანალები

XIII საუკუნის ოციანი წლები

„ქართველები, მძლავრად შეიარაღებულნი, რწმენით კათოლიკენი, მუსულმანთა წინააღმდეგ მოდიან"[36]. დუნსტაპლის ანალები მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროინდელ ამბებს მოგვითხრობენ. საქართველოს და დასავლეთ ევროპას იდეოლოგიურად იმდენი აქვთ საერთო და პოლიტიკურადაც ისე დაახლოვდნენ, რომ რიგ წყაროებში ქრისტიანობის განსხვავებული წრისადმი კუთვნილების ფაქტი საერთოდ ქრება.

ალბერიხი

XIII საუკუნის 20-იანი წლების ამბებზე

ალბერიხი იძლევა ცნობას, რომ რომის პაპის ლეგატმა პელაგიუსმა (პელაგიუსი ფაქტიურად ხელმძღვანელობდა მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობას ეგვიპტეზე) ელჩები

[36] Annales Monastici. t. III. Annales Prioratus de Dunstaplia, გვ. 1-420. Ed. by Henry Richards Luard, London 1866. გვ. 67.

გაგზავნა ქართველთა ქვეყანაში. *„ეს ქართველები არიან ძლიერი კათოლიკენი და მაგრად შეიარაღებულნი"*. ქართველებს ზურგიდან უნდა დაერტყათ მამადიანებისათვის[31]. აქაც თითქოს გამქრალია სარწმუნოებრივი განსხვავება, მართალია, ძალიან მცირე, მაგრამ მაინც, დასავლეთსა და საქართველოს შორის.

ოლივერუსი
1220-21 წლები

ოლივერუსი იყო ტაძრის სქოლასტი პადერბორნსა და კიოლნში. მოგვიანებით გახლდათ პადერბორნის ეპისკოპოსი და სან საბინას კარდინალ-ეპისკოპოსი. 1207 წელს ოლივერუსის პარიზში ყოფნაა დაფიქსირებული. 1208-13 წლებში ის კიოლნშია. მომდევნო წლებში რომის პაპის, ინოკენტი მესამის დავალებით ფრიზლანდში, ფლანდრიასა და ბრაბანტში მორიგი ჯვაროსნული ომის მოწყობის პროპაგანდითაა დაკავებული. 1217-22 წლებში, როგორც მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის მომამზადებელი და მონაწილე, იმყოფება წმინდა მიწასა და ეგვიპტეში. როგორც ცნობილია, მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა უშუალოდ ეგვიპტის წინააღმდეგ იყო მიმართული. ჯვაროსნებმა დაიპყრეს ერთ-ერთი უმთავრესი ეგვიპტური საპორტო ქალაქი დამიეტა. დამიეტას ალყისას და მერეც, ეგვიპტეში წარმოებული კამპანიებისასაც, კარდინალი პელაგიუსისა და აკრის ეპისკოპოს ჟაკ დე ვიტრის შემდეგ, ოლივერუსი სასულიერო ძალის და რომის ეკლესიის წარმომადგენელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნება იყო. მხოლოდ სასულიერო საქმიანობით არ ყოფილა დაკავებული. დამიეტას ალყისას გამოიგონა და დაამზადებინა საალყო მანქანა, რომლითაც დამიეტას აღება მეტად გაადვილდა. 1221 წელს, მას შემდეგ, რაც ჯვაროსნებმა ცოტა ხნის წინ დაკარგული დამიეტა კვლავ დაკარგეს, ოლივერუსმა წერილი გაუგზავნა ეგვიპტის სულთან ალ-ქამილს და მის ქრისტიანად მოქცევას ცდილობდა (ასევე ცნობილია, რომ ამავე ხანებში მსგავსი განზრახვით და, ბუნებრივია, აგრეთვე უშედეგოდ, ალ-ქამილს შეხვედა ფრანცისკო ასიზელი). ოლივერუსის ნაშრომთა აბსოლუტური უმრავლესობა შეიქმნა 1219-22 წლებში, როდესაც ის წმინდა მიწასა და ეგვიპტეში იმყოფებოდა. ქართველთა შესახებ ოლივერუსთან დაცული ცნობაც საეარაუდოდ 1220-1221 წლებით უნდა თარიღდებოდეს. ოლივერუსი გარდაიცვალა 1227 წელს.

ოლივერუსი საუბრობს ქართველთა წერილზე, რომელიც მიიღეს დამიეტასთან მყოფმა ჯვაროსნებმა:

„იმ ერმა [ქართველებმა], *მეტად აღშფოთებულმა და განრისხებულმა* [წმინდა მიწასა და ეგვიპტეში მიმდინარე მოვლენებით], *გადაწყვიტა და დიფიცა, მას შემდეგ, რაც მათმა მეფემ დიდებული შეყარა, დაეპყრო სარკინოზების რომელიმე განძმული ქალაქი, და აგრეთვე თქვეს, რომ მათთვის სირცხვილია* [იმის ყურება], *თუ როგორ მოვიდნენ ფრანკები დიდი და საშიშროებებით სავსე ზღვის გაღლით ზღვისგადაღმა მხარეებიდან, დედამიწის უკიდურეს განაპირას მდებარე ქვეყნებიდან და აიღეს ასე კარგად გამაგრებული ქალაქი* [დამიეტა] *ხანგრძლივი ალყის შემდეგ, როდესაც თვითონ, ვისთვისაც გაცილებით აღვილია ურწმუნოებთან ბრძოლა, არ იპყრობდნენ დამასკოს ან სხვა რომელიმე განძმულ ქალაქს.*

ქართველები ქრისტიანები არიან, ცხოვრობენ სპარსეთის მეზობლად, აღთქმული ქვეყნიდან მეტად შორს. მათი საბრძანებელი გადაჭიმულია კასპიის მთებამდე, სადაც დამწყვდეული ათი ტომი ელოდება ანტიქრისტეს მოსვლას. მაშინ ისინი [ანტიქრისტეს გამოჩენისას ეს ათი ტომი] *გადმოანგრევენ* [წინაღობებს] *და ყოველივეს გაანადგურებენ. ქართველები მეომარი*

[31] Anna-Dorothee von den Brincken (1973), გვ. 113-114. ასევე: Monumenta Germaniae Historica, Scriptorem IX. Hannover 1851, Repr. Stuttgart, New York 1963. გვ. 911. ასევე: Richard Hennig, Terrae Incognitae. Eine Zusammenstellung und kritische Bewertung der wichtigsten vorcolumbischen Entdeckungsreisen an Hand der darüber vorliegenden Originalberichte, Bd. 3, Leiden 1953, გვ. 15.

[მამაცი] ერია. სასულიერო პირებს თავზე აქვთ მრგვალი ტონსურა, ხოლო საეროებს – ოთხკუთხა. ასევე გამოცდილნი არიან ბრძოლებში მხედართა [თანმხლები] *ქალები. როდესაც ჯარები საბრძოლო წყობაში დგებიან ერთმანეთის პირისპირ და* [ქართველი მეომარი] *კაცები მოწინააღმდეგეზე თავდასასხმელად მზად არიან, ყოველი მათგანი სვამს ღვინის მთარიდან და მაშინვე მხდერელი ძალით იწყებს* [მტერთან] *ბრძოლას*[32].

ამდენად, ოლივერუსის ცნობაში ლაპარაკია ლაშა გიორგის მიერ ჯვაროსნებისათვის გაგზავნილ წერილზე (აქ ნუ გამოვედევნებით იმ საკითხს, ეს წერილი რომის პაპის მოწოდებაზე პასუხი იყო, თუ ქართველების შეთავაზებას მოჰყვა ჯვაროსნების ქართველებთან დაკავშირება. უფრო საეჭვოდია პირველი ვარიანტი). ოლივერუსის მიხედვით, ქართველები დამასკოს დაპყრობას აპირებდნენ. ქართველთა სამეფო კარზე რომ სამხრეთისაკენ მიმართული მსგავსი ექსპედიციები მზადდებოდა, ამ ფაქტს სხვა ცნობებიც ადასტურებენ. დამასკოზე ქართველთა მოსალოდნელი ლაშქრობის გამოძახილი ჩანს უაკ დე ვიტრისა და მარინო სანუდო ტორსელისთან. ჯუეინი, როდესაც ეხება ოდნავ მოგვიანო, 1224-25 წლების მოვლენებს, ამბობს, რომ ქართველები აპირებდნენ ბაღდადის დაპყრობას, ხალიფას გადმოგდებას და იქ თავიანთი კათალიკოსის დასმას.

ოლივერუსის ცნობაში აგრეთვე საინტერესო მგონია შემდეგი დეტალი: ლათინები მოდიან ქვეყნიერების უკიდურესი მხარეებიდან. ამ გეოგრაფიული ხასიათის მინიშნებიდან კარგად ჩანს, რომ პოლიტიკურ-კულტურული ცხოვრების ცენტრი XIII საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ წინა აზიასა და ახლო აღმოსავლეთშია. ოლივერუსი გვიკვნებნა: ქართველების სამფლობელოების გადადმა, კასპიის, ანუ კავკასიის მთებში დამწყვდეულია ათი ტომი. აქ საქმე გვაქვს შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით ლათინურ დასავლეთში, ფართოდ გავრცელებულ ლეგენდასთან. ლეგენდის მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელმა კავკასიის, ან კასპიის მთებში, ღმერთის შეწევნით ჩაკეტა გოგის და მაგოგის სალხები, ან ებრაელთა ათი დაკარგული ტომი, ან ორივე ერთად. ესენი არიან ანტიქრისტეს დამხმარე ხალხები, მეორედ მოსვლისას მათ ჯებირები უნდა გადმოარღვიონ და საზარელი ნგრევა დაატეხონ ქვეყნიერებას თავს. შუა საუკუნეების დასავლეთევროპული ეკლესიილი ციელიზებული სამყაროს ამ აპოკალიპტური ხალხებისაგან დაცვის ფუნქციას, როგორც ითქვა, ქართველებსაც აკისრებდა. სწორედ აღნიშნული ლეგენდის გამოძახილს ეხედებით ოლივერუსთან. ოღონდ სულ რამდენიმე ათწლეულში დასავლეთევროპული გეოგრაფიული ეკლესიილი აპოკალიპტურ ხალხებს უკიდურეს აღმოსავლეთში გადასვამს, რადგან მონღოლთა ლაშქრობების შედეგად გეოგრაფიული ჰორიზონტი მეტად გაფართოვდა და ნათელი გახდა, რომ დღევანდელი კავკასიის მიღმა აპოკალიპტური ხალხები არ ცხოვრობენ.

[32] ოლივერუსის ცნობის ორიგინალი შემდეგია: „Ad hoc fama discurrens per totum orbem, Damiatem a Christianis esse comprehensam, Georgianorum litteras ad castra catholicorum mitti persuasit, in quibus continebatur, quod indignata gens illa vel excitata rubore rege convocante principes decrevit et iuravit, se obsessuram famosam aliquam civitatem Sarracenorum, allegans sibi verecundum esse, quod Franci de transmarinis partibus et ultimis terre finibus venientes per mare spatiosum periculis plenum tam munitam civitatem obsidione longa cepissent, nisi et ipsi, quibus erat facilius perfidos impugnare, Damascum vel alium locum nominatum virtute caperent armorum. Sunt autem Georgiani cultores Christi Persis vicini longo terrarum tractu a Terra promissionis distantes, quorum dominium extenditur usque ad Caspios montes, in quibus decem tribus incluse Antichristi desiderant tempora; tunc enim erumpent magnam stragem facture. Georgiani bellicosi sunt homines habentes rasuram in capite, clerici rotundam, laici quadratam. Mulieres eorum equestris ordinis docte sunt ad prelium. Homines isti quando ordinatis aciebus hostes sunt aggressuri, quilibet pugillarem cucurbitam repletam vino puro ebibit et statim adversarios viriliter invadit". ოლივერუსი აგრეთვე ცალკე აღნიშნავს, რომ ქართველების ღვთისმსახურება თანხვდება ბერძნებისას, მაგრამ ქართველებს აქვთ საკუთარი დამწერლობა. ქართველთა დამწერლობას ოლივერუსი თარჯიმანის მეშვეობით ეცნობოდა სიმეონ მესვეტის მთაზე. ოლივერუსის მიხედვით ქართველებს ახალი აღთქმის ნიგნები ლათინთა მსგავსად ჰქონიათ განყობილი (Oliverus, Historia Damiatina, in: Die Schriften des Kölner Domscholasters, späteren Bischofs von Paderborn und Kardinal-Bischofs von S. Sabina Oliverus, hrsg. von Dr. Hoogeweg, Tübingen 1894, გვ. 232-233; Anna-Dorothee von den Brincken (1973), S. 109-110; იხილეთ ასევე: Anna-Dorothee von den Brincken, Islam und Oriens Christianus in den Schriften des Kölner Domscholasters Oliver, in: Orientalische Kultur und Europäisches Mittelalter, hrsg. von Albert Zimmermann u. Ingrid Craemer-Ruegenberg, Berlin, New York 1985, გვ. 87-94). აქვე აღნიშნავ, რომ ლათინურ ტექსტებზე მუშაობის დროს განეული კონსულტაციებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკის და ნეოგრეკისტიკის ინსტიტუტის თანამშრომელს ლევან გიგინეიშვილს.

ოლიეერუსი აგრეთვე მოგვითხრობს, რომ ქართველი ქალები მამაკაცთა მხარდამხარ იბრძვიან. ამ უკნაურ ცნობას მეცამეტე საუკუნის დასაწყისიდან ბევრი ევროპელი ავტორი იმეორებს (ამის მაგალითია ზემოთ განხილული ჟაკ დე ვიტრის ცნობა). ამასთან, აღნიშნული ფაქტი, ცხადია, არც ქართული და არც აღმოსავლური წყაროებით არ დასტურდება. მსგავსი შეხედულების ჩამოყალიბებას საეარაუდოდ ორმა გარემოებამ შეუწყო ხელი: შუა საუკუნეების დასავლეთევროპული გეოგრაფიული და კარტოგრაფიული ელტბილდი ამორძალების საცხოვრისს ათავსებდა ან საქართველოს ტერიტორიის უშუალო სიახლოვეს, ტრაპიზონსა თუ კავკასიონს გადაღმა, ან კიდევ პირდაპირ საქართველოში, მდინარე ფაზისის ნაპირებზე. აღნიშნული წარმოდგენა ქართველი ქალების ამორძალებთან გაიგივებისა ალბათ გააძლიერა ჯერ თამარის, შემდეგ მალეევ კი რუსუდანის მეფობის ფაქტებმა.

იოჰან დე პლანო კარპინი, ბენედიქტუს პოლონუსი
1245-1250

*„მესამე არმიით ჩინგიზ-ყაენი იმავე დროს, როდესაც ორი დანარჩენიც სალაშქროდ გაგზავნა. გაემართა აღმოსავლეთისაკენ, Kergis-ის ქვეყანისაკენ, რომელიც იარაღით ვერ დაიმორჩილა; სწორედ აქ მივიდა, როგორც მოგვითხრეს, კასპიის მთებთან. ეს უკანასკნელნი იმ მხარიდან, საიდანაც მათ [მონღოლები] მიუახლოვდნენ, ალმასის ქვის იყენენ. ამიტომ მიიზიდეს ისრები და რკინის იარაღი. როგორც ჩანს, კასპიის მთებში ჩაკეტილმა ხალხებმა ლაშქრის ჩამავრი გაიგეს და დაიწყეს მცდელობა, გამოუგზრავთ მთა. როდესაც თათართა ჯარმა ს

აღმოსავლეთის ოკეანესთან. რადგან ეს ტერიტორია კიდეე დიდხანს რჩებოდა უცნობი დასავლეთ ევროპისათვის. პლანო კარპინისთან დაახლოებით ის პერიოდია, როდესაც ჩაკეტილი ხალხები კაუკასიონთან აღარ არიან.მაგრამ არც აღმოსავლეთში დამკვიდრებულან ჯერ საბოლოოდ. მაგრამ პლანო კარპინისთან უკვე მოცემულია ამ მთელი კომპლექსის აღმოსავლეთით გადასმის მცდელობა. აქედან გამომდინარეობს მთელი ეს გეოგრაფიული არეულობა პლანო კარპინისთან.

ჩინგიზ-ყაენი ილაშქრებს კასპიის მთებზე და იქ მცხოვრებ კერგისებზე. შესაბამისად, ეს „კერგის" არიან ჩერქეზები და არა ყირგიზები. ოღონდ კასპიის მთებისა და ჩერქეზებისაკენ ჩინგიზ-ყაენი, პლანო კარპინის მიხედვით, დასავლეთით კი არ მოდის, არამედ მიემართება უკიდურესი აღმოსავლეთისაკენ.

პლანო კარპინისთან მონღოლები გოგს და მაგოგს გათანაბრებულნი არ არიან, მაგრამ ეროგვარად დაკავშირებულნი არიან მათთან, რადგან მონღოლების გამოჩენის მიზეზით იმ ჩაკეტილმა ხალხებმა გამოანგრიეს ჯებირები (თუ სად წავიდნენ განთავისუფლებული აპოკალიპტური ხალხები, პლანო კარპინი არ გვეუბნება). მათე პარიზელთან კი უკვე პირდაპირ მონღოლები არიან ჩაკეტილ, ანტიქრისტეს დამხმარე ხალხებად დასახულნი. როდესაც ლაპარაკია მონღოლების მიერ მათი მთებით გარშემორტყმული სამშობლოდან გამოსულზე, აქ მონღოლებზე გადააქვთ ჩაკეტილი ხალხების ლეგენდის მოტივი. რადგან მთებს შორის მომწყვდეულნი, ლეგენდათა მიხედვით, სწორედ ეს აპოკალიპტური ხალხები იყვნენ, რომელთაც პლანო კარპინიმდე ცოტა ხნით ადრე შუა საუკუნეების დასავლეთევროპული გეოგრაფიული ველტბილდი დღევანდელი კაკასიის ვაღაღმა ათავსებდა.

ნისლის თუ ღრუბელის კაკასიასთან დაკავშირების მოტივს ვხვდებით შემდგომში კილიკიელ სომეხ იოჰან ჰაიტონთან, რომელმაც ლათინურად აღმოსავლეთის აღწერილობა დატოვა, სადაც საქართველოსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია[35]. აგრეთვე ჩნდება მსგავსი ამბავი XIV საუკუნის ქვემორაინულ აღმოსავლეთის აღწერაში, იოჰანეს ფონ ჰილდესჰაიმთან და ჯონ მანდეველთან. ოღონდ ეს ნისლისა და ღრუბელის ლეგენდა ამ ცნობებში უკვე უშუალოდ საქართველოსთანაა დაკავშირებული.

შემდეგი ცნობა ფრიდრიხ რიშთან პლანო კარპინის ტექსტშია ჩართული ერთგვარად, ფონ დენ ბრინკენის მიხედვით კი ეს პასაჟი პლანო კარპინის თანამგზავრ ბენედიქტუს პოლონუსს ეკუთვნის:

„*მათ* [ქართველებს] *თათრები დიდ პატივს სცემენ, რადგან* [ქართველები] *მამაცი და მხნე მეომრები არიან. მათ ეწოდებათ ქართველები* [Georgiani], *რადგან ბრძოლისას თავიანთ მცველ პატრონად წმინდა გიორგის სახავენ და მას ყველა წმინდანზე უმეტეს პატივს სცემენ. საღვთო წიგნებში ბერძნულს იყენებენ* [ან: ბერძნულია მათი საეკლესიო ენა] *და თავიანთი საცხოვრებლებისა და სამგზავრო ფორნების თავზე ჯვრის ნიშანი აქვთ აღმართული. ღვთისმსახურებას ბერძნული წესის მიხედვით ასრულებენ*".

აღნიშნულ ცნობასაც დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ჯვრიანი დროშის საკითხისათვის. მონღოლებთან მყოფ ქართველებს თავიანთ საცხოვრებლებზე ჯვრები აქვთ აღმართული. რა თქმა უნდა: ქართველები ფლობენ სამხედრო-ქრისტიანულ იდეოლოგიას V საუკუნიდან, მათი მეფეები ხილვაში ხედავენ ჯვრის კომპოზიციებს, მთელი ყურადღება გადატანილი აქვთ მაჰმადიანებთან ლამის ჯვაროსნულ ბრძოლასზე, მასობრივად მიდიან ყოველ წელს იერუსალიმის მოსალოცად, ბაღდადში სურთ თავიანთი კათალიკოსის დასმა ხალიფას ნაცვლად, იერუსალიმი უნდათ მაჰმადინებისაგან გაანთავისუფლონ, ომში წინ მიაქვთ

[35] იოჰან ჰაიტონის ქართველებთან დაკავშირებული ცნობიდან აქ მხოლოდ პატარა ნაწყვეტს მოვიტან ფრიდრიხ რიშის მიხედვით: „*საქართველოს სამეფო ორ ნაწილადაა გაყოფილი, საქართველოდ და აფხაზეთად, ორივეს ცალკე მეფე ყავს. საქართველოს მეფე ემორჩილება აზიის იმპერატორს, აფხაზეთის მეფე ძლევამოსილია თავისი ქვეყნის მრავალრიცხოვანი მოსახლეობით და სამგზრეებით. ვერც თათრებმა და ვერც აზიის იმპერატორმა ვერასოდეს ის ვერ დაიმორჩილეს*" (Johann de Plano Carpini [1930], გვ. 190).

ქრისტეს ჯვარი, მშვიდობიანობისასაც, სადაც უნდა იყვნენ, თავიანთ საცხოვრებლებზე ჯვრები აქვთ აღმართული. მაგრამ არის ერთი პრინციპული საკითხი: არაფრით არ შეიძლება ჯვრიანი დროშა ჰქონოდათ.

ქართველთა წმინდა გიორგის კუთვნილ ერად დასახვას ამ დროის დასავლეთ ევროპულ ცნობებში იმდენად მასობრივი ხასიათი აქვს, თუ კონკრეტულად დროშაზე არ იქნა ლაპარაკი, ამ საკითხზე აღარ შეეჩერდები.

ვინცენც დე ბოვე
XIII საუკუნის შუა ხანები

ვინცენც დე ბოვე ან ვინცენტიუსი თავის უზარმაზარ ენციკლოპედიაში თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს ოლივერის ზემოთ განხილულ ცნობას. ქართველები აღაფრთოვანა დამიეტას აღებამ. მათ ჯვაროსნებს ელჩები გაუგზავნეს დამიეტაში. ქართველთა მეფემ და დიდებულებმა საზეიმოდ დაიფიცეს, დაეპყროთ სარკინოზთა რომელიმე განთქმული ქალაქი. ქართველები თვლიან, რომ მათთვის სირცხვილია იმის ყურება, როგორ მოვიდნენ ფრანკები ქვეყნიერების კიდედან და დაიპყრეს იმგვარად გამაგრებული ქალაქი, როგორიც არის დამიეტა, როდესაც მათთვის, ქართველებისათვის გაცილებით ადვილი იქნებოდა სპარსელებთან შებრძოლება და დამასკოს ან რომელიმე სხვა ცნობილი ქალაქის დაპყრობა. *„ქართველები მართლაც ქრისტეს თაყვანისმცემელი ხალხია, ბერძნულ წესს იცავენ. სპარსელთა მეზობლად ცხოვრობენ და შორს არიან აღთქმული მიწისაგან; მათი ტერიტორია გადაჭიმულია თითქმის კასპიის მთებამდე. მამაკაცები მებრძოლნი არიან, თავზე ტონზურა აქვთ, სასულიერო პირებს – მრგვალი, ხოლო საეროებს – ოთხკუთხედი. წარჩინებული ქალები განსწავლულნი არიან საომარ ხელოვნებაში. როცა მამაკაცები საომარ მწყობრში ემზადებიან მტერთან შესაბრძოლებლად, ერთი ყლუპით სცლიან წყალგარეული ღვინით სავსე პატარა მათარას და ამის შემდეგ მამინვე მამაცურად მიაქვთ იერიში მოწინააღმდეგეზე"*[36]. ვინცენტიუსი ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც ნაცნობ ინფორმაციას იმეორებს.

„სამყაროს ხატი"
1245 წელი

ფრანგული „სამყაროს ხატი" თარიღდება დაახლოებით 1245 წლით. ეკუთვნის მეტრ გოსუენს. „სამყაროს ხატი" 1480 წელს კაქსტონმა თარგმნა ინგლისურად და, შესაბამისად, ქართველებთან დაკავშირებულ ცნობას „სამყაროს ხატის" ინგლისურ თარგმანშიც ეხვდებით. აქვე გავეცნოთ ფრანგული „სამყაროს ხატის" ცნობას ქართველთა შესახებ:

„შემდგომ მოდიან ქრისტიანები, რომელთაც უკეთესად სწამთ ღმერთის და მძლავრნი არიან ომებში. სარკინოზებს დიდი შიში აქვთ მათი და ვერ ბედავენ მათთვის რაიმე ზიანის მიყენებას. სარკინოზები კეთილგანწყობილნი არიან ამ ხალხისადმი, რადგან მათი ეშინიათ. ამ ხალხს ეწოდებათ ქართველები. ისინი კარგი ქრისტიანები არიან. [ქართველები] *გარშემორტყმულნი არიან ურწმუნოებით. მათ ეწოდებათ ქართველები* (Georgiens), *რადგან სარკინოზთა წინააღმდეგ ომში ყოველთვის წმინდა გიორგის სთხოვენ დახმარებას, წმინდა გიორგიზე ლოცულობენ და წმინდა გიორგის ყველა სხვა წმინდანზე მეტად სცემენ თაყვანს. ყველა მათგანი ატარებს ტონზურას, სასულიერო პირები – მრგვალს, საერონი – ოთხკუთხედს. როდესაც წმინდა საფლავის თაყვანისსაცემად მოდიან, სარკინოზები*

[36] Anna-Dorothee von den Brincken (1973), გვ. 112-113. Vincentius Bellovacensis, Speculum Historiale, Graz 1965, გვ. 1264. მიხეილ თამარაშვილი (1995), გვ. 473-474.

ვერ ბედავენ, რომ ბაჟი მოსთხოვონ მათ, ან რაიმე აწყენინონ, რათა როდესაც ისინი [ქართველები] *უკან* [სამშობლოში] *დაბრუნდებიან, ძვირად არ დაუსვან ეს* [მათ მეზობლად მცხოვრებ სარკინოზებს]. [ქართველთა] *კეთილშობილი ქალები შეიარაღებულნი იბრძვიან სარკინოზთა წინააღმდეგ საქართველოს სხვა რაინდთა მხარდამხარ. მათ* [ქართველებს] *აქვთ იგივე კანონები და ენა, რაც ბერძნებს*"[37].

„სამყაროს ხატის" ინფორმაცია ქართველთა შესახებ უმთავრესად ემყრება უკ დე ვიტრის ცნობას, წარმართთაგან ქართველთა შიშის, წმინდა გიორგის თაყვანისცემის, სასულიერო და საერო პირთა ტონზურის მოტივები იქნება ეს, თუ ამორძალთა მსგავსად მებრძოლი ქალების. ასევე უკ დე ვიტრისგან მოდის მცდარი შეხედულება, რომ ქართველები ღვთისმსახურებაში ბერძნულ ენას იყენებენ (სწორედ ეს ფაქტი უნდა იგულისხმებოდეს „სამყაროს ხატის" ბოლო ფრაზაში,როდესაც ბერძნების ენასაც ახსენებს ავტორი). „სამყაროს ხატი" გეოგრაფიულ შეხედულებათა თვალსაზრისით საყურადღებო ინფორმაციას გვთავაზობს. აქ ფაქტიურად მთელი აზია დასახულია ინდოეთად. ეს გახლავთ ჯერ კიდევ ანტიკურობიდან მომდინარე საკმაოდ გავრცელებული შეხედულება, რომლის მიხედვითაც არსებობს სამი ინდოეთი და ხშირად აზიის დიდი ნაწილი ინდოეთად მოიხსენიება ხოლმე. „სამყაროს ხატის" მიხედვით ქართველები ინდოელი ქრისტიანები არიან. ასევე ინდოეთში მდებარეობს მეტრ გოსუენის მიხედვით კასპიის კარი,ანუ დარიალი ან დარუბანდი, სადაც ალექსანდრე მაკედონელმა აპოკალიპტური ხალხები ჩაკეტა.

საქართველოს ინდოეთში მოქცევის ფაქტი მნიშვნელოვანი უნდა იყოს პრესბიტერ იოანეს ლეგენდის კონტექსტში. როგორც ცნობილია, პრესბიტერ იოანეს ლეგენდის კომპლექსის ჩამოყალიბებაში საქართველოს სამეფოდან წასულმა ინფორმაციამაც; შეასრულა მნიშვნელოვანი როლი. ამასთან, პრესბიტერი იოანე, როგორც წესი, განაგებს ინდოეთს. „სამყაროს ხატის" მიერ საქართველოს სამეფოს ფართო მნიშვნელობით ინდოეთში მოქცევა არაპირდაპირი სახით კიდევ ერთ საბუთს უნდა გვაძლევდეს საიმისოდ, რომ ქართული მასალის პრესბიტერ იოანეს ლეგენდაში არსებობა შუა საუკუნეების დასავლეთევროპული გეოგრაფიული შეხედულებებითაც სავსებით ლოგიკურია. რადგან შუა საუკუნეების დასავლეთევროპული გეოგრაფიული ველტბილდის მიხედვით საქართველოს სამეფოს და ინდოეთის ტერიტორია რიგ შემთხვევებში მეტად ახლოა ერთმანეთთან, ზოგჯერ კი პირდაპირ გაიგივებულია, „სამყაროს ხატის" მსგავსად.

მარკო პოლო

XIII საუკუნის დასასრული

აღნიშნულ ქვეთავში განვიხილავ მარკო პოლოს საქართველოსთან დაკავშირებულ ცნობას და აგრეთვე დავით ულუს მინიატურას მარკო პოლოს წიგნიდან „მსოფლიოს აღწერილობა",რადგან ეს მინიატურაც ქართველი მკითხველისათვის უცნობია. უშუალოდ მარკო პოლოს ცნობის და დავით ულუს მინიატურის განხილვამდე სასურველია მოკლედ შევეხოთ რამდენიმე საკითხს.

'მორეული აღმოსავლური სამყაროს შესახებ ევროპაში ანტიკურობაშივე არსებობდა გარკვეული ცოდნა, სპარსეთის სამეფო იქნებოდა ეს, ინდოეთი, თუ სერების ქვეყანა[38].

[37] „სამყაროს ხატის" ქართველებთან დაკავშირებული ცნობის ძველი ფრანგული ტექსტი: „Cele part sont une autre gent crestiens qui croient mieulz en Dieu, et sont fort et puissant en bataille. Li sarrazin les doutent moult durement et ne leur osent riens mesfaire; ainz leur sont debonnaires et douz. Cele gent si ont a non Georgiens; bons crestiens sont, et si sont enclous tout environ de genz mescreanz et felons. Et sont apelé Georgien pour ce que il apelent touz jourz saint George en batailles et en estors encontre les sarrazins; et si l'aorent et aimment seur touz autres sainz. Si ont trestuit couronnes reses: dont li clerc les ont reondes, et li lai les ont quarrées. Quant il vont aorer le sepulchre, li sarrazin n'en osent prendre point de paage, ne rien seur vendre, qu'il doutent, quant il revendroient, qu'il ne le vendissent moult chier as autres. Les gentix dames du pais s'arment seur les bons destriés couranz et se combatent as sarrazin avoec les autres chevaliers de Georgie. Il ont auteles lois et autel language comme ont les Grejois" (L'Image du Monde, de Maitre Gossouin, redaction en prose, Ed. O. H. Prior, Lausanne et Paris 1913, გვ. 124).

[38] „სერები" ანტიკურობასა და შუა საუკუნეებში ენოდებოდათ ჩინელებს ან შუა აზიის აბორიგენის მნარმოებელ ხალხებს.

თუმცა აღნიშნული მასალა უმეტესწილად გაჯერებული იყო ათასგვარი ზღაპრული ამბებით და ლეგენდებით. გეიანანტიკური ხანის ლათინი ავტორების მეშვეობით ეს გეოგრაფიული ინფორმაცია გადაეცა დასავლეთევროპულ შუა საუკუნეებში. შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებთან დაკავშირებით არსებულ მონაცემებში შუა საუკუნეების დროს რეალურობის ფაქტორმა კიდევ უფრო უკან გადაიწია, ვიდრე ეს ანტიკურ ეპოქაში იყო და წინა პლანზე გამოვიდა ზღაპრულ-ლეგენდარული ელემენტები. ჯვაროსნული ომების შედეგად დასავლეთ ევროპის გეოგრაფიული ცოდნის ჰორიზონტი დიდად არ გაფართოებულა. ბაღდადს იქით მდებარე მხარეები ძირითადად ზღაპრულის ბურუსით გარემოცულად დარჩა. 1220 წლისათვის, მონღოლების დაპყრობითი ომების დაწყებისას, დამიეტაში მყოფ ჯვაროსნებთან და უშუალოდ დასავლეთ ევროპაშიც მოდის რიგი ცნობები აზიის სიღრმეში მიმდინარე მოვლენების შესახებ. თუმცა ამ დროისათვის ეს ინფორმაცია ჯერ კიდევ სანახევროდ ლეგენდარული სახისაა. რადგან ჩინგიზ-ყაენი და მონღოლები შეცდომით დასახეს ქრისტიანებად, რომლებიც პალესტინაში ჯვაროსანთა დასახმარებლად მოეშურებოდნენ.

1241 წელს ბათუ ყაენმა ევროპის მიმართულებით მოაწყო გამანადგურებელი ლაშქრობა. დასავლეთევროპულ ველტბილდში მონღოლები პალესტინის დასახსნელად მომავალი ქრისტიანებიდან გადაიქცნენ გოგის და მაგოგის აპოკალიპტურ, ანტიქრისტეს დამხმარე ხალხებად. ახალი შეტევის თავიდან ასაცილებლად ინოკენტი მეოთხემ 1245 წელს გადაწყვიტა მონღოლებთან ელჩების გაგზავნა და მათთვის თავდაუსხმელობის პაქტის შეთავაზება. ამ დროიდან იწყება დასავლეთევროპელთა მოგზაურობანი აზიის სიღრმეში (პირველი ექელაზე ცნობილი მოგზაურები არიან ჯოვანი დე პლანო კარპინი, სიმონ დე სენ-კვენტინი, გიიომ რუბრუკი. მათი ჩანაწერები თავიანთი მოგზაურობის შესახებ აზიის სიღრმეში უკვე საკმაო რეალიზმით გამოირჩევა და გაცილებით ნაკლებია ზღაპრულ-ფანტასტიკური ელემენტი). პულაგუს მიერ 1258 წელს ბაღდადის, ხოლო 1260 წელს ალეპოს და დამასკოს დაპყრობის შემდგომ მონღოლთა შემოსევის პერსპექტივას მათთან სამხედრო თანამშრომლობის შესაძლებლობა ჩაენაცვლა. სპარსეთის ილხანთა სახელმწიფოს მონღოლები, ეგვიპტელ მამლუქთა მოსისხლე მტრები, დასავლეთევროპელთა ბუნებრივ მოკავშირეებად იქცნენ. 1262 წელს პულაგუ პალესტინაში საეარაუდო ლაშქრობასთან დაკავშირებით წერილს უგზავნის საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო წმინდას. პროექტს საბოლოო სახე უნდა მიეღო 1274 წლის ლიონის კრებაზე (როგორც ცნობილია, მონღოლთა ელჩები ამ კრებაზე იყო ორი ქართველი ძმა, იოანე და იაკობ ეასალი, როგორც მათ ევროპული წყაროები მოიხსენიებენ). ამდენად, მარკო პოლოს მოგზაურობას აზიის სიღრმეში და შორეული მხარეების მის საკმაოდ რეალისტურ აღწერილობას გარკვეულწილად ისტორიულადაც შეუმხადდა საფუძველი[*].

მარკო პოლოს ნაშრომს გარდამტეხი მნიშვნელობა აქვს ევროპული გეოგრაფიული ველტბილდის ცვლილებისათვის. მარკო პოლომდე აზიაში წასული არც ერთი ევროპელი მოგზაური მონღოლეთის ფარგლებს არ გასცდენია. მარკო პოლო უშუალოდ იყო ჩინეთში, სამხრეთ ვიეტნამში, გემით იმოგზაურა ჩინეთის ზღვასა და ინდოეთის ოკეანეში. მას პირველს ევროპელ მოგზაურთაგან მოაქვს ცნობები კორეისა და იაპონიის შესახებ. ამასთან, აღმოსავლური სამყაროს სურათი მარკო პოლოსთან საკმაოდ რეალისტურია. მართალია, პრესბიტერი იოანეს თუ გოგის და მაგოგის ლეგენდების შესახებ მარკო პოლოც მოგვითხრობს, მაგრამ ეს ლეგენდები საერთო რეალისტური სურათის კონტექსტში მარკო პოლოსთან ნაკლები აქტუალურობისაა. მარკო პოლოს და შემდგომი ხანის რიგ დანარჩენ მოგზაურთა ცნობებმა ნაწილობრივ შეცვალეს აზიის სურათი, რომელიც ჯერ

[*] შორეული აღმოსავლეთის გეოგრაფიულ ხატზე დასავლეთ ევროპაში და ახლო აღმოსავლეთში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაზე იხილეთ: Jean Richard, Die mittelalterlichen Entdecker und der Ferne Osten, წიგნში: Marco Polo. Das Buch der Wunder. Handschrift Français 2810 der Bibliothèque nationale de France. Kommentar: François Avril, Marie-Thérèse Gousset, Jackues Monfrin, Jean Richard, Marie-Hélène Tesnière mit einem Beitrag von Thomas Reimer, Faksimile Verlag Luzern 1995, გვ. 11-13.

კიდევ ანტიკურობიდან იღებდა დასაბამს. მარკო პოლოს და სხვათა გეოგრაფიულმა აღწერილობებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს დიდ აღმოჩენებზე. კოლუმბი დასავლეთიდან ცდილობდა მარკო პოლოსა თუ სხვა მოგზაურებთან დახატული ზღაპრული „კატაის", ანუ ჩინეთის პოენას.

აქვე სასურველია მოკლედ შეეეხოთ თეითონ მარკო პოლოს მოგზაურობასაც[40]. მარკო პოლოს მამა და ბიძა, ნიკოლო და მატეო პოლო 1252 წელს გაემგზავრენ ვენეციიდან კონსტანტინეპოლში საქონლით დატვირთული გემით. 1260 წელს მათ დატოვეს ბი'სანტია, გადაკვეთეს აზიის შაი და კასპიის ზღვების ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიები და მივიდნენ ჩანჯტუში. დიდი ყაენის ყუბილაის დედაქალაქში. იქიდან უკან გამოსწიეს 1268 წელს. ყუბილაი ყაენმა რომის პაპთან დაბარა თხოვნა, რომ გამოეგზავნათ მისთვის ზეთი წმინდა საფლავის სანათურიდან და ასევე განათლებული ბერები, რომელთაც სასწაულთა ჩადენაც შეეძლოთ. 1269 წელს ნიკოლო და მატეო ჩამოდიან აკონში. აქ შეიტყობენ, რომ რომის პაპის სავარძელი ვაკანტურია. აკონიდან დაბრუნდნენ ვენეციაში.

ვენეციიდან დაიწყეს ახალი მოგზაურობისათვის მზადება. ნიკოლოს თან მიჰყავს თავისი შვილი მარკო. ის ამ დროს დაახლოებით თხუთმეტი წლის იყო. ვენეციიდან სამივენი პილიგრიმთა ჯგუფთან ერთად ჩადიან იერუსალიმში. დიდი ყაენისათვის წაიღეს ზეთი მაცხოვარის საფლავის სანათურიდან. ვიდრე აღმოსავლეთისაკენ გაემართებოდნენ, ახლადარჩეულმა პაპმა, გრეგორ მეათემ ისინი უკან გამოიძახა აკონში თავის წარმომადგენელთან. რომის პაპმა მათ გააყოლა ორი დომინიკანელი ბერი და გააატანა ასევე წერილი ყუბილაი ყაენთან. თუმცა ორივე ბერი მალევე ჩამოშორდა ვენეციელ ვაჭრებს. სავარაუდოდ გზის სირთულეს ვერ გაუძლეს. 1271 წელს მოგზაურები დატოვეს აიასი კილიკიის სომხეთში. მარკო პოლოს, მამამისის და ბიძამისის მოგზაურობის ზუსტი მარშრუტი უცნობია. სავარუდოდ გადაკვეთეს დიდი სომხეთი, ჩავიდნენ თავრიზში. შემდეგ გაემართნენ ორმუზისაკენ, სპარსეთის ყურის სანაპიროზე. აქედან თითქოს ის
 უკან მობრუნდნენ და კასპიის ზღვის პირას მდებარე მხარეების გაელით ჩავიდნენ ბაქტრიისა და ბადახშანის სამხრეთით მდებარე ტერიტორიებზე (დაახლოებით დღევანდელ ავღანეთში). შემდეგ მიაღწიეს ჩინურ ქალაქ კან-ჩოუს, სადაც სავაჭრო საქმეების გამო დაახლოებით ერთ წელს დარჩნენ. 1275 წელს ჩავიდნენ ჩანგტუში და ყუბილაი ყაენს პაპის საჩუქრები და წერილი გადასცეს. ყუბილაი ყაენს იტალიელები თავის სამსახურში აყავს. ამ მომენტიდან მარკო პოლო ფაქტიურად ვაჭარი აღარ არის და ყუბილაი ყაენის კარზე დიდი მოხელე ხდება. მარკო პოლო ყუბილაი ყაენის დავალებებით იყო სამხრეთ ვიეტნამში, ბირმისა და ინდოეთის საზღვრებთან მდებარე მხარეებში. წლების განმავლობაში მართავდა ყუბილაი ყაენის იმპერიის რიგ მხარეებს. როდესაც ვენეციელებმა სამშობლოში დაბრუნება მოისურვეს, ყაენს თავიდან მათი გამოშვება არ სურდა, თუმცა საბოლოოდ მაინც ნება დართო და ვენეციელები შეუერთდნენ ელჩობას, რომელსაც მონღოლი პრინცესა ყაენ არღუნთან დასაქორწინებლად უნდა ჩაეყვანა სპარსეთში. დიდი ფლოტილია თავიდან ჩავიდა სუმატრაში, შემდეგ ცეილონში და ორწლიანი მგზავრობის ბოლოს მიაღწიეს ორმუზს. გზაში ელჩობამ დიდი დანაკარგები განიცადა, მარკო პოლო კინაღამ მეკობრეებს ჩაუვარდათ ხელში. ამასობაში ყაენი არღუნიც გარდაიცვალა და პრინცესა მის მემკვიდრეს შერთეს ცოლად. სპარსეთიდან მარკო პოლო ჩავიდა ტრაპიზონში, თუმცა გემზე ასვლამდე აქ გაძარცვეს. ოღონდ ჩინეთიდან წამოღებული ძვირფასეულობის ნაწილის გადარჩენა მარკო პოლომ შეძლო. ტრაპიზონიდან საზღვაო გზით დაბრუნდა ვენეციაში. ჩინეთიდან ვენეციამდე მოგზაურობა გაგრძელდა 1291 წლიდან 1293 წლამდე.

მარკო პოლოს ვენეციაში დაბრუნების შემდეგ ვენეციასა და გენუას შორის დაიწყო მორიგი ომი. მარკო პოლო დაინიშნა ერთ-ერთი გალერის მეთაურად. ბრძოლის დროს, 1298 წელს, ჩავარდა ტყვედ. გენუის ციხეში იჯდა სულ მცირე 1299 წლის მაისის ზავის

[40] Jean RICHARD. Marco Polo: Der Reisende und sein Buch, ნიგნში: Marco Polo (1995), გვ. 55-68.

დადებამდე. მარკოს თანამესაკნე აღმოჩნდა პიზელი რუსტიჩელო, რომელიც გენუელებმა ტყვედ ჩაიგდეს ჯერ კიდევ 1284 წელს, მელორიას საზღვაო ბრძოლისას. რუსტიჩელოს აქამდე უკვე მოესწრო მწერლობაში თავის გამოჩენა. მას ეკუთვნის რამდენიმე ეპიგონური ხასიათის არტურის ციკლის რომანი. ძნელია იმის დაბეჯითებით თქმა, იყო თუ არა ეს რუსტიჩელოს იდეა,რომ მარკო პოლოს მოგონებებიდან კულტუაზული საზოგადოებისათვის სახალისოდ საკითხავი წიგნი გაეკეთებინა. ნებისმიერ შემთხვევაში, მარკო პოლოს მოგონებების ჩაწერა ამ უცნაური შემთხვევის წყალობით მოხდა: პოლო დაატყვევეს გენუელებმა, ციხეში ჰქონდა ბევრი თავისუფალი დრო, რაც ერთგვარად უნდა შეევსო რაიმეს კეთებით, და მისი თანამესაკნე საამწერლო ნიჭის მქონე პიროვნება აღმოჩნდა. რუსტიჩელომ ჩაიწერა პოლოს მონათხრობი. კულტუაზული საზოგადოებისათვის უფრო მისაღები რომ ყოფილიყო ის, რუსტიჩელომ, როგორც ჩანს, წიგნის ფრანგულად დაწერა მიიჩნია სასურველად (ამ დროისათვის ფრანგული ლათინურის პარალელურად ერთგვარი უნივერსალური ენის როლს ასრულებს სამხრეთ ევროპაში). ასეა თუ ისე, საბოლოო ფორმა წიგნს მარკო პოლომ მისცა. როდესაც მარკო პოლომ გენუა დატოვა, 45 წლის იყო. ცხოვრობდა ვენეციაში საკუთარ სახლში და იქვე გარადიცვალა 1324 წლის 3 იანვარს. ლეგენდის მიხედვით, ვენეციელები მარკო პოლოს უძახდნენ „მესერ მილიონს" („ბატონ მილიონს"), იმ განსაცვიფრებელ რიცხვებთან დაკავშირებით, რომლებსაც მარკო პოლო ასახელებდა შორეული აზიის ქალაქების თუ სიმდიდრეების შესახებ.

აქვე ვაუწყებთ საქართველოს შესახებ მარკო პოლოს „მსოფლიოს აღწერილობაში" დაცულ ცნობებს[41]: *„სამხრეთ-დასავლეთით სომხეთს ესაზღვრება მოსულის და მარდინის ქვეყანა.* [...] *შუაღამის მხარეს კი – საქართველო* [Georgiania]. *იქ* [საქართველოში] *საზღვართან არის დიდი ჭა ნავთით* [იგულისხმება: საბადო. ეს უნდა იყოს ბაქოს ნავთობის ერთ-ერთი პირველი მოხსენიება ისტორიაში], *ისე რომ ამ ნავთით ბევრი აქლემის დატვირთვა შეიძლება. ეს ნავთი გამოიყენება არა საჭმლისათვის, არამედ მას ხმარობენ ძალამოდ როგორც ადამიანების, ასევე პირუტყვისათვის, კანის თუ სხვა დაავადებათაგან განსაკურნავად. ის აგრეთვე კარგად იწვის. მეზობელ მხარეებში სხვას* [ნავთს] *არც იყენებენ. შორიდან მოდის ხალხი, რათა ის წაიღონ თავიანთი სანათურებისათვის.*

საქართველოში [Zorzania] *ისინი* [ქვეყნის მცხოვრებლები თავიანთ] *მეფეს უწოდებენ „დავიდ მელიქს"; ჩვენს ენაზე ეს ნიშნავს: მეფე დავიდი. ქვეყნის ერთი ნაწილი მონღოლებმა* [Tataren] *დაიმორჩილეს, მეორე ნაწილი კი ციხეთა სიმაგრის წყალობით თავიანთ მმართველებს* [ან თავიანთ მმართველს] *დარჩათ.*

[საქართველო] *მდებარეობს ორ ზღვას შორის, რომელთაგან ერთს ჩრდილო-დასავლეთის მხარეს ჰქვია „დიდი ზღვა"* [შავი ზღვა], *ხოლო მეორეს აღმოსავლეთით „აბაკუ"* [კასპიის ზღვა]. *მისი* [კასპიის ზღვის] *გარშემოწერილობა 2800 მილია. ეს გახლავთ ტბა, რადგან ის სხვა ზღვას არ უკავშირდება.* [კასპიის ზღვას] *აქვს სხვადასხვა კუნძულები ლამაზი ქალაქებით და სასახლეებით. ზოგიერთ მათგანზე ცხოვრობს ხალხი, რომლებიც, როდესაც დიდი ყაენი სპარსეთის სამეფოს აოხრებდა, იქიდან გაიქცნენ და თავშესაფარი ამ კუნძულებზე ან კიდევ მიუვალ მთებში იპოვეს. კასპიის ზღვა მდინარის შესართავებთან მდიდარია თევზით, განსაკუთრებით თართით და ორაგულით.*

მე მითხრეს, რომ ამ ქვეყნის [საქართველოს] *მეფეები ძველ დროში მარჯვენა მხარზე არწივის ნიშნით იბადებოდნენ. მცხოვრებლები* [ქართველები] *მძლავრი აღნაგობის არიან. ისინი არიან გამბედავი მეზღვაურები, ჩინებული მშვილდოსნები და მამაცი მეომრები.*

---

[41] რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მარკო პოლოს არც მთლიანი ნაშრომის და არც მასთან საქართველოს შესახებ დაცული ცნობის ქართული თარგმანი არ არსებობს. ერთადერთი, ჟურნალ „დროშის" 1958 წლის მეათე ნომერში (გვ. 20). რუბრიკაში „ვინ რა თქვა თბილისზე" მოტანილია მარკო პოლოსთან საქართველოზე არსებული ცნობიდან მცირე ამონარიდი, სადაც თბილისზეა ლაპარაკი, ოღონდ ნყარო მითითებული არ არის. თუ არ ვცდები, ეს ციტატი ამოღებული უნდა იყოს მ. პოლიევქტოვის და გ. ნათაძის ნიგნიდან, რომელიც რუსულად გამოიცა თბილისში და მარკო პოლოსეულ საქართველოს აღწერილობას ასევე შემოკლებული სახით გვთავაზობს: მ. *პოლიევქტოვი*, გ. *ნათაძე*, ძველი თბილისი თანამედროვეთა ცნობებში (რუსულად). თბილისი, 1929. გვ. 5-8.

ისინი ქრისტიანები არიან. თუმცა ბერძნული ეკლესიის წესს მისდევენ. თმებს მოკლედ აჭრიან. დასავლეთის სასულიერო პირია მსგავსად.

ეს არის ქვეყანა, სადაც ალექსანდრე დიდს ჩრდილოეთისაკენ უნდოდა გასვლა, მაგრამ გზა ვერ გააგრძელა ერთი კარის [გასასველელის] სიიაწროვის და სიძნელის გამო, რომელსაც ერთი მხრიდან ზღვა ეკვრის, ხოლო მეორე მხრიდან მაღალი მთები და ტყეები ჰაზლურავენ. ისე რომ, მკირე რაზმით ამ კარის მთელი მსოფლიოს მომხდურებისაგან დაცვა შეიძლება. როდესაც ალექსანდრე დიდმა გასასველელი ვერ გადალახა, მაშინ კარის შესასველელთან ააშენებინა დიდი კედელი და გაამაგრა ის კოშკებით, რათა მის გადაღმა მცხოვრებთ აქეთ მხარეზე თავდასხმის შესაძლებლობა არ ჰქონოდათ. არასეულებრივი სიმაღლის გამო გასასველმა „რკინის კარის" სახელი მიიღო და საყოველთაოდ ცნობილია, რომ ალექსანდრემ მონღოლები ჩაკეტა ორ მთას შორის. მცდარია, როდესაც ამ ჩაკეტილ ხალხად მონღოლებს ესახავთ, მაშინ იქ ცხოვრობდნენ ყივჩაღები, რიგ სხვა ხალხებთან ერთად.

ამ ქვეყანაში [საქართველოში] მრავალი ქალაქი და ციხე-სიმაგრეა. რაც ცხოვრებისათვის აუცილებელია, აქ ყველაფერი უხვადაა. იქ მზადდება ბეური აბრეშუმი. ასევე ამზადებენ აბრეშუმის ოქროქსოვილებს. არასეულებრივი სიდიდის სვავებსაც [Geier] ეხვდებით, იმ ჯიშისას, რომელსაც Avigi-ს უწოდებენ. მცხოვრებლები სარწმუნო ძირითადად ვაჭრობით და ხელოსნობით შოულობენ. ქვეყნის მთიანმა ბუნებამ, ეიწრო და გამაგრებულმა უღელტეხილებმა [გასასველელებმა] მონღოლებს საშუალება არ მისცა სამყარო მთლიანად დაეპყრო.

ერთ მონასტერთან, რომელიც წმინდა ლეონარდის სახელობისაა, ამგვარი სასწაულები ხდება. ოთხი დღის საფალის გარშემოწერილობის ტბაში, რომლის წყალი მარილიანია და რომლის ნაპირთანაც მდებარეობს ეკლესია, თევზები ჩნდებიან მხოლოდ გაზაფხულის პირველ დღეს, და თევზი ამ დროიდან ტბაში უხვადაა აღდგომის დამეამდე. მაგრამ აღდგომის დღიდან თევზები კვლავ ქრებიან მთელი წლის განმავლობაში, მიმდევნო გაზაფხულამდე. ეს არის გელუხელათის ტბა.

ზემოთ ნახსენებ აბაკუს ზღვაში, რომელიც მთებითაა გარშემორტყმული, ჩაედინება დიდი მდინარეები: ჰერდილი [ვოლგა], ჯიპონი [ამუდარია], მტკვარი და არაქსი და მრავალი სხვა. ამ ცოტა ხნის წინ გენუელმა ვაჭრებმა კასპიის ზღვაშიც დაიწყეს მოგზაურობა. იქიდან მოაქვთ აბრეშუმის სახეობა, რომელსაც Ghellie ეწოდება.

ამ ქვეყანაში არის ერთი ლამაზი ქალაქი. ეს არის თბილისი. მას აკრავს ლამაზი გარეუბნები და მრავალრიცხოვანი გამაგრებული ადგილები. იქ ცხოვრობენ ქართველი და სომეხი ქრისტიანები, აგრეთვე მაჰმადიანები და ებრაელები. ამ უკანასკნელთა რიცხვი დიდი არ არის. თბილისში მზადდება როგორც აბრეშუმის, ასევე სხვა მრავალი ქსოვილები. მცხოვრებლები ემორჩილებიან მონღოლთა დიდ ყაენს"[42].

მარკო პოლოს ცნობიდანაც კარგად ჩანს, როგორ მოიაზრება მეცამეტე საუკუნის დასასრულსაც კავკასიის მთელი ტერიტორია საქართველოდ. გასასველელი, სადაც ალექსანდრე მაკედონელმა, შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული ლეგენდის მიხედვით, გოგის და მაგოგის ხალხები ჩაკეტა, მარკო პოლოსთან არის დარუბანდი, ანუ დერბენტი. თუმცა მარკო პოლომ უკვე იცის, რომ დერბენტის გადაღმა გოგის და მაგოგის ხალხები აღარ არიან. მარკო პოლოს გოგის და მაგოგის სამყოფელი გადააქვს უკიდურეს აღმოსავლეთში. მარკო პოლოსთანაც ხაზი ესმება ქრისტიანობის ფაქტორს საქართველოში. ისევე როგორც ქვემოთ, სხვა ავტორებთან, მარკო პოლოსთვისაც საქართველოს სახელთან ასოცირდება სხვადასხვა ქრისტიანული სასწაულები.

---

[42] Marco Polo. Von Venedig nach China. Stuttgart 1972. გვ. 42-45. იხილეთ ასევე მარკო პოლოს ძველი გერმანული თარგმანი: Der Mittelhochdeutsche Marco Polo. hrsg. von Ed. Horst von Tschamer, Berlin 1935. გვ. 4. ასევე: Die Reisen des Marco Polo nach der toskanischen „Ottimo"-Fassung von 1309. übersetzt von Ulrich Köppen, Frankfurt am Main 1971; Marco Polo, Von Venedig nach China, hrsg. von Theodor A. Knust, Stuttgart 1983; Die Reisen des Venezianers Marco Polo im 13. Jahrhundert, hrsg. von Dr. Hans Lemke, Hamburg 1907.

მართალია, გოგის და მაგოგის ხალხები საქართველოს გადაღმა აღარ ცხოვრობენ, მაგრამ სამაგიეროდ ეხლა ჩნდება სასწაულებრივი ტბის მოტივი. გელუხელათის, ან გელუქელანის (ტექსტის ვარიანტში სახელი ამგვარი ფორმითაც ფიქსირდება) ტბა უნდა იყოს სევანის, ანუ იგივე გელაქუნის ტბა. რადგანაც ეს ტბა ამ დროისათვის საქართველოს სამეფოს შემადგენლობაშია. შეიძლებოდა გვეფიქრა ვანის ტბაზეც. რადგან „გელუხელათი" ჰგავს ვანის ტბის სანაპიროზე მდებარე ქალაქ ხლათის სახელს. მით უმეტეს, რომ ზაქარია ალ-ყაზვინისთან არის მსგავსი მონათხრობი ვანის ტბაზე (ოდონდ, ბუნებრივია, ქრისტიანული სასწაულის ელემენტების გარეშე), მას შემდეგ, რაც ქართველთა ლაშქრობას ხლათზე და ხლათელთა მიერ ივანე მხარგრძელის დატყვევებას აღწერს: *„ხილატის ტბა მსოფლიოს საოცრებათაგანია. მასში ათ თვეს არც თევზია და არც ბაყაყი. წელიწადში ორ თვეში მრავლდებიან იმდენად, რომ ხელითაც დაიჭერ".*[43] ასეთივე ცნობას ვანის ტბის შესახებ ეხედებით იაკუთთანაც.[44] მაგრამ რაკი მარკო პოლოს ტბა საქართველოს სამეფოში მდებარედ მოიაზრება, სავარაუდებელია მაინც სევანის ტბა იგულისხმებოდეს. ერთადერთი, ვანის ტბაზე აღმოსავლური ცნობების გათვალისწინებით, მარკო პოლომ შეიძლება ეს ტბები ეროგვარად შეაერთა.

სომხეთის დიდი ნაწილი მონღოლთა ბატონობის დროსაც რომ საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში რჩებოდა და რომ ეს დასავლეთევროპელებმაც კარგად იცოდნენ, ამას სხვა ევროპული ცნობებიც მოწმობენ. ფრანცისკანელი ბერი გიიომ რუბრუკი 1253-1255 წლებში სამისიონერო დავალებით წავიდა ყარაყორუმში და თავისი მოგზაურობის აღწერილობაც დაგვიტოვა. რუბრუკი უკანა გზაზე დერბენტის გზით გადმოვიდა ამერკეკასიაში. მუღანიდან შეეიდა სომხეთის ტერიტორიაზე და გაემართა არარატისა და არცრუმის მიმართულებით:

„ოთხ დღეში მივედით შანშეს (Sahensa) *ქვეყნამდე, ერთ დროს უაღრესად მძლავრი ქრისტეანული, რომელიც ეხლა მონღოლებს უხდის ხარკს. მათ* [მონღოლებმა] *ყველა სიმაგრე დაანგრიეს. მამამისმა, სახელად ზაქარიამ, ეს ქვეყანა მოიპოვა სომხებისაგან, რომლებიც ხარკისგადახდისგან გათავისუფლა"*[45]. აქ, ბუნებრივია, ლაპარაკია მანდატურთუხუცეს შანშეზე, ზაქარია მხარგრძელის შვილზე.

მარკო პოლოს „მსოფლიოს აღწერილობა" შეეიდა კრებულში, რომელიც „საოცრებათა წიგნის" სახელით არის ცნობილი[46]. „საოცრებათა წიგნი" მარკო პოლოს მოგზაურობის გარდა შეიცავს შემდეგი აეტორების ნაშრომებს, რომლებიც უმთავრესად შორეულ აზიას მიეძღვნა: ოდორიკ დე პორდენონე, კარდინალი ტალერანი, ჯონ მანდეეილი, იოანან პაიტონი, რიკოლდ მონტე-კროჩე.

„საოცრებათა წიგნის" სახელით ცნობილი კრებული დაახლოებით 1407 წელს დამზადდა ბურგუნდიის ჰერცოგ ჟან უშიშარის შეკვეთით. ეს გახლაეთ ერთ-ერთი უნიკალური და საუკეთესო კრებული მინიატურათა წიგნების ისტორიაში. ტექსტები აზიის საოცრებათა შესახებ დატანილია 299 დიდფორმატიან პერგამენტზე (მთლიანობაში ეს გამოდის 598 გვერდი). ამას დაერთვის 265 მინიატურა. იმ ფაქტს, რომ „საოცრებათა წიგნი" ბურგუნდიის ჰერცოგ ჟან უშიშარის დაკვეთით შეიქმნა, გვიდასტურებს მრავალი გარემოება: ჟან უშიშარის პორტრეტი წიგნში, მისი ჰერალდიკური ნიშნები, სხვადასხვა ინვენტარებში გაკეთებული ჩანაწერები. ასევე ივარაუდება, რომ ჟან უშიშარმა წიგნი პირველად თავისთვის დაამზადებინა და მის გამოყენებას არ აპირებდა.

---

[43] ზაქარია ალ-ყაზვინის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, არაბულ ტექსტს შესავალი ნაუმძღვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო ოთარ ცქიტიშვილმა, თბილისი 1975, გვ. 43.

[44] იაკუთის ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ, არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავალით გამოსცა ეთერ სიხარულიძემ, თბილისი 1964, გვ. 51-52.

[45] Der Bericht des Franziskaners Wilhelm von Rubruck über seine Reise in das Innere Asiens in den Jahren 1253/55, hrsg. von Hermann Herlst, Leipzig 1925, გვ. 167.

[46] „საოცრებათა წიგნის" შესახებ დეტალური მასალა იხილეთ: François Avril, Das Buch der Wunder, Handschrift Français 2810 der Bibliothèque nationale de France, გვ. 19-54, Jacques Monfrin, Zur Geschichte des Textes, გვ. 69-96, Marie-Thérèse Gousset, Ein iknographisches Programm des Johann Ohnefurcht?, გვ. 97-107, ნიგნში: Marco Polo (1995).

მაგრამ ჟან უშიშარმა „საოცრებათა წიგნი" 1413 წელს ისიქა ბიძამისს, ჰერცოგ ჟან დე ბერის. ბურგუნდიის ჰერცოგმა 1413 წლის 8 იანვარს სასეიმო სადილზე მის კუთვნილ ოტელ დ'არტუაში მიიწვია საფრანგეთის მეფე, გიენის ჰერცოგი, ჟან დე ბერი და სხვა მნიშვნელოვანი პიროვნებები. თავისი საჩუქარი ჟან დე ბერის შესაძლოა სწორედ ამ საზეიმო სადილის დროს მიართვა. როგორც ჩანს, ჟან უშიშარის მიერ ბიძისათვის წიგნის მიძღვნა პოლიტიკური მოვლენებით იყო განპირობებული. მას შემდეგ, რაც ბურგუნდიის ჰერცოგმა თითქმის ოთხი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სამეფოს მთავრობის პოლიტიკის წარმართვაში, ჟან უშიშარმა იგრძნო, რომ მოვლენების მსვლელობამ მისთვის არასასურველი მიმართულება მიიღო. რადგან კვლავ გაჩნდა არმანიაკების პარტიის ძალაუფლებაში მოსვლის საფრთხე. ფეოდალთა გაუთავებელი ბრძოლებით დაღლილმა პარლამენტმა შარლ მეექვსე დაითანხმა, პარიზში მეოფ ფეოდალურ საგვარეულოთა მეთაურები თავიანთ მხარეებში გაეგზავნა უკან. როგორც ჩანს, გაუარესებული პოლიტიკური სიტუაციის ფონზე ჟან უშიშარი ბიძამისის ნეიტრალიტეტის თუ კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობდა. ჟან დე ბერი დასურათებული ხელნაწერების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კოლექციონერი და მოყვარული გახლდათ. ასე რომ ჟან უშიშარის საჩუქარი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მართებულად გახლდათ შერჩეული.

თუმცა პოლიტიკურ მოვლენებზე ჟან უშიშარის საჩუქარს ალბათ დიდი გავლენა არ მოუხდენია. ჟან დე ბერი მალევე გარდაიცვალა, 1416 წლის 15 იენისს. ამ დროისათვის კვლავ მძლავრად იფეთქა ხელისუფლებისათვის ბრძოლამ არმანიაკების და ბურგუნდელების პარტიებს შორის. ჟან დე ბერის გარდაცვალების შემდეგ ბურგუნდიის ჰერცოგს თითქოს არ უცდია „საოცრებათა წიგნის" უკან დაბრუნება. 1416 წელს „საოცრებათა წიგნი" ჟან დე ბერის სიძის და ბურგუნდიის ჰერცოგ ჟან უშიშარის ერთ-ერთი ყველაზე ერთგული მტრის, გრაფ ბერნარ დ'არმანიაკის ხელში აღმოჩნდა. აზინკურის ბრძოლის შემდეგ, ქარიზის ციტა ხნით ბერნარ დ'არმანიაკი ფლობდა. თუმცა დ'არმანიაკი 1418 წლის 12 იენისს შეეწირა სახალხო აჯანყებას, რომელიც ჟან უშიშარის მომხრეთა პარიზში შეჭრის მერე დაიწყო. თვითონ ჟან უშიშარი 1419 წლის 10 სექტემბერს დაიღუპა მონტერეს ხიდზე გამართულ ბრძოლაში. ბერნარ დ'არმანიაკის სიკვდილის შემდეგ გარკვეულ ხანს „საოცრებათა წიგნის" შესახებ ცნობები არ გვაქვს. თუმცა მომდევნო ხანებში ის ჩნდება ბერნარ დ'არმანიაკის შვილიშვილთან, ჟაკ დ'არმანიაკთან. ის თავისი დროის ერთ-ერთ ცნობილ ბიბლიოფილად ითვლებოდა. იყო ხელნაწერთა ერთ-ერთი უმდიდრესი კოლექციის მფლობელი. „საოცრებათა წიგნში", როგორც ერთ-ერთი მფლობელის, ჟაკ დ'არმანიაკის გერბიცაა აღბეჭდილი. ჟაკ დ'არმანიაკი დაიღუპა 1477 წელს. მისი გაუთავებელი ინტრიგებით შეწუხებულმა ლუდოვიკო XI ჟაკ დ'არმანიაკი გრენის მოედანზე სიკვდილით დაასჯევინა. ამის მერე ჟაკ დ'არმანიაკის ბიბლიოთეკაც გაიფანტა. „საოცრებათა წიგნი" დ'არმანიაკის დაღუპვიდან მალევე ხვდება საფრანგეთის სამეფო ბიბლიოთეკაში. „საოცრებათა წიგნის" პირველი დეტალური აღწერა საფრანგეთის სამეფო ბიბლიოთეკის ინვენტარებში თარიღდება XVI საუკუნის მეორე ნახევარით.

„საოცრებათა წიგნის" 265 მინიატურიდან 84 მინიატურა ეკუთვნის მარკო პოლოს მოგზაურობის წიგნს. მსგავსი მასშტაბის წიგნის დამზადება სავარაუდოდ ბევრი მხატვრის მონაწილეობას მოითხოვდა. წიგნში ადვილი შესამჩნევია სხვადასხვა მხატვართა სტილის მონაცვლეობა. ყველაზე მეტი მინიატურა ანონიმი მხატვრისაა, რომელიც „ბუკიკოს ოსტატის" სახელითაა ცნობილი. ეს სახელი ანონიმმა მიიღო თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომის გამო. მან დაასურათა შარლ მეექვსის სამეფო კარზე დიდი გავლენის მქონე პიროვნების, ჟან ლე მენგრის, იგივე მარშალ დე ბუკიკოს კუთვნილი ერთ-ერთი წიგნი. ანონიმ მხატვარს „საოცრებათა წიგნში" სავარაუდოდ ეკუთვნის 126 მინიატურა. მისი მინიატურები განსაკუთრებული ხარისხით გამოირჩევა. ანონიმი მინიატურისტი, სპეციალისტთა საერთო აღიარებით, არის არა უბრალო ხელოსანი, არამედ ნამდვილი ნიჭის მქონე მხატვარი. ვიდრე ძმები ვან ეიკები გამოჩნდებოდნენ, ანონიმი მინიატურისტი ჩრდილოეთ ევროპის ხელოვანთა შორის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან

განმაახლებლად ითვლება. მეორე მნიშვნელოვანი მხატვარი,რომელსაც ასევე დიდი ნაწილი ეკუთვნის „საოცრებათა წიგნის“ მინიატურებიდან, ასევე ანონიმია, „მაზარინის ოსტატის“ სახელით ცნობილი (ტერმინი აქაც ერთგვაროვნად პირობითია. აღნიშნული ანონიმის მიერ დასურათებული სხვა წიგნი ინახება მაზარინის ბიბლიოთეკაში და აქედან მინიატურისტის სახელწოდება).

ქართველთა მეფის მინიატურა ორივე აღნიშნული ანონიმი ოსტატის სტილის ნიშნებს ატარებს. შესაძლოა „მაზარინის ოსტატმა“ გარკვეული სამუშაო გასწია, თუმცა მთავარი შემსრულებელი პირველი ანონიმი ჩანს. აქვე მოვიტან ტექსტს, რომელიც ფრანგმა გამომცემლებმა გაუკეთეს ქართველთა მინიატურას[47]: *„მარცხნივ ცხენზე ამხედრებული მოდის დავით V (1243-1272), აღმოსავლეთ საქართველოს მეფე, მარცხენა მხარეს გადაკიდებული აქვს მშვილდი, ნიშნად იმისა, რომ საქვეყნოდ განთქმული მშვილდოსნების ერზე მბრძანებლობს. მეფე სანადიროდ მიდის. გრიფონი მის მარჯვენა მხარზე მოგვაგონებს არწივის ნიშანს, რომლითაც ამ ქვეყნის მონარქები – ასევ ლეგენდის მიხედვით – იბადებოდნენ. მარჯვენა მხარეს, საოცარი ტბის ახლოს, სადაც მხოლოდ აღდგომის წინა კვირაშია ოვენები, აღმართულია წმინდა ლეონარდის სახელობის მონასტერი. მონასტრის შესასვლელთან ცისტერციანელთა* (ერთ-ერთი დასავლეთევროპული სასულიერო ორდენი) *სამოსში ჩაცმული სამი მონაზონი მოკრძალებით თავს ხრის მბრძანებლის წინაშე. ეს სცენა ერომანელთთან აკავშირებს ტექსტში დამოუკიდებლად მოცემულ ორ ელემენტს“.*

აქ მოკლედ ჩამოვთვალოთ ის დეტალები, რომლებისგანაც მინიატურა შედგება. ესენია: ცხენზე ამხედრებული ქართველთა მეფე დავითი; მეფეს მხარზე აზის სავარაუდოდ არწივი; ხელში უპყრია მშვილდისარი; მეფეს თან ახლავს ორი ამხედრებული დიდებული; მონასტერი და მის წინ მდგომი მონაზენები; ტბა და ხე მონასტრის გვერდით. აქედან შემდეგი დეტალებია მარკო პოლოს „მსოფლიოს აღწერილობიდან“ აღებული: ქართველებს ჰყავთ მეფე დავითი; ქართველთა მეფეები მხარზე არწივის ნიშნით იბადებოდნენ, ამიტომ ქართველთა მეფე დავითს მხარზე აზის არწივი; ქართველები მაგარი და საქვეყნოდ განთქმული მშვილდოსნები არიან, რის გამოც მინიატურისტმა მეფეს მშვილდი დაუჭერინა ხელში; ქართველთა სამეფოში არის სასწაულებრივი ტბა, რომელშიც თევზები მხოლოდ აღდგომის წინა ხანებში არიან; ხოლო ამ ტბის გვერდზე მდებარეობს მონასტერი. მაგრამ აღნიშნული მოტივები მარკო პოლოს ცნობაში ერთმანეთისაგან განცალკევებულადაა მოცემული. მინიატურისტმა ისინი გაამთლიანა და დამოუკიდებელი კომპოზიცია შექმნა. ქართველი დიდებულები, მეფის და დიდებულების ცხენზე ჯდომის დეტალი, მონაზენები და ტბასთან ობლად აღმართული ხე მინიატურისტს საკუთარი ინიციატიეით შეუტანია კომპოზიციაში. ასევე მხატვრის გამონაგონი ჩანს ის ფაქტი, რომ ქართველთა მეფე და დიდებულები სანადიროდ მიდიან.

როგორც ითქვა, მარკო პოლოს მოგზაურობა XIII და XIV საუკუნეთა მიჯნაზე შეიქმნა. მინიატურებით დასურათებული „საოცრებათა წიგნი“ 1407 წლით თარიღდება. ამასთან, „საოცრებათა წიგნი“ მოამზადეს საფრანგეთში. მინიატურისტები აღმოსავლეთის მხარეებში საკარაუდოდ არც კი ყოფილან (თუმცა გარკვეულ რეალურ ინფორმაციას აღმოსავლეთის თუ მის მცხოვრებთა შესახებ ალბათ „საოცრებათა წიგნში“ შესული ტექსტებისგანაც დამოუკიდებლად ფლობდნენ). ამდენად, ქართველი მეფის, დიდებულების და მონაზენების

[47] Marie-Thérèse Gousset, Die Miniaturen des Buchs von Marco Polo. წიგნში: Marco Polo (1995). გვ. 222-223. თვითონ ქართველთა მეფის გამოსახულება მინიატურების წიგნში მოთავსებულია მერვე ფოლიოზე. აქვე აღვნიშნავ, რომ ხელთ მქონდა „საოცრებათა წიგნის“ ფაქსიმილური გამოცემა. აღნიშნულ ფაქსიმილურ გამოცემაში „საოცრებათა წიგნიდან“ შევიდა მხოლოდ ის მინიატურები, რომლებიც მარკო პოლოს მოგზაურობას დაერთო თან. მაგრამ ასევე უხვადაა დასურათებული „საოცრებათა წიგნში“ შეერებილი დანარჩენი ხუთი ტექსტიც. ამდენად, არ არის გამორიცხული, საქართველოსთან დაკავშირებული მინიატურები „საოცრებათა წიგნის“ დანარჩენ ნაწილშიც იყოს. რადგან, თუ არ ვცდები, ხუთი დანარჩენი ტექსტიდან სულ მცირე ორი საქართველოსთან დაკავშირებით საკმაოდ უხვ მასალას იძლევა. თუკი ვინმე დაინტერესდება აღნიშნული საკითხით, როგორც ითქვა, „საოცრებათა წიგნის“ ხელნაწერი დაცულია საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

პორტრეტებში. ბუნებრივია, მეცამეტე საუკუნის საქართველოს თუ ქართველების რეალისტურ სურათს არ უნდა ველოდოთ. თუმცა აქ შეიძლებოდა გვეფარაუდებინა, რომ XV საუკუნის დასაწყისისათვის ევროპელები საკმაოდ კარგად იცნობდნენ ქართველებს. პალესტინაში ნანახ ქართველ პილიგრიმებზე ამ დროისათვის საკმაოდ მრავალრიცხოვანი დასავლეთევროპელი მახალაა დაგროვილი. XV საუკუნის დასაწყისამდე საკმაოდ ბევრი დასავლეთევროპელი მოგზაური ნამყოფი გახლდათ საქართველოში. ცალკეულ ქართველთა ნახვლაც ფიქსირდება დასავლეთ ევროპაში (როგორც, მაგალითად, ზემოთ ნახსენები ქართველი ძმები, რომლებიც აბაღა ყაენმა გაგზავნა ლიონის კრებაზე). ამდენად, შესაძლოა ქართველი მეფის, დიდებულების და მონაზონების ტიპაჟები ან ჩაცმულობა რეალურ მონაცემებსაც ემყარებოდეს.

ერთ-ერთ ქართველ დიდებულთან მინიატურაზე ფიქსირდება მაღალი ქუდი. ქართველებთან მაღალი ქუდების არსებობას ამ ეპოქაში ადასტურებენ როგორც ბიზანტიური, ასევე დასავლეთევროპელი წყაროები. საინტერესო იქნება სპეციალისტების აზრი, თუ რამდენად დასაშვებია, ქართველთა მეფის ან დიდებულთა დანარჩენი ტანისაცმელის შემთხვევაში რეალურ ქართულ შუა საუკუნეების სამოსთან გვქონდეს საქმე. მონაზონთა კაბებზე ევროპელი გამომცემლები, ზემოთ ენახეთ, შენიშნავენ: ეს არისო ცისტერციენსელთა სამოსი. თუმცა, გამორიცხული არ მგონია, მსგავსი კაბები ქართველ მონაზონებსაც ჰქონოდათ შუა საუკუნეებში. შესაძლოა არ იყოს შემთხვევითი, რომ ქართველთა მეფე და დიდებულები ასე ერთ გუნდად, ცხენზე ამხედრებულნი არიან გამოსახულნი. შუა საუკუნეების მოყვანილ რიგი დასავლეთევროპული წყაროები თუ ავტორები, ჟაკ დე ვიტრი, მარინო სანუდო, ქვემორაინული აღმოსავლეთის აღწერა, იოანეს ფონ ჰილდესჰაიმი და მრავალი სხვა, მოგვითხრობენ ქართველ პილიგრიმთა ან დიდებულთა შეიარაღებულ გუნდებზე. ამხედრებულნი შეკრულ ჯგუფებად რომ მოგზაურობენ აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნებში. თავისთავად ალბათ საინტერესოა შემდეგი დეტალიც: ქართველთა მეფე და დიდებულები მაინცდამაინც სანადიროდ მიმავალნი არიან გამოხატულები. სავსებით დასაშვებია ეს მოტივიც ქართველთა რეალურ ყოფაზე მიღებულ ინფორმაციას ემყარებოდეს.

როგორც ითქვა, წიგნის გამომცემელთა მიხედვით მინიატურაზე გამოხატული ქართველთა მეფე არის დავით ულუ (ევროპელ მკვლევარები საეარაუდოდ ემყარებიან ევროპაში ადრე გამოცემულ ერთ-ერთ საქართველოს ისტორიას და ამიტომ დავით ულუ მათთან არის დავით V და არა დავით VII). მინიატურაზე გამოსახული საქართველოს მეფის დავით ულუდ მინნეა სავარაუდოდ მართებული უნდა იყოს. თუმცა რამდენიმე დეტალზე ყურადღების გამახვილება ალბათ მაინც სასურველია. მარკო პოლოს მიხედვით, საქართველოს მეფეა დავითი: საქართველოს ნაწილი ემორჩილება მონღოლებს; მეორე ნაწილი, ანუ დასავლეთ საქართველო მონღოლებისაგან დამოუკიდებელია. ამ დროისათვის აღმოსავლეთ საქართველოს განაგებს დავით ულუ, ხოლო დასავლეთს – დავით ნარინი. მარკო პოლო არ აკონკრეტებს, საქართველოს რომელ ნაწილს განაგებს მეფე დავითი. ამდენად, მარკო პოლოს საქართველოს მეფის დავით ულუდ მიჩნევა, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად პირობითია. მაგრამ რაკი აქ მაინც ლაპარაკია ზოგადად საქართველოს მეფეზე, ამასთან მარკო პოლოს ყურადღების ცენტრშია აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს სივრცედ მოაზრებული ტერიტორია, უნდა იგულისხმებოდეს დავით ულუ, ქეციის ცენტრალური ნაწილის მმართველი. დავით ულუს გარდაცვალების თარიღი ამ მოსაზრებას ხელს არ უნდა უშლიდეს. ევროპელ მეცნიერებს დავით ულუს გარდაცვალების თარიღად 1272 წელი მოაქვთ. ქართულ მეცნიერებაში, რამდენადაც ვიცი, დავით ულუს გარდაცვალების თარიღი 1270-1271 წლებს შორის მერყეობს. მარკო პოლო ხმელთაშუა ზღვის პირას მდებარე ქალაქ აიასიდან აღმოსავლეთისკენ გაემართა 1271 წელს. ასე რომ, საქართველოს ტერიტორიის სამხრეთით შეიძლებოდა 1271 წელსვე, დავით ულუს გარდაცვალებამდე გაეველო. მარკო პოლომ ჩინეთიდან საქართველოს ტერიტორიასთან უკან გამოიარა დაახლოებით 1293 წელს. აღნიშნულ დროს დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ მეფობს დავით ნარინი,

ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ტახტზე ადის დავით VIII. შესაძლოა მარკო პოლოს ამ ფაქტების შესახებაც ჰქონოდა ინფორმაცია, მაგრამ რაკი მარკო პოლო საქართველოს მეფე დავითზე საუბრისას ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოსთან დაკავშირებულ სიერცეს ეხება (ამიტომ აქ დავით ნარინი უნდა გამოვრიცხოთ) და ამის შესახებ მოგზაური აზიისაკენ მსვლელობისას მოგვითხრობს, ანუ ქრონოლოგიურად ეს ამბავი 1271 წელში

დავით ულუს მინიატურა მარკო პოლოს ნიგნიდან „მსოფლიოს აღნერილობა", 1407 ნელი

თავსდება (შესაბამისად, აქ დავით VIII ვერ იქნება ნაგულისხმეი), ამიტომ ევროპელ მეცნიერთა მოსაზრება, რომ „საოცრებათა წიგნის" მინიატურაზე გამოსახული ქართველთა მეფე გახლავთ დავით VII ულუ, მართებული უნდა იყოს. თუმცა გარკეეული პირობითობის ელემენტი, როგორც ზემოთაც ითქვა, ამ შემთხვევაში ნამდვილად რჩება.

ამდენად, 1407 წელს შესრულებული „საოცრებათა წიგნი" მარკო პოლოს „მსოფლიოს აღწერილობას" თან დაურთავს ქართველთა მეფე დავით VII ულუს მინიატურას. დავით ულუ ქართველ დიდებულებთან ერთად მიდის სანადიროდ და ცოტა ხანს ჩერდება მონასტრის წინ, სადაც მას მონაზონები ესალმებიან.

ვილჰელმ ადამი
1316-1317 წლები

ვილჰელმ ადამი გახლდათ დომინიკანელთა ორდენის წევრი. წარმოშობით დასავლეთევროპელია. თუმცა მისი კონკრეტული ეროვნება უცნობია. ჯერ იყო სმირნის ეპისკოპოსი. 1322 წელს აკურთხეს სულთანიის არქიეპისკოპოსად და ამგვარად იქცა სპარსეთის კათოლიკური ეკლესიის მმართველად. სულთანიაში არქიეპისკოპოსად კურთხევამდე აღმოსავლეთში იმოგზაურა და კუნძულ სოკოტრამდე მიაღწია. ცდილობდა დაერწმუნებინა ევროპელები, რომ ესარგებლათ ილხანთა კეთილგანწყობით, სპარსეთის ყურეში შეექმნათ მძლავრი ფლოტი და სოკოტრა გამოეყენებინათ შემდგომი რეიდებისათვის საბაზო პუნქტად. აქედან ევროპულ ფლოტილიას უნდა დაეპყრო ადენი. მოწყო წითელი ზღვის ბლოკადა, გადაეკეტა ეგვიპტის ინდოეთთან ვაჭრობა და მამელუკთა ეგვიპტისათვის ამგვარად მძიმე ეკონომიკური დარტყმა მიეყენებინა (რის გაკეთებასაც ვილჰელმ ადამი XIV საუკუნის დასაწყისში სპარსეთის გაელით ცდილობდა, იგივე განახორციელეს პორტუგალიელებმა ორი საუკუნით გვიან, მას შემდეგ, რაც აფრიკას გარშემო შემოუარეს). ვილჰელმ ადამს სოკოტრადან ეთიოპიაშიც უნდოდა წასელა, თუმცა ეს პროექტიც ვერ განახორციელა. ადამი გარდაიცვალა 1337-1341 წლებს შორის. მისი ნაშრომი, სადაც ქართველებთან დაკავშირებული ცნობაცაა დაცული, თარიღდება 1316 ან 1317 წლით. XIV საუკუნის დასაწყისში, მარინო სანუდოსთან ერთად, ვილჰელმ ადამი ყველაზე მნიშვნელოვანია იმ ევროპელთა შორის, რომელთაც ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზება სურდათ. საამისოდ ადამს უშუალო დავალებები ჰქონდა მიღებული რომის პაპისაგან. ვილჰელმ ადამის ნაშრომიც იმ მიზნით გამზადდა, რომ დასავლეთ ევროპისათვის აღმოსავლურ სამყაროში არსებულ რეალურ ვითარებაზე მიეწოდებინა ინფორმაცია. შესაბამისად, ქართველების შესახებ ვილჰელმ ადამთან დაცულ ცნობასაც მეტი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ეს გახლავთ რეალური ინფორმაცია აღმოსავლეთში არსებული სავარაუდო მოკავშირის შესახებ, მოსალოდნელი ჯვაროსნული ლაშქრობის წინ. ვილჰელმ ადამის ცნობას კიდევ ერთი ფაქტორის გამო უნდა დავუთმოთ განსაკუთრებული ყურადღება. მკვლევართა აღიარებით ვილჰელმ ადამს ზოოლოგიურად სძულს ყოველი არალათინი და მეტად დაბალი წარმოდგენისაა აღმოსავლელი ქრისტიანების საბრძოლო პოტენციალზე, ბუნებრივია, ქართველთა გამოკლებით. მსგავსი ავტორის მიერ მოწოდებული შემდეგი ცნობა კარგად გვიჩვენებს, თუ რა სახელი ჰქონდათ ქართველებს ახლო აღმოსავლეთში და დასავლეთ ევროპაშიც:

„რა ადვილია მისთვის [სპარსეთის ილხანისათვის] *ყველაფრის შეპირება, რაც მას სურს, და იმის შესრულება, რასაც ის პპირდება, შემდეგიდან ჩანს: საკუთარი სახელმწიფოს მონღოლების გარდა, დამორჩილებული ქვეყნებიდან მას შეუძლია 50 000 მეტი ქრისტიანი მხედარისა და 200 000 მეტი ქვეითის გამოყვანა. ყველა ესენი მას* [ილხანს] *ამ საქმისათვის [ალესტინაზე ლაშქრობა იერუსალიმის გასათავისუფლებლად ეგვიპტელ მამელუქთაგან] ერთხმად და მტკიცედ გაჰყვებიან.*

მათ შორისაა დიდი სამეფო, რომელსაც ხალხურ ენაზე ქართველთა სამეფო, ხოლო ბერძნულად იბერთა სამეფო ეწოდება, რადგან ისინი [ქართველები] *წარმოშობით იბერიიდან, ანუ ესპანეთიდან არიან. ამ ქართველებს ჰყავთ მეფე, რომელსაც მუდამ დაეთს უწოდებენ. ისინი არიან უმაგრესი მებრძოლები მთელს აღმოსავლეთში, მუდამ სწყურიათ სარკინოზთა სისხლი* [ან: სარკინოზთა სისხლი სწყურიათ გაძღომის გარეშე] *და გადადიან ქვეყნიდან ქვეყანაში* [ან: მოგზაურობენ სხვადასხვა ქვეყნებში].

ამგვარი ბუნებისაა ეს ხალხი. ისე რომ, სპარსეთის იმპერატორი [მონღოლთა ილხანი] *მათი მძლავრი ხმალის დახმარების გარეშე ვერასდროს დაამარცხებდა სარკინოზებს. ამიტომ, როდესაც მონღოლებს ბაღდადისათვის ალყა ჰქონდათ შემორტყმული, ვერცერთხელ შეტევა ვერ მიიტანეს, ვიდრე ქართველთა ჯარი არ გამოჩნდა* [ან: ქართველთა ჯარი არ გავიდა დამრტყმელ პოზიციაზე]. *სარკინოზებს შორის მოწყობილი საშინელი*

სისხლისღვრის შემდეგ მათი ხალიფა, ანუ პაპი, რომელიც, ასე ეთქვათ, მარტო დარჩა ცოცხალი, საეკლესიო განკეთების მსგავს წყველა-კრულვას ისროდა. ამიტომ მონღოლებს შეიარაღებული რაზმის გაგზავნა შეეშინდათ. მაშინ ქართველთა ერთმა მთავარმა, სხვებზე მამაცმა, მას შემდეგ, რაც სამების სახელი ახსენა, თავისი მძლავრი ხელით, რომელშიც ხმალი ეპყრა, ერთი დარტყმით წააცალა თავი მხართან ერთად [ხალიფას]. *ამ დარტყმამ ისეთი ზარალი მიაყენა სარკინოზებს და ის ისეთი გადამწყვეტი აღმოჩნდა, რომ მას მერე არც ერთი ხალიფა აღარ გამოჩენილა*"[48].

ეილპელმ ადამი, თუ არ ეცდები, ერთ-ერთი პირველია შუა საუკუნეების დასავლეთევროპელ ავტორთა შორის, რომელთანაც იბერიის ნახევარკუნძულიდან და ესპანეთიდან ქართველთა წარმომავლობის სავარაუდოდ ბიზანტიურ ვერსიას ვხვდებით. ტერმინით „ხალხური ენა", ან „ხალხური ენები" აღინიშნებოდა არალათინური, დასავლეთევროპელ ერთა ენები. დასავლეთევროპულ ხალხურ ენებზე ქართველებს უმთავრესად ეწოდებოდათ Georgiani. რამდენადაც ეიცი, ძირითადად ასევე მოიხსენიებოდნენ ქართველები XIV საუკუნემდე ლათინურ ენაზეც. ეილპელმ ადამი კარგად იცნობდა ბიზანტიურ სამყაროს და ქართველებისათვის დასახელება „იბერები" სწორედ აქედან აიღო. როგორც თვითონ შენიშნავს, ქართველებს „იბერები" ბერძენთა ენაზე ეწოდებათ. ეილპელმ ადამის მიხედვით, ქართველთა მეფეს მუდამ დავითი ჰქვია. აქ, არ არის გამორიცხული, საქმე გვქონდეს არა იმდენად ისტორიულ რეალობასთან, მიუხედავად იმისა, რომ ამ ეპოქაში მართლაც ბევრ ქართველ მეფეს ერქვა დავითი, არამედ უფრო მეტად შუა საუკუნეების დასავლეთევროპული ლეგენდის ლოკალიზაციასთან. პრესბიტერ იოანეს ლეგენდა XIII საუკუნის დასაწყისში უშუალოდ უკავშირდება მეფე დავითის ლეგენდა. როდესაც ამ ეპოქის დასავლეთევროპელი ავტორი ამბობს: ამა თუ იმ ქვეყანაში მეფეს მუდამ დავითი ჰქვია, ამით ის აღნიშნული ლეგენდარული მეფე დავითის და მეფე დავითის ლეგენდის ამ კონკრეტულ ქვეყანაში ლოკალიზებას ვნდა ახდენდეს. 1258 წელს ბაღდადის აღებისას ქართველთა მიერ შესრულებული როლი ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად არის ცნობილი[49]. თუმცა ეილპელმ ადამის ცნობა დამატებით ხაზს უსვამს ქართველთა განსაკუთრებულ როლს ბაღდადის აღებისას. ამასთან, ეილპელმ ადამის მიხედვით, ბაღდადის ხალიფაც უშუალოდ ქართველებმა მოკლეს. სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც წესი, გავრცელებულია აზრი, რომ ხალიფა მონღოლებმა მოკლეს ჰულაგუს ბრძანებით (მსგავს ცნობას მარკო პოლოც გვთავაზობს თავის მოგზაურობაში). ეილპელმ ადამთან აღნიშნული მოვლენის განსხვავებული და უდავოდ ყურადსაღები ვერსიაა დაცული, რადგან ადამს, აღმოსავლეთში დიდ ხანს ცხოვრების შემდეგ, სანდო წყაროებზე ნამდვილად მიუწვდებოდა ხელი. როგორც ითქვა, ეილპელმ ადამის ცნობა თარიღდება 1316

---

[48] აქვე მომყავს ეილპელმ ადამის ცნობის ლათინური ტექსტი: „Ut autem videatur quam facile sit promittere omne quod velit et attendere quod promittit, ex hoc patet. Nam, preter Tartaros sui dominii, posset habere de terris sibi subditis plus quam L[m] equitum christianorum, et plus quam CC[m] peditum, qui eum, pro hoc negocio, omnes, uno et prompto animo, sequerentur. Inter quos est quoddam magnum regnum quod vocatur, vulgato nomine, Georgianorum, sed greco nomine Yberorum, quia de Yberia, hoc est de Yspania, originem habuerunt. Isti ergo Georgiani regem habent, quem semper David vocant. Et super omnes Orientales sunt strenui bellatores, insaciabiliter sanguinem Sarracenorum sicientes, et supra modum passagium affectantes. Tales sunt ut nunquam imperator Persidis victoriam de Sarracenis habuit, nisi istorum potenti gladio mediante. Unde, quando Tartari Baldacum obsederant, nunquam ante ingredi presumpserunt quam Georgianorum exercitus precessisset. Cumque, post cedem innumerabilem Sarracenorum ibi factam, galifa eorum, id est papa, solus quasi superstes, et contra Tartarum in modum excommunicacionis maledicta congereret, et ex hoc in eum manus mittere Tartari formidassent, Georgianus unus princeps, audacior ceteris, manu valida ensem vibrans, Trinitatis prius nomine invocato, uno solo ictu, caput cum dextro humero amputavit, sicque ictus ille tale discrimen Sarracenis contulit et jacturam, quam, ex tunc, nullus galifa alius resurrexit" (Guillelmus Adæ, De Modo Saracenos Extirpandi, ნიგნში: Recueil des Historiens des Croisades, Documents Arméniens, T. 2, Documents Latins et Français relatifs à L'Arménie, Paris, Nachdr. 1967, გვ. 534-535 ; იხილეთ ასევე: VON DEN BRINCKEN [1973], გვ. 118-119).

[49] ჯვაროსნული ომების ისტორიის ცნობილი მკვლევარიც, სტივენ რანსიმანი, ეხება ქართული არმიის მნიშვნელოვან როლს ბაღდადთან და აღნიშნავს, რომ ქართველთა რაზმებმა პირველებმა შეანგრიეს ბაღდადის კედლები. რანსიმანის მიხედვით, ბაღდადის რბევისას განსაკუთრებული სისასტიკე სწორედ ქართულმა ჯარმა გამოიჩინა (Steven RUNCIMAN, Geschichte der Kreuzzüge, München 1997[2], გვ. 1079-1081). ბაღდადის ზღვარგადასული დაუნდობლობით რბევა ალბათ განპირობებული იყო შემდეგი გარემოებით: სულ 33 წელია ჯალალედინის მიერ თბილისის აღებიდან გასული. როგორც ჯალალედინის აქცია დაისახა მაჰმადიანურ სამყაროში ქართველებზე ერთგვარ რელიგიურ შურისძიებად, ასევე მაჰმადიანური სამყაროსათვის სანაცვლოს მიგებად უნდა ჩათვლილიყო ქართველებისათვის ბაღდადზე ლაშქრობა.

ან 1317 წლით. პირველი ევროპული პორტოლანი, პიეტრო ვესკონტეს შაეი ზღვის ატლასი, რომელზეც საქართველოს დროშაზე იერუსალიმის ჯვარის გამოსახულებაა მოცემული, განეკუთვნება 1320 წელს. ვილჰელმ ადამის ცნობის ფონზეც მგონი საესებით ლოგიკური გამოდის საქართველოს ტერიტორიასთან ამგვარი დროშის გამოჩენა.

მარინო სანუდო ტორსელი
1321 წელი

მარინო სანუდო ტორსელი გახლდათ ვენეციელი დიდებული. XIV საუუუნის დასაწყისში ცდილობდა ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზებას. ამ მიზნისათვის დაწერა თავისი ნაშრომი Secreta Fidelium Crucis, რომელიც 1321 წლისათვის გადასცა რომის პაპს. სანუდოს წიგნი, ვილჰელმ ადამის ნაშრომის მსგავსად, აღწერდა აღმოსავლეთში არსებულ აქტუალურ სიტუაციას. სანუდო ლაპარაკობს ასევე შესაძლო მოკავშირეების, მათ შორის ქართველების შესახებ. სანუდოს ნაშრომს თან დაერთო პიეტრო ვესკონტეს პორტოლანები (საზღვაო რუკები) და მსოფლიო რუკები. სანუდოს წიგნში თაკმოყრილი მასალა ნაწილობრივ რუკებზეცაა ასახული. ვესკონტეს რუკები ,ქართველოსთან დაკავშირებით ასევე უხვ მასალას გეთავაზობენ. მართალია, მარინო სანუდოს ცნობაში ქართველებზე მოყვანილი ბევრი დეტალი ჟაკ დე ვიტრის ცნობას მოგვაგონებს. მაგრამ აქ ისე არ არის საქმე, რომ სანუდომ ჟაკ დე ვიტრის ცნობა ერთი საკუთრივ გვიან უბრალოდ გადმოწერა. სანუდოს ნაშრომები აქტუალურ და თანადროულ მოსაცემებს ემყარებოდა, რათა ჯვაროსნული ლაშქრობის სამსადისში რომის პაპისა და დასავლელი მონარქებისათვის აღმოსავლეთში არსებულ ძალთა კონსტელაციაზე რეალური სურათი შეეთავაზებინა. უბრალოდ, ოდნავ პათეტიკურად თუ ვიტყვით, საქმე ის არის, რომ მარინო სანუდოს დროსაც ქართველები ისევე სცემენ თაყვანს წმინდა გიორგის, ქართველების ისევ ეშინიათ მაჰმადიანებს და იერუსალიმში ქრისტეს საფლავის მოსალოცად წასული ქართველები ისევე არავის უხდიან ბაჟს, როგორც ერთი საუკუნის წინ, ჟაკ დე ვიტრის დროს. მარინო სანუდო თავის წიგნში კიდევ რამდენიმე ადგილას მოკლედ საუბრობს ქართველებზე (მაგალითად, ახსენებს მუღანის ველზე ქართული არმიის მონღოლებთან დამარცხების ფაქტს). აქ მოვიყვან მარინო სანუდოსთან ქართველებთან დაკავშირებით მოცემულ მხოლოდ ერთ მთავარ ცნობას:

„არიან კიდევ ქრისტიანები, რომელთაც ქართველები ეწოდებათ, რადგან წარმართთა წინააღმდეგ [ბრძოლაში] *მათი მშველელი და მფარველი პატრონი წმინდა გიორგია და ყველა სხვა წმინდანზე უწინარესად განსაკუთრებული მოწიწებით თაყვანს სცემენ მას, როგორც მათ მეფეროშეს* [დროშის მტვირთველს]. *ისინი* [ქართველები] *არიან უაღრესად მამაცი და გამბედავნი ბრძოლაში, მეტად მძლავრნი, ძლიერნი ურიცხვ თავდამსხმელთა წინააღმდეგ. სარკინოზებს, სპარსელებს, მიდიელებს, ასურელებს, რომელთა მოსაზღვრე მხარეებშიც ისინი ცხოვრობენ, მათი* [ქართველების] *დიდი შიში აქვთ. ურწმუნოებს, რომელთა შორისაც არიან მთლიანად მოქცეულნი, თავიანთი სამხედრო ექსპედიციების დროს დიდ ზარალს აყენებენ. საღვთო წიგნებში ბერძნული ენა აქვთ და საეკლესიო რიტუალებშიც ბერძნულ წესებს მისდევენ. მათი სასულიერო პირები მრგვალ ტონზურას აკრავენ, ხოლო საერონი – ოთხკუთხას. ყოველთვის, როდესაც ისინი აქ მოდიან მაცხოვარის საფლავის მოსანახულებლად, წმინდა ქალაქში შემოდიან გაშლილი დროშით, ბაყის გადაუხდელად.*

სარკინოზები ცდილობენ, არ შეაწუხონ ისინი [ქართველები], *რათა მათ, როდესაც სამშობლოში დაბრუნდებიან, გაცილებით უარესი სამაგიერო არ გადაუხადონ მეზობლად მცხოვრებ სარკინოზებს. ისინი* [ქართველები] *მეტად განრისხებულნი იყვნენ და დაემუქრნენ დამასკოს მთავარ კორადინს, რადგან მან* [კორადინმა] *მათი* [ქართველების] *თანხმობის გარეშე იერუსალიმის კუდლები დაანგრია, როდესაც ლათინთა ერს ქალაქ დამიეტასათვის*

ალეა ჰქონდა შემორტყმული. [ქართველები] ატარებენ ერთი წყრთის სიგრძე თმასა და წყერს, ხოლო თავზე ახურავთ მრგვალი, მაღალი ქუდები. მათი კეთილშობილი ქალები ამორძალთა მსგავსად იარაღით ხელში მონაწილეობას იღებენ ბრძოლებში'[50].

მარინო სანუდოსთანაც ქართველებთან უნდა ფიქსირდებოდეს წმინდა გიორგის დროშები. შუა საუკუნეების პრინციპების გათვალისწინებით მხოლოდ ეს აზრი შეიძლება ჩაიდოს მის სიტყვებში. როგორც ითქვა, მარინო სანუდო ტორსელის ნაშრომი პროპაგანდისტული მიზნებითაც დაიწერა, რათა ხელი შეეწყო ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობისათვის. ამდენად, სანუდოს ნაშრომში ქართველები განიხილებიან პოტენციურ მძლავრ მოკავშირეებად და აქედან გამომდინარე, ამ ცნობებს კიდევ უფრო მეტი ფასი აქვთ, ეიდრე, მაგალითად, უბრალო ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის ტექსტში ქართველების შესახებ დაცულ ინფორმაციას. სანუდოს ტექსტს, ზემოთაც ვახსენეთ, თან ჰქონდა დართული პიეტრო ვესკონტეს რუკები. პიეტრო ვესკონტეს ერთ-ერთ რუკაზე საქართველოს სახელმწიფოსთან მოთავსებულია ხუთჯვრიანი დროშა, როგორც ქვემოთ ვნახავთ. ვესკონტეს რუკა და მარინო სანუდოს ტექსტი, თუ შეიძლება ასე ითქვას, საქართველოსთან დაკავშირებული მასალის კონტექსტში სრულ შესაბამისობაში არიან ერთმანეთთან. მარინო სანუდოსთან ქართველების დახასიათების გაცნობის მერე სავსებით ლოგიკური ჩანს ვესკონტეს რუკაზე საქართველოსთან მოთავსებული ჯვრებიანი დროშა.

იორდანუს კატალანი, იგივე ჟურდენ დე სერვერაკი

XIV საუკუნის დასაწყისი

იორდანუს კატალანი ფრანგია და ქართველებს სპარსეთის სქიზმატიკოს ქრიტიანებს შორის მოიხსენიებს, თუმცა შემდეგ ხაზგასმით ამბობს, რომ საქართველო ყველანაირად მის საშობლოს ჰგავს. ქართველები არიან ქრისტიანები და მაგარი მეომრები[51].

იაკობ ვერონელი

1340 წელი

იაკობ ვერონელის მიხედვით, ქართველები ნათლობაში ლათინთა მსგავს წესებს იყენებენ, ხოლო ლიტურგიაში ბერძნულ ფორმას მისდევენ. წმინდა საფლავის ეკლესიაში ქართველებს თავიანთი კაპელა ნუბიელების გვერდით აქვთ. ქართველები სარკინოზთა მსგავს ტანისამოსს ატარებენ. ცხოვრობენ მონღოლთა ახლოს. ჰყავთ უაღრესად მძლავრი მეფე. ქართველები არიან მეტად ღვთისმოსავი, მძლავრი და ერთგული ქრისტიანები[52].

იაკობ ვერონელის საქართველოს უაღრესად მძლავრ მეფეში გიორგი ბრწყინვალე იგულისხმება. ეს ცნობა დაახლოებით 1340 წლით თარიღდება. კელავ ხაზი ესმება

---

[50] მარინო სანუდოს ცნობის ლათინური ტექსტი: „Sunt etiam Christiani Georgiani vocati, eo quod sanctum Georgium in prælíis contra incredulam getem, aduocatum habeant & patronum: & tanquam signiferum præaliis Sanctis singulari reuerentia colunt. Hii sunt bellicosi valde, & in prælíis strenui, fortes robore, innumeri pugnatorum multitudine pollentes; valde formidabiles Saracenis, Persis, Medis & Assyriis, in quorum confinio commorantur: cunctisq; infidelibus, a quibus vndiq; clauduntur, in expeditionibus frequenter valde damnosi sunt. Vtuntur autem Græco idiomate, in scripturis Diuinis; & Græcorum consuetudines, in sacramentis obseruant: Clerici eoru rotundas habent rasuras; Layci quadratas: quotieseunq; ad. Sepulchrum Dominicum visitandum veniunt, cum vexillo erecto, absq; tributo, Ciuitatem Sanctam ingrediuntur: nec eos Saraceni molestare præsumunt, ne cum repatriant, duriora vicinis Saracenis rependant. Fuerunt quoq; nimium indignati, & minas intulerunt Principi Damasceno, Coradino eo quod absq; voluntate eorum muros Ierusalem euertere præsumpsisser, cum populus Latinoru, ciuitatem Damiatæ obsidebat. [...] Crincs autem & barbas vnius fere cubiti longitudine portant, & pileis vtuntur in capite: nobiles quoque mulieres eorum, more Amazonum militant, & armis vtuntur in prælíis" (Marino Sanudo, Secreta Fidelium Crucis, Ed. Bongars, Gesta Die per Francos, ტ. 1, Hanau 1611, გვ. 184).

[51] Anna-Dorothee von den Brincken (1973), გვ. 120.

[52] Anna-Dorothee von den Brincken (1973), გვ. 120-121. Jakob von Verona, Liber Peregrinationis, Ed. Ugo Monneret de Villard, in: Il Nuovo Ramusio I, Rom 1950, გვ. 19, 33, 39, 59, 61. იხილეთ ასევე ეკა კოკანძე (1983), გვ. 160-161.

ქართველთა მძლავრ ქრისტიანობას. გიორგი ბრწყინვალის ეპოქიდან, რეალობის შესაბამისად, დასავლური წყაროების მიხედვით, კიდევ უფრო იზრდება ქართველთა როლი პალესტინასა და იერუსალიმში. ამასთან, სწორედ იაკობ ვერონელის და სხვა ამ დროის ავტორების დროს გამოსახავენ დასავლეთევროპული პორტოლანები საქართველოს დროშაზე ხუთჯვრიან კომპოზიციას. როგორც ითქვა, ევროპული რუკები და ცნობები სრულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან.

იოჰანეს დე კოლუმნა
1340 წელი

იოჰანეს დე კოლუმნა გვატყობინებს, რომ ქართველებმა დახმარება შესთავაზეს დამიეტასთან მყოფ ჯვაროსნებს. ქართველთა მეფე, იოჰანეს დე კოლუმნას მიხედვით, უაღრესად მძლავრია და ჯვაროსანთადმი კეთილგანწყობილი[53]. აქაც, ცხადია, იგულისხმება გიორგი ბრწყინვალე. იოჰანეს დე კოლუმნას ცნობაც ისევე მნიშვნელოვანია დროშის საკითხისათვის, როგორც იაკობ ვერონელის ინფორმაცია. ზემოთაც ვახსენეთ, ანუელინო დულნერტი 1339 წელს ათაესებს სამ ხუთჯვრიან დროშას საქართველოსთან. იოჰანეს დე კოლუმნა კი ერთი წლით ადრე გვაწვდის ცნობებს ქართველთა მეფის უაღრესი სიმძლავრისა და ჯვაროსნული განწყობილებების შესახებ.

ლუდოლფ ფონ ზუდჰაიმი
1347 წელი

„ქართველებს აქვთ წმინდა საფლავის ეკლესიის გასაღები და ისინი დიდძალი ფულისთვისაც არ შეელევიან საფლავის ქვის უმცირეს ნატეხსაც კი. ქართველები წმინდა საფლავის გასაღებს ფლობენ, რადგან ისინი განსაკუთრებით თაყვანს სცემენ მაცხოვარის საფლავს და ასევე ბრწყინვალე მცველები არიან“.[54] ლუდოლფი ქებას ასხამს ქართველთა მხედრულ ძლევამოსილებას. ქართველებს, ლუდოლფის მიხედვით აქვთ საკუთარი ენა და წმინდა გიორგის დროშები (ან: დროშები წმინდა გიორგის გამოსახულებით).

მას შემდეგ, რაც გიორგი ბრწყინვალის დროიდან მაცხოვარის საფლავის დაცვა ქართველთა ხელში გადმოვიდა, ქართველთა ქრისტიანულ ხატს დასავლეთევროპელებთან კიდევ ერთი დამატებითი შტრიხი ემატება.

ლუდოლფ ფონ ზუდჰაიმთან უკვე პირდაპირ არის ქართველებთან წმინდა გიორგის დროშები დაფიქსირებული. ქრისტიანული სამყაროს ტრადიციის გათვალისწინებით ეს არის უწინარესად წმინდა გიორგის ჯვარი, ანუ ერთი წითელი ჯვარი თეთრ ფონზე. ამ დროშის პარალელურად ქართველებს უშუალოდ წმინდა გიორგის გამოსახულებების მქონე დროშებიც ექნებოდათ. ერთი მეორეს ხელს არ უშლის. ფაქტიურად დასავლური ცნობის მიხედვით ყოველგვარ ეჭვს გარეშე ფიქსირდება ქართველებთან ქრისტიანული სიმბოლიკის მქონე დროშა, და ამ დროშაზე მოცემული უნდა ყოფილიყო ერთი ჯვარი. როგორც ზემოთაც ითქვა, ხუთჯვრიანი დროშის საკითხს ეს ხელს კი არ უშლის, პირიქით, ზურგს უმაგრებს, რომ ჯვრიანი დროშის პრეცედენტი ქართველებთან რეალურად დასტურდება. ამასთან, ამ დროშას ვხედებით საქართველოს გარეთ, იერუსალიმში წასულ ქართველებთან, რაც ასევე სუსტად უნდა ასახავდეს მოვლენათა კონსტელაციას. იერუსალიმის მოსალოცად ცალკეული პილიგრიმები, ბუნებრივია, ჯვრიანი დროშით

[53] . Anna-Dorothee von den Brincken (1973), გვ. 121.
[54] *გრიგოლ ფერაძე* (1995), გვ. 37. Anna-Dorothee von den Brincken (1973), გვ. 123. Ludolfs von Sudheim Reise ins Heilige Land, hrsg. von Ivar v. Stapelmohr (= Lunder Germanistische Forschungen), Lund 1937, გვ. 148.

წაეიდოდნენ, მაგრამ ეს დროშა ეერაფრით ეერ იქნებოდა სახელმწიფო დროშა. თუმცა წმინდა გიორგის დროშებსაც საქართველოში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უნდა სჭეროდათ.

„ქვემორაინული აღმოსავლეთის აღწერა"
1355 წელი

„ქვემორაინული აღმოსაელეთის აღწერა" არის ანონიმური ძეგლი, რომელშიაც აღწერილია აღმოსავლეთის მხარეები. თარიღდება დაახლოებით 1355 წლით. ავტორი იყო უცნობი სასულიერო პირი ქალაქ კიოლნიდან. ძეგლი გადარჩა კიოლნის საქალაქო არქივში დაცული ერთადერთი ეგზემპლარით. იწყება სამი წმინდა მეფის (ქრისტეს თაყვანისსაცემად მოსული სამი მოგვი) ამბავით. შემდეგ მონათხრობი ეხება აღმოსავლეთის რიგ მხარეებს. ნაწარმოები ისეა აგებული, თითქოს ავტორი მოგზაურობდეს და გზაში ნანახს გადმოგვცემდეს. „ქვემორაინული აღმოსაელეთის აღწერის" მიხედვით, მისი ავტორი, მაგალითად, 1338 წლისათვის, ეგვიპტეშია, 1340 წელს – თავრიზში, 1348 წლამდე ცოტა ხნით ადრე – სომხეთში. 1350 წელს ავტორს კვლავ კიოლნში ეხედავთ. არ არის გამორიცხული, მოგზაურობის მოტივი ფიქცია იყოს და ავტორი კიოლნიდან გაუსვლელად წერდეს ქვეყანაფერს. რადგან ნაწარმოებში აღმოსავლური სამყაროს შესახებ მოცემული ცოდნის დიდი ნაწილი დასავლეთ ეროპაში უკვე წინა საუკუნეებშიეე არსებობდა (ამგვარი ფიქტიური მოგზაურობის შესახებ მოგვითხრო 1375 წლისათვის ჯონ მანდეეილმა ინგლისში). „ქვემორაინულ აღმოსაელეთის აღწერაში" აზიის სამყარო ძირითადად ქრისტიანულ ჭრილშია დანახული. მამადიანობის ფაქტორი მთლიანად უკანა პლანზეა გადაწეული. ეხვდებით კარგად ნაცნობ მოტიეებს პრესბიტერ იოანესა თუ საოცარი, მონსტრუალური ხალხების შესახებ, სამყაროს კიდეზე რომ დაუდეეთ ბინა. აქ მომაქეს „ქვემორაინულ აღმოსაელეთის აღწერაში" ქართველებთან დაკავშირებული ამონარიდი:

„ქუეყანა ჩრდილო-აღმოსაელეთით მდებარეობენ საქართველოს სამეფო [Georgien] და აფხაზეთის სამეფო [Abtas], *და იქ მცხოვრებლები არიან მამაცი, ღეთისმოსავი და მძლავრი ქრისტიანები.* [...] *შემდგომ მოდიან საქართველოს სამეფო და აფხაზეთის სამეფო. ისინი მდებარეობენ აღმოსაელეთში ჩრდილოეთის მიმართულებით, იქ მცხოვრებნი არიან ქრისტიანები და უაღრესად კარგი მეომრები. მათ ეწოდებათ ქართველები* [Georgiani], *არიან მეტად მძლავრი ხალხი, აქვთ საკუთარი ენა,* [სხვადასხვა] *ქვეყნებში მოგზაურობენ ამხედრებულნი დიდი რაზმებით, როგორც ფრიზები, ატარებენ წმინდა გიორგის დროშას* [ან: დროშას წმინდა გიორგის გამოსახულებით], *რომლის მიხედვითაც ეწოდებათ ქართველები. სულთანის ქვეყანასა თუ სხვა წარმართულ ქვეყნებში მგზავრობენ ბაეის გადაუხდელად, რადგან ისინი* [სიმძლავრით] *აღემატებიან წარმართებს, რომლებიც ცხოვრობენ მეკასთან. მათ ქვეყანასთან და უდაბნოებში. ამ ქვეყნის ბერები და სასულიერო პირები მისდევენ წმინდა ანტონიუსის და წმინდა მაკარიუსის ორდენთა წესებს, და ესენი არიან ბერები, რომლებიც სინას მთის ძირში წმინდა კატარინას მონასტერში ცხოვრობენ. როდესაც ეს ხალხი* [ქართველები] *იქ* [სინას მთისკენ] *მიემგზავრება, მღვრიან კეირიელეისონს სამი წმინდა მეფის* [ქრისტეს თაყვანისსაცემად მოსული სამი მოგვის] *სადიდებლად, რათა ისინი შეეწიონ მათ მთებსა და უდაბნოებში მგზავრობისას.*

არის ერთი დიდი სამეფო და ეწოდება ზედა საქართველო. აფხაზეთის სამეფოს ეწოდება ქვედა საქართველო, მას ადრე სომხეთი ერქვა, და ამ ქვეყნის დიდი ნაწილი მაღალი მთებია. ამ ქვეყანაშია მთა, რომელზეც ნოეს კიდობანი გაჩერდა, არავის ძალუძს იქ ასვლა თოვლის გამო, ეს მთა [სიმაღლით] *აღემატება გარშემო მთებს, კიდობანი* [ამჟამად] *მთაზე აღარ არის, იქ დევს გრძელი დამწვარი ხის მსგავსი* [საგანი]. *ამ ქვეყანაში* [საქართველოში] *მცხოვრები ხალხი ამბობს, რომ იქ* [მთაზე] *კიდევ უნდა იყოს კიდობნისაგან რაღაც დარჩენილი.*

ამ ქვეყანაში [საქართველოში] *არის კიდევ ერთი მხარე* [ქვეყანა], *რომელსაც იქაური*

ხალხი ჰაიმისენს [Heymissen] *უწოდებს. ეს მხარე ხეთი მიწი სიგრძე-სიგანისაა. ეს მხარე ვაზეველია ბნელ ნისლში და თეთონ ამ მხარეში მეყოლს წყვდიადი, ისე რომ ნაშუადღეის შეძლეს. როდესაც მზე ამ მხარეს თავზე ადგას. მზის სინათლის დანახვა შეუძლებელია. მაგრამ ამ ნისლის გარშემო და თეთონ ამ ნისლშიც ხალხი ცხოვრობს, ნისლიანი მხარიდან კარგად ისმის ცხენების ჭიხვინი და მამლების ყიყინი. მაგრამ არავის გაუგია ამის შესახებ რაიმე და არც არავის წაუკითხავს, რომ ვინმე აქედან ამ ნისლიან მხარეში შესულიყოს. ან იქიდან გამოსულიყოს ვინმე მათთან, ვინც* [ამ ნისლის] *გარეთ ცხოვრობს, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის არ არის* [ისეთი დაბრკოლება], *რასაც ვინმესთვის* [იქიდან გამოსვლაში ან აქედან შესვლაში] *ხელის შეშლა შეუძლო. ყველგან ამ ნისლის გარშემო ხალხი ცხოვრობს. რადგან იქ დიდი და კარგი საძოვრებია.*

ყვებიან იმის შესახებ, რომ როდესაც მუსამედი ამ ქვეყნის [საქართველოს] *დაპყრობას ცდილობდა. ქრისტიანები მთებში გაიქცნენ, წარმართები მათ დაედევნენ, ცოლ-შვილიც თან ჰყვედათ და მთელი აელა-დიდებაც თან მიჰქონდათ, როგორც მათი* [წარმართების] *ჩვეულებაა, რათა ისინი* [მათი ოჯახები] *იქვე დარჩენილიყვნენ, თუ თეთონ თავიანთი ჯარით სხეაგან დააპირებდნენ გალაშქრებას.*

მათ ქრისტიანები [აქ, ცხადია, ყველგან ქართველები იგულისხმებიან] *მიიმწყვდიეს ქვეყნის ერთ მხარეში. როდესაც ქრისტიანებმა დაინახეს, რომ გასაქცევი გზა არ აქვონდათ, მაშინ საშველად უხმეს ღმერთს, წმინდა გიორგის და სამ ბრწყინვალე წმინდა მეფეს, რომლებიც* [სამი მოგვი] *კონსტანტინოპოლში იყვნენ, რათა ღმერთს ისინი* [ქართველები] *წარმართებისაგან გამოეხსნა. მაშინ ზეციდან მთელ იმ ადგილზე, სადაც* [წარმართები] *იყვნენ დაბანაკებული, წამოვიდა ბნელი ნისლი, ისე რომ იმ დროიდან მოყოლებული დღეევანდლამდე კაცი არ გამოსულა ნისლიდან და არც არავინ შესულა შიგნით.*

ამიტომ ჰკვია ამ ხალხს ქართველები, არიან მამაცნი და მძლავრნი, მოკავშირობენ ამხედრებულნი დიდ.მრავალრიცხოვან რაზმებად,როგორც ფრიზები. საითაც არ მიემართებიან ამეარი სახით, თან მიაქვთ დროშა, რომელზეც სამი წმინდა მეფეა გამოსახული. და იმ დღეს და იმ საათს, როდესაც ისინი ამგვარად გამოიხსნენ [წარმართთაგან], *სადაც უნდა იყვნენ, განსაკუთრებული ბრწყინვალებით აღნიშნავენ. საქართველოს ეს ორივე სამეფო ერთად გაცილებით ძლიერია,ვიდრე სულთანის ქვეყნები. გარდა ამისა, სულთანს და ყველა დანარჩენ წარმართს მეტად გონივრული* [ფრთხილი] *და მშვიდობიანი დამოკიდებულება აქვს მათთან. სადაც უნდა მიდიოდნენ ან მიემართებოდნენ ამხედრებულნი, მღერიან, თუ როგორ გამოიხსნენ წარმართთაგან"* [„ქვემორაინული აღმოსავლეთის აღწერა" ქართველებს ახსენებს აგრეთვე ქრისტიან ხალხთა ჩამოთვლისას]"[55].

---

[55] „ქვემორაინულ აღმოსავლეთის აღწერაში" ქართველებთან დაკავშირებული ცნობის ძველი გერმანული ტექსტი შემდეგია: „Vort intgain dat nordynoist da licht dat koninckrych van Georgien ind dat koninckrych van Abtas, ind die lude, die da wonent, die sint vroeme [ind] starcke kirsten. [...] Vort alle die kirsten, die in disen landen wonent, dat sint partyen, so dat yrre geyn gelouffl as der ander, ind heischent Latini, Suriani, Indiani, Nubiani, Armenii, Greci, Georgiani, Nestorini, Jacobite, Maionite, Copti, Ysini, Maionini ind Soldini. [...] Vort dat koninckrych van Georgien ind dat konynckrych van Abtas, die lygent in orienten int gain dat nordyn, ind die lude, die da wonent, die sint kirsten, ind synt in den wapen alze vroeme, ind heischent Georgiani, ind sint alze starcke lude, ind haint eyne eygen spraiche, ind dye geent ind rydent durch die lant mit groissen scharen, as Vriesen, ind voirent eynen vanen of eyn bangere mit yn, wa sy hien zeint, ind da steit an gemailt sent Georgius bilde, ind danne af heischent sy Georgiani, ind varent ind zeynt durch des souldains lant ind alre heyden sonder zoll vry ind mit gemache, daromb dat sy den heyden, die zo Mecha ind by oren landen wonen ind in den woystenyen, des de besser syn. Ind die moniche ind geistliche lude van dem lande, die baldent sich na sent Anthonys ind sent Macharius orden, ind dat synt die moniche, die zo sent Kathrynen wonent under deme berge zo Synay, ind wa dese lude hien varent, da syngen sy leyson van den heiligen dryn koninckgen, dat sy die geleyden durch berge ind woystenye, ind is eyn alze grois konickrych ind heischt overste Georgien. Vort dat konynkrych van Abtas, dat heischt nederste Georgien, ind hiesch van alders Armenien, ind die meiste deill van dem lande sind hoe berge, ind in deme lande is die berch, da archa Noe upstoint, ind dar en kann geyn minsche up komen van snee, ind den berch syt men hoe boven andern bergen, ind van der archen en is nicht up deme berge, dan id steit da als eyn lanck verbrant boum, ind dat saint die lude, die in deme lande wonent, dat da noch van der archen sy. Vort in deme lande is eyn ander lant, dat heischent die lude da Heymissen, ind dat land is wale vunf milen breyt ind lanck, umb dat lant ind in deme lande geyt up eyn duyster nevell bis in den hemell, so dat man up den middach geyne sonne en kan gesyen, wan he dar over geit, ind all umb desen nevell wonent lude ind ouch in deme nevell, also dat man umber in deme nevell wael pert weyen ind haynen kreyen. Ind nye en wart dat gehoirt noch gelesen, dat eyn mynsche qweme in den nevell, da die lude ynne woent, of uys deme nevell qweme zo den, die da buyssen wonent, nochtant en is nyet da tuschen, dat emant hyndern mach. Ind all umb den nevell wonent lude, want da is altze vill weyden. Ind die lude lesent da waill, dat do Magomecht all dat lant wan mit der macht, dat doe all de kirsten vluyn in die berge, ind die heiden zoigen in na mit wyven ind mit kinden ind mit all yrme goede, as ir sede, wan sy mit der macht yrgent treckent, da sy

მნიშვნელოვანი უნდა იყოს ანონიმის მიერ სინას მთაზე მდებარე კატარინას მონასტერში ქართველთა ოროლის ასეთი ხასგასმა. ასევე ის ფაქტი, რომ მექასთან მცხოვრებ მაჰმადიანებსაც შიში აქვთ ქართველებისა. ყურადსაღებია ქართველ ბერებთან წმინდა მაკარიუსის და ანტონიუსის ორდენების დაფიქსირება. გარდა ამისა, ანონიმს სავარაუდოდ ხელი მიუწვდებოდა იმ შედარებით ძველ წყაროებზე, სადაც საქართველო ორ სამეფოდ გაყოფილად ისახება. მაგრამ, როგორ ჩანს, ანონიმი ფლობდა აგრეთვე ინფორმაციას, რომ საქართველო კვლავ ერთიანი სამეფოა და საქართველოში შედის სომხეთი არარატის მთითა და ნოეს კიდობანითურთ. ამიტომ დასავლეთ საქართველოს სამეფოს სახელი, აფხაზეთი, მარტივად გადაიტანა სომხეთზე. ქართველების წარმართთაგან გამოხსნის ლეგენდის საქართველოში არსებობის ან სამი აღმოსავლელი მოგვის ამგვარი განსაკუთრებული თაყვანისცემის შესახებ რაიმე ინფორმაცია არ მაქვს. ერთადერთი ქართველებსა და მოწინააღმდეგე მხარეს შორის ღმერთის მიერ ნისლის და ღრუბელის ჩამოდგომის მოტივი, თუმცა განსხვავებულ კონტექსტში, დაფიქსირებულია ჯამთააღმწერელთან, როდესაც მონღოლი თეგუდარის მიერ ოპიზის გაძარცვის მცდელობაა აღწერილი. თუმცა ნისლის და ღრუბლის მსგავსი მოტივი დასავლეთევროპულ ლიტერატურაში უფრო ადრე ჩნდება. XIII საუკუნის შუა ხანებში იოჰან დე პლანო კარპინი მოგვითხრობს ჩინგიზ-ყაენის ლაშქრობის შესახებ კასპიის მთებისაკენ, როდესაც მონღოლებს ღრუბელი საშუალებას არ აძლევს, თავს დაესხან მოწინააღმდეგეს. თუმცა მონღოლთა ღრუბელში ან ნისლში გახვევის მოტივს პლანო კარპინი არ გვთავაზობს. XIV საუკუნის დასაწყისში იოჰან ჰაიტონი საუბრობს ჰამსენის მხარეზე საქართველოში. ოღონდ, ჰაიტონის მიხედვით, ღმერთმა ამ პროვინციაში ჩაკეტა სპარსელთა მეფე შაპური, რომელსაც ქართველთა დამორჩილება სურდა. „ქვემორაინული აღმოსავლეთის აღწერის" წყარო ამ შემთხვევაში სავარაუდოდ არის იოჰან ჰაიტონი. მაგრამ გერმანელმა ანონიმმა საქართველოში ღმერთს, არც ქვები, არც ნაკლები, დაამწყვდევინა მაჰმადიანები თვითონ მუჰამედთან ერთად. ეს ცნობაც გვინვენებს, რა დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა მაღალი შუა საუკუნეების საქართველოს დასავლეთევროპელებთან, რომ ლეგენდაში თვითონ მუჰამედს ალაშქრებინეს ქართველებზე, შემდეგ კი ღმერთს მუჰამედი ქრისტიან ქართველებზე ლაშქრობის გამო სასტიკად დასაჯევინეს. ამ ლეგენდის კომპლექსით დასავლეთევროპელებმა ერთგვარი ერსაცი შეუქმნეს გოგის და მაგოგის ლეგენდას, გოგის და მაგოგის ხალხები გადასვეს უკიდურეს აღმოსავლეთში, მათ ადგილას კი ღმერთს დღევანდელ კავკასიაში მაჰმადიანები და მუჰამედი დაამწყვდევინეს. „ქვემორაინულ აღმოსავლეთის აღწერაში" ქართველები შედარებულნი არიან ფრიზებთან. ფრიზები არიან ჩრდილო-დასავლეთ გერმანელები. მათი ნაწილი დღეისათვის გერმანიაში ცხოვრობს, ნაწილი – ჰოლანდიაში. შუა საუკუნეებში იყვნენ ძლიერი ზღვაოსნები, აგრესიულები, დიდ ჯგუფებად გადადიოდნენ ადგილიდან ადგილზე და მშვიდობიან მოსახლეობას ხშირად შიშის ზარს სცემდნენ.

აქვე შევეხოთ დროშების საკითხს. „ქვემორაინული აღმოსავლეთის აღწერის" მიხედვით ქართველებთან უკვე ქრისტიანული ნიშნებით ორი დროშა ფიქსირდება. პირველია წმინდა გიორგის დროშა. ევროპული მასალის გათვალისწინებით შეიძლება დანამდვილებით ითქვას, როდესაც დასავლეთ ევროპელი შუა საუკუნეებში ლაპარაკობს წმინდა გიორგის

---

moegen blyven. Ind doe hatten sy die kirsten in eyn ort des lantz gedrongen, ind doe die kirsten sagen, dat sy nyet konden intkomen, doe rieffen sy got an ind sent Georgius ind die helige gemyde dry koninege, die wairen do zo Constantynopolyn, umb dat got sy umb ere wille erloiste van den heyden, doe steich dis duyster nevell up an den hemell all umb die stede, da de heyden lagen, also dat van der tzyt bis an desen dach nye mynsche us deme nevell intquam, of dar in quam bis an desen dach. Ind danne af heischent die lude Georgiani, ind synt vroim lude ind starck, ind geent ind rydent zo samen mit groissen weydeligen schairen, as Vreysen. Ind wa heen sy alsus vaerent, da haint sy eynen vanen of eyn banyere, da steent an gemailt die heilige dry koninck; ind den dach ind die tzyt, do sy alsy wurden erloist, den begeent sy alschoin, wa sy sint; ind sonderlingen dese tzwene koninckgyn van Georgien synt altze vill starker, dan des souldains lant. Mer der souldain ind ouch vort all die heyden levent mit groisser list mit in, ind mit gemache. Ind wa sy hene varent ind zeint, da syngent sy, wie sy wurden van den heiden erloist" (R. Röhricht, H. Meisner, Ein Niederrheinischer Bericht über den Orient, in: Zeitschrift für Deutsche Philologie 19, 1887, გვ. 9, 16-18. Anna-Dorothee von den Brincken [1973], გვ. 122-123). ძველი გერმანული ტექსტების თარგმნისას განეული დახმარებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებ პანოვერის (გერმანია) უნივერსიტეტის დოცენტს, დრ. კლაუს ალცეანგს.

დროშაზე. როგორც წესი, გულისხმობს თეთრ ფონზე გამოსახულ წითელ ჯვარს. თუმცა დროშაზე, ბუნებრივია, თეთონ წმინდა გიორგიც შეიძლება იყოს გამოსახული. გარდა ამისა, ქართველებთან ეხვდებით ასევე ქრისტეს თაყვანისსაცემად მოსული სამი წმინდა მოგვის დროშას. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ამ დროშას ევროპელები აღნუსხავენ საქართველოს გარეთ მეოფ მოგზაურებსა ან პილიგრიმებთან. წმინდა გიორგის დროშა, როგორც მფარველი წმინდანის, ითქვა უკვე, საყოველთაოდ იქნებოდა გავრცელებული. რაც შეეხება სამი წმინდა მეფის დროშას, როგორც ევროპელები უწოდებენ ქრისტეს თაყვანისსაცემად მოსულ მოგვებს, ეს იქნებოდა ან ერთ-ერთი ქართველი დიდებულის, ან ქართული მხარის, შესაძლოა მონასტრის დროშაც. მით უმეტეს, აეტორი თეთონ ლაპარაკობს ქართველებთან არსებულ ბერთა ორდენებზე. ეს ფაქტი, ცხადია, დამოკიდებულია იმაზე, თუ პილიგრიმთა რომელ ჯგუფს შეხედა თეთონ აეტორი, ან მისი ინფორმატორი.

იოჰანეს ფონ ჰილდესჰაიმი
1360-1375

იოჰანეს ფონ ჰილდესჰაიმი იყო თეოლოგი, ორატორი, ფილოსოფოსი, პოეტი, ისტორიოგრაფი. გერმანიის გარდა საეკლესიო პოსტებზე მოღვაწეობდა საფრანგეთსა და იტალიაშიც. გარდაიცვალა 1375 წელს. მას ეკუთვნის წიგნი სამ წმინდა მეფეზე, ანუ ქრისტეს თაყვანისსაცემად მოსულ სამ მოგვზე: Historia Trium Regum. წიგნში სხვა საკითხებთან ერთად აღწერილია აღმოსავლეთის ამბები. ამ ნაშრომშია დაფიქსირებული იოჰანეს ფონ ჰილდესჰაიმის ცნობა საქართველოსა და ქართველებზე. ნაშრომი დაწერილია ჯერ-ჯერობით 1360-1375 წლებს შორის. საქართველოსთან დაკავშირებულ ცნობაში იოჰანეს ფონ ჰილდესჰაიმისათვის ერთ-ერთი მთავარი წყაროა „ქვემორაინული აღმოსავლეთის აღწერა". აღნიშნულ ძეგლს იოჰანეს ფონ ჰილდესჰაიმი თავისი ნაშრომის სხვა პასაჟებშიც ხშირად ემყარება. ქართველებთან დაკავშირებით იოჰანეს ფონ ჰილდესჰაიმთანაც მოსრდილი ცნობაა დაცული:

„ქართველები [Georgiani] *ეწოდებათ ხალხს ზედა საქართველოს სამეყოდან. მათ ბერძნების მსგავსი წეს-ჩვეულებანი აქვთ. როდესაც სახლისაკენ* [სამშობლოსაკენ] *მიემგზავრებიან, იკრებიან დიდ რაზმებად, როგორც ფრიზები ან უნგრელები. აქვთ წმინდა გიორგის დროშა* [ან: დროშა წმინდა გიორგის გამოსახულებით], *არიან მძლავრი ქრისტიანები. ცხოვრობენ ქალაქთან, რომელსაც მექა ჰქვია, სადაც მუჰამედის ცხედარია დასვენებული, ყველა წარმართის მეთაური და ცრუ წინასწარმეტყველი რომ იყო. ამ ქართველებს აქვთ საკუთარი ენა და ჰყავთ აგრეთვე არქიეპისკოპოსი, რომელიც სინას მთაზე წმინდა კატარინას მონასტერში ცხოვრობს. მას ემორჩილებიან ყველანი* [ქართველები], *ისევე როგორც ჩვენ ვემორჩილებით აქ ჩვენს სულიერ მამას, პაპს. მათ აქვთ წმინდა ანტონიუსის და მაკარიუსის ორდენები. სულთანის ქვეყანაში თავისუფლად მგზავრობენ და არც ბაჟს იხდიან, თითქოს მათი საკუთარი ქვეყანა იყოს. თუმცა ისინი* [ქართველები] *უფრო მეგობრულნი და კეთილგანწყობილნი არიან, ვიდრე სხვა წარმართები. და სადაც არ მიდიან ან მიემგზავრებიან ამხედრებულნი, მღერიან სასულიერო ჰიმნებს სამი წმინდა მეფის* [სამი მოგვის] *შესახებ, მათს ცხოვრებასა და ღვაწლზე.*

არიან კიდევ სხვა ქრისტიანები, რომელთაც ეწოდებათ ქართველები [Geordiani] *და ცხოვრობენ საქართველოს ქვედა სამეფოში, რომელსაც სომხეთს უწოდებდნენ ხოლმე. ეს ქვეყანა მთებითაა სავსე. იქ არის ერთი განსაკუთრებული მთა, რომელზეც ზემოთ ნოეს კიდობანი გაჩერდა, როდესაც ხმელეთი წყალს ჰქონდა წალეკილი. მთა იმსიმაღლეა, რომ დიდი თოვლის გამო არაფის შეუძლია მაღლა ასვლა. მთა შვიდი მილის სიმაღლისაა. მთაზე დევს დიდი ხის ოდენა შავი ხე, რომელიც გამომწვარია* [ან: დამწვარია]. *ხე იმის მერე მთაზე, რაც იქ ნოეს კიდობანი გაჩერდა.*

იმავე ქვეყანაში [საქართველოში] *არის ერთი სხვა ქვეყანა* [მხარე], *რომელსაც პაიმისე ჰქვია და ხეთი მილის სიგრძე-სიგანე აქვს. ამ მხარეზე ერთი მდინარე მიედინება. ამ*

მხარეში ისეთი სიბნელე და წყვდიადია, იმგვარადაა საკვე ნისლით, რომ არც სალამოს, არც რომელიმე დღეს და არც საერთოდ წლის განმავლობაში მზე არ იხილვება. იქ [საქართველოში] მცხოვრები ხალხი ამბობს, რომ არც არავინ შესულა იმ მხარეში და არც იქიდან გამოსულა ვინმე, მიუხედავად იმისა, რომ აქეთა [საქართველოს] *და იქითა მხარეს [ნისლით დაფარული ქვეყანა] შორის მხოლოდ ერთი ისრის გასროლა მანძილია. გარშემო კი* [ნისლიანი მხარის ირგვლივ] *ნაყოფიერი ქვეყანაა.* [ის მხარე] *იმდენად ბნელია და იმგვარადაა საკვე ნისლით, რომ არავის შეუძლია არც შესვლა და არც გამოსვლა. მაგრამ იქიდან ისმის ხოლმე ადამიანთა ხმები, მამლების ყივილი და ცხენების ჭიხვინი, აგრეთვე იქიდან გამომავალ მდინარესაც ატყვია ადამიანთა ცხოვრების კვალი.*

ეკითხულობთ, რომ იმ დროს, როდესაც წარმართთა წინასწარმეტყველი მუსამედი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, რომაელთა იმპერატორი გახლდათ პერაკლე. იმპერატორი ყველა ქრისტიანს აკელევინებდა. მაშინ ბევრი ქრისტიანი [იგულისხმება, რომ ქართველებზეა ლაპარაკი] *მთებში გაიქცა. წარმართები მოვიდნენ და ალყაში მოაქცივს ქრისტიანები, რომელთაც მთაზე ეპოვათ თავშესაფარი, მაგრამ გასაქცევი არსად ჰქონდათ. მაშინ ქრისტიანებმა შეევლა სთხოვეს ღმერთს და სამ წმინდა მეფეს, - რომელთაც ასე აფასებენ აღმოსავლეთში, – რომ ღმერთი მათ* [ქართველ ქრისტიანებს] *სამი წმინდა მეფის ღვაწლის და ლმობიერებათა გამო დახმარებოდა. მათ მიიღეს ნანატრი შეევლა. წარმართები თავიანთი ცოლებით, ბავშვებით და პირუტყვით აღმოჩნდნენ იმ ადგილას, საიდანაც ცოტა ხნის წინ ქრისტიანები გაიქცნენ. მაშინ ის მხარე* [ანუ ის ადგილი, სადაც წარმართები იყვნენ] *ბნელმა ნისლმა და წყვდიადმა დაფარა, ისე რომ, მას მერე არც იქიდან გამოსულა ვინმე და არც აქედან შესულან შიგნით ადამიანები.*

ქრონიკალები ერთად [რაზმებად] *მოგზაურობენ, როგორც ფრიზები, დროშებით, რომლებზეც სამი წმინდა მეფეა გამოსახული [მოსაგონრად იმ დღისა], როდესაც ღმერთმა ისინი თავისი მოწყალებით გამოიხსნა"* [ქრისტიანი ხალხების ჩამოთვლისას იოპანეს ფონ პილდესპაიმიც ორჯერ ახსენებს ქართველებს][56].

იოპანეს ფონ პილდესპაიმის ცნობა ძირითად შტრიხებში იმეორებს „ქვემორაინული აღმოსავლეთის აღწერის" მონაცემებს. მცირე გეოგრაფიული არეულობაც შემოაქვს.

---

[56] იოპანეს ფონ პილდესპაიმის ცნობის ძველ გერმანული ტექსტი: „[...] De eyne hetent Nubiani, de anderen Suriani. Item Soldini, Nestorini, Latyni, Armeni, Greci, Jacobiti, Geordiani, Nycoaliten, Maronini, Admandopolos. [...] Vortmer alle dese angelouuigen kersten, als Armeni, Georgiani, Soldini, Jacobiti, maroniti, Stichriani, Copti, ysyni, Greci, Nestorini vnd mandopolos Vnd alle ander eirra(n)gen, de eyne mit den anderen verdregen sich nicht Vnd hebb(en) hate vn(d) Nyt vnder eyn, Vnd der eyn doyt den andere to banne, Vnd der eyne en wilt mit dem andere(n) nicht gemeynschap hebbe(n) [...] Item Georgiani, dat synt lude vier dem rijke des ouersten Georgie. Dese hebben eyne manere als de greiken. Vnd so wa(n)ner dat sy heym ghayn, so ghayni sy mit eyme groten hope to gadere, als de vriesen of als de vngaren doynt. Vnd sy hebben eyn Ba(n)nere, dar steit su(n)t Joris inne gemailt, Vnd synt strange kersten lude Vnd woneni to gadere by eynre stat, de het Merhe. Dar leget dat lijkam Mametz, de dar was eyn hoift vnd eyn valsch prophete alre heyden. Dese Georgiani hebben eynne sunderlike sprake Vnd hebben ok eynen Artschenbisschob, de wont oppe de(m) Berge van Synay in sunte Catherinen cloister, deme synt sy alle gehoirsam, als wy hir syn vnsme geistliken vader, deme paese. Vnd sy hebben leif su(n)t Anthonius orden vnd Markarius. Item sy mogen doir alle des Soldaens lant wandelen ayn tol vnd vrij als in erme lande. Sy synt doch vruntholt vnd sanftmodiger dan ander heyden. Vnd war sy ghayn of rydent, So syngent sy geistliken van den heylige(n) dryn coni(n)gen, van eirme leyuen vnd verdiene(n). Item id synt ander kersten, de heitent Geordiani vnd synt in dem nederste(n) rijke van Georgien, vnd id plach eyns to heten Armenia. Jd is vol berge. Dar is eyn sunderlige berch, dar oppe de Arka Noe bleif staen, do de werelt mit deme wasser was verderft. De berch is also hoge, dat nema(n) dar oppe komen mach vm des groten sneys wille(n), Want de berch is wale .vij. milen hoge. Oppe deme berge dar leget eyn swart holt, als grote als eyn boem, de gebrant is. Dat bleif ok dar liggen, do de arke Noe dar bleif stayn. Dar in deme seluen lande is eyn ander lant, dat hetet henisse, dat is .v. milen breit vnd lank. Dar gheit eyn water doir. Dat lant is also dunkel vnd duyster vnd vol neuels, dat man in dem auwest noch nu(m)mermer de sunne geseyn en kann, w(er) in deme dage noch gheyne tijt in dem Jaire. De lude sprekent, de dar by woenen, Dat nye gheyn man queme in dat lant noch ok dar vte. Nochta(n) woenent lude dar by eynen armborst schote lank. Vnd al vm dat lant ist eyn vruchtberich lant. Mer dat dunker lant is also vol neuels, dat neman dar in noch da vte komen en kann. Doch dar wane(n) lude ynne, want man horet ducwil paerde ueyen vnd hanen kreyen, vnd vte dem water vluyst ducwil houwe vnd stro vnd holt, dat van luden dar in wirt geworpen. Item man leist, dat eyn keser was van Romen, de was geheten Ereculus, oppe de tijt was mamet der heyden prophete; de keser dede doden alle kerste(n) menschen. Do vluwen vele kersten vnder de Berge. Do quamen de heyden vnd belachten sich vmb de Berge, dat de kersten neirgen vte mochten komen gheyns weges. Do repen de kersten an de helpe gods vnd de heylige drij coni(n)ge, de do in orienten also wert waren, oppe dat in got hulpe ou(er)mids verdenen der drijer coni(n)ge. Dat geschach. Do voren de heyden mit wijf vnd mit eirme vye dar wonen, Dar de kersten ware(n) vte vluwen. Do quam eyn dicke Neuel vnd dunkernisse in dat lant, also dat nye eynre dar vte quam, noch ney gheyn mensche to in dar in en quam. Item de Georgiani, sy ghaynt to gadere, als de vriesen doynt, vnd mit Ba(n)neren, dar synt de helige drij coni(n)ge ynne gemailt, want got hadde sy erloist genedecligen" (Max Behland, Die Dreikönigslegende des Johannes von Hildesheim. Untersuchungen zur niederrheinischen Übersetzung der Trierer Handschrift 1183/485, München 1968, გვ. 170, 185, 175-178; von den Brincken [1973], გვ. 123-124).

იოჰანეს ფონ ჰილდესჰაიმმა საქართველოს სამეფოს ტერიტორია მექას უშუალო სიახლოვეს მოათავსა. ქართველთა კათალიკოსის სინას მთაზე, წმინდა კატარინას მონასტერში ცხოვრების ცნობა. რა თქმა უნდა, მცდარია. მაგრამ აღნიშნულ ცნობას შესაძლოა გარკვეული საფუძველიც ჰქონდეს. მაგალითად, მაღალი რანგის ქართველი სასულიერო პირების (შესაძლოა კათალიკოსისაც?) სტუმრობა სინას მთაზე წმინდა კატერინას მონასტერში. აგრეთვე ყურადსაღები უნდა იყოს პარალელი ქართველთა მიერ თაეიანთი კათალიკოსის,ხოლო დასავლეთევროპელთაგან რომის პაპის მორჩილებასთან დაკავშირებით. ეოველივე ამის შემდგომ არ უნდა გაგეკვირდეს ქართველთა კეთილგანწყობილ წარმართებად მოხსენიება. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ ქართველები ბიზანტიურ ქრისტიანულ სამყაროს ეკუთვნიან. იოჰანეს ფონ ჰილდესჰაიმთან მუსამედის ნაცვლად საქართველოს ტერიტორიაზე ჩაკეტილნი არიან ჰერაკლე კეისარი და ბიზანტიელები, თუ სხვა წარმართები. არც ეს ცნობა უნდა იყოს უბრალო გამონაგონი და მასაც გარკვეული ისტორიული საფუძველი აქვს. ჰერაკლე კეისარი დასავლურ ლიტერატურაში ხშირად პოზიტიურ პლანშია წარმოდგენილი, როგორც კეისარი, რომელმაც სპარსეთის მეფე ხოსროს მიერ მიტაცებული წმინდა ჯვრის დაბრუნება და იერუსალიმის განთავისუფლება შეძლო. მაგრამ რიგ დასავლურ ძეგლებში, მაგალითად, ოტოკარის ავსტრიულ ქრონიკაში, ჰერაკლე კეისარი ნეგატიურადაც არის დახატული, რადგან მან კავკასიონის გადალმიდან გადმოუშვა გოგის და მაგოგის აპოკალიპტური ხალხები (სინამდვილეში ხაზარები). როგორც ჩანს, იოჰანეს ფონ ჰილდესჰაიმს მსგავსი ცნობები გაანდა და ამ მიზეზით აღმოჩნდა ჰერაკლე კეისარი ღმერთის მიერ დასჯილი და ნისლიან მხარეში ჩაკეტილი. თუმცა აქ ერთგვარი კორექტურაც დასაშვებია: რომ სინამდვილეში ლაპარაკი იყოს კელაე მუსამედზე და ჰერაკლე კეისარის დროზე, არა ჰერაკლე კეისარზე, როგორც ქრისტიანთა წინააღმდეგ მებრძოლზე. ხოლო ავტორი შეცდომით ჰერაკლე კეისარს კეტავდეს კავკასიის მთებში. რაც შეეხება „ჰაიმისეს", ამ ნისლით და ღრუბლით გარემოცული მხარის დასახელების ეტიმოლოგიას, ძველი გერმანულით ეს ნიშნავს „საიდუმლოს". მაგრამ დაახლოებით მსგავსი ფორმის სახელი (Hamsen), როგორც ითქვა, დაფიქსირებულია უკვე იოჰან ჰაიტონთან. ამდენად, ეს სახელი გერმანული წარმომავლობის არ არის და გერმანელმა ავტორებმა მისი ნაიეური ეტიმოლოგიით განმარტება მოახდინეს. თეითონ სახელის შესაძლო წყარო ჩემთვის უცნობია.

ფაქტი ერთია: გარდა ქრისტიანობისათვის ბრძოლისა და მაჰმადიანებისათვის დიდი ზარალის მიყენებისა, საქართველოს ტერიტორია კელავდაკელავ ასოცირდება დიდი მნიშვნელობის ქრისტიანულ სასწაულებთან.

ჯონ მანდევილი
1375

ჯონ მანდევილი სავარაუდოდ იყო ინგლისელი რაინდი. მისი მსოფლიო მოგზაურობა თარიღდება დაახლოებით 1375 წლით[57]. ავტორის მოგზაურობა ფიქცია. სინამდვილეში ინგლისში იჯდა და სხვადასხვა ცნობების საფუძველზე ქმნიდა თავის არარეალურ მოგზაურობას. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს იმ გიგანტური და ყოველად წარმოუდგენელი ნახტომებიდან, რომლებსაც მანდევილი აკეთებს ხოლმე კონტინენტიდან კონტინენტზე. მანდევილთან ქართული დროშები დაფიქსირებული არ არის, მაგრამ კელაე ყურადსაღები

[57] Das Reisebuch des Ritters John Mandeville, Ins Neuhochdeutsche übertragen und eingeleitet von Gerhard E. Sollbach, Frankfurt am Main 1989, გვ. 155-156, 233-235. ინგლისური ტექსტი: Sir John Mandevilles Reisebeschreibung. In Deutscher Übersetzung von Michel Velser, hrsg. von Eric John Morrall. Berlin 1974. ეს უკანასკნელი გამოვიყენეთ ჯონ მანდევილის მოგზაურობის ძველი გერმანული თარგმანი. იმ ევროპულ ცნობებთან, რომლებსაც გავეცანი გერმანული ან ინგლისური თარგმანით, ხოლო ორიგინალური ტექსტის ნახვა აღარ მოხერხდა, გერმანული ან ინგლისური ტექსტი აღარ მომყავს და მხოლოდ ქართული თარგმანით ვიფარგლები.

ინფორმაციებია ქართველთა ქრისტიანობასა თუ საქართველოს ტერიტორიასთან დაკავშირებულ სასწაულებზე.

„აქვე მოგითხრობთ სხვა ქრისტიანებზე, რომელთაც ჰქვიათ ქართველები [Georgier], რადგან ისინი მოაქცია წმინდა გიორგიმ. მეტად მხურვალედ სწამთ წმინდა გიორგის, ისე როგორც არც ერთი სხვა წმინდანის და გაჭირვების ჟამს შველას წმინდა გიორგის სთხოვენ. ყველანი ატარებენ ტონზურას, სასულიერო პირები მრგვალს, საერონი ოთხკუთხედს[39].

[ამის მერე უკვე ყოველგვარ ეჭვს გარეშე საქართველოსთან დაკავშირებულ ცნობებს გეთაავაზობს მანდეველი:] *საქართველოს სამეფოს შესახებ, რომელიც დასავლეთში იწყება: შემდეგ მოდის საქართველოს სამეფო. ის იწყება მაღალ მთასთან, რომელსაც ჰქვია აბსონ* [Abson]*[39]. იქ ცხოვრობს საოცარი ხალხი. მათ უწოდებენ ალონ* [Alon]. [საქართველოს] *სამეფო ესაზღვრება თურქეთს და დიდ ზღვას* ['შავ ზღვას], *სამხრეთში სომხეთს. ამ ქვეყანაში ორი სამეფოა: საქართველო* [Georgia] *და ალბეია* [Albeya]. *ორივე სამეფოს მეფე ქრისტიანია. საქართველოს მეფე ემორჩილება დიდ ყაენს; ალბეიას მეფე მუდამ უპირისპირდებოდა მათ, ვისაც მასთან ბრძოლა სურდა, ისე რომ არავის ქვეშევრდომი არ გამხდარა.*

ალბეიას სამეფოში ვხვდებით ერთ დიდ სასწაულს. იქ არის ქვეყანა, დაახლოებით სამი დღის სავალი სიდიდით. ისინი [ალბეიას მცხოვრებლები] *მას უწოდებენ ვონჰომსოს* [Wonhomsos]. *ამ მხარეში მუდამ ისეთი სიბნელეა, რომ შეუძლებელია დანახვა, თუ რა ხდება იქ. ვერც ვერავინ ბედავს იქ შესვლას, რადგან იქ წასული უკან ველარ გამოაგნებს. იმ ქვეყნის* [ალბეიას] *მცხოვრებლები ამბობენ, რომ მკაფიოდ ისმის იმ წყვდიადიდან ადამიანთა ხმები და ცხენების ჭიხვინი. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ წყვდიადში ხალხი ცხოვრობს, ოღონდ არ იციან, რას წარმოადგენს ეს ხალხი.*

ისინი [ალბეიას მცხოვრებლები] *ამბობენ, რომ აქ წყვდიადი ღმერთის სასწაულის შედეგად ჩამოდგა. ერთ დროს სპარსეთზე მეფობდა ბოროტი მეფე სომეს* [Somes[40]]. *ის სძულდა და ავიწროებდა ქრისტიანობას. სადაც ქრისტიანებს ნახავდა, აიძულებდა, რომ მისი კერპებისათვის ეცათ თაყვანი. ერთხელ მეფე საბერძნეთის წინააღმდეგ მიემართებოდა ხალაშვრიდ და მრავალი ქრისტიანის მოკვლა სურდა. ქრისტიანებმა* [ქართველებმა] *დაინახეს ის, მუხლებზე დაეცნენ და ღმერთს შემწეობა სთხოვეს. მოულოდნელად გამოჩნდა ბნელი ღრუბელი და წყვდიადში გახვია ის* [სპარსეთის მეფე] *და მისი ხალხი, ისე რომ, აღარ იცოდა საით წასულიყო. ამიტომ ისინი* [ალბეიას მცხოვრებლები] *ამბობენ, რომ წყვდიადში ის* [სპარსეთის მეფე] *იმყოფება. შესაბამისად, მათ ნამდვილად შეუძლიათ თქვან: ეს ღმერთმა გააკეთა და ეს სასწაულია* [ფსალმ. 118,23]. *ეს დიდი სასწაული იყო. ამიტომ ქრისტიანები მით უფრო ღვთისმოსაენი უნდა იყვნენ, რადგან ჩვენ ძალიან კარგად ვხედავთ, რომ ჩვენი უფალის დროშა მუდამ მზადაა ჩვენს დასაცავად. რადგან ერთი მორწმუნე ათას ურწმუნოს აღემატება, როგორც დავითი ამბობს ფსალმუნში: ათასი დაეცემა შენს გვერდით* [ფსალმ. 91,7]".

---

[39] გამომცემელი აღნიშნულ პასაჟზე შენიშნავს, აკ ლაპარაკიაო არიანელთა სექტაზე (ორგიერ), რომელნიც წმინდა გიორგის მოუქცევია ქრისტიანებად. ეს ვარაუდი არ უნდა იყოს მართებული. რადგან მთელი ეს დახასიათება, რომ ყველაზე მხურვალედ სწამთ წმინდა გიორგის, ყველანი ატარებენ ტონზურას, დანარჩენ ევროპულ ცნობებში მხოლოდ ქართველების მიმართ იხმარება. ერთადერთი აქ შეიძლებოდა დაშვება: მანდეველს შეცდომით ქართველთა დამახასიათებელი თვისებები ამ კონკრეტული სექტისათვის მიუწერია. მაგრამ კონტექსტი, ჩემი დაკვირვებით, ამგვარი ვარაუდის საფუძველსაც არ უნდა იძლეოდეს. ჩვენი დაკვირვება რომ უფრო სწორია, ამაზე შემდეგი ფაქტიც უნდა მიუთითებდეს: აღნიშნულ ცნობასთან დაკავშირებით მანდეველის მოგზაურობის ძველ გერმანულად მთარგმნელს (გვ. 78. იხ. ზედა შენიშვნაში დასახელებული ნიგნი) მიუწერია: Und die lond glouben als die Kriechen. ამ ქვეყანაში ბერძნების მსგავსი რწმენა აქვთო. ანუ გერმანელი მთარგმნელისათვის წმინდა გიორგის ეს თაყვანისმცემლები ქართველებთან ასოცირდებოდნენ. რაც, სულ მცირე, იმას შაინც ნიშნავს, რომ თუ აქ არიანულ სექტაზე იყო ლაპარაკი, მანდეველს ქართველთათვის დამახასიათებელი ნიშნები გადაუტანია ამ სექტაზე. მაგრამ არიანული სექტის ვარაუდს გერმანული თარგმანი მთლიანად უნდა გამორიცხავდეს

[39] გამომცემელის მიხედვით აბსონ უნდა იყოს იალბუზი.

[40] გამომცემელის ვარაუდით სომესი იგივე შაპური უნდა იყოს.

როგორც ვხედავთ, ქართველებთან დაკავშირებული სასწაული მანდეველს დასავლეთევროპელებისათვის სამაგალითოდ მოაქვს. ეს სასწაული ძირითადად იმეორებს ზემოთ განხილულ ინფორმაციას. ოღონდ ღმერთი აქ საქართველოში ქრისტიანთა წინააღმდეგ მებრძოლ სპარსეთის მეფეს ჩაკეტავს. საქართველოსთან დაკავშირებული ინფორმაციაც ადასტურებს მანდეველის მოგზაურობის ფიქტიურობას. რადგან მანდეველი იმეორებს დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინანდელ ცნობას საქართველოს ორი სამეფოს შესახებ. რომელთაგან ერთ-ერთი ყაენს ემორჩილება, მეორე კი დამოუკიდებელია. ამასთან, მანდეველს ეტყობა ანტიკური ალბანეთის ველტბილდიდან გაქრობა არ მოეწონა და დასავლეთ საქართველო ალბეიად, ანუ ალბანეთად მონათლა. საქართველოს მთავარ საზღვართან მდებარე მაღალ მთასთან მცოცრები ხალხი „ალონ" არიან ალანები. დასავლეთ ევროპაში ალანები, როგორც კავკასიონს გადაღმა მცხოვრებნი, დაკავშირებულნი იყვნენ ვოგის და მაგოგის. აპოკალიპტურ კაციჭამია ხალხებთან და ამიტომ უწოდებს მანდეველი მათ საოცარ ხალხს. ალანების გოგის და მაგოგთან დაწყვილებას გეიანანტიკურ ხანაში ალანების მიერ წინა აზიაში მოწყობილი მძარცველური რეიდებიც უწყობდა ხელს. პრესბიტერ იოანეს ლეგენდაში უკვე ალანები პრესბიტერ იოანეს გადმოყავს გოგის და მაგოგის ჩაკეტილ კაციჭამია ხალხებთან ერთად, რათა ისინი თავის მტრებთან აბრძოლოს. აქ უკვე პირდაპირ ქართული სახელმწიფოს რეალობაა აღებული.

ჰანს შილტბერგერი

XV საუკუნის პირველი ნახევარი

„შემდეგ მოდის ქვეყანა, რომელსაც ეწოდება საქართველო. იქ ცხოვრობენ ქრისტიანები და წმინდა გიორგია [მათ] *ქვეყანაში მთავარი პატრონი.* [...] *შემდეგ მოდის საქართველოს სამეფო, რომლის ხალხი ქრისტიანია და საკუთარი ენა აქვს. ისინი მეომარი ხალხია"*[61]. ქართველთა ტრადიციული სურათი არც XV საუკუნის ევროპაში იცვლება. კვლავ წინა პლანზეა ქართველთა მებრძოლი და შემტევი ქრისტიანობა. ეს ცნობებიც მნიშვნელოვანია იმ კონტექსტში, რომ ხუთჯერიან დროშებს XV საუკუნის პირველი ნახევარის პორტოლანებიც ათავსებენ საქართველოსთან.

ზებალდ რიტერი (უმცროსი)

1479 წელი

„წმინდა საფლავის ეკლესიაში არიან ფეხშიშველა ბერები, ბერძნები და ქართველები [Georgittes], *რომელთაც იცნობენ აგრეთვე Jorsy-ს სახელითაც. მათ ეკუთვნით გოლგოთას წმინდა მთაც და აგრეთვე სანატრელი სამლოცველო გოლგოთას მთის ძირში"*[62].

ამ დროიდან ახალი, მნიშვნელოვანი ელემენტი ჩნდება ქართველთა ღვთისმოსაე ხატში. ქართველებს ეკუთვნით გოლგოთას მთაც. ყველა აღნიშნული ცნობიდან კარგად ჩანს, როგორ იყო ქართველ მეფეთა ძალისხმევა იმისკენ მიმართული, რომ შეენარჩუნებინათ აღმოსავლეთში ქრისტიანობის დამცველთა პრესტიჟი. დასავლეთევროპულ მასალაში კი მთელი ამ ეპოქის განმავლობაში მუდამ აქცენტი კეთდება ქართველთა ქრისტიანობაზე. მსგავსი ცნობებიც, არაპირდაპირ, მაგრამ მაინც, სანდო საფუძველს ქმნიან საიმისოდ, რათა საქართველოსთან ევროპულ რუკებზე ჯვრიანი ან ხუთჯვრიანი დროშის დანახვა აღარ გაგვიკვირდეს.

[61] Hans Schiltbergers Reisebuch, hrsg. von Valentin Langmantel, Tübingen 1885, გვ. 38, 57, 66.

[62] *გრიგოლ ფერაძე* (1995), გვ. 44.

იოჰან ტუხერნი
1479-1480 წლები

„წმინდა საფლავის ეკლესიაში ქართველებს ეკუთვნით ის ადგილი, სადაც წმინდა ჯვარი აღმოჩნდა. ქართველებს ეკუთვნით გოლგოთას მთაც, რომელიც გადაეცათ მხოლოდ 1475 წელს. მათია აგრეთვე სამლოცველოც გოლგოთას მთის ძირში, იქ, სადაც კლდეში მარჯვენივ ნაპრალი გადის. ამ სამლოცველოს ღვთისმშობლისა და წმინდა იოანე მახარებელის სახელი ჰქვია"[63]. ამ შემთხვევაშიც მეორდება უკვე ნაცნობი, მაგრამ მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

„სამყაროს სარკე"
დაახლოებით 1480 წელი

ინგლისური „სამყაროს სარკე" 1480 წლისათვის ითარგმნა ზემოთ განხილული ფრანგული „სამყაროს ხატიდან", რომელიც 1245 წლით თარიღდება. აქვე მოვიტან „სამყაროს სარკეს" ცნობას, რომელიც ქართველებს ეხება:

„ამ [illegible]ში ცხოვრობს სხვა ქრისტიანი ხალხი, რომელთაც უკეთესად სწამთ ღმერთის და [illegible] მაგარნი და მძლავრნი ომებში. სარკინოზებს მათი მეტისმეტად ეშინიათ და ვერ [illegible] მათთვის ზიანის მიყენებას, [სარკინოზები] *მათთან არიან მეგობრულნი და [illegible]ანწყობილნი. ამ ხალხს ქართველები* [Georgiens] *ეწოდებათ და არიან კარგი ქრ[illegible], და მთლიანად გარშემორტყმულნი არიან ურწმუნო და ბოროტი ხალხებით. როგორც ამბობენ, მათ ეწოდებათ ქართველები* [Georgiens], *როგორც აქამდე ითქვა, რადგან ისინი სარკინოზთა წინააღმდეგ ბრძოლებში ადიდებენ წმინდა გიორგის* [წმინდა გიორგის სახელია მათი დეეზი]. *და აგრეთვე თაყვანს სცემენ მას ყველა სხვა წმინდანზე მეტად. ყველანი ატარებენ ტონზურას, სასულიერო პირები – მრგვალს, საერონი – ოთხკუთხედს. როდესაც იერუსალიმში მიდიან, რათა თაყვანი სცენ ჩვენი უფალი იესო ქრისტეს წმინდა საფლავს, სარკინოზები ვერ უბედავენ რაიმე ზიანის მიყენებას, რადგან ეშინიათ, რომ როდესაც ისინი დაბრუნდებიან, ძვირად დაუსვამენ მათ ამას* [უნდა იგულისხმებოდეს: თავიანთ მეზობელ სარკინოზებს]. *ამ ქვეყნის კეთილშობილი ქალები შეიარაღებულნი და სწრაფ ცხენებზე ამხედრებულნი საქართველოს რაინდთა მხარდამხარ იბრძვიან სარკინოზთა წინააღმდეგ. მათ* [ქართველებს] *აქვთ ბერძნების მსგავსი კანონები და ენა"*[64].

ამდენად, „სამყაროს სარკე" თითქოს პირდაპირ მისდევს ორნახევარი საუკუნით ძველ წყაროს. მაგრამ, მარინო სანუდოს ცნობის მსგავსად, ეს ინფორმაცია კვლავ აქტუალურია და ამიტომ იმეორებენ მას ევროპელები. როგორც კი ქართველთა როლი იერუსალიმში სუსტდება, თუ არ ვცდები, უფრო XVII საუკუნის მეორე ნახევარიდან, შესაბამისად ევროპელებთანაც ქრება ქართველთა შესახებ მსგავსი ცნობები. როგორც ეხედავთ, ქართველთა მხედრული ქრისტიანობის ფაქტი, რომელიც იერუსალიმზე ორიენტაციას და იერუსალიმში ქართველთა აქტიურ ყოფნას გულისხმობს, უცველია XV საუკუნის

---

[63] გრიგოლ ფერაძე (1995). გვ. 44.

[64] Caxton's Mirrour of the World, Edited by Oliver H. Prior, London [და სხვები] 1966², გვ. 87-88 („In this regyon is another maner of peple Crysten that byleue a lytil better in God, and ben stronge and myghty in batayllе. The sarasyns doubte them moche and dar not mysdoo them, but ben to them swete and amyable. Thise peple be named Georgiens and ben good crysten men, and ben enclosed round aboute with feloun and mysbyleuyd peple. And they ben called, as afore is said, Georgiens, bycause they crye alle way on seynt George in batayll, in estours and in Recountres ayenst the sarasyns. And also they worshype and loue hym aboue alle other seynties. They haue alle crownes shauen on their heedes; but the clerkes haue them round and the laye peple haue them square. Whan they goo to Jherusalem for to worshipe the holy sepulcre of Our Lord Jhesus, the sarrasyns dar not take of them ony tolle ne nothyng hurte them, by cause they doubte that, whan they come and repaire agayn, they sholde abye it dere. The gentyl ladyes of the contre Arme them and ride vpon good horses rennyng and swyfte, and fyghte asprely in the companye of the knyghtes of Georgie ayenst the sarasyns. They vse lyke lawes and lyke termes of speche as don the Grekes").

დასახლებულსაც. თუმცა „სამყაროს სარკე" შეიცავს ზღაპრული გეოგრაფიის ძველ ელემენტებსაც. რადგან ქართველები დასახლნენ არიან, ძველი ტრადიციის მსგავსად, ინდიელ ქრისტიანებად და ასევე ინდოეთში არის მოთავსებული კასპიის მთები, ამ მთებში ალექსანდრე მაკედონელის მიერ ჩაკეტილ გოგის და მაგოგის აპოკალიპტურ ხალხებთან ერთად[65]. ოღონდ ნახევრად რეალურ გეოგრაფიულ წარმოდგენათა ადრეულ ახალ დროში გადმოსვლა ცალკე საუბარის თემაა.

იოჰანი, სოლმის გრაფი
1483 წელი

სოლმის გრაფის ცნობაში 1483 წლისათვის ვკითხულობთ: *„არის კიდევ ერთი ხალხი, იერუსალიმიდან შორს მცხოვრები, რომლის სამეფოც კასპიის მთებამდე გადაჭიმულა. ეს მამაცი და ძლიერი მოდგმაა.* [ამ ერს] *ჰყავს რაინდები და ომის დროს მრავალი მეომარი* [გამოყავს]. *ამიტომაც მათ მეზობლებს, სარკინოზებს, სპარსელებს, მიდიელებს და ასურელებს* [ქართველების] *ეშინიათ. თუმცა ამ ხალხს გარშემო ურწმუნოები არტყია, ეს არ აშინებს. პირიქით, მეზობელი ხალხები ცდილობენ, რომ არ გაალიზიანონ.*

მათ ქართველებს ეწოდებენ [წმინდა] *გიორგის სახელის მიხედვით, რომელიც მფარველად აურჩევიათ. ბევრი მათგანი ცხოვრობს იერუსალიმში და ფლობს მრავალ წმინდა ადგილს, კერძოდ გოლგოთას მთას და ნაპრალს, სადაც ჯვარი იდგა. აქ მათ საკურთხეველი უდგათ და ერთი მათგანი ყოველთვის იქ არის ჩაკეტილი, რათა ეს ადგილი დაიცვა.* [...] *ისინი* [ქართველები] *გაშლილი დროშებით მოემართებიან იერუსალიმში და უკან ისევ მრეწველდებიან, ხარკს არავის უხდიან. სარკინოზები ვერ უბედავენ ხელყოფას, რადგან მიაჩნიათ, რომ სამშობლოში დაბრუნებისას ქართველები შურს იძიებენ მათ მეზობელ სარკინოზებზე. ომში საქართველოს წარჩინებული ქალებიც მონაწილეობენ, რომლებიც ამორძალებივით ხმარობენ იარაღს.* [...] "[66].

ამ ცნობების ცალკეულ დეტალებს აქ აღარ განვიხილავ. ნიშანდობლივია ერთი ფაქტორი. როგორ უცვლელად გადადის საუკუნედან საუკუნეში მძლავრი ქრისტიანი ქართველების ხატი დასავლეთევროპელებთან. ქართველების წმინდა გიორგის ერად დასახვას კი, ზემოთაც ვთქვით, უბრალოდ მასობრივი ხასიათი აქვს დასავლეთევროპულ ცნობებში. ასევე მასობრივი ხასიათისაა საუკუნეების განმავლობაში იერუსალიმში ქართველთა განსაკუთრებული როლის ხაზგასმა და იერუსალიმში გაშლილი დროშებით შესვლის ფაქტების დაფიქსირება.

მ. ბაუმგარტენი
1507 წლის 24 ნოემბერი

ბაუმგარტენთან მეორდება ტრადიციული ცნობები: *„ქართველები აღმოსავლეთის ხალხია, ძალზე მუდგარი და მეომარი ერი. სახელი ქართველთა წმინდანის მიხედვით ჰქვიათ, რომელსაც ისინი თავიანთ მფარველად და შემწედ აღიარებენ და რომელსაც ყველაზე მეტად სცემენ თაყვანს. ქართველები ამბობენ, რომ მათი სამფლობელოები კასპიის მთებს ემიჯნება.*

ეს ხალხი [...] *გარშემორტყმულია სარკინოზებით.* [...] *როდესაც იერუსალიმში წასვლას გადაწყვეტენ, ისე მიემართებიან [იერუსალიმისაკენ], როგორც ომში, აფრიალებული*

[65] Caxton's Mirrour of the World (1966), გვ. 70.
[66] გრიგოლ ფურაძე (1995), გვ. 46.

დროშებით. არც ბაჟს იხდიან, არც ხარკს და ასე შედიან ქალაქში. [...]"[67]. ამ შემთხვევაში ჩნდება ერთი ყურადსაღები ნიუანსიც. ქართველები თავიანთ საპილიგრიმო მსვლელობას იერუსალიმში აძლევენ სამხედრო დატვირთვას. ამდენად, აქ კვლავ ჩნდება რელიგიური დაპირისპირების და რელიგიური ომის ძველი მოტივი. რადგან იერუსალიმში სამხედრო ექსპედიციის სახით წასვლა სწორედ ისლამთან დაპირისპირების ფაქტორს წამოსწევს წინა პლანზე,

XVI საუკუნის დასაწყისის ევროპელი პილიგრიმი

XVI საუკუნის დასაწყისის ანონიმ პილიგრიმსაც ქართველთა სახელწოდება წმინდა გიორგისაგან გამოჰყავს, ეხება აგრეთვე იერუსალიმში ქართველთა გაშლილი დროშებით და ბაჟის გადახდის გარეშე შესვლის ფაქტს: „*მათი* [ქართველების] *სახელწოდება წმინდა გიორგისაგან მოდის, რადგანაც ისინი მეომარი ხალხია და თაყვანს სცემენ მას, როგორც პატრონს. ქართველები აღმოსავლეთში ცხოვრობენ და წირვაში ბერძნულ ენას იყენებენ. სამღვდელოებას მრგვალი ტონზურა აქვს, ხოლო მორწმუნეებს – ოთხკუთხედი. როდესაც ხალოცავად მიდიან იერუსალიმს, გადასახადს კი არ უხდიან სულთანს, არამედ მდიდრულად მორთულ ერთ და ორკუზიან აქლემებსა და ცხენებზე ამხედრებულნი გაშლილი ბაირაღებით შედიან იერუსალიმში*"[68].

იან ვანტი
1519 წელი

1519 წელს, იან ვანტის მიხედვით, ქართველები კვლავ ჩვეულებრივად ფლობენ გოლგოთას მთას: „*იერუსალიმში ბევრი ქართველია, ისინი მრავალ წმინდა ადგილს ფლობენ, კერძოდ გოლგოთას მთას იმ ადგილითურთ, სადაც ჯვარი იდგა*".[69]

ლეონჰარდ როიხვოლფენი
1573 წელი

ლეონჰარდ როიხვოლფენი გვაძლევს ქართველთა მშვენიერ დახასიათებას. იმეორებს ცნობას ქართველთა მიერ წმინდა გიორგის განსაკუთრებული თაყვანისცემის შესახებ. მისგან ასევე ვიგებთ, რომ სავარაუდოდ გოლგოთა XVI საუკუნის დასასრულსაც ქართველთა ხელშია: „*საეკლესიო ქალაქ ტრაპიზონიდან, რომელიც ევქსინის ზღვაზეა, იწყება ქართველთა ქვეყანა. იგი გადაჭიმულია აღმოსავლეთით, ვიდრე სომხეთამდე. ქართველები არიან კეთილნი და უბრალონი, მიუხედავად ამისა - ძლიერი და შეუპოვარი მეომრებიც. თავიანთ წმინდანთა შორის ყველაზე მეტად რაინდ წმინდა გიორგის ეთაყვანებიან, რომელსაც ისე უყურებენ, როგორც მფარველსა და შემწეს ომის დროს. ამიტომ სახელწოდება მისი სახელიდან მიიღეს. ქართველთა ეკჭრები ხშირად მოდიან უზარმაზარი ქარავნებით ალეპოში.* [...] *იერუსალიმში* [ქართველებს] *აქვთ თავიანთი ადგილები, სადაც გალობენ და წირვას ასრულებენ. კერძოდ, გოლგოთას მთის ეკლესიაში ჩვენი მეუფის იესო ქრისტეს საფლავის ახლოს, იქ, სადაც იგი პირველად წარუდგა მარიამ მაგდალინელს მუბალის სახით თავისი*

[67] გრიგოლ ფერაძე (1995). გვ. 52.
[68] მიხეილ თამარაშვილი (1995). გვ. 358-359.
[69] გრიგოლ ფერაძე (1995). გვ. 55.

ადგილის შემდეგ"[70]. ითქმის ყველა დასაელურ ცნობაში შეიმჩნევა ერთი კარდინალური ხაზი. ქართველთა პოლიტიკის აშკარა ორიენტირებულობა იერუსალიმსე.

ნიკოლაუს რაძივილი
1583 წელი

ნიკოლაუს რაძივილის მიხედვით, 1583 წელსაც გოლგოთის მთის წმინდა ადგილები ეკუთვნით ქართველებს: „*გოლგოთას მთაზე ორი დიდი საკურთხეველია, მარცხნივ კი – რამდენიმე პატარა. ეს წმინდა ადგილები ეკუთვნით ქართველებს, რომლებიც შავ ზღვასთან ცხოვრობენ*"[71].

იოჰანეს კოტოვიკუსი
1598 წელი

იოჰანეს კოტოვიკუსი იძლევა გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს და ქართველთა მშვენიერ და მძლავრ სურათს. აქ კარგად ჩანს, მიუხედავად სამეფოს დაშლისა, ხშირად გამოუვალი მდგომარეობისა როგორ ინარჩუნებენ ქართველები ძველ ფიქრებს და სიმაგრეს. კოტოვიკუსისთვის, ბუნებრივია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართველების თურქებთან წარმატებული და განუწყვეტელი ბრძოლის ფაქტორი, რადგან ამ დროის ევროპას ოტომანთა იმპერიისაგან დიდი საფრთხე ემუქრება: „*ქართველები, რომლებსაც სპარსელებთან საკმაოდ მეგობრული ურთიერთობა აქვთ, თურქების მოსისხლე მტრები არიან. როგორც კი ომის საშინელება იფეთქებს თურქებსა და სპარსელებს შორის, ქართველები ყოველთვის სპარსელებს ეხმარებიან, მოდებიან თურქეთის იმპერიას და შეუბრალებლად აოხრებენ მის სოფლებს.*

ასე გადაურჩნენ ქართველები მუსლიმანთა უღელს და თუმცა თურქები ხშირად დასხმიან თავს, ვერასოდეს მოახერხეს მათი დამორჩილება და დამონება. ქართველები მამაცურად იცავდნენ თავიანთ საზღვრებს, თურქების სასტიკი იერიშები შეუპოვარი და უდრეკი ეაკაცობით მოიგერიეს; ამიტომაც დღემდე,თუმცა ყოველი მხრიდან ბარბაროსებით არიან გარემოცულნი და მთელი დედამიწის ოთხი უძლიერესი იმპერიის შუა მოქცეულნი (თურქეთი, სპარსეთი, თათრები და მოსკოვი), რომელთაც ერთი სული აქვთ მათი ქვეყნის დაპყრობისა, კვლავ იმავე რელიგიის მეფეს ემორჩილებიან და აღმოსავლეთის ქრისტიანთაგან ერთადერთნი სარგებლობენ თავისუფლებით, რაც მოიპოვეს, როგორც გაუტეხელი მამაცობის უბადლო მოწმობა ამდენი საუკუნის განმავლობაში.

ქართველები კი არ უფრთხიან თურქებს, უფრო თურქებს აქვთ მათი შიში. ქაიროს სულთნის საგანგებო ნებართვისა და იმპერიაში მისი მემკვიდრის,თურქეთის იმპერატორის დამოწმებული პრივილეგიის წყალობით, როდესაც აღმოსავლეთის სხვა ქრისტიანთა მსგავსად ქართველები იერუსალიმში მიდიან ქრისტეს საფლავის თაყვანისსაცემად, ქრისტიანთა შორის ერთადერთნი, მრავალრიცხოვანი შემადგენლობით მეომრებივით ჯარად მოდიან, სამხედრო ალმებით შედიან ქალაქში, ბაჟის გარეშე და წმინდა ადგილებს აფრიალებული ბაირაღებით ნახულობენ. [...] მათ წმინდა ბასილის ორდენის ბევრი ეპისკოპოსი და ბერი ყავთ და თუმცა ისე არ სძულთ რომის ეკლესიის დოქტრინა, როგორც ბერძნებს, წმინდა წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებში მაინც ბერძნთა ადათებს იცავენ"[72].

სხვათა შორის, კოტოვიკუსის აღნიშნული ცნობა გარკვეული თვალსაზრისით

[70] გრიგოლ ფერაძე (1995), გვ. 58.
[71] გრიგოლ ფერაძე (1995), გვ. 59.
[72] მიხეილ თამარაშვილი (1995), გვ. 360-361. Joannes Cotovicus, Itinerarium Hierosolymitanum, Anvers 1619, გვ. 200-201.

ადასტურებს ზემოთ განხილულ პასაჟს ბერი ეგნატაშვილის ქრონიკიდან, რომლის მიხედვითაც ქართველთა მეფეებმა XVI საუკუნის დასაწყისში თურქეთის სულთანის ნებართვით იერუსალიმი აიღეს. როგორც ჩანს, სწორედ ამ ხანიდან დაუმტკიცა თურქეთის იმპერატორმა ქართველებს ის ძველი პრივილეგიები, რის შესახებაც კოტოვიკუსიც ლაპარაკობს. ისე კი, ეს ყველაფერი მხატვრული რომანის ლამაზი ზღაპარივითაა. გავითვალისწინოთ, რომ აქ XVI საუკუნის დასარულის ამბავია მოთხრობილი. ევროპაში გადაიარა რენესანსის და რეფორმაციის ხანამ. იწყება ახალი დრო თანდათან. დიდმა აღმოჩენებმა ახალი ჰორიზონტები გახსნა. ვიღას ახსოვს იერუსალიმისათვის ბრძოლა. ესენი კი კვლავ ცხენებზე ამხედრებულნი, აფრიალებული (ჯვრიანი) დროშებით სერაევენ მთელი თურქეთის იმპერიას და მიდიან იერუსალიმში მაცხოვარის საფლავის მოსალოცად. ფაქტიურად ერის ფუნქციად ამ ჩვენთვის გვიან შუა საუკუნეებში რჩება ქრისტიანობისათვის ბრძოლა და ამ ქრისტიანობისათვის ომებში მთავარი საყრდენი კვლავ იერუსალიმზე ორიენტაციაა. სახელმწიფო ცხოვრების სხვადასხვა მხარეების ნორმალური განვითარების საშუალება აღარ არის. ამ მხრივ ქართული ისტორია მართლა უნიკალურია. დაახლოებით სამი-ოთხი საუკუნე ეს იყო ფაქტიურად ერთადერთი ჯვაროსანი ერი ისლამურ სამყაროში, მთლიანად მაჰმადიანებით გარშემორტყმული, რომლის ერთადერთ მისიად დარჩა ქვეყნის შიგნით ერთმანეთის ჭამა, ქვეყნის გარეთ კი, როგორც ითქვა, იერუსალიმში გაშლილი დროშებით და აფრიალებული შესვლა. ორიენ მისია დიდი წარმატებით შეასრულეს. უცნაურიც კია, ამ დროს თურქეთი ეენასაა მიმდგარი და გერმანულ სამყაროს აზანზარებს უკვე, მაგრამ ქართველები ძველებურად ინარჩუნებენ იგივე თურქებისაგან თავიანთ პრივილეგიებს. ისე რომ ვიცოდეთ, რა დროს იერუსალიმში დროშებით სიარულია, ქვეყანა თავზე ენგრევათ, მაგრამ ამ რიხს და ღირსებას მაინც არ კარგავენ.

იგნაციო ფონ რაინფელდენი
1653-1656 წლები

იგნაციო ფონ რაინფელდენის ცნობა უკვე XVII საუკუნის შუა ხანებით თარიღდება, მაგრამ კვლავ ლაპარაკია ქართველთა მძლავრ ქრისტიანობასა და იერუსალიმში მათ ყოველწლიურ, ლამის სამხედრო პილიგრიმობაზე. „*წმინდა ადგილისადმი პატივისცემის ნიშნად ბევრი მათგანი* [ქართველი] *ცხოვრობს იერუსალიმში და ყოველწლიურად, თურქეთის სამეფოს გაულით, უამრავნი მიდიან საპილიგრიმოდ ჯვრებითა და დროშებით. ვერც ერთი თურქი ვერ ბედავს მათ წყენინებას, ანდა მათგან ბაჟის მოთხოვნას. თურქებს ეშინიათ მათი, რადგან ისინი ძალზე მამაცი და ძლიერი მეომრები არიან.* [...] *ქართველებს არ ეშინიათ არც თურქებისა და არც სარსულების.* [...] *ისინი ფლობენ დიდსა და ნოყიერ ქვეყანას, რომელიც ვიწრო უღელტეხილების გამო პრაქტიკულად მიუვალია. ქართველებს ყოველთვის შეუძლიათ იძიონ შური მაჰმადიანებზე, რომლებიც თურქეთის ქვეშევრდომები არიან, თუკი თურქები ცუდად მოეპყრობიან მათ თავიანთ ქვეყანაში*"[73]. აქ კვლავ ძალიან მნიშვნელოვანი უნდა იყოს ზოგადად დროშის საკითხისათვის ქართველ პილიგრიმებთან ევროპელი ავტორის მიერ ჯვრების დაფიქსირების საკითხი (ქრისტეს საფლავის მოსალოცად პილიგრიმები ჯვრებით მიდიან!).

დასავლეთევროპული მონაცემების მოკლე ანალიზიც გვიჩვენებს, რომ არაფერი გასაოცარი იმავე ხანის ევროპულ რუკებზე საქართველოსთან ჯვრიანი თუ ხუთჯვრიანი დროშების გაჩენაში არ არის. დასავლეთევროპული ცნობები ქმნიან ქართველთა ერთადერთ მთავარ ხატს. ეს არის მძლავრი ქრისტიანული ერი. ამ ერის სახელმწიფო პოლიტიკა

[73] *გრიგოლ ფერაძე* (1995), გვ. 77.

მთლიანად ორიენტირებულია იერუსალიმზე. გარდა ამისა, ქართველები საუკუნეების განმავლობაში ფლობენ ცენტრალური დატვირთვის მქონე წმინდა ადგილებს იერუსალიმში. დასავლური წყაროების მიხედვით, 1300 წელს ქართველებმა თვითონ იერუსალიმის დაპყრობაც შეძლეს. შესაბამისად, დასავლური ცნობები და პორტოლანები ერთმანეთთან სრულ შესაბამისობაშია. პორტოლანების მიერ სახელმწიფო დროშად იერუსალიმის ჯვარის დასახვას მყარად უმაგრებენ ზურგს შუა საუკუნეების დასაელეთევროპული ცნობები.

თავი მეოთხე

შუა საუკუნეთა საქართველოს სამეფოს შესახებ არსებული აღმოსავლური ცნობების მოკლე მიმოხილვა

შუა საუკუნეების ქართველთა ხატი ერთგვარად სრული სახით რომ იყოს ჩვენს წინაშე წარმოდგენილი, ეიდრე კარტოგრაფიული მასალის ანალიზზე გადავიდოდე, მოკლედ მოვიტან რიგ აღმოსავლურ ცნობებს ქართველებთან დაკავშირებით. თავიდანვე ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას. აღმოსავლურ წყაროებში ყველგან წინა პლანზეა ქართველთა ქრისტიანობა და ქართველთა აგრესიულობა მაჰმადიანების მიმართ. ეს ცნობები ქართველთა დროშის შესახებ, მართალია, რაიმე კონკრეტულ ცნობას არ გვაწვდიან, მაგრამ აღმოსავლური წყაროების მიხედვითაც იქმნება აბსოლუტურად დამაჯერებელი ზოგადი საფუძველი იმისათვის, რომ ქართველებს ჯვრიანი ან ხუთჯვრიანი დროშა მართლაც შეიძლებოდა ჰქონოდათ. აღმოსავლურ წყაროებში დიდი მასალაა ქართველ მეფეთა ტოლერანტობის შესახებაც, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაჰმადიანი ავტორებისათვის. ქართველთა შემწყნარებლობაც შუა საუკუნეებისათვის, სხვა ქვეყნების მაგალითების ფონზე (მიუხედავად იმისა,რომ რიგ სახელმწიფოებში,მაგალითად, სიცილიის ნორმანთა სამეფოში, ჯვაროსნულ სამეფო-სამთავროებში მაჰმადიანებისადმი, უფრო ადრეული პერიოდის ხალიფებთან ქრისტიანების მიმართ ტოლერანტობის უაღრესად მნიშვნელოვანი ნიმუშებს ეხედვით), ნამდვილად მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენაა. მაგრამ ეს არის ტოლერანტობა ქრისტიანობის პოზიციიდან. ისევე როგორც დანარჩენ სახელმწიფოთა მაგალითების შემთხვევაში, საკუთარი რელიგიის ფარგლებს გარეთ გასვლა, საკუთარ რელიგიაზე ამაღლება არ ხდება. ამასთან, აღმოსავლურ ცნობებს თუ დავეყრდნობით,ტოლერანტობა ქართველ მეფეებთან ჩნდება მაშინ,როდესაც საქართველო გამარჯვებულია და ეს ბუნებრივიცაა. რადგან იგივე ისლამის მხრიდან საფრთხის შემთხვევაში ტოლერანტობა უკვე არის სისუსტე და თვითმყოფადობის დაკარგვა. შესაბამისად, ისლამისადმი დამოკიდებულება გაცილებით შეურიგებელი უნდა იყოს შედარებით სუსტ საქართველოში. რადგან ამ დროს თავდაცვის ინსტინქტი მოქმედებს ელემენტარულად. ამდენად, ქართველ მეფეთა ტოლერანტობის მაგალითები უაღრესად საინტერესოა, მაგრამ ჩვენი საკითხისათვის პრინციპული მნიშვნელობა არა აქვთ, რის გამოც მათ აქ გამოვტოვებ.

სპარსელი ისტორიკოსის ჰოდუდ ალ-ალემისათვის (X საუკუნის დასასრული) თბილისი ისლამის სასაზღვარია ურწმუნოთა მხარისაკენ[1]. იბნ ალ-ასირი აღწერს დიდგორის ბრძოლაში მაჰმადიანთა დამარცხების ამბავს (XIII საუკუნის პირველი მესამედი): „ [...] *ურწმუნოებმა მათ* [მაჰმადიანებს] *ათი ფარასანგის მანძილზე სდიეს.* [...]"[2]. ქართველები ძალიან ხშირად აღმოსავლურ წყაროებში ამგვარი ტერმინით, „*ურწმუნოებით*", აღინიშნებიან, ანუ ყველგან წინა პლანზეა რელიგიური დაპირისპირების ფაქტორი. არაბი ისტორიკოსი იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი (1125-1201) ეხება 1138-39 წლებში ქართველთა მიერ განჯის დალაშქვრას. შემდეგ განჯაში ბრუნდება ქალაქის პატრონი ყარა-სონყური. ალ-ისფაჰანის მიხედვით, ყარა-სონყურმა დაამარცხა ქართველები. აღნიშნულ ცნობათა სისწორე და ამ ომის პერიპეტიები ამჟამად ჩვენთვის მნიშვნელოვანი არ არის. მოვიყვან მხოლოდ ერთ ნაწყვეტს არაბი ისტორიკოსის ნაშრომიდან: „ [...] *და როცა მოვიდა ყარა-სონყური, აღდგა რწმენის სახელმწიფო, დაბრუნდა დახმარებისა და სიმტკიცის ადათი, ღმერთის ერთარსობის მიმდევრებმა სძლიეს სამების მიმდევართ.* [...]"[3] ამ შემთხვევაშიც მკვეთრ რელიგიურ გამიჯვნასთან გვაქვს საქმე.

---

[1] საქართველოს ისტორიის წყაროები, სერია 4, ირანელი ავტორები, ისთახრი, ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალლაჰ ყაზვინი, თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლითურთ ე. ფუთურჯიისა, თბილისი, 1937.

[2] ქვეყნი *ჩხატარაიშვილი*, ივანე *ბაიმშელაშვილი*, დიდგორის ბრძოლა, თბილისი, 1973. გვ. 104.

[3] გოჩა *ჯაფარიძე*, რამდენიმე ეპიზოდი დემეტრე პირველის ზეობის ხანიდან არაბულ ისტორიულ წყაროებში, ჟურნალში: მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია. 2, 1992, გვ. 122.

იბნ ალ-ასირაკ ალ-ფარიკის „მაიაფარიკინის ისტორიაში" (XII საუკუნე) ეკითხულობთ: „ [...] *აფხაზთა მეფე იყო დიმიტრი. დავითის შვილი, რომელიც ატარებდა „მესიის მახვილის' ტიტულს.* [...][4] თუმცა შემდეგაე ალ-ფარიკი ქართველ მეფეთა იშვიათი ტოლერანტული ქცევის შესახებ მოგვითხრობს. მაგრამ ფაქტია, რომ მესიის მახვილის ტიტულის მქონე მეფე პოლიტიკასაც შესაბამისს გაატარებდა, რაც თვალსაჩინოდ დასტურდება ქართული, დასავლეთევროპული და აღმოსავლური მასალის მიხედვით (იგივე ქართველ მეფეთა ტიტულატურაც, ანუ „მესიის მახვილი", კარგად შეესაბამება ხუთჯერიანი, ქრისტესა და იერუსალიმთან დაკავშირებული დროშის შინაარსს).

იბნ ალ-ასირი ჯალალედინის მიერ თბილისის აღების შესახებ წერს: *„ეს დაპყრობა დიდი და მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მუსულმანურ ქვეყნებში და მაჰმადიანებისათვის, რადგან აქამდე ქურჯები* [ქართველები] *ამარცხებდნენ მათ* [მაჰმადიანებს] *და რასაც სურდათ, იმას უშვებოდნენ. ისინი იჭრებოდნენ აზერბაიჯანის* [ჩრდილოეთ ირანის] *ნებისმიერ ნაწილში. ისე რომ არავის მხრიდან წინააღმდეგობა არ ხვდებოდათ.* [...] *ასევე იქცეოდნენ ქურჯები დერბენდ-შირვანში* [დღევანდელ აზერბაიჯანში]. [...] *რაც შეეხება არმინიას, ქურჯებმა დაიკავეს ქალაქი არჭეში, დაიპყრეს ყარსი და სხვა ქალაქები.* [...] *ეს მხარე* [საქართველო] *ჯერ კიდევ მაჰმადიანობამდე ყველაზე მავნე მხარე იყო მუსლიმებისათვის – სპარსელებისათვის – და ამგვარადვე რჩება მაჰმადიანებისათვის ისლამის დასაწყისიდან დღევანდლამდე. ჯალალედინამდე ვერავინ გაბედა მათ წინააღმდეგ წასვლა და ვერავინ მოუპყრა მათ ისე, როგორც ის.* [...][5] იბნ ალ-ასირის ამ ცნობაშიც კარგად ჩანს, როგორია მაჰმადიანური სამყაროსათვის ქართველთა ზოგადი სურათი. ჯალალედინის ლაშქრობა საქართველოში მთელი მაჰმადიანური სამყაროსათვის შურისძიებად მოიაზრება ფაქტიურად. შესაბამისად, ჯალალედინის საქართველოზე ლაშქრობას რელიგიური ომის სახე ეძლევა და, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამგვარადვე წარმოაჩენს მას ჯალალედინის ისტორიკოსი ან-ნასავი.

იაკუთის (XIII საუკუნის პირველი მესამედი) მიხედვითაც თბილისი და საქართველოა ისლამის საზღვარი. იაკუთი მოგვითხრობს ქართველთა ომებზე, იწყებს დავითის მიერ თბილისის დაპყრობით: „[ასე იყო] *ვიდრე არ გამოვიდა 515* [1121-1122] *წელს, თბილისის მოსაზღვრე მთებიდან, რომლებსაც ეწოდება აფხაზთის მთები, ქრისტიანი ტომი, სახელად ქურჯი, მრავალრიცხოვანი ჯარით და თავს არ დაესხა მათ მეზობელ ისლამის ქვეყნებს, რომელთა მმართველებად მანამდე იყვნენ სელჩუკი მეფეები, უკვე დასუსტებულნი ერთმანეთში შუღლითა და ბრძოლით, რადგანაც უნდოდა თითოეულ მათგანს სამეფო თავისთვის.* [...] *და ქართველები განუწყვეტლივ თავს ესხმოდნენ მუსლიმებს ხან არრანში, ხან აზერბაიჯანში* [ჩრდილოეთ სპარსეთი], *ხან ხილატში, ხოლო მათი* [მუსლიმთა] *მმართველები გართულნი იყვნენ ღვინის სმითა და აკრძალული საქმეების კეთებით".*[6] ასე გაგრძელდა მანამდე, ვიდრე ჯალალედინმა არ დაამარცხა ქართველები. თუმცა იაკუთი ქართველთა ტოლერანტობის იშვიათ მაგალითებსაც გვთავაზობს. მაგრამ იაკუთის ცნობაშიც ნათლად ჩანს ქრისტიანი ქართველების ერთიან მაჰმადიანურ სამყაროსთან დაპირისპირების მოდელი. ჯალალედინის ლაშქრობაც აგრეთვე მოიაზრება მაჰმადიანური სამყაროსაგან ქართველებზე შურისძიებად.

სიბთ იბნ ალ-ჯაუზიც თავის ნაშრომში „ეპოქის სარკე გამოჩენილ პირთა ისტორიის მიხედვით" (XIII საუკუნის პირველი ნახევარი) ქართველებს ერთმნიშვნელოვნად ურწმუნოებად მოიხსენიებს: *„წელი 516* [(1122-23)]. [...] *მაშინ მოხდა დიდი ომი ილ-ღაზისა და ურწმუნოებს შორის თბილისის გამო.* [...][7] თუმცა შემდეგ აღწერს დავითის და

---

[4] ქველი *ჩხატარაიშვილი*, ივანე *შაიმელაშვილი* (1973). გვ. 100. იხილეთ ასევე: ე. *სიხარულიძე*, ალ-ფარიკი საქართველოში, ჟურნალში: სემიტოლოგიური ძიებანი, 2, თბილისი. 1985. გვ. 83-91.

[5] ქველი *ჩხატარაიშვილი*, ივანე *შაიმელაშვილი* (1973). გვ. 105-106.

[6] იაკუთის ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ, არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავალით გამოსცა ეთერ სიხარულიძემ, თბილისი, 1964. გვ. 39-41.

[7] ქველი *ჩხატარაიშვილი*, ივანე *შაიმელაშვილი* (1973). გვ. 106-107.

დემეტრეს იშვიათი ტოლერანტობის მაგალითებს.

ეურადსაღებია აგრეთვე არაბი ისტორიკოსის ცნობა: 1192/93 წლებში თამარ მეფეს 200 000 დინარად სურდა წმინდა ჯვარის გამოსყიდვა სალადინისაგან, რომელმაც ჯვარი იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ ჩაიგდო ხელში[8]. ქართველ მეფეთა პოლიტიკაში ქრისტიანული ფაქტორისადმი უმთავრესი მნიშვნელობის ფაქტი ამ შემთხვევაშიც კარგად უნდა ჩანდეს.

იბნ ალ-ასირი თამარის გარდაცვალებასთან დაკავშირებით შენიშნავს (არაბ ისტორიკოსთან თამარის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მოცემული თარიღის სისწორეს თუ სიმცდარეს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს): *„ყოველის უზენაესმა ალაჰმა იხილა რა ისლამის მომხრეთა სიმცირე, თვითონ იკისრა მისი მფარველობა, მოკლა ქართველთა დედოფალი, ჩამოაგდო უთანხმოება მათ შორის და იხსნა* [მუსლიმანები] *მათი ცუდი საქციელისაგან წლის დასასრულამდე*"[9]. იბნ ალ-ასირის ეს მოკლე ცნობა ერთის მხრივ კარგად გვიჩვენებს ქართველთა სახელმწიფოს სიმძლავრეს და მნიშვნელობას, ქართველებისადმი მაჰმადიანების დამოკიდებულებას, მეორეს მხრივ კი, აქ ისევ წინა პლანზეა ქრისტიანული საქართველოს და ზოგადად ისლამური სამყაროს რელიგიური დაპირისპირების მოტივი. რადგან, როდესაც ალაჰი თავის, ისლამის მომხრეთა უმწეობას ხედავს, ცოდან ჩამოდის და თვითონ კლავს ქართველთა დედოფალს.

აქვე მოვიტან ჯუვეინის ერთ უაღრესად მნიშვნელოვან ცნობას ქართველებთან დაკავშირებით: *„როცა განგებამ, როგორც მისი ადათი და წესია,* [სპარსეთის] *ათაბეგის სასულიერო გაანადგურა და მისი სამფლობელო სულთან ჯალალ ად-დინს გადასცა, ხოლო მასლობლებმა და მსახურებმა ყოველი მხრიდან მისკენ იბრუნეს პირი, უგვანო და ურწმუნო ქართველებმა განიმტკიცეს ხარი სურვილი ვილაიეთის დასაკუთრებისა, რათა პირველ რიგში სულთანი* [ჯალალედინი] *განუდევნათ და თავრიზის მხარე დაეპყროთ, შემდეგ ბაღდადს წასულიყვნენ, კათალიკოსი დაესხეთ ხალიფას ადგილზე, მეჩეთები ეკლესიებით და ჭეშმარიტება სიცრუით შეეცვალათ. ამ პატივმოყვარე სურვილისა და ამბარტავანი უგუნურების გამო, თავისი ხალხის სიმამაცისა და ბასრი შუბებისა და მახვილების იმედით ჯარი შეკრიბეს, ოცდაათ ათასზე მეტი კაცი გაამზადეს და დაიძრნენ*"[10]. ქართველთა საქმე ჩაშალა იეანე ათაბაგის ღალატმა, როდესაც ქართველთა ავანგარდი შალეა და იეანე ახალციხელების მეთაურობით მარტო შეატოვა ჯალალედინს, თვითონ კი მთავარი ჯარით საქართველოსაკენ გამობრუნდა. იეანე მხარგრძელის მოქმედება, თავის მხრივ, რუსუდანის ყოველად უმწეო მმართველობით იყო განპირობებული. თვითონ ჯუვეინისთან ერთმანეთთანაა შერწყმული ქართველებისადმი პატივისცემა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ისლამური „ჯვაროსნული" იდეოლოგია. აქ აღარ მომაქვს ჯუვეინის სხვა ცნობები ქართველების შესახებ. მაგრამ ჯალალედინის მიერ ქართველთა დამარცხება, ბრძოლა, შალეა ახალციხელის ტრაგიკული ბედი, პირდაპირ მძულვარებთაა ისლამის პოზიციებიდან მოცემული. ამის მაგალითია ხშირად ის ტერმინოლოგიაც, რასაც ჯუვეინი ხმარობს ხოლმე ქართველთა მისამართით. დაახლოებით ჯალალედინი იბრძვის ღმერთისათვის, ხოლო ქართველები ისახებიან ეშმაკის მოციქულებად. ოღონდ ამ ყველაფრის ფონზე, როგორც ითქვა, მაინც იგრძნობა ხოლმე ქართველებისადმი დიდი პატივისცემა. თვითონ ამ ცნობაში კი ქრისტიანულ ქართულ და ისლამურ სამყაროებს შორის პოლიტიკურის გარდა სწორედ რელიგიური დაპირისპირების ელემენტი განსაკუთრებით

---

[8] Steven Runciman, Geschichte der Kreuzzüge, Bd. 3. München 1960, გვ. 75-76. ბენიამენ *სილაგაძე*, მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის (ქართველების ბრძოლა პალესტინის წმინდა ადგილების განთავისუფლებისათვის მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებში), შრომათა კრებულში: ქართული წყაროთმცოდნეობა, 2, თბილისი, 1968, გვ. 87.

[9] ბენიამენ *სილაგაძე*, მეთორმეტე-მეცამეტე საუუუნეების საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე, კრებულში: საქართველო რუსთაველის ხანაში, რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, 1966, გვ. 124.

[10] ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსულ ტექსტს შესავალი ნაუმძღვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო რევაზ კიკნაძემ, თბილისი, 1974, გვ. 28-29.

ნათლად იკითხება. ბაღდადი ისლამური სამყაროს ერთ-ერთი მთავარი რელიგიური ცენტრია, ხოლო ბაღდადის ხალიფა მთელი ისლამური სამყაროს სულიერი მეთაურია, რაც არ უნდა სუსტი იყოს მისი პოლიტიკური ძალაუფლება რიგ პერიოდებში. ბაღდადის ხალიფას ნაცვლად ქართველთა კათალიკოსის დასმა კი სწორედ განსაკუთრებული მნიშვნელობის სიმბოლური აქტი იქნებოდა, რომელსაც ჯუაროსნული ომების ეპოქაში ერთხელ და სამუდამოდ (ამ შემთხვევაში თუნდაც მორალურად) უნდა გაეტეხა მთელი ისლამური სამყაროს წინააღმდეგობა. ჯუეინის ამ უდიდესი მნიშვნელობის ცნობას ჩვენთან რატომღაც ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. არადა, არავითარი საფუძველი არ გვაქვს არ ვენდოთ ჯუეინის ამ ცნობას. ჯუეინის მონღოლებთან მაღალი პოსტები ეჭირა, კარგად იყო ინფორმირებული და მისი რელიგიური განწყობის ადამიანი, თუ ეს რეალობა არ იქნებოდა, გაუგებარია რატომ მიაწერდა ქართველებს ამგვარ განსრახვას, რომლითაც ისლამურ სამყაროს ასეთი დამცირება ელოდა. ამასთან, ჯუეინის ცნობა კარგად დასტურდება ამავე ეპოქის დასავლეთევროპული წყაროებით. *ჟაკ დე ვიტრი, ოლივერ სუსი, ვინცენც დე ბოვე, მარინო სანუდო* და მრავალი სხვა ერთხმად ღაღადებენ, რომ საქართველოს სამეფო კარზე მზადდებოდა დიდი სამხედრო ექსპედიცია, რომელსაც ერთ-ერთი ცენტრალური მაჰმადიანური ქალაქისათვის უნდა დაერტყა. ჯუეინის ცნობა აღმოსავლეთიდან ადასტურებს დასავლეთევროპელ ავტორთა მონაცემებს. დასავლელი ავტორები ქართველთა ლაშქრობის საეარაჯო მიზნად ასახელებენ. დამასკოს ან რომელიმე სხვა მნიშვნელოვან მაჰმადიანურ ქალაქს. ჯუეინი ლაპარაკობს ბაღდადზე. როგორც ჩანს, საქართველოს სამეფო კარზე პირველ რიგში განიხილებოდა სწორედ ეს ორი ქალაქი თავიანთი სამხედრო კამპანიის მთავარ ობიექტად.

ზაქარია ალ ყაზვინიც ხაზგასმით ამბობს, რომ თბილისთან, ანუ საქართველოსთან წყდება ისლამი და განჯაა მუსლიმთა საზღვარი ქართველებთან[11].

აქვე მოკლედ შევეხები ქართველ მეფეთა და დიდებულთა ტიტულატურასთან დაკავშირებულ მასალას, რომელსაც აღმოსავლური წყაროები გვაწვდიან. ქართველ მეფეებს რიგ შემთხვევებში აღნიშნული ტიტულატურით მიმართავენ მაჰმადიანური სახელმწიფოს მმართველები, ან კიდევ ცალკეული მაჰმადიანი პიროვნებები. ყოველთვის ნათელი არ არის, თუ რომელი ქართველი მეფე ან დიდებული შეიძლება იგულისხმებოდეს კონკრეტულ მიმართვასა ან ცნობაში. აღნიშნულ საკითხს ამ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენთვის მთავარია ამ ცნობების მიერ მოცემული ქართველთა ხატი აღმოსავლური წყაროებით. ეს ინფორმაცია იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ, განსხვავებით იგივე აღმოსავლელ ქრონისტებთან დაფიქსირებული მონაცემებისაგან, ამ მიმართვებში უშუალოდ საქართველოს სამეფო კარის პოზიცია ფიქსირდება. რადგან საქართველოს მეფეს მიმართავდნენ იმ ტიტულატურით, რაც მისთვის სასურველი იქნებოდა და ამ ტიტულატურაში ის ხატი აისახება, რომლის აღმოსავლურ სამყაროში შექმნითაც დაინტერესებულნი იყვნენ ქართველი მეფეები. ქართველთა ეს სურათი კი ერთმნიშვნელოვნად შეესატყვისება იმ საერთო ხაზს, რაც ქართული, დასავლეთევროპული და აღმოსავლური მასალის ნაწილის ანალიზის შედეგად უკვე ჩამოგვიყალიბდა და რაც ასე მნიშვნელოვანია დროშის საკითხისათვის. ყველგან ხაზი ესმება არა მარტო ქართველთა ქრისტიანობას, არამედ ქართველთა შემტევ და სამხედრო ქრისტიანობას.

საეარაჯოდან მეფე დავით აღმაშენებელს ამგვარად მიმართავს ერთ-ერთი აღმოსავლელი მონარქი, ან კონკრეტული აღმოსავლელი პირი: *„პასუხი მეფე დავითს, აბხაზის პატრონს: [მოკლემცალია სურათი ასეთი მონარქის] უზენაესი ბრძანება უდიდესი მეფისა; აღზევებული ხელმწიფისა; უმოწყალესი კეისრისა;* [...] ძლევამოსილი მართლმსაჯულისა; [...] *ქრისტესმოსიათა შემწისა და იესოს მიმდევართა მფარველისა; კეისართა მძლეველისა;* [...] *დიდებული ჯვრის დამცველისა; ქრისტიანთა თავშესაფარი მღვიმისა; ქრისტეს მოწაფეთა*

[11] ზაქარია ალ-ყაზვინის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, არაბულ ტექსტს შესავალი ნაუმძღვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო ოთარ ცქიტიშვილმა, თბილისი, 1975. გვ. 40-41.

გეორგეონისა; ტახტთა და გეორგეონთა მემკვიდრეობით მპყრობელისა; აღმოსავლეთისა და დასავლეთის სტეფანოსისა; ქრისტეს სარწმუნოების მცველისა; აბხაზის, შაქის, ალანის და რუსის მეფეთა მეფისა; მესიის თანაშემწისა (ალლაჰმაც განაგრძოს მეუფება მისი და მარადი ჰყოს სამეფო მისი!)"[12]. ქართველთა და მათ ხელისუფალთა ზოგადი ქრისტიანული სურათის წარმოსენის საკითხისათვის დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მესიის თანაშემწეობის და ჯვრის დამცველის მოტივების აქცენტირებას,ყველაფერ სხვას თავს თუ დავანებებთ. ამასთან, ძნელი სათქმელია, რა დაეარქვათ, რელიგიური ტოლერანტულობის გამოვლინება, თუ სრული არეულ-დარეულობა, იმ ფაქტს, რომ მესიის თანაშემწის მეუფება ალაჰმა უნდა გააგრძელოს.

კვლავ ვკითხულობთ მეფე დავითისადმი მიმართვას ერთ-ერთი აღმოსავლური წერილის მიხედვით: *„ასეეთი თბილისის პატრონ მეფე დავითს:* [მოცემულია მეფის სურათი,როგორც] [...] *უდიდესი მეფის;* [...] *ქვეყნიერებისა და სახელმწიფოს მოსარჩლის; ქრისტესმოსავთა მზისა და მშვენების;* [...] *ქრისტიანთა ქომაგისა და მათი თანამდგომის; მღვდელთა და მათი ჯვრის მფარველის; განდეგილთა თავშესაფარი (მღვიმისა) და მათი დიდების; აბხაზის მეფეთა მეფის; რუმისა და რუსის მარზბანის; ქრისტეს სარწმუნოების შემწის (დღეგრძელიმც ჰყოს ალლაჰმა მეუფება მისი და მარადი ჰყოს სამეფო მისი!)* [...]"[13] როგორც ციტირებული ნაწყვეტიდან ჩანს, ქართველთა მეფეების აღმოსავლეთში დაფიქსირებულ ტიტულატურაში უწინარესად ხაზი ესმება სწორედ რელიგიურ ფაქტორს. ქართველთა მეფე არის ქრისტეს მიმდევართა მზე და მშვენება (აქ გვახსენდება მაგალითად თამარის მონეტებზე ამოტვიფრული არაბული წარწერები, სადაც ქართველთა დედოფალი სწორედ რელიგიურ მშვენებად არის დასახული), ქრისტიანების ქომაგი, მღვდელების და მათი ჯვარის მფარველი, განდეგილთა და ქრისტეს სარწმუნოების შემწე.

ამ ეპიზოდის ერთ-ერთ ქართველ მეფესთან მსგავსი შეფასებები მეორდება (მეფის ვინაობა, სამწუხაროდ, უცნობია): „ [...] *უდიდესი ხელმწიფე;* [...] *ქვეყნიერებისა და სახელმწიფოს ძლიერება; იესუელთა მოსარჩლე; ქრისტიანთა (თავშესაფარი) მღვიმე; ქვეყანათა მფარველი; გურჯის,აბხაზის,ალანის , შაქისა და ხაზარის მეფეთა მეფე; ქრისტიანთა (შორის) უდიდესი; ქრისტეს მოწაფეთა დიდება; ქრისტეს რჩეული.* [...]"[14] ქართველთა მეფე კვლავ დასახულია ქრისტიანთა მოსარჩლედ და დამხმარედ. აგრეთვე უაღრესად მნიშვნელოვანი უნდა იყოს ქართველთა მეფის ქრისტიანთა შორის უდიდესად მოხსენიება.

გიორგი მესამის ტიტულატურა აღმოსავლური მჭერმეტყველების და ხატოვანი საუბარის თვალსაჩინო ნიმუშია. თავიდან ნათქვამია, რომ ალაჰის სახელით მარად უნდა ცოცხლობდეს დიადი უზენაესობა, ანუ ქართველთა მეფე, შემდეგ კი გიორგი მესამე ხასიათდება როგორც: „ [...] *უფალი ქვეყნიერებისა; მეფე დროის მეუფეთა; აღზევებული აუგუსტოსი; უდიდესი პერაკლე; დიდებული პტოლემეოსი; უმართლმსაჯულესი ფილიპე; სიდიადე ბრწყინვალე სახელმწიფოსი; თავანი ზეიადი ერისა;* [...] *ქრისტიანთა სულთანი; სულთანთა დამცველი; ქრისტეს მოწაფეთა მემკვიდრე; კეისართა წინამდგომი; ძლევამოსილი პტოლემეოსი; ირანის მეფეთა ნათესავი; ეპისკოპოსთა დამრიგებელი;* [...] *საქრისტიანოს მაცოცხლებელი; შვიდი კლიმატის უმართლმსაჯულესი; (უფლის) სამსახეობის საუკეთესოდ მცოდნე; უმცოდინარესი ქრისტეს მოწაფე; უდიდესი ჯვრის დამცველი;* [...] *დამხმარე სამი მიმდინარეობისა; მეთვალყურე სახარებისა და შემწე მისი; მახეილი მესიისა და დასტური მისი,* [...] *სიამაყე დავითის გვარისა;* [...] *გამოცხადება ქრისტიანობის ნიშნებისა.* [...] *განახლება განდეგილობის რიგისა; აღზევებული მეფური პიროვნება, რომელიც ქრისტეს მემკვიდრეა და სულია ხორცშესხმული; აღმოსავლეთის და დასავლეთის მეფენი რომლისაგან სრულქმნას აღწევენ.* [...]"[15]

---

[12] ქართულ-სპარსული ეტიუდები, ტექსტი გამოსცა და კომენტარები დაურთო მაგალი თოდუამ, თბილისი, 1979, გვ. 5.
[13] ქართულ-სპარსული ეტიუდები (1979), გვ. 6-7.
[14] ქართულ-სპარსული ეტიუდები (1979), გვ. 7.
[15] ქართულ-სპარსული ეტიუდები (1979), გვ. 9-10.

ქრისტიანობასთან დაკავშირებული რომელი ერთი დახასიათება ამოვწეროთ გიორგი მესამის: ქრისტიანების სულთანი, ქრისტეს მოწაფეთა მემკვიდრე, ქრისტიანული სამყაროს მაცოცხლებელი, ღმერთის სამბუნებოვანობის საუკეთესოდ მცოდნე, ქრისტეს მოწაფეებიდან ყველაზე განათლებული, ჯვარის საუკეთესო დამცველი, სახარების მეთვალყურე და შემწე. მესიის მახვილი, ბიბლიური დავითის გვარის სიამაყე, ქრისტეს მემკვიდრე მეფე. რატომ გვიკვირს ასე, რომ მსგავსი ტიულატურის მქონე და ასეთი პოლიტიკის გამტარებელ მეფეებს დროშაზე ხუთი ჯვარი შეიძლებოდა ჰქონოდათ? სხვათა შორის, სიმპტომატურია გიორგი მესამის ავგუსტოსად მოხსენიება. როგორც ჩანს, გიორგი მესამის და თამარის ეპოქაში დაიწყო ანტიკური სამყაროს მემკვიდრეობის იდეამ საქართველოში აღმოცენება, თუმცა მისი საბოლოო გაშლა აღარ მოხერხდა. ამავე ჭრილში უნდა განვიხილოთ, როდესაც გიორგი მესამეს ქრისტიანული ეპითეტების გარდა ანტიკურ გმირებთან ადარებენ. ეს ტენდენცია ქართულ ქრონიკებშიც შეიმჩნევა და, სავარაუდოდ, ეს გახლდათ ამ ეპოქის საქართველოს ზოგადი მიმართულება კულტურასა და ნაწილობრივ პოლიტიკაშიც. მკვეთრად ქრისტიანული ხაზის გატარების გვერდით შეიმჩნევა მცდელობა, თავი ანტიკურობის მემკვიდრეებადაც გამოაცხადონ, და ეს ფაქტი, როგორც ეს წაროდ გვიდასტურებს, აღმოსავლეთშიც კარგად უნდა სცოდნოდათ.

დაახლოებით მეორდება ეს ტიტულატურა და შეფასებები ხაჟანისთან, როდესაც სპარსელი პოეტი გიორგი მესამის შირვანში შესვლას აღწერს. შირვანს წილად ხვდა ბედნიერება, რომ აქ ჩამოვიდაო გიორგი მესამე, ანუ იგივე დროის მეფეთ მეფე, აღსვეებული აუგუსტოსი, უდიდესი ჰერაკლე, დიდებული პტოლემეოსი, უმართლმსაჯულესი ფილიპე, ქრისტიანთა სულთანი, სულთანთა დამხმარე, კეისართა წინამდგომი, ძლევამოსილი პროლემეოსი, ეპისკოპოსთა დამრიგებელი, აბსოლუტური კეისარი, ღმერთის სამბუნებოვანობის ამღიარებელი, სახარების დამცველი, მესიის მახვილი და არგუმენტი, დავითის გვარის სიამაყე*. ქართველ მეფეთა ეს ქრისტიანული ტიტულატურა, თან რა ტონებში, ცნობიდან ცნობაში გადადის. ყურადსაღებია აგრეთვე, რამხელა მნიშვნელობის მოელენა გამოდის შირვანისათვის საქართველოს მეფის იქ ჩასვლა.

ქართველ მეფეთა საგარეო პოლიტიკაში რელიგიური ფაქტორის დომინანტობის კიდევ ერთი მაგალითია თამარის წიგნი, გაგზავნილი ეგვიპტის სულთან სალადინისადმი. ეს დოკუმენტი თამარის მეფობის ადრეული წლებით თარიღდება. აქ საქმე გვაქვს ერთგვარ თავდაუსხმელობის პაქტთან. უნდა არსებულიყო სალადინის მსგავსი შინაარსის ფიციც, რომელიც ან არ შემორჩენილა, ან მისი მოძიებაა საჭირო. თამარისა და სალადინის მოლაპარაკების შედეგად მიღებული დოკუმენტის მიხედვით, თამარი თავს არ დაესხმება ეგვიპტელთა ტერიტორიას ან მათი გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებს. ეს გახლავთ წმინდა იურიდიული დოკუმენტი. ეს იურიდიული დოკუმენტი იმავდროულად მთლიანად ემყარება ქრისტიანულ, რელიგიურ მსოფლმხედველობას. ერთის მხრივ გვეძლევა კარგი მაგალითი, როგორ ემყარება შუა საუკუნეებში საერო სამართალი რელიგიურ საფუძველს, მეორეს მხრივ კი, ზემოთაც ვახსენეთ, ქართველი მეფეების რელიგიური პოლიტიკის ნათელი გამოხატულებაა. თამარი თავიდან ახსენებს მამის, ძის და სულიწმინდის სახელებს. შემდეგ ნათქვამია, რომ ის დებს გარკვეულ პირობას. აქედან კვლავ რელიგიურ სიბრტყეზე ხდება დაბრუნება, რადგან თამარი ამ ფიცს დებს სამბუნებოვანი ღმერთის, მამის, ძის და სულიწმინდის სახელით თუ ძალით. ვიდრე დაკონკრეტდებოდეს, თუ რა პირობას დებს ქართველთა დედოფალი, კეთდება გრძელი რელიგიური შესავალი. *„ეფიცავ იმ საათს, რომელმაც ღვთაებრივი სიტყვა ადამიანობას დაუკავშირა; ეფიცავ იმ თვისებას, რომელიც მარიამმა ტანად იღო; ეფიცავ იმ ტანს, რომელიც [...] თვისების მიმღები გახდა; ეფიცავ მესიას და მის სიტყვას აკვანში; ეფიცავ მარიამს და მის მარხულობას იმ აღთქმის შესაბამად; ეფიცავ უბიწოებასა და კდემას მარიამისას; ეფიცავ „სახარებას", „დაბადებასა"*

* ქართულ-სპარსული ეტიუდები (1979), გვ. 25.

და „ფსალმუნნს", რომელნიც უფლის სიტყვანია მესიაზე, მოსესა და დავითზე (მშვიდობა მათ!) გარდამოსული; ვფიცავ ქრისტიანთა მოციქულებს და რჩეულ კრებულს; ვფიცავ ჯვარცმას და ღვთაებრივისა და ადამიანურის კავშირს [...] ", რომ ამ დღიდან და ამ საათიდან, ამა და ამ პირის (სალადინთან) კეთილისმსურველი, მისი მოყვარის მოყვარე და მტერის მტერი ვიქნები. თამარი ამბობს, რომ არ დაესხმის მის ქვეყანას თავს და არ განიზრახავს მისი ციხეების ხელში ჩაგდებას. ამის შემდეგ ფიცი და პირობა კიდევ ერთხელ მყარდება რელიგიური არგუმენტაციის მოხმობით, რაც დოკუმენტს აგვირგვინებს კიდეც: *„თუ იმას გადავედი, რაც ვთქვი, ქრისტიანობა იუდეველთა რჯულზე გამეცვალოს, ქრისტიანთა სარწმუნოება დამეგმოს, მესიის მიმდევართა თემი დამეგდოს და „სახარებაზე", „დაბადებასა" და „ფსალმუნნზე", რომელნიც უფლის სიტყვანია, მეთქვას, ზღაპარია და მოჭორილი-მეთქი! თუ ამის საწინააღმდეგო გავაკეთო, ქრისტეს ჯვარი ფეხით გამეთელოს.* [...]"[17]

როგორც ითქვა, ეს სამართლებრივი ძეგლი კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ ემყარება სახელმწიფო იდეოლოგია მთლიანად ქრისტიანობას. ნებისმიერი მოქმედების საორიენტაციო წერტილი და ამოსავალი საფუძველი სახელმწიფო პოლიტიკისას განსაზღვრულია ქრისტიანული იდეოლოგიით. როდესაც, მაგალითად, დღევანდელ მსოფლიოში იდება პოლიტიკური შეთანხმებები, იურიდიული საფუძველია დემოკრატიული სისტემის შედეგად მიღებული სხვადასხვა კონვენციები, ანუ ამ შემთხვევაშიც კონკრეტული, თუ შეიძლება ასე ითქვას, დემოკრატიული იდეოლოგია. აქედან კარგად უნდა ჩანდეს, რომ იდეოლოგია შუა საუკუნეების საქართველოში ერთმნიშვნელოვნადა ქრისტიანობით გახლავთ განსაზღვრული. თუ ცოტა პათეტიკურად ვიტყვით, ამ იდეოლოგიის და ამ სიმძლავრის მქონე ერს შუა საუკუნეებში ნამდვილად შეეფერებოდა დროშა იერუსალიმის ჯვარის მსგავსი კომპოზიციით.

ასევეა მკაფიო ქრისტიანული ტიტულატურით მიმართავენ აღმოსავლური სამყაროს წარმომადგენლები ლაშა-გიორგისაც. ლაშა გიორგის აღმოსავლური წოდებებია: „ [...] *აღზევებული მეფე* [...] *ქვეყნიერებისა და სახელმწიფოს სიდიადე; ქრისტესმოსაეთა შემწე; იესუსთა მფარველი; ტახტთა და გეორგეთნთა (შემკეთდრეობით) მპყრობელი;* [...] *მესიის თანაშემწე ლაშა, ძე მეფე გიორგის ასულისა*"[18].

ქრისტიანთა მცველების და ქრისტიანობისათვის მებრძოლების სახელი და ტიტულატურა აქვთ არა მარტო ქართველ მეფეებს, არამედ ცალკეულ დიდ თავადებსაც და მინისტრებსაც! ფაქტიურად მთელი სამეფო კარია ამ იდეოლოგიით გაჯერებული და ეს ბუნებრივიცაა. ამასთან, ამ მძლაერი, შემტევი და სამხედრო-ქრისტიანული ტიტულატურის თუ პოლიტიკის შესახებ მოგვითხრობენ თვითონ მაჰმადიანური წყაროები. ხაყანი მონადირეთუხუცეს, თუ მსახურთუხუცეს ეარდან დადიანს სახაეს პიროვნებად, რომელიც არის „ [...] *ქრისტიან დიდებულთა სიამაყე, კეისართა შეუნიერება,* [...] *მოციქულთა მეგობარი, სახარების დამცველი, სამსახეობის მაღიარებელი, მესიის რჩეული.* [...]"[19] ასეთივე მკვეთრად ქრისტიანული ტიტულატურით მოიხსენებიან აღმოსავლურ წყაროებში სხვა ქართველი დიდებულებიც. ზაქარია მხარგრძელი მოიხსენიება როგორც დიდი ამირ-სპასალარი, უდიდესი მბრძანებელი, კეისართა მძლეველი, მღვდელთა თავშესაფარი, ჯვარის უდიდესი დამცველი, ქრისტიანთა ლაშქრის წინამძღოლი, ქრისტეს მოწაფეთა გვირგვინი[20]. ხოლო ივანე მხარგრძელი დასახულია 'უდიდეს ამირ-სპასალარად, ქრისტიანთა შემწედ და დამხმარედ, მღვდელთა და მათი ჯვარის დამცველად, მწირთა მღვიმედ და მათ დიდებად[21]. დაახლოებით მსგავსი ტიტულატურით არიან მოხსენიებულნი აღმოსავლურ წყაროებში სავარაუდოდ ივანე ახალციხელი, ან ისევ ივანე მხარგრძელი, რომელიც

[17] ქართულ-სპარსული ეტიუდები (1979), გვ. 26-27.
[18] ქართულ-სპარსული ეტიუდები (1979), გვ. 28.
[19] ქართულ-სპარსული ეტიუდები (1979), გვ. 21.
[20] ქართულ-სპარსული ეტიუდები (1979), გვ. 27.
[21] ქართულ-სპარსული ეტიუდები (1979), გვ. 27-28.

მესიის მახვილადაც ისახება ყველაფერთან ერთად[22]. აგრეთვე ქრისტიანთა გვირგვინს და მესიის მახვილს უწოდებენ ვარდან დადიანს[23]. შალვა ახალციხელი არის ქრისტეს მიმდევართა მახვილი და მესიის მახვილი[24]. მესიის მახვილობაზე პრეტენზიას ცალკეული დიდებულებიც კი აცხადებენ. იმდენად ყველაფერს განსახღვრავს ეს იდეოლოგია. ზაქარია ვარაბის ძე დასახულია ქრისტესმოსაეთა დიდებად და მესიის შემწედ[25]. ასევე ხაზი ესმებოდა რელიგიური ფაქტორის დომინანტობას მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ტიტულატურაში. მაგალითად, ანტონ ჭყონდიდელზე ეკითხულობთ, რომ ის არის: „[...] *დიდი წარჩინებული: ღვთისმოსაობაში აღმატებული; სახელმწიფოში წესრიგის დამამყარებელი: ქრისტესმოსაეთა წინამძღოლი; იესეელთა მზე; რჯულისთვის ბრძოლის (თვისების) მქონე:* [...] *მესიის საყრდენი.* [...]"[26] *ქრისტეს თაყვანისცემის და ქრისტესათვის* ბრძოლის მოტივებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ როგორც ქართველი მეფეების, ასევე ცალკეული დიდებულების, თუ სახელმწიფო მოხელეების დახასიათებისას.

საინტერესოა აგრეთვე მიხეილ სირიელის ცნობა საქართველოსა და მოსულის საათაბაგოს პოლიტიკურ ურთიერთობასთან დაკავშირებით გიორგი მესამის მეფობის დროს. მოსულის (მოსული ჯვაროსანთა ნინეიაა) ათაბაგს გიორგი მესამისაგან სურდა მაჰმადიან ტყვეთა გამოსყიდვა, აღნიშნულ მოლაპარაკებას შედეგად მოჰყვა მოსულში ქართველთა ელჩების გაგზავნა. ქართველთა ელჩებს თან ახლდა მაფრიანი, ანუ იაკობიტთა პატრიარქის მოადგილე, ვისაც ქართველ მეფესთან შუამავლობა სთხოვეს მოსულის ათაბაგმა: *„მაფრიანი და (ქართველთა) ელჩი შეეიდნენ ქალაქში ჯვრებით, რომლებიც დამაგრებული იყო შუბების წვერებზე"*[27]. შესაბამისად, მაჰმადიანურ სახელმწიფოში ქართველი ელჩები ჯვრებით შედიან. ეს გარემოებაც ისევ მიუთითებს, რომ არ არის გასაკვირი, თუ ქართველებს დროშაზეც ჯვარი ან ჯვრები ექნებოდათ.

გარდა ამისა, ამ ეპოქის სირიელი ქრონისტები უშუალოდ ჯვრიან დროშასაც აფიქსირებენ ქართველებთან. ფრანგი მკვლევარი ჟან რიშარი თავის ერთ-ერთ სტატიაში ეხება პრესბიტერ იოანეს და მეფე დავითის ლეგენდების თემას. რიშარი თავის სტატიაში საუბრობს XIII საუკუნის დასაწყისის მოვლენებზე და მეფე დავითის ეგრეთ წოდებულ რელაციოზე. ერთგან ის ასევე შენიშნავს, რომ საქართველოს მეფის ელჩები მაჰმადიანთა ტერიტორიებს სერავდნენ ხოლმე ჯვრიანი დროშით[28]. რიშარი ამ შემოხვევაში ემყარება სირიელ ქრონიკებს, რომელთა ნახვის საშუალება ამჟამად, სამწუხაროდ, არ მომეცა. ამასთან, აქ არ უნდა იგულისხმებოდეს მიხეილ სირიელის ის ცნობა, სადაც გიორგი მესამის ელჩების მოსულში შესვლაა აღწერილი, როდესაც ქართველებს შუბის წვერებზე ჯვრები აქვთ დამაგრებული. რადგან რიშარი გარკვევით ლაპარაკობს დროშაზე მოთავსებულ ჯვრის გამოსახულებაზე. თუმცა რიშართან შემდგომი დეტალები დაზუსტებული აღარ არის.

ქართველებთან დაკავშირებული ზოგადი სურათი აღმოსავლურ წყაროებში არც XIV ან XV საუკუნეებში იცვლება, რადგან ქართველთა პოლიტიკა ტრადიციულად მიმართულია ქრისტიანობისათვის მაჰმადიანებთან ბრძოლაზე და წმინდა ქალაქ იერუსალიმზე. მნიშვნელოვანია XIV საუკუნის შუა ხანების არაბი ისტორიკოსის ალ-უმარის ცნობა საქართველოსა და ქართველებზე. ალ-უმარის საქართველოს მეფე ბარტილმა, ყველა ნიშნის მიხედვით, გიორგი ბრწყინვალეა. ალ-უმარი ეხება ილხანთა სახელმწიფოსადმი საქართველოს, ან აღმოსავლეთ საქართველოს ნომინალური დაქვემდებარების ფაქტს

[22] ქართულ-სპარსული ეტიუდები (1979), გვ. 28.
[23] ქართულ-სპარსული ეტიუდები (1979), გვ. 28-29.
[24] ქართულ-სპარსული ეტიუდები (1979), გვ. 29.
[25] ქართულ-სპარსული ეტიუდები (1979), გვ. 29.
[26] ქართულ-სპარსული ეტიუდები (1979), გვ. 28.
[27] გოჩა ჯაფარიძე, საქართველო და მოსულის ზანგიანთა საათაბაგო (1161 წ.), ნელინდეულში: ქართული დიპლომატია, 4, თბილისი, 1997, გვ. 105.
[28] Jean Richard, The Relatio de Davide as a source for Mongol History and the Legend of Prester John, ნიგნში: Prester John, the Mongols and the ten Lost Tribes, Edited by Charles F. Beckingham and Bernard Hamilton, Variorum 1996, გვ. 145, ასევე: გვ. 153, შენ. 35.

და განაგრძობს: „ [...] (რაც შეეხება) ქართველთა ლაშქარს, იგი მტკიცედ დგას ჯვრის სარწმუნოებაზე და გულადი და მამაცი ხალხია. მუსლიმები მათ უწოდებენ ‚ალ-ქერდ', ქრისტიანები კი – ‚ალ-ქერჯ'. [...] ბარტილმა, რამდენადაც მე ვიცი, ცოცხალია, კარგადაა, ყველაზე დიდებულია ქრისტიან მეფეთა შორის და უკეთილშობილესი წარმოშობისაა ნათლისღებულთა შორის. მან დაიწყო მიმოწერა სულტნის მაღალ კართან ჯვრის მონასტრის გამო, რათა აეღოთ მასზე დამპყრობლური ხელი, (რის შედეგადაც) გამოიცა სულტნის ფირმანები (ქართველებისათვის) მისი დაბრუნების შესახებ. (ადრე) ეს მონასტერი წაართვეს (ქართველებს) და გადააკეთეს მეჩეთად. იგი მდებარეობს დიდებული იერუსალიმის ფარგლებს გარეთ. (მონასტრის ქრისტიანებისათვის დაბრუნება) ემძიმათ ულემებსა და ღვთისმოშიშებს, თუმცა (მონასტრის დაბრუნება) ტყუილუბრალოდ არ მომხდარა. არ იშურებდა (ქართველთა მეფე) მისთვის (ჯუბანისათვის) მის (სულტნის) წინააღმდეგ ძველსა და ახალ ქონებას და ამბობენ, რომ აქეზებდა ჯუბანს (ამ) ქვეყნის წინააღმდეგ". ალ-უმარის აღნიშნულ ცნობას ქართული დროშისთვისაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს. რადგან აქ არაბი ისტორიკოსი აღწერს გიორგი ბრწყინვალის დროის საქართველოს. ქართველები ისახებიან მძლავრ ქრისტიან ერად. ქართველებს კი ჯვარის მონასტერი იმიტომ დაუბრუნეს, რომ გიორგი ბრწყინვალე ყველანაირად ცდილობდა ჩობან ნოინი ეგვიპტეზე ლაშქრობისათვის შეეგულიანებინა. ამასთან, ალ-უმარისთან მოცემულია საქართველოს სურათი გიორგი ბრწყინვალის მეფობის ადრეულ ხანაში, როდესაც ქვეყანა ჯერ კიდევ ნომინალურად ექვემდებარება მონღოლებს. გადაჭარბება არ იქნება თუ ეიტვენეთ, რომ ალ-უმარის ცნობები ერთგვარად ადასტურებენ ევროპული პორტოლანების მონაცემებს. რაკი გიორგი ბრწყინვალე ეგვიპტეზე ჯვაროსნულ ლაშქრობას ამზადებს (საფრანგეთის მეფესთან მიმოწერა ადასტურებს, რომ გიორგი ბრწყინვალე მოგვიანებით უკვე მარტო აპირებდა ასეთი კამპანიის მოწყობას), თუნდაც ამ ინფორმაციის საფუძველზე გასაკვირი არ არის, საქართველოს ამ დროს ჯვრიანი ან ხუთჯვრიანი დროშა ჰქონდეს. მაგრამ სოგიერთ ევროპულ პორტოლანზე ხუთჯვრიანი დროშა გაერთიანებულია სპარსეთის ილხანთა სახელმწიფოს დროშასთან. როგორც ენახეთ, დაახლოებით მსგავსი ვითარებაა ეგვიპტურ ცნობებში გიორგი ბრწყინვალის მეფობის ადრეულ პერიოდთან დაკავშირებით. იგივე ინფორმაციას გვაწვდიან რიგი ევროპული ავტორები (მაგალითად მარკო პოლო) აღმოსავლეთ საქართველოს მონღოლებისადმი დაქვემდებარებულობის შესახებ. ამდენად, პორტოლანები ამ კუთხით იგივე ინფორმაციას გვთავაზობენ, რასაც დანარჩენი დასავლელი და აღმოსავლელი ავტორები.

იქვე ალ-უმარი ეხება საქართველოს მეფესთან მიმოწერის წესს, თუ რა ტიტულატურით მიმართავდნენ ეგვიპტის სულტნები გიორგი ბრწყინვალის ეპოქაში საქართველოს მეფეს: *„მაღალი ალლაჰი ხანგრძლივს ყოფს ბრწყინვალეტას მისი მეფური უდიდებულესობისა, დიდებულისა, გულადისა, მამაცისა, ლომისა, მეთაურისა, მრავალგზის თავდამსხმელისა, ლომგულისა, ტახტის მპყრობელისა, გვირგვინოსნისა, თავის სარწმუნოებაში განსწავლულისა, თავის სამწყსოს მიმართ სამართლიანისა, საბერძნეთის მეფეთა შორის რჩეულისა, ქართველთა სულტნისა, ზღვებისა და სრუტეების სამეფოს განძისა, რაინდთა სამეფოს დამცველისა, ტახტ-გვირგვინოსანთა შთამომავლისა, რუმისა და ირანის ქვეყნების ზღვდისა, ქრისტიანობის განმამტკიცებლისა, ქრისტიანობის შემწისა, საქრისტიანოს გმირთ მესიისა, თავისი განსრახვით იერუსალიმის განმადიდებლისა, ნათლისღებულთა ბურჯისა, რომის პაპის შემწისა, მუსლიმთა ერთგული მეგობრისა, ახლობელ მეგობართაგან ყველაზე გულწრფელისა, მეფეთა და სულტანთა მეგობრისა. [...]"*[29]

XIV საუკუნეში ქართველ მეფეთა ტრადიციულ ქრისტიანულ ტიტულატურას (თავის სარწმუნოებაში განსწავლული, ქრისტიანობის განმამტკიცებელი, ქრისტიანობის შემწე,

[29] XIV-XV საუკუნეების არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ (ალ-უმარი, ალ-მუპიბბი, ალ-კალკაშანდი). არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დიტო გოჩალეიშვილმა, თბილისი, 1988. გვ. 51-52.

ნათლისღებულთა ბურჯი და ასე შემდეგ) ემატება ახალი მოტივი: საქართველოს მეფე არის რომის პაპის შემწე. ალ-უმარის მიხედვით, ოფიციალური მიმართვისას საქართველოს მეფე პირდაპირ სახელდება, როგორც თავისი განზრახვით იერუსალიმის განმადიდებელი. შესაბამისად, აქაც პირდაპირ არის იერუსალიმთან საქართველოს მეფის მიმართება წარმოდგენილი.

კიდევ ერთი ფაქტორი: გიორგი ბრწყინვალე აღმოსავლეთის ქრისტიან მმართველებს შორის უძლიერესადაა გამოცხადებული, მისი დროის საქართველოს სამეფო მძლავრი ქრისტიანული სახელმწიფოა, იერუსალიმში გაშლილი დროშით შესვლას თავს თუ გავანებებთ, ქრისტეს საფლავს გიორგი ბრწყინვალის ხანიდან იცავენ ქართველები. ამ ყველაფერზე, სხვადასხვა მოტივების აქცენტუაციით, როგორც ბევრჯერ ითქვა, ერთხმად ღაღადებენ თანადროული დასავლური და აღმოსავლური წყაროები. ამდენად, სწორედ გიორგი ბრწყინვალის ეპოქის პორტოლანებზე საქართველოსთან გაბენილი ჯვრიანი დროშები პირდაპირ შეესატყვისებიან საქართველოს შესახებ მაშინდელ ქრისტიანულ თუ მაჰმადიანურ სამყაროში არსებულ ინფორმაციას.

ქართველთა შესახებ აღმოსავლური წყაროების ანალიზის შედეგად მივდიეართ დასკვნამდე: აღმოსავლური წყაროებიც გვთავაზობენ ქართველთა იგივე ხატს, რასაც შეეხვდით დასავლეთევროპულ ცნობებში. ეს გახლავთ ხატი მძლავრი ქრისტიანული ერისა. რომელიც შეურიგებელ ომს აწარმოებს მაჰმადიანებთან. აღმოსავლურ წყაროებშიც ეხვდებით ქართველთა პოლიტიკის იერუსალიმზე ორიენტაციის ფაქტს. შესაბამისად, აღმოსავლური წყაროებიც არაპირდაპირ, მაგრამ მაინც, ზურგს უმაგრებენ ქართველთა სახელმწიფო დროშად ხეთჯვრიანი დროშის დასახვის შესაძლებლობას. გარდა ამისა, სირიული წყაროების მიხედვითაც, ქართველებს პქონიათ ჯვრიანი დროშა.

თავი მეხუთე

მასალები შუა საუკუნეების ევროპული კარტოგრაფიიდან

ვიდრე შუა საუკუნეების ცალკეულ რუკებზე ვილაპარაკებდეთ, სასურველია ზოგადად შევეხოთ ამ კარტოგრაფიის მთავარ ნიშნებს[1]. მართალია, შუა საუკუნეების კარტოგრაფია რუკებზე დროშების დატანის სიტემას არ იცნობს, მაგრამ მას აქვს ქრისტიანობისათვის საკრალური ადგილები, რომელთა შორის არის კაეკასიის ტერიტორიაც. აქედან გამომდინარე, გარდა მთელი ზემოთ განხილული მასალისა, პორტოლანებს ერთგვარად კარტოგრაფიული მასალაც ხელს უწყობს,რომ საქართველოს ტერიტორიაზე ქრისტიანული სიმბოლიკის მქონე დროშები მოათავსონ. რადგან პორტოლანებამდელი შუა საუკუნეების კარტოგრაფიისათვის საქართველოს სახელმწიფოდ მოაზრებული ტერიტორია წმინდა ქრისტიანული მსოფლმხედველობის პოზიციიდან ერთგვარად საკრალური ადგილია. თუმცა,ბუნებრივია,პორტოლანების ავტორები ემყარებიან რეალურ მონაცემებს დროშებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, რაკი შუა საუკუნეების დასავლეთევროპული კარტოგრაფია ქართველი მკითხველისათვის პრაქტიკულად უცნობია და ამ რუკებზე საქართველოსთან დაკავშირებულ დიდ მასალას ეხვდებით, ვიდრე ადრეული ახალი დროის პორტოლანებს შეეეხებოდეთ, განვიხილავ შუა საუკუნეების რუკებს.

კარტოგრაფიის პირველი ეტაპი გახლავთ ანტიკური ბერძნული კარტოგრაფია, რომლის ძეგლებიც ორიგინალური ფორმით არ შემონახულა. მას მოსდევს ეგრეთ წოდებული შუა საუკუნეების რომაულ-ქრისტიანული კარტოგრაფია, რომელიც ორ ნაწილად იყოფა:

1. რომაული კარტოგრაფია პოლიბიუსიდან (დაახ. 150 წ. ძვ. წ.) დაახლოებით ახ. წ. 400 წლამდე. რომაული კარტოგრაფია პიკს აღწევს ავგუსტუსის მსოფლიო რუკაში და გაუმჯობესებულ საიმპერიო რუკაში, რომელთა კვალსაც უფრო გვიანდელი ხანის კარტოგრაფიაში ხშირად ეხვდებით. რომაული კარტოგრაფიიდან შემოგვრჩა მხოლოდ ერთი რუკა, კასტორიუსის რუკა, ანუ ტაბულა პოიტინგერიანა.

2. შუა საუკუნეების ქრისტიანული კარტოგრაფია იწყება დაახლოებით იერონიმუსის ან ევსებიუსის დროიდან და გრძელდება XIV საუკუნის დასაწყისამდე. ამ ეპოქიდან შემორჩენილია მთლიანობაში ოთხასამდე მცირე ზომის რუკა და ორი დიდი რუკა, ებსტორფისა და ჰერეფორდის მსოფლიოს რუკები.

შუა საუკუნეებში განცალკევებით დგას არაბების კარტოგრაფია. არაბთა მსოფლიო ბატონობას იმავე არაბებთან შედეგად მოსყვა კარტოგრაფიის განვითარებაც. დასავლური, რომაულ-შუასაუკუნეობრივი კარტოგრაფიისაგან სრულიად დამოუკიდებელნი, არაბი კარტოგრაფები ნაწილობრივ ემყარებიან ბერძნებს, ერატოსთენესა და პტოლემეოსს. არაბულ რუკებზე ზემოთ მოთავსებულია სამხრეთი, ანუ, რელიგიური მოტივებიდან გამომდინარე,არაბთა რუკები ორიენტირებულია ძირითადად სამხრეთზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მაჰმადიანურ ქვეყნებს.

არაბული კარტოგრაფია სამ უმთავრეს ფაზას გადის:

VIII-IX საუკუნეებში არაბული გეოგრაფიის და კარტოგრაფიის მთავარი ნიშანია

---

[1] შუა საუკუნეთა დასავლეთ ევროპული კარტოგრაფიის ზოგადი მიმოხილვისას ვემყარები შემდეგ ავტორებს: Anna-Dorothee von den Brincken, Mappa mundi und Chronographia. Studien zur imago mundi des abendländischen Mittelalters. in: Deutsches Archiv für Erforschung des Mittelalters 24, 1968, გვ. 118-186; Leo Bagrow, R. A. Skelton, Meister der Kartographie, Berlin 1963; Werner Becker, Vom alten Bild der Welt, München 1970; Georges Grosjean, Rudolf Kinauer, Kartenkunst und Kartentechnik. Vom Altertum bis zum Barock, Bern 1970; Walter Rosien, Die Ebstorfer Weltkarte, Hannover 1952; შუა საუკუნების რუკების და პორტოლანების კატალოგი, ცალკეულ რუკათა ამეკმინდელი სამყოფელის დეტალური ჩამონათვალით: Marcel Destombes, Mappemondes. A. D. 1200-1500, Amsterdam 1964; Hartmut Kugler, Die Ebstorfer Weltkarte. Ein europäisches Weltbild im deutschen Mittelalter, in: Zeitschrift für Deutsches Altertum und Deutsche Literatur 116, 1987, 1-29. Konrad Miller, Die Ebstorfkarte, Stuttgart und Wien 1903; Jörg-Geerd Arentzen, Imago mundi cartographica. Studien zur Bildlichkeit mittelalterlicher Welt- und Ökumenekarten unter besonderer Berücksichtigung des Zusammenwirkens von Text und Bild. München 1984; Anna-Dorothee von den Brincken, Fines Terrae. Die Enden der Erde und der vierte Kontinent auf mittelalterlichen Weltkarten. Hannover 1992; Anna-Dorothee von den Brincken. Das geographische Weltbild um 1300, in: Das geographische Weltbild um 1300. Politik im Spannungsfeld von Wissen, Mythos und Fiktion, hrsg. von Peter Moraw, Zeitschrift für Historische Forschung. Beiheft 6, 1989, გვ. 9-32; Anna-Dorothee von den Brincken, Kartographische Quellen. Welt-, See- und Regionalkarten, Brepols 1988; Herma Kliege, Weltbild und Darstellungspraxis hochmittelalterlicher Weltkarten, Münster 1991.

ბერძნული და რომაული ანტიკურობის გეოგრაფიული ნაშრომების, განსაკუთრებით პტოლემეოსის ნაწერების, რომლებიც ქრისტიანული დასავლეთისათვის XV საუკუნემდე უცნობი რჩებოდნენ, თარგმნა და ათვისება.

X საუკუნეში არაბული კარტოგრაფია ავითარებს ისლამის ატლასს. ისლამის ატლასი გეოთავაზობს ოცდაერთ რუკას. აქედან სამი ზღვების (ხმელთაშუა, კასპიის, სპარსეთის) რუკებია. 17 დანარჩენი რუკა წარმოადგენს ისლამის ცალკეულ ქვეყნებს და, გარდა ამისა, ისლამის ატლასი გეოთავაზობს ერთ შემაჯამებელ მთლიან რუკას.

XII საუკუნე არაბული კარტოგრაფიისათვის არის არაბულ-ნორმანული პერიოდი, რომლის დაგვირგვინებაა იდრისის (1100-1166) მსოფლიოს რუკა. იდრისი იყო არაბი კარტოგრაფი და მოღვაწეობდა სიცილიის ნორმანთა სამეფოში, მეფე როჯერ მეორის კარზე. 1154 წელს გამოვიდა ეგრეთ წოდებული როჯერის წიგნი, ქვეყანათმცოდნეობა დიდი მსოფლიოს რუკით და ასევე ცალკეული რუკებითაც. 1161 წელს ამას მოჰყვა იდრისის მცირე მსოფლიოს რუკაც. იდრისი გახლავთ არაბული კარტოგრაფიის მწვერვალი. ისლამის ქვეყნები იდრისისთან განსაცვიფრებელი სიზუსტითაა მოცემული. თუმცა არამაჰმადიანური სამყაროს გამოსახვისას იდრისის რუკა მნიშვნელოვან სისუსტეებს ამჟღავნებს. მაღალი შუა საუკუნეების დასასრულამდე არაბულ კარტოგრაფიას პირდაპირი გავლენა ევროპაზე არ მოუხდენია (ახლო მომავალში გამოვაქვეყნებ ისლამის ატლასის რუკების ნაწილს და იდრისის რუკას).

XIV-XV საუკუნეები საზღვაო რუკების, ანუ პორტოლანების ხანაა. დასასრულით XIII საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, ჯერ იტალიელები და კატალონიელები, შემდეგ სხვა ზღვაოსანი ხალხებიც, იწყებენ რუკების დამზადებას, რომლებსაც ხმელთაშუა და სხვა ნაცნობ ზღვათა სანაპიროები იშვიათი სიზუსტითაა გამოსახული. განსხვავებით სანაპირო ზოლისაგან, პორტოლანების ავტორებს შიდა მხარეები არ აინტერესებდათ. აღნიშნულ რუკებს პირველად კარტოგრაფიის ისტორიაში თან დაერთვის მასშტაბი.

XV-XVI საუკუნეები უკვე გახლავთ რენესანსის ეპოქის კარტოგრაფიის ხანა და კარტოგრაფიაში პტოლემეოსის რუკების აღორძინება. XVI საუკუნის შუა ხანებიდანვე უკვე ახალი დროის კარტოგრაფია იწყება.

შუა საუკუნეების მსოფლიოს რუკა იძლევა ელტბილდს, რომელიც მთლიანად რელიგიური რწმენითაა განპირობებული. შუა საუკუნეების ადამიანის ელტბილდი თავის თავში დახურულია. ყოველივე შექმნილი და, საერთოდ, რაც ხდება, ღმერთის ერთიანი განსრახვის განუყოფელი ნაწილია. რუკებიც ხშირად რელიგიური პოზიციიდან დანახული სამყაროს ისტორია უფროა, ვიდრე ქვეყნიერების რეალური გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული სურათი. შესაბამისად, კარტოგრაფიაც და ისტორიოგრაფიაც თეოლოგიის, ბიბლიის ეგზეგეტიკის დამხმარე მეცნიერებებია. ამ პოზიციიდან მსოფლიოს რუკების გამონენა ბიბლიის ხელნაწერებსა და წმინდა წერილის კომენტარებში დასაშვები ხდება. ეს კარტოგრაფია მთლიანად ორიენტირებულია ტრადიციაზე. ადრე შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ფაქტიურად მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში რუკების სქემა უცვლელი რჩება. რუკების სიმბოლიკას უბრალო მნახველი ვერ გაიგებდა. შესატყვისი განათლების არ მქონესათვის ეს რუკები მხოლოდ ლამაზ სურათებად რჩებოდა. დიდი ადგილი ეთმობოდა ბიბლიურ მასალას, ასევე მოციქულთა საქმიანობის ადგილებს. თითქმის ყოველი შუა საუკუნეთა რუკა თან ერთვოდა გარკვეულ ტექსტებს და ამ რუკების ადგილი სწორედ ამ ტექსტებთან ერთად მოიაზრება, იქნება ეს ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომები, ბიბლიის კომენტარები, თუ ისტორიული ნაწერები. შუა საუკუნეების რუკები არ არის დამოუკიდებელი ქმნილებები. ისინი მეტწილად ემყარებიან წიგნურ ინფორმაციას.

შუა საუკუნეების მსოფლიოს რუკები, როგორც წესი, იქმნებოდა მონასტრებში. აღნიშნული რუკების ფაქტიურად ყველა ავტორი სასულიერო პირია. პროფესიონალი კარტოგრაფები უმთავრესად ჩნდებიან პორტოლანების ეპოქის დადგომასთან ერთად. რუკები დაერთვოდა ხოლმე სამონასტრო ან კათედრალური სკოლების ეგრეთ წოდებულ სასკოლო წიგნებს: ისიდორ სევილიელს, ბედა ვენერაბილისს, სალუსტიუსს, მაკრობიუსს.

ყოველგვარ ზომათა მიმართებაზე უარის თქმა რომაული და შუა საუკუნეების რუკის ძირითადი ნიშანია. ამასთან, შუა საუკუნეების რუკებზე კონკრეტული ადგილები ყოველთვის მათდამი მინიჭებული მნიშვნელობის მიხედვითაა დახატული. ამიტომ წმინდა მიწა ყოველთვის არანეკულებრივად დიდადაა გამოყოფილი. შუა საუკუნეების მსოფლიოს რუკები ორიენტირებულია აღმოსავლეთზე. შუა საუკუნეთა რუკებზე ყველა რეგიონსაც შესატყვისი თვისებები მიეწერება. აღმოსავლეთი განასახიერებს სითბოს, სინათლის, სიკეთის სავანეს. მზის ამოსვლისას სინათლის ყოველდღიური დაბადება აღმოსავლეთს აქცევს სამოთხის, ქრისტეს, ცხონების ადგილად. საბრეთიც ასევე გახლავთ სითბოს, სინათლის, სულიწმინდის მხარე. ჩრდილოეთი არის სიცივის, წყვდიადის, ბოროტის, ეშმაკის სამყოფელი. დასავლეთიც აგრეთვე სიცივის, წყვდიადის, სიკვდილის რეგიონია, სიმბოლო იმისა, რომ ყველაფერს ამ სამყაროში თავისი ბოლო აქვს. რეალური სამყაროს ყოველი ნაწილიც სულიერ სამყაროზე იღებდა ორიენტაციას, სულიერი სამყაროს გამოხატულება იყო. ამ მხრივაც შუა საუკუნეების კარტოგრაფია მთლიანად რელიგიურ-ქრისტიანულ მსოფლმხედველობას ემყარება.

აზიის და აფრიკის დიდი ნაწილები აღნიშნული კარტოგრაფიისათვის ტერა ინკოგნიტად რჩება. ამიტომ თავიანთთვის უცნობ მხარეებს ერთმანეთთან აერთებდნენ, ინდოეთსა და ეთიოპიაში ძირითადად სოლინუსის, ისიდორ სევილიელის, „ფიზიოლოგუსის" თუ სხვა წყაროთა საფუძველზე ათავსებდნენ ათასგვარ სასწაულებრივ არსებებს თუ მონსტრულურ ადამიანებს. ეს საოცარი არსებანი ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში მეტად პოპულარულნი გახლდნენ (ჰეროდოტესთან, ქტესიასთან, მეგასთენესთან). ძირითადად პლინიუს უფროსის მეშვეობით და შემდეგ სოლინუსის, „ფიზიოლოგუსის", მარციანუს კაპელას, ისიდორ სევილიელის და ზოგიერთი ეკლესიის მამის დახმარებით ისინი ლათინური დასავლეთისათვისაც გახდნენ ცნობილნი. მათ ეხედებით არა მარტო კარტოგრაფიაში, არამედ ლიტერატურაშიც და საკრალურ სფეროშიც. საოცარი არსებები ჯერ კიდევ აგუსტინესა და იერონიმუსისაგან მოყოლებული, ერთიანნი საკრალური ისტორიის წევრები იყვნენ, როგორც ღმერთის მთლიანი ქმნილების წარმომადგენლები. თუმცა უფრო ნეიტრალურ ან ნეგატიურ შეფასებას იღებდნენ, თუნდაც როგორც ღმერთის ქმნილების ნაწილები. ხშირად ქაოტურის ან ბოროტის სიმბოლოს განასახიერებდნენ და თავიანთ ადგილს იკავებდნენ ეკლესიათა კაპიტელებსა და პორტალებზე, ეგრეთ წოდებულ ბესტიათა სვეტებზე, წიგნის მხატვრობაში. შუა საუკუნეთა კარტოგრაფიაში შორეული აზია ან აფრიკა იყო მათი ლოკალიზაციის ადგილი. მაგალითად, შუა საუკუნეების ბევრ რუკაზე შეეხედებით აფრიკის უკიდურეს სამხრეთში მოთავსებულ მონსტრუალურ რასებს: ესენია ადამიანები ოთხთვალა, ექვსთითა, პირის ადგილას ორი ნასვრეტის მქონე, უენო, უცხეირო, უყურო ადამიანები, ბრტყელფეხიანები, ან მხოლოდ ერთი უზარმაზარი ფეხის მქონენი, რომლებიც მზეს ამ ცალი ფეხით იჩრდილავენ, დიდტუჩები, რომლებიც თავიანთი ტუჩებით იფარავენ თავს მზისაგან, პირისა და თვალების მკერდზე მქონენი, ქვეწარმავლების მჭამელი ტროგლოდიტები, ოთხზე მოსიარულენი, ძაღლისთავიანები, ყეფით რომ ლაპარაკობენ, კაციჭამიები.

მთელი ეს საოცარი ხალხები ეთიოპიასა და სამყაროს კიდეში კი არიან მოთავსებულნი, მაგრამ, როგორც ითქვა, მათი შეფასება ყოველთვის ნეგატიური არ არის. სხვაგვარადაა საქმე სამყაროს ჩრდილოეთ კიდეში, კავკასიონს გადაღმა განლაგებულ რასებთან. ესენია გოგის და მაგოგის ჩაკეტილი აპოკალიპტური ხალხები, ასევე ჩაკეტილი და დაკარგული ებრაული ტომები (გოგზე, მაგოგზე და დაკარგულ ებრაულ ტომებზე ქვემოთ გვექნება საუბარი), სკვითური სიერცის ხალხები, მასაგეტები, დერბიკები, ანთროპოფაგები, თურქები. ყველა ამ ხალხის მთავარი ნიშანია კანიბალიზმი. ჩრდილოეთი შუა საუკუნეების კარტოგრაფებისათვის ბოროტების მხარე და ანტიქრისტეს რეგიონია. აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ შუა საუკუნთა ადამიანისათვის არც საოცარი და არც კაციჭამია ხალხები უბრალოდ ლეგენდები არ ყოფილა. მისთვის ეს ხალხებიც ისეთივე რეალობაა, როგორც გარემომცველი სამყარო. ხოლო გოგის და მაგოგის აპოკალიპტური ხალხების წინაშე

ეროვნული მისტიური შიშიც კი აქვს.

შუა საუკუნეების დასავლეთევროპული მსოფლიოს რუკები, შეიძლება ითქვას, მსოფლიო ისტორიაა. შუა საუკუნეთა რუკებს პრაქტიკული დანიშნულება არ ჰქონიათ. XIII საუკუნის ნათელით, თითქმის ათასი წელი, დასავლური კარტოგრაფია თეოლოგიის სამსახურშია, განსაკუთრებით ბიბლიის კომენტარის. ამიტომ რუკებზე მასშტაბს კი არა აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, არამედ ქრისტიანული მსოფლმხედველობისათვის საკრალურ ადგილებს. მათ გამოყოფენ რუკებზე განსაკუთრებით მკაფიოდ. ქრისტიანული კარტოგრაფიისათვის ამგვარი საკრალური ადგილები გახლავთ აღმოსავლეთში, ხმელეთის კიდესა თუ კუნძულზე მდებარე სამოთხე, რუკის ცენტრში იერუსალიმი. კარტოგრაფიაში ასევე განსაკუთრებული მოვლენაა ჩაკეტილი, აპოკალიპტური ხალხები (ეზეკიელი, 38, იოანეს გამოცხადება, 20,7).

ევროპული კარტოგრაფიის მკვლევარი ფონ დენ ბრინკენი შუა საუკუნეთა რუკას უწოდებს მსოფლიო ქრონიკას, სადაც ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული ქრისტიანული ისტორია და მსოფლიო ისტორია. ალექსანდრიასთან შუა საუკუნეთა რუკის ავტორები ჯიუტად ათავსებენ ალექსანდრიის შუქურას, მიუხედავად იმისა, რომ თუნდაც მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობიდან კარგად ეცოდინებოდათ, რომ შუქურა ალექსანდრიასთან არ დგას. რუკებზე ჭარბადაა ანტიკური სახელები. დიდი ხნის წინ გამქრალი პართელთა სამეფო ბევრგან ფიგურირებს. არსად არ ჩანს კამბალეკი, ანუ პეკინი, მაშინ როდესაც თითქმის ყველა რუკაზე გამოსახულია ტროა.

მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერს ქრისტიანულ მსოფლმხედველობას უქვემდებარებენ, მაინც ანტიკური გეოგრაფიული ცოდნის ტყვეობაში არიან გარკვეულწილად. რუკებზე მოთავსებულ ინფორმაციაში დიდი ნაწილი უჭირავს ანტიკურობიდან შემორჩენილ ცოდნას, ოღონდ ის ქრისტიანული მსოფლმხედველობის წნეხშია გატარებული. როგორც წესი, რუკათა უმრავლესობას თან დაერთვის ლეგენდათა მთელი კომპლექსი. ლეგენდებს რუკებზე ათავსებდნენ ხან მხოლოდ ტექსტის, ხან მარტო სურათის, ხან კიდევ ორივეს კომბინაციის სახით. შუა საუკუნეების კურტუაზული რომანის სიუჟეტები აღნიშნულ რუკებზე არ ჩნდება, რადგან ისინი არ ერგებოდნენ სასულიერო ავტორთა მსოფლმხედველობას. როგორც ითქვა, ანტიკური მითების ნაწილი შუა საუკუნეების ქრისტიანულმა გეოგრაფიულმა ველტბილდმა ჩართო თავის სისტემაში. მაღალი შუა საუკუნეების რუკების ლეგენდები და სხვადასხვა სახის ინფორმაციები,თუ ისინი გეოგრაფიული ან ეთნოგრაფიულ-ეთნოლოგიური ხასიათის არიან, ემყარებიან შემდეგ წყაროებს:

ანტიკური საფუძველი. კარტოგრაფიული თვალსაზრისით საძირკველს ქმნიდა აგრიპას მსოფლიოს რუკა და მასთან დაკავშირებული კომენტარები. გეოგრაფიული ინფორმაცია ძირითადად მომდინარეობდა შემდეგი ავტორებისაგან: პომპონიუს მელა, პლინიუს უფროსი, ოროზიუსი, მარციანუს კაპელა, ისიდორ სევილიელი, ეთიკუს ისტერი, ანონიმი რავენელი გეოგრაფი. ეთნოლოგიურ-ეთნოგრაფიული ხასიათის ინფორმაციას ძირითადად იღებდნენ პლინიუსისა და სოლინუსისაგან. ამას ემატებოდა ანტიკურ თემებთან დაკავშირებული და შუა საუკუნეებში მეტად პოპულარული ლეგენდები: ტროას ციკლი, არგონაუტების ლეგენდა და განსაკუთრებით ალექსანდრე მაკედონელთან დაკავშირებული კომპლექსი.

ბიბლიური საფუძველი. შუა საუკუნეთა კარტოგრაფია უმეტესწილად ემყარებოდა ბიბლიასა და პატრისტიკულ ნაწერებს. ბიბლიიდან შუა საუკუნეთა რუკებზე უმთავრესად შემდეგ მოტივებს ვხვდებით: უკიდურეს აღმოსავლეთში მოქცეული სამოთხე ოთხი მდინარით; ნოეს კიდობანი არარატის მთაზე; მსოფლიოს გაყოფა ნოეს შვილებს შორის; ბაბილონის ენათა აღრევა; ეგვიპტის ტყვეობა; ეგვიპტიდან გამოსვლა წითელი ზღვის გავლით; ბეთლემი, სადაც მაცხოვარი დაიბადა; მაცხოვარის მიერ მოხდენილი სასწაულები; იერუსალიმი, როგორც მაცხოვარის ჯვარცმისა და აღდგომის ქალაქი; მოციქულთა საქმიანობის ადგილები და მათი საფლავები; გოგის და მაგოგის აპოკალიპტური ხალხები და ანტიქრისტე; ენოქი და ელია, როგორც ანტიქრისტეს წინააღმდეგ მებრძოლნი; მეორედ მოსვლა. გარდა ამისა, რუკაზე დაქონდათ მნიშვნელოვანი რელიგიური ცენტრების და

საპილიგრიმო ადგილების სახელები.

შუასაუკუნეობრივი საფუძველი. შუასაუკუნეობრივ საფუძველში შეგვიძლია ეიგულისხმოთ აქტუალური და თანადროული ინფორმაცია, რომელიც ანტიკურ და ბიბლიურ მონაცემებთან შედარებით მეტად მოკრძალებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა შუა საუკუნეების რუკებზე.

ქვენიერება იყოფოდა სამ კონტინენტად, ძირითადად ბიბლიურ პრინციპზე დამყარებით, რომ მსოფლიო გაიყო ნოეს სამ შვილს შორის. ეს დაყოფა რუკებზე ხშირად გეომეტრიული სიზუსტით არის ხოლმე მოცემული. ზედა ნახევარწრე, ანუ აზია, ქვედა ნახევარწრისაგან, ევროპისა და აფრიკისაგან გაყოფილია ფართო პორიზონტალური ზღვის ნაკადით. ეს გახლავთ ხმელთაშუა ზღვა და მისი ნაწილები. ქვედა მხარესაც, ანუ ევროპასა და აფრიკასაც იგივე ხმელთაშუა ზღვა ყოფს ორ ნაწილად. ფაქტიურად ტანაისიც და ნილოსიც ხმელთაშუა ზღვის ტოტებია და ეს ორი მდინარე ხმელთაშუა ზღვას სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან მსოფლიო ოკეანესთან აერთებს. ამგვარად ხმელთაშუა ზღვისაგან ეიღებთ ლათინურ ასო T-ს, ის ჩახაზულია O-ს ფორმის წრეში, რომელსაც ქმნიან ხმელეთი და მის გარშემო შემორკალული მსოფლიო ოკეანე. ამიტომაც ამ ადრეული პერიოდის რუკებს ხშირად უწოდებენ T-რუკებს (T-Karten). თუმცა თანდათანობით ეს გეომეტრიული სიზუსტის T შედარებით გვიანდელ რუკებზე ირღვევა და ხმელთაშუა ზღვა განსხვავებულ კონფიგურაციას იღებს (იხილეთ მაგალითად იგივე ებსტორფის რუკა). თუმცა შუა საუკუნეების კარტოგრაფიაში ხმელთაშუა ზღვის გამოსახვისას ამოსავალ წერტილად ყოველთვის რჩება ზემოხსენებული T-ს პრინციპი.

ამგვარი შეა საუკუნეების რუკის კლასიკური მაგალითია ჟან მანსელის რუკა, რომლის რეპროდუქციასაც მკითხველს აქვე ვთავაზობთ. მართალია, ჟან მანსელის რუკა შედარებით გვიანდელი დროისაა, თარიღდება 1455 წლით, მაგრამ ავტორმა, ეტყობა, განზრახ თავისი რუკა შეა საუკუნეების რუკების კლასიკური პრინციპის მიხედვით ააგო. ქვეყნიერება ჟან მანსელთან გაყოფილია სამ კონტინენტად. ქვემოთ, მარცხნივ მოთავსებულია ევროპა, მარჯვნივ – აფრიკა. რუკის ზედა ნაწილი მთლიანად უკავია აზიას. ჟან მანსელთან ევროპა ეკუთვნის იაფეტს, აფრიკა – ქამს, ხოლო აზია – სემს. ნოეს თითო შვილი თითო კონტინენტზეა გამოსახული. მსოფლიოს შემორკალავს ოკეანე. ქვემოდან იჭრება ხმელთაშუა ზღვა. მარცხნიდან, ჩრდილოეთიდან, მდინარე ტანაისი აერთებს ხმელთაშუა ზღვას ჩრდილოეთის ოკეანესთან, ხოლო მარჯვნიდან ნილოსი ხმელთაშუა ზღვიდან გადის სამხრეთის ოკეანეში. აზიაში, მარცხნივ, იჭრება შავი ზღვა. შავი ზღვის ოდნავ ზემოთ, ხმელეთს იქით, მოჩანს ჩრდილოეთის ოკეანედან შემოსული პატარა ყურე. ეს არის კასპიის ზღვა. აზიის ცენტრში ეხედავთ არარატის მთას, ზედ მოთავსებული ნოეს კიდობანით.

აფრიკა. VII საუკუნიდან XIII საუკუნის ჯვაროსნულ ომებამდე აფრიკა დასავლეთისათვის პრაქტიკულად უცნობი იყო. ამიტომ აფრიკასთან დაკავშირებითაც ემყარებოდნენ ანტიკურობიდან მომდინარე მონაცემებს. აფრიკას მიაწერდნენ ნოეს შვილ ქამს. ეს კონტინენტისათვის უკვე გარკვეული ნეგატიური ასპექტის მატარებელი იყო. აფრიკის აბსოლუტურად უცნობ სამხრეთში, ზემოთაც ვახსენეთ, ათავსებდნენ საოცარ არსებებსა და მონსტრუალურ ადამიანებს. სხვა მხრივ იფარგლებოდნენ პროვინციების და ქალაქების ანტიკური დასახელებების ჩამოთვლით: ეგვიპტე, ლიბია, მაურიტანია, ეთიოპია, ნუმიდია, კართაგენი, ალექსანდრია, მეროე და ასე შემდეგ. გიბრალტარის სრუტესთან განალაგებდნენ ჰერაკლეს სვეტებს. აქვე იყო სამყაროს დასავლეთი საზღვარი. ჯვაროსნული ლაშქრობების შემდეგ ზოგიერთ რუკაზე ჩნდება ქაირო, დამიეტა, მაგრამ აფრიკასთან მიმართებაშიც საერთო სურათი მაინცდამაინც არ იცვლება.

აზია. აზია შუა საუკუნეთა დასავლეთევროპულ კარტოგრაფიაში ეკუთვნის სემს. აზიის დიდი ნაწილებიც შუა საუკუნეების კარტოგრაფიისათვის უცნობი სივრცეა. აქცენტი კეთდება წმინდა მიწასა და ბიბლიურ ადგილებზე. უკიდურეს აღმოსავლეთში თავსდება სამოთხე, ხან აღმოსავლეთის ოკეანეში, კუნძულის სახით, ხან კიდევ კონტინენტზე მდებარე. ოღონდ, ნებისმიერ შემთხვევაში, ადამიანისათვის მიუვალი. უკიდურეს ჩრდილოეთში

განალაგებდნენ გოგის და მაგოგის აპოკალიპტურ ხალხებს, რომლებიც სამყაროს დასასრულის მოახლოებისას ჯვაბირებს გადმოანგრევენ და სასარელ ნგრევას დაატეხენ ქვეყნიერებას თავს. მანამდე ისინი დამწყვდეულნი არიან მაღალი კედლების იქით, კავკასიის მთების გადაღმა, სადაც ისინი ნაკეტა ალექსანდრე მაკედონელმა, რითაც მან ადგილი მოიპოვა ქრისტიანულ საკრალურ ისტორიაში და შუა საუკუნეების მსოფლიოს რუკებზე თავისი გამოსახულის ლეგიტიმაცია მოახდინა. შუა საუკუნეების ევროპა ამ ხალხების წინაშე პირდაპირ მისტიურად ძრწის. გოგის და მაგოგის ლეგენდა სათავეს იღებს, როგორც ითქვა, ეზეკიელთან (38-39) და იოანეს გამოცხადებაში (20. 7-8). ეს ლეგენდა ისლამმაც აითვისა და მან დიდი გავრცელება ჰპოვა ყურანის მე-18 სურის (93-96) საფუძველზე, რომლის მიხედვითაც დულკარნაინმა, ანუ ისლამის ალექსანდრე მაკედონელმა, ჯუჯის და მაჯუჯის სასარელი ხალხები სამყაროს უკიდურეს ბნელ კუთხეში ნაკეტა. გოგის და მაგოგის ხალხების წინაშე შუა საუკუნეების ისლამურ სამყაროშიც ისეთივე მისტიურ შიშს ვხედავთ, როგორც იმდროინდელ ევროპაში. XVI საუკუნეშიც კი გოგის და მაგოგის ხალხები ხშირად ევროპული რუკების განუყოფელი ნაწილი არიან.

ევროპა. ევროპა შუა საუკუნეების რუკაზე იაფეტის საკუთრებაა. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, შუა საუკუნეების რუკები ხშირად ევროპის აღწერისასაც ანტიკური მოდელს მისდევენ. რადგან კარტოგრაფები მეტწილად სამხრეთ ევროპის ქვეყნებიდან იყვნენ, ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ევროპის ნაწილები არცთუ იშვიათად ისევე უცნობია მათთვის, როგორც შორეული აზია ან აფრიკა. სხვათა შორის, სურათი არც პორტოლანებზე იცვლება ამ მხრივ. რადგან პორტოლანების შემქმნელ უმთავრეს ერებს, იტალიელებსა და კატალონიელებს ჩრდილოეთ ევროპასთან ფაქტიურად ფლანდრიის იქით ვაჭრობა აღარ ჰქონიათ.

მონღოლების შემოჭრა გარკვეულ გაელენას ახდენს კარტოგრაფიაზე, მაგრამ არა იმდენს, რაც მოსალოდნელი იყო ამ ტრანსკონტინენტალური კავშირების ფონზე. შუა საუკუნეთა კარტოგრაფიის ზოგადი სქემა ფაქტიურად უცვლელი რჩება.

აქვე შეეხები შუა საუკუნეთა კარტოგრაფიის ყველაზე ცნობილ ეგზემპლარებს, რომელთაც დროშის საკითხისთვისაც აქვთ გარკვეული მნიშვნელობა. განხილული რუკებიდან, შუა საუკუნეების მსოფლიოს რუკები იქნება ეს, თუ, უფრო ქვემოთ, ადრეული ახალი დროის პორტოლანები, ყველას ტექსტისათვის დართვის არც საშუალება და არც აუცილებლობა არ იყო. წიგნში შუა საუკუნეების რუკებიდან და ადრეული ახალი დროის პორტოლანებიდან მოგვაქვს უმთავრესი, საკითხისათვის მნიშვნელოვანი რუკების რეპროდუქციები.

კოტონიანა, ანუ ანგლო-საქსონური რუკა

დაახლოებით 1000 წელი

პირველი რუკა, რომელსაც ამჟამად აუცილებელი მასალიდან ვეხები, გახლავთ ეგრეთ წოდებული კოტონიანა, ანუ ანგლო-საქსონური მსოფლიოს რუკა. რუკის 1000 წლით დათარიღება მიახლოებითია[2].

როგორც ყველა შუა საუკუნეების დასავლეთევროპული რუკა, კოტონიანაც აღმოსავლეთ-სა ორიენტირებული. აღმოსავლეთი მოთავსებულია ზემოთ, დასავლეთი – ქვემოთ, ჩრდილოეთი – მარცხნივ, ხოლო სამხრეთი – მარჯვნივ. რუკის ქვედა მხარეს, ცენტრში, ჩანს ორი ლათინური I-ს მსგავსი ხაზი. ეს გახლავთ გიბრალტარის სრუტეში დასმული ლეგენდარული ქერაკლეს სვეტები, ქვეყნიერების უკიდურესი დასავლეთი

[2] იხილეთ ნიგნში: Konrad Miller. Mappaemundi. Die ältesten Weltkarten, Bd. 2, Tabula 10, Stuttgart 1897. გათანამედროვებული ფორმით იგივე რუკა იხილეთ ნიგნში: Konrad Miller, Mappaemundi. Die ältesten Weltkarten, Bd. 3, Stuttgart 1898, გვ. 33. რუკის აღწერა მილერთან ამავე ტომში: გვ. 29. აგრეთვე: P. D. A. Harvey, Medieval Maps, The British Library 1991, გვ. 26.

საზღვარი. გიბრალტარის სრუტიდან, დასავლეთის მხრიდან, მსოფლიო ოკეანედან ხმელეთში იჭრება ხმელთაშუა ზღვა, თავისი მრავალი კუნძულით. ხმელთაშუა ზღვა მიდის პალესტინის ტერიტორიამდე, შემდეგ ვიწრო ყელად უხვევს მარცხნივ – ეს არის ბოსფორის, დარდანელის სრუტეების და მარმარილოს ზღვის ერგვარი მთლიანობა – ბოლოს კი უხვევს მარჯვნივ, ჩრდილოეთისაკენ – ეს გახლავთ შავი ზღვა გაურკვეველი კუნძულებით.

კოტონიანას მარცხენა, ქვედა მეოთხედში მოთავსებულია ევროპა. რუკის მარცხენა კუთხეში ნანს ბრიტანეთის კუნძული, იქვე ჰიბერნია, ირლანდია. უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთში – ლეგენდარული კუნძული ტილე. ევროპაშიც ტოპონიმიკა ძირითადად ანტიკურ მოდელს მისდევს. აქვე მოკლედ მოვიტან რამდენიმე დასახელებას კოტონიანას ევროპული ნაწილიდან: თრაკია, სკვითია, დაკია, ანუ გოთია, დალმაცია, ჰისტრია, ბრიტანია, ისპანია, იტალიის ნახევარკუნძულზე, ცენტრში, რომი, ციხე-სიმაგრის თუ ქალაქის გამოსახულებით, რავენა, სალერნო და ასე შემდეგ.

რუკის მარჯვენა ქვედა მეოთხედი, ხმელთაშუა ზღვის მარჯვნივ, და ზედა მარჯვენა მეოთხედის დაახლოებით ნახევარი უჭირავს აფრიკას. აფრიკის კონტინენტი მიუყვება ზემოთ,კენ ხმელთაშუა ზღვას,ნაუელის გეერდზე უზომოდ დიდ პალესტინას და სრულდება ზემოთ. უკიდურეს აღმოსავლეთში. იქვე მარცხნივ, ზემოდან, მსოფლიო ოკეანედან ხმელეთში იჭრება წითელი ზღვა, ამას მოსდევს ხმელეთის მცირე ნაწილი, არაბეთის ნახევარკუნძული და სპარსეთის ყურე, ან სპარსეთის ზღვა. აფრიკაშიც დასახელებები, ისევე როგორც სხვა კონტინენტებზეც, და, ფაქტიურად, ამ ეპოქის ყველა რუკაზე, უმთავრესად მისდევს რომაულ-ანტიკურ მოდელს. საქმე გვაქვს მაჰმადიანური სამყაროს,და, საერთოდ, რეალური იმდროინდელი სურათის სრულ უგულებელყოფასთან, რაც, როგორც ითქვა, მხოლოდ მსოფლმხედველობრივი საფუძვლებით თუ აიხსნება. ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში, მაგალითად, სახალიფოს ტერიტორიისა და არაბული ტოპონიმიკის ნაცვლად ეხვდებით კართაგენს. ნილოსი მოედინება აღმოსავლეთის მხრიდან და განტოტილი ალექსანდრიასთან ჩადინება ხმელთაშუა ზღვაში. თუმცა კოტონიანაზე ნილოსი გაორებულადაა წარმოდგენილი. მეორე ნილოსი რუკაზე გაწოლილია დაახლოებით კართაგენის სამხრეთით მდებარე მთებიდან თითქმის უკიდურეს აღმოსავლეთამდე.

რუკის ცენტრში მოთავსებულია უზომოდ დიდი პალესტინა, რაც, როგორც ითქვა, ემყარება ქრისტიანული მსოფლმხედველობის პრიმატს. თუმცა თვითონ იერუსალიმი ცენტრიდან ოდნავ მარჯვნივაა გადაწეული. პალესტინის ტოპონიმიკიდან კოტონიანაზე რამდენიმეს აქვე მოვიტან: ზაბულონი, გალილეა, იერიქონი, ისახარი, ნეფთალიმი, მანასე, ეფრაიმი, გადი, გალაადის მთები (დაახლოებით ეეფრატსა და ბაბილონთან). იქვე მოაბიტი. საინტერესოა,რომ პალესტინა უშუალოდ გადადის მცირე აზიაში. ოღონდ არა დღევანდელი რუკების და რეალური გეოგრაფიული ეიოარების მსგავსად, როდესაც პალესტინას ჩრდილოეთით მოსდევს ლიბანი და შემდეგ მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე, არამედ პალესტინა მცირე აზიასთან უშუალოდ სამხრეთ-დასავლეთ კიდესთანაც ერთდება, რადგან კოტონიანას მცირე აზიის სამხრეთ მხარესთან ძალიან პატარა მანძილზე შეყავს ხმელთაშუა ზღვა ხმელეთის სიღრმეში.

ამდენად, უზომოდ დიდ პალესტინასა და შავ ზღვას შორის მოქცეულია მცირე აზია. აქვე მოვიტანოთ მცირე აზიის პროვინციების ჩამონათვალი კოტონიანას მიხედვით,ოღონდ გეოგრაფიული განლაგება ამ პროვინციებისა, რბილად რომ ვთქვათ, უნაკლო არ არის, თუმცა ამ საკითხს ეხლა ნუ გავეკარებით: ბითვინია, ისაურია, კაპადოკია, კილიკია... მცირე აზიის ქვედა მარჯვენა კუთხეში მოთავსებულია დიდი ხნის გამქრალი ქალაქი ტროა, რომელიც, როგორც ითქვა, თითქმის ყველა დასავლეთევროპულ შუა საუკუნეების რუკაზე არის ხოლმე წარმოდგენილი. მცირე აზიაში, შავი ზღვის პარალელურად, დატანილია ტაეროსის მცირე მთაგრეხილი.

ეხლა კი გადავიდეთ რუკის ჩვენთვის მნიშვნელოვან ზედა ნაწილზე. შავი ზღვის აღმოსავლეთით, ზემოთ, მსოფლიო ოკეანედან იჭრება კასპიის ზღვა. კოტონიანაზეც, ისევე

როგორც ამ ეპოქის ყველა დასავლეთევროპულ რუკაზე, კასპიის ზღვა მსოფლიო ოკეანის ნაწილია. კასპიის ზღვის და ჩრდილოეთის ოკეანის კუთხეში მოთავსებულნი არიან გოგის და მაგოგის აპოკალიპტური ხალხები, მათ ოდნავ ქვემოთ თურქები (Turchi) და გრიფონთა ხალხი (Griphorum gens). კოტონიანას თურქების და გრიფონთა ხალხის მოტივი მომდინარეობს VIII საუკუნის ეთიკუს ისტორის კოსმოგრაფიიდან, სადაც თურქები და გრიფონები, გოგის და მაგოგის მსგავსად, ჩრდილოეთის ეელური კაციჭამია ხალხებია.

შავ და კასპიის ზღვებს შორის ეხედავთ კოლხთა მხარეს და ალბანელთა სამეფოს. კოტონიანაზე ეს გამოსახული არ არის, მაგრამ ერთგვარად თავისთავად იგულისხმება, რომ გოგის, მაგოგის, აქ აგრეთვე თურქთა და გრიფონთა ხალხები მეორედ მოსელამდე გადაულახავი ჯებირით არიან დამწყვდეულნი ბნელ და ცივ ჩრდილოეთში. ამ ეპოქის სხვა რუკებზე ეს ჯებირი (შუა საუკუნეთა ტრადიციის მიხედვით ალექსანდრე მაკედონელის მიერ აშენებული), როგორც ქვემოთ ვნახავთ, ხატოვნად არის წარმოდგენილი კავკასიის მთების და კავკასიის კარის, ან კასპიის კარიბჭის სახით. ხოლო ამ ზღვარს ქართველთა ქრისტიანი ერი იცავს. კარტოგრაფიის ეს ინფორმაციაც მომდინარეობს ქრისტიანული ტრადიციიდან და მას ზემოთ ქართველთა შესახებ არსებულ ამ დროის დასავლეთევროპულ ცნობებშიც შეეხვედით (ანსელუსი, ოლივერუსი, მარკო პოლო). კოტონიანა'ს მოცემული განლაგება მეორდება სხვადასხვა ფორმით შუა საუკუნეების ბევრ რუკაზე, როდესაც ბნელ, ბოროტ და ცივ ჩრდილოეთში მოქცეულნი არიან გოგის და მაგოგის აპოკალიპტური ხალხები. ხოლო ამიერკავკასიის სიერცეს, ანუ ქრისტიანულ საქართველოს სამეფოს (რადგან ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, XII საუკუნის დასაწყისიდან XIV საუკუნის დასასრულამდე მაინც, საქართველოს სამეფო მოიცავს ფაქტიურად მთელ ამიერკავკასიას, რაც ამ დროის დასავლეთევროპული ცნობებიდანაც კარგად ჩანს) დასავლეთევროპული მსოფლმხედველობის მიხედვით ეკისრება ცივილიზებული სამყაროს აპოკალიპტური ხალხებისაგან დაცვის მისია. ამდენად, თუ დღევანდელი კავკასიის ჩრდილოეთით მდებარე სივრცე შუა საუკუნეების დასავლურ კარტოგრაფიაზე ერთგვარად ბოროტების, ეშმაკის ნიშანს ატარებს, შესაბამისად საერალურ-ქრისტიანული მნიშვნელობა და ფუნქცია ეკისრება ამ ეშმაკეული, ანტიქრისტეს ხალხებისაგან ცივილიზებული, ქრისტიანული სამყაროს დამცავ რეგიონს, ანუ საქართველოს კავკასიის სამეფოს, რომელიც შუა საუკუნეების რუკებზე უმთავრესად წარმოდგება კოლხეთის და იბერიის ანტიკური სახელებით. ასევე ეხვდებით ქართველთა აღნიშნას ტერმინ ლაზითაც, რასაც ქვემოთ ვნახავთ (ტერმინი ქართველი, საქართველო, Georgiania, ძირითადად ჩნდება XIV საუკუნის დასაწყისიდან პორტოლანებზე, თუმცა საქართველოს გვერდით თითქმის ახალ დრომდე კოლხეთის და იბერიის დასახელებანი ევროპულ რუკებზე კვლავ აგრძელებენ არსებობას).

შავი ზღვის ზემოთ, აღმოსავლეთისკენ მოქცეულია სომხეთი. იქვეა არარატის მთა, ზედ მოთავსებული ნოეს კიდობანით. კოტონიანას შექმნის პერიოდში სომხეთის ის ნაწილი, სადაც არარატის მთა მდებარეობს, საქართველოს შემადგენლობაში არ არის. მაგრამ XII საუკუნის დასწყისიდან სულ მცირე XIV საუკუნის დასასრულამდე (შესაძლოა გარკვეული ხანი მერეც), როგორც ითქვა, არარატის მთა ჩრდილოეთ სომხეთთან ერთად საქართველოს სამეფოს განუყოფელი ნაწილია, რაც კარგად ჩანს შუა საუკუნეების დასავლეთევროპული ცნობებიდანაც. ამდენად, XII საუკუნის დასაწყისიდან, რაკი არარატის მთა საქართველოს ნაწილია, საქართველოს სამეფოს ემატება მეორე ნიშანიც, რომელიც მას, გოგის და მაგოგის შეკავების მოტივთან ერთად, საერალურობის ახალ ელემენტს ანიჭებს. ნოეს კიდობანი და არარატის მთა შუა საუკუნეთა თითქმის ყველა შემდგომ რუკაზეცაა წარმოდგენილი.

აქ, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია, რომ შუა საუკუნეების ევროპული რუკების სპეციფიკიდან გამომდინარე, არასოდეს არ არის აღნიშნული ქვეყნების დეტალური საზღვრები (სხვათა შორის, ნაწილობრივ იგივე ვითარებაა შედარებით გვიანდელი დროის პორტოლანებზე). მაგრამ შუა საუკუნეების ადამიანს აქვს ამ რუკათა წაკითხვის სისტემა. თუ რუკებზე, მაგალითად, გაბნეულად და ერთ სახელმწიფოს საზღვრებში მოქცევის გარეშეა კასპიის კარიბჭე ან ნოეს კიდობანი წარმოდგენილი, იგივე დასავლეთევროპულ ცნობებში,

ზემოთაც ვნახეთ, ყველაფერს რეალურად აქვს სახელი დარქმეული, მაგალითად, იგივე საქართველოს სამეფოსთან მიმართებაში, რადგან ის კონვენციონალიზმი, რაც ახასიათებს შუა საუკუნეთა ევროპულ კარტოგრაფიას, იგივე შუა საუკუნეების დასავლეთევროპული ისტორიოგრაფიის მთავარი ნიშანი არ ყოფილა.

არარატის მთიდან იწყება მთაგრეხილი, მთელ აზიას რომ გასდევს უკიდურეს აღმოსავლეთამდე. კოტონიანას მიხედვით, ეს არის ტავროსის მთები. სხვა რუკებზე მთელი აზიის გადამკვეთ ამ მთას კავკასიონი ეწოდება. ეს ტრადიცია ჯერ კიდევ ანტიკურობაში იღებს დასაბამს, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის ხანაში და მას მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ეხედებით. მაგალითად: პლინიუს უფროსთან, სოლინუსთან, ისიდორ სევილიელთან, ანონიმ რავენელ გეოგრაფთან. მათგან ეს მოტივი ინაცვლებს მრავალ სხვა ავტორთან თუ კარტოგრაფთან. ავტორთა ნაწილი აზიის მთლიანად გადამკვეთ მთებს უწოდებს ტავროსს, მეორე ნაწილი – კავკასიონს, ან ამბობენ, რომ ეს ორი სხვადასხვა სახელია ერთიდაიგივე მთისათვის. ხანდახან სამ კავკასიონსაც კი ეხედებით რუკებზე (გვიანდელ პორტოლანებზეც კი). ერთი კავკასიონი თავის ადგილასაა შავ და კასპიის ზღვებს შორის. მეორე კავკასიონი დაახლოებით დღევანდელი მცირე კავკასიონის ადგილზე თავსდება. ხოლო მესამე კავკასიონი კასპიის ზღვის სამხრეთი კუთხიდან აღმოსავლეთის ოკეანემდე მიდის. მაგრამ ყველაზე ხშირია კავკასიონის გამოსახვა მთების ერთიან ჯაჭვად, რომელიც საქართველოს სამეფოში იწყება და აღმოსავლეთის ოკეანესთან მთავრდება. ისე, როგორც ეს მოცემულია, მაგალითად, ფსალმუნის ან ებსტორფის რუკებზე.

ამ შეცდომას, რომელიც რენესანსის ეპოქამდე აქტუალურია, დასაბამი ალექსანდრე მაკედონელის ხანაში მიეცა და, როგორც ვარაუდობენ, მას ორი ახსნა შეიძლება ჰქონდეს. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებამდე ძველი ბერძნებისათვის სამყაროს აღმოსავლეთ და ნაწილობრივ ჩრდილოეთ საზღვარსაც წარმოადგენდა დღევანდელი კავკასიონი. როდესაც ალექსანდრე მაკედონელი და მისი მეომრები მივიდნენ ინდოეთსა და მათი წარმოდგენით ქვეყნიერების უკიდურეს აღმოსავლეთ საზღვრამდე, ნახეს, რომ ჩრდილოეთიდან ქვეყნიერებას კვლავ მთები საზღვრავენ. მაშინ მათ გადაწყვიტეს, რომ ეს იგივე კავკასიონია. ისევე როგორც შუა აზიის მდინარე სირდარია დასახეს მდინარე დონად, ანუ ტანაისად. რადგან ტანაისიც ქვეყნიერების კიდეს წარმოადგენდა ბერძნებისათვის.

მეორე ვარაუდი კავკასიონის ამგვარი ტრანსფორმაციის შესახებ შემდეგია (ეს თეორია, თუ არ ვცდები, თანამედროვე მეცნიერებას სტრაბონისგან აქვს ნასესხები): რაკი მაკედონელი ნამდვილ, შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარე კავკასიონამდე არ მისულა, ეს კავკასიონი კი ბერძნებთან განსაკუთრებული შარავანდედით იყო მოსილი, ამიტომ ალექსანდრეს ისტორიკოსებმა კასპიის ზღვის აღმოსავლეთით მდებარე მთები, ანუ ტიან-შანი და პამირი, რომლებიც მაკედონელმა ინდოეთისკენ მარშის დროს გაიარა, დასახეს კავკასიონად. რათა ალექსანდრე მაკედონელი მთელი მსოფლიოს დამპყრობელი ყოფილიყო, კავკასიის დამორჩილების შარმიც მიემატებინათ მისთვის და ქვეყნიერების არც ერთი ღირებული კუთხე არ დარჩენილიყო მაკედონელის იმპერიის გარეთ. სხვათა შორის, ამ მხრივ საინტერესოა, რომ ქრისტიანულმა ტრადიციამ გამოასწორა ეს „ნაკლი" და ალექსანდრე მაკედონელს დღევანდელ კავკასიონთან ერთად ინკაეტინა გოგის და მაგოგის აპოკალიპტური ხალხები, რითაც ალექსანდრე მაკედონელის, როგორც წარმართის, ერთგვარი ლეგიტიმაციის და ქრისტიანულ ველტბილდში ჩართვის შესაძლებლობა შეიქმნა.

კოტონიანაზე უაღრესად საინტერესოა, რომ იბერია მოქცეულია არარატის და ტავროსის მთის სამხრეთით, ტიგროსსა და ევფრატს შორის, ბაბილონიის უშუალო სიახლოვეს. აქ პირველ ნახვაზე დასაშვები იყო გეფფიქრა, რომ რაკი კოტონიანა 1000 წლის ახლო ხანებშია შექმნილი, შესაძლოა საქმე გექონდეს დავით კურაპალატის ლაშქრობათა გამოძახილთან. რადგან სწორედ X საუკუნის მიწურულს დაეთ კურაპალატის ლაშქრობათა არეალი შუამდინარეთამდე არა, მაგრამ ეანის ტბასა და ხლათამდე ნამდვილად აღწევს. ოღონდ შუა



ტაბულა პოტინგერიანა

საუკუნეთა კარტოგრაფიის სპეციფიკის გათვალისწინებით, ეს ფაქტი ნაკლებად საკარაუდოა. რადგან ამ ეპოქაში ევროპული კარტოგრაფია აქტუალურ, ისიც აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებზე პრაქტიკულად არ რეაგირებს და მთლიანად ქრისტიანულ საბურველში გახვეული ანტიკურობის ერთგული რჩება. აქტუალური, ისტორიული მოვლენები, ისიც არც ისე დიდი დოზით, დასავლეთევროპულ შუა საუკუნეების რუკებზე XII საუკუნიდან ჩნდება. ამიტომ საკარაუდებელია, რომ კოტონიანა აქ მისდევდეს ან უშუალოდ ანტიკურ საფუძველს, ან რომელიმე დღეისათვის დაკარგულ შუა საუკუნეების რუკას (ამ მხრივ გასათვალისწინებელია ბეატუსის რუკები. მათზე ქვემოთ გვექნება საუბარი. მართალია, ბეატუსის დღეისათვის შემორჩენილი რუკები უფრო გვიანდელია, ვიდრე კოტონიანა, მაგრამ ეს გახლავთ უფრო ძველი რუკების ასლები. ზოგადი გეოგრაფიული განლაგება ბეატუსის რუკებზე, მართალია, სხვაგვარია, მაგრამ იბერიის ბაბილონიასთან დაწყვილების პრინციპს იქაც ეხვდებით).

ვიდრე კოტონიანას საკარაუდო ანტიკურ საფუძველს შეეხებოდე, აქ, ერთადერთი, შეიძლება აღინიშნოს, რომ, გინდაც იბერიის ტავროსის მთების სამხრეთით მოთავსება ჯერ კიდევ გვიანანტიკური ხანიდან მომდინარე მოტივი იყოს, თუ კოტონიანაზე არა, XIII საუკუნის დასასრულის ჰერეფორდის რუკაზე ნამდვილად შეიძლება ეს ანტიკური მონაცემი გააზრებული ყოფილიყო რეალურ ისტორიულ ვითარებასთან შესაბამისობის კონტექსტში, აქტუალური ისტორიული რეალობის გარკვეული ტრანსფორმაციით, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, საქართველოს სახელმწიფოს სამხრეთის საზღვრების მცირედით სამხრეთისკენ ჩაწევით.

ანტიკური ხანიდან შემოგვრჩა ერთადერთი რუკა (თუმცა სრულიად რეალურია ვარაუდები, რომ ანტიკურ რომში უნდა არსებულიყო კარტოგრაფიის ბრწყინვალე ნიმუშები. მაგალითად, ეგრეთ წოდებული აგრიპას რუკა). ეს ერთადერთი გადარჩენილი, ისიც გვიანანტიკური ხანის რუკა გახლავთ კასტორიუსის რუკა. სავარაუდოდ თარიღდება ახ. წ. IV საუკუნით. მაგრამ რაკი კასტორიუსის ავტორობა ბოლომდე დამტკიცებული არ გახლავთ, რუკა უფრო ცნობილია პოიტინგერის ტაბულის, ან, როგორც უფრო ხშირად მოიხსენიებენ რუკას ლათინურად, ტაბულა პოიტინგერიანას სახელით. კონრად პოიტინგერი გახლდათ რენესანსის ეპოქის აუგსბურგელი ჰუმანისტი და კოლექციონერი. კასტორიუსის რუკის პირველი მფლობელი იყო პოიტინგერი და აქედან მიიღო რუკამ ეს მეორე სახელი. პოიტინგერის ტაბულა შემოგვინახა XII საუკუნის ერთმა ასლმა. პოიტინგერის ტაბულა არის რომის იმპერიის გზების რუკა, მაგრამ ფაქტიურად ეს რუკა გვიხატავს მთელი



მაშინდელი ცნობილი ქვეყნიერების სურათს (პოიტინგერის ტაბულაც ასევე გამოსცა კონრად მილერმა[1]. პოიტინგერის ტაბულის იმ ნაწილს, სადაც იბერია და კოლხეთია გამოსახული, აქვე ვაქვეყნებ).

პოიტინგერის ტაბულაზეც იბერიის დიდი წარწერა მოთავსებულია კასპიის ზღვის, რომელიც ჩრდილოეთის ოკეანიდან იჭრება ხმელეთში, და ტაეროსის მთების სამხრეთით. იბერიიდან ინდოეთამდეც აღარ არის შორს. იბერია უშუალოდ ემეზობლება მდინარე ტიგროსს, მდინარე ტიგროსი კი პირდაპირ გადადის მდინარე განგში (მართალია, ტიგროსის და განგის შეერთებას მიაწერენ XII საუკუნის კოპიისტს. მაგრამ ერთი, რომ ეს შეცდომა, ინდოეთის მეტისმეტი დაახლოებება წინა აზიასთან, მეტად სიმპტომატურია როგორც ანტიკური ხანის, ასევე შუა საუკუნეების გეოგრაფიისათვის. და, მეორეც, ეტყობა, რუკის ორიგინალზე ეს მდინარეები იმდენად ახლოს იყო ერთმანეთთან წარმოსახული, რომ კოპიისტს მათი შეერთება დიდ მკრეხელობად აღარ მოეჩვენა). კოლხეთიც პოიტინგერის ტაბულაზე უშუალოდ მესოპოტამიას ემეზობლება ჩრდილოეთიდან.

რაკი რომაელები, განსხვავებით შუა საუკუნეთა ევროპელებისაგან, ძირითადად თვითონ იყენენ თავიანთი კარტოგრაფიის საფუძვლების შემქმნელნი, პოიტინგერის ტაბულაზე იბერიის ტაეროსის მთების სამხრეთით დატანას და, იმავე დროს, იბერიის ინდოეთთანაც საეჭვო სიახლოეში მოსვლას, ჩემი აზრით, ორი ახსნა შეიძლება ჰქონდეს. პირველი გახლავთ ფარსმან პირველის და ფარსმან მეორის დროს ქართლის სამეფოს ექსპანსია. რაკი გარკვეულ ხანს სომხეთის სამეფო ფაქტიურად ქართლის მეფეთა გამგებლობაში გადმოვიდა, ამიტომ იბერიის საზღვრები მესოპოტამიიდან მართლაც აღარ იყო შორს. მართალია, ეს არ არის ის რეალობა, რომელიც პოიტინგერის ტაბულის შექმნის ხანაში არსებობდა, მაგრამ სავარაუდებელია, რომ პოიტინგერის ტაბულა ემყარება ძველ რომაულ რუკებს. ამდენად, იბერიის მთლიანი სამეფოს ტაეროსის მთების სამხრეთით გადასატანად სრული ისტორიული რეალობა, მართალია, არ ყოფილა, მაგრამ ქართლის სამეფოს ექსპანსიის სახით აღნიშნულ ფაქტს გარკვეული და საკმაოდ დამაჯერებელი საფუძველი მაინც შეუმსადდა.

მეორე მიზეზი კი ალბათ რომაელთა გეოგრაფიულ წარმოდგენებშია საძებნელი. რომაელებისთვის სომხეთს იქით, იქნება ეს საქართველოს თუ აღმოსავლეთის მიმართულებით, ისეეე როგორც შუა საუკუნეების ევროპელებისათვის, ფაქტიურად იწყებოდა ტერა ინკოგნიტა

[1] Konrad Miller, Die Peutingersche Tafel oder Weltkarte des Kastorius. Stuttgart 1916. იხილეთ ასევე: Georges Grosjean, Rudolf Kinauer, Kartenkunst und Kartentechnik. Vom Altertum bis zum Barock, Bern 1970, გვ. 15.

(შუა საუკუნეთა ევროპელებისათვის XIII საუკუნემდე დღეანდელი საქართველოც და სომხეთიც პრინციპში, გეოგრაფიული თვალსაზრისით, ტერა ინკოგნიტაა, მიუხედავად ცალკეული ცნობებისა იგივე XII საუკუნეში). აქ ვითარებას კარდინალურად არ ცვლის არც პომპეუსის ლაშქრობა საქართველოში, არც ფლავიუს არიანეს შაები ზღვისპირეთის აღწერილობა. განსაკუთრებით იბერია რომაელებისათვის რჩება სამყაროს კიდედ. რადგან რომაელთა წარმოდგენების მიხედვითაც დღეანდელი კავკასია უშუალოდ სამყაროს დასასრული თუ არ არის, ქვეყნიერების ბოლოს სიახლოვეშია ნამდვილად. უბრალოდ, პრაგმატიკოს და რეალისტ რომაელებთან არ არის ის მისტიკური მინარევი, რაც შუა საუკუნეების ადამიანის ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში აპოკალიპტური ხალხების ქვეყნიერების კიდესთან მოთავსებაში გამოიხატა.

იბერიის შესახებ ცნობებში, დიონ კასიუსთან იქნება ეს, ელიუს სპარტიანესთან, თუ პლინიუს უფროსთან, ყველგან რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს სამეფო რომაელთათვის, წმინდა გეოგრაფიული თვალსაზრისით, ასე ვთქვათ, ბოლომდე ათვისებული მაინც არ არის. ამ გარემოებას, იბერიის შორეულ აღმოსავლეთთან, ინდოეთთან სიახლოვეს ალბათ ხელს უწყობდა პლინიუს უფროსთანაც ნახსენები სავაჭრო გზა კოლხეთიდან იბერიის და კასპიის ზღვის გაელით ინდოეთამდე. მართალია, პოიტინგერის ტაბულაზე იბერია, შორეულ აღმოსავლეთთან ახლოს მყოფი, გამოსახულია არა სამყაროს კიდეში, ან კასპიის ზღვასთან, არამედ ტაეროსის მთების სამხრეთით, მაგრამ ეს ფაქტიც სწორედ იმას უნდა მეტყველებდეს, ქართლის სამეფოს ექსპანსიასთან ერთად: იბერია, ინდოეთის მსგავსად, რომაელებისათვის მაინც ნახევრად ზღაპრული სამეფოა.

იმ გარემოებას, რომ ძველი რომაელებისათვის იბერია ერთგვარად შორეულ და ზღაპრულ სამეფოდ რჩებოდა მაინც, უნდა ადასტურებდეს კიდევ ერთი ფაქტი. ეს ბახლავთ დასავლეთ ევროპაში „ფარსმანის წერილის" სახელით ცნობილი ლიტერატურული ძეგლი. „ფარსმანის წერილი" თარიღდება ახ. წ. დაახლოებით II-IV საუკუნეებით. წერილი იწყება ცნობით, სადაც ლაპარაკია მეფე ფარსმანთან იმპერატორ ადრიანეს ელჩების მოსვლაზე. ელჩებს მოაქვთ იმპერატორის წერილი, სადაც ადრიანე სთხოვს ფარსმანს, მოეთხროს მას აღმოსავლეთის საოცრებათა შესახებ. მთელი წერილი ფაქტიურად ფარსმანი უყვება ადრიანეს აღმოსავლეთის საოცრებათა ამბებს და აღწერს თავის მოგზაურობას ზღაპრულ აღმოსავლეთში. საინტერესოა: ეს საოცრებანი, რომელთაც ფარსმანი დაახლოებით ეგვიპტესა და არაბეთში ათავსებს უმთავრესად, შუა საუკუნეთა ევროპულმა მსოფლმხედველობამ ძირითადად გადასცა აფრიკის უკიდურეს სამხრეთსა და აზიის აღმოსავლეთ კიდეში, ანუ მაშინდელ ინდოეთში (ესენია საოცარი ცხოველები და ფრინველები, მონსტრუალური ადამიანები. მათ მრავლად ვხვდებით როგორც შუა საუკუნეების ევროპულ კარტოგრაფიაში,ასევე ისტორიულ-გეოგრაფიულ ნაწერებში). მაგრამ აქ შემდეგი ფაქტია ყურადსაღები: რომაელებისთვის სწორედ იბერიის მეფე გახლდათ ამ საოცრებათა მომთხრობი, ანუ თვით იბერიის სამეფოსაც ერთგვარი შორეულობის და ზღაპრულობის ელფერი დაჰკრავდა ყოველად რეალური კონტაქტების მიუხედავად.

„ფარსმანის წერილი" მნიშვნელოვანი წყაროა დასავლური „ალექსანდრეს რომანის" ტრადიციისათვის. მთელი რიგი შუა საუკუნეების დასავლეთევროპელი ავტორები აღმოსავლეთის აღწერათა დროს სწორედ „ფარსმანის წერილს" მისდევენ. ეს წერილი მართლაც მეფე ფარსმან ქველს ეკუთვნოდა და II-IV საუკუნეებში წერილის ახალი ვარიანტი ადრიანეს და ფარსმანის რეალური მიმოწერის საფუძველზე შეიქმნა, თუ IV საუკუნის რომაელმა ავტორმა თავისი შემოქმედება უბრალოდ მიაწერა იბერიის შორეული და ზღაპრული ქვეყნის მეფეს, დავის საგანია მეცნიერებაში. აქ ამ საკითხს დეტალურად აღარ შევეხები. ფარსმანის წერილი არსებობს რამდენიმე ლათინური ვერსიით, რომლებიც ადრე შუა საუკუნეებშიევე ითარგმნა ეგრეთ წოდებულ ხალხურ ენებზე, ძველფრანგულსე, ძველინგლისურსე[4].

[4] ფარსმანის ნერილს ქართული თარგმანი გამოვაქვეყნეთ ჟურნალში: აკადემია, ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი, 4. 2002. გვ. 43-52.

თუ დავუბრუნდებით კელაე კოტონიანას,შეიძლება ითქვას,რომ ევროპულ კარტოგრაფიაში არსებობს იბერიის ტავროსის მთების სამხრეთით მოთავსების პრაქტიკულად საუკუნოვანი ტრადიცია, პოიტინგერის ტაბულიდან პერეფორდის რუკამდე[5]. აქვე მოკლედ მოვიტან იმ მხარეთა დასახელებებს, რომელთაც კოტონიანა იბერიის აღმოსავლეთით და სამხრეთით აზიაში ათავსებს. იბერიის სამხრეთით განლაგებულია ბაბილონია და ქალდეა. ქალდეის აღმოსავლეთით მოთავსებულია: სირია,ქალაქი ნინეია,სპარსეთი,მიდია. იბერიის უშუალოდ აღმოსავლეთით მდებარეობენ: მესოპოტამია,არახოზია (დღევანდელი ავღანეთი),უკიდურეს აღმოსავლეთში კი – ლეგენდარული ქვეყანა ეილათი, ოქროს მთები და ინდოეთი. ინდოეთის აღმოსავლეთით რუკას აბოლოებს კუნძული. სხვა რუკებზე ამგვარი კუნძული უკიდურეს აღმოსავლეთში ხშირად ბიბლიური სამოთხე არის ხოლმე. კოტონიანას მიხედვით, ეს კუნძულია თაბროპანე, ანუ ცეილონი. უკიდურეს აღმოსავლეთში კოტონიანა ერთმანეთის გვერდზე ათავსებს ინდოეთსა და მიდიას, ხოლო ცეილონი მსოფლიო ოკეანეში მიდიის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს.

ბეატუსის რუკა

ესპანეთის ჩრდილოეთში, ბასკების და ასტურიელთა საზღვარზე, მერე საუკუნეში ცხოვრობდა ბერი ბეატუსი. დაიბადა 730 წელს, გარდაიცვალა 798 წელს, შერაცხულია წმინდანად. აპოკალიპსის კომენტარებს დაურთო რუკა[6]. რუკა თარიღდება დაახლოებით 776 წლით. აპოკალიპსის ბეატუსის კომენტარები მომდევნო, უმთავრესად X-XIII საუკუნეებში მრავალჯერ გადაიწერა. განსაკუთრებით ჩრდილოეთ ესპანეთსა და სამხრეთ საფრანგეთში. გადამწერები ასევე ახდენდნენ რუკების კოპირებას. ამიტომ დღეისათვის არსებობს ბეატუსის რუკების ათამდე ვარიანტი. როგორც ვარაუდობენ, გვიანდელი საუკუნეების კოპიისტებს ბეატუსის ორიგინალში დიდი ცვლილებები არ შეუტანიათ. რუკის გადარჩენილი ასლებიც სწორედ XI-XII საუკუნეებით თარიღდება.

წინდაწინვე შეიძლება ითქვას, ბეატუსის რუკასთან შედარებით კოტონიანა გეოგრაფიული სისწორის თვალსაზრისით ლამის თანამედროვე რუკაა (მიდიის ინდოეთსა და ცეილონთან მოთავსების მიუხედავად). რადგან ბეატუსის რუკამ,თავისი გეოგრაფიული სისტემით, შუა საუკუნეთა კარტოგრაფიაში გაუთვითცნობიერებელ მკითხველს შესაძლოა სასოწარკვეთილების გრძნობა აღუძრას. აქ, არ არის გამორიცხული, ვიფიქროთ, რომ საერთოდ რამდენად შეიძლება დავეყრდნოთ ამ კარტოგრაფიის მონაცემებს, როდესაც ასეთ უსუსტობებთან გვაქვს ხოლმე საქმე. ამგვარი აზრი, ცხადია, მცდარია. რადგან არ შეიძლება შუა საუკუნეების რუკებს ვუყუროთ თანამედროვე ცოდნის პოზიციებიდან. ეს რუკები აბსოლუტურად შეესატყვისება და გამოხატავს შუა საუკუნეების ადამიანის ველტბილდს. შუა საუკუნეების ადამიანი ამგვარადაც უყურებდა სამყაროს და ქვეყნიერების შესახებაც დაახლოებით ეს ინფორმაცია ჰქონდა, იმ მცირე განსხვავებით, რომ,მაგალითად,მაჰმადიანური ტოპონიმიკის ადგილას ჯიუტად წერენ ანტიკურ სახელებს, თორემ ცალკეული კონტინენტების, სახელმწიფოების, თუ ზოგადად ქვეყნიერების სურათი მთლიანად იდენტურია წერილობითი სახის ცნობებისა.

ამ ეპოქაში ზეპირი და კარტოგრაფიული ცოდნის შესატყვისობის კარგი მაგალითია ზემოთ ნახსენები ამორძალთა შემთხვევა. საქართველოს შესახებ არსებულ შუა საუკუნეების ბერ დასავლეთევროპულ ცნობაში ქართველთა მხედრული სიმამაცის ქება-

---

[5] რანულფ ჰიგდენის XIV საუკუნის მეშვიდე რუკაზეც იბერია უშუალოდ ტავროსის მთებს ესაზღვრება ჩრდილოეთიდან: Walter Rosien, Die Ebstorfer Weltkarte, Hannover 1952, Tab. 7.

[6] Konrad Miller, Mappaemundi. Die ältesten Weltkarten, Bd. 2, Stuttgart 1897, Tabula 5. ასევე: Konrad Miller, Mappaemundi. Die ältesten Weltkarten, Bd. 1, Stuttgart 1895, გვ. 1-23. Konrad Miller, Mappaemundi. Die ältesten Weltkarten, Bd. 2, Stuttgart 1897, Tabula 6. P. D. A. Harvey, Medieval Maps (1991), გვ. 23.

დიდებას. როგორც წესი, მოსდევს ხოლმე ყოველად გაურკვეველი ცნობა, რომ ქართველი ქალები ცხენებზე ამხედრებულნი. მამაკაცთა მსგავსად, იარაღით ხელში იბრძვიან. ან იერუსალიმში მეოდ ქართველ ბერებზე არის ხოლმე ხანდახან ნათქვამი, რომ ისინი არიან ქალთა ქვეყნიდან. ეს ცნობები არ დასტურდება არც ქართული, არც აღმოსავლური წყაროებით და ქართველი ერის ბუნებიდან გამომდინარე, არანაირად არ შეიძლება ეს სიმართლე იყოს. ზეპირი ან წერილობითი ცოდნის ამ ინფორმაციის წყაროს ადვილად მიუხვდებით.თუ შუა საუკუნეთა კარტოგრაფიულ მასალას მოვიშველიებთ. შუა საუკუნეების მრავალ ევროპულ რუკაზე, რასაც დეტალურად ქვემოთ ვნახავთ, ანტიკური ტრადიციის შესაბამისად, ამორძალები მოთავსებულნი არიან ტრაპიზონის მიდამოებში, ფაზისთან ან კავკასიონის ჩრდილოეთით. რაკი შუა საუკუნეების ადამიანისათვის მთელი ეს სივრცე ხშირად საქართველოს ქრისტიანულ სამეფოსთან ასოცირდებოდა, არაფერი არ იყო იმაზე მარტივი, რომ ანტიკურობიდან მომდინარე ამორძალების მოტივი და ქრისტიანული ქართული სამეფო ერომანეთისათვის დაეკავშირებინათ (ამ ფაქტს თამარის და რუსუდანის მეფობის ფაქტებიც შეუწყობდნენ ხელს).

ბეატუსის რუკაც ორიენტირებულია აღმოსავლეთზე. ხმელეთს გარს ერტყმის მსოფლიო ოკეანე. ქვედა, მარცხენა ნაწილი რუკაზე უჭირავს ევროპას. რუკის მარჯვენა ქვედა მეოთხედზე მოთავსებულია აფრიკა, ხოლო რუკის ზედა ნახევარი მთლიანად აზიას უკავია. ქვემოდან, ევროპასა და აფრიკას შორის, ვიწრო ზოლად იჭრება ხმელთაშუა ზღვა. აფრიკაში ხმელთაშუა ზღვის პარალელურად, ქვემოდან ზემოთ მიედინება დაახლოებით ხმელთაშუა ზღვის სიმსხო ტოტი და ჩადის იგივე ხმელთაშუა ზღვაში ალექსანდრიასთან. ეს გახლავთ ნილოსი. ევროპასა და აფრიკაში ჩამოთვლილი პროვინციების სახელები დაახლოებით ანტიკურ მოდელს მიჰყვება.

აზიის და აფრიკის პარალელურად, ბეატუსის მთელ რუკას გაუყვება წითელი ზოლი. ეს არის წითელი ზღვა. ანუ წითელი ზღვა ერთმანეთთან აერთებს ატლანტის ოკეანეს და ინდოეთის, ან აღმოსავლეთის (წუნარ) ოკეანეს! როდესაც ხმელთაშუა ზღვა მივა რუკის ცენტრამდე და შემდეგ მარცხნივ მოუხვევს, ეს არის დარდანელის და ბოსფორის სრუტეების, მარმარილოს და შავი ზღვების, ასევე ხმელთაშუა ზღვის ნაწილის ერთგვარი მთლიანობა. შავ ზღვას ჩრდილოეთის ოკეანესთან აერთებს ნაკადი, მდინარე ტანაისი, ანუ დონი, რომელიც შუა საუკუნეების წარმოდგენაში საკმაოდ ხშირად, როგორც ეს ბეატუსის რუკაზეც ჩანს, უკავშირდება ჩრდილოეთის ოკეანეს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ შუა საუკუნეების ველტბილდში ასევე ჩრდილოეთის ოკეანის უშუალო ნაწილია კასპიის ზღვა, მაშინ ნათელი ხდება: დღევანდელი ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპის და რუსეთის უზარმაზარი სივრცე დასავლეთევროპული შუა საუკუნეების გეოგრაფიული ველტბილდისათვის პრაქტიკულად არ არსებობდა და უკიდურესად შემცირებული სახით წარმოედგინათ ეს ტერიტორია. აღნიშნული სივრცის ერთადერთი ფუნქცია გახლდათ გოგის და მაგოგის აპოკალიპტური ხალხების, თუ სხვა ბნელ კაციჭამია მოდგმათა დატევა. ამ ხალხებად ისახებოდნენ,დროის შესაბამისად,სკვითები, ჰუნები, თურქები, მონღოლები. ხოლო ადრეული ახალი დროის პორტოლანებზე რუსეთის სივრცე მკარად უჭირავთ ოქროს ურდოს მბრძანებელთა თუ დროშათა გამოსახულებებს. უშუალოდ რუსეთი რუკებზე უფრო გვიანდელი ხანიდან ჩნდება, მოსკოვის სამთავროს გაძლიერების პარალელურად. ალბათ ესეც უნდა იყოს მიზეზი, რომ საბჭოთა კავშირის დროს პრაქტიკულად შუა საუკუნეთა ევროპული კარტოგრაფიის ხსენებასაც კი არსად ვხვდებით.

ბეატუსის რუკაზე მარცხენა შუა ნაწილში, შავი ზღვის ზემოთ მოცემულია მხარეთა, ქალაქთა და ხალხთა შეერთებული ჩამონათვალი. აქ მოხსენიებულია შემდეგი დასახელებანი: ბოსფორანები, კოლხები, ნიკომედია, ბითვინია, პამფილია, ლიბია, აზია, კილიკია (ძნელი სათქმელია, ლიბიის მცირეასიულ-კავკასიურ სივრცეში გადმოტანა კარტოგრაფის შეცდომაა, არის ეს ლიდიის უბრალო კორექტურა, თუ რაიმე სხვა ტრადიცია. რამდენადაც ვიცი, აკაკი ურუშაძის წიგნში არგონავტებსა და კოლხეთის თქმულებაზე, ლაპარაკია

Figure 3. Aerial photo of Site 5

ბერძნულ სამყაროში კავკასიის ალიბეზე. ანუ ლიბიის მსგავს ტოპონიმზე. არ არის გამორიცხული, რომ ეს დასახელება ლათინურ გეოგრაფიულ ლიტერატურაშიც იყოს სადმე დაფიქსირებული, საიდანაც კარტოგრაფი აღნიშნული ტერმინის აღებას შეძლებდა. რადგან, როგორც ცნობილია, ბერძნული სამყარო ლათინური შუა საუკუნეებისათვის პრაქტიკულად დიდხანს დახშული იყო. მაშინ ამ შემთხვევაში შეცდომასა ან კორექტურასთან აღარ გვექნება საქმე). იქვე მოთავსებულია ტროა, ტროას მოსდევს ფრიგია, ხოლო ფრიგია უშუალოდ ეკვრის, არც მეტი, არც ნაკლები, ლიბანის მთებს. ლიკაონია და ლიკიაც მოთავსებულია შავი, მარმარილოს თუ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. ამასთან, ლიკია ნილოსის სანაპიროსა და ალექსანდრიის უშუალო სიახლოვეს აა. პალესტინა მდებარეობს დაახლოებით რუკის ცენტრში, მაგრამ იუდეა გადასმულია ალექსანდრიის და ნილოსის სამხრეთით.

ზედა მარჯვენა მეოთხედში ჯერ მოცემულია ალბანეთის დასახელება, შემდეგ იბერია აქაც დაწყვილებულია ბაბილონიასთან. ბაბილონიის ზემოთ წითელი საგანი არის ან კავკასიის, ან აროკერაუნიის მთები (ამ დასახელებას იბერიასა და სომხეთთან ახლოს ხშირად ეხვდებით გეოანანტიკურ და შუა საუკუნეების ლათინურ გეოგრაფიაში). იქვე მოების პატარა გამოსახულებებიდან ერთ-ერთი ნამდვილად კავკასიონია. კავკასიონი უშუალოდ ეკვრის სამოთხეს. ამასთან, საინტერესოა, რომ ბეატუსის რუკაზე კავკასიონი არ არის მთელი აზიის გასწვრივ გადაჭიმული მთაგრეხილი. ინდოეთი მოთავსებულია სამოთხის იქით, ანუ სამოთხე ერთგვარად ინდოეთსა და დღევანდელ კავკასიის შორისაა მოქცეული. ბეატუსის რუკებზე იბერია და კავკასია სამოთხესთან საკმაოდ ახლოს მდებარედ მოიაზრება და ეს გარემოებაც ამ ტერიტორიას გარკვეულწილად საკრალურობის ელემენტს ანიჭებს. თან ეს ინფორმაცია აქ ყოველთვის იმ კონტექსტში უნდა გავიაზროთ ხოლმე, რომ დღევანდელი კავკასიის სივრცე დასავლეთევროპელთათვის იმავდროულად ქრისტიანულ ქართულ სახელმწიფოს უკავშირდება. სამოთხის გამოსახულების ქვეშ მოქცეულია ასურეთი, სპარსეთი და ქალდეა. ინდოეთი მდებარეობს უკიდურეს სრდილო-აღმოსავლეთში, ზემოთ, მარჯვნივ. საინტერესოა აგრეთვე იდუმეის მოთავსება ინდოეთის უშუალო სიახლოვეს.

რაც შეეხება წმინდა მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით სამოთხეში მყოფ ადამისა და ევას გამოსახულებებს, აქაც მძლავრად იგრძნობა აღრექრისტიანული ველტბილდის გავლენა. ყველაფერია გაკეთებული, რათა სხეულებრივის სიმახინჯე გაიცნობიეროს რუკის მნახველმა. ტროას და ბაბილონს თუ თავს გავანებებთ, სამოთხის გამოსახულებაც ადასტურებს: იგივე ბეატუსის რუკის ავტორისათვის კარტოგრაფია არის არა რეალური სამყაროს წარმოდგენა, არამედ უფრო მეტად ისტორია და სამყაროს საკუთარი მსოფლმხედველობის მსგავსად ჩვენება (თუმცა გეოგრაფიული წარმოდგენები რეალურადაც ნაწილობრივ ამგვარი ჰქონდა შუა საუკუნეების ადამიანს. აქ გეოგრაფიულ წარმოდგენათა შეცვლა არ ხდება მსოფლმხედველობის შესაბამისად. უბრალოდ, კონკრეტულ გეოგრაფიულ წარმოდგენებს შუა საუკუნეების კარტოგრაფი უმატებს მთელ მსოფლმხედველობრივ არსენალს, რასაც დღევანდელი პოზიციიდან გეოგრაფიასა თუ კარტოგრაფიასთან საერთო არაფერი აქვს). რადგან შუა საუკუნეების შეხედულებათა მიხედვით, ადამსა და ევას უკვე რამდენიმე ათასი წელია, რაც სამოთხე დაატოვებინეს, შესაბამისად, რუკაზე სამყარო პრაქტიკულად წარმოისახებოდა მისი შექმნის დღიდან თანამედროვე პერიოდამდე.

წმინდა ბიბლიური ელემენტის გარდა ანტიკურობიდან აღებულია მხოლოდ ის მოტივები, რაც შუა საუკუნეების ქრისტიანულ ველტბილდში ეროგვარად უმტკივნეულოდ იყო ნართული. ეს არის ტროას ციკლი, რადგან რიგ დასავლეთევროპულ ხალხებს თუ სამეფო გვარებს რომაელთა მიბაძვით და რომაელებთან შეტოქვებით პირდაპირ ტროასა და ენეასისაგან გამოყავდათ თავიანთი გენეალოგია. გარდა ამისა, ტროელების ბერძნებთან ომი კარგად ერგებოდა დასავლეთევროპელთა (განსაკუთრებით გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერიის, ნორმანების, ასევე ფრანგებისაც) ბიზანტიასთან სისტემატურ დაპირისპირებას.

შუა საუკუნეების დასაელურმა ქრისტიანულმა ველტბილდმა აგრეთვე მიიღო ალექსანდრე მაკედონელის ციკლი. ან საერო სიბრტყეზე ალექსანდრე მაკედონელის ღვაწლის ხასგასმა ხდებოდა, რაც, მართალია, გულისხმობდა ალექსანდრე მაკედონელთან გარკვეულ ნაკლს, რადგან ის წარმართი იყო, ან კიდეე ქრისტიანული მსოფლმხედველობა პირდაპირ რთაედა ალექსანდრე მაკედონელს თავის სისტემაში, როდესაც კაეკასიონს გადაღმა აკეტინებდა გოგის და მაგოგის აპოკალიპტურ, ანტიქრისტეს დამხმარე ხალხებს.

XI საუკუნის ანონიმური რუკა

XI საუკუნის ანონიმურ რუკაზეც ქვეყნიერების უკეე კარგად ნაცნობი განლაგებაა მოცემული[7]. ხმელეთს შემორკალავს მსოფლიო ოკეანე. ქვეყნიერების გარშემო დატანილი სახეთა გამოსახულებები შეესატყვისება ცალკეულ ქარებს (ადამიანის სახით მოცემული ქარები თითქოს სულს უბერაეენ ქვეყნიერებას). ეეროპას უჭირავს რუკის ქვედა მარცხენა მეოთხედი. საინტერესოა, რომ ალანია გადასმულია მდინარეების ტანაისის და იპანისის გადაღმა. უყრო დღეევანდელი ჩრდილო-აღმოსაელეთ ეეროპის მხარეს. ხმელთაშუა ზღვა ქვემოდან იკრება ეეროპასა და აფრიკას შორის. გიბრალტარის სრეტეში მოჩანს ჰერაკლეს სვეტები. უკეე შედარებით ნათლადაა გამოყოფილი იბერიის და აპენინის ნახევარკუნძულები, ასეეე ბალკანეთის ნახევარკუნძული.

რუკის მარჯვენა ქედა მეოთხედი და ზედა მარჯვენა მეოთხედის მცირე ნაწილი უჭირავს აფრიკას. აფრიკასა და აზიას შორის ზემოდან წითელ ზოლად სოლივით იჭრება წითელი ზღვა. ნილოსი მოედინება აღმოსაელეთიდან და ჩაედინება ხმელთაშუა ზღვაში ალექსანდრიასთან. აფრიკის უკიდურეს და უცნობ სამხრეთში მოთავსებულნი არიან ბესტიალური არსებები. სხვათა შორის, აღნიშნული რუკა განლაგებით მეტად ჰგავს ებსტორფის და ფსალმუნის შედარებით გვიანდელ რუკებს. აქაც ასეეე შემორკალავს ერთიანი მთების ციკლი მთელ აზიას, აფრიკის სამხრეთში არიან მოთავსებულნი საოცარი არსებანი, ოღონდ ებსტორფისა და ფსალმუნის რუკებისაგან განსხვაეებით, XI საუკუნის ანონიმური რუკა მხოლოდ ბესტიალურ ცხოველებს ათავსებს უკიდურეს სამხრეთში. რუკაზე ალექსანდრე მაკედონელის ლეგენდათა ციკლიდან პრაქტიკულად სამიეე კონტინენტზე ჩნდება კონკრეტული მოტივები.

რუკის ცენტრში მოთავსებულია პალესტინა და იერუსალიმი. შედარებით უკეთ არის მოხაზული შაავი ზღვისა და მცირე აზიის კონტურები. რუკის ზედა მარცხენა მეოთხედს შემორკალავს ერთიანი მთაგრეხილი. ოღონდ ამ მთას აქ მთლიანობაში კაეკასია ან ტავროსი არ ჰქვია. დაახლოებით დღეევანდელი კაეკასიის ტერიტორიაზე მოთავსებული მთის ნაწილს ანონიმი არქმეეს კაეკასიას. შემდეგ მას ეწოდება აკროკერაუნიის მთა, მერე – არიობარზანესი. სულ აღმოსაელეთით, ინდოეთთან, მთის სახელია იმაუსის მთები. ანონიმი ამ შემოხვეევაშიც მყარ გეოგრაფიულ ტრადიციას მისდევს. გეიანი ანტიკური ხანის და შუა საუკუნეების რიგ დასაელელ ავტორთა მიხედვით, მთების ერთიან რკალს, რომელიც დასაელეთიდან უკიდურეს აღმოსაელეთამდე გასდევს მთელ აზიას, სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა სახელს უწოდებენ ის ხალხები, რომლებიც ამ მთაგრეხილის გაყოლებაზე ცხოვრობენ.

პირველი მდინარე, რომელიც ამ მთლიანი დიდი მთიდან გამოდის, არის არაქსი. არაქსი მიედინება ჩრდილოეთით და ჩადის ჩრდილოეთის ოკეანეში. შაე ზღვასა და არაქსს შორის მოქცეულია ამორძალთა სამეფო და ნოეს კიდობანი. ამორძალებთან დაკავშირებულ ინფორმაციას ანონიმი ორ სხვადასხვა ადგილას იძლეევა. თვითონ ამორძალთა სამეფო მოთავსებულია მდინარე არაქსს, შაე ზღვას და მეოტისის ჭაობებს შორის (მეოტისის

[7] Bayerische Staatsbibliothek. Die Karte als Kunstwerk. Dekorative Landkarten aus Mittelalter und Neuzeit, Ausstellung. September-November 1979, Unterschneidheim 1979, ვვ. 89.

ჭაობებთან ტანაისი თითქმის ჩრდილოეთ ოკეანეს ერთვის). მართალია, ეს ტერიტორია, წესით, კავკასიონს გადაღმა უნდა იყოს, რაკი მეოტიდის ჭაობებთან არის ახლოს, მაგრამ აქ უაღრეს სიზუსტეს, ბუნებრიივა, არ უნდა ველოდოთ.

ნოეს კიდობანის ქვემოთ, შაეი ზღვის განშტოებასთან, დაახლოებით ტრაპიზონის ადგილას, მოთავსებულია თემისკირის მინდვრები. ეს ტერმინიც ამორძალთა სამეფოს დედაქალაქს უკავშირდება. ამორძალების სახელთან ასოცირებული ტოპონიმიკის ამგვარად ორ ადგილას მოცემით ანონიმი კარტოგრაფი ჯერ კიდევ ანტიკურობიდან მომდინარე ტრადიციას აგრძელებს. ძველი ბერძნები თავდაპირველად ამორძალთა საცხოვრებელს დღევანდელი ტრაპიზონისა და სინოპის მიდამოებში ვარაუდობდნენ. როდესაც ბერძნებმა ეს ადგილი გაიცნეს და იქ ამორძალები ვერ ნახეს, მაშინ შეიქმნა ლეგენდა, რომ ამორძალებმა გარკვეული მიზეზების გამო თავიანთი საცხოვრებელი დატოვეს და კავკასიონს გადაღმა დასახლდნენ. მაგრამ ორივე ეს მხარე ანტიკურობასა და შუა საუკუნეებშიც გარკვეულწილად ამორძალებს უკავშირდებოდა (საინტერესო უნდა იყოს, რომ რიგ შემთხვევებში ანტიკურ თუ შუა საუკუნეების დასავლელ ავტორებთან, მაგალითად, კვინტუს კურციუსსა და ვალტერ შატილიონელთან, ამორძალთა საცხოვრებელი პირდაპირ ფაზისსე და კოლხეთშია ლოკალიზებული). თვითონ კოლხეთი ანონიმს რუკაზე გამოუხატავს კუნძულის სახით შავ ზღვაში. ამ შემთხვევაშიც შუა საუკუნეები ანტიკურ ტრადიციას აგრძელებენ, როდესაც მითიური აია ხანდახან კუნძულადაც ისახებოდა.

არაქსის ზემით, დიდი მთაგრეხილიდან იღებენ სათავეს ევფრატი და ტიგროსი. ორივე მდინარე ჩადინება წითელ ზღვაში. ასევე წითელ ზღვას ერთვის ტიგროსის აღმოსავლეთით გამოსახული მდინარე ინდი. უკიდურეს აღმოსავლეთში, დიდი მთიდან იღებს სათავეს, ანონიმი ინდოეთ-ჩინეთ-ინდონეზიის ოკეანეში მდინარე განგი. ევფრატსა და ტიგროსს შორის გამოსახულია ბაბილონი. ინდოეთში ანონიმი ათავსებს უკვე ანტიკურობიდან დასავლეთში ცნობილ ქალაქ პალიბოთრას. უკიდურეს აღმოსავლეთში წარწერა ეწერა: სამოთხის სიახლოვეზე უნდა მიანიშნებდეს. შუა საუკუნეების ქრისტიანული წარმოდგენების თანახმად, ეროქსა და ელიას გადამწყვეტი ფუნქცია დაეკისრებათ ანტიქრისტესთან ბრძოლისას. ამ დაპირისპირებას კი დედამიწაზე სამოთხის მსგავსი მდგომარეობის დამყარება მოჰყვება. უკიდურეს აღმოსავლეთში, ოკეანეში მოთავსებულია კუნძული თაბროპანე, ანუ ცეილონი და რამდენიმე სხვა ლეგენდარული კუნძულიც.

კავკასიის მთაზე, დასავლეთით მოქცეულ მხარეს დატანებულია კარიბჭე. ეს არის კასპიის კარი. მთებს გადაღმა, რკალში ანონიმს შეცდომით გადაუტანია დიდი სომხეთი. იქვეა ქალაქი ალექსანდრია. ეს ალბათ უნდა იყოს ალექსანდრე მაკედონელის მიერ შუა აზიაში დაარსებული ქალაქი. ხმელეთში ყურეს სახით შემოჭრილი მსოფლიო ოკეანე გახლავთ კასპიის ზღვა. კასპიის ზღვის გადაღმა მოქცეულია ჰირკანია. ამ შემოზღუდულ სივრცეს ანონიმთან ბოლომდე მისტიურ-საზარელი ელფერი, რასაც უნდა შეეძრწუნებინა შუა საუკუნეების ადამიანი, არა აქვს. რადგან გოგის და მაგოგის, ან სხვა კაცივჭამია ხალხები აქ არ გამოუსახავს. თუმცა გარკვეული მინიშნებები ამ ლეგენდასე მოცემულია. თუნდაც ამ ერთიანი მთების ჯაჭვით კულტურული სამყაროსგან ჩრდილოეთის სივრცის შემოზღუდვა, კავკასიის მთებში დატანებული კასპიის კარიბჭე, რომელიც ამგვარი ფორმით მხოლოდ გოგის და მაგოგის ლეგენდას უკავშირდება ამ ეპოქაში.

საეჭვო ხალხებიდან მთების გადაღმა მოქცეულნი არიან ჰირკანიელები, კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს მცხოვრებნი. მართალია, ჰირკანიელები ხშირად კულტურულ ერთა შორისაც არიან მოხსენიებულნი, მაგრამ ხანდახან, ისე როგორც ებსტორფის რუკაზე, ჰირკანიელებსაც ენიჭებათ ის დამანადგურველი თუ გამანადგურებელი მისია, რომლის უმთავრესი მატარებლები გოგის და მაგოგის ხალხები არიან ხოლმე.

კავკასიის მთის გადმოღმა მხარეს, კასპიის კარსა და ჩრდილოეთის ოკეანეს შორის, მოქცეულნი არიან ალბანელები. შუა საუკუნეთა ევროპაში ალბანეთის სამეფო პოპულარული გახადა „ალექსანდრეს რომანმა". „ალექსანდრეს რომანში" საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა ალბანელებსა და მათი საოცარი სიდიდის და სიძლიერის ძაღლებთან

ბრძოლას (ალბანელთა დამარცხების შემდეგ ალექსანდრე მაკედონელი მოაყვანინებს ერთ ალბანურ ძაღლს და ლომთან აბრძოლებს. ძაღლი შეძლებს ლომის გაგუდვას. „ალექსანდრეს რომანი" ქეყნიერების ნებისმიერ კუთხეში ყოველად საოცარ ცხოველებსა და არსებებს ათავსებს. ამგვარი საოცრებანი განსაკუთრებით იტაცებდა შუა საუკუნეების მკითხველის ფანტაზიას. ერთი ამგვარი საოცრებაა ლომის დამამარცხებელი ალბანური ძაღლიც. მაგრამ რაკი ეს დიდი სიძლიერის ძაღლი სწორედ კავკასიაშია მოთავსებული, ხომ არ შეიძლება, რომ აქ იგივე ბერძნების რეალურ დაკვირვებებთან და, ამგვარად, კავკასიური ნაგაზის პირველად ხსენებასთან გვქონდეს საქმე? ამას, ბუნებრივია, თან დაერთვებოდა ის ვიდაჭარბებანი, რაც „ალექსანდრეს რომანის" მსგავსი ნაწარმოებისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა. ალბანურმა ძაღლმა შუა საუკუნეების კარტოგრაფიაშიც დაიმკვიდრა მყარი ადგილი, უმთავრესად რუკებზე წაწერილ ლეგენდებსა თუ სურათებში).

ამდენად, იმ სიერცეზე, რომელზეც საქართველოს სამეფო იგულისხმება შემდგომში და ნაწილობრივ ამ ხანაშიც, საკრალურობის ელემენტები XI საუკუნის ანონიმის რუკაზეც არის. ეს გახლავთ ნოეს კიდობანი არარატის მთაზე და გოგის და მაგოგის აპოკალიპტური ხალხების შეკავებასთან დაკავშირებული კასპიის კარიბჭე.

ჰაინრიხ ფონ მაინცის მსოფლიოს რუკა
XII საუკუნე

პირველად აქამდე განხილული რუკებიდან ჰაინრიხ ფონ მაინცის რუკის გარშემო მოთავსებულია ოთხი ანგელოზი, რომელთაც ერთგვაროვად ქეყნიერებაზე სრული ყურადღებათ. რუკის ზოგადი განლაგება იგივეა, რაც წინა განხილულ რუკებზე[8]. აღმოსავლეთი ზემოთაა მოქცეული, სამი კონტინენტიც შედარებით მკაფიოდაა გამოსახული, ევროპასა და აფრიკას შორის ქვემოდან იჭრება ხმელთაშუა ზღვა.

ევროპაში გაცილებით მეტი დასახელებაა დატანილი, ვიდრე წინა განხილულ რუკებზე. რუკის მარცხენა კუთხეში, ცენტრში, კარგად ჩანს, თუ როგორ აკავშირებს ერომანეთთან ტანაისი შუა ზღვასა და ჩრდილოეთის ოკეანეს. ევროპაში რუკაზე ნდება რამდენიმე აქტუალური დასახელებაც. ხმელთაშუა ზღვაში გაფანტულია კორსიკის, სარდინიის, სიცილიის, კვიპროსის კუნძულები.

რუკის მარჯვენა მხარეს მოთავსებული აფრიკის ქვეყდა, შუა საუკუნეების ევროპელებისათვის პრაქტიკულად აბსოლუტურად უცნობი მხარე, უჭირავს ეთიოპიას. აღმოსავლეთიდან წამოსული ნილოსი ალექსანდრიასთან იტოტება და ჩაედინება ხმელთაშუა ზღვაში. აფრიკის სამხრეთ გაყოლებაზე მოთავსებულ მეორე მდინარეს ჰაინრიხ ფონ მაინცი სახავს მდინარე ჯეონად (როგორც წესი, შუა საუკუნეებში ჯეონით ხან ნილოსი, ხან ამუდარია აღინიშნებოდა ხოლმე). კართაგენი ჰაინრიხ ფონ მაინცთანაც თავის ადგილზეა. აფრიკის სამხრეთში ჩანს მხოლოდ ერთი ზღაპრული არსება, ეს გახლავთ ბასილისკო ალექსანდრეს რომანიდან.

რუკის ცენტრში ჰაინრიხ ფონ მაინცთანაც ეხედავთ უზომოდ დიდ პალესტინას, რომელიც აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან შემოსღუდულია ლიბანისა და გალაადის მთების ერთიანი ჯაჭვით. პალესტინაში დეტალურადაა ჩამოთვლილი ბიბლიური პროვინციების სახელები. მცირე აზიიდან შავ ზღვაში მიედინება ანტიკურობიდან კარგად ცნობილი, ოქროთი მდიდარი მდინარე პაქტოლი. იქვე არიან მოთავსებულნი ფრიგია და ტროა. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, ზემოთ, მარჯვენე კონტინენტში იჭრება წითელი ზღვა და სპარსეთის ზღვა. ჰაინრიხ ფონ მაინცთანაც შავი ზღვიდან აღმოსავლეთის ოკეანემდე მთელ კონტინენტს კვეთს მთების ერთიანი რიგი. ოღონდ ჰაინრიხი მთის ხუსტ დასახელებას არ იძლევა და კავკასიონის თუ ტავროსის მოყვანილობაც ოდნავ განსხვავებულია, ვიდრე

[8] Konrad Miller, Mappaemundi. Die ältesten Weltkarten, Bd. 3, Stuttgart 1895, Tabula 2.

ზემოთ განხილულ ან, მაგალითად, ფასალმენის თუ ებსტორფის რუკებზე. რკალის ნაცვლად პაინრიხთან მთები შაავი ზღვიდან მიემართება სამხრეთით, ოდნავ აღმოსავლეთისკენ გადახრილნი. შემდეგ კი მცირე აზიის ქედა კუთხესთან შეჭრილი ხმელთაშუა ზღვის სწორ ხაზზე იწყება ახალი მთების ციკლი, ზუსტად აღმოსავლეთისკენ მიმავალი.

ამ დიდი მთიდან წამოსული პირველი ორი მდინარე არის ევფრატი და ტიგროსი, რომლებიც სპარსეთის ზღვისკენ მიედინებიან. შუამდინარეთში მოთავსებულია მესოპოტამია და ბაბილონის გოდოლი. ტიგროსის შემდეგი დიდი მდინარე გახლავთ ინდი. ბოლოს მთებიდან გამოდის განგი და მიედინება აღმოსავლეთის ოკეანეში. ტიგროსსა და ინდს შორის მოთავსებულია მიდია, ელამი და კარმანია. ინდს გადაღმა, იგულისხმება, რომ უკვე ინდოეთია, თუმცა შესაბამის წარწერას პაინრიხი არ გვაძლევს. იქვეა მოთავსებული ლეგენდარული ოქროს მთები. ოქროს მთების სიახლოვეს წარწერა „ენოქი" გვამცნობს სამოთხის სიახლოვეს და ამ წარწერას მნახველში მეორედ მოსვლასთან დაკავშირებული ასოციაციები უნდა აღეძრა. კუნძულმა თაბროპანემ, ანუ ცეილონმა პაინრიხ ფონ მაინცთან, განსხვავებით ზემოთ განხილული რუკებისაგან, ქვემოთ ჩაინაცვლა და დაახლოებით ინდის შესართავის მოპირდაპირე მხარეს და სპარსეთის ყურესთან იპოვა თავისი ადგილი.

უკიდურეს აღმოსავლეთში კუნძულის სახით მოთავსებულია სამოთხე. სამოთხეში იქვე ჩანს ოთხი მდინარე. სამოთხის ოთხი მდინარე შუა საუკუნეების ადამიანს ბევრ თავსატეხს უნერგავდა. ბიბლიური სამოთხის ოთხი მდინარე გახლავთ ჯეონი, ფისონი, ევფრატი და ტიგროსი. შუა საუკუნეების ადამიანისათვის ევფრატის და ტიგროსის სათავეები ბუნებრივად ცნობილი იყო და მათ სათავეებთან სამოთხის მოთავსება საკმაო პრობლემებს უკავშირდებოდა (თუმცა დაახლოებით მსგავს მცდელობებსაც ხშირად ეცდებიან, როგორც, მაგალითად, ზემოთ განხილულ ბეატუსის რუკებზე სამოთხე დღევანდელ კავკასიასთან საკმაოდ ახლოსაა მოყვანილი. ანონიმ რავენელ კოსმოგრაფსაც – VII საუკუნე – მთელი მსჯელობა აქვს ამ საკითხთან დაკავშირებით, რომ სამოთხე არ შეიძლება იყოს დაახლოებით წინა აზიაში, როგორც ამას მრავალი ამტკიცებსო).

ადრე შუა საუკუნეებში ჯეონის იდენტიფიცირება უმთავრესად ხდებოდა ნილოსთან. მართალია, ნილოსის სათავის პრობლემა უკვე ანტიკურობიდან მოყოლებული ბურუსით იყო მოცული და დიდი კამათის საგანი გახლდათ, მაგრამ არც ანტიკურობის და არც შუა საუკუნეების ადამიანისათვის ნილოსის სათავე ნამდვილად არ იყო იმ მიდამოებში, საიდანაც ევფრატი და ტიგროსი მოედინებოდნენ. ეს საკითხიც პრობლემატურს ხდიდა სამოთხიდან ამ სამი მდინარის ერთად გამოყვანის თეორიას. მეოთხე მდინარე, ფისონი შუა საუკუნეებში ისახებოდა განგად. განგის სათავეების ტიგროსისა და ევფრატის სათავეებთან დაახლოება შუა საუკუნეების ადამიანისათვის პრობლემატური არ გახლდათ და ეს კარგად ჩანს იგივე პაინრიხ ფონ მაინცის რუკიდან, სადაც ყველა ეს მდინარე პრაქტიკულად ერთი მთიდან იღებს სათავეს (აქ, ერთადერთი, შევნიშნავ, რომ თვითონ ბიბლიის შემქმნელთათვის ფისონი შესაძლოა არ იყო განგი. სამწუხაროდ, ეხლა მიჭირს იმ წიგნის მოძიება, სადაც ის ვარაუდი ენახე, რომელზეც აქვე მექნება ლაპარაკი. მაგრამ ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში შემხვედრია მოსაზრება, რომ ფისონი არის ფაზისი, ანუ რიონი. ეს ვარაუდი, არ არის გამორიცხული, რომ სწორი იყოს, რადგან თუ გავიხსენებთ, რომ ეზეკიელისთვისაც კი შორეული ჩრდილოეთი თუ აღმოსავლეთი არის არა თუნდაც დღევანდელი კავკასია, არამედ მხოლოდ მცირე და წინა აზია, გაცილებით სარწმუნოა, რომ უფრო ადრეულ ხანაში ფისონი ყოფილიყო ფაზისი და არა განგი, რომლის შესახებაც ძველ ებრაელებს ნაკლებად უნდა ჰქონოდათ ინფორმაცია. მით უმეტეს, რომ ძველი ბერძნული ცნობები ლეგენდარული კოლხეთის შესახებ აღმოსავლეთიდან კარგად დასტურდება, მაგალითად, თანადროული ასურული ცნობებით).

ამიტომ, რათა როგორმე გადავჭრათ სამოთხიდან ოთხი მდინარის გამოსვლის საკმაოდ საჩოთირო ფაქტი, ადრე შუა საუკუნეებშივე შეიქმნა შემდეგი თეორია: ოთხი მდინარე ნამდვილად გამოდის სამოთხიდან, მაგრამ სამოთხიდან გამოსვლისთანავე ისინი იკარგებიან მიწის ქვეშ და შემდეგ ამოხეთქავენ ქვეყნიერების სხვადასხვა ადგილას. სწორედ ამ

თეორიის ხატოვანი სურათია ჰაინრიხ ფონ მაინცის რუკაზე მოცემული. სამოთხეში ჩანს ოთხი მდინარე. იგულისხმება, რომ ისინი მიდიან მიწის ქვეშ (აქ უფრო ზღვის ქვეშ), და შემდეგ გამოჩნდებიან მიწაზე სხვადასხვა ადგილას. თუ რომელ მდინარეებს თელის ჰაინრიხ ფონ მაინცი სამოთხის მდინარეებად. აქ პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს.

კოლხები ჰაინრიხ ფონ მაინცთან მოთავსებულნი არიან შავი ზღვიდან სამხრეთით მიმავალი მოების სამხრეთით. ალბანეთი მდებარეობს შავი ზღვის ჩრდილოეთით. ამორძალთა სამეფოს კოლხეთისაგან მთის მასივი ყოფს. ამორძალთა სამეფოს სამხრეთითა სომხეთი, ხოლო ჩრდილოეთით – პირკანია. პირკანიასთან კასპიის ზღვა იჭრება, ჩრდილოეთის ოკეანის ყურედ გამოსახული. კასპიის ზღვაში დასავლეთიდან მიმდინარე ორი ნაკადი უნდა იყოს მტკვარი და არაქსი. საინტერესოა, რომ ოქსუსი, ანუ ამუდარია, რომელიც დიდი მთაგრეხილის ჩრდილოეთ კალთებზე იღებს სათავეს, კასპიის ზღვაში ჩადინება დასავლეთ მხრიდან, საეარაუდო არაქსის გვერდზე.

მართალია, გოგსა და მაგოგთან დაკავშირებული კასპიის კარი მოთავსებულია კოლხეთის სიახლოვეს და ამით შემოდის თითქოს ამ ტერიტორიასთან დაკავშირებული საკრალურობის ელემენტი, მაგრამ გოგის და მაგოგის ხალხები დამწყვდეულნი არიან კასპიის ზღვის გადაღმა. იქვე, სადაც გოგის და მაგოგის ხალხები არიან ჩაკეტილნი, სათავეს იღებს ანტიკურობიდან კარგად ცნობილი, მიცვალებულთა სამყაროს მდინარე აქერონი. აქ საინტერესოდ ერწყმის ერთმანეთს ნეგატიური მოტივები ანტიკური მითოსიდან და ქრისტიანობიდან. ეს ყველაფერი რუკის ამ ნაწილს მკეთრად ნეგატიურ ლამის ბოროტ მნიშვნელობას აძლევს შუა საუკუნეების მნახველისათვის. განსხვავებით იმ სეიერალური გრძნობისა, რომლითაც თანამედროვე მკითხველი ათვალიერებს შუა საუკუნეების რუკის ყოველ ნაწილს.

ჰაინრიხ ფონ მაინცთან უკვე ჩანასახის ფორმაში ეხედებით იმ პროცესს, რაც განსაკუთრებით წინა პლანზე გამოდის XIII საუკუნის შუა ხანებიდან. როდესაც მონღოლთა დაპყრობების შემდეგ ევროპელი მისიონერები და მოგზაურები კაკასიის ჩრდილოეთ მხარეებში პირველად გამოჩნდნენ და იქ გოგის და მაგოგის ხალხები ვერ ნახეს, მაშინ ისინი მარტივად გადასვეს აზიის უკიდურეს აღმოსავლეთ მხარეებში, რომლებიც მათთვის ჯერ კიდევ უცნობი იყო. სხვათა შორის, იგივე მოელენასთან გვაქვს საქმე პრესბიტერ იოანეს ლეგენდარული სამეფოს შემთხვევაშიც. როდესაც დასავლეთევროპელებმა, მას შემდეგ, რაც უკიდურესი აღმოსავლეთის ნახვის საშუალებაც მიეცათ და ვერც იქ და ვერც დასავლეთ აზიაში პრესბიტერი იოანე და მისი სამეფო ვერ აღმოაჩინეს, მაშინ XIV საუკუნის დასაწყისიდან პრესბიტერი იოანე და მისი სამეფო მოათავსეს იმ დროისათვის მათთვის სრულიად უცნობ ეთიოპიაში.

გოგი და მაგოგი უკიდურეს აღმოსავლეთში არაბებმა გაცილებით ადრე გადასვეს. არაბები ასევე შიშით ძრწოდნენ ამ ხალხების წინაშე. თუნდაც შემდეგი ფაქტი რად ღირს: IX საუკუნეში ბაღდადის ხალიფა სიზმარში ხედავს, რომ ჯუჯის და მაჯუჯის სასარეელმა ხალხებმა შეიძლება გადმოანგრონ დულკარნაინის (ყურანის ალექსანდრე მაკედონელი) მიერ აშენებული ზღუდეები და იმის შესამოწმებლად, ბსარი ხომ არ შეეპარათ დულკარნაინის მიერ აგებულ კედლებს, ხალიფა გზავნის თარჯიმან სალამს. სალამი გაივლის თბილისს, კავკასიონს, ხაზარეთს და დიდ ხანს აღმოსავლეთით მოგზაურობის შემდეგ მივა ჯუჯის და მაჯუჯის კედლებამდე. საიდანაც ხალიფას მოუტანს დამამშვიდებელ ცნობას, რომ დულკარნაინის მიერ აშენებული კედლები ურყევად დგანან. დიდი დავაა იმის შესახებ, თუ რა ნახა სალამმა. იყო ეს ჩინეთის დიდი კედელი, ალტაის მთიანი მასივი, თუ ტიან-შანი. ასეა თუ ისე, სალამის მოგზაურობიდან მოყოლებული, ჯუჯი და მაჯუჯი არაბული სამყაროსათვის მოქცეულნი არიან უკიდურეს აღმოსავლეთში, ოკეანესთან. ასევე არიან გამოსახული გოგის და მაგოგის ჩაკეტილი ხალხები იდრისის XII საუკუნის მსოფლიოს რუკაზე.

ჰაინრიხ ფონ მაინცის მსოფლიოს რუკა

გვიდოს მსოფლიოს რუკა
1119 წელი

გვიდო ცხოვრობდა იტალიურ ქალაქ პიზაში. გახლდათ მღვდელი. 1118-1119 წლებში დაასრულა თავისი გეოგრაფიულ-ისტორიოგრაფიული ხასიათის ენციკლოპედია. გვიდოს ნაშრომის გეოგრაფიული ნაწილები მჭიდროდაა დაკავშირებული VII საუკუნის ანონიმი რავენელი გეოგრაფის კოსმოგრაფიასთან და ამიტომ გვიდოს ტექსტი გამოცემულია მის ნაშრომთან ერთად.

გვიდოს მსოფლიოს რუკის განლაგებაც ტრადიციულ მოდელს მისდევს[9]. ამასთან, ფერადად მოცემული რუკა უაღრესად ლამაზია. ხმელეთს გარს ერტყმის წითელ ფერში დატანილი მსოფლიო ოკეანე. მსოფლიო ოკეანეში ოთხივე მხარეს მოთავსებულია კენჭულოა მსგავსი საგნები აღნიშნავენ მიმართულებებს. აღმოსავლეთი, რა თქმა უნდა, ზემოთაა. ლურჯი ფერით კონტინენტებს შორის მოქცეულია ხმელთაშუა ზღვა. ხმელთაშუა ზღვის მარცხენა ნაწილი, ისევე როგორც სხვა რუკებზე, არის დარდანელის და ბოსფორის სრუტეები, გაერთიანებული მარმარილოს და შავ ზღვასთან. ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან ხმელეთში იჭრება კასპიის ზღვა, რომელიც ტრადიციულად მსოფლიო ოკეანის ნაწილად მოიაზრება. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან კონტინენტში შემოსული ყურე აერთიანებს წითელ ზღვას, სპარსეთის ყურეს და ინდოეთის ოკეანეს.

ევროპას ტრადიციულად უკავია რუკის მარცხენა ქვედა მხარე[10]. რუკის მარჯვენა ნაწილი გვიდოსთან უჭირავს აფრიკას. ოღონდ ეგვიპტე, ალექსანდრია და ნილოსი გვიდოს გადაუტანია ხმელთაშუა ზღვიდან წითელი ზღვის სანაპიროზე. მაგრამ არა იმგვარად, რომ წითელი ზღვა ეგვიპტეს მხოლოდ აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდეს, როგორც ეს ჩვეულებრივადაა, არამედ ეგვიპტეს ეკერის მხოლოდ წითელი ზღვა და ისიც ჩრდილოეთიდან. შესაბამისად, ეგვიპტის მოპირდაპირე მხარეს, ჩრდილოეთით, ევროპულ ქვეყნებს ჩანაცვლა დაახლოებით ერაყის, სპარსეთის და ინდოეთის ტერიტორია. რუკის ცენტრალურ ნაწილში მოქცეულია წმინდა მიწა. პალესტინის მარცხნივაა მცირე აზია, სადაც ერთადერთი დასახელებაა ტროა.

უაღრესად საინტერესოა აზიის კონტინენტზე მოცემული განლაგება. შავ და კასპიის ზღვებს შორის მოქცეულია კასპიის კარი. შავი ზღვიდან აღმოსავლეთის ოკეანემდე გადაჭიმულია კავკასიონის მთები. კავკასიონის მთებიდან მოედინება მხოლოდ ოთხი მდინარე: ევფრატი, ტიგროსი, ჯეონი და ფისონი, ოთხი ბიბლიური მდინარე. ჯეონით ამ შემთხვევაში უნდა აღინიშნებოდეს მდინარე ინდი. ფაქტიურად აზიის კონტინენტზე გვიდო ათავსებს მხოლოდ რამდენიმე წარწერას, რომელთაგან თითქმის ყველა უკავშირდება საკრალურ მოვლენებს. შუა საუკუნეთა ადამიანისათვის წარწერა კასპიის კარი აღძრავს გოგის და მაგოგის ჩაკეტილი, აპოკალიპტური ხალხების ასოციაციას, რადგან შუა საუკუნეებში ცნება კასპიის კარიბჭე უშუალოდ უკავშირდება გოგის და მაგოგის აპოკალიპტურ ხალხებს. იგულისხმება, რომ კასპიის კარიბჭის მიღმა დამწყვდეულნი

[9] Anna-Dorothee von den Brincken, Mundus Figura rotunda, in: Ornamenta Ecclesiae, Kunst und Künstler der Romanik, 1. Katalog zur Ausstellung des Schnütgen-Museums in der Josef-Haubriech-Kunsthalle, hrsg. von Anton Legner, Köln 1985, გვ. 102; Anna-Dorothee von den Brincken, Fines Terrae. Die Enden der Erde und der vierte Kontinent auf mittelalterlichen Weltkarten, Hannover 1992, გვ. 62-63.

[10] აქვე მცირე შენიშვნა უნდა გავაკეთო იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ კონტინენტს აკუთვნებს საქართველოს და კავკასიას ევროპული კარტოგრაფია. ანტიკურ საბერძნეთში საზღვარი ევროპასა და აზიას შორის ხშირად გადის ფაზისზე. შუა საუკუნეების ევროპული კარტოგრაფია ამ საზღვარს ზოგიერთ შემთხვევაში დონზე, ანუ ტანაისზე ავლებს. მაგრამ შუა საუკუნეების უმთავრეს რუკებზე (მაგალითად, ებსტორფის რუკა) საქართველო ევროპასა და აზიას შორის გამოდის მოქცეული. ადრეული ახალი დროის პორტოლანები საქართველოს და კავკასიას მეტნილად ევროპულ სივრცეში აქცევენ. ასევე უმთავრესად ევროპულ სივრცეშია საქართველო რენესანსის თუ შემდგომი ეპოქის ჩვეულებრივ რუკებზეც (ანუ არა პორტოლანებზე). იხილეთ, მაგალითად, აბრაჰამ ორტელიუსის საყოველთაოდ ცნობილი კარტოგრაფია.



გეიდოს მსოფლიოს რუკა

არიან გოგის და მაგოგის ხალხები.

მხოლოდ ოთხი ცენტრალური მდინარის აზიაში მოთავსება, მათთეის ბიბლიური სახელების მიცემა (პრინციპში ევფრატს და ტიგროსს დანარჩენ რუკებზეც ბიბლიური სახელები აქვთ თავისთავად, მაგრამ შუა საუკუნეების რუკებზე ინდი, თუ არ ეცდები, არც ერთხელ არ არის ჯეონად დასახული და კარტოგრაფიაში, როგორც წესი, განგს ეწოდება განგი და არა ბისონი. ამასთან, შუა საუკუნეების არც ერთი რუკა მხოლოდ ოთხ მდინარეს და ისიც ამგვარი განლაგებით აზიაში არ გვთავაზობს) და ამ მდინარეთა ერთი საერთო წყაროდან, ამ შემთხვევაში კავკასიის მთებიდან გამოყვანა შუა საუკუნეების მნახველში იმ წუთშიეე აღძრავდა ბიბლიური სამოთხის ასოციაციას. გეიდოს მიხედვით იგულისხმება, რომ ამ მდინარეთა სათავესთან, თუ კავკასიას და უფრო ჩრდილოეთით მდებარე კასპიის კარიბჭეს შორის სამოთხეა? ისევე როგორც, გეიდოსთან ნამდვილად უნდა იყარაუდებოდეს, რომ კასპიის კარის მიღმა გოგის და მაგოგის ხალხები იმყოფებიან. ნებისმიერ შემთხვევაში, მთელ ამ სიერცეს კასპიის კარსა და კავკასიის მთებსა თუ ოთხ მდინარეს შორის გეიდოსთან ნამდვილად დაკრაეს საკრალურობის ელფერი. უფრო სწორედ, გეიდო თვითონ ანიჭებს ამ სიერცეს საკრალურ ქრისტიანულ მნიშვნელობას.

გეიდოს რუკა უაღრესად მნიშვნელოვანი მგონია დავით აღმაშენებლის საკითხისა და პრესბიტერ იოანეს ლეგენდისათვის. გეიდოს რუკა შექმნილია, როგორც ითქვა, 1119 წელს, როდესაც დავითის სამეფო თავის მწვერვალთან ახლოსაა უკვე. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა დავითის შესახებ კანტორ ანსელუსის ცნობა. ანსელუსის ცნობა თარიღდება 1109 წლით. რამდენადაც ნემოვის ცნობილია, ქართულ მეცნიერებაში რამდენჯერმე გამოთქმულა ვარაუდი, რომ ანსელუსის ცნობისათვის უფრო სწორი თარიღი 1127-28 წლები უნდა იყოს. პრინციპში ანსელუსის წერილისათვის ეს უკანასკნელი დათარიღება უფრო მისაღები ჩანს. რადგან ანსელუსთან დავითი უაღრესად დიდი მასშტაბის, საკრალურ-მესიანისტური დანიშნულების მქონე ფიგურაა (ამას ისიც ემატება, რომ დავითი უკვე გარდაცვლილია ანსელუსთან). 1109 წელს კი დავითს დასავლეთევროპელთათვის თითქოს ჯერ კიდევ არ უნდა ჰქონოდა ამგვარი მნიშვნელობა.

რაც შეეხება დავითის მიერ გოგის და მაგოგის აპოკალიპტური ხალხების შემაკავებელი კასპიის კარის დაკეტას, ეს ინფორმაცია ანსელუსის ცნობის დათარიღებისათვის საკმარის საფუძველს არ გვაძლევს. XII საუკუნის დასაწყისში დასავლეთევროპელთათვის კასპიის კარი შეიძლება გულისხმობდეს როგორც დარიალს, ასევე დერბენტს[11]. მართალია, დავითი დერბენტს ფლობს XII საუკუნის ოციანი წლებიდან, მაგრამ რაკი დარიალი, ბუნებრივია, თავიდანვე საქართველოს სამეფოს ეკუთვნოდა, ამ პოზიციიდან ანსელუსს თეორიულად 1109 წლისაც შეეძლო ეთქვა, რომ მეფე დავითი გოგის და მაგოგის კარს დარაჯობს.

ნებისმიერ შემთხვევაში, 1109 წელსაა ანსელუსის წერილი შექმნილი, თუ 1127-28 წლებში, მისი ცნობა გეიდოს რუკის შექმნის თარიღის უშუალო სიახლოვეს თავსდება. ფაქტიურად გეიდოს რუკის მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია ნათლად დავინახოთ, თუ როგორი სახე აქვს ანსელუსის ცნობას, პირობითად თუ ვიტყვით, რუკაზე გადატანილს. დასავლეთევროპელი შუა საუკუნეების რუკები ლამის ორმაგად ზრდიან ქართველთა შესახებ ინფორმაციიდან ცნობების მნიშვნელობას. რადგან გეიდოს რუკიდან ნათლად ჩანს საქართველოს სამეფოს განლაგება იმ დროის ევროპელის წარმოდგენაში. კასპიის ზღვა არის მსოფლიო ოკეანის ნაწილი. შავი და კასპიის ზღვების ჩრდილოეთით კასპიის კარის იქით რჩება ჩრდილოეთის ოკეანემდე მეტად მცირე სივრცე, სადაც ჩაკეტილნი არიან გოგის და მაგოგის აპოკალიპტური ხალხები და მათი შეკავების მისია ქართველთა მეფეებს ეკისრებათ. გარდა ამისა, კავკასიის მთებთან მდებარე საქართველოს სამეფო ბიბლიურ მდინარეებსა და, შესაძლოა, ბიბლიურ სამოთხესთანაც უშუალო სიახლოვეს მოიაზრება. შუა საუკუნეების რუკების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ ევროპელებისათვის საქართველო არის ერთგვარად ქრისტიანების კიდეზე მდებარე სახელმწიფო, ამას ემატება აპოკალიპტური ხალხებისაგან ქრისტიანული სამყაროს დაცვის ფუნქცია და, ქართველთა სამეფოს სიმძლავრესა და ქართველთა სიმამაცესთან ერთად, ესეც არის შუა საუკუნეების ევროპულ ცნობებში, პირდაპირ შეიძლება ითქვას, ქართველთა წინაშე მოწიწების და აღფრთოვანების ერთ-ერთი მიზეზი. ფაქტიურად ყველა ეს ფაქტორი ერთად ამ ეპოქის ევროპელისათვის ქართველებს საკრალურ ერად აქცევს ერთგვარად[12].

[11] კასპიის კარის, გოგის და მაგოგის ჩაკეტილი ხალხების, ალექსანდრე მაკედონელის მიერ კედლის აშენების თემას ენდრიუ რუნი ანდერსონმა მოუძღვნა ერთი ნიგნი და ერთი დიდი სტატია, სადაც დეტალურად არის ამ საკითხთან დაკავშირებული ასპექტები გაშუქებული. გვიანანტიკურობიდან მოყოლებული როგორ გადაკვეთ თავდაპირველად კასპიის ზღვის სამხრეთით მდებარე გასაკეტელის აღნიშვნელი ტერმინი „კასპიის კარი" დარიალისა და დერბენტის გასაკეტებზე, რომელ ავტორებთანაა ნახსენები ეს გასასვლელები, როდის აღნიშნავს კასპიის კარი დარიალს და როდის დერბენტს. აგრეთვე თუ როგორ დაუკავშირდა გოგის და მაგოგის მოტივს ათი დაკარგული ებრაული ტომის ლეგენდა. და, საერთოდ, გოგის და მაგოგის და ალექსანდრე მაკედონელის მიერ მათი დამწყვდევის მრავალი დეტალი: Andrew Runni Anderson, Alexander's Gate, Gog and Magog and the Inclosed Nations. Cambridge, Massachusetts 1932; Andrew Runni Anderson, Alexander at the Caspian Gates, in: Transactions of the American Philological Association LIX, 1928, გვ. 130-163. იგივე ანდერსონს თავის წიგნში (გვ. 71) მოყავს ვინცენტ დე ბოვეს საინტერესო ცნობა XIII საუკუნის შუა ხანებიდან, რომ თბილისში მყოფი ლათინი ბერები ეკითხებოდნენ ქალაქის მცხოვრებლებს ჩაკეტილი აპოკალიპტური ხალხების შესახებ, მაგრამ კონკრეტული ვერაფერი დაადგინეს.

[12] ვითარება იცვლება დაახლოებით რენესანსის ეპოქის კარტოგრაფიიდან მოყოლებული. ახალ აღმოჩენებს თან ერთვის საქართველოს სამეფოს დასუსტება და მნიშვნელობის დაკარგვა ევროპელთათვის. თუ საქართველოს სამეფოს სიმძლავრე და შუა საუკუნეების ევროპელების გეოგრაფიული წარმოდგენები განაპირობებდა იმ ფაქტს, რომ საქართველოს სამეფოს რუკებზე ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ეჭირა, ახალ აღმოჩენებსა და საქართველოს სამეფოს დასუსტება-დაშლასთან ერთად, ბუნებრივია, შედარებით ცენტრალურ ადგილს ვკარგავთ. საილუსტრაციოდ საკმარისია რენესანსის დროს აღორძინებული

გეიდოს რუკისა და, საერთოდ, მთელი შუა საუკუნეების (XIII საუკუნის ჩათვლით) დასავლეთევროპული კარტოგრაფიის ანალიზი ჩამდგილად მხარს უნდა უჭერდეს ქართველ მეცნიერთა (სურაბ ავალიშვილი, ალექსანდრე ნიკურაძე, შოთა ბადრიძე, შოთა ტიბილი) შეხედულებას, რომ დასავლეთევროპული ლეგენდა პრესბიტერ იოანეს (მძლავრი აღმოსავლელი ქრისტიანი მმართველის, რომელიც ჯვაროსანთა დასახმარებლად უნდა მოვიდეს აღმოსავლეთიდან) შესახებ შეიქმნა ჯვაროსანთა შორის დავით აღმაშენებლისა და დემეტრე მეფის შესახებ გავრცელებული ცნობების საფუძველზე.

პრესბიტერ იოანეს ლეგენდაზე დეტალური საუბარის შესაძლებლობა, სამწუხაროდ, აქ არ არის. პრესბიტერ იოანეს ლეგენდაზე შეკრებილი მაქვს საკმაოდ დიდი მასალა და უახლოეს მომავალში მას წიგნად გამოვცემ. აქ მხოლოდ მოკლე დასკვნას შევთავაზებ მკითხველს. ამ საკითხთან დაკავშირებული ევროპული და ქართული სამეცნიერო ლიტერატურის დეტალურ განხილვას აღნიშნულ წიგნში მოვიტან. იქვე დაურთავ გვიანანტიკური და შუა საუკუნეების დასავლეთევროპული გეოგრაფიული ელტბილდის დეტალურ ანალიზს, უკვე არა მარტო კარტოგრაფიული მასალის, არამედ ყველა უმთავრეს ისტორიულ და გეოგრაფიული ხასიათის ნაშრომზე დამყარებითაც. ევროპული კარტოგრაფიული მასალის ანალიზი კი აჩვენებს, რომ ქართულ ქრისტიანულ სახელმწიფოს მთელ აღმოსავლეთში ფაქტიურად ცენტრალური ადგილი უჭირავს და გეოგრაფიული თვალსაზრისით ხშირად ზუსტად თანხვდება იმ მონაცემებს, რომლებსაც პრესბიტერ იოანეს სამეფოსთან დაკავშირებით ეხედებით. პრესბიტერ იოანეს ლეგენდის ჩამოყალიბებაში საქართველოს სამეფოდან ევროპელებთან მისული ცნობები ფაქტიურად უმთავრეს როლს რომ ასრულებენ, ესეც აფასებენ იმ ფაქტს, თუ რა საკრალური დატვირთვა ჰქონდა ევროპელთა თვალში საქართველოს სამეფოს. რადგან პრესბიტერი იოანე გახლავთ მთელი აღმოსავლეთის მძლავრი ქრისტიანი მბრძანებელი, რომელმაც დასავლეთის ქრისტიანებიც უნდა იხსნას. ყველა ეს ფაქტი კი არაპირდაპირ ისევ იმ გარემოებაზე მიანიშნებს, რომ პორტოლანებზე ქართველებთან ჯვრიანი დროშის გაჩენა საესებით ლოგიკურია.

გეიდოს თუ სხვა რუკებიდან მართლაც ჩანს, რომ იგივე საქართველოს სამეფო ამ დროის ევროპელთა წარმოდგენაში მდებარეობს ქვეყნიერების დასალიერზე. ფაქტიურად შორეულ აღმოსავლეთში. აგრეთვე ხშირად საქართველო ინდოეთის უშუალო სიახლოვეს მოიაზრება, რასაც თავისთავად შეეძლო ხელის შეწყობა იმ გარემოებისათვის, თავდაპირველად უბრალოდ აღმოსავლეთის ქრისტიანი მეფე პრესბიტერი იოანე XII საუკუნის შუა ხანებიდან ინდოეთის მეფედ დაესახათ. სხვათა შორის, ის ფაქტიც, რომ პრესბიტერი იოანე ინდოეთის მეფედაა მინიშნული, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, თითქოს აქ მხოლოდ ინდოეთი იგულისხმებოდეს. რადგან ამ ეპოქის ევროპელთათვის ცნება ინდოეთი ხშირად მთელ აზიას, მათ შორის საქართველოსაც ფარავდა. ამის მაგალითია, რომ იმავე პრესბიტერ იოანეზე XII საუკუნის დასასრულის ერთ-ერთ ცნობაში ნათქვამია: პრესბიტერ იოანეს სასახლე აღმართულია ინდოეთში, მდინარე ეფრატზე. იგივე XIII საუკუნის პირველი ნახევარის ფრანგული წყაროს მიხედვით, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, იერუსალიმში გაშლილი დროშებით მომავალი ქართველების სამეფო ფაქტიურად ინდოეთში მოიაზრება[1]. საქართველოს

პტოლემეოსის კარტოგრაფიის ცალკეული ნიმუშები. თუმცა ქართველთა სიმამაცის შედეგად მძლავრი სახელი ქართველებს დასავლეთევროპელებთან ფაქტიურად XVIII-XIX საუკუნეებამდე რჩებათ და ეს ცალკეულ მემთხვევებში კარტოგრაფიაშიც აისახება ხოლმე, რისი ერთ-ერთი მაგალითიცაა 1559 წლით დათარიღებული დიოგო ჰომემის შავი ზღვის პორტოლანი, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

[1] ამ კუთხით საინტერესოა 1210-11 წლებით დათარიღებული, ბეზანსონის არქიეპისკოპოსისადმი მინერილი ცნობა. ფრანგი რაინდის ეს ნერილი მოაქვს რიპარდ პენიგსაც (Richard Hennig, Terrae Incognitae. Eine Zusammenstellung und kritische Bewertung der wichtigsten vorcolumbischen Entdeckungsreisen an Hand der darüber vorliegenden Originalberichte. Bd. 3, Leiden 1953². გვ. 13.). ოღონდ პენიგის თარგმანში ქართველები არიან არა იბერიელ ქრისტიანები, როგორც ეს ზურაბ ავალიშვილსა თუ სხვა ქართველ მეცნიერებთანაა, არამედ – ინდოელი ქრისტიანები. გერმანელი მკვლევარის მიერ მოტანილი ნერილის ეს ვარიანტი უაღრესად საინტერესო იქნებოდა შუა საუკუნეების ელტბილდის პოზიციებიდან, რომ არა ერთი გარემოება. პენიგი ნერილს ციტირებისას, ზურაბ ავალიშვილის მსგავსად, ემყარება რორიხტის გამოცემას, რორიხტთან კი მხოლოდ იბერიელ ქრისტიანებზეა ლაპარაკი: Reinhold Rohricht, Regesta Regni Hierosolymitani (MXCVII-MCCXCI). Neudr., New York. გვ. 233-234. როგორც ჩანს, გერმანელ მკვლევარს აქ მექანიკური შეცდომა მოუვიდა.

სამეფოს და ინდოეთის ერთმანეთში არეკას, ან ერთმანეთთან ახლოს მოაზრებას, მეტად ხელს უწყობდა ის ფაქტიც, რომ კავკასიისნი, როგორც ეს კარტოგრაფიული მონაცემებიდან განსაკუთრებით კარგად ჩანს, შუა საუკუნეების ევროპელთა წარმოდგენების თანახმად, ფაქტიურად იწყებოდა საქართველოში და მთაურდებოდა ინდოეთში. პრესბიტერ იოანეს ლეგენდასთან დაკავშირებით აგრეთვე მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტი: შუა საუკუნეების რუკებზე ხშირად, როგორც ვნახეთ, იბერია უშუალოდ ტიგროსთანაა მოთავსებული. ოტო ფონ ფრაიზინგის პრესბიტერ იოანესთან დაკავშირებულ ცნობაში ტიგროსს ცენტრალური ადგილი უჭირავს. შუა საუკუნეთა ევროპული კარტოგრაფიის ანალიზი გვიჩვენებს: საქართველოს სამეფოს ტიგროსთან მთავესება ჩვეულებრივი მოელენაა.

ამასთან, საინტერესო უნდა იყოს, როგორც ქართულ მეცნიერებაში ნაწილობრივ უკვე აღინიშნა, შემდეგი გარემოებაც: შედარებით გვიანდელ ცნობებში მტკვარს ხანდახან უწოდებენ ტიგროსი (მაგალითად, ჯოსაფატ ბარბაროსთან), ხოლო ესპანური XIV საუკუნით დათარიღებული „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნი", რომელშეც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, თვითონ ტიგროსს უწოდებს მტკვარს[14]. ხოლო მდინარე მტკვარი იგივე წიგნის ავტორის მიხედვით გახლავთ მდინარე ტიგროსი[15].

შუა საუკუნეების კარტოგრაფიაში, როგორც ვნახეთ და როგორც ქვემოთაც გამოჩნდება, არსებობს საუკუნოვანი ტრადიცია ამორძალების და გოგის და მაგოგის ხალხების საქართველოს სამეფოსთან უშუალო სიახლოვეს მოაზრების. 1165 წლით დათარიღებული პრესბიტერ იოანეს წერილის მიხედვით, ამორძალები და გოგის და მაგოგის ხალხები ემორჩილებიან პრესბიტერ იოანეს. როდესაც პრესბიტერი იოანე მტრებთან საბრძოლველად მიდის, გადმოყავს გოგის და მაგოგის ხალხები, რომელთა შორის წერილის ავტორი ასახელებს ალანებსაც! ანუ პირდაპირ ქართული სამეფოს რეალობაა აღებული[16].

აქვე კიდევ რამდენიმე მოტივს დავასახელებ, რომლებიც პრესბიტერ იოანეს ლეგენდაში ქართული სამყაროდან უნდა იყოს შესული. პრესბიტერი იოანეს მტრებთან ბრძოლისას ფიგურირებს სამი საათის და სამი დღის მოტივი. სამი საათის და სამი დღის ელემენტებს ვხვდებით დიდგორის ბრძოლასთან დაკავშირებითაც. პრესბიტერი იოანე ებრძვის სპარსეთის და მიდიის გამგებელ მეფე-ძმებს (ამ მოტივის მსგავსებაზე შოთა ბადრიძემ გააამახვილა ყურადღება). დავითი ჯერ ამარცხებს მიდიის გამგებელ სელჩუკიან თოღრულს, 1123 წელს კი – სპარსეთის სულტან მაჰმუდს, თოღრულის ძმას. მართალია, ამ შემთხვევაში უშუალო ბრძოლამდე საქმე არ მისულა, რაკი ქართველებს და ყიზილბაშებს შორის უთანხმოება ჩამოყარდა, მაგრამ როგორც ქართული, ისე აღმოსავლური წყაროებიდან ჩანს: დავითის მხარესაა სრული უპირატესობა და სულტანი მაჰმუდი სწორედ ქართველთა და ყიზილბაშთა შორის ჩამოვარდნილმა უთანმოებამ იხსნა. ერთი თვის შემდეგ დავითი ხელახლა შეიჭრება შირვანში. ამჯერად სულტანი აღარ გამოჩენილა. ყველაფერი ეს ლეგენდას ნამდვილად შეეძლო ერთ ბრძოლად გაემთლიანებინა.

პრესბიტერი იოანე სპარსეთის და მიდიის გამგებელი მეფე-ძმების დამარცხების შემდეგ იღებს ქალაქ ეკბატანას, ანუ ჰამადანს. დავითმა დიდგორის ბრძოლის მერე აიღო თბილისი. ხოლო სელჩან მაჰმუდთან შეტაკების შემდეგ – ანისი. ამასთან, იბნ ალ-ასირის ცნობების მიხედვით, მაჰმუდის რესიდენციაა სწორედ ჰამადანი და დავითთან საბრძოლველადაც ის ჰამადანიდან გამოემართა. ყველაფერი ეს, როგორც ჩანს, ჯვაროსნების ფანტაზიამ ერთ სურათში გააერთიანა.

პრესბიტერ იოანეს მტრები არიან სპარსელები, მიდიელები და ასურელები. ამ კონსტელაციით აღმოსავლეთის ხალხთაგან ეს ერები, დასავლეთევროპელთა მიხედვით,

[14] El Libro del conoscimiento de todos los reinos (The Book of Knowledge of all Kingdoms), გვ. 69. 79.

[15] El Libro del conoscimiento de todos los reinos (The Book of Knowledge of all Kingdoms). გვ. 101.

[16] მართალია, გოგის და მაგოგის მოტივი პრესბიტერ იოანეს წერილის ინტერპოლირებულ ვარიანტში გვხვდება, მაგრამ ამას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. სიმპტომატურია, რომ XII საუკუნის დასასრულის ინტერპოლატორისათვის პრესბიტერ იოანეს სამეფო ნანილობრივ სწორედ ქართულ რეალობას დაუკავშირდა და ქართული რეალობიდან აღებული მოტივით გაამდიდრა პრესბიტერ იოანეს სამეფო.

დაპირისპირებულნი არიან ქართველებთან. ეს კარგად ჩანს ეაკ დე ვიტრის თუ სხვა ევროპული ცნობებიდან, რომელთაც მკითხველი ზემოთ გაეცნო.

პრესბიტერი იოანე აერთიანებს საერო და სასულიერო ძალაუფლებას. ჯვაროსანთა შორის პრესბიტერ იოანეს ლეგენდის აღმოცენებამდე ცოტა ხნით ადრე ზუსტად ასე გააერთიანა დავითმა საერო და სასულიერო ხელისუფლება. ფაქტიურად სახელმწიფოს მეორე პირის, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის მთავრი ფუნქცია გახდა საერო და სასულიერო ხელისუფლების შეერთება. სხვათა შორის, როდესაც იგივე პრესბიტერ იოანეს წერილი გვეუბნება, თუ როგორ მიეცა საერო და სასულიერო ხელისუფლების გამაერთიანებელ აღმოსავლელ ქრისტიან ხელისუფალს, პრესბიტერ იოანეს ჯვრით ხელში თავისი არმია, გაეიხსენოთ ზემოთ მოტანილი ქართული ქრონიკების სურათები, როდესაც მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ქართულ არმიას ჯვრით ხელში მაჰმადიანთა წინააღმდეგ საბრძოლველად მიუძღვის.

ევროპელთათვის ნახევრად ზღაპრული ყველა ეს ინფორმაცია მძლავრი ქრისტიანი მეფის, საერო და სასულიერო ხელისუფლების გაერთიანების, მაჰმადიანთა დამარცხების, და მრავალი სხვა, ჯვაროსანთა წარმოდგენაში ერთმანეთს შეერწყა და ლეგენდარული გაფორმება ჰპოვა. თვითონ სახელ პრესბიტერ იოანეს ახსნისა და მისი სასულიერო ხარისხის განმარტებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი უნდა იყოს მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის, ანუ საქართველოს სამეფოს კანცლერის სახელო.

უაღრესად საინტერესოა: გიორგი მესამის დროს მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს ჰქონია სწორედ იოანე. სარგის კაკაბაძემ ერთ-ერთ თავის წიგნში პირდაპირ დაწერა, რომ ეს მწიგნობარ-თუხუცესი იოანე დასავლელებთან მღვდელმთავარ იოანეს სახელით იყო ცნობილი. ოღონდ ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით არავითარი სხვა გამამყარებელი არგუმენტი არ მოუტანია და ეს მოსაზრებაც ერთი წინადადების სახით დარჩა სხვა საკითხისადმი მიძღვნილ მის ნაშრომში. თან მოსაზრება იმგვარადაა წარმოდგენილი, თითქოს საყოველთაოდ ცნობილ ფაქტზე იყოს ლაპარაკი.

აქ გასათვალისწინებელია, იოანე საქართველოს კანცლერად წყაროებში პირველად მოხსენიებულია 1161 წელს, როდესაც გიორგი მესამეს ახლდა თან ანისის ალყის დროს. მანამდე მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, ანუ კანცლერი იყო სვიმონი, რომელიც 1141 წელს გარდაიცვალა. ამ ორ თარიღს შორის ვინ იყო სახელმწიფოს კანცლერი არ ვიცით, თუ დავუშვებთ, რომ იოანე მწიგნობართუხუცესად XII საუკუნის ორმოციანი წლების დასაწყისიდან შეიძლებოდა ყოფილიყო, ეს ფაქტი უაღრესად მნიშვნელოვანია პრესბიტერ იოანეს სასულიერო ხარისხის და სახელის ახსნისათვის. ამასთან, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის აღსანიშნავად საქართველოში გამოიყენებოდა მეორე ტერმინიც, სახელდობრ პროტოიპერტიმოსი, და, ბუნებრივია, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი გახლდათ სასულიერო პირი[17]. მაშინ პროტოიპერტიმოსი იოანე მეტად ემსგავსება პრესბიტერ იოანეს (პრესბიტერი ლათინურად მღვდელს აღნიშნავს).

შეიძლება ვიფიქროთ: დავითის შესახებ არსებული მონაცემები ჯვაროსნებთან შეერწყა საქართველოს კანცლერის, რომელიც საერო და სასულიერო ხელისუფლებას აერთიანებდა, შესახებ არსებულ ინფორმაციას. ოღონდ აქ გასათვალისწინებელია, რომ იოანე მწიგნობართუხუცესად დარჩა თამარის მეფობის პირველ წლებამდე. თუმცა თეორიულად დასაშვებია, ორმოციანი წლების დასაწყისშიც ყოფილიყო მწიგნობართუხუცესი. ნებისმიერ შემთხვევაში, გინდაც იოანე მწიგნობართუხუცესი 1145 წლის მერე გამხდარიყო, მის ფიგურას პრესბიტერ იოანეს ლეგენდისათვის მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს. რადგან პრესბიტერ იოანეს ლეგენდის ახალი აქტუალიზაცია სწორედ XII საუკუნის სამოციან წლებზე მოდის, როდესაც შეიქმნა ეგრეთ წოდებული პრესბიტერ იოანეს წერილი. ამ წერილის შექმნისა და ლეგენდის განახლებისათვის მძლავრი ქრისტიანული სახელმწიფოს კანცლერის

[17] მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელოსთან დაკავშირებით იხილეთ: როინ *მეტრეველი*, დავით IV აღმაშენებელი, თბილისი, 1986, გვ. 131-145.

ფიგურას მნიშვნელოვანი ბიბგი შეიძლებოდა მიეცა.

უშუალოდ პრესბიტერ იოანეს წერილშიც ეხვდებით მოტივებს, რომლებიც საეარაუდოდ დავით აღმაშენებელის პიროვნებაზე არსებული ლეგენდარული ცნობებიდან შეიძლება მომდინარეობდეს. ესენია, მაგალითად, შემდეგი ელემენტები: პრესბიტერ იოანესათვის მის სამეფოში არაფერია დამალული. აღმოსავლელი ქრისტიანი მმართველის საბრძანებელში უმაღლესი ქრისტიანული ზნეობის დაცვაა აუცილებელი. ეს მოტივები წერილის შემქმნელს, ცხადია, დავითის გარეშეც შეეძლო პრესბიტერ იოანესათვის მიეწერა. მაგრამ რაკი ამ ლეგენდის შექმნის საფუძველი უმთავრესად დავით აღმაშენებელის ფიგურა ნახს, დასაშვებია ამგვარი, დავითის მეფობისათვის დამახასიათებელი, შტრიხები წერილში მოხვედრილიყო სწორედ ქართული მასალის გათვალისწინების საფუძველზე. პრესბიტერის წერილს ზემოხსენებულ მოტივებთან დაკავშირებით დავითის ისტორიკოსის სიტყვებს თუ შეადარებთ, მართლაც უცნაური მსგავსებაა. ოღონდ პრესბიტერ იოანეს წერილში ამ მოტივების უფრო ზღაპრული ელფერი აქვთ მიცემული.

პრესბიტერ იოანეს სახელის და სასულიერო წოდების ახსნისათვის ასევე მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ის გარემოება, რომ დავით აღმაშენებელის დროს საქართველოს პატრიარქია იოანე. დავითის პირადი მოძღვარის სახელიც გახლავთ იოანე. ყველა ეს ცნობა ჯვაროსანთა ფანტაზიაში ერთმანეთს უნდა გადახლართოდა.

ამასთან, პრესბიტერ იოანეს წერილი არის აღმოსავლელი ქრისტიანი მმართველის მეუღლარა ბიზანტიის იმპერატორ მანუელ კომნენოსისადმი. ერთადერთი აღმოსავლელი ძლიერი ქრისტიანი მმართველი ამ დროს გიორგი მესამეა და 1161 წელს პრესბიტერ იოანეს წერილის შექმნამდე ცოტა ხნით ადრე, როდესაც მცირე აზიაში მეფე მანუელს ეახლა დამცირებული როჯერ ანტიოქიელი, იგივე ბიზანტიური წყაროები ახსენებენ, სხვა სახელმწიფოთა ელჩებთან ერთად ამის მომსწრე გახდნენო საქართველოს მეფის წარმომადგენლები. ამასაც შეიძლებოდა გარკვეული ბიბგი მიეცა პრესბიტერ იოანეს წერილის უცნობი ავტორისათვის. წერილის უფრო გვიანდელ ვარიანტში ლაპარაკია, რომ მანუელი ეახლება პრესბიტერ იოანეს მის სამეფოში და დარწმუნდება მის სიმძლავრეში. მანუელი არა, მაგრამ სამოცდაათიანი წლების დასაწყისში გიორგისთან სტუმრად ანდრონიკე კომნენოსი მართლაც იყო. თან გიორგიმ ანდრონიკე თან იახლა დერბენტსე, ანუ დასავლეთევროპელთა წარმოდგენით იმ ქალაქსე სალაშქროდ, რომელიც სამყაროს კიდეზე მდებარეობს და რომლის მიღმაც გოგის და მაგოგის აპოკალიპტური ხალხები არიან დამწყვდეულნი. მსგავს ინფორმაციებს, პალესტინამდე ჩასულთ, მერე ნამდვილად შეეძლოთ ის ფანტასტიური გაფორმება მიეღოთ, რასაც პრესბიტერ იოანეს წერილი გვთავაზობს შემდეგ. ამასთან, აღნიშნულ ეპოქაში ერთადერთი მძლავრი და საერთოდ ქრისტიანული სახელმწიფო ბიზანტიის აღმოსავლეთით არის საქართველოს სამეფო. ბიზანტიის იმპერატორ მანუელს კი სწორედ აღმოსავლეთიდან მოსდის პრესბიტერ იოანეს წერილი. გიორგი მესამეს ცუდი დამოკიდებულება გინდაც არ ჰქონოდა ბიზანტიასთან, ლეგენდას ამ ყველაფერის გაფორმება ნამდვილად შეეძლო. ამასთან, გიორგი მესამის დროს, როგორც ითქვა, სახელმწიფოს მეორე პირია საერო და სასულიერო ხელისუფლების გამაერთიანებელი იოანე მწიგნობართუხუცეს-ჭონდიდელი. ხოლო საქართველოს სახელმწიფოს ამირსპასალარი გახლავთ ივანე, ან იოანე ორბელი. პრესბიტერ იოანეს წერილის მიხედვით, პრესბიტერის კარზე პერიოდულად სტუმრობენ აღმოსავლეთის (აღებულია სამარყანდის და სუსას ლეგენდარული სახელები) წარჩინებული ქრისტიანი სასულიერო პირები, რომელთაც ანონიმი ავტორი პაპებად და პროტოპაპებად მოიხსენიებს. თუ გაეხსენებთ სირიული წყაროების ზემოთ განხილულ ცნობას, როდესაც მოსულიდან 1161 წელს გიორგი მესამეს ეახლება იაკობიტთა პატრიარქის მოადგილე, მსგავსება მართლაც განმაცვიფრებელია (ამასთან, პრესბიტერ იოანეს წერილი შეიქმნა 1165 წლისათვის).

დავითის შესახებ ევროპაში არსებული ინფორმაციის ხელახალი აქტუალიზაცია ხდება 1220 წლის ახლო ხანებში, როდესაც დამიეტასთან მეფე ჯვაროსნებთან კელავ იფეთქებს პრესბიტერ იოანეს ლეგენდა. ამჟამად აღმოსავლეთიდან მათ საშველად მოდის მეფე დავითი.

ეს მეფე დავითი, ჯვაროსანთა მიხედვით, ან პრესბიტერ იოანეს შვილია, ან – შვილიშვილი, ან კიდევ თვით პრესბიტერი იოანეა. მართალია, ამ დროს ლეგენდის ეს კომპლექსი ჯვაროსნებმა გადაიტანეს ჩინგიზ-ყაენზე, მაგრამ ინფორმაციის ძირითადი ნაწილი კელავ დავით აღმაშენებლის მეფობიდან მომდინარეობდა. 1221 წლით დათარიღებულ ეგრეთ წოდებულ მეფე დავითის რელაციის მიხედვით, მეფე დავითი ხარკს უხდიდა სპარსეთის სულტანს, შემდეგ აუჯანყდა და დაამარცხა ის. მინიშნებულია მეფე დავითის ბიბლიურ წინაპრებზე. ყველა ეს მოტივი აშკარად კელავ დავით აღმაშენებლის პიროვნებასთან დაკავშირებული ცნობებიდან მოდის. რელაციაში მეფე დავითის ერთ-ერთი წინაპარია სარგისი. რელაციო 1221 წლით თარიღდება. ამავე დროს ჯვაროსნები დახმარებას ელოდებიან ლაშა-გიორგისა და მისი ამირსპასალარის ივანე (იოანე) მხარგრძელისაგან. სავარაუდოდ ამ ფაქტსაც მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა პრესბიტერ იოანეს ლეგენდის გაცოცხლებაში. რელაციოს სარგისი, ყველა ნიშნის მიხედვით, გახლავთ ზაქარია და ივანე მხარგრძელების მამა, საქართველოს ამირსპასალარი თამარის დროს, სარგის მხარგრძელი. საქართველოს შესახებ არსებული ინფორმაცია, ძველი და ახალი მონაცემები, როგორც ჩანს, ლეგენდამ ერთმანეთთან დააკავშირა.

ლამბერ დე სენ-ომერის მსოფლიოს რუკა

XII საუკუნე

ლამბერ დე სენ-ომერის მსოფლიოს რუკაზე, წინა რუკებისაგან განსხვავებით, ჩნდება ერთი ახალი ლეგენდა[18]. ეს გახლავთ მეოთხე კონტინენტი. ის შუა საუკუნეთა გეოგრაფიულ ველტბილდში სამხრეთის კონტინენტის სახელითაა ცნობილი და, გავრცელებული წარმოდგენების მიხედვით, დაუსახლებელი გახლდათ დიდი სიცხის გამო. ასევე დაუსახლებელადაა ეს კონტინენტი ლამბერთან წარმოდგენილი. დანარჩენ პუნქტებში ლამბერის მსოფლიოს რუკა ტრადიციულ, შუა საუკუნეების გეოგრაფიულ ველტბილდს მისდევს. ოღონდ გეოგრაფიული თვალსაზრისით, ქვემოთაც ვნახავთ, ლამბერთან დიდი ქაოსი მეფობს.

ლამბერთან დასახლებული სამყარო სამ კონტინენტადაა დაყოფილი და ამ ქვეყნიერების ცენტრში მოთავსებულია არც ისე უსაშველოდ დიდი, როგორც სხვა რუკებზე, პალესტინა. ევროპის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში XII საუკუნეში თავისთავად საინტერესო ფაქტია ვანდალების გამოჩენა. ხმელთაშუა ზღვა ლამბერთანაც ქვემოდან იჭრება ევროპასა და აფრიკას შორის. შუაში მოჩანს მოზრდილი კუნძული, სიცილია. აფრიკაში ეხვდებით რამდენიმე ანტიკურ დასახელებას (მაგალითად, კართაგენი და ნუმიდია). გვიდოს მსგავსად, ლამბერთანაც ეგვიპტე გადასმულია ხმელთაშუა ზღვის ნაპირიდან აღმოსავლეთით, მხოლოდ სამხრეთის ოკეანედან ხმელეთში შემოჭრილი წითელი ზღვის ნაპირას. მოცემულია დიდი და მცირე ეგვიპტე და იქვე ეხვდებით ერთ აქტუალურ ისტორიულ დასახელებასაც. ეს არის ბაბილონი. ჯვაროსანთა ეპოქაში ბაბილონს უწოდებდნენ როგორც მთელ ეგვიპტეს, ასევე ქაიროსაც. ძნელი სათქმელია ლამბერი აქ ქალაქს გულისხმობს, თუ ქვეყანას. აღნიშნულ ფაქტს ჩვენთვის ამ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა არც აქვს. ოღონდ თუ გვიდოსთან სპარსეთის და ერაყის მოპირდაპირე მხარეს მოქცეულ ეგვიპტეს წითელი ზღვა მაინც ჰყოფდა ამ ქვეყნებისაგან, ლამბერთან ამ მხრივ სრული არეულობაა.

ეგვიპტის ჩრდილოეთით, ანუ მარცხნივ ლამბერთან განლაგებულია იდუმეა და არაბეთი, რომელთაგანაც ეგვიპტეს ჰყოფს მდინარე. ეს მდინარე თითქოს უნდა იყოს ნილოსი, რადგან ის ჩაედინება ხმელთაშუა ზღვაში. მაგრამ თუ აღნიშნულ გაურკვეველ მდინარეს

[18] Konrad Miller, Mappaemundi. Die ältesten Weltkarten, Bd. 3, Stuttgart 1895, Tabula 4.

სათავემდე აკეცებით, მიედინართ პირდაპირ მეორე მდინარემდე, საიდანაც ეს ეგვიპტის მდინარე გამოდის. და ეს მეორე მდინარე, არც მეტი, არც ნაკლები, გახლავთ ტანაისის, ევფრატის, ტიგროსის და კიდევ მეოთხე გაურკვეველი მდინარის მთლიანობა. გარდა ამისა, აქვეა მოთავსებული მეორე ნილოსი, რომელიც კვეთს მთელ აფრიკას და ერთმანეთთან აერთებს ატლანტის ოკეანეს და წითელ ზღვას! ეს ნილოსიც პირველ ნილოსთან ერთად ჩაედინება ხმელთაშუა ზღვაში. ამასთან, კიდევ ერთ საეჭვო შტოს უნდა უშვებდეს ხმელთაშუა ზღვის კენ დაახლოებით სიცილიის მოპირდაპირე მხარეს, სადაც ეს შტო თან ტრიტონის ტბადაც იქცევა[19].

ხმელთაშუა ზღვა მარცხნივ მთლიანად გახსნილია და აღმოსავლეთის მხარეს, არც მეტი, არც ნაკლები, უერთდება ჩრდილოეთის ოკეანეს. ვიდრე ხმელთაშუა ზღვა ჩრდილოეთის ოკეანეში გადავიდოდეს, მარჯვენივ იჭრება მცირედზე ხმელეთში. ეს გახლავთ შავი ზღვა. უკვე ჩრდილოეთის ოკეანის მხრიდან, მარცხნიდან ასევე შემოდის ხმელეთში ყურე და თითქმის უერთდება შავ ზღვას. ეს ყურე შესაძლოა იყოს კასპიის ზღვა. თუმცა ოდნავ ზემოთ კიდევ ორი ყურე ჩანს ხმელეთში, რომლებიც ასევე შეიძლება კასპიის ზღვას წარმოადგენდნენ. შესაძლოა ლამბერმა კასპიის ზღვა აქ რამდენიმე ნაწილად დაყო[20].

უკიდურეს აღმოსავლეთში ლამბერი ნახევარკუნძულის სახით ათავსებს სამოთხეს. რუკის მთელ გაყოლებაზე, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ჩარიგებულია კუნძულები. ჩრდილოეთის მხრიდან სამოთხესთან ყველაზე ახლოს მდებარე კუნძული, ლამბერის მიხედვით, არის კოლხეთი. ლამბერს პირდაპირ უკიდურეს აღმოსავლეთში მდებარე სამოთხედან გამოსდევს ოთხი მდინარე, რაც საკმაოდ უცნაურ კონსტელაციებს წარმოშობს რუკაზე. ყველაზე მარჯვენა მდინარე, სამოთხიდან გამოსული, საეარაუდოდ არის განგი, რომელიც იქვე ჩაედინება სამხრეთის ოკეანეში. განგიდან მარცხნივ მდებარე მეორე მდინარე, წესით, უნდა იყოს ინდი. სამოთხიდან გამომავალი მესამე და მეოთხე მდინარეები გახლავთ ტიგროსი და ევფრატი. ტანაისი გამოდის შავი ზღვიდან, მიედინება სამხრეთით და უაქტიურად ტიგროსსა და ევფრატთან ერთად ჩაედინება სამხრეთის ანუ ინდოეთის ოკეანეში. კიდევ ერთი გაურკვეველი მდინარე ტანაისს, ვიდრე ეს უკანასკნელი ტიგროსსა და ევფრატს შეუერთდებოდეს, აკავშირებს ჩრდილოეთის ოკეანესთან.

უკიდურეს აღმოსავლეთში, სამოთხესთან, კონტინენტზე მდებარეობს ინდოეთი. იქვე გაკეთებული წარწერა ინდოეთში ათავსებს მთვარისა და მზის ხეებს. აქ განსაკუთრებით კარგად ჩანს: შუა საუკუნეთა რუკები განათლებული აუდიტორიისათვის იქმნებოდა ძირითადად და ნაკითხი მკითხველისათვის ეს მშრალი და მოკლე ინფორმაცია თუ მინიშნება საუსვით საკმარისი გახლდათ, რათა საკითხთა მთელი კომპლექსი გადაშლოდა თვალწინ. რადგან ეს არის მოტივი „აღლექსანდრეს რომანიდან". უკიდურეს აღმოსავლეთში მისული ალექსანდრე მაკედონელი ნახულობს მთვარისა და მზის სასწაულებრივ ორ ხეს, რომლებიც მომაკვალს უწინასწარმეტყველებენ. იქვე, ინდსა და განგს შორის მოთავსებულია მიდია. შორეულ აღმოსავლეთშივე გადაინაცვლა მოაბის მხარემ. ქალდეამ, ბაბილონიამ

[19] ნილოსის დინებასთან დაკავშირებით, ზემოთაც ვნახეთ, შუა საუკუნეების რუკებზე დიდი არეულობაა. ამის ერთი მიზეზი ის არის, რომ არ იცოდნენ, სად იღებს სათავეს ნილოსი. ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან შემორჩა ცნობა: ცენტრალურ დასავლეთ აფრიკაში კიდევ უნდა არსებობდეს გარკვეული დიდი მდინარე. სავარაუდოდ ეს იყო ყურმოკრული ინფორმაცია მდინარეებზე სენეგალსა და ნიგერზე. რაკი აფრიკა გაცილებით მცირე ზომის ეგონათ, ეს მდინარეები ნილოსის ზედა წელად ჩაითვალა. ამიტომ გაჩნდა ვარაუდი, თითქოს ნილოსი სათავეს იღებდეს სადღაც ატლანტის ოკეანესთან. თუმცა საბოლოოდ ამ საკითხზე მანიც ვერ შეთანხმდნენ. ხან ვარაუდობდნენ, რომ ნილოსი დასავლეთში კი იღებს სათავეს, მაგრამ შემდეგ მინის ქვეშ იკარგება და ხელახლა ამოდის მინის ზედაპირზე, ხან კიდევ ნილოსის გარდა სხვა მდინარის არსებობასაც უშვებდნენ. მაგრამ ტიგროსის, ევფრატთან და ტანაისთან გაერთიანებით და ამ კონგლომერატიდან შემდეგ ნილოსის ერთი შტოს გამოყვანის, თუ მისი ნილოსთან დაკავშირებით, იმ ინფორმაციით, რაც მე მაქვს, ლამბერი უნიკალური შემთხვევაა.

[20] ლამბერ სენ-ომერის გეოგრაფიული ველტბილდი განცალკევებით არ დგას შუა საუკუნეებში. სამყაროს ამგვარ ხედვას მრავალ ლიტერატურულ ნაწარმოებშიც ვხვდებით. ამის მაგალითია XII საუკუნის გერმანული რომანი „ჰერცოგი ერნსტი", რომლის მთავარი პერსონაჟი აღმოსავლეთში მიდის სამოგზაუროდ, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი ნაწილიდან გადის ჩრდილოეთის ოკეანეში და იქ ხვდება ინდოეთიდან ასევე საზღვაო გზით ნამოსულ მოგზაურებს. როგორც გვიდოს რუკა შეიძლება ჩავთვალოთ ანსელუსის ცნობის კარტოგრაფიულ გამოსახულებად, ასევე შეგვიძლია ჰერცოგ ერნსტის ლიტერატურულ მოგზაურობას ლამბერის რუკაზე გავადევნოთ თვალი.



ლამბერ დე სენ-ომერის მსოფლიოს რუკა

და ასურეთმაც უფრო ამოსავლეთით, დაახლოებით შუა აზიისაკენ გადაიწიეს. ბაქტრია მოთავსებულია ჩრდილოეთ ოკეანის სანაპიროზე. პირკანია და დიდი ხნის წინ გამქრალი პართიის სამეფო შედარებით კორექტულად არიან ლოკალიზებულნი კასპიის ზღვის მიდამოებში.

შავ და საკარაუდო კასპიის ზღვას შორის, იქ სადაც ხმელთაშუა ზღვა ჩრდილოეთის ოკეანეს ერთვის, მოთავსებულია წარწერა, რომ ამ ადგილას ჩაამწყვდია ალექსანდრე მაკედონელმა ხალხები. ეს ადგილი გახლავთ აპოკალიპტური ხალხების სამყოფელი. ზღვებს შორის ვიწრო ყელი მთებითაა შეკრული. იქვეა წარწერა, რომ აქ ცხოვრობს ლაზების ხალხი[21]. ეს სურათი პირდაპირ თანხვედება როგორც ანსელუსის, ასევე, მაგალითად, ოლიეერუსის ცნობას. ლამბერ დე სენ-ომერის რუკაზე ქართველებთან დაკავშირებული მოტივი, შუა საუკუნეების მსოფლმხედველობის კვალობაზე, გეოგრაფიულად კორექტულადაა მოცემული. იქვე, ზღვის გადაღმა ჩაკეტილი ხალხების მხრიდან და ლაზების ჩრდილოეთით მოქცეულია ამორძალთა სამყოფელი. გოგის და მაგოგის ჩაკეტილი ხალხების მცველებად ქართველების დასახელით ლამბერ დე სენ-ომერის რუკასეც საქართველოს სამეფოსთან დაკავშირებულ სივრცეს ენიჭება საკრალური დატვირთვა.

წმინდა იერონიმუსის მსოფლიოს რუკა
XII საუკუნე

წმინდა იერონიმუსის მსოფლიოს რუკაზე მოულოდნელად ცენტრალურ ნაწილში მოთავსებულია უნეველოდ დიდი მცირე აზია[22]. მსოფლიოს რუკაზე, უფრო სწორი იქნება, თუ ამ რუკას მცირე აზიისა და მის აღმოსავლეთით გადაჭიმული მხარეების რუკას ვუწოდებთ. ცენტრში, როგორც ითქვა, მდებარეობს მცირე აზია, რომლის პროვინციები საკმაოდ კორექტულადაა მოტანილი და რომელთა აქ ჩამოთვლის აუცილებლობა ამჟამად არ არის. მცირე აზიის მარცხნივ ხმელეთში იჭრება შავი ზღვა. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოთავსებულნი არიან კოლხები და დატანილია ქალაქ დიოსკურიის გამომსახველი ნიშანი. მდინარე ფაზისი მოედინება კოლხეთის აღმოსავლეთით მოქცეული მთებიდან, მაგრამ შავ ზღვას რუკაზე ჩრდილოეთიდან ერთვის. კოლხეთის მარჯვენივ, შავი ზღვის კუთხეში, დაახლოებით ტრაპიზონის ადგილას რუკა განასახლებს ამორძალებს (მათ გვერდზეეე გადმოუსვამს რუკის ავტორს მცირე აზიის დასავლეთი ნაწილიდან ლიდია).

ალბანეთი მოქცეულია კოლხეთის მარცხნივ, ჩრდილოეთ ოკეანის სანაპიროზე. ალბანეთის ტერიტორიიდან მდინარე აქერონი მიედინება კასპიის ზღვაში, ანუ ჩრდილოეთ ოკეანის ყურეში. აქერონის ქვედა მდინარე, აგრეთვე კასპიის ზღვისკენ რომ მიდის, არაქსია. არაქსსა და აქერონს შორის მოთავსებულნი არიან საერომატები, პირკანიელები და მასაგეტები. იბერია არაქსის სამხრეთითაა გადმოტანილი.

საინტერესოა, რომ იერონიმუსის რუკა ფაქტიურად ორ კასპიის კარიბჭეს იძლევა, ერთს კოლხეთის აღმოსავლეთით, ანუ ზემოთ მოთავსებული მთაგრეხილის სახით, ხოლო მეორეს – იბერიის აღმოსავლეთით. კოლხეთის აღმოსავლეთით მდებარე მთაგრეხილზე მოთავსებულია ნოეს კიდობანი. არც ერთი კასპიის კარის გადაღმა (ორი კასპიის კარიდან ერთი უნდა აღნიშნავდეს დარიალს, ხოლო მეორე დერბენტს) იერონიმუსის რუკაზე გოგის და მაგოგის ხალხებს ვერ ვხედავთ. იერონიმუსის რუკაზეც ეხვდებით ზემოთ ნახსენებ პროცესს, რაც ნაწილობრივ XII საუკუნეში იღებს დასაბამს, გოგისა და მაგოგის ხალხების თანდათანობით აღმოსავლეთისკენ გადანაცვლების. იერონიმუსის რუკაზეც გოგის ხალხი მოთავსებულია რუკის ზედა მარცხენა მხარეს, ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის

[21] შუა საუკუნეების ევროპელები ქართველებს ხანდახან ლაზებად მოიხსენიებენ. ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ: Anna-Dorothee von den Brincken (1973), გვ. 110.

[22] Konrad Miller, Mappaemundi. Die ältesten Weltkarten, Bd. 3, Stuttgart 1895, Tabula 1.

ოკეანეების კუთხეში. თუმცა საქართველოს სამეფოს სიერცეს საკრალურობის ელემენტს ნოეს კიდობანი უნარჩუნებს. ისე, კოლხების და იბერების ჩრდილოეთით მოქცეული ხალხები და აქერონის მდინარე ნაწილობრივ იმეორებს მაინც იმ კონსტელაციას, რომ ჩრდილოეთის საშიში ხალხებისაგან თუ სიერცისაგან ქრისტიანული სამყაროს დაცვა ქართველებს ეკალებათ.

აქვე მოკლედ ნამოეთელი. როგორ არის რუკაზე განლაგებული რიგი დანარჩენი ქვეყნებისა, მდინარეებისა თუ ქალაქებისა. ეუფრატი და ტიგროსი მიედინებიან ჩრდილოეთიდან სამხრეთით. მათი მდებარეობა საკმაოდ ახლოსაა გეოგრაფიულ რეალობასთან. ერთადერთი, მდინარეების სათაავეა მეტად ზემოთ ამოწეული. ეუფრატსა და ტიგროსს შორის ჯერ მოთავსებულია დიდი სომხეთი, შემდეგ მოდის მესოპოტამია, ქალდეა და ბაბილონი. იბერიის გადაღმა უშუალოდ დატანილია ბაქტრია. ტიგროსს გადაღმა და ბაქტრიის სამხრეთით მდებარეობს პართია. პართიას აღმოსავლეთიდან შემოსაზღვრავს პაროპამისის მთები. პართიის სამხრეთით გამოსახულ მცირე მთაგრეხილთან განლაგებულია ქალაქები სელევკია, რეი და ეკბატანა. მათ სამხრეთით მიედინება მდინარე ჰიდასპისი, რომლის კიდევ უფრო სამხრეთით განლაგებულია მიდია და სპარსეთი. იქვეა ქალაქები პერსეპოლისი და სუზა. შემდეგ უკვე მოდის მდინარე ინდი და ინდს გადაღმა ინდოეთი.

კავკასიის და ტავროსის მთებს რუკის ავტორი ათავსებს მხოლოდ აღმოსაველეთში, ბაქტრიელთა იქით, კასპიის ზღვის ოდნავ ზემოთ და მარჯვნივ. იქვე სათაავეს იღებენ მდინარეები განგი და ოქტოროგორა. ისინი მიედინებიან აღმოსაველეთის ოკეანეში. განგის მარჯვნივ ეხედავთ ალექსანდრე მაკედონელის მიერ შუა აზიაში დაარსებულ ქალაქ ალექსანდრიას. ალექსანდრიის კიდევ აღმოსაველეთით მდებარეობს [illegible], ანუ დაახლოებით დღევანდელი აეღანეთი. ინდის აღმოსაველეთით მდებარე მდინარე ჰიპანისის გადაღმა მოთავსებულია ალექსანდრე მაკედონელის მიერ დამარცხებული პოროსის სამეფო. კუნძული თაპრობანე, ცეილონი მოჩანს კონტინენტის მარჯვენა კუთხესთან. აღმოსავლეთის ოკეანეში გაფანტულია არგირის, ქრისეს და ტილოსის ლეგენდარული თუ ნახევრად ლეგენდარული კუნძულები.

ფსალმუნის მსოფლიოს რუკა

XIII საუკუნე

ფსალმუნის მსოფლიოს რუკაზეც (რუკის დასახელება ერთგვარად პირობითია, რუკა ფსალმუნის ტექსტს დაერთვოდა თან). ქვეყნიერების უკვე კარგად ნაცნობ განლაგებას ეხედავთ[2]. სამყაროს გარს ერტყმის თორმეტი ქარი, სიმბოლურად მოცემული კონკრეტული გამოსახულებებით. ქვეყნიერება იყოფა სამ კონტინენტად. ქვეყნიერებას შემორკალავს მსოფლიო ოკეანე. მსოფლიო ოკეანეში გაფანტულია კუნძულები. რუკის ქვედა მარცხენა მეოთხედი უკავია ევროპას. ევროპის ქვემოთ, ანუ დასაველეთით მოთავსებულია ბრიტანეთის კუნძული. იქვეა ირლანდიაც. მკაფიოდაა გამოსახული რომი, ასევე საბერძნეთი. საბერძნეთში უშუალოდ grecia-ს გარდა მოცემულია ასევე წარწერები macedonia და archadia. შესაბამისად, ისევ ანტიკური ელემენტი შემოდის რუკაზე. ევროპული ქვეყნებიდან, მხარეებიდან თუ ქალაქებიდან მოცემულია: დალმაცია, კოლონია, იგიეე კიოლნი, ჰუნგარია (უნგრეთი), ბურგუნდია, შოტლანდია...

ევროპასა და აფრიკას შორის ფსალმუნის რუკაზეც ქვემოდან იჭრება ხმელთაშუა ზღვა. ხმელთაშუა ზღვაში ჩანს კუნძულები: უსომოდ დიდი სიცილია, კრეტა. რუკის მარჯვენა ქეედა მეოთხედი და ზედა მარჯვენა მეოთხედის ნაწილი ტრადიციულად უჭირავს აფრიკას. აფრიკის ქეედა მარცხენა კუთხეში ცენტრალურ ადგილას მდებარეობს კართაგენი. კონტინენტის უკიდურეს სამხრეთში, რომელიც, ჩვეულებრივ, შუა საუკუნეების

[2] Konrad Miller, Mappaemundi. Die ältesten Weltkarten, Bd. 3, Stuttgart 1895, Tabula 3; P. D. A. Harvey, Medieval Maps (1991), გვ. 27.

ევროპაში მთლიანად ეთიოპიის სახელით აღინიშნებოდა, მოთავსებული არიან საოცარი, მონსტრუალური ადამიანები. მათი გამოსახულებანი საკმაოდ მკაფიოდ ჩანს რუკებზე და ამ საკითხზე აღარ გაეჩერდები. ნილოსი მოედინება ზემოდან ქვემოთ, აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. ნილოსის პირველ განტოტებაში. მოთავსებულია მეროე, ეთიოპიელთა დედაქალაქი. ნილოსის მეორე განტოტებაში ჩაწერილია: ბაბილონია, ანუ ეგვიპტე. როგორც ითქვა, დასავლეთევროპელები შუა საუკუნეებში ეგვიპტეს ბაბილონსაც უწოდებდნენ. ნილოსის პირას ეხედავთ ასევე ქალაქებს: პელუზიუმი, მემფისი. ნილოსი ალექსანდრიასთან ქმნის დელტას და ჩადინება ხმელთაშუა ზღვაში.

ეგვიპტეში ანტიკურ ქალაქთა და მხარეთა გვერდით ჩნდება აქტუალური სახელიც, რომელიც დასავლეთევროპელთათვის განსაკუთრებით კარგად იყო ნაცნობი მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობიდან მოყოლებული. ეს არის დამიეტა. ეგვიპტისათვის ტერმინ'ბაბილონიის' ხმარება ასევე რეალურ, რუკის შექმნის თანადროულ გეოგრაფიულ ცოდნას მიუკუთვნება. რადგან, როგორც ითქვა, შუა საუკუნეთა დასავლეთევროპელები ეგვიპტეს უმეტესწილად ბაბილონიით აღნიშნავდნენ. თუმცა ფსალმუნის რუკის უცნობი ავტორი ტერმინ ეგვიპტესაც გეთავაზობს. ეს დასახელება მოთავსებულია წითელი ზღვის სანაპიროზე. ამ შემთხვევაში წარწერა ეგვიპტის აქ დატანა მეტად თუ ნაკლებად კორექტულია, რადგან ეგვიპტე წითელ ზღვასაც ესაზღვრება. ხოლო ნილოსის შესართავი და ეგვიპტეში ქალაქები მართებულადაა მოთავსებული აფრიკის სანაპიროზე ევროპის მოპირდაპირე მხარეს. განსხვავებით ფსალმუნის რუკისაგან, ზოგიერთ ზემოთ განხილულ რუკაზე, მაგალითად, ლამბერ დე სენ-ომერთან, ეგვიპტე სპარსეთის და ლამის ინდოეთის მოპირდაპირე სანაპიროსაა გადასმული. ოღონდ ფსალმუნის რუკაზე წითელი ზღვის სანაპიროზე ეგვიპტის განლაგების კორექტულობა, ცხადია, მაინც პირობითია შემდეგი მიზეზის გამო: ეგვიპტე აღმოსავლეთის მხარეს უყურებს არა არაბეთის ნახევარკუნძულს (რომელსაც, როგორც ასეთს, ფსალმუნის რუკა არ ცნობს), არამედ უზომოდ გაზრდილი პალესტინის ნაწილს და სპარსეთს. ამ გეოგრაფიულ შეცდომას განაპირობებდა ის ფაქტი, რომ დასავლეთევროპელებმა, ერთის მხრივ, იცოდნენ: ეგვიპტე მდებარეობს წითელი ზღვის სანაპიროზე. მეორეს მხრივ კი, დასავლეთევროპულ გეოგრაფიულ ველტბილდში წითელი ზღვა ხშირად ინდოეთის ოკეანესთან იყო გაერთიანებული. ეს გეოგრაფიული შეცდომა ფსალმუნის რუკაზეც კარგად ჩანს. ამას გარდა,აფრიკა თავის ნამდვილ ზომაზე გაცილებით პატარა წარმოედგინათ, ხოლო აფრიკის სამხრეთი კიდე ინდოეთის უშუალო სიახლოვეს მდებარედ მოიაზრებოდა. ამიტომ აფრიკას ერთგვარად სიგანეში აგრძელებდნენ აზიის გასწვრივ. სწორედ ამ მიზეზების გამო აღმოჩნდება ხოლმე შუა საუკუნეების რუკებზე ეგვიპტის ნაწილი სპარსეთის თუ ინდოეთის მოპირდაპირე მხარეს.

აზიის კონტინენტზე, რუკის ცენტრში, მთავარი ადგილი უჭირავს იერუსალიმს და კელავ და კელავ ზომაზე გაცილებით დიდ პალესტინას. პალესტინაში ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე აქტუალური, თანადროული გეოგრაფიიდან მომდინარეობს აკარონის, ანუ აკრას დასახელება. ეხედებით აგრეთვე ბიბლიურ სახელებს: ბეთლემი, სიონის მთა, იერიქონი, გენეზარეთი. პალესტინა შუამდინარეთისგან შემოზღუდულია გაურკვეველი მთაგრეხილით. საინტერესოა,რომ პალესტინიდან თითქმის იგივე მანძილია მესოპოტამიამდე, რაც შუამდინარეთიდან აღმოსავლეთის ოკეანემდე. ეს ფაქტი, ერთის მხრივ, აიხსნება იმ გარემოებით, რომ წმინდა მსოფლმხედველობრივი მიზეზის გამო შუა საუკუნეთა რუკების ავტორები საკრალურ ადგილებს მთავარ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ამიტომ ხშირად მასშტაბის ფაქტორი გვერდზე რჩებოდა. ამას ემატებოდა შემდეგი გარემოებაც: დასავლეთევროპელებს საკმაოდ დიდხანს აზიის ნამდვილი სიდიდის შესახებ მეტად მცდარი წარმოდგენა ჰქონდათ.

ფსალმუნის რუკა მონღოლების გამოჩენის შემდეგაა შექმნილი. მაგრამ შუა საუკუნეების კარტოგრაფიული ველტბილდი ფაქტიურად უძრავი სახით არის შენარჩუნებული. მთელი კატაკლიზმებიდან, რაც თან ახლდა მონღოლთა გამოჩენას (აღნიშნული მოვლენების შესახებ მართალია ლეგენდარული, მაგრამ საკმაოდ დაწერილებითი ცნობები უკვე

1221 წლისათვის ცნობილი იყო), რუკაზე არაევროპული 	ali არ ჩანს. ერთადერთი, მორცხვად ჩნდება ეგვიპტურ ქალაქ დამიეტას სახელი, დასავლეთევროპულ გეოგრაფიულ ელტბილდში მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის პროდუქტი.

შუა საუკუნეების კარტოგრაფთა ამგვარი სიჯიუტე ახალი გეოგრაფიული ცოდნის მიმართ ალბათ ისევ რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი მოტივით უნდა აიხსნებოდეს. მართალია, ქრისტიანების შუა საუკუნეთა კარტოგრაფიული ხატი ძირითად შტრიხებში ფაქტიურად ანტიკურ მოდელს მისდევს, მაგრამ სამყაროს ანტიკურმა ხატმა ერთგვარი გამოცდა გაიარა ადრე შუა საუკუნეებში ეკლესიის მამებთან და თავისი საბოლოო სახე მიიღო. შესაბამისად, შუა საუკუნეთა ქრისტიანების ხატი ლეგიტიმირებულია ურყევი ავტორიტეტების, ეკლესიის მამების მიერ. ამიტომ აღნიშნულ ხატში ყოველგვარი ცვლილება შუა საუკუნეების ადამიანის ელტბილდში კატაკლიზმებსაც იწვევდა და მსოფლმხედველობრივი პოზიციებიდანაც ეს სიახლეები ქრისტიანულ წესრიგში მყოფი ადამიანისათვის მაინცდამაინც მისაღები არ იყო. რადგან ემსხვრეოდა სამყაროს ტრადიციული ხატი და ძალაუნებურად რელიგიურად დაკანონებული მყარი ფორმის თუ დოგმის წინააღმდეგ წასვლისკენაც უბიძგებდნენ ეს ცვლილებანი.

აზიასა და აფრიკას შორის ზემოდან, აღმოსავლეთის ოკეანის მხრიდან იჭრება ზღვა. ეს არის ინდოეთის ოკეანე, გამთლიანებული წითელ ზღვასა და სპარსეთის ყურესთან. როგორც ფიქრობ, პალესტინას შუამდინარეთისგან ყოფს მთაგრეხილი. ევფრატი, ერთის მხრივ, კორეულად მოედინება წინა აზიაში მოთავსებული მცირე მთებიდან. მაგრამ ფსალმუნის მსოფლიოს რუკის ავტორს სურს ოთხი მდინარის სამოთხიდან გამოსულის ბიბლიური ცნობის შეხამებაში მოყვანა ამ მდინარეთა რეალურ განლაგებასთან. ეს გარემოება რუკაზე საკმაო არეულობას წარმოშობს.

სამოთხეს ეხედავთ უკიდურეს აღმოსავლეთში, ოღონდ ჯერ კიდევ კონტინენტზე. სამოთხის შიგნით ჩანს ადამისა და ევას გამოსახულება. სამოთხეს წრიულად გარს ერტყმის სამკუთხედები. იგულისხმება, რომ ეს არის მთები. ამასთან, შუა საუკუნეთა გეოგრაფიული წარმოდგენების თანახმად, სამოთხის გარშემო განლაგებული მთები უაღრესად მაღალია, რაც სამოთხეს ადამიანებისათვის მიუვალს ხდის.

სამოთხიდან გამოსული პირველი მდინარე მარცხენა მხარეს გახლავთ განგი. რაკი რუკის ავტორს განგი სამოთხიდან გამოყავს, ამასთან, განგის, ასე ეთქვათ, მიწიერ წყაროსაც ტოვებს რუკაზე, ამიტომ განგს ფაქტიურად რუკაზე ორი სათავე აქვს, რომელთა შორისაცაა მდინარე გაწოლილი. სამოთხიდან გამოყვანილი მეორე მდინარეა ევფრატი. ევფრატსაც, განგის მსგავსად, ორი სათავე აქვს. ერთი სამოთხეში, ხოლო მეორე წინა აზიაში განლაგებულ მთებში. მდინარე ფაქტიურად მათ აერთებს. თავისთავად საინტერესო ფაქტია განგის და ევფრატის ერთმანეთის გვერდით მოთავსება. ამასთან, განგის სათავეებიდან არარატის მთამდე აღარც ისე შორი მანძილია ფსალმუნის რუკაზე. ოღონდ ევფრატი ფსალმუნის რუკაზე ორჯერაა მოცემული. პირველი ევფრატი აერთებს წინა აზიის მთაგრეხილს და სამოთხეს, ხოლო მეორე ევფრატი მოკრძალებულად სჯერდება თავის ტრადიციულ ადგილს. მართალია, სამოთხიდან გამოსული ევფრატის გვერდითაც არის გარკვეულ ხანს, ოღონდ მიედინება მართებულად, ანუ სამხრეთით, ინდოეთის ოკეანესა თუ სპარსეთის ყურისაკენ. წინა აზიაშიევ ეს ევფრატი ქმნის პატარა შუამდინარეთს.

მაგრამ ნამდვილი შუამდინარეთი ფსალმუნის რუკაზე მიმართულია აღმოსავლეთისკენ, ებჯინება სამოთხეს და ლამის აღმოსავლეთის ოკეანეს. რადგან ფსალმუნის რუკის ავტორს ტიგროსი წინა აზიიდან გადაუსვამს უკიდურეს აღმოსავლეთში. მეორე ევფრატისაგან განსხვავებით, ტიგროსს წინა აზიაში სათავე აღარა აქვს. ტიგროსი გამოდის სამოთხიდან და ჩაედინება პირდაპირ ინდოეთის ოკეანეში თუ სპარსეთის ყურეში. ტიგროსის შემდეგ სამოთხიდან გადმოიღვრება კიდევ ორი მდინარე: ჯეონი და ფისონი. ჯეონი უნდა იყოს ამუდარია, ფისონი შუა საუკუნეებში ტრადიციულად აღნიშნავს განგს, მაგრამ ამ რუკაზე რაკი განგი ცალკეა მოთავსებული, ფისონი შესაძლოა გულისხმობდეს მდინარე ინდს. ზედმეტი გულმოდგინებისაგან რუკის ავტორს, ეტყობა, სათვალავი აერია და სამოთხიდან

ოთხი ბიბლიური მდინარის მაგივრად ხუთი მდინარე გამოიყენა.

ორ ეუფრატსა და ტიგროსს შორის მოთავსებულია თეოდოსიპოლისი (ოუ ეს თეოდოსიპოლისი მცირე აზიის თეოდოსიპოლისი, იგივე არზრუმია, მაშინ აქაც საკმაოდ გაბედულ ეგოგრაფიულ ნახტომთან გვაქვს საქმე, მცირე აზიიდან უკიდურესი აღმოსავლეთის მიმართულებით). ელამი, ნინევია. ტიგროსს გადაღმაა სპარსეთი. ტიგროსის, ჯეიონის და სპარსეთის უშუალო სიახლოვეს დატანილია ინდური ქალაქი პალიბოთრა, რომელიც სინამდვილეში ინდოეთის ნახევარკუნძულის სიღრმეში მდებარეობდა. თვითონ ინდოეთის ნახევარკუნძული რუკაზე არ ჩანს. სამოთხის მარჯვენივ რუკის ავტორი განალაგებს მთვარის და მზის ხეებს, რომლებზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

ფსალმუნის რუკას შავი ზღვა და ხმელთაშუა ზღვა წინა აზიასთან მეტად მცირედ შეეკავა ხმელეთში და ამიტომ მცირე აზიის კონტურები მაინცდამაინც კარგად არ ჩანს. მცირე აზიაში მოთავსებულია ტროა და კაპადოკია. აზიის მთელი ჩრდილოეთი ნაწილი ფსალმუნის მსოფლიოს რუკაზეც შემოზღუდულია ერთიანი მთაგრეხილით. მთის სახელს რუკა არ იძლევა, მაგრამ იგულისხმება, რომ ეს არის კავკასიონი. კავკასიონს გადაღმა, ქვედა კეთხესთან ეხედავთ პირკანიას. პირკანიის იქით ორ ვიწრო ხაზად იჭრება ხმელეთში ჩრდილოეთის ოკეანედან კასპიის ზღვა. გოგისა და მაგოგის წარწერა აქ მოთავსებული არ არის, მაგრამ რიგორც ყველა დანარჩენ რუკაზე, ფსალმუნის მსოფლიოს რუკაზეც ამ ჩაკეტილ სივრცეს ტრადიციულად მკვეთრად ნეგატიური ღირებულება აქვს მინიჭებული. კავკასიონში ჩანს კარი, ეს არის კასპიის კარიბჭე. კასპიის კარის რუკაზე მოთავსებაც ამ ფორმით გულისხმობს: მის გადაღმა უარყოფითი ნიშნების მატარებელი ხალხები უნდა იყვნენ ჩაკეტილნი. კავკასიონს გადმოღმა თავისი ადგილი უჭირავთ ლიდ და მცირე ალბანეთს, ამორძალების სამეფოს. მტკვარი და არაქსი ფსალმუნის რუკაზე ქმნიან ერთგვარ შუამდინარეთს, რომელშიც მოქცეულია არარატის მთა და არარატის მთაზე მოთავსებული ნოეს კიდობანი. არარატის მთის იქით ორი მდინარე კელავ ერთდება და მტკვარი, ან არაქსი, კასპიის ზღვის ნაცვლად, რომელიც კავკასიონს გადაღმაა ჩაკეტილი ბარბაროს ხალხებთან ერთად, მიედინება, არც მეტი, არც ნაკლები, ჩრდილოეთის ოკეანეში. ამდენად, კავკასიონს გადმოღმა სივრცეს, ჩაკეტილი ხალხების შემაკავებელი კასპიის კარებით და არარატის მთაზე მდებარე ნოეს კიდობანით, ფსალმუნის მსოფლიოს რუკაზეც საკრალური დატვირთვა აქვს.

ებსტორფის მსოფლიოს რუკა

1235 წელი

ებსტორფის მონასტერი მდებარეობს გერმანიის ქვემო საქსონიის მხარეში, ქალაქებს ლუნებურგსა და ჰანოვერს შორის. ებსტორფის მონასტერი დაარსდა XII საუკუნეში. თავიდან ბენედიქტინელთა მონასტერი. რეფორმაციის დროს გადააკეთეს ქალთა მონასტრად და ქალთა მონასტრადვე რჩება დღემდე.

ებსტორფის რუკა ითვლება შუა საუკუნეების დასავლეთევროპული კარტოგრაფიის შედევრად[24]. რუკის დიამეტრი სამნახევარი მეტრია. ავტორი უცნობია. ეარაუდობენ, რომ ალბათ ბენედიქტინელი ბერი იყო. რუკის სიმაღლე იყო 3,58, ხოლო სიგანე – 3,56 მეტრი. ვიდრე საუკუნეების განმავლობაში ფერები სიხასხასეს დაკარგავდნენ, რუკა გაცილებით ლამაზი უნდა ყოფილიყო. რიგი ფერების აღდგენა, რომელთაც შუა საუკუნეებში იღებდნენ გარკვეული კომბინაციებით, დღესაც კი დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

[24] ებსტორფის მსოფლიოს რუკაზე საუბარისას ვემყარები შემდეგ ლიტერატურას: Anna-Dorothee von den Brincken, Mappa mundi und Chronographia. Studien zur imago mundi des abendländischen Mittelalters, in: Deutsches Archiv für Erforschung des Mittelalters 24, 1968, გვ. 118-186; Hanno Beck, Geographie. Europäische Entwicklung in Texten und Erläuterungen, München 1973, გვ. 63; Konrad Miller, Die Ebstorfkarte, eine Weltkarte aus dem 13. Jahrhundert, Stuttgart und Wien 1900; Leo Bagrow, R. A. Skelton, Meister der Kartographie,

ებსტორფის რუკის ხელახალი აღმოჩენის ისტორია ამგვარია. დაახლოებით 1830 წელს რუკა ებსტორფის მონასტრის ერთ-ერთ სათავსში იპოვა ვინმე შარლოტე ფონ ლასპერგმა. რუკა პირველად მოხსენიებულია 1832 წელს გაზეთ „ჰანოვერში ციიტუნგში". ეს ცნობა რუკის შესახებ ეკუთვნის პასტორ აიხელს. შემდეგ რუკა საჯაროდ გამოიფინა ებსტორფის მონასტერშიც. მაგრამ ერთ-ერთმა დამთვალიერებელმა ამოჭრა და მოიპარა რუკის ზედა მარჯვენა მხარის საკმაოდ მოზრდილი ნაწილი. ამის მერე რუკა სასწრაფოდ გადიტანეს ქალაქ ჰანოვერში და საჯაროდ აღარ გამოუფენიათ. რუკა მოათავსეს სამშობლოს არქივში (Vaterländisches Archiv). ებსტორფის რუკის ჰანოვერში გადატანის მერე რუკის პირველ აღწერას იძლევა რაინდი ბლუმენბახი 1834 წელს. 1835 წელს არსდება ქვემო საქსონიის ისტორიული გაერთიანება და ებსტორფის რუკაც სამშობლოს არქივიდან ინაცვლებს აღნიშნულ ორგანიზაციასთან და მათთანვე რჩება შემდგომ ხანებშიც. 1888 წელს ებსტორფის რუკას ბერლინში გაუკეთდა რესტავრაცია. 1891 წელს დაიბეჭდა ატლასი რუკის რეპროდუქციით, რომელიც დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. მალევე კონრად მილერი აქვეყნებს რუკის ზუსტ ასლსა და მასთან დართულ გამოკვლევას. რუკის ორიგინალური ზომის ასლი დაცულია აგრეთვე ქალთა მონასტერ ებსტორფში. ებსტორფის რუკა განადგურდა 1943 წლის 8-9 ოქტომბერს ქალაქ ჰანოვერის დაბომბვისას.

ებსტორფის მსოფლიოს რუკა სავარაუდოდ თარიღდება 1235 წლით. ებსტორფის რუკის შექმნის დრო 1300 წელსაც ვარაუდობდნენ. თუმცა უფრო მართებული რუკის XIII საუკუნის პირველი ნახევრისათვის მიკუთვნების შეხედულება. გერვასიუს ტილბერიელს მიუნიშნეს ებსტორფის რუკის შექმნის ინიციატორად. გერვასიუსი სწორედ 1235 წლის ახლო ხანებში სათაევში ედგა ებსტორფის მონასტერს. გერვასიუსის ნაშრომში „Otia imperialia" (XIII საუკუნის პირველი მეოთხედი) სწორედ უდიდესი ადგილი ეთმობა აღმოსავლეთის საოცრებათა აღწერას (გერვასიუსის ერთ-ერთი მთავარი წყარო ამ ნაშრომისათვის გახლავთ ზემოთ ნახსენები „ფარსმანის წერილი"). ებსტორფის მსოფლიოს რუკა, ისევე როგორც ჰერეფორდის მსოფლიოს რუკა, ამკობდა ეკლესიის საკურთხეველს.

ებსტორფის რუკის უცნობი ავტორი რუკაზე მუშაობისას ემყარებოდა შემდეგ ავტორებსა და ნაწარმოებებს: ისიდორ სევილიელი, ოროზიუსი, ჰონორიუს აუგუსტოდუნენსისი, ადამ ბრემენელი, გერვასიუს ტილბერიელი, ეთიკუს ისტერი, „ტროას რომანი", „ალექსანდრეს რომანი". მთლიანობაში ებსტორფის რუკაზე მოცემულია 1200-მდე ლეგენდა. ამ მხრივაც ყველაზე მდიდრულია შუა საუკუნეების რუკებს შორის.

თუ დავაკვირდებით, ებსტორფის რუკის ზედა ბოლოში მოთავსებულია მაცხოვარის თავი, მარჯვენა და მარცხენა მხარეებზე – ხელები, ხოლო ქვედა ბოლოში – ფეხები. ებსტორფის რუკაზე მაცხოვარის გამოსახულებასთან დაკავშირებით ორი შეხედულება არსებობს. ან რუკის ავტორს სურდა ეჩვენებინა, რომ ქვეყნიერება იგიეე მაცხოვარის სხეულია, ან კიდევ დედამიწის მიღმა მდგარ მაცხოვარს ერთგვარად ხელებით უჭირავს მთელი ქვეყნიერება. წმინდა ეიზუალური თვალსაზრისით ალბათ პირველი ვარაუდი უფრო გამართლებული ჩანს. ებსტორფის რუკის ავტორი თითქოს მთელ სამყაროს მოიაზრებს მაცხოვარის ჯვარცმულ სხეულად.

Berlin 1963, გვ. 52; Georges Grosjean, Rudolf Kinauer, Kartenkunst und Kartentechnik. Vom Altertum bis zum Barock, Bern 1970, გვ. 23-24; Walter Rosien, Die Ebstorfer Weltkarte, Hannover 1952; Hartmut Kugler, Die Ebstorfer Weltkarte. Ein europäisches Weltbild im deutschen Mittelalter, in: Zeitschrift für Deutsches Altertum und Deutsche Literatur 116, 1987, გვ. 1-29; Konrad Miller, Die Ebstorfkarte, Stuttgart und Wien 1903; Konrad Miller, Mappaemundi. Die ältesten Weltkarten, Bd. 5, Die Ebstorfkarte, Stuttgart 1896; Ein Weltbild vor Columbus. Die Ebstorfer Weltkarte, Interdisziplinäres Colloquium 1988, hrsg. von Hartmut Kugler in Zusammenarbeit mit Eckhard Michael, Weinheim 1991; Jörg-Geerd Arentzen, Imago mundi cartographica. Studien zur Bildlichkeit mittelalterlicher Welt- und Ökumenekarten unter besonderer Berücksichtigung des Zusammenwirkens von Text und Bild, München 1984, გვ. 140-147; Anna-Dorothee von den Brincken, Kartographische Quellen. Welt-, See- und Regionalkarten, Brepols 1988, გვ. 32; Herma Kleege, Weltbild und Darstellungspraxis hochmittelalterlicher Weltkarten, Münster 1991, გვ. 87-89; Ivan Kupčik, Alte Landkarten. Von der Antike bis zum Ende des 19. Jahrhunderts, Hanau 1980.

ებსტორფის რუკა მდიდარია ყველანაირი გამოსახულებებით. შეიძლება ითქვას: გაცილებით ლამაზია დანარჩენ შუა საუკუნეების რუკებზე. ყოველ რეგიონში რუკის ავტორი ათავსებს მისი წარმოდგენით აღნიშნული მხარისათვის დამახასიათებელ ცხოველს (მაგალითად: კაპადოკიაში ცხენს, ინდოეთში თუთიყუშს, მაროკოში სპილოს...). ებსტორფის რუკის განლაგება ტრადიციულად მისდევს შუა საუკუნეების მსოფლიოს რუკების მოდელს, რის შესახებაც უკვე ბევრჯერ გვქონდა საუბარი. ქვეყნიერებას შემორკალავს მსოფლიო ოკეანე ცალკეული კუნძულებით. რუკის ქვედა მარცხენა კუთხეში მოთავსებულია ევროპა. აქ ევროპის გამოსახულება უფრო დიდია, ვიდრე ზემოთ განხილულ სხვა რუკებზე. ევროპა ერთგვარად გაფართოვდა აზიის ხარჯზე. ევროპასა და აფრიკას შორის ქვემოდან იჭრება ხმელთაშუა ზღვა. ხმელთაშუა ზღვა პალესტინასთან უხვევს მარცხნივ, მიდის ჩრდილოეთით, სადაც ლამის ჩრდილოეთის ოკეანეს ებჯინება, შემდეგ აკეთებს ბოლო ზიგზაგს და ეს გახლავთ შაი ზღვა. რუკის ზედა მარჯვენა მხარიდან კონტინენტში ასევე შემოდის მსოფლიო ოკეანის ყურე. აღნიშნული ყურე არის ინდოეთის ოკეანე, სპარსეთის ყურე და წითელი ზღვა. როგორც ზემოთ განხილული რუკების ნაწილზე. თუმცა ებსტორფის რუკაზე საზღვარი ინდოეთის ოკეანეს, სპარსეთის ყურეს და წითელ ზღვას შორის მაინც უფრო თვალსაჩინოა, ვიდრე სხვა შუა საუკუნეების რუკებზე.

ევროპა. ებსტორფის რუკაზე განსაკუთრებით დეტალურადაა ის მხარე გამოსახული, სადაც რუკა შეიქმნა, ქვემო საქსონია, ლუნებურგის და ჰანოვერის გარშემო მდებარე რეგიონი. ხმელთაშუა ზღვის ცენტრში მოჩანს დიდი კუნძული, სიცილია. სიცილიის ახლოს ხმელთაშუა ზღვა ორ ყელად იჭრება კონტინენტში და საკმაოდ მკვეთრად გამოყოფს ბალკანეთის ნახევარკუნძულს. ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქვემოთ გამოსახულია სამკუთხედის ფორმის მქონე აპენინის ნახევარკუნძული.

აფრიკა. როგორც ითქვა, აფრიკა ებსტორფის რუკაზე ცოტათი შეკავებულია ევროპამ. აფრიკას უკავია ქვედა და ზედა მარჯვენა მეოთხედების დაახლოებით სამი ოცდარი. ნილოსი ტრადიციულად მოედინება ზემოდან, აღმოსაელეთიდან და ალექსანდრიასთან ჩადის ხმელთაშუა ზღვაში. მდინარებისას, ფსალმუნის მსოფლიო რუკის მსგავსად, აქაც ქმნის ორ შუამდინარეთს. ნილოსის სამხრეთით, მთელი კონტინენტის გასწვრივ, დატანილია მეორე მდინარე, სავარაუდოდ ისევ ნილოსი. ნილოსის ამგვარი გაორების მიზეზებზე ზემოთ უკვე გექონდა ლაპარაკი.

მთელი უკიდურესი სამხრეთი აფრიკა რუკაზე დასახულია ეთიოპიად. მრავალი საოცარი არსება, რომელთა შესახებაც რუკის ავტორს ინფორმაცია გააჩნდა, მოთავსებულია ინდოეთსა და ეთიოპიაში, უმთავრესად მაინც ეთიოპიაში. ინდოეთში განალაგებს კინოკეფალებს, ანუ ძაღლისთავიანებს, იხტიოფაგებს, ანუ თევზის მჭამელებს, საოცარ ცხოველებს, ურჩხულებს. ეთიოპიაში, აფრიკის კონტინენტის უკიდურესი სამხრეთი ნაწილის მთელ გაყოლებაზე, ჩამწკრივებულია საოცარ, მონსტრუალურ ადამიანთა (მაგალითად, ცალი ფეხის მქონენი, ამ ერთ უზარმაზარ ფეხს მზისაგან საჩრდილობლად რომ იყენებენ) მთელი ამქარი. აქაც ეხვდებით იხტიოფაგებს, რომელთაც ალექსანდრე მაკედონელმა აუკრძალა თევზის ჭამა (თუ რატომ, არ ვიცით). ეს მონსტრუალური რასები ებსტორფის რუკაზე არც ნეგატიურ ელემენტს ატარებენ, არც პოზიტიურს. რუკის ავტორი ერთგვარად ნეიტრალურად იძლევა მის ხელთ არსებულ ინფორმაციას საოცარი ხალხების შესახებ. ამასთან, იმდენად გაიტაცა, ეტყობა, მონსტრუალური რასების თემამ, რომ, განსხვავებით სხვა რუკებისაგან, ისინი ერთ შრედ კი არ მოათავსა აფრიკის უკიდურეს სამხრეთში, არამედ ეგვიპტეს ჩამოაკლო გარკვეული ტერიტორია და იქვე განალაგა შედარებით მცირე ზომის პლასტად მონსტრუალური რასების დანარჩენი ნაწილი. ეთიოპიაშივეა საოცარი ჩიტი პელიკანი.

აზია. ტრადიციულად შუა საუკუნეების კარტოგრაფიისათვის, ებსტორფის რუკაზეც აზიას უდიდესი ადგილი უკავია. აზიის ზედა, მარჯვენა მხარეს, აღმოსავლეთის ოკეანედან შემოჭრილ ინდოეთის ოკეანესთან მოჩანს საკმაოდ მოზრდილი ცარიელი ადგილი. ეს გახლავთ ის ნაწილი, რომელიც XIX საუკუნის პირველ ნახევარში უცნობმა დამთვალიერებელმა ამოჭრა, როდესაც რუკა გამოფენილი იყო ებსტორფის მონასტერში.

რუკის ცენტრში ეხედავთ არაბუნებრივად დიდ პალესტინას. აქვეა იერუსალიმი,მაცხოვარის გამოსახულებით ცენტრში. პალესტინის ოდნავ ზემოთ და მარცხნივ, ვერტიკალურად მოთავსებულია მცირე სომის მთაგრეხილი,საიდანაც სათავეს იღებენ ევფრატი და ტიგროსი, რომელთა მდინარება ასე თუ ისე კორექტულადაა რუკაზე მოცემული. შუამდინარეთში მოჩანს ბაბილონის გოდოლი. მის ყველა სართულს სხვადასხვა ფერი აქვს. ტიგროსის შემდეგ დიდი მდინარეა ინდი. ინდი მოედინება ჩრდილოეთით მდებარე კავკასიონიდან, პორიზონტალურად კვეთს მთელ აზიას და ჩადის ინდოეთის ოკეანეში. შესაბამისად, ინდს გადაღმა მდებარე მთელი სიერცე მოაზრებულია ინდოეთად. ამგვარი შეხედულება ზუსტად შეესატყვისება გვიან ანტიკურ და შუა საუკუნეების ევროპულ გეოგრაფიულ მონაცემებს. როდესაც ინდოეთს დასავლეთიდან საზღვრავს მდინარე ინდი და ასურეთი (ასურეთი ებსტორფის რუკაზეც მდინარე ინდს ემიჯნება),ჩრდილოეთიდან – კავკასიის მთა, აღმოსავლეთიდან – აღმოსავლეთის ოკეანე, ხოლო სამხრეთიდან – ინდოეთის ოკეანე, ან აღმოსავლეთის თუ სამხრეთის ოკეანის ყურე.

უკიდურეს აღმოსავლეთში მოთავსებულია მაცხოვარის თაეი. მაცხოვარის თაეის გამოსახულების გვერდით, მარცხნივ, ეხედავთ სამოთხის სურათს. სამოთხეში, სიცოცხლის ხესთან ჩანან ადამი და ევა. ადამიანები სამოთხეში, ბუნებრიეია, არ ცხოერობენ. სამოთხე გარშემორეკილია ზეცამდე ასული, ცეცხლოვანი კედელით. ადამის მარცხნივ მოცემული ოთხი პაერი და ლურჯი ხაზი გულისხმობს სამოთხის ოთხ მდინარეს. ებსტორფის რუკის მიხედვით, ოთხი ბიბლიური მდინარე გამოდის სამოთხიდან, იკარგება მიწაში და შემდეგ ქვეყნიერების სხვადასხვა ადგილას ამოხეთქავს.

მაცხოვარის თაეის გამოსახულების მარჯვნივ მოჩანს მთვარისა და მზის ხეებთან მდგომი აღლექსანდრე მაკედონელი, რომელიც თაეისი მომაეალის წინასწარმეტყველებას ელოდება. აქედანაც ნათელია, რა მეარად ეჭირა თაეისი ადგილი შუა საუკუნეთა ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში ალექსანდრე მაკედონელს, რომ შუა საუკუნეების კარტოგრაფია მის სურათს სამოთხის უშუალო სიახლოვეს ათავსებს (ეს გარემოებაც მეარ ლიტერატურულ ტრადიციას ემყარება. „ალექსანდრეს რომანის" ერთი ეარიანტის, ეგრეთ წოდებული „სამოთხის გზის" მიხედვით, მთელი მსოფლიოს დაპყრობის შემდეგ ალექსანდრე მაკედონელმა სამოთხის დაპყრობაც მოინდომა, რაც ეერ შესძლო. ამის მერე უარი თქვა წარმართულ ამპარტავნებაზე და იმ სათნოებებით შეიმოსა, რომლებსაც შემდგომში ქრისტიანობა თაეის კუთვნილად აცხადებდა). საერთოდ, ალექსანდრე მაკედონელი რუკაზე ათჯერაა მოხსენიებული,უფრო სწორედ,ალექსანდრე მაკედონელთან დაკავშირებული ლეგენდების ციკლიდან რუკაზე ათამდე მოტივს ეხედებით (ხიდი არაქსზე, გოგის და მაგოგის ჩაკეტილი ხალხები, მთვარისა და მზის ხეები...). ებსტორფის რუკის ბოლომდე გაგება შუა საუკუნეებშიც შეუძლებელი იქნებოდა იმ მნახველისათვის, ვინც საფუძვლიანად არ იცნობდა „ალექსანდრეს რომანს".

მკედარი ზღვის ზემოთ, პალესტინის ოდნავ მარჯვნივ მდებარეობს არაბეთის ნახევარკუნძული. აქვე ლეგენდა იძლევა ფენიქსის ისტორიას. მოცემულია აგრეთვე ფენიქსის დაწვის და ფერფლიდან აღდგომის სურათი. არაბეთის სიახლოვეს განთავსებულია ებრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლის ზუსტი ტოპოგრაფია. მესოპოტამიას და სპარსეთს ქვემოდან საზღვრავს ევფრატი, ზემოდან – ინდი. მათ შორისაა მოქცეული, როგორც ითქვა, ტიგროსი. ასურეთი მოთავსებულია ტიგროსის ორივე მხარეს. იქვეა ქალაქები ასური, ნინეეია და არბელა. ეს უკანასკნელი ალექსანდრე მაკედონელის დარიოს'ხე გამარჯვებამ გახადა შუა საუკუნეებისათვის ცნობილი. ბაბილონიის მარცხნივ მდებარეობს სუსიანა. სუსასთან წარწერა გვამცნობს, რომ აქ არის კიროსის სასახლე, თეთრი ქვით ნაგები და ოქროს სვეტების მქონე. უფრო მდინარე ინდისკენაა დატანილი მიდია. აქვე თაეისი ადგილი აქვს პართიასაც. ყოველ რეგიონთან მოცემულია უამრავი ლეგენდა, დაკავშირებული ანტიკურ თუ შუა საუკუნეების ისტორიასთან,ზღაპრულ-ფანტასტიურ ამბებთან. აღნიშნულ ლეგენდათა განხილვის ადგილი და საშუალება ამჯერად, რა თქმა უნდა, არ არის.

ერთადერთი, აქ მოკლედ შეეეხები ინდოეთის რამდენიმე საოცრებას. ალექსანდრე

მაკედონელის ქვემოთ, მარჯვნივ დახატულნი არიან გიმნოსოფისტები. ისინი დილიდან საღამომდე უყურებენ მცხუნვარე მზეს, რათა მომავალი განჭვრიტონ. მათ გვერდით რუკა წარმოადგენს კინოკეფალებს, ანუ ძაღლისთავიანებს, მშეილდითა და ისრით. გვერდ'ზეა საოცარი ცხოველი Eale, ცხენის ტანით, ტახის კბილებით, სპილოს კუდით და ერთი წერთის სიგრძე ეშვებით. ზემოთ აღმართულან გრიფონებისა და ურჩხულების გამო მიუვალი ოქროს მთები. შემდეგ მიდის ჯიხეის მოტივი (Steinbock, Ibex). ლეგენდა დაწილობრივაა შემორჩენილი, ხოლო სურათი რუკის იმ ნაწილზე იყო, რომელიც დამთვალიერებელმა მოიპარა. რუკის ლეგენდის მიხედვით, ჯიხვი ცხოვრობს უმაღლეს კლდეებზე და მისი ორი რქა გააზრებულია როგორც ძველი და ახალი აღთქმის თანხმობა. აქედანაც ჩანს, როგორ არის რუკა ქრისტიანული მსოფლმხედველობით გამსჭვალული მთლიანად. ეს მოტივი აგრძელებს ადრექრისტიანული, შუა საუკუნეთა ევროპაში უაღრესად პოპულარული „ფიზიოლოგუსის" ტრადიციას. „ფიზიოლოგუსი" არის ბუნების აღწერა. მაგრამ ბუნების ნებისმიერი მოვლენა, ცხოველი თუ თევზი განიმარტება როგორც საკრალური მნიშვნელობის მქონე. ბუნებას თავისთავადი ღირებულება და მნიშვნელობა კი არა აქვს, არამედ მისი ყოველი ნაწილი გამოხატავს ზეციურ-ქრისტიანულ ჭეშმარიტებებს (მაგალითად, უხსენებელი შეესატყვისება წარმართებსა და ერეტიკოსებს).

ახლა გადავიდეთ რუკის ჩვენთვის საინტერესო, ზედა მარცხენა ნაწილის განხილვაზე. მთელ ჩრდილოეთ აზიას ებსტორფის რუკაზე შემოსაზღვრავს კავკასიის მთა. კავკასიონის გადაღმა ეხედავთ კასპიის ზღვას, რომელიც ჩრდილოეთის ოკეანიდან იკრება ხმელეთში. ჩრდილოეთში მოთავსებული არიან გოგის და მაგოგის ხალხები, კავკასიონს გადაღმა ალექსანდრე მაკედონელის მიერ ჩაკეტილნი. ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, გოგის და მაგოგის ხალხებმა ანტიქრისტეს გამოჩენისას უნდა გადმოანგრიონ ჯვარები. მაშინ ისინი მთელ ქვეყნიერებას დაარბევენ და მოაოხრებენ (იოანეს გამოცხადება: 20,7). ებსტორფის რუკაზე აღნიშნულ ადგილას გაკეთებული წარწერაც ასევე გვამცნობს, რომ გოგის და მაგოგის ხალხები კავკასიის გადაღმა ჩაკეტა ალექსანდრე მაკედონელმა და ისინი ჯვბირებს გამოტეხაეენ ანტიქრისტეს მოსელისას. გოგის და მაგოგის სამყოფელი ტოპოგრაფიულად ნეიტრალური ზონა არ არის. შუა საუკუნეთა ადამიანისათვის ის გახლავთ ერთგვარი „ბოროტების ცენტრი", ღმერთის საწინააღმდეგო რეგიონი. ეს შეფასება ფაქტიურად ერცელდება ებსტორფის რუკაზე კავკასიის გადაღმა გადაჭიმულ მთელ სივრცეზე, რომელიც სკვითიად მოიხსენიება რუკის ავტორის მიერ. რეგიონი სავსეა საზარელი ხალხებით (Massageti, Derbees...), კაციჭამია ცხენისფეხება ანთროპოფაგებით, ასევე კაციჭამია თურქებით. გოგის და მაგოგის საცხოვრებელის გვერდითაა მოთავსებული პირკანიაც. კასპიის ზღვის ზემოთ რუკაზე მოცემულია ჩაკეტილი გოგის და მაგოგის გამოსახულება, სადაც გოგის და მაგოგის წარმომადგენლები პირდაპირ კანიბალიზმით არიან დაკავებულნი.

კავკასიონს გადმოღმა მხარეს დაახლოებით შემდეგი სურათია. რუკის დეტალის მარჯვენა კიდეში, კავკასიონს აქეთ, მოჩანს არარატის მთა, ზედ ნოეს კიდობანი, შიგნით ნოე (რომელიც მუდამ ღრმად მოხუც ადამიანად წარმომედგინა, აქ კი ნოე საკმაოდ ახალგაზრდად გამოიყურება) და მტრედი, სასიხარულო ცნობის მომტანი ნოესთვის. არარატის მთის და ნოეს კიდობანის ზემოთ მიედინება მდინარე, რომელიც ერთგვარად ხვრეტს კავკასიის მთას და ჩადის კასპიის ზღვაში. ეს მდინარე, სავარაუდოდ, უნდა იყოს არაქსი. არარატის მთის და ნოეს კიდობანის ქვემოთ ეხედავთ მეორე მდინარეს, რომელიც ჩადის ჩრდილოეთის ოკეანეში. ეს მდინარე, სავარაუდოდ, არის მტკვარი. აღნიშნულ მდინარესა და კავკასიის მთას შორის დატანილია ალბანური ძაღლის გამოსახულება. ლეგენდა საკმაოდ დეტალურად ეხება მას. რუკაზე მიწერილი ლეგენდა ასევე გვამცნობს: ალბანეთში ცხოვრობს 26 ხალხი. ალბანური ძაღლის შემდეგ ეხედავთ ორი შეიარაღებული ქალის სურათს. ესენი არიან ამორძალთა დედოფლები მარპესია და ლამპეტა, იქვეა მათი ციხე-სიმაგრე.

ამორძალთა დედოფლების ქვემოთ ჩანს ასევე ციხე-სიმაგრის აღმნიშვნელი

გამოსახულება, იქვეა ორი შეიარაღებული მეომარი. ეს არის კასპიის კარი, ანუ დერბენტი. ქალაქ დერბენტთან (civitas Terbant) მოცემული ლეგენდა გვეუბნება: ეს ხალხი პირკანიელებთან მუდმივ ბრძოლაშია, რათა პირკანიელებმა ჯებირები არ გადმოარღვიონ და ქვეყნიერება არ გააუდაბურონ. აღნიშნული ერის საილუსტრაციოდ მოტანილია ორი მეომარის გამოსახულება, რომლებიც დერბენტთან სადარაჯოზე დგანან. გაურკვეველია ეკუთვნის თუ არა დერბენტის კომპოზიციას ქვემოთ მოთავსებული მესამე მეომარის სურათი.

ებსტორფის რუკაზე დატანილია აგრეთვე კოლხეთის სამეფო, კოლხების, ოქროს საწმისის,მეფე აიეტის (Oeetas),ქალაქ დიოსკურიის,მდინარე ფაზისის გამოსახულებით. სამი ლეგენდა მოკლედ ეხება აღნიშნულ საკითხებს. ზედა ლეგენდა გვატყობინებს: მეცნიერები კოლხეთში ათავსებენ ოქროს საწმისს, იასონის მიერ მოპოვებულს, რაც ტროას ომის დაწყების მიზეზი გახდა. მეორე ლეგენდა ახასიათებს თვითონ ოქროს საწმისს, რომელიც არგონავტებმა იასონის ხელმძღვანელობით მოსტაცეს მეფე აიეტს. მესამე ლეგენდაში ლაპარაკია ქალაქ დიოსკურიას დაარსებაზე.

კოლხების ციხე-სიმაგრე მდებარეობს შავი ზღვის ზედა,აღმოსავლეთ კიდესთან. ოღონდ იქვე შავი ზღვის ამ ნაწილს რუკის ავტორი არცთუ მაინცდამაინც ზუსტად უწოდებს კიმერიის ბოსფორს. კოლხების ციხე-სიმაგრეზე ჩანს ოქროს საწმისის გამოსახულება თეთრ ფონზე. რას აღნიშნავს მის მარჯვნივ მოთავსებული სურათი ციხე-სიმაგრეზე, ჩემთვის გაურკვეველია. ყველის და ოქროს საწმისის სურათი კიდევ ერთხელაა იქვე განთავსებული, კოლხების გამოსახულებისა და ლეგენდის წარწერის ქვემოთ. ციხე-სიმაგრის მარცხნივ წარმოდგენილია კოლხების გამოსახულება. ოღონდ აქ სავარაუდოდ ბერძნებსაც უნდა ეხედებოდეთ.

ეს არის ეხრაკაციანი კომპოზიცია. შედგება სამი დამოუკიდებელი ნაწილისაგან. თითოეული ნაწილი აერთიანებს სამ ფიგურას. აქედან მარჯვენა ექვსი ფიგურა არიან კოლხები. მარცხენა სამი ფიგურა შესაძლოა იყვნენ ბერძნები. რომ მარცხენა სამი ფიგურაც კოლხები არ არიან, ეს თითქოს კომპოზიციიდანაც უნდა ჩანდეს. მარჯვენა ექვს ფიგურას აერთიანებს ჩაცმულობის სტილისტიკაც და მათ ერთგვარად უკავიათ დამხვდურის პოზიცია სამი მარცხენა ფიგურის მიმართ. ხოლო სამი მარცხენა ფიგურა ისეა გამოსახული, თითქოს ისინი კოლხებთან მოდიან.

აქ კიდევ შევეხები რუკის ერთ წარწერას კოლხებთან დაკავშირებით. კავკასიონის მთა მოიცავს სკვითეთსაც და კასპიის ზღვასაც, სახღვრავს აგრეთვე ინდოეთს ჩრდილოეთიდან. რუკაზე გაკეთებული წარწერა გვამცნობს: კავკასიონი აღმოსავლეთში იწყება სერების (ჩინეთის) ზღვასთან და თითქმის ევროპამდე გრძელდება. კავკასიის მთაზე ცხოვრობენ ამორძალები, მასაგეტები, კოლხები და სარდები (სარმატები). ეს წარწერა ერთი გარემოებითაცაა ჩვენთვის საინტერესო. კავკასია თითქმის ევროპამდე გამოდის გადაჭიმული. ეს რუკაზეც კარგად ჩანს და ფაქტიურად საქართველოს ტერიტორია ებსტორფის რუკაზე არც აზიას ეკუთვნის და არც ევროპას. ებსტორფის რუკაზე საქართველოს ტერიტორიას უკავია ერთგვარად შუალედური ადგილი ევროპას და აზიას შორის.

დერბენტის მცველ მეომრებშიც ხადიან ჰხოლოდ ქართველები შეიძლება იგულისხმებოდნენ. როგორც ზემოთ განხილული დასავლეთევროპული ცნობებიდან ჩანს, კასპიის კარის, ანუ დერბენტის მცველებად დასავლეთევროპელებისათვის მოიაზრებიან ქართველები. არც ერთი სხვა ერისათვის შუა საუკუნეების დასავლეთევროპულ ელლტბილდს დერბენტის, ან საერთოდ კასპიის თუ კავკასიის კარის დაცვის ფუნქცია არ მიუნიჭებია. ამ ტრადიციას,რაც ზემოთაც ენახეთ ლამბერ დე სენ-ომერის რუკის მაგალითზე, სადაც ლაზების ერი იცავს გოგის და მაგოგის გადმოსასვლელს, აგრძელებს დასავლეთევროპული კარტოგრაფიაც.

ამ შემთხვევაში არც იმას აქვს პრინციპული მნიშვნელობა, ებსტორფის რუკა 1235 წლისთვისაა შექმნილი (ეს შეხედულება გაცილებით უფრო დამაჯერებელია), თუ – 1300 წლის ახლო ხანებში. 1235 წლისათვის დერბენტი თავისთავად საქართველოს სამეფოშია და ანსელუსის ცნობისა თუ ლამბერ დე სენ-ომერის მსოფლიოს რუკის თანახმად,

დასავლეთევროპელებისათვის ეს ფაქტი XII საუკუნის დასაწყისიდან ცნობილია (ანსელუსის ცნობა ან ლამბერ დე სენ-ომერის რუკა დარიალის გულისხმობს თუ დერბენტს, ამ შემოხვევისათვის პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ორივეგან გოგის და მაგოგის გადმოსასვლელსაა ლაპარაკი და შესაძლოა XII საუკუნის ეს ორი ინფორმაცია ასე დეტალურად დარიალსა და დერბენტს ეერც ასხვავებდეს ერთმანეთისგან. მთავარია, აქ ლაპარაკია ჩაკეტილი ხალხებისკენ მიმავალი გზის დაცვაზე). შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარე მიული სივრცე რომ დასავლეთევროპელთათვის საქართველოდ მოიაზრება 1300 წლისთვისაც. ამას კარგად მოწმობს მარკო პოლოს ზემოთ განხილული ცნობაც, სადაც ლაპარაკია საქართველოს სამეფოზე და ამ სამეფოში მდებარე კასპიის კარზე. მარკო პოლოსთან, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, მხოლოდ დერბენტზე და არა დარიალზე. სხვათა შორის, თვით მონღოლების გამოჩენის შემდეგაც კი ქართველები მოიაზრებოდნენ არა მარტო დერბენტთან ან დარიალთან კავშირში, არამედ კვლავ ჩაკეტილი ხალხებისგან დამცველთა კონტექსტში. ამას მოწმობს ოლივერუსის ცნობა, სადაც ქართველთა საცხოვრებელი კვლავ ჩაკეტილი ხალხების ახლოს, კასპიის მთების აქეთ თავსდება, და ფაქტიურად იგივე იგულისხმება ვინსენ დე ბოვეს ტექსტშიც.

დერბენტის მცველთა ქართველობას ებსტორფის რუკაზე ადასტურებს ტანისამოსიც, სახელდობრ, ქუდები. სასურველია, ამ ქუდების საკითხს აქ უფრო დეტალურად შეეეხოთ. დერბენტის მცველ ორ მეომარს ახურავს გრძელი ქუდები. ასეთივე მაღალ ქუდებს ფლობს კოლხების კომპოზიციაში მარჯვენა სამი ფიგურა. ოღონდ კოლხების აღნიშნულ ქუდებსა და დერბენტის მცველების ქუდებს შორის ერთი მცირე განსხვავებაა. დერბენტის მცველთა ქუდები, ასე ვთქვათ, სწორად ადის ზემოთკენ, ამასთან, მარცხენა მცველის ქუდს დაჰყვება ქობა, ხოლო მარჯვენა სამი კოლხის ქუდი, მართალია, დაახლოებით იგივე სიგრძისაა, რაც დერბენტის მცველთა ქუდები, მაგრამ სამივე კოლხის ქუდი ბოლოვდება ერთგვარი მოხრილი ბოლოთი, ჭვინტით. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს მარჯვენიდან მესამე ფიგურასთან კოლხების გამოსახულებაში. ამასთან, მარჯვენიდან მეორე კოლხის ქუდზე დატანებული ქობა უფრო ფართო და სქელი ჩანს, ვიდრე იგივე ქობა მარცხენა დერბენტის მცველის ქუდზე.

როგორც ზემოთ განხილულ დასავლეთევროპულ ცნობებში ვნახეთ, ებსტორფის რუკის შექმნამდე რამდენიმე დასავლეთევროპული წყარო გვიდასტურებს ქართველებთან ერთი წყრთის სიგრძის მაღალი ქუდების არსებობას. ამგვარ ცნობას გვთავაზობს, მაგალითად, XII საუკუნის დასასრულის მეხუთე ანონიმი. XIII საუკუნის პირველი ნახევარის ანონიმი გინდაც 1235 წლის მერე წერდეს, მაინც ებსტორფის რუკის ანალოგიურ ინფორმაციას გვაძლევს ქართველთა გრძელი ქუდის შესახებ. ხოლო მთავარი წყაროა გერმანელი პილიგრიმი თიტმარი, რომლის ცნობაც დაახლოებით 1217 წლით თარიღდება (თიტმარს, არ არის გამორიცხული, ეს ქუდი თვითონ ხურებოდა, რადგან ქართველი ბერის ტანისამოსით წაიდა აკონიდან სინას მთაზე, თუკი ქართველი ბერებიც ატარებდნენ ამგვარ ქუდებს, რაც ძალიან სავარაუდოა). თიტმარის ცნობა იმით არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ ებსტორფის რუკის ავტორის მსგავსად, თიტმარიც გერმანელია და ამგვარად უშუალო დამაკავშირებელი რგოლი უჩნდება ქართველთა ქუდებს ებსტორფის რუკის ავტორთან. ქართველთა ქუდებს ასევე ახსენებს ჟაკ დე ვიტრი. ეს ცნობაც აგრეთვე ებსტორფის რუკის შექმნამდელ პერიოდს მიეკუთვნება. XIV საუკუნის დასაწყისში ქართველთა მაღალ ქუდებზე ლაპარაკობს მარინო სანუდო. სხვათა შორის, ეს ქუდის ფაქტორი ებსტორფის რუკაზე ასევე ადასტურებს: დასავლეთევროპელთათვის კოლხები რაღაც აბსტრაქტული ხალხი კი არ იყო, ანტიკურობაში მცხოვრები, არამედ კოლხები აქ პირდაპირ არიან გაიგივებულნი ქართველებთან.

XII საუკუნიდან ქართული ქუდის შესახებ არსებული მასალა ასევე ფაქტიურად მყარდება ბიზანტიური წყაროებითაც. ბიზანტიაში ქართული ქუდებით და ტანსაცმელით სიარული არისტოკრატიის ნაწილთან და ერთ-ერთ იმპერატორთან ფაქტიურად მოდაა, კარგი ტონია. XII საუკუნის ბიზანტიელი ავტორი ევსტათი თესალონიკელი მოგვითხრობს

1185 წელს სიცილიელი ნორმანების მიერ ბიზანტიური თესალონიკეს ალყაზე. ქალაქის დამცველთა მეთაური, სტრატეგოსი დავით კომნენოსი, ეუსტათი თესალონიკელის აღწერით, ყოველად უნიჭოდ უძღვებოდა ქალაქის დაცვის საქმეს. ეუსტათი მის ტანისამოსსაც აღგვიწერს:

„ [...] *ჯორი მიათრევდა მას ახლებურ შარვალში და სანდლებში გამოწყობილს. თავზე ეხურა იბერიულ ყაიდაზე უცხოური წითელი ქუდი: ის ხომ ბარბაროსებმა შეამზადეს და შეარქვეს, როგორც მოეწონათ, მრავალნაკეციანი და ინჩაირად შენაოჭებული ქვევით, დანარჩენ ქობაზე (შემოვლებაზე), რომ სახის გარშემო ჩამოვლებული ნებიერად იცავს მზისაგან*"[25].

კვლავ ეუსტათი თესალონიკელთან, უკვე ანდრონიკე კომნენოსის შესახებ ეკითხულობთ: „ [...] *ჩააცვეს მეფობის შესაფერისი წაღები, თუმცა მას არც კი გაუშვერია ფეხები, თავზე მოახვიეს დიადემა და მოგლიჯეს კვამლისფერი თავსაბურავი, რომელიც მას ლაზეთიდან მოეტანა იმის სანიშნოდ, რომ აპირებს კვამლში გაახვიოს, მას შემდეგ, რაც გადასწვავს ყველაფერს, ხოლო ამის მაგიერ დაახურეს წითელი, რითაც მიუთითებდნენ იმაზე, რომ სისხლით მორწყავს იქაურობას, მას შემდეგ, რაც სასიკვდილო განაჩენს გამოუტანს ბევრს.* [...] „[26]

ბიზანტიელი ისტორიკოსი ნიკეტა ხონიატე მოგვითხრობს ანდრონიკე კომნენოსის ჩაცმულობის შესახებ. ანდრონიკე ემზადება კონსტანტინეპოლში შესასვლელად, რათა ბიზანტიურად აკურთხონ. დაბანაკებულია ქალაქთან ახლოს. დიდებულებს უმრავლესობა ვახლა ანდრონიკეს. ბოლოს ანდრონიკესთან მიდის პატრიარქი თეოდოსიც წარჩინებულ სასულიერო პირებთან ერთად: „ [...] *ანდრონიკემ რომ შეიტყო, რომ მის კარავს ვერ ხედავდნენ დიდი არქიელი, მაშინვე მიეგება მას; ჩაეცვა იისფერი სამოსი, წინ ჩაჭრილი, იბერიული ქსოვილისაგან შეკერილი, რომელიც მუხლამდე და დუნდულებამდე სწვდებოდა და ჰფარავდა ტანს ეიდრე მკლავამდე; თავზე ეხურა პირამიდული საბურავი, კვამლის ფერისა: ასე ჩაცმული ცხენის ჩლიქებთან დავარდა და ამხელა კაცი გრძლად გადაჭიმული იწვა*"[27].

ნიკეტა ხონიატე მეორეგანაც ეხება ანდრონიკე კომნენოსის ჩაცმულობას, როდესაც ანდრონიკე იმპერატორად უნდა აკურთხონ: „*ანდრონიკეს მიმდევრებმა ორივე ხელი სტაცეს ანდრონიკეს, რომელიც ძალიან იპრანჭებოდა და კრებულსაც დასცინოდა, და დასვეს ოქროქსოვილ სარეცელზე, რომელზედაც მეფე ჯდებოდა. სხვებმა კიდევ მოხადეს თავიდან კვამლისფერი პირამიდული ქუდი და მოახვიეს მას ცეცხლისფერი, სხვებმა კიდევ ჩააცვეს სამეფო ტანსაცმელი*"[28].

აქ ყველგან უნდა იგულისხმებოდეს ქართული ქუდები. რადგან ეუსტათი თესალონიკელი ასახელებს ანდრონიკეს იბერიულ, ანუ ლაზურ ქუდს, ხოლო ნიკეტა ხონიატე ლაპარაკობს ანდრონიკეს იბერიულ ტანსაცმელზე. მართალია, ქუდზე არ ამბობს, რომ ის იბერიულია, მაგრამ ეს იგულისხმება კონტექსტითაც და ამას პირდაპირ ადასტურებს ეუსტათი თესალონიკელის ტექსტი, სადაც ანდრონიკესთან დაკავშირებულ იგივე სცენაში, რომელსაც ნიკეტა ხონიატეც აღწერს და უბრალოდ პირამიდულ ქუდზე ლაპარაკობს, საუბარია ანდრონიკეს ლაზურ ქუდსე. ამ მაღალი ქუდების აღწერა დაახლოებით თანხვედება ერთმანეთს.

სიმონ ყაუხჩიშვილს აგრეთვე მოაქვს ნაწყვეტი შალვა ამირანაშვილის სტატიიდან, სადაც ბიზანტიურ წყაროებში დაფიქსირებულ გრძელ იბერიულ თაესარქმელს შალვა ამირანაშვილი ადარებს იმ მაღალ ქართულ ქუდს, რომელიც ახურავს იერუსალიმის

---

[25] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 8, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1970. გვ. 15. ასევე შენიშვნა 2.

[26] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 8 (1970). გვ. 16. ასევე შენიშვნა 1.

[27] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 6 (1966). გვ. 124.

[28] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 6 (1966). გვ. 125.

ჯერის ეკლესიაში გამოსახულ შოთა რუსთაველს[29]. ეს პარალელიზმი აშკარად შეიმჩნევა. აქვე შეიძლება გავიხსენოთ გიორგი საკაძის ქუდი ქრისტეფორო დე კასტელის ნახატზე. აღნიშნული ნახატის ქუდი ზედმიწევნით თანხვდება ქობაზე მრავალნაკეციან, შენაოჭებულ და სახეზე ოდნავ ჩამოშვებულ თაესაბურაეს. ფაქტიურად რუსთაველის ფრესკით და ქრისტეფორო დე კასტელის ნახატით ქართული ქუდის ორი ვარიანტი გვაქვს. ორივე პირამიდულია.ანუ მოყვანილობა ერთია. მაგრამ რუსთაველის ქუდი,თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო სადა ფორმისაა, ხოლო საკაძის ქუდი ერთგვარად რუსთაველთან დაფიქსირებული „კლასიკური" ქუდის ვარირება ჩანს, გაფართოებული, გვერდებზე ჩამოშვებული ნაოჭებით.

ბიზანტიურ მასალას თვალს თუ გადავავლებთ, ევსტათი თესალონიკელის აღწერა დავით კომნენოსის ქუდის შესახებ პირდაპირ თანხვდება საკაძის ქუდის მოყვანილობას. რაც შეეხება იგივე ევსტათი თესალონიკელთან და ნიკეტა ხონიატესთან ანდრონიკე კომნენოსის პირამიდულ თავსარქმელს,ის თეორიულად საკაძის ქუდსაც შეიძლება ჰგავდეს და რუსთაველისასაც. ნებისმიერ შემთხვევაში,ორივე ქუდის საერთო მოყვანილობა იგივეა. მართალია,ორივე ბიზანტიელ ავტორთან უცხოური ტანსაცმელი ერთგვარად შეესატყვისება მათ მფლობელთა ნეგატიურ თვისებებს. მაგრამ ბიზანტიელი ისტორიკოსების ამ პირად განცდებს და ფსიქოლოგიურ დაკვირვებებს ჩვენთვის ამ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. ფაქტია, რომ ბიზანტიის იმპერატორისათვის და ბიზანტიელი წარჩინებულისათვის კარგი ტონია ქართული ქუდების და ტანისამოსის ტარება. ამ მოვლენას შესაძლოა მეტი მასშტაბიც ჰქონოდა ბიზანტიაში, ყოველ შემთხვევაში კომნენოსთა საგვარეულოს წარმომადგენლებთან. სიმპტომატურია: ქართულ ქუდებს და ტანისამოსს ატარებენ კომნენოსები, ანუ საქართველოს სამეფო კართან დაკავშირებული საგვარეულო.

ებსტორფის მსოფლიოს რუკაზე ფაქტიურად გვაქვს ქართული ქუდის ორივე ვარიანტი. დერბენტის მცველების ქუდები, გასაკუთრებით მარცხენა მცველის ქობიანი ქუდი, სტილისტიკით ჰგავს რუსთაველის ფრესკაზე დაფიქსირებულ ქუდს. ხოლო კოლხების ჭვინტიანი და ფართოქობიანი ქუდები უაღრეს სიახლოვეს ამჟღავნებენ ევსტათი თესალონიკელის მიერ აღწერილ ბიზანტიელი დიდებულის დავით კომნენოსის ქუდთან და ქრისტეფორო დე კასტელის მიერ დახატულ გიორგი საკაძის ქუდთან.

აღნიშნული ანალიზი გვაფიქრებინებს: ქართველთა დანარჩენი ტანისამოსიც ებსტორფის რუკაზე აღებული უნდა იყოს აქტუალური მონოცემების, ანუ, მაგალითად, პალესტინაში ნანახი ქარელი პილიგრიმების თუ მეომრების საფუძველზე. ამდენად, ებსტორფის მსოფლიო რუკაზე ჩვენს წინაშეა XIII საუკუნის ქართველთა ტანისამოსის გამოსახულება. ეს ტანისამოსი უაღრესად ელეგანტური მგონია, მეომრებისაც და კოლხებისაც. თუკი ხელოვნებათმცოდნეები დაინტერესდებიან აღნიშნული თემით, ამ ტანისამოსის აღდგენა კომპიუტერული ტექნიკის მეშვეობით საკმაოდ მარტივი საქმეა.

აგრეთვე ყურადსაღებია დერბენტის მცველი მეომრების გამოსახულება ქართულ სამხედრო ისტორიასთან დაკავშირებით. დერბენტის მცველები ატარებენ გრძელ შუბებს. ჯუვეინის ზემოთ განხილულ ცნობაში სწორედ ქართველთა ბასრ შუბებზეა ლაპარაკი. შუა საუკუნეებში მეომრებთან ხმლის და შუბის არსებობა განსაკუთრებული ნიშანი არ უნდა იყოს, მაგრამ ქართველები, ეტყობა, მართლაც კარგ იარაღს ფლობდნენ, რაკი ჯუვეინის მსგავსმა ავტორმა საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება მათზე. აგრეთვე ყურადსაღები უნდა იყოს გრძელი ფარების გამოჩენა ქართველთა შეიარაღებაში. ასეთი დიდი ფარი მახსენდება უბისის წმინდა გიორგის ფრესკიდან. ოღონდ იქ ფარი მრგვალი მოყვანილობისაა. მძლავრ არმიას,ცხადია,თავისუფლად შეიძლებოდა,ჰქონოდა ორივენაირი ფარი. სხვათა შორის, მუზეუმში გამოსაფენად აღნიშნული ფარის აღდგენაც არ უნდა

[29] გეორგიკა, ბიზანტიელ მნერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 6 (1966),გვ. 125,შენიშვნა 2. შუა საუკუნეების ქართულ ტანისამოსთან და რუსთაველის ფრესკასთან დაკავშირებით იხილეთ ასევე: ივანე *ჯავახიშვილი*, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტ. 3-4; თინა *ვირსალაძე*, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მოხატულობა და შოთა რუსთაველის პორტრეტი (რუსულად), თბილისი, 1974.

იყოს ძნელი. საინტერესოა ქეედა მეომარის საკითხიც. თუკი ისიც დერბენტის მცველთა კომპოზიციას ეკუთვნის. აქაც დაფიქსირებულია გრძელი ფარი, მხარზე გადებული ხმალი, ოღონდ ქუდის მოყვანილობა სხვაგვარია. კოლხების კომპოზიციაში შუაში მდგომი სამი პიროვნების ტანსაცმელი სტილისტიკით, ზემოთაც ითქვა, ძალიან ჰგავს მარჯვენა სამი კოლხის ტანისამოსს. ოღონდ შუაში მდგომი სამი კოლხის თავსარქმელის შემთხვევაში, ნემი აზრით, საქმე უნდა გექონდეს არა ქუდთან, არამედ მუზარადთან.

ქართული ტანისამოსის კონტექსტში შესაძლოა აგრეთვე მნიშვნელოვანი იყოს ამორძალთა დედოფლების ტანისამოსი. უკვე აღვნიშნეთ: ანტიკური ტრადიციის გაელენით, შუა საუკუნეების დასაელეთევროპელები ამორძალთა საცხოვრებელს ათავსებდნენ ან საქართველოს უშუალო სიახლოვეს, ტრაპიზონთან თუ კაკესიონს გადაღმა, ან კიდევ პირდაპირ ფაზისის სანაპიროზე. ეს გარემოება გახდა იმის მიზეზი, რომ ბევრ დასაელეთევროპულ ცნობას საქართველოს შესახებ ბოლოს აუცილებლად მიაწებებენ ინფორმაციას ქართველი ქალის მებრძოლი ბუნების შესახებ. დასაელეთევროპელთა წარმოდგენაში ამორძალთა ქართველებთან დაახლოებას შესაძლოა ხელი შეუწყო, როგორც ითქვა, საქართველოში ქალების, თამარის და რუსუდანის, მეფობის ორმა ფაქტმაც (ეს ვარაუდი გამოთქმული აქვს ფონ დენ ბრინკენსაც). ებსტორფის რუკაზე ამორძალთა დედოფლების ტანისამოსს შუბს, ფარს და ხმალს თუ გამოვაკლებთ, არ არის გამორიცხული, საქმე გვქონდეს XIII საუკუნის ქართველი ქალის ტანისამოსთან. თავისუფლად შეიძლება, დასაელეთევროპელებს ასევე ჰქონოდათ ქართველი ქალების ტანსაცმელის შესახებ ინფორმაცია. მაგალითად, პალესტინაში მამაკაცებთან ერთად პილიგრიმად ჩასული ქართველი ქალების მოკაზმულობიდან. პალესტინაში მყოფ ქართველთა მეფე დავითის ქვრივსაც, მხლებლებად აღკეეცილზე, ხომ იგივე ანსელუსი გვაწვდის ინფორმაციას. თუ ეს ვარაუდი გამართლებულია, მაშინ შესაძლოა ამორძალთა დედოფლების თავსაბურავების და ტანსაცმლის სახით ქართველ ქალთა ქუდი და ტანისამოსი იყოს ნეენ წინაშე.

ებსტორფის მსოფლიოს რუკა არის ქართველთა შესახებ შუა საუკუნეების დასაელეთევროპული ცნობების, თავისი გოგის და მაგოგის მცველებით თუ ამორძალთა მსგავსად მებრძოლი ქალებით, რუკაზე გადატანილი სურათი.

ებსტორფის მსოფლიოს რუკასთან დაკავშირებით აქ კიდევ ერთ საკითხს შევეხები. კონრად მილერი თვლიდა, რომ ებსტორფის რუკა არის არა უშუალოდ შუა საუკუნეების ნაყოფი, არამედ ოდნავ განსხვავებული ასლი ანტიკურ-რომაული მსოფლიოს რუკისა. თავისი ვარაუდის ერთ-ერთ საბუთად მილერს მოყავდა შემდეგი ფაქტიც: რუკაზე დიდი ადგილი უჭირავს არგონავტთა ლეგენდას, რისი საფუძველიც მხოლოდ ანტიკურობაში შეიძლება ყოფილიყო. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მართებულია ჰარტმუტ კუგლერის შენიშვნა. რუკის ავტორს არგონავტების მოტივის აღება შუა საუკუნეების მასალიდანაც შეეძლო[30]. არგონავტების ლეგენდას და კოლხებს თავისი მყარი ადგილი ეკავათ შუა საუკუნეების ევროპაში ფართოდ გავრცელებულ ტროას რომანების ციკლში. კოლხეთისკენ მოგზაურობისას იასონს ტროაში არ მიიღებენ. იასონის თანმხლები ჰერკულესი შემდგომში შურს იძიებს და ტროას დაანგრევს ბერძნული ჯარით. თავის მხრივ, ტროელები სანაცვლოდ იტაცებენ მშვენიერ ელენეს. რაც შემდგომ დიდი ტროას ომის მიზეზი გახდება. ეს ვერსია შემოინახა დარეს ფრიგიელის გვიანანტიკურმა რომანმა „De excidio Troiae historia". „ტროას რომანის" დარეს ფრიგიელისეული ვარიანტი შუა საუკუნეების ევროპაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. სწორედ ტროას რომანის აღნიშნული ვერსიის გათვალისწინება გვაგებინებს ებსტორფის რუკაზე გაკეთებული წარწერის აზრს, რომ ოქროს საწმისის მოტაცებამ გამოიწვია ბერძენთა და ტროელთა ომი[31]. არგონავტების ლეგენდასთან დაკავშირებული მოტივები რუკაზე კოლხეთის გარდა

[30] Hartmut Kugler, Die Ebstorfer Weltkarte. Ein europäisches Weltbild im deutschen Mittelalter, in: Zeitschrift für Deutsches Altertum und Deutsche Literatur 116, 1987, გვ. 22-23.

[31] სხვათა შორის, ებსტორფის რუკიდანაც განსაკუთრებით კარგად ჩანს: ქართველები და საქართველო შუა საუკუნეების

სხვანაირაა გაბნეული. მაგალითად, მცირე აზიაში ვხვდებით პილასის ნიმფების მიერ მოტაცების მოტივთან დაკავშირებულ დეტალს.

კელაე ჩვენთვის მნიშვნელოვან საკითხს თუ დავუბრუნდებით, შეგვიძლია დავასკვნათ: ებსტორფის მსოფლიოს რუკაზეც საქართველოს სახელმწიფოდ მოაზრებულ ტერიტორიას აქვს საკრალური ფუნქცია. ესეც არის იმის მიზეზი, რომ რუკაზე ამ სივრცეს საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა. საკრალურობის ფუნქციას კელაე და კელაე ქმნის ორი გარემოება: არარატის მთაზე მოთავსებული ნოეს კიდობანი, რომელიც XII-XIV საუკუნეებში საქართველოს სამეფოში მოიაზრება, და ჩაკეტილი, აპოკალიპტური, ანტიქრისტეს დამხმარე ხალხების დარაჯობის ფუნქცია.

რიჩარდ ჰალდინგემის ჰერეფორდის მსოფლიოს რუკა
1280 წელი

შუა საუკუნეების დასავლეთევროპული კარტოგრაფიის განსახილველი მასალიდან ბოლო ეგზემპლარია რიჩარდ ჰალდინგემის ჰერეფორდის მსოფლიოს რუკა[32]. ჰერეფორდის რუკა შეიქმნა დაახლოებით 1280 წლისათვის ინგლისში. ამშვენებდა ჰერეფორდის ტაძრის საკურთხეველს. ოღონდ რა ფუნქცია ჰქონდა საკურთხეველთან ჰერეფორდის რუკას, ისევე როგორც ებსტორფის მონასტრის საკურთხეველთან ებსტორფის მსოფლიოს რუკას, ბოლომდე გასაგები არ არის. ეს დანიშნულება ალბათ მხოლოდ სანახაობითი არ იქნებოდა. მისი გარეშემოწერილობა დაახლოებით უტოლდება ებსტორფის რუკისას. ებსტორფის მსოფლიოს რუკასთან ერთად ჰერეფორდის მსოფლიოს რუკა გარკვეულწილად აგვირგვინებს შუა საუკუნეების დასავლეთევროპულ კარტოგრაფიას, თუმცა სილამაზით ებსტორფის რუკას ვერ შეედრება. განსხვავებით სხვა შუა საუკუნეების რუკებისაგან, ებსტორფის და ჰერეფორდის მსოფლიოს რუკები ზომითაც რამდენჯერმე აღემატებიან ყველა მათგანს. საინტერესოა, რომ რიჩარდ ჰალდინგემი თავის ქმნილებას პირდაპირ ისტორიას უწოდებდა[33].

ჰერეფორდის რუკაზე ხმელეთს ყველა მხრიდან გარს ერტყმის მსოფლიო ოკეანე. აღმოსავლეთით, რუკის ზემოთ, ცენტრალურ ადგილას, სუფევს მაცხოვარი. ევროპა და აფრიკა თანაბრად ინაწილებენ რუკის ქვედა ნახევარს. აფრიკას უჭირავს ასევე ზედა მარჯვენა მეოთხედის ნაწილი. ხმელთაშუა ზღვა იჭრება ევროპას და აფრიკას შორის, შემდეგ პალესტინისთან ეხებეს მარცხნივ და ბოლოს მარჯვნივ. ეს არის უკვე შაეი ზღვა. ჰერეფორდის რუკაზე ინდოეთის ოკეანე, სპარსეთის ყურე და წითელი ზღვა ფაქტიურად არის ის ორი მცირე ზოლი, რომლებიც ხმელეთში შემოდის რუკის ზედა მარჯვენა მხარეს.

ევროპაში პროვინციები ნაწილობრივ კელაე ანტიკური სახელებითაა მოცემული: სარმატია, ლანგობარდია, გერმანია, დანია, აქაია, მაკედონია, იტალია, ბურგუნდია... აპენინის ნახევარკუნძულზე მოჩანს რომი. ბალკანეთის ნახევარკუნძულის მარცხენა კიდეში მოთავსებულია კონსტანტინეპოლი. საერთოდ, შუა საუკუნეების რუკებზე კონსტანტინეპოლს

ევროპელისათვის განსაკუთრებით ორი ნიშნით იყო სიმპათიური. პირველი ასპექტი და მთავარიც, ბუნებრივია, არის ქრისტიანობა და მამადიანებთან ბრძოლაში ქართველთა მოკავშირეობის ფაქტი. მაგრამ ქართველებისადმი ამ კეთილგანწყობას ერთგვარად ანტიკური საფუძველიც უმაგრებდა ზურგს კოლხეთის სამეფოს სახით. ტროასა და ტროელებისადმი დასავლეთევროპელთა განსაკუთრებულ თაყვანისცემას განაპირობებდა ის ფაქტი, რომ, რომაელთა მსგავსად, ზოგიერთი დასავლეთევროპული სამეფო სახლი თუ ხალხი თავიანთ წინაპრებად ტროელებს და თავიანთ პირველდელ სამშობლოდ ტროას სახავდა. შესაბამისად, ტროელებთან დაკავშირებული კოლხებიც ასეთივე სიმპათიით სარგებლობდნენ დასავლეთევროპელებთან.

[32] Gerald Sammet, Der vermessene Planet. Bilderatlas zur Geschichte der Kartographie, Hamburg 1990, გვ. 83; Konrad Miller, Die Herefordkarte, Stuttgart 1903; ასევე: Konrad Miller, Mappaemundi. Die ältesten Weltkarten, Bd. 4, Die Herefordkarte, Stuttgart 1896; Georges Grosjean, Rudolf Kinauer, Kartenkunst und Kartentechnik. Vom Altertum bis zum Barock, Bern 1970, გვ. 29.

[33] Anna-Dorothee von den Brincken, Mappa mundi und Chronographia. Studien zur imago mundi des abendländischen Mittelalters, in: Deutsches Archiv für Erforschung des Mittelalters 24, 1968, გვ. 123.

იშვიათად ვხედებით. ხმელთაშუა ზღვაში მოჩანს დიდი კუნძულები: სიცილია, კრეტა, კეიპროსი.

აფრიკაც ჰერეფორდის რუკაზე შუა საუკუნეების კარტოგრაფიისათვის დამახასიათებელი მოდელის მიხედვითაა მოცემული. აფრიკის დასაელეთში ძირითადად ვხედებით რომაული პროვინციების ჩამოთვლას: კირენაიკა, გეტულია, ნუმიდია. ნუბია მოთავსებულია აფრიკის სამხრეთ-აღმოსაელეთ კიდეში. ნუბიას პირდაპირ ესაზღვრება კუნძული თაპრობანე, ანუ ცეილონი. ნილოსი მოედინება ნუბიიდან, აღმოსაელეთიდან. ჰერეფორდის რუკაზეც, ფსალმუნის და ებსტორფის მსოფლიოს რუკების მსგავსად, ნილოსი ქმნის ორ შუამდინარეთს. პირველ შუამდინარეთში მდებარეობს ეთიოპიის დედაქალაქი მეროე. ნილოსი ჩაედინება ხმელთაშუა ზღვაში ალექსანდრიასთან, სადაც, ჰერეფორდის რუკის ავტორის მიხედვით, დგას ალექსანდრიის შუქურა. ჰერეფორდის რუკაზეც აფრიკის მთელი სამხრეთი სანაპიროს პარალელურად გაწოლილია მეორე ნილოსი. აფრიკის უკიდურეს სამხრეთში ჰერეფორდის რუკა განალაგებს მონსტრუალურ რასებს.

ჰერეფორდის მსოფლიოს რუკის ცენტრშია პალესტინა და იერუსალიმი. პალესტინა ტრადიციულად გაცილებით დიდი ზომისაა მოცემული. პალესტინის მარცხნივ თავსდება საკმაოდ კარგად გამოკვეთილი მცირე აზია. პალესტინის ზემოთ, აღმოსაელეთით, დატანილია შუამდინარეთი, ეუფრატსა და ტიგროსს შორის მდებარე. მესოპოტამიაში ვხედავთ ბაბილონის გოდოლს, უფრო ზემოთ – სომხეთს, იბერიას და არარატის მთას.

როგორც უკვე ითქვა, ჰერეფორდის რუკაზე პრაქტიკულად სრულდება ის მრავალსაუკუნოვანი კარტოგრაფიული ტრადიცია დასაელეთ ევროპაში, რომელიც იბერიას სახავს ბალკანეთის მთების სამხრეთით მდებარედ. არარატის მთაზე დევს ნოეს კიდობანი. იბერიას აღმოსაელეთით უშუალოდ ესაზღვრება ბაქტრია. ბაქტრიასა და ტიგროსს გადაღმა მდებარეობს მიდია და სპარსეთი. მიდიას და სპარსეთს აღმოსავლეთიდან ემეზობლება მდინარე ინდი. მდინარე ინდს იქით მდებარე აზიის მთელი ტერიტორია სახელდებულია ინდოეთად. იქვე, აღმოსაელეთის ოკეანეში ჩაედინება მდინარე განგი. სხვათა შორის, განგის და ტიგროსის სათავეები ჰერეფორდის რუკაზეც ერთმანეთის უშუალო სიახლოვეში იმყოფება. უკიდურეს აღმოსაელეთში მოჩანს სამოთხე. ჰერეფორდის რუკაზე სამოთხე არის აღმოსაელეთის ოკეანეში მდებარე კუნძული. სამოთხეში გავლებული ოთხი ხაზი აღნიშნავს ოთხ ბიბლიურ მდინარეს. ჰერეფორდის რუკის მიხედვითაც, ეს ოთხი მდინარე სამოთხეშივე უნდა იკარგებოდეს მიწაში და უნდა ამოდიოდეს ქვეყნიერების სხვადასხვა ადგილას. ინდოეთის მარცხნივ, ანუ ჩრდილოეთით განლაგებული სერები ჰერეფორდის რუკაზე საეარაუდოდ ჩინელები არიან. თუმცა ტერმინი „სერები", გვიანანტიკურობიდან მოყოლებული, ჩინელების გარდა მიემართებოდა შუა აზიაში მცხოვრებ აბრეშუმის მწარმოებელ ხალხებსაც.

რუკის მარცხენა მხარეს, შუა ნაწილის ცოტა ზემოთ, ჩრდილოეთის ოკეანიდან ხმელეთში იჭრება კასპიის ზღვა. კასპიის ზღვის გადაღმა მოთავსებულნი არიან ჩაკეტილი რასები. ესენია: ან გოგის და მაგოგის აპოკალიპტური ხალხები, ან ებრაელთა ათი დაკარგული ტომი, ან ორივე ერთად. ჰერეფორდის რუკის კასპიის კარიბჭე მდებარეობს კასპიის ზღვის სამხრეთით, ტაეროსის მთებში. ამდენად, კასპიის კარი აქ ყოველგვარი მისტიკურ-აპოკალიპტიკური დატვირთვისაგან დაცლილია. რადგან თაედაპირველად კასპიის კარს ანტიკური გეოგრაფია და „ალექსანდრეს რომანიც" ათაესებდნენ კასპიის ზღვის სამხრეთით, ჩრდილოეთ სპარსეთში. ეს კასპიის კარი არის უბრალოდ ვიწრო გასასელელი, რომელიც გაიარა ინდოეთისკენ მიმავალმა ალექსანდრე მაკედონელმა. აღნიშნულ კასპიის კარს კავშირი არა აქვს ჩაკეტილ, აპოკალიპტურ ხალხებთან, რომლებიც კავკასიონის გადაღმა მოიაზრებოდნენ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ტერმინით „კასპიის კარი" აღნიშნეს ჯერ დარიალი, შემდეგ კი დერბენტი, აღნიშნული ტერმინი ასოცირდებოდა აპოკალიპტურ ხალხებთან. ჰერეფორდის რუკის ავტორი ამ შემთხვევაში მისდევს უფრო ძველ ტრადიციას.

კასპიის ზღვის დასაელეთით, უშუალოდ ჩრდილოეთ ოკეანის სანაპიროზე მდებარეობს

ალბანეთი. შაე ზღვასა და ნრდილოეთის ოკეანეს ერთმანეთთან აკავშირებს ტანაისი, მდინარე დონი. შაეი ზღვის აღმოსაელეთ სანაპიროსთან მოთავსებულია კოლხეთი ოქროს საწმისის გამოსახულებით. იქვე მარჯვნივ გამოსახულია ცხოველი Pines. შესაძლოა ეს სახელი აღნიშნაედეს ჰარპიებს, რომლებიც არგონავტების ლეგენდაში მოხუც, ბრმა ნათელმხილველ ფინეუსს საჭმელს სტაცებენ.

ამდენად, ჰერეფორდის რუკაზე საქართველოსთან დაკავშირებულ სივრცესთან საკრალურობის ელემენტს ქმნის არარატის მთაზე მოთავსებული ნოეს კიდობანი. ნაკეტილი ხალხების შეკაეების მოტივი აქ აქტუალური აღარ არის.

შესაბამისად, შუა საუკუნეების კარტოგრაფიული მასალის ანალიზი ადასტურებს, რომ აღნიშნულ კარტოგრაფიაშიც საქართველოს ტერიტორიას და ქართველებს მინიჭებული აქეთ საკრალური მნიშვნელობა სწორედ ქრისტიანული იდეოლოგიის პოსიციებიდან. აქედან გამომდინარე, ქართულ, დასაელეთეეროპულ და აღმოსაელურ წერილობით მასალებთან ერთად, შუა საუკუნეების დასაელეთეეროპული კარტოგრაფიაც ზოგადად ქართველთა ხატის თვალსაზრისით საფუძველს ქმნის საიმისოდ, რათა პორტოლანების ავტორებთან საქართველოს სამეფოსთან ქრისტიანული სიმბოლიკის მქონე დროშის გამოჩენა აღარ გაგეიკვირდეს.

1270 წელს პირველადაა ნახსენები პორტოლანური ხასიათის რუკა[1]. 1275 წლიდან ეფლობთ პირველ შემორჩენილ ეგზემპლარს. ეს გახლავთ პორტოლანი იტალიურ ქალაქ პიზადან. პორტოლანი სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „პორტის, ნავსადგურის რუკას". პორტოლანებზე ძირითადად გამოსახული იყო ხმელთაშუა ზღვა, შავი ზღვა და ატლანტის ოკეანის ნაცნობი სანაპიროები. მაგალითად, ვენეციელების სავაჭრო საქმიანობა სრულდებოდა ფლანდრიაში. ამიტომ ვენეციელებს ჩრდილოეთ ევროპა ან საერთოდ არ შექონდათ პორტოლანებზე, ან, თუკი მაინც დაიტანდნენ რუკაზე ჩრდილოეთ ევროპის გარკვეულ ნაწილებს, მეტად სქემატურად გამოსახავდნენ, რადგან მათ შესახებ მხოლოდ ყურმოკვრით ფლობდნენ მწირ ინფორმაციას.

პორტოლანების ზომა დაახლოებით იყო 50x100 ან 75x150 სანტიმეტრი. განვითარდა პორტოლანების სტანდარტული ტიპი. ყველა რუკა ჩრდილოეთზეა ორიენტირებული, არც ერთს არა აქვს მერიდიანები ან პარალელები. ამის ნაცვლად პორტოლანებს სერავს 16 ან 32 სხვადასხვა ფერის სხივისაგან შემდგარი ბადე. სხივები ერთი ან მრავალი წერტილიდან იღებენ სათავეს. ამ ბადის მეშვეობით გამოცდილ ზღვაოსანს შეეძლო კურსის სწორად არჩევა. სანაპირო ადგილებზე დატანილია ნავსადგურები, დასახლებები, ყურეები, მდინარეთა შესართავები. ხშირად ქალაქის დასახელების ფერი მიანიშნებს პორტის ხასიათზე. სხვადასხვა სიმბოლოებით აღინიშნება წყალქვეშა კლდეები, მეჩეჩები. პორტოლანების განსაცვიფრებელი სიზუსტე ემყარება მეზღვაურთა მთელი თაობების გამოცდილებას. ასევე ვარაუდობენ, რომ 1200 წლისათვის განვითარებულმა და თანდათან ხმარებაში შემოსულმა კომპასმა (დასავლეთ ევროპაში კომპასს პირველად ახსენებს ალექსანდერ ნეკამი 1187 წელს) პორტოლანების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

პორტოლანების წარმოშობა განაპირობა ნავიგაციის პრაქტიკულმა საჭიროებებმა. შესაბამისად, როგორც ითქვა, ამ ეპოქის კარტოგრაფებისათვის მთავარი აქცენტი გადადის სანაპირო ზოლზე. შიდა ტერიტორია პორტოლანების ავტორებს ნაკლებად აინტერესებდათ. რუკის აღმოსავლეთზე მიმართვა, რელიგიურ ცენტრებზე აქცენტის გადატანა, მითოსურ-ლეგენდარული მასალის შეტანა, ყველაფერი ეს პორტოლანებზე შედარებით უკანა პლანზე გადადის. განსხვავებით შუა საუკუნეების უნიკალური კარტოგრაფიისაგან, რომელიც სამყაროს მთლიანობაში შეცნობას ცდილობდა და მთელ ქვეყნიერებას მკაცრ რელიგიურ-მსოფლმხედველობრივ ჩარჩოში ათავსებდა, პორტოლანების ავტორები თავიდან

---

[1] პორტოლანების ზოგად მიმოხილვასთან დაკავშირებით ძირითადად ვემყარები შემდეგ ავტორებს: Anna-Dorothee VON DEN BRINCKEN, Mappa mundi und Chronographia. Studien zur imago mundi des abendländischen Mittelalters, in: Deutsches Archiv für Erforschung des Mittelalters 24, 1968, გვ. 118-186; Theobald FISCHER, Sammlung mittelalterlicher Welt- und Seekarten italienischen Ursprungs. Amsterdam 1961[1]; Portulane, Seekarten vom 13. bis zum 17. Jahrhundert, hrsg. von Monique de la Ronciere und Michel Mollat du Jourdin, München 1984; Konrad KRETSCHMER, Die italienischen Portolane des Mittelalters, Hildesheim 1962; კონრად კრეტშმერი თავის ნიგნში ასევე იძლევა იტალიური პორტოლანების დეტალურ ტექსტს. 641-650 გვერდებზე მოცემულია შავი ზღვის სანაპიროს ყველა პუნქტის აღნუსხვა, თუ რომელი დასახელება რომელ პორტოლანზეა მოთავსებული. კრეშმერს აგრეთვე მოაქვს იტალიური პორტოლანების ჩამონათვალიც და აღნიშნავს, თუ სად არის ისინი დაცული. შავი ზღვა ამ ჩამონათვალის მიხედვითაც პრაქტიკულად ყველა პორტოლანზე ფიგურირებს. თუმცა კრეშმერის ნუსხა, კატალანურ და პორტუგალიურ რუკებს თავს თუ დავანებებთ, იტალიური პორტოლანებისთვისაც არ უნდა იყოს სრული. იხ. გვ. 104-148; Anna-Dorothee VON DEN BRINCKEN, Kartographische Quellen. Welt-, See- und Regionalkarten, Brepols 1988; Herma KLEGE, Weltbild und Darstellungspraxis hochmittelalterlicher Weltkarten, Münster 1991; Die Welt der Seekarten, Internationale Ausstellung von Seekarten aus aller Welt vom Ende des 16. Jahrhunderts bis zu der heutigen Zeit, Stockholm 1984; P. D. A. HARVEY, Medieval Maps, The British Library 1991; Roberto ALMAGIA, Monumenta Cartographica Vaticana, Bd. 1, 1944; John GOSS, The Mapmakers Art 1993; Walter ROSIEN, Die Ebstorfer Weltkarte, Hannover 1952; Anna Dorothee VON DEN BRINCKEN, Fines Terrae. Die Enden der Erde und der vierte Kontinent auf mittelalterlichen Weltkarten, Hannover 1992; George KISCH, La carte image des civilisations, Paris 1980; Gerald SAMMET, Der vermessene Planet. Bilderatlas zur Geschichte der Kartographie, Hamburg 1990; Georges GROSJEAN, Rudolf KINAUER, Kartenkunst und Kartentechnik, Vom Altertum bis zum Barock, Bern 1970; Ivan KUPČIK, Münchner Portolankarten. „Kunstmann I-XIII" und zehn weitere Portolankarten, Überarbeitete und ergänzte Neuausgabe des Originalwerkes von Friedrich Kunstmann aus dem Jahr 1859 mit 13 erneuerten Farbtafeln sowie zehn weitere Seekarten vom Anfang des 16. Jahrhunderts einschließlich der seit 1945 verschollenen Seekarten aus Münchner Sammlungen, München, Berlin 2000; Robert PUTMAN, Early Sea Charts, New York 1983.

იღებენ სამყაროს მხოლოდ ნაცნობ ნაწილს, რათა შემდეგ თანდათან ჩართონ ქვეყნიერების დანარჩენი მხარეები თავიანთ კარტოგრაფიულ სისტემაში. რუკების დამზადებაც ამ ეპოქაში სასულიერო პირთა ხელში აღარ არის. შეკვეთებს იძლევიან გემების მესაკუთრეები ან სხვა საერო პირები. პორტოლანების ავტორები იქცნენ პროფესიონალ კარტოგრაფებად, რომელთაც უკვე საკუთარი სახელოსნოებიც გაჩნდათ, როგორც, მაგალითად, კრესკეს ოჯახი კატალონიელებთან. საგარაუდოდ ამ ოჯახის ხელობაა 1375 წლის ცნობილი კატალანური ატლასი.

ინდოეთი და ჩინეთი სამისიონერო და საეკლესიო საქმიანობის შედეგად სულ უფრო და უფრო ნაცნობი ხდება, ასევე – აფრიკაც. თეოლოგიური მსოფლიოს რუკის ელემენტები თანდათან რეალურ ინფორმაციას უთმობს ადგილს. თუმცა შუა საუკუნეთა რუკების გაელენა პორტოლანებზე მაინც საკმაოდ იგრძნობა. რუკების არც ერთი სხვა სახეობიდან არ დაკარგულა იმდენი, როგორც პორტოლანები. რადგან პორტოლანები მუდამ პრაქტიკულ ხმარებაში იყო ზღვებზე. სულ შემორჩენილია 180-მდე პორტოლანი. პორტოლანების ყველაზე დიდ კოლექციებს ფლობენ ლისაბონის, მადრიდის, პარიზის, ლონდონის, ფლორენციის, ვენეციის, ვატიკანის და, ომის დროს განცდილი დანაკარგების მიუხედავად, მიუნხენის ბიბლიოთეკები თუ მუზეუმები.

როდესაც პორტოლანების ავტორები, სანაპირო ზოლების გამოსახვის გარდა, შიდა, კონტინენტალური მხარეების შევსებასაც ცდილობენ, იქ ისეთ უსაფლო სიზუსტეს ვეღარ იჩენენ. თუმცა მათი ინფორმაციები თანამედროვე მეცნიერებისათვის უაღრესად ფასეულია. შიდა მხარეების შევსების მოთხოვნილებას ისიც გამოიწვევდა, რომ პორტოლანების იტალიელი ავტორები საზღვაო რუკების პარალელურად აგრძელებდნენ ძველ ტრადიციასაც და ხატავდნენ ტრადიციულ, წრიულ მსოფლიოს რუკებს, რომელთაც თავიანთ პორტოლანებს დაურთავდნენ ხოლმე. პიეტრო ვესკონტე, მედიჩის საზღვაო ატლასი, ანდრეა ბიანკო გვთავაზობენ ამგვარ ველტბილდებს საზღვაო რუკების გვერდით. პორტოლანების ავტორთა წრიული მსოფლიოს რუკის მოდელი მისდევს შუა საუკუნეების კარტოგრაფიის სქემას. მსგავს შემთხვევებში ხმელთაშუა ზღვა კორექტულადაა მოცემული ყველა დეტალით. დანარჩენი სივრცის ზოგადი მონახაზები კეთდებოდა მხოლოდ. დიდი შიდა სივრცეები ცარიელი რომ არ დარჩენილიყო, იქ ათავსებდნენ ათასგვარ ინფორმაციას, გერბებს, მბრძანებელთა სურათებს, ცხოველების გამოსახულებებს, ყველაფერს, რაც, რუკების ავტორთა თვალსაზრისით, აღნიშნულ ქვეყნებს უკავშირდებოდა. ძირითადი წყაროები გახლდათ პლინიუსის, სოლინუსის, ისიდორ სევილიელის, ჰონორიუს ავგუსტოდუნენზისის კომპილაციური ხასიათის ნაშრომები. ამას ემატებოდა უკვე თანამედროვე მოგზაურთა მონათხრობები (განსაკუთრებით: მარკო პოლო, ნიკოლო კონტი).

ნაცნობი ქვეყნიერების კიდეებზე განალაგებდნენ ფანტასტიურ ხალხებს თუ ლეგენდებს. აღმოსავლეთში მყარად ეჭირათ ადგილი სამოთხეს, გოგის და მაგოგის ხალხებს. ოღონდ აზიის გაცნობასთან ერთად გოგის და მაგოგის სამყოფელი იწევს სულ უფრო აღმოსავლეთით[2]. დერბენტი და ალექსანდრე მაკედონელის დანარჩენი კომპლექსიც პორტოლანებზეც საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ[3]. ასევე მრავალ პორტოლანზე ფიგურირებს არარატის მთა ნოეს კიდობანით. პრესბიტერ იოანესა და მის სამეფოს ათავსებენ, როგორც წესი, უკიდურეს სამხრეთში, ეთიოპიის ტერიტორიაზე. პორტოლანების ავტორები ამ შემთხვევაშიც ლეგენდის განეითარების ზოგად ხაზს მიჰყვებიან, რადგან XIV საუკუნის დასაწყისიდან დასავლეთევროპელებმა პრესბიტერ იოანეს სამეფო გადასვეს აფრიკაში, მას შემდეგ, რაც აზიაში ვერ იპოვეს ის. დასავლეთით, ატლანტის ოკეანეში პორტოლანებზე განლაგებულნი არიან საოცარი და ლეგენდარული კუნძულები: ბრანდანის, ანტილიის, სალვაგას, სატანაქსიოს, როილოს, ტანმარის, ბრაზილის.

ამდენად, პორტოლანების ავტორები შუა საუკუნეთა ველტბილდთან კავშირს არ

---

[2] Theobald Fischer, Sammlung mittelalterlicher Welt- und Seekarten italienischen Ursprungs, Amsterdam 1961², გვ. 195.

[3] Theobald Fischer (1961), გვ. 187.

კარგაეცდნენ. იმ რუკების ავტორებიც,რომლებიც ქვეყნიერების სრულ სურათს არ იძლევიან და იფარგლებიან ევროპით, ჩრდილო აფრიკით და წინა აზიით, როგორც, მაგალითად, ბარტოლომეო პარეტო, ანჟელინო დულჩერტი, გრაციოზო ბენინკაზა, ამ შიდა მხარეებს მრავალი ტოპოგრაფიული დეტალით ავსებენ. თუმცა პორტოლანების უმრავლესობა აღნიშნულ დეტალებზე უარს ამბობს და მხოლოდ მეზღვაურებისათვის საჭირო მასალას გვთავაზობს რუკებზე. პორტოლანები იძლევიან მთების და მდინარეების ზოგად მონახაზებსა და კონტურებს. ქალაქები ხშირად თავიანთი ნიშნებით თუ გერბებით არის ხოლმე გამოსახული. პოლიტიკური საზღვრები რუკებზე არასოდეს მოცემული არ არის. მხოლოდ ქვეყნის სახელიდან ვიგებთ ხოლმე, თუ რომელი სახელმწიფო დაახლოებით რა საზღვრებშია მოაზრებული. ოღონდ ხშირად ქვეყანის დასახელებაც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე კი არ არის დატანილი, არამედ სადღაც კუთხეში ეხედავთ მინაწერს, იმის მიხედვით, სადაც კარტოგრაფი ცარიელი ადგილის მონახვას მოახერხებდა. ქვეყნის პოლიტიკური რაგვარობა გამოიხატება გერბით ან დროშით.

ასევე მინიშნებული არის ხოლმე პორტოლანებზე საეკლესიო-პოლიტიკურ ძალთა განლაგებაც. მაგალითად, გენუელთა საყრდენ წერტილებზე აღმართულია დროშები წითელი ჯვრით ვერცხლისფერ ან თეთრ მინდორზე. ვენეციის დროშა გახლავთ ფრთოსანი ოქროს ლომი ლურჯ ფონზე. კასტილიელებთან ეხედებით კვადრატოვან გერბზე კოშკებს წითელ ფონზე და წითელ დროშას ვერცხლისფერ ფონზე. არაგონელების დროშაა წითელი ისრები ოქროს მინდორზე. იოანიტების ჯვარი გახლავთ ვერცხლისფერი ჯვარი წითელ ფონზე.

პორტოლანების ქრონოლოგიური დათარიღებისათვის დროშებს და გერბებს დიდი მნიშვნელობა აქვთ. თუ რომელიმე პუნქტი გენუელთა ან ვენეციელთა დროშითაა მონიშნული, მაშინ ეს მნიშვნელოვანი საბუთია, რომ ეს რუკა აღნიშნული ტერიტორიის კონკრეტული ძალის მიერ დაკავების შემდეგაა შესრულებული. თუმცა ეხედებით ისტორიულ ანაქრონიზმებსაც, როდესაც მოძველებული თუ შეცვლილი პოლიტიკური რეალობა კვლავ ჩვეულებრივად გამოისახება პორტოლანებზე. პორტოლანების შრიფტი ხშირად უაღრესად დახვეწილია, განსაკუთრებით ლუქსოროს ატლასზე, პიეტრო ვესკონტეს, გრაციოზო ბენინკაზას რუკებზე, კატალანურ ატლასზე, ანდრეა ბიანკოს, გილერმო სოლერის პორტოლანებზე.

ამდენად, აქ ხაზი უნდა გაესვას რამდენიმე ფაქტორს. პორტოლანების ავტორები კარგად იცნობენ შუა საუკუნეთა კარტოგრაფიას. თუ თავისი პორტოლანების გვერდით მსოფლიოს რუკებსაც ხატავენ, მისდევენ შუა საუკუნეების კარტოგრაფიის ტრადიციას. მათს პორტოლანებზე ამ შუა საუკუნეების კარტოგრაფიის რიგი დეტალები არსებობას აგრძელებს (მაგალითად, არარატის მთა ნოეს კიდობანით). შესაბამისად, შუა საუკუნეების კარტოგრაფიის მონაცემები საქართველოს ტერიტორიის ერთგვარ საკრალურობაზე პორტოლანების ავტორებისათვის კარგად იყო ნაცნობი და ჯერიანი დროშების საქართველოსთან მოთავსებას, ზემოთაც ეახსენეთ, ერთგვარი კარტოგრაფიული საფუძველიც აქვს. პორტოლანების ავტორები იყენებენ როგორც შედარებით ძველ დასავლეთევროპულ ცნობებს, ასევე ითვალისწინებენ აქტუალურ მონაცემებსაც თავისი რუკებისათვის. აღნიშნული ცნობების საფუძველზე ქართველთა როგორი ხატი ყალიბდება დასავლეთევროპელებთან, ზემოთ უკვე ენახეთ. ამდენად, ამ მხრივაც საქართველოსთან ჯერიანი დროშის მოთავსება აბსოლუტურად ლოგიკურია.

კიდევ ერთი ფაქტორია მნიშვნელოვანი. რენესანასის ეპოქამდელი ევროპისათვის ცალკეული ქვეყნების დროშების დასადგენად საუკეთესო და ხშირად ერთადერთი წყარო გახლავთ პორტოლანები. ადრეული ახალი დროის კარტოგრაფიის მკვლევართა მიხედვით, მათი შემქმნელთა პრაგმატიზმის გამო პორტოლანების მონაცემები უაღრესად სანდოა (თუ არ ჩავთვლით რამდენიმე გამონაკლისს. მაგალითად, მთელ რიგ პორტოლანებზე, სხვადასხვა ადგილას, სისტემატურად ჩნდება გაურკვეველი კუთვნილების დროშა დაკითის ეარსკვლავით). ხშირ შემთხვევებში რამდენიმე პორტოლანის მონაცემის თანხვედრა

საკმარისია, რომ ამა თუ იმ ქვეყნის, მხარის ან ქალაქის დროშის ნაირსახეობა დადგინდეს. ამიტომ პორტოლანების მონაცემებს საქართველოს დროშის განსაზღვრის საქმეში, თუკი ისინი საამისო საფუძველს იძლევიან და თუ ეს მონაცემები მეტად თუ ნაკლებად სხვა მასალითაც მყარდებიან, დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეთ.

*

დასავლეთევროპული პორტოლანების განხილვასთან ერთად აქ ასევე მოკლედ უნდა ვისაუბროთ ევროპული დროშათა სისტემის სათავეებზე. ბუნებრივია, ჩვენს ამოცანაში არ შედის დასავლეთევროპული დროშათა სისტემის დეტალური ანალიზი. აქ მხოლოდ ვეხები დასავლეთევროპული მასალის დროშათა სისტემის იმ ნაწილს, რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქართული დროშის საკითხისათვის[4].

მოკლედ გავიმეორებ წიგნის დასაწყისში უკვე ნათქვამს დასავლეთ ევროპის იდეოლოგიურ სურათთან დაკავშირებით. X საუკუნიდან ქრისტესთვის ასკეტურად მებრძოლთა და საერო რაინდების სიბრტყეთა შერწყმის პროცესი იწყება დასავლეთ ევროპაში. რელიგიურ მსოფლმხედველობასთან სიახლოვეში მოსულ საერო რაინდთათვის პირველი ეტაპი გახლდათ ეკლესიის და უმწეოთა დაცვა. უკვე შემდეგი საფეხურია წარმართებზე თავდასხმა. ამდენად, ჯვაროსნული ომებისას იდეალია უკვე არა ასკეტი, არამედ რეალურად ქრისტესათვის მებრძოლი საერო ადამიანი.

ასევე საომარი დროშაც, რომელსაც დასაელური ეკლესია, როგორც საერო ბრძოლის სიმბოლოს, თავიდან უარყოფდა, დაახლოებით პირველი ათასწლეულის ბოლოდან დასავლეთ ევროპაში ხდება ღვთაებრივი დაცულობის ნიშანი და ერთგვარად ღმერთის ბაირაღი, მის რაინდებს ურწმუნოებთან წინააღმდეგ ბრძოლაში რომ მიაქვთ. ამ საზოგადოებრივმა ცვლილებამაც განაპირობა ძირითადად X საუკუნის ბოლოდან დასავლეთევროპელ საერო ხელისუფლებასა თუ რაინდებთან ქრისტიანული სიმბოლიკის მქონე დროშების გამოჩენა. ჯვრიანი დროშაც ასევე იქცა საერო და სასულიერო ძალთა შერწყმის, ქრისტეს ტრადიციის გაგრძელების სიმბოლოდ, რადგან ურწმუნოთა წინააღმდეგ მებრძოლი რაინდი, ამ ეპოქის წარმოდგენით, ქრისტეს ბაძავს ერთგვარად[5]. ჯვაროსნული ომების ეპოქიდან უკვე ყველა საეპისკოპოსო ქალაქს მოაქვს საკუთარი დროშა თავისი წმინდანის გამოსახულებით. თავიანთი დროშები გააჩნდათ როგორც საფრანგეთის ან ინგლისის სამეფოში შემავალ ქალაქებს, ასევე გარკვეული სუვერენიტეტის მქონე იტალიურ ქალაქებსაც. მაინცის დროშაზე გამოსახული იყო წმინდა მარტინი, მარსელის დროშაზე – წმინდა ვიქტორი, პარმას დროშაზე – წმინდა პროსპერი, გერმანელთა ორდენის მთავარ დროშაზე – ღვთისმშობელი, ორდენის მფარველი პატრონი, შტრასბურგელებიც ასევე ფლობდნენ ღვთისმშობლის დროშას. სხვადასხვა დროშები ჰქონდათ სახელმწიფოს, ქალაქებს, ფეხოსნებს, კავალერიას.

აქ უნდა შევეხოთ ერთ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს. ევროპულ მეცნიერებაში დამკვიდრებული აზრი გახლავთ, რომ ჯვაროსნულ ომებამდე დასავლეთევროპელების

---

[4] შუა საუკუნეების დასავლეთევროპული დროშების სისტემაზე ლაპარაკისას ძირითადად ვემყარები შემდეგ ლიტერატურას: Hans Hörstmann, Vor- und Frühgeschichte des europäischen Flaggenwesens. Die Rechtszeichen der europäischen Schiffe im Mittelalter, Bremen 1971; William Krampton, Die Welt der Flaggen und die Wappen aller Länder, Augasburg 1991; Gerold Anrich, Adrian Cornford, Gudrun Cornford, Das Flaggenbuch. Die Geschichte der wichtigsten Flaggen der Welt, Ravensburg 1978; Donald Lindsay Galbreath, Papal Heraldry, London 1972; Eric Inglefield, Fahnen und Flaggen, München und Zürich 1986; Hans-Ulrich Herzog, Georg Hannes, Lexikon Flaggen und Wappen, Leipzig 1990; William Krampton, Fahnen und Flaggen, Hildesheim 1990; Derkwillem Visser, Flaggen. Wappen. Hymnen, Battenberg 1991; Julian Franklyn, Shield and Crest. An account of the Art and Science of Heraldry, London 1960; Walter Leonhard, Das große Buch der Wappenkunst. Entwicklung. Elemente. Bildmotive. Gestaltung. München 1984; A. C. Fox-Davies, A Complete Guide to Heraldry, Nelson 1969; Carl-Alexander von Volkmann, Heraldik. Eine Einführung in die Welt der Wappen, Stuttgart, Zürich 1989; Otfried Neubecker, Heraldik. Wappen – Ihr Ursprung, Sinn und Wert, Luzern 1990; Otfried Neubecker, Wappenkunde, München 1991.

[5] Monika Schwarz, Der heilige Georg – Miles Christi und Drachentöter. Wandlungen seines literarischen Bildes in Deutschland von den Anfangen bis in die Neuzeit, Koln 1972, გვ. 56-58.

დროშათა სისტემა უაღრესად დაბალი განვითარების საფეხურზე იდგა, ხოლო გერბთა მწყობრი სისტემაც პრაქტიკულად არ არსებობდა. ჯვაროსნულ ომებამდე, როგორც წესი, დასავლეთ ევროპაში დროშები იყო ნებისმიერი ფერის და ნებისმიერი ორნამენტალური შემკობით. დროშა წინამძღოლის ნიშანი გახლდათ. დროშის ფერსა და სიმბოლოს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამგვარი მოუწესრიგებელი დროშათა სისტემით წავიდნენ დასავლეთევროპელები პირველ ჯვაროსნულ ომში[6]. ჯვაროსნულ ომებამდე დასავლეთ ევროპაში დაფიქსირებულ ქრისტიანული სიმბოლიკის მქონე დროშებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია დროშა, რომელიც რომის პაპმა მისცა 1066 წლისათვის ვილჰელმ დამპყრობელს ნორმანი პერცოგის ინგლისზე ლაშქრობის წინ. ამ დროშაზე გამოსახულია ყვითელი ჯვარი. მინდერებში ჩასატული ოთხი შავი წერტილი შესაძლოა ჯვრებს აღნიშნავდეს[7]. ამის გარეშეა ტრადიციით იქნებოდა შესაძლებელი. ამგვარი დროშა შემდგომში რომის კურიასთან დაკავშირებით თითქოს არ ფიქსირდება. არც ის ფაქტი დასტურდება,რამდენადაც ვიცი,რომ იერუსალიმის სამეფოს პაპისაგან აეღოს მოგვიანებით თავისი დროშა. თუმცა აქ რაიმეს გადაჭრით თქმა ძნელია. ფაქტი ერთია,რომის პაპი თავისი დროშით საეარაუდოდ პირველად 1066 წელს უშვებს საერო რაინდებს ბრძოლაში.

ჩვენი საკითხისათვის ასევე უაღრესად დიდი დატვირთვა აქვს კიდევ ერთ გარემოებას: დასავლეთევროპელებმა ბიზანტიასა და ისლამურ სამყაროსთან შეხებაში მოსელის შემდეგ ათვისეს მათთვის სრულიად ახალი მოვლენა – დროშების, ცალკეული ფერების თუ დროშებზე გამოსახული ფერადი ნიშნების კარგად გააზრებული სისტემა. ასევე დასავლეთევროპელი გერბთა სისტემაც საეარაუდოდ გერბთა ბიზანტიური სისტემისაგან უნდა იღებდეს დასაბამს[8]. ფერთა სიმბოლიკა აღმოსავლურ სამყაროში ძველთაგანვე უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა. მაგალითად, ხალიფათა ყოველი გვარი ფლობდა საკუთარ ფერს. ეს ფერი გამოისახებოდა არა მხოლოდ სახალიფოს დროშაზე, არამედ მმართველთა ნალმებზეც და მზის საჩრდილობლებზეც. აბასიანთა ფერი გახლდათ შავი, ომაიადების – თეთრი,ფატიმიანების – მწვანე. მუჰამედის დროშაც,როგორც ცნობილია,მწვანე იყო. გარდა ამისა,ბიზანტიურ ჯარშიც,სულ მცირე VIII საუკუნიდან მოყოლებული,ყოველ პოლკს გააჩნდა საკუთარი ფერი. ეს ფერი მეორდებოდა შესაბამისი პოლკის დროშაზე თუ აღნიშნული პოლკის მეთაურის გამომარჩეველ ნიშნებში. როგორც ვარაუდობენ, ზემოთაც ითქვა,ბიზანტიური და მაჰმადიანური დროშათა მაღალგანვითარებული სისტემის გაელენით ჯვაროსნული ომების დროს მათთან უშუალო შეხებაში მოსულმა დასავლეთევროპელებმა თავიანთ გარკვეულწილად ნაკლულ დროშათა სისტემაში წესრიგის შეტანა დაიწყეს[9].

დროშაზე ჯვრის გამოსახვით იერუსალიმის სამეფო განცალკევებით არ დგას. იერუსალიმის სამეფოს ჯვრიანი დროშა დაფიქსირებული უნდა იყოს საეარაუდოდ XII საუკუნის მეორე ნახევარიდან (აქვე უნდა ითქვას: იერუსალიმის სამეფოს დროშის წარმომაველობის თუ მნიშვნელობის საკითხებიც საკმაო ბურუსშია გახვეული). უკვე მანამდე გეხვდება ჯვრები პალესტინაში მყოფ დასავლეთევროპელებთან გრაფ პონს დე ტრიპოლისის (1126 წლისათვის), რაიმუნდ ანტიოქიელის (დაახლოებით 1136-1149 წლებს შორის) პერსონალურ დროშებზე. 1115 წელს რამლას ეპისკოპოსის ბეჭედზე (Siegel) დატანილია ამხედრებული წმინდა გიორგი ჯვარით ფარზე და ჯვრიანი დროშით. წმინდანის ეს გამოსახულება რამლას ეპისკოპოსის ბეჭედზე უნდა ემყარებოდეს 1098 წლის გამოცხადებას,როდესაც წმინდა გიორგიმ,წმინდა დემეტრემ და წმინდა მერკურიუსმა, რომლებიც თეთრ ცხენებზე გახლდნენ ამხედრებულნი და თეთრი, ჯვრებით შემკული

[6] Hans Horstmann, Vor- und Frühgeschichte des europäischen Flaggenwesens. Die Rechtszeichen der europäischen Schiffe im Mittelalter, Bremen 1971, გვ. 49.
[7] William Krampton, Die Welt der Flaggen und die Wappen aller Länder, Augasburg 1991, გვ. 114; Gerold Anrich, Adrian Cornford, Gudrun Cornford, Das Flaggenbuch. Die Geschichte der wichtigsten Flaggen der Welt, Ravensburg 1978, გვ. 15; Donald Lindsay Galbreath, Papal Heraldry, London 1972, გვ. 2.
[8] Hans Horstmann (1971), გვ. 49.
[9] Hans Horstmann (1971), გვ. 49-50.

დროშები ეჭირათ ხელში.ანტიოქიასთან მყოფ ჯვაროსნებს,ლეგენდის თანახმად,დახმარება აღმოუჩინეს. დაახლოებით ამ ხანებიდან მოყოლებული,მრავალი საუკუნის განმაელობაში, დასავლეთევროპელთა დროშებზე გამოსახული უმთავრესი ნიშანი არის ჯვარი[10].

იერუსალიმის სამეფოში ეხვდებით ორფერიან დროშასაც. ტამპლიერებმა იერუსალიმის სამეფოს თეთრ ფერს დაუმატეს თაეიანთი შაეი ფერიც. ეს გახლდათ მამმადიან ხალხებზე შურისძიების და მათზე მოსალოდნელი თავდასხმების ფერი. აღნიშნული დროშა ალბათ 1145 წლამდეა შექმნილი,ვიდრე რომის პაპი ორდენს წითელ ჯვარს მისცემდა ნიშნად. თუმცა იმავე ხანებში ტამპლიერების დროშა არის წითელ ფონზე გამოსახული თეთრი ჯვარი. ამასთან, ჯვაროსნული ომების ეპოქაშიც ტამპლიერებს წმინდა გიორგის ან ხუთჯვრიანი დროშა.არსებული მონაცემების საფუძველზე,არ ჰქონიათ. გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტიც: ლათინთა იერუსალიმის სამეფოში სხვადასხვა მეფეებთან სხვადასხვა დროშები გეხვდება. ოღონდ ყველა შემთხვევაში,ბუნებრივია,წინა პლანზეა ჯვარი და ქრისტიანული სიმბოლიკა[11].

1188 წელი ევროპული დროშების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია. ამ წელს ჯვაროსნებმა მეტად თუ ნაკლებად მოაწესრიგეს თავიანთი დროშების სისტემა და ყველა ნაციონალობას მიანიჭეს თავისი საკუთარი ფერები,რადგან ჯვაროსანთა ჯვრიანი დროშები ცალკეულ ნაციონალობებს ვერ განასხვავებდნენ. მანმადე მთავარი იყო მხოლოდ ჯვარის ნიშანი. ამდენად,ამ წლიდან ყველა დასავლეთევროპული ნაციონალობის დროშას კონკრეტული ფერი მიენიჭა. ამიტომ 1188 წელს ეროვნული დროშების შექმნის თარიღად მიიჩნევენ. კიდევ უფრო მოგვიანებით დასავლეთ ევროპაში დამკვიდრდა სა[illegible], როდესაც დროშების კონკრეტული ფერები გამოყავდათ თავიანთი მცველი [illegible]ებისაგან[12]. ჯვაროსნებში ცალკეული ნაციონალობანი შემდეგი ფერების ჯვრ[illegible] [illegible]ენარებდნენ (ოღონდ აქ დროშებზე გამოსახულ ჯვრებზე არ არის ლაპარაკი): [illegible] თეთრს (ეერცხლისფერს),ინგლისელები ყვითელს (ოქროსფერს),იტალიელები ლ[illegible]ს,ესპანელები წითელს, გერმანელები შავს, ფლამანდელები მწვანეს[13].

უშუალოდ დასავლეთ ევროპაში ფერადი დროშების და გერბების ეპოქა იწყება ძირითადად XII საუკუნის მეორე მეოთხედიდან, როდესაც ჯვაროსანთა ცალკეული ტალღები პალესტინიდან თანდათან დასავლეთ ევროპაში ბრუნდებიან უკან და ჩააქვთ იქ ინფორმაცია აღმოსავლეთში არსებულ დროშათა და ფერთა სისტემაზე. უკვე დასავლეთ ევროპაშიც ნელ-ნელა კონკრეტული და გააზრებული ფერები ჩნდება ყოველ დროშასა თუ რაიმე სხვა გამომარჩეველ ნიშანზე. რა თქმა უნდა, ყველა ამ ეპოქის დროშაზე მთავარი ნიშნები უკავშირდება ჯვარს და ზოგადად ქრისტიანულ მსოფლმხედველობას. აქვე ისიც უნდა დავსძინო, რომ აღნიშნული ეპოქიდან (პრაქტიკულად XIV საუკუნის ჩათვლით) შემორჩენილი დასავლეთევროპული დროშები და მათზე გამოსახული ნიშნები ხშირად დღემდე დავის საგანია და საკმაოდ ბევრი საკითხი იგივე შუა საუკუნეების დასავლეთევროპულ დროშებთან კავშირში აქამდე გაურკვეველია[14].

გენუის დროშა შუა საუკუნეებში გახლდათ წმინდა გიორგის დროშა. ეს არის თეთრ ან ვერცხლისფერ ფონზე გამოსახული ერთი წითელი ჯვარი. პირველი დამადასტურებელი ნიშანი,რომ გენუის ოფიციალური ნიშანი წმინდა გიორგის დროშაა,გვაქვს 1242 წლიდან. ამასთან,ვარაუდობენ: წმინდა გიორგის დროშა გენუელებს 1242 წლამდე ცოტა ხნით ადრე უნდა შემოეღოთ თავიანთ სიმბოლოდ. 1242 წლიდან წმინდა გიორგის დროშა ჩნდება გენუელთა ფლოტილიებზე. რაც შეეხება მანამდე საკუთრივ გენუაში მსგავსი დროშის

---

[10] Hans Horstmann (1971), გვ. 52.

[11] Hans Horstmann (1971), გვ. 52-53. ტამპლიერებთან დაკავშირებით იხილეთ ასევე: William Krampton, Die Welt der Flaggen und die Wappen aller Länder, Augsburg 1991, გვ. 116.

[12] William Krampton (1991), გვ. 116; Gerold Anrich, Adrian Cornford, Gudrun Cornford, Das Flaggenbuch. Die Geschichte der wichtigsten Flaggen der Welt, Ravensburg 1978, გვ. 18-20; Eric Inglefield, Fahnen und Flaggen, München und Zürich 1986, გვ. 43.

[13] Hans-Ulrich Herzog, Georg Hannes, Lexikon Flaggen und Wappen, Leipzig 1990, გვ. 9.

[14] Hans Horstmann (1971), გვ. 53-57.

არსებობას, ეს საკითხი სრული ბურუსითაა მოცული. ერთადერთი 1218 წლით თარიღდება ზოგადი ცნობა, თითქოს ქალაქის სიმბოლოზე გამოსახული ნიშანი იყო ჯვარი. ოღონდ რა სახისაა ეს ჯვარი, დაზუსტებული არ არის. თუმცა ასევე ეარაუდობენ: წმინდა გიორგი გენუის მცველ პატრონად უნდა ითვლებოდეს დაახლოებით XII საუკუნის დასასრულიდან. შესაბამისად, წმინდა გიორგის ჯვარის არსებობა გენუაში თეორიულად უკვე ამ ხანისათვის დასაშვებია. ხოლო 1258 წლიდან წმინდა გიორგის დროშა გენუელთა საეკლესიო გემებზე საყოველთაოდ აღიარებული სიმბოლოა. სხვათა შორის, ისიც საინტერესო უნდა იყოს, რომ ამ ადრეულ პერიოდში და თვით XIII საუკუნეშიც ვენეციელთა დროშის ცენტრალურ ეარიანტზე მრავალი ეარაუდი არსებობს და ხშირად საკმაო გაურკვეველობასთან გვაქვს საქმე[15].

XIII საუკუნის დასასრულიდან ინგლისში ცენტრალური დატვირთვა ენიჭება დროშას წმინდა გიორგის ჯვარით, თეთრ ან ვერცხლისფერ ფონზე გამოსახულ ერთი წითელ ჯვარს[16]. ბევრ დასავლეთევროპულ მხარეზე, მაგალითად ისეთ მნიშვნელოვანზე, როგორიც არის ფლანდრია, რომელიც თავიდანვე მონაწილეობდა ჯვაროსნულ ომებში, დღემდე ბოლომდე გარკვეული არ არის, თუ რა დროშა ჰქონდა ცენტრალური და რომელ დროშას ატარებდნენ შუა საუკუნეებში მისი გემები. ამასთან, ფლანდრიელები თავიდანვე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ზღვაოსანი ხალხი იყო[17].

დასავლეთევროპული მონარქიების დროშათა შესახებ არსებული ცნობები XIII საუკუნის მეორე ნახევრამდე უაღრესად მწირია. შუა საუკუნეების დასავლეთევროპული სახელმწიფოების დროშებისათვის ერთ-ერთი უმთავრესი წყარო გახლავთ XIV-XV საუკუნეების პორტოლანები. აგრეთვე აღიარებული ფაქტია, როგორც ითქვა, რომ უმრავლეს შემთხვევაში პორტოლანები უაღრესად ზუსტად იძლევიან ცალკეულ სახელმწიფოთა თუ ქალაქთა დროშებს. საკუთარი დროშები და სიმბოლო�u შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში გაჩენდათ, ბუნებრივია, მეფეებსაც და აგრეთვე დიდ თავადებსაც[18].

პალესტინაში ქართველ პილიგრიმებთან დაფიქსირებული წმინდა გიორგის დროშის საკითხისათვის აგრეთვე დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს წმინდა გიორგის კულტის საკითხს იგივე დასავლეთ ევროპაში. ამიტომ აქვე მოკლედ შევეხები აღნიშნულ პრობლემას[19]. წმინდა გიორგის ლეგენდის საკითხებში დასავლეთ ევროპა პრაქტიკულად მთლიანად ემყარება ბიზანტიას. წმინდა გიორგის კულტი დასავლეთში ფართო მასშტაბებს აღწევს ჯვაროსნული ომების დაწყებიდან მოყოლებული. წმინდა გიორგი დასავლეთ ევროპაში მანამდეც პოპულარული იყო, ოღონდ არა როგორც მებრძოლი, მხედარი, ქრისტიან მეომართა პატრონი ომის დროს, არამედ როგორც ქრისტიანობისათვის პასიური წამებული. ბიზანტიის იმპერიაში კი წმინდა გიორგი უკვე დაახლოებით VII საუკუნიდან იმპერიის წინამბრძოლად ითვლება. ბიზანტიაში აღნიშნული წმინდანის კულტის გაჩენის შემდეგ, წმინდა გიორგის მალევე მიენიჭა სამხედრო ფუნქციები. ეს პროცესი თვალშისაცემია ხელოვნებაშიც. უკვე უძველეს ბიზანტიურ ხატებზე წმინდა გიორგი სრული აღჭურვილობით, ფარით და შუბით არის ხოლმე წარმოდგენილი. დასავლეთში ეს ცვლილება ხდება XI საუკუნის შუა ხანებიდან. წმინდა გიორგი ჯვაროსნული ომების მებრძოლ წმინდანად იქცევა.

დასავლეთ ევროპაში წმინდა გიორგის ხატის გარდასახვა განაპირობა ორმა ფაქტორმა.

---

[15] Hans Horstmann (1971), გვ. 116-123; გენუელების დროშა იხილეთ ასევე: Gerold Anrich, Adrian Cornford, Gudrun Cornford (1978), გვ. 72; Eric Inglefield (1986), გვ. 30. 38.

[16] Hans Horstmann (1971), გვ. 72, 155; William Krampton, Fahnen und Flaggen, Hildesheim 1990, გვ. 58-61; William Krampton (1991), გვ. 87. სხვა ვერსიით ინგლისელებთან წმინდა გიორგის დროშა, ანუ თეთრ ფონში ჩახატული ნითელი ჯვარი სახელმწიფო დროშად პირველად ჩნდება 1415 წელს, აზინკურის ბრძოლისას. იხ.: Gerold Anrich, Adrian Cornford, Gudrun Cornford (1978), გვ. 14. ინგლისელების დროშაზე ზოგადად: Hans-Ulrich Herzog, Georg Hannes (1990), გვ. 9. ინგლისის დღევანდელ დროშაზე მოცემულ ჯვრების კომბინაციასთან დაკავშირებით: Derkwillem Visser, Flaggen. Wappen. Hymnen, Battenberg (1991), გვ. 29.

[17] Hans Horstmann (1971), გვ. 73-74.

[18] Hans-Ulrich Herzog, Georg Hannes (1990), გვ. 6.

[19] წინდა გიორგის კულტის გაშუქებისას უმთავრესად მიეხდეგ შემდეგ ნაშრომს: Monika Schwarz, Der heilige Georg – Miles Christi und Drachentöter. Wandlungen seines literarischen Bildes in Deutschland von den Anfängen bis in die Neuzeit, Köln 1972.

პირველი მიზეზი გახლდათ თვითონ დასავლურ საზოგადოებაში მომხდარი ცვლილება. როგორც ზემოთ ითქვა, დაახლოებით XI საუკუნიდან დასავლეთ ევროპაში ნაწილობრივ ქრისტიანის იდეალიც იცვლება. უკვე იდეალია არა ასკეტის პასიური თაყვანება ქრისტიანობისათვის, თავისი ცხოვრებით იქნება ეს, თუ ქრისტიანობისათვის წამებით, არამედ ხმალით ხელში რეალურ მოწინააღმდეგესთან, წარმართობასთან ბრძოლა. აღნიშნულ მსოფლმხედველობრივ სიახლეს და ცვლილებას დასავლეთ ევროპაში ცალკეული წმინდანებიც, მათ შორის წმინდა გიორგიც, დაექვემდებარნენ. წმინდა გიორგის ხატის შეცვლის მეორე მიზეზი გახლდათ დასავლელი პილიგრიმების თუ ჯვაროსნების ბიზანტიის, აღმოსავლეთის მეომარი წმინდანის წარმოდგენებთან შეხებაში მოსვლა. რა იყო იმაზე ადვილი, თავისად გაეხადათ ეს მებრძოლი წმინდანი, რომელმაც უკვე ამდენჯერ აღმოუჩინა დახმარება აღმოსავლელ ქრისტიანებს ურწმუნოებთან ომის დროს. წმინდა გიორგის ხატი დასავლეთში დაუახლოვეს ქრისტესათვის მებრძოლის დასავლურ ტიპაჟს. წმინდა გიორგი ხდება ჯვაროსანი მეომარის იდეალი, რომელსაც უნდა მიბაძოს ყველა ქრისტიანმა რაინდმა[20]. ურჩხულის მკვლელი წმინდა გიორგი იქცა ქრისტიანობის სხვა რელიგიებზე გამარჯვების სიმბოლოდ. ამიტომ უკვე შედარებით გვიანდელ დროში მრავალმა ქრისტიანმა ფეოდალმა და რაინდმა წმინდა გიორგი თავის სიმბოლოდ დასახა[21].

სხვათა შორის, თავისთავად უაღრესად საინტერესო პროცესი უნდა იყოს, დასავლეთ-ევროპაში წმინდა გიორგის ხატის თანდათანობით ცვალებადობას თუ გაეადვილებთ თვალს. როგორ შეესატყვისება ხოლმე ეს ხატი კონკრეტული ეპოქის და კონკრეტული საზოგადოების მოთხოვნილებებს. ადრე შუა საუკუნეებში, როგორც ითქვა, იდეალია ასკეტი და ერთგვარად პასიური წამებული წმინდა გიორგი, რომელიც ბეელშაბს ამარცხებს ჯვრითა და ლოცვით, და არა შუბით ან ხმალით. ჯვაროსნული ომების ეპოქაში იდეალი ხდება უკვე აქტიურად, საომარი საჭურველით მებრძოლი წმინდა გიორგი. შტაუფენთა ეპოქის ზენიტში, XIII საუკუნის მეორე მეოთხედში, წმინდა ჯვაროსნული მზვნებარება შედარებით დამცხრალია და მაღალი საზოგადოება ამ დროისათვის უკვე კურტუაზული რომანების იდეალებითაა გამსჭვალული. შესაბამისად, რიგ შემთხვევებში კელავ წმინდა გიორგის ხატის ტრანსფორმაციასთან გვაქვს საქმე და წმინდა გიორგი უკვე ერთგვარად კურტუაზული წმინდანია, გალანტური და დახვეწილი. თუ ადრე ჯვაროსნული იდეებით ანთებული საზოგადოება სწორდებოდა წმინდა გიორგიზე, ეხლა უკვე კურტუაზული საზოგადოება მისდევს თავის წმინდანს. ამ მხრივ ყურადსაღებია აღნიშნული ეპოქის გერმანელი მწერლის რაინბოტ ფონ დიურნეს ნაწარმოები წმინდა გიორგის შესახებ. რაინბოტს ხელთ ჰქონდა ადრე შუა საუკუნეების წერილობითი წყაროები, სადაც წმინდა გიორგი ყველგან პასიური წმინდანია. გარდა ამისა, მის დროს ასევე ნაწილობრივ წინა პლანზეა ჯვაროსნული ომების მებრძოლი წმინდა გიორგის სახე. რაინბოტის ეპოქამ წმინდა გიორგის ამ ორ ტიპაჟს დაუმატა მესამეც, წმინდა გიორგის კურტუაზული ხატი. რაინბოტს არც ერთი ამ ხატის შელეევა არ სურს და აღნიშნული სამი შრის არევ-დარევით მის ნაწარმოებში ხშირად პარადოქსულ სიტუაციებსაც ვღებულობთ[22].

წმინდა გიორგის იდეალი შემდგომში სარაინდო ორდენებმაც აიტაცეს. საერთოდ, წმინდა გიორგის მასობრივი თაყვანისცემის ეპოქად დასავლეთ ევროპაში ითვლება გვიანი შუა საუკუნეები. წმინდა გიორგი მარტო რაინდების წმინდანი აღარ არის და პოპულარულია მოსახლეობის ყველა ფენაში. წმინდა გიორგის კულტი დასავლეთ ევროპაში გრძელდება გვიანი შუა საუკუნეების მერეც. ეს კულტი უძლებს რეფორმაციის ეპოქის ყველა არეულობას. მიუხედავად წმინდანთა ყოველგვარი კულტის უარყოფისა, გარკვეულ ხანს წმინდა გიორგის კულტი პროტესტანტებთანაც კი აგრძელებს არსებობას. რეფორმაციის ეპოქის

[20] Monika Schwarz (1972), გვ. 53-56, 59.
[21] Gerold Anrich, Adrian Cornford, Gudrun Cornford (1978), გვ. 15.
[22] Monika Schwarz (1972), გვ. 92-95.

დაპირისპირებებში წმინდა გიორგის კულტს იყენებენ პროპაგანდისტული მიზნებითაც. კათოლიკეები წმინდა გიორგის ლეგენდის გველეშაპს სახავენ „კალვინისტურ ურჩხულად", რომელსაც ამარცხებს რომის პაპი, ანუ წმინდა გიორგი. ხოლო პროტესტანტების მიხედვით, გველეშაპი არის პაპობის ინსტიტუტი, რომელსაც გმირავს მარტინ ლუთერი, იგივე წმინდა გიორგი.

რეფორმატორთა თავდასხმებმა წმინდანთა კულტებზე რიგი კათოლიკე სასულიერო პირი აიძულა, გაეაზრებინათ ის წყაროები, საიდანაც ეს აურაცხელი და ხშირად, რბილად რომ ვთქვათ, მეტად ფანტასტიური ხასიათის მქონე ლეგენდა წარმოიშვა. ამ პროცესს ძირითადად ორი მიზეზი ედო საფუძვლად. წმინდანთა ახალი, დამაჯერებელი ცხოვრებების შექმნით უნდა დასაბუთებულიყო კონკრეტულ ლეგენდათა ჭეშმარიტება და უტყუარობა. ამასთან, სასურველი იყო ხალხისათვის შეექმნათ ახალი, ყოველიფე ზღაპრულისაგან დაცლილი წმინდანის ხატი, რომელზეც მასა ორიენტირებას შეძლებდა. ამ პროცესში წმინდა გიორგის კულტიც მოყვა. გვიან-ანტიკური წყაროების მოხმობის შედეგი გახლდათ, რომ რამდენიმე საუკუნის მოგვიანებით დასავლეთ ევროპაში კელაე წინა პლანზე გამოდის წმინდა გიორგის სულიერი მეომრობის მხარე. მხედრული ასპექტი, საბრძოლო სიმამაცე და წარმართებთან ომისკენ სწრაფვის მოტივები, რაც ასე ხიბლავდა შუა საუკუნეებს, ახალი დროის დაწყებასთან ერთად უკანა პლანზე გადადის. წმინდა გიორგის კულტის დაცემა დასავლეთ ევროპაში იწყება განმანათლებლობის ხანის დადგომასთან ერთად.

*

აქ მოკლედ ვნდა გაეუსვათ ხაზი შემდეგ ფაქტორებს. დასავლეთ ევროპაში ქრისტიანული დროშის სასულმწიფო დროშებად ქცევის პროცესისათვის აუცილებელი სახელმწიფო იდეოლოგია ყალიბდება X საუკუნის დასასრულიდან. დასავლეთევროპელების დროშათა სისტემა ასევე საბოლოო სახეს იღებს შედარებით გვიან, დაახლოებით XII საუკუნიდან, ბიზანტიელების და არაბების გავლენით. საქართველოში შუასტყვეისი იდეოლოგიაც და სახელმწიფო დროშაც, რომელიც ყველა ნიშნის მიხედვით, უცველელი რჩება მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში. დაფიქსირებულია გაცილებით ადრე, V საუკუნეში. რაც შეეხება იერუსალიმის სამეფოს დროშასთან შესაძლო პარალელიზმს (ამასთან, იერუსალიმის სამეფოს დროშის ცენტრალური ეარიანტი ყვითელია და დროშებზე დატანილი ჯვრების კომპოზიციებიც გარკვეულწილად განსხვავდება ერთმანეთისაგან), ქართული დროშის საკითხისათვის ამ ფაქტს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. რადგან ქართული სახელმწიფო დროშა ლათინთა იერუსალიმის სამეფოს დროშაზე შვიდი საუკუნით ძველია. ქართულ დროშაზე გინდაც თავიდანვე არ ყოფილიყო ხუთი წითელი ჯვარი, დამნაშაულების პოზიციაში ჩვენ ნამდვილად არ უნდა ვიყოთ (თუმცა, ქართული ქრონიკების, ნუმიზმატური და საეკლესიო მასალის მთლიანი ანალიზის საფუძველზე, გაცილებით დამაჯერებელი ჩანს მოსაზრება, რომ ხუთი წითელი ჯვარი დროშაზე გამოსახული ჰქონდა 'ეკვე ვახტანგ გორგასალს). გარდა ამისა, საქართველო უკვე ადრეულ ხანაშივე უშუალო შეხებაში იყო იმ აღმოსავლურ სამყაროსთან, რომლისგანაც დასავლეთევროპელებმა მოგვიანებით დროშათა სისტემასთან დაკავშირებით დიდი გავლენა განიცადეს.

ამასთან, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ფაქტიურად უმთავრესი ქრისტიანული სიმბოლო გახლავთ დროშებზე ჯვარი. ამიტომ ხშირად ევროპის ქვეყნებს თუ ქალაქებს აქვთ ხოლმე ერთდაიგივე დროშა. არაფერი გასაკვირი არ არის, რომ აღმოსავლეთის და დასავლეთის ქრისტიანულ სამყაროებში გარკვეული დროშები სხვადასხვა ერებთან მეორდებოდეს ან ერთმანეთს თანხვდებოდეს. დასავლეთევროპული ცნობების მიხედვით, ქართველების ერთ-ერთი დროშაა წმინდა გიორგის დროშა. ეს არის თეთრ ფონზე გამოსახული წითელი ჯვარი. ეს დროშა აქვთ ინგლისელებსაც და გენუელებსაც. მაგრამ იგივე დროშა ქართველებთან უფრო ადრე გამოდის დაფიქსირებული. ამასთან, მხედარი წმინდა გიორგის

კულტი დასავლეთში მხოლოდ ჯვაროსნული ომების ეპოქიდან ჩნდება, ჩვენთან კი კულტის ამაკვარი ფორმა უფრო ძველი უნდა იყოს. თუმცა ეხლა უმჯობესია შეეეხოთ ცალკეულ პორტოლანებს და ყველა ამ საკითხზე იქ ვილაპარაკოთ უფრო დეტალურად.

*

ვიდრე უშუალოდ პორტოლანების ანალიზზე გადავიდოდეთ, აქ ძალიან მოკლედ, დასკვნის სახით, ჩამოვაყალიბებ ქართული მასალის განხილვის შედეგად სახელმწიფო დროშასთან დაკავშირებით მიღებულ მონაცემებს. ქრისტიანული დროშის საერო ხელისუფლებასთან არსებობისათვის აუცილებელი იდეოლოგია საქართველოში ფიქსირდება უკვე V საუკუნეში. სხვადასხვა წყაროების თანახმად, საქართველოში უკვე ადრეულ შუა საუკუნეებშივე არსებობს დროშათა ჩამოყალიბებული სისტემა. ქართული სახელმწიფო დროშა პირველად ჩნდება V საუკუნეში, ვახტანგ გორგასალთან. როგორც ითქვა, უფრო მეტი საბუთი მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ სახელმწიფო დროშა უცვლელია ვახტანგ გორგასალის დროიდან გიორგი ბრწყინვალის ეპოქამდე. ქართული მასალის მიხედვით, არ ვიცით, კონკრეტულად რა იყო დროშაზე გამოსახული. მაგრამ დროშაზე აუცილებლად დატანილი უნდა ყოფილიყო ქრისტიანული სიმბოლიკა, რადგან სახელმწიფო იდეოლოგია შუა საუკუნეების საქართველოში არის ქრისტიანობა. ამასთან, სახელმწიფო დროშა თითქმის ყოველ მის ხსენებაზე ჩასმულია პირდაპირ სამხედრო-ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში. სახელმწიფო დროშასთან დაკავშირებით შემორჩენილი მცირე ცნობებიდან ვიცით: დროშა გახლდათ თეთრი და ზედ გამოსახული იყო წითელი ნიშანი. შესაბამისად, თუ დამაჯერებლად დასაბუთდა, რომ ევროპულ პორტოლანებზე საქართველოს ტერიტორიაზე გამოსახული ხუთჯვრიანი დროშები შეიძლება საქართველოს სახელმწიფოსი იყოს, პორტოლანების მასალა მხოლოდ დაადასტურებს ქართული წყაროების ანალიზის შედეგად მიღებულ წინასწარ დასკვნებს.

პიეტრო ვესკონტეს ინგლისის, საფრანგეთის, ესპანეთის და ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის ატლასი
1313 წელი

ვიდრე პიეტრო ვესკონტეს რუკებს განვიხილავდეთ, სასურველია შეეეხოთ ერთ საკითხს. როგორც პიეტრო ვესკონტესი, ასევე სხვა რუკების ჩემს მიერ მოპოვებული მასალა არასრულია. მთელი რიგი პორტოლანების თუ ჩვეულებრივი რუკებისა, საერთოდ არ არის გამოცემული. ამ მხრივ ფართომასშტაბიანი სამუშაოა ჩასატარებელი. უნდა შედგეს ბიბლიოგრაფიები ყველა არსებული რუკის. რამდენადაც ვიცი, გამოცემული კატალოგები მთლიანობაში დეტალურად აღნუსხავენ ყველა რუკას და მათს ადგილმდებარეობას. თუმცა, განსხვავებით შუა საუკუნეების კარტოგრაფიისაგან, თვითონ ცალკეული პორტოლანების მონაცემების აღწერა მეტად ნაკლულია. შემდეგ კი უკვე აღნიშნული რუკების მოძიებაა საჭირო და დარწმუნებული ვარ, რომ გაცილებით მეტი მასალა ამოვა საქართველოსთან დაკავშირებით. ოღონდ ამ სამუშაოს ჩატარებას მარტო ენთუსიაზმი არ ეყოფა. რადგან აღნიშნული რუკები გაფანტულია მთელი ევროპის ბიბლიოთეკებსა და არქივებში. ამიტომ შესაძლოა ეს საქმე საკმაო ხარჯებთანაც იყოს დაკავშირებული. თუმცა ინტერნეტის პირობებში, ხშირ შემთხვევებში, ადგილზე ჩასვლის გარეშეც შესაძლოა მოხერხდეს რუკების მიღებაც და დეტალური აღნუსხვაც.

ამასთან დაკავშირებით აქვე შევნიშნავ: უადრესად სასურველია სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემულ საქართველოზე არსებულ ბერძნულ ცნობათა მსგავსად, შედგეს საქართველოს შესახებ დასავლეთევროპულ ცნობათა (როგორც შუა საუკუნეების,

ასევე ახალი დროის) სრული კორპუსი[23]. ამასთან, როგორც შთაბეჭდილება მრჩება, გამოქვეყნებული დასავლური მასალა შუა საუკუნეებიდან ჯერ კიდევ არ უნდა იყოს სრული და ამ მხრივაც გეგმაზომიერი სამუშაოა ჩასატარებელი ევროპის არქივებსა თუ ბიბლიოთეკებში.

საერთოდ, უაღრესად სასურველია, საქართველოსთან დაკავშირებით არსებული ყველა უცხოური ცნობა გაერთიანდეს ერთ მრავალტომიან გამოცემაში და ამ გამოცემას შესატყვისი კომენტარებიც დაერთოს თან. ნებისმიერი ერი ინატრებდა საკუთარ თავზე ისეთ ცნობებს, რაც ქართველებს ანტიკურობიდან მოყოლებული გაგვაჩნია. მაგრამ, როგორც ითქვა, ბერძნული ცნობების გარდა, ყველა ეს მონაცემი, განსაკუთრებით არაბი და სპარსი ისტორიკოსების, გაფანტულია ცალკეულ წიგნებსა ან ჟურნალებში და თითოეული მათგანის მოსაპოვებლად საარქივო სამუშაოს ჩატარება არის ხოლმე საჭირო. ამ ცნობათა გამოცემა თუნდაც იმიტომ არის აუცილებელი, რომ ქართველთა მასამ კარგად გაიცნობიეროს თავისი ისტორია. თუ საუკუნეების განმავლობაში მისი წინაპრები აფრიალებული დროშებით მიდიოდნენ იერუსალიმში, დღეს უცხოეთში მყოფთ ცოტა მეტი ღირსების შენარჩუნება მართებთ.

პირველად შევეხოთ პიეტრო ვესკონტეს სამხრეთ-დასავლეთ ევროპის და ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის ატლასს[24]. ეს პორტოლანი მნიშვნელოვანია ქართულ მასალასთან შედარების თვალსაზრისით. სხვათა შორის, ბოლო ჩვენს მიერ განხილული რუკა შუა საუკუნეების კარტოგრაფიიდან გახლდათ რიჩარდ ჰალდინგემის ჰერეფორდის მსოფლიოს რუკა. დიდი კონტრასტია მსოფლმხედველობრივი ელემენტებით გაჯერებულ ჰერეფორდის რუკასა და ვესკონტეს ლამის თანამედროვე ატლასს შორის. განსხვავება ამ რუკების შექმნის თარიღებს შორის დაახლოებით ოცდაათი წელია (ვესკონტეს რუკა თარიღდება 1313 წლით). აქ კარგად ჩანს, როგორ აღწევს პიკს ერთი მიმდინარეობა, ამ შემთხვევაში შუა საუკუნეების კარტოგრაფია, ჰერეფორდის რუკის სახით და იქვე, პარალელურად აღმოცენებას იწყებს მეორე, განსხვავებული ნაკადი, რომლის განვითარებაც შუა საუკუნეების კარტოგრაფიის საპირისპიროდ, აღმავალი ხაზით მიდის.

თუკი დროშების დატანის სისტემას შუა საუკუნეების კარტოგრაფია საერთოდ არ იცნობდა, პორტოლანებზე დროშებს უკვე უხვად ეხედებით. როგორც ითქვა, XIV-XV საუკუნეთა პორტოლანები გახლავთ უმთავრესი წყარო ამ ეპოქის ევროპული ქვეყნების დროშათა სისტემის დადგენისათვის. ამ მხრივ, პირველივე პორტოლანები უკვე მრავალად იძლევიან დროშების გამოსახულებებს, რისი კარგი მაგალითიცაა პიეტრო ვესკონტეს აღნიშნული რუკა.

ვესკონტეს პორტოლანზე ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში მოცემულია მაჰმადიანური სახელმწიფოების თუ ქალაქების დროშები. ბრიტანეთის ნახევარკუნძულზე ჩანს ინგლისელთა წითელი დროშა სამი ოქროსფერი ლომით. ესპანეთის სამხრეთში მოთავსებული დროშა სავარაუდოდ გახლავთ მაჰმადიანური სახელმწიფოსი. ესპანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით განლაგებული ორი ზოლებიანი დროშა ეკუთვნით კატალონიელებს. საფრანგეთის ცენტრში აღმართულია დროშა შროშანებით. ეს გახლავთ საფრანგეთის სახელმწიფო დროშა.

საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე განლაგებულია სამი დროშა და, ბუნებრივია, ჩვენთვის მნიშვნელოვანია დროშა წითელი ნიშნებით. ოღონდ აქ თავიდანვე

---

[23] სხვათა შორის, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკვე საკმაოდ მოზრდილი ნაშრომები შეიქმნა გერმანიის პოლიტიკურ უნყებებთან დაკავშირებულ დანესებულებებში იმ საკითხებზე, თუ რა პოლიტიკა უნდა ანარმოოს გერმანიამ როგორც ზოგადად ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების, ასევე კონკრეტულად საქართველოს მიმართ. ალბათ იგივე სურათი იქნება ამერიკაშიც. ქართველი პოლიტიკოსები თუ აღნიშნული საკითხებით დაკავებული სპეციალისტები, ცხადია, ყოველივე ამის კურსში იქნებიან. მაგრამ უაღრესად სასურველია, რომ ამგვარი ნაშრომები ითარგმნოს და ფართო მასებსაც მეტი წარმოდგენა ჰქონდეთ იმ საკითხზე, რა პრინციპებს ემყარება დასავლეთი ჩვენთან ან სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში და ელემენტარულად რა გეგმები აქვთ სხვა, ცხადია, არა მარტო დასავლურ ქვეყნებს ჩვენთან მიმართებაში.

[24] P. D. A. Harvey (1991), გვ. 42; პიეტრო ვესკონტეს რუკებს ეხება აგრეთვე თეობალდ ფიშერი: Theobald Fischer (1961). გვ. 133.

უნდა აღინიშნოს ერთი საკითხი. თუნდაც ამ მცირე პორტოლანზე კარგად ჩანს ზემოთ ნახსენები ფაქტი, რომ ევროპულ სახელმწიფოებს გააჩნდათ ცენტრალური დროშებიც (ამასთან, ეს ცენტრალური დროშა ხშირად შეიძლება ყოფილიყო სხვადასხვა ფორმის, ან საერთოდ ორი სხვადასხვა დროშა, როგორც, მაგალითად, ინგლისის შემთხვევაში. ინგლისის სახელმწიფო დროშად ამ დროისათვის უკვე გამოყენებულია წმინდა გიორგის ჯვარი. მაგრამ ევესკონტესათვის უფრო აქტუალურია სამლოთიანი დროშა და მხოლოდ ეს დროშა დაიქვს პორტოლანზე) და, გარდა ამისა, ყოველი დიდი ფეოდალი, მხარე, თუ ქალაქი ფლობდა საკუთარ დროშას. ეს საკუთარი დროშა ხშირად გვხვდება რამდენიმე ვარიანტში ან ერთი წმინდანის დროშის პარალელურად. ქალაქებს სხვა დროშებიც შეიძლებოდა ჰქონოდათ. ამდენად, თვითონ პორტოლანებიც ევროპული დროშების მხოლოდ არასრულ სურათს იძლევიან. ამასთანავე, ამ დროშათა სიმრავლის გამო, რაკი ფაქტიურად ყველა სახელმწიფო ერთი საფუძველიდან ქმნიდა თავის დროშებს, ანუ ქრისტიანობიდან, და ქრისტიანობის მთავარი ნიშანი გახლდათ ჯვარი, თვითონ ევროპის შიგნითაც ხშირი იყო სხვადასხვა ქალაქების თუ მხარეების მიერ მსგავსი დროშების აღება. ამან განსაკუთრებული არეულობა წარმოშვა, როგორც ეახსენეთ, პალესტინაში, როდესაც ევროპული ქვეყნების და მხარეების მეომრებს ერთად მოუხდათ მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლა. ამიტომ არაფერი გასაკვირი არ არის, თუ საქართველოში შეეხვედებით რომელიმე ევროპული ქვეყნის ან მხარის მსგავს დროშას. რადგან საქართველოც, ბუნებრივია, ასევე ეკუთვნოდა ქრისტიანულ სივრცეს, აღმოსავლურ ქრისტიანულ სივრცეს და, რაკი ქართული სახელმწიფოს იდეოლოგიაც შუა საუკუნეებში პრაქტიკულად მხოლოდ ქრისტიანობას ემყარებოდა, შესაბამისად, თავისი დროშების შესაქმნელად ქართველებსაც ძალიან ფართო არჩევანი არ ექნებოდათ. რადგან შუა საუკუნეებში (და, ცხადია, ისევდაც, ყველა ნორმალურ ქვეყანაში) დროშა შეესატყვისება და გამოხატავს სახელმწიფო იდეოლოგიას. ქრისტიანული იდეოლოგიის უმთავრესი ნიშანი კი, საიდანაც იქმნება დროშები თუ ამ იდეოლოგიის მატარებლების სხვა გამომარჩეველი ნიშნები, გახლავთ ჯვარი. ასე რომ, პარალელიზმი ჯერ კიდევ არ ნიშნავს გადაღებას.

ამგვარი პარალელიზმის კარგი მაგალითია გენუის და ინგლისის დროშები. შუა საუკუნეებში გენუას და ინგლისს აქვთ პრაქტიკულად ერთი დროშა (გენუელთა და ინგლისელთა ვემების ერთმანეთისაგან გასარჩევად წინა პლანზე გამოდიოდა სწორედ ის სხვადასხვა ვარიანტები დროშების, გერბები, რომლებიც დროშას თან შეიძლებოდა დართვოდა და მრავალი სხვა გამომარჩეველი ნიშანი). ეს დროშა არის წმინდა გიორგის ჯვარი. წმინდა გიორგის ჯვარი გახლავთ თეთრ ან ვერცხლისფერ ფონზე გამოსახული წითელი ჯვარი. გენუელებთან ის ფიქსირდება XIII საუკუნიდან, ასევე ინგლისელებთან, ოღონდ რამდენიმე ათწლეულით გვიან. ეს ფაქტი, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ინგლისელებმა გენუელების დროშა მოიპარეს. რადგან შუა საუკუნეების ქრისტიანულ სამყაროში ძალიან ხშირად კონკრეტული დროშა და კონკრეტული ფერი შეესატყვისება ცალკეულ წმინდანს. თეთრი და წითელი ფერების კომბინაცია ქრისტიანულ სამყაროში დაკავშირებულია უშუალოდ წმინდა გიორგისთან (წმინდანებს მსგავსი ფერები უნდა ჰქონოდათ როგორც დასავლურ, ასევე აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში). ამასთან, კონკრეტული სახელმწიფოს ან ქალაქის მიერ რომელიმე დროშის აღება გამოხატავდა შესატყვის რელიგიურ შინაარსს. გენუელთა დროშად წითელი ჯვარი თეთრ ფონზე ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც გარკვეული მისეზების გამო გენუელებმა ჩათვალეს, რომ მათი ქალაქის პატრონი გახლავთ წმინდა გიორგი. ასევე ინგლისელები წითელჯვრიან თეთრ დროშას იღებენ იმ დროიდან, რაც მათ პატრონად წინა პლანზე გამოდის წმინდა გიორგი. არსებობს ერთგვარად საერთო ქრისტიანული მარაგი წმინდანების, დროშების თუ ნიშნების, საიდანაც ქრიტიანული მთლიანობის ყოველი წევრი თავისთვის იღებს სიმბოლიკას. ბუნებრივია, ამ არჩევისას შეიძლება მოხდეს თანხვედრაც, როგორც გენუელების და ინგლისელების შემთხვევაში.

დავუბრუნდეთ კელავ პიეტრო ევესკონტეს პორტოლანს. როგორც ითქვა, საფრანგეთის

ცენტრში მოთავსებულია შროშანებიანი დროშა, საფრანგეთის სახელმწიფო დროშა. საფრანგეთის სანაპიროზე კი ეხედავთ სამ დროშას. ეს გახლავთ ცალკეულ ქალაქთა თუ მხარეთა დროშები. ეს ფაქტი აშკარად მიანიშნებს იმ გარემოებაზე, თუ დროშათა რა სიმრავლესთან შეიძლებოდა გვქონოდა საქმე შუა საუკუნეების ქრისტიანულ სახელმწიფოში. ჩვენი ინტერესის საგანია წითელჯვრიანი დროშა. თეთრ ფონზე ჩახატულია ერთი წითელი ჯვარი. ოთხ მინდორში მოთავსებულია ოთხი წითელი წერტილი. ეს წერტილები არ არის აუცილებელი ჯვრებს აღნიშნავდნენ. ამ შემთხვევაში, ცხადია, მნიშვნელოვანია ტრადიცია, ანუ თუ რომელიმე სხვა წყარო აღნიშნულ დროშას განსხვავებული ფორმით გვაწვდის, რათა დადგინდეს თუ რას შეიძლება აღნიშნავდეს ოთხი წითელი წერტილი. რაკი შემდგომი დროის ჰორტოლანებზე (მარინო სანუდოსთან, ანჟელინო დულჩერტის ჰორტოლანზე, ასევე, საეარაუდოდ, ძმები პიციგანოების ჰორტოლანზე) ამავე ადგილას მდებარეობს წითელჯვრიანი დროშა, რომლის მინდვრებში განლაგებულია ოთხი ოვალური საგანი, ამიტომ ეს ოთხი წერტილიც პიეტრო ვესკონტეს რუკაზე უნდა აღნიშნავდეს მსგავს საგნებს და არა ჯვრებს. თუმცა მაინც შეიძლება დაეტოვოთ შესაძლებლობა, რომ ეს წერტილები აღნიშნავს ჯვრებს. მაგრამ ქართული დროშის საკითხისათვის, მსგავს ფაქტებს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან, ზემოთაც ვახსენეთ, ერთმანეთის მსგავსი დროშები არა მარტო ზოგადად ქრისტიანულ, არამედ დასავლურ სამყაროშიც ჩვეულებრივი მოვლენაა.

ეს დროშა იერუსალიმს ქალაქ ნარბონასთან. მაგრამ, საეარაუდოდ, ეს უნდა იყოს იქვე ახლოს მდებარე ტულუზას გრაფების დროშა. აქვს თუ არა ამ დროშას რაიმე კავშირი იერუსალიმის სამეფოს დროშასთან, ძნელი სათქმელია. ისე, ფაქტია, რომ ტულუზას გრაფები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ჯვაროსნულ ომებში, მოყოლებული პირველი ჯვაროსნული ლაშქრობიდან.

აქვე შეგიძლიათ ერთ საკითხს. ჰორტოლანებზე ჩვენ ეხედებით წითელ ხუთჯვრიან დროშას მხოლოდ ორ ადგილას. ყველაზე მეტჯერ ჰორტოლანებზე ხუთჯვრიანი დროშა გამოსახულია საქართველოსთან (მცირე აზიაში მოთავსებული დროშა, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ასევე საქართველოს უკავშირდება). მეორე პუნქტი, სადაც ჰორტოლანებზე ხუთჯვრიან დროშას ეხედავთ, ოღონდ შედარებით იშვიათად, არის კეიპროსი. ეს დროშა იერუსალიმის სამეფოს აღმნიშვნელი დროშაა, რადგან იერუსალიმის სამეფოს მოსპობის შემდეგ სამეფო სახლის წევრები გარკვეულ ხანს კუნძულ კეიპროსზე იმყოფებოდნენ. სხვაგან არსად წითელი ხუთჯვრიანი დროშა დაფიქსირებული არ არის. ცენტრალური დატვირთვა ამ ხუთჯვრიანი დროშებიდან აშკარად ენიჭება საქართველოსთან განლაგებულ დროშებს.

გამოითქვა ასევე ვარაუდი, რომ ეს ხუთ წითელჯვრიანი დროშა საქართველოსთან ეკუთვნით მისიონერებს. ეს ვარაუდი დამაჯერებლად აქვს უარყოფილი უკვე ბ-ნ დავით მუსხელიშვილს[25]. აღნიშნული მოსაზრების სიმცდარეზე დეტალურად არის საუბარი ბ-ნ ელდარ შენგელაიას 2003 წლის 11 იანვრის გამოსელაშიც (იხილეთ საქართველოს პარლამენტთან არსებული საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების კომისიის მასალები[26]). სასურველია აღნიშნულ საკითხს აქ მაინც შევეხოთ, რათა მკითხველს ბოლომდე ნათელი სურათი ჰქონდეს თვალწინ. დომინიკანელებს ამგვარი დროშა არ ჰქონიათ. ფრანცისკანელებს კი გერბზე, ყველა ნიშნის მიხედვით დროშაზეც, დატანილი ჰქონდათ ხუთი წითელი ჯვარი (ჩემს ხელთ არსებული ლიტერატურის მიხედვით, არ

[25] დავით *მუსხელიშვილი* (1998). გვ. 5.

[26] ბ-ნი ელდარ შენგელაია გამოსელაში ასევე ეხება საქართველოს სახელმწიფო დროშასთან კავშირში დომინიკანელების ორდენთან მიმოწერას. ბ-ნ ელდარ შენგელაიას მიერ მოწოდებულ მასალებში დაცულია პირადი ნერილი, რომელიც მან სახელმწიფო დროშასთან დაკავშირებით გაუგზავნა დომინიკანელების ნარმომადგენლობას იტალიაში. სახელმწიფო სიმბოლიკის კომისიის მასალებში აგრეთვე დაცულია იტალიიდან ამ საკითხზე მოსული პასუხი. დომინიკანელთა ორდენს, დომინიკანელთა ისტორიის ინსტიტუტიდან მოსული ნერილის თანახმად, საკუთარი დროშა არ ჰქონია. ამასთან, დომინიკანელთა ისტორიის ინსტიტუტიდან მოსულ პასუხში ადასტურდებენ, რომ ჰორტოლანებზე გამოსახული ხუთჯვრიანი დროშა ეკუთვნის საქართველოს სახელმწიფოს.

არის ნათელი. XIII და XIV საუკუნეებში უკვე ფლობდნენ თუ არა ფრანცისკანელები ამგვარ დროშას). მაგრამ ფრანცისკანელების მსგავს დროშას ქართული სახელმწიფო დროშისათვის ისევ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. რადგან ფრანცისკანელთა ორდენი არსდება XIII საუკუნის დასაწყისში. ამ დროის ქართული სახელმწიფო დროშა, როგორც ითქვა, მრავალ საუკუნეს ითვლის. ამასთან, ხუთი ჯვარი XII საუკუნეში დროშაზე უკვე ჰქონდა გამოსახული იერუსალიმის სამეფოს. სწორედ ამ დროშიდან, XIII საუკუნიდან მოყოლებული, დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, სხვადასხვა ფორმით, იერუსალიმის ჯვარს ხშირად ეხვდებით. არ არის გამორიცხული, ფრანცისკანელებსაც თავიანთ გერბსა, თუ დროშაზე იერუსალიმის ჯვარი სწორედ იერუსალიმის სამეფოს დროშის გავლენით დაეტანოთ.

აქ რჩება ერთი შესაძლებლობა. დაეუშვათ, ფრანცისკანელები XIV საუკუნის დასაწყისში ფლობდნენ დროშას, რომელზეც გამოსახული იყო იერუსალიმის ჯვარი. მაშინ ხომ არ შეიძლება, პორტოლანებზე საქართველოსთან მოთავსებული ხუთჯვრიანი დროშები ეკუთვნოდეთ ფრანცისკანელებს? ამ შემთხვევაში მაინც სრულ გაუგებრობასთან გვექნება საქმე. რადგან, როგორც ითქვა, დროშა თეთრ ფონზე ხუთი წითელი ჯვარით პორტოლანებზე დაფიქსირებულია ორ ადგილას. ამასთან, იერუსალიმის სამეფოს დროშაზე და ფრანცისკანელებთან გამოსახული ჯვარი განსხვავდება საქართველოს დროშის ხუთჯვრიანი კომპოზიციისაგან, როგორც ეს აღნიშნული აქვს ბ-ნ დავით მუსხელიშვილს. აქედან ერთი უკავშირდება იერუსალიმის სამეფოს დროშას, მეორე ადგილი კი საქართველოა. მაშინ გამოდის: მისიონერებს ან რომს თავიანთი დროშები არა აქვთ არც რომთან, არც თავისთან, ევროპულ ქვეყნებში, არც იმ სხვა მახლობელ თუ შორეულ ქვეყნებში, სადაც სამისიონერო საქმიანობას ეწეოდნენ, და აქვთ მარტო საქართველოში? რადგან XIV საუკუნის პირველ ნახევარში სპარსეთში არსებობს სულთანიის კათოლიკური საარქიეპისკოპოსო, რომელსაც ექვემდებარება თბილისის კათოლიკური საეპისკოპოსო. ასეთივე კათოლიკური საარქიეპისკოპოსო დაარსებულია ამ დროს ჩინეთში. მაგრამ არც ჩინეთში და არც სპარსეთში ადრეული ახალი დროის არც ერთ ევროპულ რუკაზე ხუთჯვრიანი, ან საერთოდ ქრისტიანული, დროშა არ ფრიალებს.

ამასთან, არც ერთ პორტოლანზე, რომელთა ნახვის საშუალებაც მომეცა, კურიის ან უშუალოდ სასულიერო ორდენების სამისიონერო საქმიანობა არც დროშებით და არც არანაირად აღნიშნული არ არის. განსხვავებით შუა საუკუნეების რუკებისაგან, რომელთა ავტორებიც სასულიერო პირები გახლდნენ და რომლებსაც წმინდა მსოფლმხედველობრივი დატვირთვა ეკისრებოდათ, პორტოლანების შემქმნელებს ეს, ასე ეთქვათ, მაღალი მატერიები, მაინცდამაინც არ აინტერესებთ. რადგან პორტოლანებს უკვე ამსადებენ მეზღვაურებთან, ეაჯრებთან ან ძლიერ ფეოდალებთან დაკავშირებული კარტოგრაფები. ეს უკვე არის პრაგმატული კარტოგრაფია. შესაბამისად, პორტოლანების ავტორების ყურადღების ცენტრშია ძალთა განლაგება, სახელმწიფოები, ქალაქები, რომელი პორტი ვის ხელშია. სწორედ სახელმწიფოებთან, ქალაქებთან, ძალის მფლობელებთან დაკავშირებულ დროშებს გვთავაზობენ პორტოლანები. თუ პორტოლანებზე ლეგენდარული ელემენტი ჩნდება დროშებთან დაკავშირებით, მაგალითად, პრესბიტერ იოანეს სამეფოს დროშები ეთიოპიაში, ესეც აღნიშნულ კონტექსტშია გასააზრებელი. რადგან XIV საუკუნიდან ევროპელებს სჯერათ, რომ პრესბიტერი იოანე მეფობს ეთიოპიაში, ისლამური ეგვიპტეს ზურგში. შეიძლება ადრე თუ გვიან დაამარცხოს ეგვიპტელები და დასავლეთევროპელებთან პირდაპირ კავშირსე გამოვიდეს. ამდენად, თვით ლეგენდარული ელემენტიც კი პორტოლანებზე დატანებულ დროშათა სისტემაში ასოცირდება პოლიტიკასა და ძალთა თანაფარდობასთან.

იგივე საქართველოსთან XIV და XV საუკუნეშიც, ვიდრე საქართველო ევროპელებისათვის ანგარიშგასაწევ ფაქტორს წარმოადგენს, დროშებს უხვად ვხვდებით. იმ პორტოლანების რაოდენობა, სადაც გვიანდელ ხანაში საქართველოსთან დროშებია გამოსახული, კლებულობს საქართველოს სამეფოს დასუსტებასა და დაშლასთან ერთად. შედარებით გვიანდელ ხანაში პორტოლანები საქართველოსთან მოთავსებული დროშებით უკვე გამონაკლისია

(ესენია ძირითადად პომემების ოჯახიდან გამოსული პორტუგალიური რუკები, რომლებზეც სამეგრელოსთან მრავლად არის ერთჯერიანი დროშები). არა იმიტომ, თითქოს საქართველოს ქრისტიანობა არ იცოდნენ. არამედ საქართველო აღარ არის ის ანგარიშგასაწევი ძალა. შესაბამისად, ჯვრიანი დროშების განლაგება საქართველოსთან აქტუალობას კარგავს. თუ გვიანდელი პორტოლანები დეტალურად აღნუსხავენ თურქეთის დროშებს ყველა იმ პუნქტთან, რომლებიც კი თურქეთს დაუპყრია, მიუხედავად იმისა, რომ სამეგრელო და იმერეთი თურქების დროშებისაგან დამოუკიდებელნი ჩანან, საქართველოს ტერიტორიაზე ჯვრიანი დროშის აღმართვით თავს ხშირად არ იწუხებენ. ან მარტივად თურქეთის დროშას დაგვისვამენ ხოლმე ჩვენს ტერიტორიაზე. ამ პროცესისთვისაც საინტერესოა თვალის გადევნება, როგორ თანდათან ცვლის ევროპულ პორტოლანებზე საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჯვრიან დროშებს ნახევარმთვარიანი დროშები (ეს ხდება ძირითადად XVI საუკუნიდან. სხვათა შორის, როდესაც XIV-XV საუკუნის პორტოლანებზე საქართველოსთან მოთავსებულ ჯვრიან დროშებს მისიონერთა კუთვნილებად ესახავთ, მისიონერები არანაკლები რაოდენობით ჩამოდიოდნენ საქართველოში XVI ან XVII საუკუნეებში, მაგრამ არც ამ დროის რუკებზე ჩანს მათი მოღვაწეობის რაიმე აღმნიშვნელი კვალი, ძირითადად თურქეთის ნახევარმთვარიან დროშებს ეხვდებით).

პიეტრო ვესკონტეს შავი ზღვის ატლასი
1313 წელი

შემდეგი ფასდასადები საგანია პიეტრო ვესკონტეს 1313 წლით დათარიღებული შავი ზღვის პორტოლანი[27]. აღნიშნულ პორტოლანზე, სხვათა შორის, საქართველოს სანაპირო ზოლიც განსაკუთრებით კარგად ჩანს. წითელი ფერით რუკებზე აღნიშნებოდა ის პორტები, რომელთაც მეტი მნიშვნელობა ჰქონდათ, ანუ მთავარი პორტები. ასეთი ნაესადგური საქართველოს ტერიტორიასთან პიეტრო ვესკონტეს აღნიშნულ ატლასზე სამია გამოყოფილი: ბიჭვინთა, სევასტოპოლი ანუ სოხუმი და ფაზისი ანუ ფოთი.

პიეტრო ვესკონტეს პორტოლანზე დაფიქსირებულია ერთადერთი ჯვარი, საქართველოს ტერიტორიაზე, ფაზისთან ახლოს. ეს ჯვარი დროშის ვარიანტიც უნდა იყოს და იმავე დროს ქვეყნის ქრისტიანობასთან კავშირზე მიუთითებს თავისთავად. არაფერი იმაში გასაკვირი არ არის, რომ შავი ზღვის პორტოლანზე ჯვარი ამ შემთხვევაში ჩნდება მარტო საქართველოსთან. როგორც ითქვა, არ შეიძლება დასავლური კარტოგრაფიული მასალის ერთგვარად ამოგლეჯილად განხილვა. ყოველთვის გასათვალისწინებელია ის საფუძველი ინფორმაცია, რომელსაც იგივე პორტოლანების შემქმნელები იყენებდნენ. აღნიშნული ინფორმაციის ნაწილია ზემოთ განხილული წერილობითი ხასიათის ცნობები საქართველოზე. ამასთან, დასაელეთევროპელ (და ამ დროის აღმოსავლურ) ცნობებში საქართველო ერთმნიშვნელოვნად დასახულია მძლავრ, მაჰმადიანებისადმი აგრესიულად განწყობილ ქრისტიანულ ქვეყანად. გაეიხსენოთ თუნდაც პიეტრო ვესკონტეს რუკების თანადროული ეილპელმ ადამის ზემოთ მოტანილი ცნობა, სადაც ქართველებს მუდამ სარკინოზთა სისხლი სწყურიათ (რაგინდ ყურს გვჭრიდეს დღეს ეს გამოთქმები, არ შეიძლება დღევანდელი თვალთახედვით მიეუდგეთ შუა საუკუნეების ისტორიას და რაც იქ თანამედროვე პოზიციიდან მიუღებლად მიგვაჩნია, უბრალოდ გამოეტოვოთ).

აქ კიდევ ერთი ფაქტია უაღრესად მნიშვნელოვანი. პიეტრო ვესკონტეს რუკების უმრავლესობა, შესაძლოა შავი ზღვის ეს პორტოლანიც, თან დაერთო მარინო სანუდო ტორსელის ნაშრომს, რომელიც წარედგინა აკინიონში მყოფ რომის პაპს. ამ წიგნით მარინო სანუდო ცდილობდა, ავინიონში მყოფი პაპი ახალი ჯვაროსნული ლაშქრობისათვის

[27] Portulane, Seekarten vom XIII. bis zum XVII. Jahrhundert, hrsg. von Monique de la Ronciere und Michel Mollat du Jourdin, München 1984. რუკა: 2; ასევე: Konrad Kretschmer (1962), გვ. 111.

შეეგულიანებინა. ზემოთ ითქვა, რომ პორტოლანების ავტორები რუკებზე გამოსახავდნენ სახელმწიფოთა, ქალაქთა, მხარეთა, ანუ რეალური ძალების კონსტელაციის მანვენებელ დროშებს. პიეტრო ვესკონტეს რუკებისათვის ეს ფაქტორი ორმაგად მნიშვნელოვანია. რადგან მზადდება ჯვაროსნული ლაშქრობა (რომელიც, მართალია, შემდეგ ჩაიშალა) და ამისათვის აღმოსავლეთშიც ეძებენ რეალურ თანამდგომებს. აღმოსავლეთში სპარსეთის ილხანებთან ერთად უმთავრესი მოკავშირეა საქართველოს სამეფო,ფაქტიურად ერთადერთი მძლავრი ქრისტიანული სახელმწიფო აღმოსავლეთში, რომელიც, ყველაფერთან ერთად, დასავლეთ ევროპელებისადმი კეთილგანწყობილია.

ამიტომ პიეტრო ვესკონტეს რუკებზე საქართველოსთან მოთავსებული ჯვარი ნამდვილად არ არის გასაკვირი. თუ გაეთვალისწინებთ,რომ ამ მასალას პიეტრო ვესკონტე და მარინო სანუდო შესაძლოა ერთადაც ამზადებდნენ, და გავიხსენებთ, რა ტონებში ლაპარაკობს მარინო სანუდო მძლავრ ქრისტიან ქართველებზე, კიდევ უფრო დამაჯერებელია ჯვრების გამოსენა საქართველოს ტერიტორიაზე. კიდევ მეტი შეიძლება ითქვას. საქართველოზე შუა საუკუნეების დასავლეთევროპული ცნობების გათვალისწინებით, გასაკვირი ის იქნებოდა, ევროპულ პორტოლანებზე ქრისტიანული სიმბოლიკის მქონე ნიშნები საქართველოს სამეფოსთან არ გამოჩენილიყო. ამასთანავე, როგორც ზემოთ ვახსენეთ, მარინო სანუდოს ცნობაში ქართველებთან ფაქტიურად წმინდა გიორგის დროშაა დაფიქსირებული,რაც კიდევ უფრო დამაჯერებელ საფუძველს უქმნის საქართველოსთან ჯვრიანი დროშების გამოჩენას. ოღონდ მარინო სანუდოსთან წმინდა გიორგის დროშა მიეწერებათ იერუსალიმში მყოფ ქართველ პილიგრიმებს.

აქ. ცხადია, გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტი. პიეტრო ვესკონტეს 1313 წლის პორტოლანზე გამოხატული ჯვარი არც წმინდა გიორგის დროშაა და არც ხუთჯვრიანი წითელი დროშა. ეს არის შავი ჯვარი, რომელსაც ბოლოები უფართოვდება. ზემოთაც ვახსენე: შუა საუკუნეების მძლავრ და დიდ ქრისტიანულ სახელმწიფოში ნეკელებრივი მოვლენაა დროშათა სიმრავლე. იგივე ვითარება იქნებოდა საქართველოში და ამ მხრივ ნვენზე კიდევ ცოტა მასალაა შემორჩენილი. თუნდაც მხოლოდ ევროპული წყაროებით ქართველებთან ფიქსირდება ქრისტიანული სიმბოლიკის რამდენიმე დროშა: ეს არის აშკარად ცენტრალური დატვირთვის მქონე ხუთჯვრიანი დროშა (პორტოლანებზე), წმინდა გიორგის დროშა,ანუ ერთ წითელჯვრიანი თეთრი დროშა (ერთ პორტოლანზე და ევროპულ ცნობებში), ქრისტეს თაყვანისსაცემად მოსული სამი მოგვის დროშა (ევროპულ ცნობებში), სულ მცირე ოთხი სხვადასხვა ფორმის ერთჯვრიანი დროშა, ოღონდ არა წმინდა გიორგის დროშა (პიეტრო ვესკონტესთან, XIV საუკუნის დასაწყისის I ანონიმთან, დიოგო პომემთან და რიგ სხვა რუკებზე).

ქრისტიანულ სახელმწიფოში არსებობდა ცენტრალური დროშა, შესაძლოა მისი ვარიანტებით, ასევე მხარეთა ანუ დიდ ფეოდალთა დროშები. ცალკე იყო წმინდანთა დროშები. თუკი ქალაქებს მეტი დამოუკიდებლობა გააჩნდათ, მაშინ ქალაქებიც ფლობდნენ თავიანთ დროშებს. აქედან გამომდინარე, როგორც ითქვა, სამწუხაროდ, ქართული დროშების სისტემიდანაც მხოლოდ მცირე ნაშთია შემორჩენილი და საერთო სურათი უნდა აღვადგინოთ ამ მცირე ნაწილის მეშვეობით. აქვე ერთსაც ვიტყვი მოკლედ. რა თქმა უნდა, ევროპული პარალელები უნდა გავითვალისწინოთ და გავაანალიზოთ, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ერთგვარად საკუთარი ღირსების შენარჩუნებით. არ არის სასურველი, რამდენი ევროპულ რუკაზე საქართველოსთან ჯვრიან დროშას დავინახავთ, მოკრძალებულად ევროპისაკენ დავიწყოთ ყურება. როგორც ითქვა, საქართველოს დროშათა სისტემის საკუთარი და ევროპულზე ძველი ტრადიცია აქვს.

ისევ პიეტრო ვესკონტეს პორტოლანის თუ დავუბრუნდებით, ამ ჯვართან დაკავშირებით რამდენიმე ვარაუდია დასაშვები. ეს შეიძლება იყოს ან რომელიმე წმინდანის დროშა, ან რომელიმე ქართული მხარის თუ ქართველი ფეოდალის ალამი. ხშირად ამგვარი ბაირაღების გამოხატვა შემთხვევაზეც იქნებოდა დამოკიდებული,იმისდა მიხედვით,ევროპელი მოგზაური რომელ ქართულ მხარეში,რომელ ქართველ დიდებულთან,ან ქართველ პილიგრიმთა რომელ

ჯუჯთან ნახავდა კონკრეტულ დროშას (მსგავს შემოხვევასთან გვაქვს საქმე, მაგალითად, ქართველებთან სამი მოგვის ალამის არსებობასთან დაკავშირებით. ამ ცნობას გვაწვდის XIV საუკუნის ორი გერმანული წყარო, ამათგან უფრო გვიანდელი ავტორი ადრინდელ ცნობაზე დამოკიდებული ჩანს. სავარაუდოდ, კონკრეტული გერმანელი შეხვდა ქართველ პილიგრიმთა ან მოგზაურთა ჯგუფს საქართველოს გარკვეული მხარიდან, რომლებთანაც სამი მოგვის დროშა იყო წინა პლანზე, და ასე გაჩნდა აღნიშნული ინფორმაცია ევროპულ წყაროში).

ასევე გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტი: საქართველოს ორ სამეფოდ დაშლის შესახებ საკმაოდ ზუსტი ცნობები (დასავლეთ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის შენარჩუნების, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს სპარსეთის ილხანებთან ერთად მაჰმადიანების წინააღმდეგ ბრძოლის) ევროპელებთან უკვე XIII საუკუნის დასასრულიდან, შესაძლოა უფრო ადრიდანაც, ჩნდება. XIII საუკუნისა და XIV საუკუნის დასაწისისათვის ეს აქტუალური მონაცემი შეცდომით უფრო გვიანდელ ხანებშიც მეორდება. აქედან, ამ განსხვავებულ დროშებში ერთ-ერთი, ვთქვათ, დასავლეთ საქართველოს დროშაც შეიძლება იყოს.

პიეტრო ვესკონტეს შავი ზღვის ატლასი
1320 წელი

პიეტრო ვესკონტეს 1320 წლის შავი ზღვის პორტოლანზე, დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული მასალიდან, ევროპული პორტოლანი პირველად საქართველოსთან კავშირში გვთავაზობს დროშას, რომელზეც იერუსალიმის ჯვარის მსგავსი კომპოზიციაა გამოსახული[24]. პიეტრო ვესკონტეს აღნიშნული რუკაც სავარაუდოდ თან დაერთო მარინო სანუდოს ნაშრომს. მარინო სანუდოს წიგნი კი ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზებისათვის რომის პაპს წარედგინა. ამიტომ, ზემოთაც ვთქვი და აქ დეტალურად აღარ გავიმეორებ: ამ ინფორმაციას განსაკუთრებით აქტუალური მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთევროპელთათვის. მთავარი აქცენტი გადატანილია ფაქტზე, შეიქმნან რეალური წარმოდგენა ძალთა განლაგების შესახებ.

ეიდრე საქართველოსთან მოთავსებულ დროშებს შეეხებოდეთ, მოკლედ დავახასიათოთ დანარჩენი დროშები. კონსტანტინეპოლთან და მცირე აზიის ცენტრში აღმართული ორი მსგავსი ჯვრიანი დროშა სავარაუდოდ ეკუთვნით ბიზანტიელებს. ეს უნდა იყოს ბიზანტიელთა ჯვრიანი დროშა, პალეოლოგოსთა გერბის ნიშნებით ოთხ მინდორში. კონსტანტინეპოლის ზემოთ გამოხატული პატარა დროშის კუთვნილების საკითხი გაურკვეველია. შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე განლაგებული ორივე დროშა ეკუთვნით ოქროს ურდოს მონღოლ მფლობელებს. შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე დატანილი ოთხი დროშიდან, როგორც ითქვა, მარცხენა ბიზანტიელების უნდა იყოს. მარჯვენა დროშა ტრაპიზონის იმპერიისაა. ალამზე ეხვედათ ორთავიან არწივს, ბიზანტიის იმპერიის სიმბოლოს, რომელიც კომნენოსებმა, თავიანთი წარმოდგენით ვითარცა ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრეებმა, აიღეს საკუთარ ნიშნად. ტრაპიზონის იმპერიის დროშის მარცხნივ მოთავსებული ორი დროშა, სავარაუდოდ, ეკუთვნით მცირე აზიის ქალაქებს.

საქართველოს სანაპიროზე ფრიალებს ორი დროშა. აღნიშნული რუკა გამოქვეყნებულია ვატიკანის კარტოგრაფიული მასალის დიდ კორპუსში. ვესკონტეს პორტოლანის ორიგინალი ალბათ ფერადი უნდა იყოს, თუმცა გადაჭრით ამის თქმა ძნელია. ზედა დროშაზე გამოსახულია ერთი დიდი ჯვარი, ხოლო ოთხ მინდორში მოთავსებულია ოთხი შავი წერტილი. შემდგომი ხანის პორტოლანების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ: ეს ოთხი ნიშანი, სავარაუდოდ, უნდა გულისხმობდეს ოთხ ჯვარს. ასევე გამართლებული

[24] Roberto ALMAGIA, Monumenta Cartographica Vaticana, ტ. 1, 1944, გვ. 13, რუკა: 4.

ჩანს შემდეგი ვარაუდი: ეს დროშა იქნებოდა წითელი, რის მყარ საფუძველსაც აგრეთვე გვაძლევს შემდგომი ხანის პორტოლანების ანალიზი, სადაც იგივე ადგილას გამოსახულ დროშაზე დატანილი ნიშნები ყოველთვის წითელი ფერისაა.

საქართველოსთან აღმართულია მეორე, ერთჯერიანი დროშა. თავისი ფორმით ეს არ არის წმინდა გიორგის ჯვარი. ეს ჯვარი განსხვავდება ასევე პიეტრო ვესკონტეს 1313 წლის შავი ზღვის პორტოლანზე მოთავსებული ერთი ჯერისაგან და ასევე იმ ჯერიანი დროშებისაგან, რომლებსაც შავი ზღვის პორტოლანზე დიოგო ჰომემი და სხვა პორტუგალიელი კარტოგრაფები აკუთვნებენ სამეგრელოს. რაკი ამ დროს საქართველო ჯერ კიდევ არ არის გამოლიანებული, თეორიულად იმის დაშვებაც შეიძლება, რომ აქ ვესკონტე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოების დროშებს გვთავაზობდეს.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, გაურკვეველია ქართული სახელმწიფო დროშის ბედი საქართველოს ორად გაყოფის ხანაში. მას შემდეგ, რაც რუსუდანმა გარნისის ომში ივანე მხარგრძელის ღალატის გამო ჯალალედინთან მეორე ბრძოლისას სეფე-დროშა არმიას აღარ გაატანა, სახელმწიფო დროშა თვალსაწიერიდან ქრება. XIV საუკუნის ძეგლის, „ხელმწიფის კარის გარიგების" მიხედვით, სახელმწიფო დროშა, სავარაუდოდ, დასავლეთ საქართველოს ზარდახანაში იყო დაცული. ძნელი სათქმელია, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოს გაყოფის ხანაში გააჩნდათ თუ არა ერთი დროშა. უფრო საფიქრებელია: ორივე სამეფოს სხვადასხვა დროშა ჰქონოდა. ერთიანი საქართველოს მემკვიდრე, როგორც ითქვა, წესით, დავითიანული სამეფო იყო. ამიტომ სახელმწიფო დროშაც თითქოს აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს უნდა ემემკვიდრეოა. ჟამთააღმწერელის ცნობიდან კონტექსტის მიხედვით [illegible] �ლება გვეუარაუდებინა, რომ როგორც ქართველებს არ მიეცათ ძალება გიორგი ბრწყინვალის ხანამდე მონღოლებზე (რაც იგივე დასავლეთ საქართველოსთან მიმართებაში ბოლომდე სწორი არ არის), ასევე აღარ იყო სვესეიანი ქართველთა დროშა გიორგი ბრწყინვალის დრომდე. შესაბამისად, ჟამთააღმწერელის ცნობიდან გამომდინარე აზრის მიხედვით, ეს დროშა ქვეყნის ორად გაყოფის ხანაშიც ცენტრალურ დროშად რჩებოდა. მაგრამ ამ ცნობას შესაძლოა გარკვეულწილად ხელს უშლიდეს „ხელმწიფის კარის გარიგების" ცნობა. არსებულ მასალაზე დამყარებით საბოლოო დასკვნის გაკეთება ძნელია. ერთი შეიძლება ითქვას, რომ, ყველა ნიშნის მიხედვით, სამეფოს გაყოფის შემდეგ დასავლეთ საქართველოსაც ალბათ თავისი დროშა ექნებოდა.

ძნელი სათქმელია, თუ ჩვენი ვარაუდი მართებული არის, საქართველოს რომელ სამეფოს შეიძლება ეკუთვნოდეს სოხუმთან დატანილი დროშა. მართალია, ხუთჯერიანი დროშა, ასე ეთქვათ, უფრო დასავლეთითაა მოთავსებული (ზემოთ გამოთქმული ჩვენი ვარაუდის საპირისპიროდ, რომ გორგასლიან-დავითიანი დროშა ქვეყნის ორად გაყოფის ხანაში ალბათ მაინც აღმოსავლეთ საქართველოს დროშად უნდა დარჩენილიყო), მაგრამ პორტოლანების სპეციფიკიდან გამომდინარე, რაკი ძირითადად გამოხატავდნენ მხოლოდ ზღვისპირა მხარეებს და ვესკონტეს რუკაზე მხოლოდ შავი ზღვის უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიაა გამოსახული, ამიტომ, ბუნებრივია, ორივე დროშა მოთავსებულია დასავლეთ საქართველოში. ხოლო ის ფაქტი, რომ ხუთჯერიანი დროშა სოხუმთანაა, ხოლო ერთჯერიანი ფოთთან, შესაძლოა არც იყოს ხუთჯერიანი ალმის აღმოსაელეთ საქართველოს დროშასთან გათანაბრების მოსაზრებისათვის ხელის შემშლელი. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია.

აქ ალბათ გასათვალისწინებელია: აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოების პარალელურად ამ დროს არსებობს არანაკლებ ძლიერი სამცხე. სამცხის სამთავროს შესახებაც ევროპელებს ინფორმაცია უეჭველად ექნებოდათ, რადგან ამ დროს საკმაოდ გაცხოველებული კავშირებია ერთმანეთთან. თუმცა არც ის არის აუცილებელი, ვესკონტეს ქართული სამეფო-სამთავროების დროშების კატალოგი შეედგინა. ის ათავსებს იმას, რაც მისთვისაა გარკვეული მიზეზების გამო აქტუალური. თეორიულად შეიძლებოდა დაგეეშვა: ეს ერთჯერიანი დროშა ვესკონტეს პორტოლანზე არის სამცხის. მაგრამ მე, წმინდა სუბიექტურად, უფრო დასავლეთ და აღმოსაელეთ საქართველოს დროშებისაკენ ვიხრები. სხვათა შორის, არც ის არის გამორიცხული, ეს დროშა ქალაქ ფაზისის კუთვნილება იყოს.

მაშინ ერთადერთ სახელმწიფო მნიშვნელობის დროშად ვესკონტეს პორტოლანზე რჩება სოხუმთან გამოსახული დროშა. XIV საუკუნის დასაწყისის I ანონიმი მსგავს დროშაზე ათავსებს ფაზისის წარწერას. თუმცა თეორიულად კელაე დასაშვებია ამგვარი წარწერა კარტოგრაფს. მაგალითად, დასავლეთ საქართველოს დროშაზეც დაეტანა. აქვე აღვნიშნავ, რომ ვესკონტეს რუკაზე დატანილი იერუსალიმის ჯვარის ტიპის გამოსახულება თითქმის იდენტურია ამავე დროის ქართულ სახელმწიფო მონეტებზე მოთავსებული ხუთდეტალიანი, იერუსალიმის ჯვარის მსგავსი კომპოზიციისა (გაიხსენოთ ვახტანგ . მესამის XIII საუკუნის დასასრულის და XIV საუკუნის დასაწყისის ანონიმური, ქართულ-ულაგუიდური მონეტები).

აქვე მოკლედ შევეხები იმ პორტოლანებს, რომლებიც ვატიკანის კარტოგრაფიულ კორპუსშია გამოქვეყნებული და ჩვენთვის საინტერესო დროშებს გვთავაზობენ. მარინო სანუდოს ევროპის რუკაზე სავარაუდოდ გენუასთან ერთჯერიანი დროშაა. ისეთივე დროშა აღმართულია სანაპიროს გაყოლებაზე, შუა საფრანგეთში, ან ესპანეთის სახლვართან[29]. გენუელების ერთჯერიანი დროშა, როგორც ითქვა, წმინდა გიორგის დროშაა და ევროპული ცნობების მიხედვით ის უფრო ადრეც ფიქსირდება ქართველებთან და შემდეგაც ქართველებს რჩებათ ურყევი პრიორიტეტი დასავლეთ ევროპელებთან, იწოდებოდნენ წმინდა გიორგის ერად. აქ ქართველთა მიერ წმინდა გიორგის თაყვანისცემასთან ერთად აშკარად თავისი როლი შეასრულა ხალხურმა ეტიმოლოგიამაც, რომლის მიხედვითაც ლამის ყველა შუა საუკუნეების ევროპელი, ვისაც კი ჩვენზე რამე დაეწერია, Georgier-ს და Georgien-ს უკავშირებს წმინდა გიორგის.

მაგრამ ესეც იმ ფაქტზე მიანიშნებს, რა შთაბეჭდილებას ახდენდნენ შუა საუკუნეების ევროპელებზე ქართველები. რადგან დასავლეთევროპელთა მიხედვით, შუა საუკუნეებში წმინდა გიორგის ერად ისახებიან ფაქტიურად მხოლოდ ქართველები. მეოცე საუკუნეში იმისა, რომ იგივე გენუასა და ინგლისსაც წმინდა გიორგი პყავთ უფრო გავრცელული ხანიდან პატრონად, ასეთი მჭიდრო კავშირი წმინდანთან, როგორც ეს ევროპული ცნობების მიხედვით ქართველებს აქვთ, იგივე ევროპული ცნობების საფუძველზე არ აქვთ არც გენუელებს და არც ინგლისელებს. ამასთან, მხედარ, მეომარ წმინდანებს შორის დასავლეთისათვის უპირობოდ პირველ ადგილზე იდგა წმინდა გიორგი. რაოდენ თვალანთი მსოფლმხედველობის თუ იდეოლოგიისათვის შესატყვისად უნდა ჩაეთვალათ მათ ერი (თან ეს ერი მაინც მათთვის საძულველ ბიზანტიურ რიტუალს მისდევს), რომ ასე უპირობოდ დაეთმოთ პირველი ადგილი ამ ერისათვის თავის გამორჩულ წმინდანთან.

კელაე მარინო სანუდოს რუკაზე, ესპანეთის და საფრანგეთის სახლვართან, ზუსტად იმ ადგილას, როგორც პიეტრო ვესკონტეს ზემოთ განხილულ პორტოლანზე, ანჟელინო დულჩერტის და ძმები პიციგანოების რუკაზე, მოთავსებულია ჯვრიანი დროშა ხუთი შავი წერტილით ოთხ მინდორში. ეს დროშაც, სხვა რუკების მასალის გათვალისწინებით, სავარაუდოდ წითელი უნდა იყოს. ოღონდ მინდვრებზე მოთავსებული ოთხი ნიშანი წერტილების ბოლომდე იდენტური არ არის. სანუდოსთან ამ ოთხ ნიშანს მომრგვალებული საგნის ფორმა აქვს, რომლის ერთი მხარე წეტით ბოლოვდება, მეორე მხარე კი სწორი კუთხით მკვეთრადაა ჩამოჭრილი. ანუ შუაზე გაჭრილი კვერცხის მსგავსია (ამდენად, აქაც ოვალურ ნიშანთან გვაქვს საქმე). ეს დროშა სანუდოსთან მოთავსებულია ასევე ქალაქ ნარბონასთან, მონპელიეს ოდნავ სამხრეთით[30]. ამდენად, მარინო სანუდოსთანაც აღნიშნული ალამი ხუთჯერიანი არ არის.

[29] Roberto Almagia, Monumenta Cartographica Vaticana, ტ. 1, 1944, გვ. 13, რუკა: 9 (1).
[30] Roberto Almagia, Monumenta Cartographica Vaticana, ტ. 1, 1944, გვ. 13, რუკა: 9 (2).



პიეტრო ვესკონტეს შავი ზღვის ატლასი, 1320 წელი

XIV საუკუნის დასაწყისის
I ანონიმი

აღნიშნული რუკა დაცული გახლავთ დიდი ბრიტანეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. რუკა ინგლისიდან ნამოიტანა ბ-ნმა ელდარ შენგელაიამ. რუკა აქამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა. რუკა გამოსაქვეყნებლად დიდსულოვნად დამითმო ბ-ნმა ელდარმა, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებ მას.

რუკა, საკარაუდოდ, თარიღდება XIV საუკუნის დასაწყისით. მისი ავტორი უცნობია. რუკას პირობითად ვუწოდებთ XIV საუკუნის დასაწყისის I ანონიმს, რაკი ხუთჯერიან დროშას ამავე ეპოქის მეორე ანონიმური რუკაც გვთავაზობს, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. XIV საუკუნის დასაწყისის I ანონიმის რუკა უდიდეს სიახლოვეს ამჟღავნებს პიეტრო ვესკონტეს ზემოთ განხილულ 1320 წლის შავი ზღვის პორტოლანთან. მსგავსება იმდენად დიდია, რომ თავიდან ერთი და იგივე რუკადაც შეიძლება მოგვეჩვენოს. მაგრამ აქ ორ განსხვავებულ რუკასთან გვაქვს საქმე, თუმცა ორივე რუკა აშკარად ერთ კარტოგრაფიულ სკოლას ეკუთვნის. ამჟამად ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციის მიხედვით, ძნელია თქმა, რომელია უფრო ადრინდელი, ან, საერთოდ, ეს ანონიმური რუკაც პიეტრო ვესკონტეს ხომ არ ეკუთვნის.

რადგან ანონიმის რუკა უმრავლეს დეტალებში თანხვდება პიეტრო ვესკონტეს 1320 წლის შავი ზღვის პორტოლანს, ამიტომ მას დაწვრილებით აღარ განვიხილავ. შეეხები მხოლოდ ცალკეულ განსხვავებებს. I ანონიმის პორტოლანზეც მცირე ანბანში, დასავლეთით, მარცხნივ მოთავსებულია ბიზანტიელთა, ან პალეოლოგოსთა დროშა, ოქროსფერი ჯვარი წითელ ფონზე. მონდერებში ოთხი ოქროსფერი ნიშანია ჩახატული. აღნიშნული დროშა I ანონიმთან მიქცეულია მარცხნივ, ანუ დასავლეთისაკენ. ვესკონტესთან იგივე დროშას სხვაგვარი ფორმა აქვს და იყურება მარჯვნივ, აღმოსავლეთისაკენ. ბიზანტიელთა დროშა კონსტანტინეპოლთან I ანონიმის რუკაზე მიმართულია ქვემოთ, სამხრეთისაკენ, ხოლო ვესკონტესთან – ზემოთ, ჩრდილოეთისაკენ. ოქროს ურდოს დროშაც შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთით ოდნავ განსხვავებულადაა I ანონიმის რუკაზე დატანილი.

I ანონიმის პორტოლანზეც, პიეტრო ვესკონტეს რუკის მსგავსად, სევასტოპოლისთან, ანუ სოხუმთან აღმართულია დროშა თეთრ ფონზე მოთავსებული დიდი წითელი ჯვარით. მინდვრებში დატანილია ოთხი წითელი წერტილი. მსგავსება ვესკონტეს პორტოლანთან იმდენად დიდია, რომ გულდაჯერებით შეიძლება ვთქვათ, ვესკონტეს 1320 წლის პორტოლანზეც გამოსახული ნიშნები წითელი ფერის უნდა ყოფილიყო. როგორც ითქვა, ამგვარივე გამოსახულება ფიქსირდება თამარის, ვახტანგ მესამის, XIV საუკუნის დასაწყისის ანონიმურ ქართულ-პულაგუიდურ მონეტებზე. XIV საუკუნის დასაწყისის I ანონიმის პორტოლანი მეორე რუკაა, რომელზეც საქართველოს ტერიტორიასთან დაფიქსირებულია თეთრი დროშა წითელი ნიშნებით. ამასთან, ეს ნიშნები მეტად ჰგავს ხუთჯერიან კონფიგურაციას. როგორც ქვემოთ დაერწმუნდებით, საქართველოს ტერიტორიასთან სხვადასხვა პორტოლანებზე გამოსახული დროშებიდან ცენტრალური მნიშვნელობისაა ხუთჯერიანი დროშა. დროშა ოთხი წერტილით ხუთჯერიანი დროშის ერთ-ერთი ვარიანტი უნდა იყოს. I ანონიმის რუკაზე ფასისთანაც დატანილია დროშა, რომლის მუქ ყვითელ ფონზე მოთავსებულია ასევე მუქი მწვანე ჯვარი. ეს დროშა ფაქტიურად იდენტურია პიეტრო ვესკონტეს 1320 წლის შავი ზღვის პორტოლანზე იგივე ადგილას მოცემული დროშისა. ერთადერთი, ჯვარის ქვეშ დროშაზე გაკეთებულია ქალაქ ფასისის წარწერა. შეიძლება აქედან დავასკვნათ, რომ აქ ქალაქის დროშასთან გვაქვს საქმე? თუმცა, მაინც გამორიცხული არ მგონია, ამ შემთხვევაში, მაგალითად, დასავლეთ საქართველოს დროშასთან გვქონდეს საქმე.

პიეტრო ვესკონტეს მსოფლიოს რუკა
1320 წელი

პიეტრო ვესკონტეს მომდევნო რუკა გახლავთ „უკვე მსოფლიოს რუკა"[1]. ეს ფაქტორი მნიშვნელოვანია შემდეგი მიზეზის გამო. რაც უნდა აბსტრაქტული ყოფილიყო შუა საუკუნეების კარტოგრაფია, ხოლო რეალისტური – პორტოლანური რუკები, ამ ორ მოვლენას ერთმანეთთან გარკვეული კავშირი მაინც ჰქონდა და რიგ შემთხვევებში საერთო ელემენტებსაც ეხედებით. ადრეული ახალი დროის რუკების ავტორთა ნაწილი პორტოლანების პარალელურად მსოფლიო რუკებსაც ხატავდა, მაგალითად, იგივე პიეტრო ვესკონტე. კარტოგრაფები ამ შემთხვევაში მისდევდნენ შუა საუკუნეთა კარტოგრაფიის ზოგად სქემას. ოღონდ პორტოლანების ავტორთა მსოფლიო რუკებზე და ნაწილობრივ თვითონ პორტოლანებზეც, სადაც შუა საუკუნეების კარტოგრაფიის კვალი შეიმჩნევა. „უკან ინაცვლებს ის თანადროული ეითარებისადმი მტრული ელემენტი, ქრება ანტიკური სახელები და მათ ადგილს რეალური ტოპოგრაფია იკავებს. ასევე გაცილებით ნაკლებია ლეგენდარულის დოზა, რადგან გაიზარდა ის სამყარო, რომელიც დასავლეთევროპელებისათვის ნაცნობია. თუმცა გოგის და მაგოგის ხალხებს,ნოეს კიდობანს არარატის მთაზე საკუთარი ადგილი აქვთ მიჩენილი საკმაოდ ბევრ პორტოლანზე.

ამდენად, პორტოლანების ავტორები შუა საუკუნეების კარტოგრაფიულ ტრადიციას კარგად იცნობდნენ. ასევე ჰქონდათ მათ ინფორმაცია აღნიშნული კარტოგრაფიისათვის საკრალური ადგილების შესახებ. შესაბამისად, აქტუალურ დასავლეთევროპელ ცნობებს მილავრი ქრისტიანული საქართველოს სახელმწიფოს შესახებ თავისებური პარალელები გაანდა შუა საუკუნეების კარტოგრაფიაშიც და, ამ მხრივ, პორტოლანების ავტორებს, შეიძლება ითქვას, ორმაგი წყარო ჰქონდათ: ზეპირ თუ წერილობით ცნობებთან ერთად კარტოგრაფიულიც. შესაბამისად, საქართველოსთან ჯვარის გაჩენას კარტოგრაფიული საფუძველიც უმაგრებდა ზურგს. საკრალური ადგილები შუა საუკუნეების კარტოგრაფიას უკიდურეს აღმოსავლეთში, ინდოეთთანაც ჰქონდა. მაგრამ პორტუგალიელთა გამოჩენამდე ინდოეთში არც ერთი პორტოლანი ჯვარს არ ათავსებს, რადგან საამისო საფუძველი პორტოლანების ავტორებს არა აქვთ. იქ არ არის ქრისტიანული თანადროული სახელმწიფო (პრესბიტერ იოანეს სამეფო ამ დროისათვის უკვე ეთიოპიაში ივარაუდება). ჯერები შუა საუკუნეების კარტოგრაფიის საკრალურ ადგილებზე ჩნდება მხოლოდ საქართველოსთან და იერუსალიმთან (იერუსალიმი, მართალია, ქრისტიანთა მფლობელობაში აღარ არის, მაგრამ ქრისტიანთათვის ის მაინც რჩება ყოველგვარ რეალობაზე მაღლა მდგომ რელიგიურ ცენტრად. ოღონდ იერუსალიმთან ჯვარის გამოსახვა არც ისე ხშირია პორტოლანებზე).

სხვათა შორის, აქვე საინტერესოა აღინიშნოს: პიეტრო ვესკონტეს რუკისათვის თანდართულ ტექსტში, რომელიც რუკაზე ჩანს და კარგადაც იკითხება, საქართველო „შუალოდ ევროპაშია მოთავსებული. თვითონ რუკა უკვე თითქოს თანამედროვე ფორმებს იძენს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ იგივე პიეტრო ვესკონტეს პორტოლანები, სხვა დანარჩენი პორტოლანების მსგავსად,აღმოსავლეთზე ორიენტირებული არ არის,მსოფლიოს რუკა ვესკონტემ მაინც აღმოსავლეთზე მიმართულად წარმოსახა. ეს შემდეგი ფაქტიდან ჩანს: „არწერებს ეკითხულობთ მაშინ, თუ აღმოსავლეთს მოვაქცევთ ზემოთ. აქედანაც ჩანს, ჯერ კიდევ რა დიდია შუა საუკუნეების კარტოგრაფიის გაელენა. მსოფლიოს რუკები მაინც ერთგვარად შუა საუკუნეების კარტოგრაფთა პროგრესიულად რჩებოდა და თუ პორტოლანების ავტორი ამ ჟანრშიც ცდიდა ძალას, ვალდებულად თვლიდა თავს, მაჩვენებლად შუა საუკუნეების კარტოგრაფიის წესებს, ოღონდ გარკვეულ ფარგლებში.

თუ ვესკონტეს მსოფლიოს რუკას დავხედავთ, საერთო სურათში შუა საუკუნეების რუკისაგან უკვე მნიშვნელოვანი განსხვავებებია. პორტოლანების ტრადიციიდან ხმელთაშუა ზღვის სივრცე ლამის თანამედროვე სიზუსტით არის გადმოტანილი. ასევე

[1] John Goss. The Mapmakers Art 1993. გვ. 36: ასევე: Konrad Kretschmer (1962). გვ. 113.

– შაეი ზღვის გამოსახულებაც. კასპიის ზღვა,პირველად პტოლემეოსის შემდეგ,ევსკონტეს რუკაზე მსოფლიო ოკეანეს აღარ უკავშირდება, თუმცა კასპიის ზღვის მოყვანილობა ბოლომდე სწორი არ არის. კასპიის ზღვის ფორმის შეცდომას, როდესაც სიგანეში მეტ ზომას აძლევენ, ევროპული კარტოგრაფია კიდევ დაახლობეით ორ-სამ საუკუნეს იმეორებს. ოღონდ ევსკონტესთან ჩნდება ორი კასპიის ზღვა. პირველი მოთავსებულია თაეის ადგილას. მეორე ოდნავ ზემოთ, ანუ აღმოსაელეთით და მას გარს ერტყმის კავკასიონის მთა, რომელიც, დაწყებული საქართველოს ტერიტორიიდან, ევსკონტესთანაც თითქმის აღმოსავლეთ ოკეანემდე მიდის. რაც შეეხება მეორე კასპიის ზღვას, შესაძლოა ევსკონტეს ჰქონდა უკვე ინფორმაცია არალის ზღვის შესახებ. უბრალოდ, დაარქვა მას კასპიის ზღვა და გადასვა უფრო სამხრეთით, აზიის კონტინენტის გასწვრივ მიმავალი ერთიანი მთაგრეხილის მარჯვენა მხარეს. კასპიის და შაეი ზღვების ზემოთ მდებარე სივრცეც გაცილებით გაიზარდა. ტანაისი უკვე ჩრდილოეთ ოკეანეს აღარ ერთვის. თუმცა მისი სათაეის ჩრდილოეთ ოკეანესთან უშუალო სიახლოვეში მოყვანის მიდრეკილება ევსკონტესაც ახასიათებს.

გეოგრაფიული ჰორიზონტის თანდათანობით გაფართოებასთან ერთად გოგის და მაგოგის ხალხები ევროპულ ლიტერატურასა თუ კარტოგრაფიაში ინაცვლებენ აღმოსავლეთით, აზიის იმ ნაწილებში, რომლებიც ევროპელებისათვის ჯერ კიდევ უცნობია. მსგავს სურათთან [illegible] საქმე პიეტრო ვესკონტეს 1320 წლის მსოფლიოს რუკაზეც. რკინის კარიბჭეს დერბენტი და კასპიის მთები ვესკონტესთან კორექტულადაა მოთავსებული შაე და კასპიის ზღვებს შორის. მაგრამ გოგისა და მაგოგის ხალხები ვესკონტემ უკიდურეს აღმოსავლეთში, ოკეანესთან გადაანაცვლა. ასევე უკიდურეს აღმოსავლეთში ათავსებს გოგის [illegible] გოგის აპოკალიპტურ ხალხებს 1375 წლის კატალანური ატლასიც. ოღონდ კატალანური ატლასის ავტორმა გოგის და მაგოგის ხალხებს კასპიის ზღვის სანაპიროდან კასპიის მთებიც თან გაატანა აღმოსავლეთის ოკეანისკენ. გოგის და მაგოგის ხალხებს აგრეთვე უკიდურესი აღმოსავლეთისკენ სწევენ სენ-დენის დიდი ქრონიკის მსოფლიოს რუკაც (1364-72), რომლის ნახეის საშუალებაც, სამწუხაროდ, ამჟამად არ მომეცა, ანდრეა ბიანკოც თაეის რუკაზე (1436)[12]. დერბენტი ერთგვარად ობლად რჩება ამ ტერიტორიაზე, გოგის და მაგოგის კუთვნილი ხალხების გარეშე. ის ლამის მისტიკური დატვირთვა, რაც კასპიის კარს შუა საუკუნეების კარტოგრაფიაში ჰქონდა, აქ, ბუნებრივია, აღარ გააჩნია. რადგან დასავლეთ ევროპაში უკვე იციან, რომ დერბენტთან სამყარო არ სრულდება, მის გადაღმა მსოფლიო ოკეანე არ არის და არც აპოკალიპტური ხალხები ცხოვრობენ იქ. მაგრამ დერბენტისადმი ერთგვარი პატივისცემა, როგორც, მაგალითად, მარკო პოლოსთან, პორტოლანებზეც რჩება. ამას მოწმობს მისი სახელიც. დერბენტს უმთავრესად უწოდებენ „რკინის კარიბჭეს",,,კასპიის კარი" ისეთი ხალისით აღარ იხმარება,ეს ტერმინი ხომ მაინც უმთავრესად გოგის და მაგოგის აპოკალიპტურ ხალხებთან ასოცირდებოდა. „რკინის კარიბჭედ" მოიხსენიებს დერბენტს პიეტრო ვესკონტეც.

აქ კიდევ ერთი ფაქტი უნდა აღინიშნოს. შუა საუკუნეების კარტოგრაფიაში შაე და კასპიის ზღვებს შორის თავისი მყარი ადგილი ეკავა ალბანეთსაც. ალბანეთი მდებარეობდა კასპიის ზღვის სანაპიროზე, ჩრდილოეთიდან მას საზღვრავდა კავკასიონის ან კასპიის მთები. რაკი კასპიის ზღვას შუა საუკუნეების კარტოგრაფია მხოლოდ ჩრდილოეთ ოკეანის მცირე ყურედ გამოსახავდა, ამიტომ ალბანეთიც თაეისთავად ჩრდილოეთის ოკეანის მოსაზღვრე მხარე გამოდიოდა. ევსკონტესათვის შაე და კასპიის ზღვებს შორის სივრცე უჭირავს საქართველოს სამეფოს. ალბანეთი აქ აღარ არის. ასევე ვესკონტემ იცის, რომ ალბანეთს შუა საუკუნეების კარტოგრაფია კასპიის ზღვის და,ამდენად,ჩრდილოეთ ოკეანის სანაპიროზე ათავსებს. ამიტომ, გოგის და მაგოგის ხალხების მსგავსად, ვესკონტესთანაც ალბანეთმა გადაინაცვლა ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. რუკის მარცხენა მხარეს, აზიის

[12] აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით იხილეთ აგრეთვე: Andrew Runni Anderson, Alexander's Gate, Gog and Magog and the Inclosed Nations, Cambridge, Massachusetts 1932, გვ. 7, 85, 87, 101.

კონტინენტის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთში, ოკეანესთან ეხედავთ ალბანეთს.

ვესკონტესთან „რკინის კარიბჭე" დერბენტი. მოთავსებულია საქართველოს სამეფოში. შავ და კასპიის ზღვებს შორის გაირჩევა სამი წარწერა. ორჯერ წერია: Georgia, ერთხელ: Colcia. რაკი პორტოლანების აეტორებს ამ დროისათვის ხელთ აქვთ ხოლმე უკვე აქტუალური ინფორმაცია, არ არის გამორიცხული, ვესკონტეს ორი საქართველო და ერთი კოლხეთი აღნიშნავდეს დასავლეთ საქართველოს, აღმოსავლეთ საქართველოს და სამცხეს. თუ რომელი ტერმინი რომელს შეიძლება მივუსადაგოთ, ამ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. ასევე ყურადსაღებია ვესკონტეს რუკაზე კოლხეთის გაჩენის ფაქტი. აქედან ჩანს: ვესკონტესათვის კოლხეთი არ არის ისეთივე აბსტრაქტული ქვეყანა, როგორც ალბანეთი. ამ შემთხვევაში კოლხეთს ან საერთოდ არ დაიტანდა რუკაზე, ან ალბანეთის მსგავსად რუკის რომელიმე კუთხეში უპოვიდა ადგილს. ვესკონტეს რუკა, ებსტორფის რუკასთან ერთად, იძლევა კიდევ ერთ საბუთს, რომ ანტიკური კოლხები დასავლეთევროპელებისათვის უშუალოდ შუა საუკუნეების ქართველებთან ასოცირდებოდნენ.

სხვათა შორის, პაულინუს მინორიტას 1320 წლის მსოფლიოს რუკაზეც პიეტრო ვესკონტეს მსოფლიოს რუკის მსგავსი განლაგებაა მოცემული: საქართველო (Georgia), კოლხეთი (Colcia) და შავ და კასპიის ზღვებს შორის რკინის კარიბჭე (porte ferre)[11], მოაზრებული საქართველოს სამეფოში. ამდენად, პაულინუს მინორიტასთანაც ანტიკური კოლხები გაიგივებულნი არიან შუა საუკუნეების ქართველებთან.

რაც შეეხება დანარჩენ სივრცეს ვესკონტესთან, შედარებით გაიზარდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაც. ინდოეთიც ნახევარკუნძულის მოხაზულობას ფლობს უკვე. ასევე თავისი რეალური ფორმის მსგავსი სახე აქვს არაბეთის ნახევარკუნძულსაც. სპარსეთის ყურე და წითელი ზღვა მეტ-ნაკლები ობიექტურობითაა გამოსახული. ინდოეთის ოკეანეც თავის თავს ემსგავსება. თითქმის უცვლელია აფრიკის კონტინენტი. ევროპელები აფრიკის სამხრეთში, განსხვავებით შუა საუკუნეების კარტოგრაფიისაგან, ვესკონტეს არ ათავსებს მონსტრუალურ რასებს. ამ ხანებში ევროპელები ჯერ კიდევ უმთავრესად აზიაში მოგზაურობენ და აფრიკა ამიტომ ხელუხლებელი ფორმით რჩება რუკებზე, რაკი ახალი ინფორმაცია არა აქვთ.

სხვათა შორის, დასავლეთევროპელებს რაღაც მაგიური ძალით იზიდავდა შორეული აზია და განსაკუთრებით ინდოეთი. მას შემდეგ, რაც თურქებმა აღმოსავლეთისკენ მიმავალი გზები მთლიანად ჩაკეტეს, ევროპელები იძულებულნი ხდებიან, სხვა გზები ეძებონ ინდოეთისაკენ. ასე აღმოაჩენს ინდოეთისაკენ წასული ქრისტეფორ კოლუმბი ამერიკას. ცნობილი ფაქტია: კოლუმბს ბოლომდე სჯეროდა, რომ დასავლეთის გზა იპოვა ინდოეთში და დასავლეთის მიწა, რომელზეც ის მივიდა, მხოლოდ ინდოეთის აღმოსავლეთი ნაწილია (აქედან – ამერიკის აბორიგენი მოსახლეობის ინდიელებად მოხსენიება). ასევე ინდოეთის გზას ეძებდნენ პორტუგალიელები, რომელთაც აფრიკის კონტინენტის ნამდვილ გარეშემოწერილობაზე საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქონდათ. ინდოეთის გზის ძებნისას ფაქტიურად ახალი უზარმაზარი სამყარო აღმოჩნდა. საინტერესოა, რომ პორტუგალიელები თავიანთი საზღვაო ექსპედიციების საწყის ეტაპზე ცდილობდნენ ეპოვათ ინდოეთის გზა და ასევე პრესბიტერ იოანეს სამეფო. XV საუკუნეში პრესბიტერი იოანე უკვე ეთიოპიის სამეფოში მყოფად ივარაუდება, მას შემდეგ, რაც ის აზიაში ვერ ნახეს. პორტუგალიელთა საზღვაო ექსპედიციებისას პრესბიტერ იოანეს სამეფოსთან პირდაპირ კავშირზე გასვლას ლამის მეტი მნიშვნელობა ჰქონდა თავიდან, ვიდრე ინდოეთის გზის პოვნას. რადგან პრესბიტერ იოანეს სახით ეგულებოდათ მოკავშირე ჩრდილოეთაფრიკელ მაჰმადიანებთან ბრძოლაში.

რაკი პორტუგალიელებს აფრიკის გარეშემოწერილობა ეგონათ გაცილებით პატარა, ასევე მთელი სამხრეთი აფრიკა ისახებოდა ეთიოპიად. ისინი თვლიდნენ, რომ პრესბიტერ

[11] Roberto Almagia, Monumenta Cartographica Vaticana, ტ. 1, 1944, გვ. 13, რუკა: 1.

იოანეს ეთიოპიის სამეფო იქვე, მაამადიანების ზურგში იწყებოდა. მაამადიანები თავიანთ საკარაუდო მოკავშირესთან პორტუგალიელების პირდაპირი გზით არ გაუშვებდნენ. ამიტომ პორტუგალიელებმა გადაწყვიტეს, ხლეიდან შემოეკლოთ მათი წარმოდგენით საკმაოდ პატარა აფრიკის კონტინენტისათვის და ასე მისულიყვნენ თავიანთ მოკავშირესთან. აგრეთვე რომის პაპები ამ დროს ეთიოპიის მეფეს უგზავნიან ერცელ წერილებს, სადაც მას პრესბიტერ იოანედ მოიხსენიებენ. ეთიოპიის ერთ-ერთი ნეგუსი, ანუ მმართველი ბოლოს ამ მიმართვის გამო აღშფოთდა, რადგან ეს რაღაც გაურკვეველი სახელი თავისი ღირსებისათვის დამამცირებელად მიიჩნია და შუა საუკუნეების პირობაზე ამ ფაქტს მცირე დიპლომატიური სკანდალი მოჰყვა. ამ ფაქტიდანაც კარგად ჩანს, თუ რა მასშტაბები მიიღო თავდაპირველად დაეთ აღმაშენებელის მეფობასთან დაკავშირებულმა ლეგენდამ. პირდაპირ განსაცვიფრებელია და რაღაც მისტიურ მასშტაბს ღებულობს, როგორი სიჯიუტით ეძებენ დასავლეთევროპელები რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ერთიდაიგივე პიროვნებას ლამის მთელ მსოფლიოში. ამდენად, ინდოეთისაკენ აფრიკიდან მიმავალი სახლეთო გზის აღმოჩენაში მცირე წვლილი ქართველებსაც მიგეიძღვის (ეს, რა თქმა უნდა, ხემრობით).

პარადოქსია, მაგრამ თურქეთის აგრესიულმა და დასავლეთ ევროპისადმი ჩაკეტილმა, მტრულმა პოლიტიკამ ერთგვარი კატალიზატორის როლი შეასრულა დიდი აღმოჩენების ეპოქის დაჩქარებად. რადგან დასავლეთევროპელებს დაეხშოთ სასურველი გზა ინდოეთისაკენ და დაიწყეს სხვა საშუალების ძებნა ინდოეთში ჩასაღწევად. ამ პროცესმა ძველ სამყაროს ფაქტიურად ბოლო მოუღო. ეს ყველაფერი იმ ეტაპზე ქართველებისათვის, სამწუხაროდ, მხოლოდ საზიანო აღმოჩნდა. რადგან რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ევროპელთა ყურადღება მიიმართა სრულიად სხვა მხარეებისაკენ. თურქეთში აგრესიული ისლამის ალეგმა გაძლიერებამ ჩვენთვის რამდენიმე საუკუნის განმავლობაში დამღუპველი როლი ითამაშა. როგორც ჩვენ მოგვიჭრა გზა ციცილიზებული სამყაროსაკენ, ასევე ციცილიზირებულ სამყაროსაც დაუკარგა აქეთ გამოხედვის სურვილი, უფრო სწორად, საშუალება. თუმცა ერთია: ჩვენი განუმეორებელი ისტორია გვიან შუა საუკუნეებში (ევროპელებისათვის ეს უკვე ახალი დროა) მაინც დაეწერეთ. ფაქტიურად ერთადერთი ჯვაროსანი ერი დარჩა აღმოსავლეთში, რომელმაც ბოლომდე გაუტეხელად დაიცვა სარწმუნოება. ყველაფრის მიუხედავად იერუსალიმში მიდიოდნენ ამხედრებულნი და გაშლილი დროშებით.

პიეტრო ვესკონტეს და მარინო სანუდოს მსოფლიოს რუკის ერთი ვარიანტი

1321 წელი

პიეტრო ვესკონტესა და მარინო სანუდოს მსოფლიოს რუკა ფაქტიურად უმრავლეს პუნქტებში თანხვდება პიეტრო ვესკონტეს აქვე განხილულ მსოფლიოს რუკას[34]. ამიტომ მარინო სანუდოსა და პიეტრო ვესკონტეს მსოფლიოს რუკის დეტალური აღწერის აუცილებლობა აქ არ არის. ჩვენთვის მხოლოდ ერთი დეტალი უნდა იყოს მნიშვნელოვანი. შავსა და კასპიის ზღვებს შორის სივრცეს ვერტიკალურად (რადგან რუკა აღმოსავლეთზეა მიმართული) კვეთს მთაგრეხილი. კასპიის ზღვასთან მოთავსებულია რკინის კარიბჭე, დერბენტი. მთაგრეხილის მარცხენა მხარეს ორჯერ წერია: Georgia. მთაგრეხილის მარჯვენა მხარეს,უფრო კასპიის ზღვისკენ, აღმოსავლეთით მდებარე წარწერის Georgia პარალელურად:

[34] Roberto Almagia, Monumenta Cartographica Vaticana, ტ. 1, 1944, გვ. 13, რუკა: 5; ასევე: Walter Rosien, Die Ebstorfer Weltkarte, Hannover 1952, გვ. 63; ვესკონტეს რუკებთან დაკავშირებით იხილეთ ასევე: Anna Dorothee von den Brincken, Fines Terrae. Die Enden der Erde und der vierte Kontinent auf mittelalterlichen Weltkarten, Hannover 1992, გვ. 114-115; Konrad Miller, Mappaemundi. Die ältesten Weltkarten, Stuttgart 1895, გვ. 132-135.

Colcia. ეს განლაგება დაახლოებით თანხვდება მაშინდელი საქართველოს ვითარებას: დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოები, რომელთა აღსანიშნავადაც ორჯერ იხმარება ტერმინი Georgia. ხოლო სამცხის სამთავრო აქ უნდა აღინიშნებოდეს ტერმინით Colcia. რომელიც პიეტრო ვესკონტემ და მარინო სანუდომ მოიშველიეს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოების გვერდზე აღმოცენებული ახალი წარმონაქმნის აღსანიშნავად. შესაბამისად, XIV საუკუნის დასაწყისის ორი მსოფლიოს რუკა (ორივე ეკუთვნის პიეტრო ვესკონტეს. მეორე რუკის თანაავტორია მარინო სანუდო) საქართველოს ადგილას ათავსებს სამ ერთეულს, რაც ზუსტად შეესატყვისება მაშინდელი საქართველოს ვითარებას: აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოებს, სამცხის სამთავროს.

პიეტრო ვესკონტესა და მარინო სანუდოს რუკებზე აგრეთვე აღნიშნულია მუღანის ველი, სადაც მარინო სანუდოს ნაშრომის მიხედვით, გაიმართა ბრძოლა მონღოლებსა და ქართველებს შორის[35].

ანჟელინო დულჩერტის პორტოლანი
1339 წელი

ანჟელინო დულჩერტის პორტოლანი ერთ-ერთი ცენტრალური მნიშვნელობისაა წითელი ხუთჯვრიანი ქართული დროშის საკითხისათვის[36]. ავტორის ვინაობაზე დავაა. ვარაუდობენ, რომ ანჟელინო დულჩერტი არის იგივე 1339 წლის პორტოლანზე დაახლოებით ათი წლით ადრინდელი ატლასის ავტორი დალორტო. ოღონდ ჩვენთვის ამ შემთხვევაში აღნიშნულ საკითხს პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. ანჟელინო დულჩერტი წარმოშობით გენუელია, მაგრამ მუშაობდა კატალონიელებთან. მისი პორტოლანიც სტილისტიკით კატალანური კარტოგრაფიის ფარგლებში თავსდება.

როგორც ითქვა, პორტოლანების ავტორები უმთავრესად გამოხატავდნენ მათთვის ნაცნობ სამყაროს. შესაბამისად, უმეტესწილად იფარგლებოდნენ ხმელთაშუა ზღვის სივრცით. ოღონდ ეს არეალი იმ დროისათვის გასაკვირვებელი სიზუსტით ჰქონდათ გადმოცემული. იგივე ვითარებაა ანჟელინო დულჩერტთან. რა თქმა უნდა, რუკის დეტალური ანალიზის არც საშუალება და არც აუცილებლობა აქ არ არის. განსხვავებით შუა საუკუნეთა კარტოგრაფიისაგან, პორტოლანებზე განსაკუთრებით მატულობს ტოპოგრაფიული მონაცემები, რაც თვალსაჩინოა, იგივე დულჩერტის რუკაზე სანაპირო ზოლებს თუ გავადევნებთ თვალს. ამიტომ შევეხები მხოლოდ ჩვენი პრობლემისათვის მნიშვნელოვან საკითხებს.

თავდაპირველად გავარჩიოთ რუკის მარცხენა ნახევარი, ანუ დასავლეთ ევროპის და ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის ნაწილი. ანჟელინო დულჩერტის პორტოლანზე პრაქტიკულად ყველა დროშა დაკავშირებულია ან სახელმწიფოებთან, ან ქალაქებთან. ეს ფაქტორი დიდი მნიშვნელობისაა იგივე საქართველოს დროშის საკითხისათვის. ჩრდილოეთ აფრიკის სიღრმეში ერთ-ერთი მაჰმადიანი მმართველის გამოსახულებაა მოცემული. ჩრდილოეთ აფრიკაში მოთავსებული ოთხი დროშიდან ყველა ეკუთვნის მაჰმადიან მფლობელებს. ინგლისში ჩანს ტრადიციული წითელი დროშა ოქროს ლომების გამოსახულებით. აპენინის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთში, საფრანგეთის საზღვართან, მოთავსებულია ერთ წითელჯვრიანი დროშა. ეს გახლავთ წმინდა გიორგის დროშა და ამ შემთხვევაში ეკუთვნის

[35] Konrad Miller. Mappaemundi. Die ältesten Weltkarten. Stuttgart 1895, გვ. 132.

[36] Porrulane (1984). რუკა: 7; ასევე: Konrad Kretschmer (1962). გვ: 118; George Kisch (1980), რუკა: 46; იხილეთ ასევე: Gerald Sammet, Der vermessene Planet. Bilderatlas zur Geschichte der Kartographie, Hamburg 1990. გვ. 96-97. ანჟელინო დულჩერტის პორტოლანზე ხუთჯვრიანი ქართული დროშის თემას, რომ აღნიშნულ პორტოლანზე თბილისთან და სოხუმთან აღმართული წითელი ხუთჯვრიანი დროშა საქართველოს სახელმწიფოსია, დეტალურად ეხება და ასაბუთებს ბ-ნი დავით მუსხელიშვილი. იხ. დავით *მუსხელიშვილი* (1998). გვ. 5. ანჟელინო დულჩერტის პორტოლანი საფრანგეთიდან პირველად ჩამოიტანა ბ-ნმა ელდარ შენგელაიამ. ნიგნზე მუშაობისას ესარგებლობდი აგრეთვე ბ-ნ ელდარ შენგელაიას მიერ ჩამოტანილი რეპროდუქციებით, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ მას.


armenia
maior
argentum

გენუას. გარდა უშუალოდ იტალიისა, გენუელების დროშა აგრეთვე მოთავსებულია რიგ მათს საერდენ წერტილებზე თუ იმ ტერიტორიებზე, რომლებიც გენუელებს ეკუთვნით. გენუელების დროშას ეხედავთ უშუალოდ გენუის ოდნავ ქვემოთაც, კუნძულ კორსიკაზე. ასევე დატანილია გენუელების დროშა დალმაციაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილში, იტალიის სანაპიროს მოპირდაპირე მხარეს. გენუელების დროშა ფრიალებს ატლანტის ოკეანეში განლაგებულ კუნძულებზე, აფრიკის კონტინენტის დასავლეთით. საერთაშორისოდ ეს უნდა იყოს აზორის კუნძულები. ინდოეთისაკენ აფრიკის შემოვლით საზღვაო გზის ძებნა პორტუგალიელებზე გაცილებით ადრე გენუელებმა დაიწყეს. გენუელთა მცდელობანი ამ მხრივ წარმატებით არ დაგვირგვინებულა, მაგრამ ამ ექსპედიციებს შედეგად მოჰყვა ატლანტის ოკეანეში რამდენიმე ახალი კუნძულის აღმოჩენა.

ესპანეთის ჩრდილოეთში მოჩანს არაგონელთა დროშა. ეს დროშა არის წმინდა გიორგის ჯვრის და მეორე დროშის კომბინაცია. მეორე დროშაზე გამოსახულია ორი წითელი და ერთი თეთრი ხაზი. ოღონდ სხვა პორტოლანების უმეტესობაზე არაგონელებთან წმინდა გიორგის ჯვარი არ ფიგურირებს. არც წითელი და თეთრი ფერების კომბინაცია. როგორც წესი, არაგონელთა დროშა არის ხოლმე წითელი და ყვითელი ფერების კომბინაცია. ანუელინო დულჩერტის პორტოლანზე არაგონელთა დროშა აღმართულია აგრეთვე სარდინიაზე, რადგან სარდინია ამ დროისათვის არაგონელთა გავლენის ქვეშ ექცევა. კიდევ ერთი ნიშანი საინტერესო დროშა მოთავსებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთის ტერიტორიაზე, ესპანეთის საზღვრის ახლოს. აღნიშნულ დროშაზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. საერთაშორისოდ ეს არის ნარბონის, ან ტულუზის გრაფების დროშა. ეს დროშა ასევე დატანილია პიეტრო ვესკონტეს და მარინო სანუდოს პორტოლანებზე. ანუელინო დულჩერტის პორტოლანზეც დროშის თეთრ ფონზე მოთავსებულია ერთი წითელი ჯვარი, ხოლო ოთხ მინდორში ჩახატულია ოთხი ოვალური მოყვანილობის ნიშანი. რაც შეეხება სხვა რამდენიმე დროშას დულჩერტის პორტოლანის დასავლეთ ნაწილზე, საფრანგეთის ცენტრში, მაგალითად, ეხედავთ საფრანგეთის სახელმწიფო, შროშანებიან დროშას. იგივე დროშა მოთავსებულია სამხრეთ იტალიაში, რადგან სამხრეთ იტალია ამ დროისათვის ფრანგთა გავლენის ქვეშაა. იტალიაში გენუელების დროშის გვერდზე აღმართულია ვენეციის დროშა, ოქროს ლომი წითელ ფონზე (ამდენად, ვენეციასაც და ინგლისსაც მეტად მსგავსი დროშები აქვთ).

გადავიდეთ რუკის მარჯვენა, აღმოსავლეთ ნახევარზე. ზღვების და ხმელეთის მოხაზულობა უკვე ისედაც მკაფიოდ გაირჩევა და ამ საკითხზე აღარ გავჩერდები. ერთადერთი, მარჯვენა მხარეს წითლად მოცემული ზოლი გულისხმობს წითელ ზღვას. წითელი ზღვის მარცხნივ, ეთიოპიაში, ეხედავთ ექვსი ჯვარის, ან ჯვრიანი დროშის აღმნიშვნელ ნიშანს. ეს გამოსახულებები აღნიშნავენ ეთიოპიის ქრისტიანულ სამეფოს, რომელსაც დასავლელებისათვის ამ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან დასავლეთევროპელები XIV საუკუნის დასაწყისიდან თელიან: პრესბიტერი იოანე მეფობს ეთიოპიაში. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დულჩერტის პორტოლანზე სხვა აღმოსავლური ქვეყანაც არის ჯვრიანი დროშით აღნიშნული და, როგორც ქვემოთ ენახავთ, საქართველოს შემთხვევაშიც რაიმე „კრიმინალთან" საქმე არ გვაქვს.

კვიპროსთან მოთავსებულია ხუთჯვრიანი დროშა. ეს დროშა უკავშირდება იერუსალიმის სამეფოს, რადგან სამეფოს გაუქმების შემდეგ მმართველი დინასტიის რიგი წარმომადგენლები გარკვეულ ხანს კვიპროსზე ცხოვრობდნენ. დულჩერტის პორტოლანის ზოგიერთ გამოცემაში აღნიშნული დროშის გამოსახულება ბაცია და ფერის გარჩევა ჭირს. თუმცა დულჩერტის პორტოლანის ორიგინალიდან გადაღებულ სლაიდზე დროშა მაინც წითელი ჩანს.

შავი ზღვის ზემოთ განფენილ სიერცეში მოჩანს ოქროს ურდოს სახელმწიფოს დროშები, ასევე წითელი ფერების გამოსახულებით. ყირიმის ნახევარკუნძულზე ეხედავთ წმინდა გიორგის დროშას, ერთ წითელ ჯვარს თეთრ ფონზე. ამ შემთხვევაში

ეს დროშა აღნიშნავს გენუელთა საკრედენ წერტილს. წმინდა გიორგის დროშა ასევე ფრალებს კონსტანტინეპოლთან. აქაც ეს უნდა იყოს კონსტანტინეპოლის გარეუბან პერაში გენუელთა საკრედენი წერტილის ხაზგასმა. რადგან თეოთონ ბიზანტიელებთან დამოუკიდებლად აღებული წმინდა გიორგის დროშა სახელმწიფო ალმად არ ფიქსირდება. წმინდა გიორგის კიდევ ერთი დროშა, ოღონდ სხვა ფერებთან კომბინაციაში, მოჩანს მცირე აზიაშიც, კონსტანტინეპოლის სამხრეთით. მცირე აზიის დასალეთ ნაწილში განლაგებული ორი წითელი დროშა თეორი ჯვრით საეარაუდოდ ეკუთვნით ბიზანტიელებს. მცირე აზიის ცენტრში, იკონიასთან მდებარე თეთრ და წითელხაზებიანი დროშა თურქებისაა. ამ დროშის ოდნავ მარჯვნივ, ქვემოთ, მცირე აზიის ხმელთაშეა ზღვის სანაპიროზე, კილიკიაში გამოსახული ლომი საეარაუდოდ არის ევნეციელების, ან კილიკიის სომეხთა სამეფოსი. მცირე აზიაში, სამსუნთან თუ სინოპთან, დატანილია დავითის ვარსკვლავი. ამ ადგილას დავითის ვარსკვლავის მოთავსება ახსნილი არ გახლავთ. ამ შემთხვევაში საქართველოს სამეფო სახლთან დაკავშირების ცდები გამართლებული არ უნდა იყოს. რადგან ასევე აუხსნელ დავითის ვარსკვლავს დულჩერტი ათავსებს, მცირე აზიის ხმელთაშეა ზღვის პირა სამხრეთ სანაპიროზეც, სატალეასთან. ტრაპიზონთან ვხედავთ კომნენოსთა წითელ დროშას, ორთავიანი, ოქროსფერი ბიზანტიური არწივით.

წინა აზიაში განლაგებულია სპარსეთის ილხანთა სახელმწიფოს დროშები. ეს გახლავთ თეთრ ან მოყვითალო ფონზე მოთავსებული წითელი კვადრატი. სხვათა შორის, ამ დროშებით საკმაოდ ზუსტადაა შემოხაზული ილხანთა სახელმწიფოს საზღვრები თუ გავლენის სფეროები. ილხანთა დროშები ფარავენ თითქმის მთელ წინა აზიას, ნაწილობრივ მიდიან პალესტინამდე, მოიცავენ სირიის ნაწილსაც. ანუ დაახლოებით იმ ზღვრამდე, სადაც ილხანთა ჯარები ეგვიპტის მამლუქთა სახელმწიფომ შეაჩერა. იერუსალიმში უბრალოდ გამოსახულია ჯვარი, რაც აღნიშნული ადგილის საკრალურობაზე მიუთითებს.

ვიდრე საქართველოსთან მოთავსებული დროშების განხილვაზე გადავიდოდეთ, აქ უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი დასკვნები. დულჩერტის პორტოლანში (ისევე როგორც სხვა პორტოლანების უმეტესობაზე) გამოსახული ფაქტიურად ყველა დროშა აღნიშნავს რომელიმე ქვეყნას, მხარეს ან ქალაქს. ამ დროშებით ზუსტად არის შემოსაზღვრული ცალკეული ქვეყნების ტერიტორია და კონკრეტული ქვეყნების თუ ქალაქების მიერ დაპყრობილი ან თავისი გავლენის ქეშ მოქცეული მიწები. საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებული დროშები არ ეკუთვნის არც ერთ მაშინდელ ევროპულ სახელმწიფოს თუ ქალაქს. კიდევ მეტი, წითელ ხუთჯვრიან დროშებს დულჩერტის პორტოლანზე ცენტრალური დატვირთვა მხოლოდ საქართველოსთან დაკავშირებით აქვთ. რაც შეეხება იერუსალიმის სამეფოს დროშას, კვიპროსზე დაფიქსირებულს, ამ საკითხზე უკვე ითქვა, არავითარი საფუძველი საქართველოს მიერ დასავლეთევროპელებისაგან დროშის გადმოღების არ არსებობს, რადგან ჩვენი დროშათა სისტემა ამ შემთხვევაში გაცილებით ძველი გამოდის. ქრისტიანულ სამყაროში კი ცალკეულ ქვეყნებთან დროშათა დამოხვევა ჩვეულებრივი მოვლენაა. საქართველოსთან მოთავსებული ხუთჯვრიანი დროშები ვერ იქნება ვერც რომის კურიის, ვერც მისიონერების. რომის კურიას მსგავსი დროშა არ ჰქონია. პორტოლანებზე მისიონერთა დროშები საერთოდ არ დაიტანება. ამასთან, მისიონერთა ცენტრი სმირნადან თბილისში გიორგი ბრწყინვალეს გადმოაქვს XIV საუკუნის ოციანი წლების ბოლოს. ხოლო ჯვრიანი დროშა და თეითონ დროშა იერუსალიმის ჯვარის სახესხვაობით საქართველოსთან დაფიქსირებულია უკვე 1320 წელს, პეტრო ვესკონტეს პორტოლანზე.

წინა აზიაში ეხვდავთ ასევე არარატის მთას და ზემოთ მოთავსებულ ნოეს კიდობანს (archa de Noe). აქედანაც ჩანს, როგორ აგრძელებდნენ შუა საუკუნეების კარტოგრაფიის საკრალური ადგილები არსებობას დასავლეთევროპულ პორტოლანებზეც. იქვე გაკეთებულია წარწერა: armenia maior, რომელსაც ამ შემთხვევაში გეოგრაფიული დატვირთვა აქვს და არა პოლიტიკური. არარატის მთა ამ დროისათვის საქართველოს სამეფოშია და ეს კარგად იციან დასავლეთევროპელებმაც, რაც ზემოთ მოყვანილი

ცნობებიდან დადასტურდა. საქართველოსთან მოთავსებულია ორი ხუთჯერიანი დროშა. ერთ დროშას ვხედავთ სევასტოპოლისთან (sauastopoli), ანუ სოხუმთან. სოხუმთან დატანილ ხუთჯერიან დროშას მეორე ნახევარზე ემატება თეთრი და მოლურჯო ზოლების მქონე ალამი. გიორგი ბრწყინვალეს ამ დროისათვის დასავლეთ საქართველო უკვე შემოერთებული აქვს. მაგრამ არ არის გამორიცხული, დროშის ეს მეორე ნაწილი დასავლეთ საქართველოს გარკვეულ ავტონომიურობაზე მიუთითებდეს, ერთიანი საქართველოს შიგნით. ქართული ხუთჯერიანი დროშა ამგვარი ფორმით მოცემულია XIV საუკუნის პირველი ნახევარის II ანონიმის და გაბრიელ დე ეალესკას 1447 წლის პორტოლანებზე. მეორე დროშა აღმართულია თბილისთან (tifilis). თბილისი მოცემულია ქალაქის აღმნიშვნელი მოზრდილი ციხე-სიმაგრის გამოსახულებით. სწორედ ამ ციხე-სიმაგრეზეა დროშა აღმართული. თუ კარგად დავაკვირდებით ამ დროშების განლაგებას, პირდაპირაა მოხაზული საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები. ამ ჯვრიან დროშებს ჩრდილოეთიდან ემიჯნებიან ოქროს ურდოს სახელმწიფოს წითელი სიმბოლიკის მქონე დროშები. სამხრეთ-დასავლეთიდან ხუთჯვრიან წითელ დროშებს საზღვრავს ტრაპიზონის ორთავიანი არწივი (იქვეა ქალაქის დასახელებაც: Trapesonda), ხოლო სამხრეთიდან ილხანთა სახელმწიფოს დროშები. დულჩერტის პორტოლანზე დროშათა სისტემის ენაზე მოცემულია სახელმწიფო საზღვრები. ვერტიკალურად დატანილი ლიხის, ან კავკასიონის მთის დასავლეთით, მარცხნივ, ქვემოთ, გაკეთებულია წარწერა: Georgiania. ეს წარწერა გულისხმობს საქართველოს მთელ ტერიტორიას. როგორც ითქვა, პორტოლანების ავტორები ემსაზღვრეს შემთხვევებში ქვეყანათა დასახელებას აწერენ ხოლმე შედარებით მცირე სიმაღლის კუთხეში, წითელი ფერით. ასეთივე ფერითაა შესრულებული საქართველოს წარწერა. ამასთან, თუ tifilis და sauastopoli ჰატარა ასოებით იწერება, Trapesonda იწყება დიდი ასოთი. რადგან ქალაქი ტრაპიზონი ფაქტიურად იმპერიაცაა. ხოლო თბილისი და სოხუმი საქართველოს სამეფოში შემავალი ქალაქებია. ამიტომ Georgiania დიდი ასოთი იწერება.

რამდენად პოლიტიკური დატვირთვა აქვთ დულჩერტის პორტოლანზე მოთავსებულ დროშებს და რამდენად კარგადაა დულჩერტი ინფორმირებული წინა აზიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ,შემდეგი ფაქტიდანაც ჩანს. ამიერკავკასიაში,ვერტიკალურად დატანილი ლიხის თუ კავკასიონის მთის აღმოსავლეთით, მარჯვნივ, კასპიის ზღვის სანაპიროზე, მოთავსებულია კიდევ ორი დროშა. ორივე დროშა აღმართულია ქალაქის აღმნიშვნელ ნიშნებზე. ზედა ქალაქთან არის წარწერა: terbant, ანუ დერბენტი. ქვედასთან ეკითხულობთ: cariol (ეს უკანასკნელი რომელ კონკრეტულ დასახლებულ პუნქტს აღნიშნავს, ბოლომდე ნათელი არ არის. ამ შემთხვევაში საქმე უნდა გექონდეს დერბენტის სამხრეთით მდებარე რომელიმე ქალაქის დასავლურ დასახლებასთან). დერბენტზე აღმართულია ოქროს ურდოს დროშა, ხოლო კარიოლზე – სპარსეთის ილხანთა სახელმწიფოსი. შესაბამისად, დულჩერტი კარგად არის ინფორმირებული დერბენტთან ოქროს ურდოსა და ილხანთა ირანს შორის მიმდინარე მძაფრი ბრძოლების შესახებ. ეს ინფორმაცია დულჩერტმა ამ შემთხვევაშიც გამოხატა დროშების ენაზე.

ჩვენი ინტერესის საგანია მესამე ხუთჯვრიანი წითელი დროშა. ეს დროშა მოთავსებულია მცირე აზიაში, ქალაქ სევასტიის (sauasto) თავზე და ერთგვარად სოლიეთი არის შეჭრილი ტრაპიზონის იმპერიის და ილხანთა სახელმწიფოს საზღვრებს შორის, შემდეგ კი ემიჯნება თურქეთს (ტრაპიზონის იმპერიის დროშის ქვემოთ,მარჯვნივ მოთავსებული პირველი დროშა, რომელიც ილხანთა ირანს ეკუთვნის, აღმართულია ქალაქ ერზინჯანზე. დულჩერტთან: arzengcam. არზრუმი აქ ალბათ არ უნდა იგულისხმებოდეს). აღნიშნული დროშის სევასტიასთან მოთავსება დასავლეთევროპულ მეცნიერებაში პრაქტიკულად ახსნილი არ არის. კატალანური ატლასის გამომცემელმა ფრაიესლებენმა გამოთქვა ვარაუდი, რომ პირველი ჯვაროსნული ლაშქრობისას დაარსებული და მალევე მაჰმადიანების მიერ დაპყრობილი ედესის საგრაფო ამ ადგილიდან მაინცდამაინც დაშორებული არ იყო და

ამას ხომ არ უკავშირდებაო სევასტიასთან მოთავსებული ხუთჯერიანი დროშა[17].

ეს ჯერაუდი, ნემი აზრით, არ უნდა იყოს გამართლებული. რადგან პორტოლანებზე დატანილია, როგორც წესი, მხოლოდ აქტუალური, ანუ თანადროული სახელმწიფოების დროშები. თუ პორტოლანებზე მოძველებული დროშები ჩნდება, ეს არის უკვე, მაგალითად, XIV საუკუნის მეორე ნახევარში. ოღონდ პორტოლანებზე აღმართული XIV საუკუნის მეორე ნახევარის მოძველებული დროშების რაობა შემდგომში მდგომარეობს. XIV საუკუნის პირველ ნახევარში, მაგალითად, გენუა ან ვენეცია დაიპერობდა რომელიმე ტერიტორიას. თანადროული პორტოლანი ოპერატიულად მოათავსებდა ამ მოვლენის აღმნიშვნელ დროშას შესაბამის ადგილზე. თუმცა მოკლე ხანში იგივე გენუას, ან ვენეციას შეიძლებოდა ეს ტერიტორია დაეკარგა. მაგრამ XIV საუკუნის მეორე ნახევრის პორტოლანი, წყაროს გავლენით, იმავე ადგილას წარმოსახავს გენუის ან ვენეციის დროშას, მაშინ როდესაც ეს ტერიტორია გენუას ან ვენეციას აღარ ეკუთვნის. ამდენად, თუნდაც ამ საერთო პრინციპიდან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა, თითქმის ორასი წლის წინ დაშლილი ედესის საგრაფოს დროშა XIV საუკუნის პორტოლანზე გამოჩნდეს. ამასთან, პორტოლანები იერუსალიმის სამეფოს დროშას არ ათავსებენ არც იერუსალიმთან, არც ანტიოქიასთან, არამედ კვიპროსზე, სადაც გადავიდა იერუსალიმის სამეფო სახლი. შესაბამისად, სრული ნონსენსი იქნებოდა ამ დროშის მარტო ედესასთან მოთავსება. მით უმეტეს, რომ ცალკე აღებული ედესის საგრაფო არ ყოფილა ისეთი მნიშვნელობის მოვლენა, რის გამოც მისი დაშლიდან თითქმის ორასი წლის მერე შექმნილი პორტოლანი იერუსალიმის სამეფოს დროშას ათავსებდეს მცირე აზიაში (არა უშუალოდ ედესასთან. სევასტია და ედესა ერთმანეთის უშუალო სიახლოვეში ნამდვილად არ მდებარეობენ). გარდა ამისა, როგორც ითქვა, განსხვავებით შუა საუკუნეების კარტოგრაფებისაგან, პორტოლანების პროგრამტიკოს ავტორებს წარსული ნაკლებად აინტერესებთ. ერთი გარემოებაც გასათვალისწინებელია. სევასტიასთან გამოსახული ხუთჯერიანი დროშა, კარტოგრაფიული სვლოვნების წესების გათვალისწინებით, აშკარა კომბინაციას ქმნის საქართველოსთან აღმართულ ხუთჯერიან დროშებთან. რაკი კვიპროსზე მოთავსებულ იერუსალიმის სამეფოს დროშასთან სევასტიის დროშას არაფერი აკავშირებს, ამიტომ ეს დროშა ნამდვილად უნდა განიხილოთ ქართულ ხუთჯერიან დროშებთან კავშირში. კიდევ ერთი გარემოება გამორიცხავს სევასტიის ხუთჯერიანი დროშის ლათინთა იერუსალიმის სამეფოს დროშასთან დაკავშირებას. სევასტიასთან აღმართული დროშა შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნახევარია ხუთჯერიანი დროშა. ხოლო მეორე ნაწილი გახლავთ ირანის ილხანთა სახელმწიფოს დროშა, თეთრ ფონზე მოთავსებული წითელი კვადრატი. აქ ერთ დროშასთან გვაქვს საქმე. ეს ფაქტი საბოლოოდ უნდა გამორიცხავდეს სევასტიის დროშის იერუსალიმის სამეფოს დროშასთან დაკავშირების შესაძლებლობას. რადგან გაუგებარია, რატომ დააწყვილებდნენ იერუსალიმის სამეფოდან დაშორებულ სევასტიასთან იერუსალიმის სამეფოს და ირანის ილხანთა სახელმწიფოს დროშებს.

ჩემი აზრით, სევასტიასთან ხუთჯერიანი დროშა იგივე საქართველოს სამეფოს ხუთჯერიანი დროშაა. სევასტიასთან ხუთჯერიანი დროშის მოთავსების ფაქტს დამაჯერებლად სწორედ საქართველოს იმდროინდელი ისტორიის ანალიზი უნდა ხსნიდეს. აღნიშნული დროშის სევასტიასთან გამოსახვა შეიძლება ახსნას ორმა ფაქტმა. ჯამთაადმწერელის ქრონიკის ბოლოს მოცემულია ცნობა, რომ ილხან ოლჯაითუს განუდგენ რუმის სასულთნოს თურქები თავიანთი დედაქალაქით იკონიათი. ოლჯაითუ მონღოლთა არმიას გზაენის ჩობან ნოინის სარდლობით. ჩობან ნოინს ოლჯაითუ თან გააყოლებს გიორგი ბრწყინვალეს თაეისი ჯარით: *„ამათ ჟამთა შინა იქმნა განდგომილება საბერძნეთს. და განუდგეს ოლჯათ სულტანსა ფარმანის შვილნი და ქალაქი დიდისა კონისა. მაშინ წარავლინა ყაენმან ჩოფან სპითა მისითა საბერძნეთს და თანა-წარატანნა ქართველნიცა.*

[17] Der Katalanische Weltatlas vom Jahre 1375 nach dem in der Bibliotheque Nationale, Paris, verwahrten Original farbig wiedergegeben mit einer Einführung und Übersetzungen von Hans-Christian Freiesleben, Stuttgart 1977, ვვ. 15.

და წარსცა გიორგი ჩოფანს. [...] და წარიტანეს თანა მეფე გიორგი საბერძნეთს. და ვერ წინააღუდგეს ფარმანიანნი ლაშქართა მათ ერთ წელ. და ყოველნი მას შინა მყოფნი ქართველნი მოსცა მეფესა გიორგის. იახლნეს ჯაჰანნი და თორელნი, რაოდენნი ყვნეს, და სადაცა ილაშქრიან და შეიბრძიან ციხეთა ზედა, მუნ მხნედ მბრძოლად გამოჩნდის მეფე გიორგი, და მის თანა ყოველნი ქართველნი. ესრეთ მოიმორჩილნა ყოველნი განდგომილნი და ურჩნი მისნი და მოქცეულსა წელიწადისასა მიეიდა შინა"[18]. აქ იგულისხმება, რომ მონღოლთა და ქართველთა შეერთებული არმია მცირე აზიის სიღრმემდე და ქალაქ იკონიამდეც მიეიდა. შესაბამისად, მონღოლთა და ქართველთა არმია გაიელიდა კიდეც და, სავარაუდოდ, დაიკავებდა სევასტიასაც (ეს ლაშქრობა 1316 წლამდე შედგა. მაგრამ ლაშქრობის თარიღი 1316 წლის უშუალო სიახლოვეს უნდა იყოს. რადგან აღნიშნული სამხედრო ექსპედიციის აღწერის შემდეგ ჟამთააღმწერელი პირდაპირ გადადის ილხან ოლჯაითუს გარდაცვალებაზე. ოლჯაითუ კი გარდაიცვალა 1316 წელს). ამ შემთხვევაში ჟამთააღმწერელი და ანჟელინო დულჩერტის პორტოლანი ერთმანეთს უნდა ავსებდნენ. სწორედ მონღოლთა და ქართველთა მიერ მცირე აზიაზე მოწყობილი ერთობლიები ლაშქრობის გამოძახილი უნდა იყოს ქალაქ სევასტიაზე ილხანთა ირანის და ხუთჯერიანი დროშების გამოსახვა.

ამ დროშის სევასტიასთან აღმართვის მეორე შესაძლო ახსნა ისევე გიორგი ბრწყინვალის პოლიტიკას უკავშირდება. ჯაყელების მმართველობისას გაძლიერებული სამცხის სამთავრო ამ დროისათვის მნიშვნელობით ლამის დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გაუტოლდა. ამასთან, სამცხის ტერიტორია აღწევდა თითქმის ტრაპიზონის უშუალო სიახლოვეს. ეს იმ ადგილთან, სადაც დულჩერტის პორტოლანი მესამე წითელჯვრიან დროშას ათავსებს. დულჩერტთან ეს არის მაინც ქალაქი სევასტია. მაგრამ XIV საუკუნის მეორე ნახევრის ესპანური „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნი", რომელზეც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, იგივე დროშას ათავსებს სევასტიასთან და ამბობს, რომ ეს არის ქრისტიანული მხარე საკასკო, Savasco (მართალია „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნის" სავასკო საკმაოდ გაურკვეველი წარმონაქმნია, ოღონდ, ნებისმიერ შემთხვევაში, სავასკოსთან დაკავშირებით იქ ლაპარაკია პროვინციაზე მცირე აზიის აღმოსავლეთში). სავასკო და სამცხე მეტად საეჭვოდ ჰგავს ერთმანეთს.

ამასთან, დულჩერტის პორტოლანზე მოთავსებული სამი წითელი ხუთჯერიანი დროშა თითქოს ასახავს საქართველოს სამეფოს იმ სამ ნაწილს, რომლებიც გიორგი ბრწყინვალემ გაამთლიანა, ანუ დასავლეთ საქართველო, აღმოსავლეთ საქართველო და თითქმის ტრაპიზონამდე გადაჭიმული სამცხე. სავსებით დასაშვებია, ამ ეპოქის დასავლეთევროპელთან ყველა ეს ცნობა, მძლავრ ქრისტიან საქართველოს სახელმწიფოზე, რომლის აღმოსავლეთი ნაწილი ადრე ემორჩილებოდა მონღოლებს, რომლის სამი ნაწილიც გაამთლიანა მძლავრმა მეფემ, ამ სამთაგან ერთ-ერთს ერქვა სამცხე, იმავე მეფემ მონღოლებთან ერთად ილაშქრა მცირე აზიასა და, სავარაუდოდ, სევასტიაზეც, ერთმანეთში ცოტა არეულიყო. ამიტომ ასევე, შესაძლებელია, დულჩერტს საქართველოს საზღვარი გადაეწია ოდნავ დასავლეთით, ხოლო სამცხეს სახელი დაეკავშირებინა უფრო ნაცნობი სევასტიისათვის. მით უმეტეს, რომ ცოტა ხნის წინ იმავე ქართველთა მეფემ ეს ადგილი მართლაც დალაშქრა.

გიორგი ბრწყინვალეზე დასავლეთევროპელთა კარგად ინფორმირებულობას ზემოთ მოტანილი ცნობებიც მოწმობს. მაგალითად, იაკობ ვერონელის და იოჰანეს და კოლუმნასი, სადაც გიორგი ბრწყინვალესთან დაკავშირებით ლაპარაკია საქართველოს უაღრესად მძლავრ მეფეზე. ამ დროსვე გიორგი ბრწყინვალეს საფრანგეთის მეფესთან მიმოწერა აქვს ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობასთან დაკავშირებით. აღნიშნული ეპოქის ეგვიპტური ცნობებიც ნათლად გვიდასტურებენ გიორგი ბრწყინვალეს და საქართველოს სამეფოს სიმძლავრეს. საქართველოს სამად გაყოფა XIV საუკუნის დასაწყისში ასევე კარგად

[18] ჟამთააღმნერელი, მონღოლთადროინდელი მატიანე, ნიგნში: ქართლის ცხოვრება, ტ. 2 (1959), გვ. 324.

არის დაფიქსირებული ევროპულ კარტოგრაფიაში. როგორც ზემოთ პიეტრო ვესკონტე

მოთავსებულია გაურკვეველი დროშა დაეთოის ვარსკვლავით. ტრაპიზონთან აღმართულ წითელ დროშაზე გამოსახული იქნებოდა კომნენოსთა ოთხთანიანი არწივი. თუმცა დროშაზე დატანილი სურათი II ანონიმთან ისე კარგად არ ჩანს. II ანონიმის პორტოლანზე აგრეთვე ეხედავთ ოქროს ურდოს ორ დროშას. ოქროს ურდოს ერთი დროშა მოთავსებულია შავი ზღვის დასავლეთით, დაახლოებით დღევანდელი რუმინეთის ტერიტორიაზე. ხოლო ოქროს ურდოს მეორე დროშას ვხედავთ აზოვის ზღვის აღმოსავლეთით, არც ისე შორს სოხუმთან დატანილი ხუთჯერიანი ქართული დროშისაგან. ამდენად, XIV საუკუნის პირველი ნახევარის II ანონიმთანაც რუკაზე დაიტანება მხოლოდ პოლიტიკური დატვირთვის მქონე დროშები. ეს დროშები აღნიშნავენ ან სახელმწიფოებს, ან ქალაქებს და შემოსაზღვრავენ კიდეც ვასალური ქვეყნების ტერიტორიებს თუ მათ მიერ დაპყრობილ მიწებს.

XIV საუკუნის პირველი ნახევარის II ანონიმიც საქართველოს ტერიტორიაზე ათავსებს ხუთჯერიან დროშას. სოხუმთან აღმართულია ხუთჯერიანი დროშა. თეთრ ფონზე დატანილია კვლავ ერთი წითელი ჯვარი, ხოლო ოთხ მინდორში გამოსახულია ოთხი მცირე ჯვარი. როგორც დულსერტის რუკაზე, ხუთჯერიანი დროშის გაგრძელებას წარმოადგენს დროშის ალამის მეორე ნაწილი, რომლის თეთრ ფონზე ლურჯი სოლებია დატანილი. დროშა ასეთი ფორმით უნდა იყოს, ზემოთაც ითქვა, ან ერთიანი სახელმწიფო დროშის გარკვეული სახესხვაობა. ან აქ სახელმწიფო დროშაზე უნდა აისახებოდეს დასავლეთ საქართველოს [illegible] რკვეული სიმბოლიკა. ხუთჯერიან დროშასთან დაკავშირებით ეხმარობ ტერმინის „ს[illegible]ფო დროშა", რადგან XIV–XV საუკუნეების ევროპულ პორტოლანებზე საქართველ[illegible] ძმართებაში ცენტრალურ დატვირთვას სწორედ ეს დროშა ატარებს. ყველა სხვ[illegible]ა ევროპულ პორტოლანებზე ამ დროის საქართველოსთან თითოჯერ თუ ჩნდება. [illegible]ერიან დროშას კი საქართველოს ტერიტორიასთან ათავსებს XIV-XV საუკ[illegible] ერობაშად რვა პორტოლანი. ამასთან, ხუთჯერიან დროშებს აქვთ ცენტრალურ[illegible]ვირთეა. ამ ეპოქის პორტოლანებზე უშუალოდ თბილისზე ორჯერ არის დროშა აღმ[illegible]ელი (ანკელინო დულსერტის და ძმები პიციგანოების პორტოლანებზე). ორივე შემთხვევაში ეს არის თეთრი დროშა, რომელზეც ხუთი წითელი ჯვარია მოთავსებული. გარდა ამისა, ანკელინო დულსერტის პორტოლანი აშკარად უნდა იძლეოდეს გამოსახულებული საქართველოს სურათს, რომლის სამივე კუთხეში თუ სამივე ნაწილში (დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოები, სამცხე მცირედი კორექტივებით) აღმართულია მსგავსი დროშები.

XIV საუკუნის პირველი ნახევარის II ანონიმიც სევასტიასთან ათავსებს ხუთჯერიან დროშას. ამ შემთხვევაშიც დროშას აქვს მეორე ნაწილიც. დროშის მეორე ნაწილზე გამოსახულია ირანის ილხანთა სახელმწიფოს სიმბოლო. სევასტიასთან აღმართული ხუთჯერიანი დროშა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, უნდა უკავშირდებოდეს საქართველოს სამეფოს და გიორგი ბრწყინვალის მიერ გატარებულ პოლიტიკას. ამდენად, პეტრო ვესკონტეს 1320 წლის შავი ზღვის პორტოლანის, XIV საუკუნის დასაწყისის I ანონიმის რუკის და ანკელინო დულსერტის პორტოლანის შემდეგ XIV საუკუნის პირველი ნახევარის II ანონიმის პორტოლანი გახლავთ მეოთხე რუკა, სადაც საქართველოს სახელმწიფო დროშად დასახულია თეთრ ფონზე მოთავსებული ხუთი წითელი ჯვარი.

ფრანჩესკო და დომენიკო პიციგანოები ეკუთვნიან ვენეციური კარტოგრაფიის სკოლას[39]. ძმები პიციგანოების რუკის გარდა ადგილ არსებობს ფრანჩესკო პიციგანოს 1373 წლით დათარიღებული ატლასი[40]. რომლის ნახვაც მომავალში სასურველი იქნება. შესაძლოა საქართველოსთან დაკავშირებული საინტერესო ინფორმაციაც იყოს მოცემული.

ძმები პიციგანოების რუკაზეც ზოგადი სურათი იგივეა, რაც ანველინო დულჩერტის პორტოლანზე. თავდაპირველად მოკლედ შეეხოთ ძმები პიციგანოების პორტოლანის დასავლეთ ნაწილს. პიციგანოების პორტოლანზეც ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში გამოსახულია მაშმადიანური სახელმწიფოების დროშები. ესპანეთში ვხედავთ არაგონის წითელ- და ყვითელ-ზოლებიან დროშას. თუმცა ესპანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში პიციგანოების პორტოლანსაც დაევქვს წმინდა გიორგის ჯვარი, კომბინირებული სხვა დროშასთან. სამხრეთ საფრანგეთში, ესპანეთის საზღვართან, ქალაქ ნარბონასთან, პიციგანოების პორტოლანიც ათავსებს იმავე დროშას, რომელიც ამ ადგილას დატანილი აქვთ პიეტრო ვესკონტეს, მარინო სანუდოს, ანველინო დულჩერტის პორტოლანებს. ეს არის დროშა ერთი წითელი ჯვარით თეთრ ფონზე და ოთხ მინ[illegible]ში მოთავსებული ოთხი წითელი ოვალური ნიშანით. იტალიის და საფრანგეთის სა[illegible] გამოსახულია გენუელთა წმინდა გიორგის დროშა. გენუელების დროშა ასევ[illegible] ესპანეთსა და ატლანტის ოკეანეში, აფრიკის სანაპიროსთან მდებარე კუნძულ[illegible] ვენეციელ როგორც ანველინო დულჩერტთან, ოღონდ პიციგანოების პორტოლანი ი[illegible]ლთა გემსაც გვინიშნებს,ასევე წმინდა გიორგის დროშით). დანარჩენ დროშებს ჩვენ[illegible] შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა აღარ აქვს. ინგლისში ვხედავთ ტრადიც[illegible]ელ დროშას ოქროს ლომით. საფრანგეთში – სახელმწიფო დროშას შროშანებით. [illegible] დ. დასავლეთ ევროპაში პიციგანოების პორტოლანზეც მხოლოდ საერო ხელისუფალთა ძალთა განლაგებასთან დაკავშირებული სურათია მოცემული.

პიციგანოების პორტოლანის აღმოსავლეთ ნაწილზე დაახლოებით იგივე ეითარებაა, რაც ანველინო დულჩერტთან. ეგვიპტესა და არაბეთის ნახევარკუნძულს შორის წითელ ზოლად იჭრება წითელი ზღვა. ეგვიპტის სამხრეთით, ნუბიასა და ეთიოპიაში მოჩანს ჯვრიანი დროშები. ასევე ეგვიპტის სამხრეთით ვხედავთ სპილოს გამოსახულებას. სპილოზე ამხედრებული პიროვნება უნდა იყოს ნუბიელთა მეფე. დროშა ჯვარის ნიშნით ბოლოვდება. უფრო სამხრეთით, იგივე ეთიოპიასა და ნუბიაში, მოჩანს ექვსი სხვადასხვა ფერთა კომბინაციის მქონე ჯვრიანი დროშა. არც ერთ მათგანს ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია ფაქტი: აღმოსავლეთის თუ სამხრეთის ქრისტიანულ სახელმწიფოებთან ჯვრიანი დროშების მოთავსება, რომლებიც ამ ქვეყნებს ეკუთვნიან, ჩვეულებრივი მოვლენაა.

მცირე აზიაში, კონსტანტინეპოლთან, აღმართულია პალეოლოგების წითელი გერბი ოქროსფერი გამოსახულებებით. იგივე დროშას ვხედავთ ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში და მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს, თეთრ ჯვართან კომბინაციაში. სამსუნთან შესაძლოა ფრიალებდეს დავითის ეარსკვლავიანი დროშა, აგრეთვე არაბეთის ნახევარკუნძულის უკიდურეს სამხრეთ ნაწილშიც, წითელ ზღვასთან. ისევე როგორც დულჩერტის პორტოლანზე, აქაც დავითის ეარსკვლავების მნიშვნელობა

[39] Georges Grosjean, Rudolf Kinauer, Kartenkunst und Kartentechnik. Vom Altertum bis zum Barock, Bern 1970, გვ. 33. ძმები პიციგანოების პორტოლანს ეხება აგრეთვე თეობალდ ფიშერი: Theobald Fischer (1961), გვ. 148. ძმები პიციგანოების პორტოლანზე ხუთჯვრიან დროშის საკითხს აგრეთვე პირველად შეეხო ბ-ნი დავით მუსხელიშვილი. ბ-ნმა დავით მუსხელიშვილმა დაასაბუთა, რომ აქ საქმე გვაქვს შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო დროშასთან. იხ. დავით *მუსხელიშვილი*, საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ, „ტფილისის უწყებანი", 5, 15-18 ოქტომბერი, 1996. რუკის ფერადი ქსეროასლი საფრანგეთიდან ჩამოიტანა ბ-ნმა ელდარ შენგელაიამ.

[40] Konrad Kretschmer, Die italienischen Portolane des Mittelalters, Hildesheim 1962, გვ. 122.

ამ ადგილებზე გარკვეული არ არის და ჩვენი საკითხისათვის ამ ფაქტს პრინციპული დატვირთვა არც აქვს. არაბეთის ნახევარკუნძულზე ჩანს ასევე ისლამის დროშა. ტრაპიზონთან კვლავ ეხედავთ კომნენოსთა წითელ დროშას ოქროსფერი ორთავიანი არწივით. შავი და კასპიის ზღვის ჩრდილოეთით განთავსებულია ოქროს ურდოს ლურჯი დროშები. თუმცა ეშუალოდ შავი ზღვის ჩრდილოეთით, უფრო დასავლეთით გამოსახული დროშები ჰგავს ირანის ილხანთა სახელმწიფოს ალმებს, რაც ძნელი ასახსნელია. იერუსალიმის სამეფოს ხუთჯერიანი დროშა პიციგანოების პორტოლანზე საერთოდ არ ფიგურირებს. ასევე არ ჩანს გენუელთა დროშები ყირიმში ან მცირე აზიაში. მსგავსი განსხვავებანი დულჩერტის პორტოლანთან გასაკვირი არ არის. რადგან, ზემოთაც ითქვა, დულჩერტი ეკუთვნის კარტოგრაფთა კატალანურ სკოლას, ხოლო ძმები პიციგანოების პორტოლანი ვენეციურ კარტოგრაფიულ სკოლას წარმოადგენს. ანუ გარდა იმ ერთგვარი საერთო ცოდნისა, რაც ყველა ზღვაოსან ევროპულ ნაციას ქქონდა, თითოეულ მათგანს ჰქაედა ასევე საკუთარი ინფორმატორები და ხშირად განსხვავებანი ამ ფაქტითაც აიხსნება, დანარჩენ ფაქტორებს თავს თუ დავანებებთ. სხვათა შორის, ქართული სახელმწიფო დროშის საკითხისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რომ მას ადასტურებენ სხვადასხვა კარტოგრაფიული სკოლების წარმომადგენლები, უმრავლეს შემთხვევებში ერმანეთის [illegible] დამოუკიდებლად.

წინა [illegible] თითქმის მოლიანად ფარავენ ირანის ილხანთა სახელმწიფოს დროშები თეთრ [illegible] ფონზე წითელი კვადრატით. ილხანთა სახელმწიფოს დროშები პიციგანოების პორტოლანზეც თითქმის პალესტინამდე მიდის. ილხანთა სახელმწიფო დროშა[illegible] ალმართულია იაფონიასაც, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის მცირე აზიის [illegible] აღარ არიან სპარსეთზე დამოკიდებულნი. აქ პიციგანოების პორტოლანი აგრძელებს ძველ ტრადიციას და ერთგვარად მოძველებულ ინფორმაციას ათავსებს რუკაზე.

რაც შეეხება საქართველოს სამეფოს ტერიტორიას, პიციგანოების პორტოლანზეც ეხედავთ არარატის მთას და მთაზე მოთავსებულ ნოეს კიდობანს. ასევე მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა დერბენტს ძმები პიციგანოების რუკაზე[41]. არარატის მთის მარცხნივ, იქვე, სათავეს იღებენ ტიგროსი და ევფრატი. საქართველოს სამეფოს ცენტრში, თბილისზე, ალმართულია დროშა, რომლის თეთრ ფონზე მოთავსებულია ხუთი წითელი ჯვარი. თბილისის აღსანიშნავად დატანილია ციხე-სიმაგრის გამოსახულება. სწორედ ამ ციხე-სიმაგრეზე ფრიალებს დროშა. იქვეა წაწერა: civitas tiflis. ცოტა ზემოთ და მარცხნივ, ლიხის თუ კავკასიონის მთის დასავლეთით წითელი ფერით გაკეთებულია საქართველოს აღმნიშვნელი წარწერა: Georgiania. როგორც ანველინო დულჩერტის პორტოლანზე, აქაც ხუთჯერიანი დროშით კარგად არის მონიშნული საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები ოქროს ურდოს,ტრაპიზონის იმპერიის და ირანის ილხანთა სახელმწიფოს დროშებს შორის. ამასთან, ეს ხუთჯერიანი დროშა ერთადერთია პორტოლანზე. ის შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს სამეფოსი. ზემოთ მოტანილ არგუმენტებს მისიონერთა დროშის შესახებ გამოთქმულ ვარაუდებზე და იმ ფაქტზე, რომ პორტოლანებზე მისიონერთა დროშების დატანის შემთხვევა არსად არ არის დაფიქსირებული, აქ აღარ გავიმეორებ.

საქართველოს სამეფოს დროშის ზემოთ მოთავსებულია ორი დროშა. სულ ზედა დროშა არის მთლიანად წითელი, ზედ დატანილი ოქროსფერი ნიშანი შესაძლოა იყოს ჯვარი. ამ დროშის რაობა გაურკვეველია. არ არის გამორიცხული, ის რომელიმე დიდი ქართველი თავადის ან ქართული პროვინციის კუთვნილება იყოს. მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, ცენტრალურია თბილისზე ალმართული ხუთჯერიანი დროშა, რასაც ადასტურებს ყველა დანარჩენი პორტოლანის ანალიზი. საქართველოს ხუთჯერიან დროშასთან ახლოს ეხედავთ ილხანთა სახელმწიფოს დროშას. ილხანთა სახელმწიფოს დროშა სავარაუდოდ

[41] Theobald Fischer, Sammlung mittelalterlicher Welt- und Seekarten italienischen Ursprungs. Amsterdam 1961², გვ. 188.

აღმართულია დერბენტზე. ამდენად, ხუთჯერიანი დროშა, ერთადერთი მთელ რუკაზე, პიციგანოების პორტოლანის მიხედვითაც ეკუთვნის საქართველოს სახელმწიფოს.

1375 წლის კატალანური ატლასი

კატალანური ატლასი კარტოგრაფიის ერთ-ერთ შედეგრად ითვლება[42]. ვარაუდობენ, რომ კატალანური ატლასის ავტორი არის კარტოგრაფი აბრაჰამ კრესკე. რაკი კატალანურ ატლასზე მოთავსებულ დროშებზე დასავლეთ მხარეს დაახლოებით იგივე სურათია, რაც დულჩერტის და პიციგანოების პორტოლანზე, ამიტომ აქ კატალანური ატლასის ფურცლებიდან განვიხილავ მხოლოდ საქართველოსთან დაკავშირებულ ნაწილს. რადგან დასავლეთ ევროპაში მოთავსებული დროშები ჩვენი საკითხისათვის ახალს არაფერს გვთავაზობენ.

კატალანურ ატლასზეც წითელი ზღვა იმავე წითელი ფერითაა გამოსახული, როგორც წინა პორტოლანებზე. ჩრდილოეთ აფრიკაში ეხედავთ მაამადიან მმართველთა გამოსახულებებს. ნუბია და ეთიოპია პრესბიტერ იოანეს სამეფოდაა მინიშნული. იქვე, რუკის სულ ქვედა ნაწილში დატანილია პრესბიტერ იოანეს საკუთრებაში მინიშნული ჯვარი: ყვითელ ფონზე გამოსახული ნახევარწრე შიგნით ჩასმული წითელი ჯვარით, რომელსაც ზევა და ქვედა მხარეს პორიზონტალურად კიდევ ორი წითელი მკვეთრი ტოტის. კონსტანტინეპოლთან, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ჩანს პალეოლოგების დროშა, ფაქტიურად ბიზანტიის სახელმწიფო დროშის ერთი ვარიანტი ამ პერიოდში. კატალანურ ატლასზე ეს [illegible] წითელ ფონზე გამოსახული ოქროსფერი ჯვარი ოთხი ოქროსფერი ნიშნით [illegible]ში. მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს ეხედავთ წმინდა გიორგის ჯვარი [illegible] დროშასთან კომბინაციაში. ეს დროშა ეკუთვნით ან გენუელებს, ან ბიზანტიელებს. დავითის ვარსკვლავები სატალეასა და სინუსოს ანუ სამსუნის თავზე ისევე ცალი ასახსნელია, როგორც დულჩერტის და პიციგანოების პორტოლანებზე. ჯვრიანი დროშები ჰერას, კონსტანტინეპოლის გარეუბნის და ყირიმში, კაფას თავზე, გვანახებენ, რომ აქ გენუა ბატონობდა. ოღონდ კატალანური ატლასის ამ მონაკვეთებზე მოთავსებული გენუელების დროშა არ არის წმინდა გიორგის ჯვარი, ანუ თეთრ ფონზე მოთავსებული წითელი ჯვარი. შავი ზღვის ჩრდილოეთით განლაგებულია ოქროს ურდოს დროშები. ტრაპიზონთან აღმართულია კომნენოსების წითელი დროშა ორთავიანი ოქროს არწივით. კილიკიაში გამოსახულია საეარაუდოდ კილიკიის სომხეთის სამეფოს ან ვენეციელთა ოქროს ლომიანი დროშა. კვიპროსის თავზე ჩანს იერუსალიმის სამეფოს ხუთჯერიანი დროშა, რომელზეც ეხლა აღარ შეეჩერდები, რადგან ზემოთ ეს საკითხი დეტალურად გავარჩიეთ. კატალანურ ატლასზე მოცემული დროშების განლაგება დაახლოებით იგივეა, რაც დულჩერტის და პიციგანოების პორტოლანებზე.

ჩვენი ყურადღების ცენტრშია ორი დროშა, რომლებიც მოთავსებულია სევასტიასა და სევასტოპოლთან, ანუ სოხუმთან (Fauastopolli). როგორც ზემოთ ითქვა, კატალანური ატლასის გამომცემელი ფრაიესლებენი ეარაუდობს, ჯვრებიანი დროშა მცირე აზიის სიღრმეში, საავასტოს (Savasto) ზემოთ, შესაძლოა მიანიშნებდეს დღევანდელ სივასსა და ედესაზე, რადგან დაახლოებით აქ იყო ჯვაროსნული ომების დასაწყისისას ქრისტიანული სამთავრო[43]. ამ საკითხს ზემოთაც შეეხე და აქაც გაეიმეორებ მოკლედ. სევასტიის თავზე აღმართული ხუთჯერიანი დროშა ედესასთან კავშირში ვერანაირად ვერ იქნება. რადგან თითქმის ორასი წლის წინ დაშლილი ედესის საგრაფო არ იყო იმ მასშტაბის ერთეული, რომ ჯვაროსნული სამეფო-სამთავროებიდან პორტოლანების ავტორებს მხოლოდ ის გამოესახათ რუკებზე. თან, განსაკუთრებით დროშებთან კავშირში,

[42] John Goss (1993), გვ 47; აგრეთვე: Der Katalanische Weltatlas vom Jahre 1375 (1977); ასევე: Konrad Kretschmer (1962), გვ. 122-124.

პორტოლანებზე ფაქტიურად არაფითარი ისტორიული ინფორმაცია მოთავსებული არ არის (არც მისიონერული). რადგან ეს არის მეტწილად პრაგმატიკოსთა მიერ შედგენილი რუკები და ისეთ „ტულნეილობაზ", რაც შეიძლებოდა გამოხატულიყო მისიონერების ან გამქრალი უმნიშვნელო სახელმწიფო წარმონაქმნების რუკებზე დატანით, პორტოლანებზე ადგილი არა აქვს.

ამასთან, სავასტოსთან, ანუ სევასტიასთან გამოსახულ დროშაზე კვლავ ნნდება ერთი ძალიან მნიშვნელოვანი დეტალი. წითელი ხუთჯერიანი დროშა სევასტიასთან მოცემულია სპარსეთის ილხანთა სახელმწიფოს დროშასთან კომბინაციაში (უკვე ეს ფაქტი თავისთავად გამორიცხავს სევასტიასთან მოთავსებული დროშის ყოველგვარ კავშირს დიდი ხნის წინ გამქრალ ედესის საგრაფოს ან იერუსალიმის სამეფოს დროშასთან). პიეტრო ვესკონტეს, XIV საუკუნის დასაწყისის I ანონიმის, ანველინო დულნერტის, XIV საუკუნის პირველი ნახევარის II ანონიმის, ძმები პიცოგანიების პორტოლანზე ხუთჯერიანი დროშა ერთმნიშვნელოვნად ეკუთვნის საქართველოს. შესაბამისად, კატალანური ატლასის ხუთჯერიანი დროშაც, სევასტიასთან რომ არის მოთავსებული, ყველა ნიშნის მიხედვით აგრეთვე ქართულ დროშათა კონტექსტში უნდა განვიხილოთ. კატალანურ ატლასზეც სევასტიასთან საქართველოს სამეფოს და ირანის ილხანთა დროშების კომბინაცია სათავეს უნდა იღებდეს ოლჯაითუ ყაენის დროს მცირე აზიაში მონღოლ-ქართველთა ერთობლივი ლაშქრობიდან და ზოგადად გიორგი ბრწყინვალეს პოლიტიკიდან. კატალანური ატლასის ხანაში ეს აღარ არის ისტორიული რეალობა. ამგვარ აქტუალურ რეალობას თანადროულ ისტორიულ მოვლენებზე იძლევა. მაგალითად, ანველინო დულნერტის პორტოლანი, როდესაც მონღოლურ-ქართულ დროშას სევასტიასთან ათავსებს. ხოლო კატალანური ატლასი ამ შემთხვევაში უნდა მისდევდეს ტრადიციას (შესაძლოა ანველინო დულნერტის პორტოლანსაც ემყარება), როდესაც მოძველებული ინფორმაცია კვლავ გადაეცემა რუკაზე. ამგვარი ფაქტები, როგორც ზემოთაც ითქვა, პორტოლანების ისტორიაში საკმაოდ ხშირად გვხვდება. განსაკუთრებით გენუის და ვენეციის მიერ დაკავებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, როდესაც გენუელთა ან ვენეციელთა მიერ საკმაო ხნის წინათ დაკარგულ ტერიტორიებთან პორტოლანები კვლავ ჯიუტად ათავსებენ ერთ-ერთი მათგანის დროშებს. იგივე ვითარებაა სპარსეთის ილხანთა სახელმწიფოს დროშებთანაც. ილხანთა სახელმწიფო დიდი ხნის დაშლილია, მაგრამ XIV საუკუნის დასასრულის პორტოლანებზე, იგივე კატალანურ ატლასსეც, ჯიუტად დაიტანება ილხანთა სახელმწიფოს დროშები.

კატალანური ატლასი დროშას ასევე ათავსებს სოხუმთან. სამწუხაროდ, სოხუმთან მოთავსებულ დროშაზე გამოსახულება დროთა განმავლობაში წაშლილა. მაგრამ წინა პორტოლანების ანალიზის საფუძველზე, განსაკუთრებით ანველინო დულნერტის პორტოლანს თუ გავითვალისწინებთ, რადგან ორივე რუკა კატალანური კარტოგრაფიის სკოლას ეკუთვნის, სოხუმთანაც, სავარაუდოდ, მოცემული უნდა ყოფილიყო წითელი ხუთჯერიანი დროშა. მაგრამ, სოხუმთან დატანილ დროშას თავს თუ დაკანებებთ, სევასტიასთან აღმართული დროშის სპარსეთის ილხანთა სახელმწიფოს დროშასთან უშუალო დაწყვილება არის ის გადამწყვეტი საბუთი, რომ სევასტიასთან მდებარე ხუთჯერიანი დროშაც საქართველოს სამეფოსია (განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შემდეგი ფაქტია: ეს დროშები ერთმანეთის გვერდზე კი არ არის მოთავსებული, არამედ ეს არის პრაქტიკულად ერთი დროშა, რომლის ქვედა ნახევარია წითელი ხუთჯერიანი დროშა, ხოლო ზედა ნახევარი – მოყვითალო ფონზე გამოსახული წითელი კვადრატი, ანუ ზუსტად ის სურათი, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ჯარი იბრძოდა ილხანთა სახელმწიფოს არმიასთან ერთად. ამის შესახებ კი, როგორც ზემოთ მოტანილი ცნობებიდან დავრწმუნდით, დასავლეთევროპელებსაც და მამადიანებსაც დეტალური ინფორმაცია აქვთ. როგორც შუა საუკუნეთა რუკებზე ხატოვნად იყო წარმოდგენილი ქართველებზე XII საუკუნეში არსებული ცნობები, დაახლოებით იგივე ვითარებაა პორტოლანებზეც. ქართველთა შესახებ გავრცელებული ამ ეპოქის ისტორიოგრაფიული ცნობები და პორტოლანები ერთმანეთთან სრულ შესაბამისობაშია). ამდენად, კატალანური ატლასი არის ფაქტიურად მეექვსე რუკა,

სადაც ხეთჯერიანი დროშა მიკეთენებულია საქართველოს სახელმწიფოსათვის.

კატალანური ატლასის აღმოსავლეთი ნაწილზე აქ მხოლოდ მცირე მითითებებს მოვიტან. კასპიის ზღვასთან მდებარეობს დერბენტი, რკინის კარიბჭე. არარატის მთაზე მოთავსებულია ნოეს კიდობანი. რუკის ზედა მარჯვენა კუთხეში, უკიდურეს აღმოსავლეთში, ოკეანესთან, განლაგებულნი არიან გოგის და მაგოგის აპოკალიპტური ხალხები. იქვე ეხედავთ ვრცელ ლეგენდას, თუ როგორ ნაკეტა ალექსანდრე მაკედონელმა გოგის და მაგოგის აპოკალიპტური ხალხები კასპიის მთების გადაღმა. კასპიის მთები კატალანურ ატლასსაც უკიდურეს აღმოსავლეთში, აღმოსავლეთ ოკეანის სანაპიროზე გადააქვს. ამ საკითხებს ზემოთ შევეხეთ დეტალურად.

„ყველა სამეფოს ცოდნის წიგნი"

1380 წელი

„ყველა სამეფოს ცოდნის წიგნი" გახლავთ მონათხრობი მსოფლიო მოგზაურობაზე[44]. ამიტომ ამ წიგნის მონაცემები იმგვარად ზუსტი ნამდვილად აღარ არის, როგორც, ეთქვათ, იგივე [illegible] ლანების, და ეს ბუნებრივია, რადგან „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნში" მოცემული [illegible] მოგზაურობა, თუ გაითვალისწინებთ აქ წარმოდგენილ ცნობებს ქვეყნიერებაზე, ისევე [illegible]ურია, როგორც ჯონ მანდეველის მოგზაურობა. შესაბამისად, რეალურ მონაცემებ[illegible] ნაკეტება მრავალი სხვადასხვა გამონაგონი თუ ლეგენდა. ამიტომ დროშათა შესახებ [illegible] „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნის" მონაცემები მეორეული მნიშვნელობისაა. რადგ[illegible] [illegible]ური ხაზოგადოების სახალისოდ საკითხვა წიგნს ქმნიდა და ამ წიგნისათვის ინფორმ[illegible] ამოკრიბა სხვადასხვა მოგზაურობებიდან. დროშების შესახებ მასალას იღებს სხვადასხვა პორტოლანებიდან. პორტოლანები კი წმინდა პრაგმატულ მოთხოვნილებათა ნიადაგზე [illegible] შედგენილი რუკებია. შესაბამისად, პორტოლანების ინფორმაციაც სრულიად რეალურ მონაცემებს ემყარებოდა. მაგრამ ავტორი უხვ მასალას ფლობს და ამიტომ მის მიერ მოწოდებული ცნობები ხშირად მნიშვნელოვანიც არის ხოლმე (აქვე შევნიშნავ, რომ ტექსტი მომაქვს ორიგინალისათვის დართული ინგლისური თარგმანის მიხედვით).

„ყველა სამეფოს ცოდნის წიგნის" მასალა საქართველოს შესახებ არ წარმოადგენენ შუა საუკუნეების საქართველოზე არსებულ სხვა დასავლეთევროპულ ცნობებთან ერთად, რადგან აღნიშნულ ნაშრომს დაერთვის რიგი ქვეყნების გერბების თუ დროშების ჩამონათვალი და ამიტომ ამ წიგნის მონაცემების განხილვა უკეთესია დასავლეთევროპულ კარტოგრაფიასთან ერთად. რაკი „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნისათვის" დართული გერბები და დროშები საქართველოში არ გამოქვეყნებულა, ამიტომ, ინფორმაციისათვის, აქვე დავურთავ ამ მასალას. სამწუხაროდ, ყველა გერბის თუ დროშის აქ კომენტირების ადგილი და საშუალება არ არის. „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნის" დროშების და გერბების გამოქვეყნებისას ვემყარები აღნიშნული წიგნის ზემოთ დასახელებულ გამოცემას.

თავდაპირველად მოვიტან „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნის" ინფორმაციას საქართველოს შესახებ. „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნის" მიხედვით, ალბანეთი არის ხმელთაშუა ზღვაში, დაახლოებით კილიკიასთან მდებარე კუნძული[45]. კასპიის მთები, გოგის და მაგოგის აპოკალიპტური ხალხები უკიდურეს აღმოსავლეთში იყარაუდება[46]. მდინარე მტკვარი (Cur, ეს მტკვარი ტიგროსია სინამდვილეში, მაგრამ თავისთავად საინტერესო ფაქტია მტკვარის სახელით მისი მოხსენიება) მიედინება მესოპოტამიაში[47]. ინდოეთი აღმოსავლეთით

[44] Der Katalanische Weltatlas vom Jahre 1375 (1977), გვ. 15.

[44] El Libro del conoscimiento de todos los reinos (The Book of Knowledge of all Kingdoms), Edition, Translation and Study by Nancy F. Marino. Arizona Center for Medieval and Renaissance Studies 1999.

[45] El Libro del conoscimiento (1999), გვ. 35.

[46] El Libro del conoscimiento (1999), გვ. 77, 79.

[47] El Libro del conoscimiento (1999), გვ. 69, 79.

ესახელება ნინეთის ზღვას (Mare Sericum). ეს არისო იგიეე კავკასიის ზღვა (Mare Cancasur) და სახელი მოდისო კავკასიის მთებიდან (Montes Caucasos). იქვეა მოთავსებული სამოთხის კუნძული[45]. ეიველიეე ეს გეოგრაფიის: „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნი" მეტად ახლოსაა იგიეე შუა საუკუნეების კარტოგრაფიის სამეცნიერთან, მიუხედავად იმისა, რომ ავტორი უხვად იყენებს პორტოლანების მონაცემებს. ამ ძველი ხელნაწერი ელემენტის წინ წამოწევის გამო „ყველა სამეფოს წიგნში" მოცემული დროშების ნამონაფალიც უნაკლო და უშეცდომო ნამდვილად არ არის.

„ნინეთისკენ უმთავრესად ორი გზა მიდის. ერთი გზა გაიელის კონსტანტინეპოლს, გადაკვეთს დიდ ზღვას [შავ ზღვას]. *შემდეგ შედის ლეტანას* [Letana] *ზღვაში, აქედან აფხაზეთის* [Avegazia] *ქვეყანაში.* [აფხაზეთის ქვეყნიდან] *შედის მეფე დაეითის ქვეყანაში, იქიდან გაიელის დიდ სომხეთს, გადაკვრის დიდი სომხეთის მთელ სამეფოს. მიდის რეინის კარიბკენთან* [Puerto del Fierro, ანუ დერბენტი] *და აქედან შედის კასპიის ზღვაში* [Mar de Sara]. [...]"[46] შემდგომ მოცემულია უკვე აღმოსავლეთის ქვეყნებზე მიმავალი დეტალური მარშრუტი.

მიუხედავად აკრილი გეოგრაფიული მონაცემებისა,აქ მაინც მეტად საინტერესო ფაქტია დაფიქსირებული: ნინეთისკენ მიმავალი ერთი საეკრო გზა გადის საქართველოზე. ოღონდ ეს ინფორმაცია ავტორს აშკარად სხვადასხვა წყაროებიდან ამოუკრეფია. ამასთან, მოძველებული თუ ლეგენდარული ინფორმაციაც ხშირად ერთმანეთშია არეული. მაგალითად, უაღრესად მნიშვნელოვანია მეფე დაეითის სამეფოს საკითხი. მეფე დაეითის ქვეყანაში ეიველგვარ ეზეს გარეშე იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველო. მარკო პოლოს და ეიდელმ ადამის შემდეგ „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნი" არის მესამე წყარო, რომელიც საქართველოს მოიხსენიებს მეფე დაეითის ქვეყნად. დასავლეთ ევროპაში მეფე დაეითი დაახლოებით ისეთივე მაგიური სიტყვებია შუა საუკუნეებში,როგორც პრესბიტერი იოანე. ამიტომ როდესაც შუა საუკუნეების წყარო ასეთი ზოგადი მნიშვნელობით აღნიშნავს ქვეყანას მეფე დაეითის კუთვნილად, ფაქტიურად ამ ლეგენდის მთავარი პერსონაჟის ლოკალიზებას ახდენს კონკრეტულ ქვეყანაში. განსხვავებით პრესბიტერი იოანესაგან, შუა საუკუნეების დასავლური წყაროები ლეგენდარულ მეფე დაეითს ერთმნიშვნელოვნად აკავშირებენ საქართველოსთან. მხოლოდ ერთხელ ხდება ცოტა ხნით სახელ მეფე დაეითის და დაეით აღმაშენებელისგან მომდინარე რეალიების ნინგიზ-ყაენზე გადატანა (ერთგვარი გუნჟალოგია შეუქმნეს ჩინგიზ-ყაენს). საქართველოს მეფე დაეითის ქვეყნად მოხსენიება გვიანდელ წყაროებში კიდევ ერთი საბუთია: თავდაპირველად ლეგენდა მძლავრ აღმოსავლელ მეფე დაეითზე ძირითადად საქართველოს შესახებ არსებული ცნობების საფუძველზე ჩამოყალიბდა. გვიანდელ წყაროებში საქართველოს მეფე დაეითის ქვეყნად დასახელას ის გარემოებაც აძლევდა ბიძგს,რომ XIII-XIV საუკუნეებშიც ამ სახელის მართლაც ბევრი მეფე მართავდა ჩვენთან ქვეყანას, მაგრამ ევროპელთა აღნიშნული ინფორმაცია უმთავრესად მაინც ლეგენდარული მეფე დაეითის პერსონაჟზე მიანიშნებს.

წიგნის უცნობი ავტორი ასევე ათავსებს მოძველებულ ინფორმაციას საქართველოში ორი სამეფოს არსებობის შესახებ. გარდა ამისა, გეოგრაფიაც არარეალურია. რადგან აღმოსავლეთ საქართველოდან, მეფე დაეითის ქვეყნიდან მიმავალი გზა გაიელის დიდ სომხეთს და ასე პირდაპირ მიდის დერბენტში. აფხაზეთში მოსახვედრად შავი ზღვიდან ლეტანას,ანუ ბსოვის ზღვაში შესვლაც საინტერესო ფაქტია. ყველაფერ ამის მიუხედავად, უცნობი ავტორი მაინც გეთავაზობს საინტერესო ინფორმაციას საქართველოზე გამავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზის შესახებ.

„გოთია [Gotia, ჟირიმის ნახევარკუნძული] *ესაზღვრება ორ მეტად დიდ მხარეს: ესენია მეფე დაეითის ქვეყანა და აფხაზეთის მხარე* [Avogasia],*ეს* [უკანასკნელი] *კი ემიჯნება ტანას.*

[45] El Libro del conoscimiento (1999). გვ. 85.
[46] El Libro del conoscimiento (1999). გვ. 79.



Corincho

Cunio



Egipto

Alexandria

Cunio



Savasco

Savasco



Tripul



Africa

Armeni



Chipre



Suria



Tunez



Suria

Suria

Damasco



Mayorca

Dongola

Dongola



Graçiona

Preste John

Preste John

Preste John



Preste John



Magdasor

Magdasor

Meca

Catayo



Gran Can

Norgançia



Meseber

Comania, Tana, Canardi



Persia



Saldania



Salonico

Trapesonda



Semiso



Salonico



Constantinopla



Constantinopla



Semiso



Castelle



Lodomago



Lodomago



Meseber



Palolimen



Palolimen



Sant Estopoli



Atologo



Derbent



Caraol



Sara



Roxia



Castelle



Sicçia



Silvana



Yrcania

იქიდან შეუვლი ტანას ზღვაში ამ გოთთისა და ტუსის კონტხს შორის მდებარე სრუტით, სადაც მდებარეობს ქალაქი, რომელსაც ეწოდება მატრახა [Materga]. *ამ ლეტანას ზღვის სანაპიროზეა განლაგებული სამი მეტად დიდი სამეფო,რომლებიც ემორჩილებიან უქსბეტოს* [Uxbeto]. *ესენია: ყიფჩაღეთი* [Comania], *ქრისტიანების კუთვნილი. ტანა, რომელიც ეკუთვნის თურქებს. და თათრებს.და კანარდის* [Canardi] *სამეფო. მათ ეოფს დიდი მდინარე ტანაისი, და ამ მდინარის იქით მდებარე ქალაქს ეწოდებენ ტანას.* [...]". ლეტანას ზღვიდან გადადის შავ ზღვაში და მიდის აღმოსავლეთ სანაპიროსთან. „*არვასაქსიის* [Arvasaxia] *და ბიჭვინთის* [Pesonta] *გავლით მიუვალ უქსბეტოს იმპერიაში,და მიეაღწევ სანტ ესტოპოლის* [Sant Estopoli] *სამეფოს. ის ეკუთვნით ყიფჩაღ* [Comanes] *ქრისტიანებს. იქ მრავალი ხალხია, რომელთაც ებრაული სახელები აქვთ. თუმცა ყველანი ქრისტიანულ რიტუალებს ასრულებენ, ოღონდ ეფრო ბერძნების. ვიდრე ლათინთა მსგავსად. მის მეფეს ნიშნად აქვს წითელი დროშა თეთრი ხელით. შემდეგ დაეტოვე სანტ ესტოპოლი და წაეედი საქართველოში* [Gorgania], *რომელიც მდებარეობს დიდ ზღვასა და სარას ზღვას შორის* [ანუ შავ და კასპიის ზღვებს შორის]. *დიდი ქვეყანა უქსბეტოს იმპერიაში.* [...]"[90]

ამ ორ ცნობაში ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით დიდი ქაოსია მოცემული. ყირიმის ნახევარკუნძული აფხაზეთის და აღმოსავლეთ საქართველოს უშუალო მიახლოებულად მოაზრებული. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ მეფე დავითის ქვეყანა კორეტ[illegible] მდებარეობს თავის ადგილას. აქაც გაურკვეველია, ავტორს რომელი ერთ[illegible] ადგილიდან დაძრული, აღმოსავლეთ საქართველო ყირიმის, თუ ყირიმი აღმ[illegible] საქართველოს მიმართულებით. გადაჭრით რომელიმე შეხედულების მიმხრობა ძნელ[illegible]ითანავე, მეფე დავითის ქვეყანა ზემოთ აშკარად აღმოსავლეთ საქართველოა. აქ [illegible]ლეთ საქართველოსთან ნნდება ტერმინი Gorgania. იგიეე ვითარებაა დასავლეთ საქ[illegible]ოსთან კავშირში. თუ ზემოთ დასავლეთ საქართველო აღნიშნული იყო აფხ[illegible]ეთი. ამჟამად აფხაზეთის ადგილი დაიკავა სანტ ესტოპოლის სამეფომ. უქსბეტოს იმპერ[illegible]ის ოქროს ურდო. უქსბეტო გახლავთ XIV საუკუნის პირველ ნახევარში ოქროს ურდოს ხანი უსბეგი. აქედანაც ნანს, როგორ ერევეს „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნი" სსვადასხვა ინფორმაციებს ერთმანეთში. არ შეესაბამება რეალობას ოქროს ურდოს ვასალი ყიფჩაღთა სამეფოს ქრისტიანულად გამოცხადება. ყიფჩაღების ქრისტიანებად დასახვა შესაძლოა შემდეგი გარემოებით იყოს განპირობებული: დასავლეთევროპულ წყაროებში ი"ჩვეთად, მაგრამ მაინც, ხანდახან ქართველები ყიფჩაღებად მოიხსენიებიან. ეს მოვლენა განპირობებული უნდა იყოს დავით აღმაშენებლის დროს და გარკვეულ ხანს შემდგომაც ყიფჩაღების საქართველოს არმიაში ბრძოლის ფაქტით. როგორც ჩანს, ამ ფაქტის შესახებ ევროპელებს ინფორმაცია აქვნდათ და მის გამოძახილს XIV საუკუნეშიც ეხედებით ხოლმე. „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნი" ქართველებს, ანუ სანტ ესტოპოლის სამეფოს მცხოვრებლებს.ქრისტიან ყიფჩაღებად მოიხსენიებს. საეარაუდოდ ეს ინფორმაცია ავტორს საკმაოდ ქაოტურად გადააქვს ნამდვილ ყიფჩაღებზეც.

დასავლეთ საქართველო ყოველად მცდარად მოთავსებულია უქსბეტოს იმპერიაში, ოქროს ურდოში. ამასთან, ავტორი იღებს პორტოლანებზე მოთავსებულ ქალაქს, სევასტოპოლისს, სოხუმს და გარდასახავს მას სანტ ესტოპოლის სამეფოდ (როგორც ჩანს, სახელ „სანტ ესტოპოლის" მიღებაში „სევასტოპოლისის" ნაიეურმა ეტიმოლოგიამ ითამაშა როლი. როდესაც სევასტოპოლისის პირველი ნაწილიდან მივიღეთ „სანტ", ანუ „წმინდა" ლათინურად. რას ნიშნავს „ესტოპოლი", არ ვიცით). დანარჩენი მონაცემები სანტ ესტოპოლის სამეფოზე მეტად თუ ნაკლებად სწორია. ამ სამეფოში ცხოვრობს ებრაული სახელების მქონე ბერძნული წესის მიმდევარი ქრისტიანი ხალხი. ქართველების ყიფჩაღებად მოხსენიებაც ტრადიციას არ ეწინააღმდეგება. მაგალითად, XIV საუკუნის ავტორი სიმონ სიმეონისი მოგვითხრობს სქიზმატიკოს ყიფჩაღებზე, რომელთაც იერუსალიმიდან ერთი

[90] El Libro del conoscimiento (1999), გვ. 97-99.

მილის დაშორებაზე მონასტერი ააშენეს, იმ ადგილას, სადაც იდგა ხე, რომლიდანაც ქრისტეს ჯვარი გაჩოჩქეთეს. აქ ჯერის მონასტერ'სეა ლაპარაკი. ბუნებრივია, ქართველები ოჯულისხმებიან და ამას გერმანელი მკვლევარი ფონ დენ ბრინკენიც აღნიშნავს. ასევე ქართველები არიან ნაგულისხმევნი. ფონ დენ ბრინკენის მიხედვით, ერთ-ერთი ამ დროის ევროპელი ცნობის ორ ეიენად ბერში, რომლებიც მუდამ ქრისტეს საფლავთან იმყოფებიან[1].

სანტ ესტოპოლის სამეფოს დროშად დასახულია წითელ ფონზე აღმართული ხელის გული. ამ შემთხვევაში „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნი" რეალურ ინფორმაციას უნდა იძლეოდეს. რადგან სოხუმთან დროშაზე ხელის გულს ათავსებს სხვა წყაროც, გილერმი სიდელრის პორტოლანი, რომელ'სეც ქვემოთ ეილაპარაკებ. ამ მხრივ „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნი" განცალკევებით არ დგას. არ არის გამორიცხული, ამ შემთხვევაში საქმე გვქონდეს დასავლეთ საქართველოს რომელიმე თავადის გერბსა თუ დროშასთან. ხელის გულის სიმბოლიკა ქრისტიანულია. ის საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული დასავლეთ ევროპაში შუა საუკუნეებშიც და მას თანამედროვე ხანაშიც ეხვდებით. მაგალითად, 1953-72 წლებში ჩრდილოეთ ირლანდიის სამეფოს დროშა, ვიდრე ჩრდილოეთ ირლანდია ბრიტანეთის უშუალო მმართველობაში გადაეიდოდა, არის წმინდა გიორგის ჯვარში, ანუ თეთრ ფონზე გამოსახულ ერთ წითელ ჯვარში ჩასმული დავითის ვარსკვლავი და დავითის ვარსკვლავში მოთავსებული აღმართული ხელის გული[2]. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ საკითხს ქვემოთაც შევეხები, საქართველოს სამეფოს ცენტრალური დროშის საკითხში ეს არაფერს არ ცვლის. რადგან გაცილებით უფრო სანდო მასალის მიხედვით, ცენტრალურია ხუთჯვრიანი დროშა (ამასთან, ხელის გულიანი დროშა „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნში" საქართველოს სახელმწიფო დროშობაზე პრეტენზიით არც არის მოცემული). გარდა ამისა, პორტოლანებთან შედარებით „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნი" მხოლოდ მეორეული მნიშვნელობისაა თავისი ნახევრად ლეგენდარული და საკმაოდ არეულ-დარეული გეოგრაფიით. პორტოლანებზე დროშებთან დაკავშირებული მოელი ეს ინფორმაცია გაცილებით პრაგმატულად და საქმის ცოდნითაა წარმოდგენილი. ამასთანავე, დროშა აღმართული ხელის გულით არის ერთ-ერთი იმ ცალკეულ დროშათა შორის, რომლებსაც სხვა ევროპელი წყაროებიც აფიქსირებენ საქართველოსთან კავშირში და რომლებიც სავარაუდოდ ეკუთვნოდნენ ცალკეულ ფეოდალებს, მხარეებს, ქალაქებს. ბოლოს, განხილულ ცნობაში ასევე ყოველად არამართებულად საქართველო, აღმოსავლეთ საქართველო მოთავსებულია ოქროს ურდოში.

შემდეგ ეკითხულობთ: *„თურქეთში აგრეთვე არის სხვა მხარე, რომელსაც უწოდებენ სავასკოს* [Savasco]. *ძველ დროში თურქეთს ერქვა სავასკო, და ეს სახელი მოიდინარეობს ქალაქისაგან, რომელსაც ჰქვია სავასკო.* [სავასკო] *ადრე სხვა ქალაქებზე უწინარესად იყო [ამ მხარის] დედაქალაქი. ადრე ქალაქ სავასკოს სამარია* [Samaria] *ერქვა. სავასკო ღღეს კიდევ სამეფოს ცენტრია, და ნიშნად აქვს თეთრი დროშა ხუთი მეწამული* [ან წითელი] *ჯვრით.* [...]"[3]

იქმნება შთაბეჭდილება, რომ „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნის"· ავტორს ნანახი აქვს რომელიღაც პორტოლანი, სადაც სევასტიასთან მოთავსებულია ხუთჯვრიანი დროშა. მაგრამ ის სპარსეთის ილხანთა სახელმწიფოს დროშას აღარ ახსენებს და სევასტიასთან ტოვებს

[1] Anna-Dorothee von den Brincken (1973), გვ. 120.

[2] William Krampton (1990), გვ. 46; ხელისგულის შუა საუკუნეებში გავრცელებულ ქრისტიანულ სიმბოლიკასთან დაკავშირებით ასევე იხილეთ: Julian Franklyn, Shield and Crest. An account of the Art and Science of Heraldry, London 1960, გვ. 134 (გერბი სამი აღმართული ხელისგულით). William Krampton, Die Welt der Flaggen und die Wappen aller Länder, Augsburg 1991, გვ. 88 (ჩრდილოეთ ირლანდიის დროშა ხელის გულით); Eric Inglefield, Fahnen und Flaggen, München und Zürich 1986, გვ. 55; Walter Leonhard, Das große Buch der Wappenkunst. Entwicklung. Elemente. Bildmotive. Gestaltung, München 1984, გვ. 176 (აღმართული ხელის გულის სიმბოლეა); ასევე ქრისტიანულ სიმბოლიკასთან კავშირში: A. C. Fox-Davies, A Complete Guide to Heraldry, Nelson 1969, გვ. 131; საინტერესოა, რომ სერ ვალტერ სკოტის გერბის ცენტრში მოთავსებული გახლდათ ასევე აღმართული ხელის გული: Carl-Alexander von Vollbroth, Heraldik. Eine Einführung in die Welt der Wappen, Stuttgart, Zürich 1989, გვ. 97, 108.

[3] El Libro del conoscimiento (1999), გვ. 35.

მხოლოდ ხუთჯერიან დროშას. შესაბამისად, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა აქტუალურ ინფორმაციასთან, არამედ ცნობასთან, რომელიც ძველი, რეალური მასალის გარკვეულ ტრანსფორმაციას ახდენს. ამ შემთხვევაში უცნობი ავტორი რამდენიმე ინფორმაციას უნდა ურევდეს ერთმანეთთან. ერთის მხრივ, სვეასტიისათვის გამოყენებული სახელი სავასკო საეჭვოდ დაემსგავსა სამცხის სახელს. შესაძლოა, წიგნის ავტორი ფლობდა გარკვეულ ეურმოერულ ინფორმაციას ამ საკითხზე. ამას გვეაერაუდებინებს შემდეგი ფაქტორიც. წიგნის ავტორის მოგზაურობა, წესით, XIV საუკუნის მეორე ნახევარში უნდა შემდგარიყო. მაგრამ ნაშრომი სავსეა XIV საუკუნის დასაწყისის ისტორიულ რეალობასთან ასოცირებული ამბებით (კიდევ ერთი საბუთი მოგზაურობის ფიქტიურობისა). შესაბამისად, თეორიულად საესებით დასაშვებია სამცხესთან დაკავშირებული მცირე ინფორმაციის წიგნში მოხვედრა. მით უმეტეს, რომ, უცნობი ავტორის მიხედვით, სავასკო უწინარესად არის მხარე (მთელი თურქეთის საეასკოდ მოხსენიება უკვე ავტორის ფანტაზიის ნაყოფი უნდა იყოს).

მაგრამ, მეორეს მხრივ, შესაძლოა სწორედ ხუთჯერიანი დროშის გავლენით, რადგან მსგავსი დროშა იერუსალიმის სამეფოსაც ჰქონდა, უცნობი ავტორი მცირე აზიაში მდებარე ქალაქ სავასკოს, სვეასტიას, იმავედროულად აიგივებს პალესტინის ქალაქ სამარიასთან. ეს გახლავთ არეულ-დარეული გეოგრაფიის კიდევ ერთი ნიმუში. მაგრამ ამგვარ ვარაუდს ისიც უნდა "ეწყობდეს ხელს, რომ დროშას ხუთი წითელი ჯვარით ავტორი გეთავაზობს სირიასთანაც (Suria), სადაც წიგნის მიხედვით მდებარეობს იერუსალიმი. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს იერუსალიმის სამეფოს დროშასთან. სვეასტიასთან, სავასკოსთან მოთავსებული დროშიდან სირიის, ანუ იერუსალიმის სამეფოს დროშამდე ავტორი ცდილობს ერთგვარი ხიდის გაკეთებას, როდესაც სავასკოს უწოდებს სამარიასაც. მაგრამ პორტოლანების სვეასტიის დროშის სირიის (ისიც მნიშვნელოვანია, რომ ავტორი იერუსალიმის სამეფოზე არ ლაპარაკობს) დროშის სიახლოვეს მოყვანის მცდელობა არის მეორეული მოვლენა, დამოკიდებული მხოლოდ ავტორის ფანტაზიაზე. „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნის" საეჭვო გეოგრაფიას თავს თუ გავანებებთ, ამ განმარტების ერთგვარად „ნაიეურ ეტიმოლოგიად" დასახელას ისიც უმაგრებს ზურგს, რომ არც ერთი პორტოლანი იერუსალიმის სამეფოს დროშას სირიაში არ ათავსებს, რადგან ეს უკვე წარსულია მათთვის.

„ყველა სამეფოს ცოდნის წიგნი" კი, პორტოლანებისაგან განსხვავებით, გვთავაზობს არა რეალურ, პრაგმატულად გააზრებულ ინფორმაციას, არამედ ფაქტიურად მხატვრულ-სათავგადასავლო რომანს ამ რეალურ ინფორმაციაზე ნაწილობრივი დაყრდნობით. ამ გამხატვრულების თუ რეალური ინფორმაციის არქონის შედეგია სვეასტოპოლისიდან მიღებული სანტ ესტოპოლის სამეფო, მტკვრად დასახული ტიგროსი, ტიგროსად გადაქცეული მტკვარი, სვეასტიასთან მოთავსებული დროშის სირიის დროშისაკენ წაყვანის მცდელობა, ოქროს ურდოს ნაწილად დასახული საქართველო და მრავალი სხვაც. „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნის" ავტორისათვის, რომელსაც პორტოლანების შემქმნელთა მსგავსი რეალური ინფორმაცია ნაკლებად ჰქონდა, შესაძლოა ხუთჯერიანი დროშა უფრო ასოცირდებოდა იერუსალიმის სამეფოს დროშასთან და აქედან მომდინარეობს ამ ორი დროშის ერთმანეთთან კავშირში მოყვანის არცთუ მოხერხებული ცდა. შესაბამისად, უადრესად პრაგმატული ინფორმაციის (ყოველ შემთხვევაში, ხმელთაშუა ზღვის აუზთან დაკავშირებით მაინც) მომწოდებელი პორტოლანებისაგან განსხვავებით, „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნს" ჩვენთვის მხოლოდ მეორეული მნიშვნელობა აქვს. ხოლო სვეასტიასთან მოთავსებული ხუთჯერიანი დროშა, როგორც ზემოთ მოტანილმა ანალიზმა დაადასტურა, ვერაფერით ვერ დაუკავშირდება იერუსალიმის სამეფოს დროშას და მხოლოდ ქართული დროშის კონტექსტში შეიძლება იქნას გააზრებული. უბრალოდ, სვეასტიასთან მოთავსებული დროშა „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნის" ნახევრად რეალური გეოგრაფიის მსხვერპლი გახდა.

აქეე მოკლედ მოეიტან აღნიშნული წიგნიდან ჩეენთვის საინტერესო რამდენიმე ინფორმაციას. ჩინეთისკენ მიმავალი მეორე გზის აღწერისას კვლავ ნახსენებია სავასკო. ხმელთაშუა ზღვიდან ეს გზა გაიელის კუნძულ კეიპროსს, შემდეგ დიდ სომხეთს, ამის მერე ქალაქ სავასკოს თურქეთში. ეეფრატს გადაკვეთს ქალაქ არგოტთან (Argot), მდის ასე მესოპოტამიის იმპერიასთან. მერე მდინარე მტკვართან (Cur), ანუ ტიგროსთან და სპარსეთთან[54]. გარკვეული ხნის მერე კონსტანტინოპოლიდან იწყება ახალი მოგზაურობის ციკლი: „ [...] *გადაეკვეთა მთელი თურქეთი და მიეედი ქალაქ სავასკოსთან,* [სავასკოდან] *გაეეშართე და გადავიარე მდინარე სური [Sur], რომელიც ტავროსის მთებში* [Montes del Toro] *იღების სათავეს.* [შემდეგ] *გადავკვეთე მთელი საქართველო* [Jorgania], *ვიდრე არ მივადწიე სარას ზღვას ქალაქ დერბენტთან* [Dement]. [...]"[55]

აღნიშნულ ინფორმაციაში სავასკო საქართველოს უშუალო სიახლოვესაა მოთავსებული. ამასთან, საქართველო უკვე უშუალოდ დერბენტამდეა გადაჭიმული. შემდეგ „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნში" ნათქვამია,რომ დერბენტის მიდამოებში მეტად ხშირია ბრძოლები, რადგან ის ეკუთვნის უქსბეტოს იმპერიას, ხოლო მის სამხრეთით მდებარე ადგილები სპარსეთის იმპერიას. ბაქოსთან კასპიის ზღვაში ჩაედინება დიდი მდინარე ტიგროსი. ამ შემთხვევაში წიგნის ავტორი მტკვარს უნდა გულისხმობდეს. მონღოლები კასპიის ზღვას სხვა სახელებთან ერთად საქართველოს ზღვასაც (Mar de la Jorgania) უწოდებენ, რადგან კასპიის ზღვა საქართველოსთან ახლოსაა[56].

„ყველა სამეფოს ცოდნის წიგნისათვის" დართულ სხვა დროშებს აქ ადარ განვიხილავ დეტალურად. ყველა მათგანის ქვეშ მოთავსებულია წარწერა,თუ ვის ეკუთვნის ეს დროშები. მხოლოდ რამდენიმე დროშას შეეეხები მოკლედ. Corincho ავტორის მიხედვით, არის მხარე თურქეთში (გაურკვეველია, რა მხარეზეა ლაპარაკი). ამ მხარესთან შესაძლოა მთელ თურქეთთან დაკავშირებითაც,რადგან ტექსტში ეს დროშა თურქეთის რიგი პროვინციების მეფეს აქვს მიკუთვნებული) ასევე ფიქსირდება ხუთჯვრიანი დროშა. ოღონდ ეს არის შავ ფონზე მოთავსებული ხუთი თეთრი ჯვარი. დანართი ასევე გვთავაზობს ეთიოპიაში მყოფად ნაგულისხმევი პრესბიტერი იოანეს ჯვრებს. ეხედავთ ასევე ტრაპიზონის ორთავიან არწივს. დერბენტის გერბზე გამოსახულია ციხე-სიმაგრე. ოღონდ ეს იგივე სიმბოლოა, რაც აქვს ოქროს ურდოს ქალაქებს, რადგან, წიგნის ავტორის მიხედვით, დერბენტი ოქროს ურდოს მმართველის კუთვნილი ქალაქია.

გილერმო სოლერის ხმელთაშუა ზღვის ატლასი

1385 წელი

გილერმო სოლერის პორტოლანი წარმოგვიდგენს აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის აუზს[57]. მარჯენიდან ხმელეთში უკვე ტრადიციულად იჭრება მეწამული ფერის წითელი ზღვა. მცირე აზიის მარცხენა მხარეს ასევე ტრადიციულად ჩანს პალეოლოგების, ანუ ბიზანტიური ორი წითელი დროშა ოქროსფერი ჯვარით და ოთხი ოქროსფერი ნიშნით მინდერებში. იგივე დროშა მოთავსებულია ბალკანეთის ნახევარკუნძულზეც. დანარჩენი, უფრო დასავლეთ ევროპისაკენ განლაგებული დროშები ჩვენთვის ამჟამად მნიშვნელოვანი არ არის. შავი ზღვის აუზში გამოსახული წმინდა გიორგის სამი დროშა, ერთი წითელი ჯვარი თეთრ ფონზე, კონსტანტინეპოლის გარეუბან პერასთან, სამსუნთან და ყირიმის ნახევარკუნძულზე, ეკუთვნით გენუელებს. შავი ზღვის ჩრდილოეთით ჩანს ოქროს ურდოს დროშები. ტრაპიზონთან აღმართულია კომნენოსების დროშა. სევასტოპოლისთან, ანუ

[54] El Libro del conoscimiento (1999), გვ. 79.
[55] El Libro del conoscimiento (1999), გვ. 101.
[56] El Libro del conoscimiento (1999), გვ. 101.
[57] Portulane (1984), რუკა: 9; ასევე: Konrad Kretschmer (1962), გვ. 122.

სოხუმთან გილერმო სოლერის პორტოლანი ათავსებს წითელ დროშას თეთრი ხელის გულის გამოსახულებით. ეს დაახლოებით იგივე დროშაა, რაც „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნში" სანტ ესტოპოლთან, ანუ ასევე სოხუმთან. ოღონდ „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნში" ხელისგული აღმართულია.

როგორც ითქვა, ხელის გულის დროშაზე დატანა ქრისტიანულ სამყაროში მიღებული წესია. სავარაუდოდ ეს დროშა უნდა ეკუთვნოდეს რომელიმე დიდ ქართველ თავადს ან ქართულ პროვინციას. ეს დროშა თავსდება სხვა ქართული დროშების გვერდზე, რომელთა არსებობა დაფიქსირებულია დასავლეთევროპული კარტოგრაფიული თუ სხვა წერილობითი მასალების მიხედვით. ესენია: წმინდა გიორგის დროშა ანუ ერთი წითელი ჯვარი თეთრ ფონზე; ქრისტეს თაყვანისმცემელი სამი მოგვის დროშა; პიეტრო ვესკონტეს 1313 წლის პორტოლანის ერთჯვრიანი დროშა; პიეტრო ვესკონტეს 1320 წლის პორტოლანის კიდევ სხვაგვარი ერთჯვრიანი დროშა; XIV საუკუნის დასაწყისის I ანონიმის ერთჯვარიანი დროშა ფაზისთან; დიოგო ჰომემის თუ სხვა პორტუგალიურ პორტოლანებზე სამეგრელოსთან მოთავსებული ერთჯვრიანი დროშები. და, ბოლოს, ხუთჯვერიანი დროშა, რომელიც აშკარად ცენტრალური მნიშვნელობის ჩანს ყველა ამ დროშას შორის.

გილერმო სოლერის რუკასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, როგორც ეს საქართველოში ყოველთვის ხდება, გამოჩნდება ვინმე, ვინც იტყვის, რატომ უნდა აღვადგინოთ ხუთჯვრიანი დროშა, როდესაც სახელმწიფო დროშად შეიძლება გვქონდეს გილერმო სოლერის პორტოლანზე გამოსახული წითელი დროშა თეთრი ხელის გულით. ეს არ შეიძლება ორი მიზეზის გამო. პირველი მიზეზია ის, რომ, როგორც მრავალჯერ ითქვა, დასავლეთევროპული მასალის ანალიზის შედეგად საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალური დროშაა თეთრი დროშა ხუთი წითელი ჯვარით. ამიტომ თუ აღდგენაა, უნდა აღდგეს ცენტრალური დროშა. მაგრამ აქ უფრო მთავარი მგონია მეორე მიზეზი. „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნში" სოხუმთან გამოხატულ დროშას ასე თუ ისე არა უშავს, რადგან აღმართულ ხელის გულში გარკვეული ღირსება მაინც არის. მაგრამ გილერმო სოლერის პორტოლანზე გამოსახული ხელის გული ძალიან საეჭვოდ ჰგავს გაწეულ ხელის გულს. ჩვენი სახელმწიფოს დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, როდესაც ქვეყანა სულ იმის ძიებაშია, სადმე რამე ჩამოიმათხოვროს, ამ დროშის აღდგენა დაუშვებელია, რადგან ჩვენი ხელგაწეული მდგომარეობის კანონიზაციას მოვახდენთ. ისე, სოლერის რუკის დროშაში ჩვენი დღევანდელი მდგომარეობის მიმართ გარკვეული ცინიზმი მართლაც იგრძნობა.

მეჩია დე ვილადესტეს პორტოლანი
1413 წელი

ვილადესტეს პორტოლანზე, მართალია, საქართველოსთან დროშები მოთავსებული არ არის, მაგრამ დანარჩენი დროშების განლაგება დაახლოებით იგივეა, რაც სხვა რუკებზე[58]. პორტოლანის დეტალური ანალიზის აუცილებლობა არ არის, მაგრამ რამდენიმე საკითხზე ყურადღების გამახვილება აუცილებელია.

მაგალითად, წინა აზიაში კვლავ ეხედავთ სპარსეთის ილხანთა სახელმწიფოს მსგავს დროშებს. იგივე დროშა მოთავსებულია მცირე აზიის სიღრმეში, თურქეთის ტერიტორიაზე. პორტოლანის შექმნის თარიღია 1413 წელი. ამიტომ ეს დროშები, არ არის გამორიცხული, თემურ-ლენგის დაპყრობილ ტერიტორიასაც ასახავდეს ნაწილობრივ. კავკასიის ჩრდილოეთით მოჩანს ოქროს ურდოს დროშები. კავკასიაში დროშა კი არ არის მოთავსებული, მაგრამ სწორედ ის ფაქტი, რომ აქ არც ოქროს ურდოს დროშა ჩანს და არც, პირობითად ვთქვათ, სპარსეთის, კარტოგრაფიის ენაზე ამ სივრცის დამოუკიდებლობას ნიშნავს. ეს სურათი კვლავ მეტ-ნაკლები სიზუსტით გადმოგვცემს 1413 წლის ახლო ხანების

[58] Portulane (1984). რუკა: 22.

ვითარებას. ტრაპიზონის იმპერიის დროშაზე გამოსახულება დროთა განმავლობაში წაშლილა. იქვე ორი მთიდან მოედინება ეუფრატი და ტიგროსი. მარჯვნივ არარატის მთაზე მოთავსებულია ნოეს კიდობანი (ეს არის იმ მცირე ხარკის ნაწილი,რასაც პორტოლანების ავტორები ისტორიას უხდიდნენ). სიმპტომატურია, რომ სპარსეთის დროშა არარატის მთის სამხრეთითაა მოთავსებული. ეს ტერიტორია ჯერ კიდევ საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში მოიაზრება შირვანთან ერთად.

ერთი მცირე საკითხიც. შუა საუკუნეთა რუკებზე დღევანდელ კავკასიას თავისზე გაცილებით მეტი ადგილი ეკავა. ეს განპირობებული იყო როგორც მსოფლმხედველობრივი მოტივებით, საკრალურ ტერიტორიასთან დაკავშირებით, ასევე იმ ფაქტით, რომ დასავლეთევროპელებისათვის აზიის დიდი ნაწილი უცნობი იყო. პორტოლანებზე ვითარება იცვლება და ხშირად უკუპროცესთან გვაქვს საქმე იმ მხრივ,რომ ზომაზე მეტად დაავიწროვეს კავკასიის ყელი,რაც კარგად ჩანს ვილადესტეს პორტოლანზეც. ვილადესტეს პორტოლანი კვიპროსზე შესაძლოა ათავსებდეს იერუსალიმის სამეფოს დროშას, ოღონდ ყვითელ ფერებში. ვილადესტეს პორტოლანზე დატანილი სხვა დროშების ანალიზის აუცილებლობა ამჟამად არ არის. მით უმეტეს, რომ ამ დროშების გამოსახულებები მაინც(დაბალაინც) კარგად შემონახული არ გახლავთ. მთავარი ჩვენთვის აქაც შემდეგი ფაქტია: თითქმის ყველა დროშა (სატალეასთან მოთავსებული გაურკვეველი დავითის ვარსკვლავის გარდა) მეტად თუ ნაკლებად აღნიშნავს თანადროულ კონსტელაციებს და გამოხატავს საერო ხელისუფალთა თუ საერო სახელმწიფოების ტერიტორიების გავრცელების ფარგლებს. სხვა არავითარ დროშას, არც მისიონერებისას და არც რაიმე სხვას, პორტოლანზე არ ეხედებით.

გაბრიელ დე ვალსეკას პორტოლანი
1439 წელი

ქართული დროშის საკითხისათვის ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობისაა გაბრიელ დე ვალსეკას 1439 წლის პორტოლანი[59]. უკვე კარგად ნაცნობი საერთო სურათის დეტალური აღწერა საჭირო აღარ არის. ვალსეკას 1439 წლის პორტოლანიც ერთ-ერთი ყველაზე ლამაზია ამ დროის რუკებს შორის.

აფრიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მოცემულია პრესბიტერ იოანეს,აქ – ეთიოპიის მმართველის, გამოსახულება მცირე ზომის ჯვარის ნიშნით. ჩრდილოეთ აფრიკის მთელ გაყოლებაზე ჩამწკრივებულია მაჰმადიან მმართველთა დროშები. დასავლეთ ევროპაში ეხედავთ ცალკეული ევროპული სახელმწიფოების და ქალაქების დროშებს. ჩვენი საკითხისათვის მნიშვნელოვანი არც ერთი მათგანი არ არის. პალეოლოგოსთა ბიზანტიური დროშა უკვე მეტად შეავიწროვეს. პალეოლოგოსების დროშა გამოსახულია მხოლოდ კონსტანტინეპოლთან და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. მცირე აზიაში მისთვის ადგილი აღარ დარჩა. ბიზანტიის დაცემამდე სულ რაღაც 14 წელია დარჩენილი. კონსტანტინეპოლის გარეუბან პერასა და ყირიმზე ჯერ კიდევ გენუელთა დროშებია აღმართული. მცირე აზიაში უკვე თურქეთის სულტანის დიდი გამოსახულება ჩნდება. ტრაპიზონთან კვლავ ფრიალებს კომნენოსთა წითელი დროშა ორთაოვანი ოქროსფერი არწივით, რომელიც ასევე „სულს ღაფავს" და მალე გაქრება რუკებიდან ტრაპიზონის იმპერიის დაცემასთან ერთად (ამ მხრივ საინტერესოა, თუნდაც ამ ეპოქის პორტოლანების აღმოსავლეთ ნაწილის შედარება რამდენიმე ათწლეულით გვიანდელ პორტოლანებთან, როგორ კარდინალურად იცვლება სურათი და როგორ ენაცვლება თითქმის ყველგან ჯვრიან ან, საერთოდ, ქრისტიანული სიმბოლიკის მქონე დროშებს ნახევარმთვარიანი დროშები). შავი ზღვის ჩრდილოეთით ეხედავთ კვლავ ოქროს ურდოს დროშებს, იქვე მარჯვნივ სავარაუდოდ ოქროს ურდოს

[59] Luisa Martin Meras, Cartografia Maritima Hispana, Barcelona, Madrid 1993, გვ. 35.

მბრძანებელის გამოსახულებით.

შავი ზღვის აღმოსავლეთით მოთავსებულია ეკრიკალური მთაგრეხილი. პრაქტიკულად ეს არის ლიხის ქედი ან კავკასიონის მთა. ამ მთაგრეხილზე, ლიხის ქედზე თუ კავკასიონზე, ფრიალებს ხუთჯერიანი დროშა. თეთრ ფონზე დატანილია ხუთი წითელი ჯვარი. ამ დროშას დაერთვის მცირე მეორე ნაწილი ცისფერი და თეთრი ზოლების სახით. ქართულ სახელმწიფო დროშას ამგვარი ფორმით, სოხუმთან აღმართულს, შეეხვდით ანუელინო დულნერტის და XIV საუკუნის I ნახევარის II ანონიმის პორტოლანებზე. როგორც ითქვა, ეს ან ერთგვარი სტილიზებაა სახელმწიფო დროშის, ან კიდევ დასავლეთ საქართველოს პარკეული ნიშანთან უნდა გვქონდეს საქმე. ლიხის ქედი თუ კავკასიონი და ხუთჯერიანი დროშა ეალსეკას 1439 და 1447 წლების პორტოლანებზე ოდნავ ჩრდილოეთითაა წინ წაწეული, რაც საერთო სურათს არ ცვლის. რადგან კავკასიის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია ამ დროის პორტოლანებზე საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში მოიაზრება. ამ ფაქტს ადასტურებს მრავალი ევროპული რუკა, რომლებზეც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

გაბრიელ დე ეალსეკას 1439 წლის პორტოლანი ანუელინო დულჩერტის, XIV საუკუნის I ნახევარის II ანონიმის და ძმები პიციგანოების პორტოლანთან ერთად ცენტრალური მნიშვნელობისაა ქართული დროშის საკითხისათვის. რადგან პიეტრო ვესკონტეს 1320 წლის პორტოლანი, XIV საუკუნის დასაწყისის I ანონიმი, კატალანური ატლასი და გაბრიელ ეალსეკას 1449 წლის პორტოლანი საქართველოს [illegible] ნამდვილად ათავსებენ ხუთჯერიან დროშებს, მაგრამ აღნიშნულ ოთხ პორტოლ[illegible]ეს დროშები თეორიულად შეიძლება, რომ ერთიანი საქართველოს დროშა [illegible] ანუელინო დულნერტის, XIV საუკუნის I ნახევარის II ანონიმის და ძმები პიც[illegible]ის რუკებზე ხუთჯერიანი დროშა ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავს ერთიანი საქართ[illegible] სახელმწიფო დროშას. იგივე სურათია გაბრიელ დე ეალსეკას 1439 წლის პორტოლ[illegible]ადაც მთელი კავკასიის სივრცე (ლიხის ან კავკასიონის მარჯვენე მოთავსებული [illegible] ერთგვარად დამაგრებულია ოქროს ურდოს მმართველის სურათზე და საქართველოს ტერიტორიას არ ეხება). ანუ საქართველოს სახელმწიფო, აღნიშნულია ერთადერთი ხუთჯერიანი დროშით. ამგვარი დროშა ერთადერთია ეალსეკას მთელ პორტოლანზე. პორტოლანზე მოცემულია მხოლოდ საერო ხელისუფლების მქონე მმართველთა დროშები. ტრადიციულად, არავითარ მისიონერულ დროშას რუკაზე არ ეხვდებით. ამრიგად, საქართველოს სახელმწიფოსთან კავშირში მთლიანობაში რეა პორტოლანი გვთავაზობს ხუთჯერიან დროშას. აქედან ოთხ შემთხვევაში ხუთჯერიანი დროშა ყოველგვარ ეჭვს გარეშე არის საქართველოს სახელმწიფო დროშა. საეარაუდოდ, ხუთჯერიანი დროშა სახელმწიფო დროშაა კატალანურ ატლასსეც. რაც შეეხება დანარჩენ სამ რუკას, პიეტრო ვესკონტეს 1320 წლის შავი ზღვის ატლასს, XIV საუკუნის დასაწყისის I ანონიმს და გაბრიელ დე ეალსეკას 1447 წლის პორტოლანს, რომელზეც აქვე ვილაპარაკებთ, ერთიანი მასალის ანალიზიდან გამომდინარე, ხუთჯერიანი დროშების შემთხვევაში აქაც საქმე უნდა გვქონდეს საქართველოს სახელმწიფო დროშებთან.

გაბრიელ დე ვალსეკას პორტოლანი
1447 წელი

გაბრიელ დე ვალსეკას 1447 წლის პორტოლანსაც ხმელთაშუა და შავი ზღვის აუზის ნაკვეთების უძველ კარგად ნაცნობი სურათია მოცემული,დროშების შესაბამისი განლაგებით[60]. ჩრდილო აფრიკაში ეხედავთ მაჰმადიანური სახელმწიფოების დროშებს (ცენტრში მისტიური დაეთის ეარს�eططاوين,რომელიც შუა საუკუნეების პორტოლანებზე მოხეტიალე ყორეარდიეთ სან სად ამოეფფს თავს, ხან – სად. დასავლეთ ევროპაში ჩანს მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფოს დროშა. კონსტანტინეპოლთან აღმართულია გენუელების წმინდა გიორგის ჯვარი და პალეოლოგების ბიზანტიური დროშა. ბიზანტიელების დროშა მოთავსებულია ასევე მცირე აზიაში და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. შავი ზღვის ჩრდილოეთით ჩანს ოქროს ურდოს დროშები.

ხისტების ოდნავ ზემოთ ეხედავთ ხეთჯერიან დროშას. საქართველოს სამეფოს ხეთჯერიანი დროშა ვალსეკას ოდნავ წინ აქვს წაწეული ოქროს ურდოს მიმართულებით, რაც კარტოგრაფიაში ჩვეულებრივი მოელენაა. ამ ეპოქის მთელი რიგი რუკები საქართველოს ტერიტორიაში აქცევენ დაახლოებით დღეანდელი ჩრდილოეთ კავკასიის და დასავლეთით, აზოვის ზღვამდე გადაქიმულ ტერიტორიებს. ასეა, მაგალითად, XVI საუკუნის პორტუგალიურ პორტოლანებზე, რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. დან რეგს რამდენიმე მაგალითს მეტი თვალსაჩინოებისათვის აქვე მოვიტან. 1515 წლით დათარიღებულ შონერის გლობუსზე საქართველოს აღმნიშვნელი წარწერა მოთავსებულია შავი ზღვის, კასპიის ზღვების შორის. ამასთან, წარწერა აზოვის და კასპიის ზღვათა ზედა კიდეებზე ეკრო მაღლაა დატანილი[61]. მსგავსი ვითარებაა 1482-1488 წლებით დათარიღებულ ანონიმურ რუკაზე, რომელიც პტოლემეოსური ტრადიციის გავლენითაა შექმნილი[62]. ამ რუკაზე კოლხეთის წარწერა დატანილია აზოვის ზღვის უშუალო სიახლოვეს. ხოლო იბერია მოთავსებულია აზოვის ზღვის მარჯვნივ,ამ ზღვის გვერდზე და სწორზე. რობერტ თორნის 1527 წლით დათარიღებული რუკა განიცდის შონერის გლობუსის გავლენას[63]. საქართველოს ტერიტორია აქაც; აზოვის და კასპიის ზღვების ზედა კიდეებს მაღლა სცდება. ასეთივე სურათია გრეგორიუს რეინის 1515 წლის რუკასაც[64]. პირუს დე ნიჰას XV საუკუნის რუკაზე კოლხეთის წარწერა მიდის აგრეთვე უშუალოდ აზოვის ზღვამდე. ბატისტა აგნესეს 1554 წლის ეენციციურ შავი ზღვის პორტოლანზე წარწერა Georgiania მოთავსებულია შავ და კასპიის ზღვებს შორის. ხოლო Mengrelia – აზოვის ზღვის მარჯვნივ[65]. იგივე სურათია ამბროზიო ორტელიუსის ევროპის რუკასაც,რომელიც 1570 წლით თარიღდება. წარწერა Georgiani-ს უკავია სივრცე შავ და კასპიის ზღვებს შორის, ამასთან, ის კასპიის ზღვის ზედა კიდის სწორსა მოთავსებული.

ერთადერთი ხეთჯერიანი დროშა ვალსეკას პორტოლანზე გახლავთ საქართველოს ტერიტორიაზე მოთავსებული დროშა. მთელ პორტოლანზე მოცემულია ფაქტიურად მხოლოდ სახელმწიფოთა დროშები. მათ რიგშია საქართველოს ხეთჯერიანი დროშაც. ამგვარად, ვალსეკა უშუალოდ აგრძელებს ენინა საუკუნის პორტოლანების ტრადიციას, როდესაც ხეთჯერიან დროშას აქცევენ საქართველოს სამეფოში. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ხეთჯერიანი დროშა საქართველოს ტერიტორიაზე მოთავსებულია ცოტა ხნით ადრე იმ დროამდე,ვიდრე ერთიანი საქართველო დაიშლებოდეს ცალკეულ სამეფოებად და სამთავროებად. ამდენად,გაბრიელ დე ვალსეკას 1447 წლის პორტოლანი,როგორც ზემოთ

[60] Portulane (1984), რუკა: 16.

[61] Richard Hennig, Terrae Incognitae. Eine Zusammenstellung und kritische Bewertung der wichtigsten vorcolumbischen Entdeckungsreisen an Hand der darüber vorliegenden Originalberichte, Bd. 4, Leiden 1953², ხურათი: 8).

[62] რუკა ინახება: Bibliothèque Universitaire de Leyde.

[63] A. E. Nordenskiöld, Facsimile-Atlas to the Early History of Cartography with reproductions of the most important maps printed in the XV and XVI centuries, New York 1973², რუკა: XLI.

[64] A. E. Nordenskiöld (1973), რუკა: XXXVIII (1).

[65] Robert Putman, Early Sea Charts, New York 1983, გვ. 14-15.

ითქვა. მერვე რუკაა პიეტრო ვესკონტეს. XIV საუკუნის დასაწყისის I ანონიმის, ანუელინო დულნერტის. XIV საუკუნის I ნახევარის II ანონიმის. ძმები პიციგანოების პორტოლანების, კატალანური ატლასის. იგივე გაბრიელ დე ვალსეკას 1439 წლის პორტოლანის შემდეგ, სადაც ხუთკვრიანი დროშა უკავშირდება საქართველოს სახელმწიფოს.

ანდრეას ვალსპერგერის რუკა
1448 წელი

ანდრეას ვალსპერგერის ქმნილებიდან კარგად ჩანს, თუ როგორი სურათი ქონდა მთლიანი ქვეყნიერების რუკებს პორტოლანების ეპოქაში[66]. რუკა ორიენტირებულია სამხრეთზე, რაც საკმაოდ უცნაურია და გამონაკლისი უნდა იყოს. წარწერების წაკითხვას მხოლოდ მაშინ შეეძლებთ, თუ რუკას სამხრეთზე მიემართავთ. ამიტომ, რათა სამყაროს ნორმალური სურათი გექონდეს თვალწინ, რუკა უნდა ამოეატრიალოთ. აქ კარგად ჩანს, რომ შუა საუკუნეების კარტოგრაფიის ელტბილდი მსოფლიოს რუკების, და არა ქვეყნიერების ნაწილის ამსახველი პორტოლანების, დამეშავებისას, ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია. თუმცა ქვეყნიერება თანდათან თავისი ნამდვილი ფორმების მიღებას იწყებს მაინც. ეს ჩანს ევროპის კონტინენტის გამოსახულებაზე, აფრიკის ზომები და ფორმა შეცვლილია, ჩრდილოეთ აზიაშიც შედარებით მეტი სივრცეა და ინდოეთის ოკეანეც მეტად თუ ნაკლებად ფორმირებას იწყებს. შავ და კასპიის ზღვებს შორის არარატის მთაზე ტრადიციულად მოთავსებულია ნოეს კიდობანი.

1457 წლის პორტოლანი გენუიდან

1457 წლის გენუეზურ პორტოლანზე დროშების მხრივ ჩვენთვის საინტერესო მასალა არ არის. მაგრამ პორტოლანებს შორის ეს რუკა ერთ-ერთი ულამაზესია[67]. ამიტომ აქ მის ძალიან მოკლე აღწერასაც დაეუთვავ.

საკვლევი ქვეყნიერება ერთგვარ ოვალშია მოთავსებული. წითელი ზღვის სამხრეთით, ეთიოპიაში ეხედავთ ეთიოპიის ნეგუსს (მმართველს) ჯერიანი დროშით. ნეგუსი რუკაზე პრესბიტერ იოანედ არის დასახული. არაბეთი ორადაა გაყოფილი: ჩრდილოეთ არაბეთად და ნახევარკუნძულის სამხრეთში ეგრეთ წოდებულ ბედნიერ არაბეთად (Arabia felix). კასპიის ზღვის აღმოსავლეთით და ინდოეთში მოთავსებულია მაჰმადიან მმართველთა გამოსახულებები. ინდოეთის აღმოსავლეთით, ოკეანესთან დატანილია ჩინეთის მბრძანებელის სურათი. აზიის საკმაოდ მოზრდილი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი შემორაგულია მოებით. შიგნით ეხედავთ ცალკეულ ხეებს. ეს ტერიტორია რუკის მიხედვით არის ჩაკეტილი, აპოკალიპტური ხალხების, გოგის და მაგოგის სამყოფელი. სადაც მთები ერთდებიან, დაახლოებით აზიის ცენტრში, მოთავსებულია „რკინის კარი" (ოღონდ არა დერბენტი). ამ მეორე რკინის კარის მოტივი ცენტრალურ აზიასთან დაკავშირებით დასავლეთ ევროპაში ჩნდება თემურ-ლენგის ლაშქრობების მერე (აღნიშნულ კარზე ლაპარაკობს რუი გონსალეს დე კლავიხოც თავის მოგზაურობაში). ამდენად, აქ კელავ ეხედებით გოგის და მაგოგის უკიდურეს აღმოსავლეთში გადასმის მოტივს.

კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე მოთავსებული ციტადელის გამოსახულება აღნიშნავს დერბენტს. დერბენტის ჩრდილოეთით, კასპიის ზღვის სანაპიროზე მდებარეობს იბერია. იბერიის აღმოსავლეთით – საქართველო (Georgia). საქართველოს ტერიტორია გენუეზურ რუკაზე ისევეა ჩრდილოეთისაკენ წინ წაწეული, როგორც გაბრიელ დე ვალსეკას ზემოთ განხილულ ორ პორტოლანზე. გეორგიის, ანუ საქართველოს დასავლეთით, უკვე შავი ზღვის თავზე მოთავსებულია წარწერა „ჯიქეთი". ვალსეკას ხუთჯერიანი დროშები დაახლოებით ამ ორი წარწერის შუა ტერიტორიაზეა განლაგებული, იქ, სადაც გენუეზურ რუკაზეც მთაგრეხილი ჩანს (ლიხის და კავკასიონის ერთგვარი მთლიანობა). შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს სევასტოპოლი, სოხუმი. დასავლეთ საქართველოს ადგილას გაკეთებული წითელი წარწერის გარჩევა ჭირს. ევფრატი და

[66] Gerald Sammet, Der vermessene Planet. Bilderatlas zur Geschichte der Kartographie, Hamburg 1990, გვ. 85.
[67] George Kisch (1980), რუკა: 48.

ტიგროსი რუკას არარატის მთიდან გამოყავს. არარატის მთას ეხედაეთ დერბენტის სამხრეთით. მთაზე დევს ნოეს კიდობანი.

1450-1460 წლების კატალანური მსოფლიოს რუკა

1450-1460 წლების კატალანური რუკა იმითაც გახლავთ მნიშვნელოვანი, რომ აქ 1375 წლის კატალანური ატლასისრომელიც ცალკეული ფურცლებისაგან შედგებაერთგვარად მთლიანი სურათია მოცემული[68]. XV საუკუნის მსოფლიოს რუკები გარკვეულწილად გარდამავალი საყურადღებოა შუა საუკუნეების კარტოგრაფიიდან თანამედროვე კარტოგრაფიისაკენ. ეს კატალანურ მსოფლიოს რუკაზეც კარგად უნდა ჩანდეს. აზიის უკიდურეს აღმოსავლეთში, ოკეანესთან, კვლავ ეხედავთ ჩაკეტილი აპოკალიპტური ხალხებისათვის გამოყოფილ სივრცეს. აფრიკას გადაბმულია ეგრეთ წოდებული სამხრეთის დაუსახლებელი კონტინენტი, რომელსაც ზემოთ ლამბერ დე სენ-ომერის მეთორმეტე საუკუნის რუკაზეც შეეხედით. ინდოეთის ოკეანეში მოჩანან ხაოცარი არსებები.

შავი და კასპიის ზღვების შუაში, დღევანდელი საქართველოს ტერიტორიის ოდნავ ჩრდილოეთით გამოსახულია ერთ წითელჯვრიანი დროშა. მაშინ ეს არის წმინდა გიორგის დროშა და, ზემოთ მოტანილი ცნობების გათვალისწინებით, უნდა უკავშირდებოდეს [illegible] ქართულ სისტემას. როგორც ითქვა, ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორია ამ [illegible] აღმოსავლეთევროპულ პორტოლანებზე საქართველოს სამეფოში მოიაზრება.

[68] John Goss (1993). გვ. 45.

ფრა მაუროს მსოფლიოს რუკა
1459 წელი

ფრა მაუროს რუკაც ერთ-ერთი უძველესია და ცენტრალური დატვირთვაც აქვს ამ ეპოქის კარტოგრაფიაში[*]. ფრა მაუროს რუკა წარმოადგენს შუა საუკუნეების კარტოგრაფიის ერთგვარ კულმინაციას, თავს უყრის ანტიკურ და შუა საუკუნეების გეოგრაფიულ ცოდნას, იუმცა ასევე ითვალისწინებს პორტუგალიელთა აღმოჩენების შედეგებს. ფრა მაუროს რუკაც შუა საუკუნეების რუკებიდან თანამედროვე კარტოგრაფიაზე გადასვლის ერთ-ერთი საფეხურია. რუკის მოლიანი წრიული მოხაზულობა იმეორებს შუა საუკუნეების რუკის მოდელს. მაგრამ ფრა მაუროს რუკა აღარ არის მიმართული აღმოსავლეთზე. ამასთან, შესამჩნევად გაზრდილია ნაცნობი ქვეყნიერების არეალი. ეს განსაკუთრებით ეხება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას. კასპიის ზღვის გადაღმა გადაჭიმული ჩრდილო-აღმოსავლეთი აზია რეალურთან შედარებით კვლავ მცირე ზომისაა. აფრიკის კონტინენტის დასავლეთ ნაწილში მოჩანს პორტუგალიელთა აღმოჩენის შედეგი: საგარაუდოდ გვინეის ეურე. როდესაც კონტინენტის დაახლოებით შუაში ოკეანე ხმელეთში იჭრება. ასევე პორტუგალიელების ინფორმაციას ემყარება ცალკეული დასახელებები აფრიკაში. აფრიკაც სინამდვილესთან შედარებით გაცილებით მცირე ზომისად არის წარმოდგენილი. ამ ეპოქის პორტუგალიელებსაც აფრიკა, ზემოთაც ითქვა, გაცილებით პატარა წარმოედგინათ და 1460 წლისათვის უკვე დიდი იმედი ჰქონდათ, რომ სულ მალე მიაღწევდნენ სახლეთ გზით პრესბიტერ იოანეს სამეფოს, ეთიოპიას და სანატრელ ინდოეთს.

ფრა მაუროს რუკაზე საკმაოდ ზუსტად არის გამოსახული ხმელთაშუა და შავი ზღვების არეალი. ეს მონაცემები პორტოლანური ხასიათის რეალისტური რუკებიდან არის უკვე აღებული. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საქართველოს სამეფოსაც (ოღონდ რუკის წარწერების წაკითხვას მხოლოდ მაშინ შევძლებთ, თუ რუკას უკვლია ამოკარტიალებთ). შავ და კასპიის ზღვებს შორის ეხედავთ ერთიან დიდ კედელს თუ ხიმაგრეს. ხიმაგრეს იმავედროულად კავკასიის და კასპიის მთების სახელი ეწოდება. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს შუა საუკუნეებში გავრცელებული ლეგენდის გეოანდელ გამოძახილთან: ალექსანდრე მაკედონელმა გოგის და მაგოგის ანოკალიპტური ხალხები კავკასიონს გადაღმა დიდი კედელით ჩაკეტა. ამიტომ ფრა მაუროსაც კავკასიონის მთელ გაყოლებაზე ეს კედელი დაუტანია. ოღონდ ფრა მაუროს რუკაზე, აღნიშნული კედელს იქით გოგის და მაგოგის ხალხები არ არიან განთავსებულნი. საქართველოს ტერიტორიაზე მოთავსებულია წარწერა: Çorçania, კასპიის ზღვასთან: Siroan. ასევე ნათლად გაირჩევა თბილისის და გორის წარწერები. რუკის სხვა მონაცემებს აქ აღარ შეეხები.

[*] The History of Cartography. Vol. 1. Cartography in Prehistoric. Ancient and Medieval Europe and the Mediterranean. Edited by J. B. Harley and David Woodward. Chicago and London 1987. რუკა: 18.

ხუან დე ლა კოზას მსოფლიოს რუკა
1500 წელი

ხუან დე ლა კოსას მსოფლიოს რუკაზე დროშები ნაკლებადაა გამოსახული[39]. ჩვენთის საინტერესო რომელიმე დროშას რუკაზე არ ეხვდებით. მნიშვნელოვანია, რომ რუკის შექმნისას კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის თარიღიდან სულ რეა წელია გასული, მაგრამ კოლუმბის მიერ აღმოჩენილი მიწები დე ლა კოსასთან რუკაზე უკვე დატანილია. აქედან ჩანს,თუ ხშირად რა სწრაფად რეგირებენ ამ ეპოქის პორტოლანები და მსოფლიოს რუკები თანადროულ მოვლენებზე. აფრიკის გარშემო ვხედავთ უკვე ინდოეთის გზაზე მყოფ პორტუგალიელების გემებს. ამის მიუხედავად, რამდენიმე ძველი, ტრადიციული ინფორმაცია რუკაზე მაინც დარჩენილია. მოეიჩან მხოლოდ ორ მაგალითს, რომლებიც მეტად თუ ნაკლებად საქართველოს ტერიტორიასთან კავშირშია. შავ და კასპიის ზღვებს შორის,ეერტიკალურად მოთავსებული მთავრეხილის სედა წერთან გაკეთებულია წარწერა „ალბანეთი". ხოლო ალბანეთის ოდნავ მარჯვნივ, აღმოსავლეთით დე ლა კოსას კვლავ დაუქვს ამორძალების ქვეყანა. ეს არის ერთ-ერთი ბოლო რუკა, სადაც ამორძალები ჯერ კიდევ კასპიის ზღვასთან არიან მოთავსებულნი. ასიის კონტინენტი (ყოველ შემთხვევაში მისი დასავლეთი ნაწილი) უკვე კარგად ნაცნობი ხდება დასავლეთევროპელებისათვის [illegible] ნაკლებ ცნობ ტერიტორიებზე. ევროპული ცნობების მიხედვით, ამორძალები უკვე [illegible] ალ უცნობ ტერიტორიებზე. ევროპული ცნობების მიხედვით, ამორძალები უკვე ცხოვრობენ სადაც დღევანდელი ბრაზილიის ტერიტორიაზე და იქ მდინარე ამაზონსაც [illegible] თავისი სახელი.

[illegible] შორის, იგივე დე ლა კოსას მსოფლიოს რუკაზე კარგად ჩანს, თუ როგორ იყო [illegible] დასავლეთევროპელი რუკების მიერ დროშების მოთავსება კონკრეტულ ქვეყნასთან ამ ქვეყნის ძალასა და მნიშვნელობაზე. ჯერიანი დროშების რაოდენობა საქართველოს სახელმწიფოსთან პირდაპირპროპორციულად კლებულობს ქვეყნის დასავლეთასთან ერთად (თუნდაც აქედანაც ჩანს, რომ ეს დროშები ყველაზე ნაკლებად შეიძლება დაუკავშირდეს სამისიონერო საქმიანობას, რადგან რომიდან გამოგზავნილი მისიონერები საქართველოს გეოანდელ პერიოდებშიც არ აკლდა). მიუხედავად იმისა, რომ ქართული სამეფო-სამთავროების ქრისტიანობის ამბავი კვლავ კარგად იციან, რასაც ამ დროის მრავალი ევროპული ცნობაც ადასტურებს და რამდენიმე ცალკეული რუკაც. მაგრამ ამ დროისათვის ანგარიშგასაწევ ძალად იქცეა თურქეთი და რუკებზეც უკვე საქართველოს ხურჯერიანი დროშების ნაცვლად თურქეთის ნახევარმთვარიანი დროშები დომინირებს (როგორც ითქვა, ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს XVI საუკუნის პორტუგალიური რუკები).

[39] Portulane (1984). რუკა: 22.

პედრო რაინელის ძველი ქვეყნიერება
1500 წელი

პედრო რაინელის რუკას ამგვარი სახელი ქქვია, რადგან უკვე აღმოაჩინეს ახალი ქვეყნიერება, დასავლეთში. პედრო რაინელს კი თავის რუკაზე დააქვს ძველი და კარგად ნაცნობი ქვეყნიერება. პედრო რაინელის რუკაზე ჩრდილეთ აფრიკაში განლაგებულია მხოლოდ მაჰმადიანური დროშები[71]. დიდი ბრიტანეთის გამსახულებაზე მოთავსებულია წმინდა გიორგის დროშა, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა დეტალური საუბარი. ევროპის აღმოსავლეთი ნაწილიც თურქეთის ნახევარმთვარიან დროშებს უჭირავს. ასევე ნახევარმთვარიანი დროშები დომინირებს მცირე აზიასა და წინა აზიაშიც. იერუსალიმთან მოთავსებული ორი თითოჯვრიანი დროშა მხოლოდ ამ ადგილის საკრალურობაზე მიანიშნებს. სხვათა შორის, თავისთავად საინტერესო უნდა იყოს წმინდა გიორგის წითელჯვრიანი დროშის იერუსალიმთან კავშირში მოყვანა. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეშიც პედრო რაინელი თურქეთის ნახევარმთვარიან დროშას ათავსებს. ეს გასაკვირი თვითონ და წითელი ფერების მქონე ორი მინდორი ორი ნახევარმთვარით. აქედან კიდევ ერთხელ ჩანს, რომ დროშები ამ ეპოქის პორტოლანებზე და მსოფლიოს რუკებზე შემოსულია აბსოლუტურ უმრავლესობაში აღნიშნავს მხოლოდ ძალთა განლაგებას. თურქეთის მომძლავრებასთან ერთად საქართველოს ჯვრიან დროშებს თანადათანობით ეცვლება ნახევარმთვარიანი დროშები. საქართველოს ტერიტორიის სიახლოვეს მოთავსებული დაკითის ყარსკვალაეის საკითხი კვლავ გაურკვეველია.

კანტინოს პლანიგლობი (მსოფლიოს რუკა)
1502 წელი

კანტინოს პლანიგლობზე (მსოფლიოს რუკაზე) წმინდა გიორგის დროშები გამოსახულია ინგლისსა და გენუასთან[72]. საფრანგეთის ტერიტორიაზე მოთავსებული წმინდა გიორგის დროშა შესაძლოა კავშირში იყოს ინგლისელებთან და მათს გავლენას აღნიშნავდეს. წინა აზიაში მოცემულია იერუსალიმის გამოსახულება. იერუსალიმზე აღმართული ცენტრალური დროშა არის წმინდა გიორგის დროშა, ერთი წითელი ჯვარი თეთრ ფონზე. ეს დროშა ინგლისელების და გენუელების დროშას არ უკავშირდება. როგორც ვნახეთ, იგივე წმინდა გიორგის დროშა იერუსალიმთან მოთავსებულია პედრო რაინელის რუკაზეც.

კანტინოს პლანიგლობზე დალმაციაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მცირე და წინა აზიაში, შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე აღმართულია თურქეთის სამკუთხა ალმები ნახევარმთვარის გამოსახულებით. მსგავსი დროშა მოთავსებულია ფაზისთან ანუ ფოთთანაც. მართალია,ფოთთან მოთავსებულ დროშაზე გამოსახულება არ ჩანს. თეორიულად სამკუთხა ალამი ქრისტიანულ ქვეყანასაც შეიძლებოდა ჰქონოდა. მაგალითად, პედრო რაინელის 1517 წლით დაბეჭდილ ინდოეთის ოკეანის რუკაზეც პორტუგალიელთა საყრდენი წერტილები აფრიკის და აზიის სანაპიროს გაყოლებაზე მონიშნულია ჯვრიანი დროშებით და სამკუთხა ალმებითაც[73]. მაგრამ კანტინოს პლანიგლობის საერთო სურათი იმგვარია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ამ შემოხვევაში მოთავსებული უნდა იყოს მაჰმადიანური დროშა.

[71] Ivan Kupčik, Münchner Portolankarten. „Kunstmann I-XIII" und zehn weitere Portolankarten. Überarbeitete und ergänzte Neuausgabe des Originalwerkes von Friedrich Kunstmann aus dem Jahr 1859 mit 13 erneuerten Farbtafeln sowie zehn weitere Seekarten vom Anfang des 16. Jahrhunderts einschließlich der seit 1945 verschollenen Seekarten aus Münchner Sammlungen. München, Berlin 2000 გვ. 112-113.
[72] Portulane (1984). რუკა: 25.
[73] Ivan Kupčik (2000). გვ. 130.

ანონიმის ძველი ქვეყნიერება
1505 წელი

პედრო რაინელის მსგავსად, იაკეის რუკაზე ანონიმიც მხოლოდ ძველ ქვეყნიერებას, ევროპას, აზიას და აფრიკას გამოსახავს. ანონიმის ძველი ქვეყნიერებაც კარტოგრაფიული ხელოვნების ერთ-ერთი რაფინირებული ნიმუშია[74]. რიგ ქვეყნებთან მოცემულია ამ სახელმწიფოთა მმართველების გამოსახულებები. ანონიმის ძველი ქვეყნიერება ასევე თვალსაჩინო მაგალითია, რომ დასავლეთევროპელებისათვის კიდევ დიდხანს შავ და კასპიის ზღვებს შორის მოთავსებული მთელი სიერცე ასოცირდება საქართველოსთან. ამ ფაქტზე მიუთითებს წარწერა: Georgiania. აღნიშნული წარწერის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს Mengrelia. სამეგრელოს კიდევ უფრო ჩრდილო-დასავლეთით – ჯიქეთი.

[74] Ivan Kupčik (2000), გვ. 118-119.

ანდრეა ბენინკაზას პორტოლანი
1508 წელი

ანდრეა ბენინკაზას პორტოლანზე სევასტოპოლისთან,სოხუმთან საკარაუდოდ მოთავსებული უნდა იყოს ჯვრიანი დროშა[75]. სამწუხაროდ, ამჟამად პორტოლანის ფერადი ვარიანტის ან უკეთესი შავ-თეთრი რეპროდუქციის ნახვის საშუალება არ მომეცა იმის დასადგენად, თუ რა დროშასთან გვაქვს საქმე. დროშის მარცხნივ მდებარეობს აფხაზეთი (Auogassia), რომელიც ამ პორტოლანზე შესაძლოა ჯერ კიდევ მთლიან დასავლეთ საქართველოს აღნიშნავდეს.

სალვატ დე პილესტრინას ძველი ქვეყნიერება
1511 წელი

სალვატ დე პილესტრინა სავარაუდოდ იყო იტალიური წარმოშობის მალიორკელი,რადგან ნამუშევარი კატალანური კარტოგრაფიის ტრადიციების მიხედვითაა შესრულებული. პილესტრინას რუკაც ამ ეპოქის კარტოგრაფიის ერთი ლამაზი ნიმუშია[76]. პილესტრინას რუკის სახელი „ძველი ქვეყნიერება",ისევე როგორც პედრო რაინელთან ... XVI საუკუნის დასაწყისის ანონიმთან,რუკის შინაარსსაც კარგად თანხვდება,რადგან ... სურათი 1511 წლის მთელი მსოფლიოს რეალობა არ არის.

პილესტრინას რუკაზე ჩვენთვის საინტერესოა გენუელთა დროშ... ... ...

ქართველებთან წმინდა გიორგის დროშების რეალობის ფაქტს ირიბად ადასტურებს ჯაკ დე ვიტრის და მარინო სანუდოს ცნობები, სადაც, ყველაფერთან ერთად, წმინდა გიორგი ქართველთა მეფეროშად არის დასახელები. შუა საუკუნეების ენაზე ეს ნიშნავს, რომ ქართველებს წმინდა გიორგის დროშა მიაქვთ. რადგან წმინდანის რეალური ყოფნა გამოთიხატება მისი დროშით და შუა საუკუნეების ადამიანისათვის ამ ფაქტს ერთგვარად სიმბოლური მნიშვნელობა არა აქვს. როგორც ზიარების პური და ღვინოა მაცხოვარის სხსნელი და ხორცი, ასევე წმინდანის დროშა გულისხმობს: ეს წმინდანი რეალურად არის წარმოდგენილი არმიასთან ერთად (თუ არმია მარცხდება, ეს არასოდეს არ არის წმინდანის ბრალი. ეს ყოველთვის მიეწერება ამ დროშის მქონეთა (ცოდვებს).

სამ დასავლეთევროპელ წყაროში, ლუდოლფ ფონ სუდჰაიმთან, „ქვემორაინულ აღმოსავლეთის აღწერაში" და იოჰანეს ფონ ჰილდესჰაიმთან, პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ქართველებს აქვთ წმინდა გიორგის დროშები. სამივე ცნობაში ტექსტში მოცემული ფორმულირება ორ მნიშვნელობას შეიძლება გულისხმობდეს. ან ქართველებს აქვთ დროშები წმინდა გიორგის გამოსახულებით, ან კიდევ ქართველებს აქვთ წმინდა გიორგის დროშები. ტერმინით „წმინდა გიორგის დროშა" შუა საუკუნეების ქრისტიანულ სამყაროში, როგორც ეკვე მრავალჯერ ითქვა, აღინიშნებოდა თეთრ ან ვერცხლისფერ ფონზე გამოსახული წითელი ჯვარი. აქ არსებობს ტექსტის წაკითხვის მესამე შესაძლებლობაც. წმინდა გიორგის დროშების სახით ქართველებს შეიძლებოდა ჰქონოდათ დროშები წმინდა გიორგ[illegible] გამოსახულებითაც და წმინდა გიორგის ჯვრითაც.

[illegible]ული ევროპელი წყაროები ქართველებს ლამის წმინდა გიორგის ერად სახავენ. გარდ[illegible] ამ ევროპელი წყაროების მიხედვით, ქართველებთან პირდაპირ დასტურდება წმინდ[illegible] გიორგის დროშის არსებობა. ამასთან, წმინდა გიორგის დროშა ფაქტიურად ქართველებთან უფრო ადრე უნდა გამოდიოდეს წინა პლანზე. იგივე დასავლეთევროპელი ცნობების მიხედვით, ვიდრე გენუელებთან. გარდა ამისა, თუ ერთიდაიგივე რუკაზე გენუას და ინგლისს შეიძლებოდა ჰქონოდათ თავ-თავიანი წმინდა გიორგის დროშები, ასევე დასაშვებია, რომ სალვიე დე პილესტრინას რუკაზე წმინდა გიორგის დროშა ეკუთვნოდეს გენუასაც და საქართველოსაც. თუ ნებე ვიზუალური დაკვირვება სწორია, სოხუმთან მოთავსებული წმინდა გიორგის ჯვარი მცირედით მაინც განსხვავდება გენუის დროშებისაგან. რადგან გენუის ოთხივე დროშაზე მოთავსებული წითელი ჯვარი გაცილებით მსხვილია, ვიდრე ჯვარი საქართველოსთან მდებარე წმინდა გიორგის დროშაზე. აქედან გამომდინარე, საქართველოზე დასავლეთევროპელი ცნობების გათვალისწინებით, ეეარაუდობ, რომ სოხუმთან აღმართული წმინდა გიორგის დროშა ქართულია (როგორც ითქვა, 1450-1460 წლების კატალანურ მსოფლიოს რუკაზეც კავკასიასთან მოთავსებული წმინდა გიორგის დროშა ყველა ნიშანის მიხედვით საქართველოსია). ოღონდ ამ შემთხვევაშიც ეს, ბუნებრივია, ცენტრალური დროშა არ არის. სხვათა შორის, ქართველებთან წმინდა გიორგის დროშებზე დასავლეთევროპელი ცნობების და მთელ საქართველოში წმინდა გიორგის კულტის პოპულარობის გათვალისწინებით ალბათ მაინც უნდა ვიეარაუდოთ: წმინდა გიორგის დროშა, როგორც წმინდანის დროშა, ბევრ ქართულ მხარეს და ქართველ დიდ თავადს უნდა ჰქონოდა. ანუ ეს არ უნდა იყოს მხოლოდ ცალკეული თავადის ან ცალკეული მხარის დროშა საქართველოში. შესაძლოა გარკვეული ფორმით წმინდა გიორგის დროშა სახელმწიფო ატრიბუტიკაშიც ყოფილიყო წარმოდგენილი, ეთქვათ, მეფეთა პირადი, ოღონდ არა სახელმწიფო, დროშების სახით.

პილესტრინას რუკაზე თურქეთში ეხედავთ თურქეთის სულტანის დიდ სურათს. ეგვიპტეში – ეგვიპტის სულტანს იტაგანით. ნუბიის მეფე პილესტრინას აფრიკის ცენტრში გადასულიამს. იქვე მარცხნივ, უკვე ნახევრად შიშველი გამოსახულება გეინეის მეფისაა. წითელი ხღეის გვერდზე, ეთიოპიაში, პილესტრინა ხატავს პრესბიტერ იოანეს. ოღონდ იქვე მინიშნებას აკეთებს, რომ პრესბიტერი იოანე ინდოელია (თუმცა ამ შემთხვევაში ინდოეთი ალბათ ეთიოპიას აღნიშნავს. როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში ეთიოპიას ხშირად ინდოეთსაც უწოდებდნენ).

პილესტრინას რუკის ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო მასალა აღნიშნული საკითხით სრულდება. აქვე მოკლედ მოვიტან ჩვენი საკითხისათვის მნიშვნელოვანი დროშების ნამონათვალს. რომლებიც მოთავსებულნი არიან მიუნხენის კოლექციის პორტოლანებზე და რომელთა სურათების აქ მოტანის აუცილებლობა არ იყო.

1426 წლით დათარიღებულ ბატისტა ბეკარიოს რუკაზეც გენუეის თავზე მოთავსებულია ერთ წიოელ ჯვრიანი დროშა". ჯაკოპო მაჯიოლოს 1551 წლით დათარიღებულ რუკაზეც წმინდა გიორგის ჯვარი ფრიალებს გენუისა და ტანას თავზე[78]. სხვა ჩვენთვის საინტერესო ჯვრიანი დროშები არც ერთ ამ რუკაზე არ ჩანს. ხუთჯვრიანი დროშა არც ერთ აღნიშნულ პორტოლანზე არ ფიგურირებს. გენუის წითელჯვრიანი დროშა ასევე ჩანს პიეტრო როსელის პორტოლანზე (ოღონდ ეს უკანასკნელი მიუნხენის კოლექციას არ ეკუთვნის). პიეტრო როსელის პორტოლანზე წმინდა გიორგის დროშები აღმართულია გენუის, ტანას, სამსუნის, პერას თავზე".

მარტინ ვალდზეემიულერის მსოფლიოს რუკა
1516 წელი

მარტინ ვალდზეემიულერი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კარტოგრაფია XVI საუკუნეში. მისი რუკა, რომელიც ჩვენი განხილვის საგანია, თარიღდება 1516 წლით[80]. მარტინ ვალდზეემიულერი პირველად სმარობს ტერმინს „ამერიკა" ასევე აღმოჩენილი მიწებისათვის. გერმანელი კარტოგრაფები მარტინ ვალდზეემიულერი და [illegible] რინგმანი 1507 წელს გამოსცემენ თავიანთ ნაშრომს Cosmographiae Introductio, ან, [illegible] კოსმოგრაფიის შესავალი". აღნიშნულ წიგნში წარმოდგენილი მასალის მოწოდებისას აც[illegible] ძირითადად მისდევენ პტოლემეოსს. აქვე ავტორებმა წამოაყენეს წინადადება, ასევე აღმოჩენილი კონტინენტისათვის, ამერიგო ვესპუჩის სახელის მიხედვით, ეწოდებინათ „ამერიკა" (სხვათა შორის, ამერიკის კონტინენტმა თავისი სახელი შეცდომით მიიღო. რადგან გერმანელმა კარტოგრაფებმა ამერიკის აღმოჩენა მცდარად მიაწერეს ამერიგო ვესპუჩის. ეს შეცდომა რომ არა, როგორც ბევრჯერ აღნიშნულა, ამერიკის კონტინენტი თავის სახელს მიიღებდა ქრისტეფორე, ან კრისტობალ კოლუმბის სახელიდან. მაშინ ამერიკის კონტინენტს დღეს ერქმოდა „კრისტობალია",ან „კოლუმბია"). ტერმინი „ამერიკა" რუკაზე პირველად დაიტანა მარტინ ვალდზეემიულერმა. ეს მსოფლიოს რუკა თარიღდება 1507 წლით. ჩვენ ამჟამად განვიხილავთ მარტინ ვალდზეემიულერის მეორე, 1516 წლით დათარიღებულ მსოფლიოს რუკას.

შავ და კასპიის ზღვებს შორის დატანილი მცირე ჯვრები ქვეყნების ქრისტიანობაზე უნდა მიანიშნებდეს. როგორც ვხედავთ, საქართველოდ მოაზრებული ტერიტორია ვალდზეემიულერის რუკაზეც აზოვის და კასპიის ზღვების ზედა კიდეების სწორამდე მიდის. Colchidis ამ შემთხვევაში უნდა აღნიშნავდეს სამეგრელოს. Iberia აქ საეარაუდოდ არის იმერეთის სამეფო. Georgia ალბათ არის ქართლ-კახეთის სამეფო. მარტინ ვალდზეემიულერის რუკა თარიღდება 1516 წლით. 1513-1520 წლებში ქართლ-კახეთის სამეფო მცირე ხნით მართლაც ერთიანია. არ არის გამორიცხული, ვალდზეემიულერს ეს ინფორმაცია ჰქონოდა. აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოში ვხედავთ ქალაქ თბილისს (Triphelis). თბილისის აღსანიშნავად მოცემულია ეკლესიის ან ქალაქის გამოსახულება. იქვე გამოხატულია საქართველოს მეფე, გვირგვინით, სამეფო ტანსაცმელით და კვერთხით. რაკი ამ დროს ქართლ-კახეთის მეფეა დავით X, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მარტინ ვალდზეემიულერის რუკა

[78] Ivan Kupčik (2000). გვ. 100-101.
[79] Ivan Kupčik (2000). გვ. 104-105.
[79] Karlsruher Geowissenschaftliche Schriften, Die Portulankarte des Petrus Roselli von 1449, Karlsruhe 1989.
[80] Die älteste Karte mit dem Namen Amerika aus dem Jahre 1507 und die Carta Marina aus dem Jahre 1516 des M. Waldseemüller, Unveränderter Nachdruck der Ausgabe Innsbruck 1903, Amsterdam 1968.

მარტინ ვალდზეემიულერის მსოფლიო რუკა. დეტალი

გვთავაზობს ქართლ-კახეთის მეფე დავით მეათის გამოსახულებას. თბილისის სამხრეთით დატანილი ტბა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოშია, წესით უნდა იყოს სევანი. თუმცა ვალდზეემიულერი შესაძლოა სევანის ტბას ვანის ტბასთან აერთიანებდეს. ამ ტბიდან დასავლეთის მხარეს გამოედინება ევფრატი, რომელიც მესოპოტამიისაკენ მიდის. აღმოსავლეთის მხარეს ტბიდან გამოდის მტკვარის და არაქსის ერთგვარი მთლიანობა, რომელიც შემდეგ კასპიის ზღვაში ჩადის. ტბის სამხრეთით მდებარე მთებზე მოჩანს პატარა ზომის ნოეს კიდობანი. ვალდზეემიულერის რუკის მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს ტერიტორია მოიცავს შავიზღვისპირა რეგიონებსაც. საქართველოს სამხრეთით და დიდი სომხეთის აღმოსავლეთით დატანილია მოსულის კათალიკოსის გამოსახულება. ეს უნდა იყოს, სავრაუდოდ, იაკობიტების კათალიკოსი. ვალდზეემიულერის რუკის დანარჩენ დეტალებზე ამჯერად აღარ ვისაუბრებ.

მილერის ატლასი
1519 წელი

ეს გახლავთ პორტუგალიური რუკა[1]. მილერის ატლასად რუკა პირობითად მოიხსენიება, რადგან მისი შემქმნელი უცნობია. ამ ეპოქის რუკებისაგან ერთ-ერთი ყველაზე უხვად დასურათებულია. მილერის ატლასიდან აქ მომაქვს ის ნაწილი, სადაც საქართველოც არის გამოსახული. შავ და კასპიის ზღვებს შორის ეხედავთ ორი დიდი ქალაქის გამოსახულებას. სამწუხაროდ,ამჟამად მიჭირს თქმა,თუ კონკრეტულად რომელი ქალაქების გამოსახულებასთან გვაქვს საქმე. ბაბილონთან მილერის ატლასს ბაბილონის გოდოლის გამოსახულება დააქვს. მილერის ატლასის ცალკეულ საკითხებზე მსჯელობისაგან ამჯერად ასევე თავს ვიკავებ.

ბატისტა აგნეზეს შავი ზღვის პორტოლანი
1554 წელი

ბატისტა აგნეზეს შავი ზღვის პორტოლანს აქ ვეხები,რადგან ამ რუკაზე განსაკუთრებით კარგად გაირჩევა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქები თუ სხვა დასახლებული რუკები[2]. საინტერესოა აგრეთვე,რომ სამეგრელო თითქმის აზოვის ზღვამდე მიუყავს ბატისტა აგნეზეს. როგორც ვნახეთ, საქართველოსადმი კუთვნილ ტერიტორიებს ბევრი პორტოლანი ჩრდილოეთის მიმართულებითაც სწვევს.

[1] Portugaliae Monumenta Cartographica, Reproduçao Fac-Similada da Edição de 1960, Imprensa Nacional-Casa Da Moeda, por Armando Cortesão, Avelino Teixeira da Mota, v. 1, Lisboa 1960, Pl. 23.
[2] Robert Putman, Early Sea Charts, New York 1983, გვ.14-15.

ლოპო ჰომემის მსოფლიოს რუკა
1554 წელი

ლოპო ჰომემის რუკა ეკუთვნის პორტუგალიურ კარტოგრაფიულ სკოლას[83]. ლოპო ჰომემის რუკა ფაქტიურად უკვე თანამედროვე კარტოგრაფიის სტილშია შესრულებული. აქ შეეხები მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე აღმართულ დროშას. შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე,იქ,სადაც დანარჩენი პორტუგალიური რუკები,როგორც ქვემოთ ვნახავთ,ათავსებენ სამეგრელოს,დატანილია ჯვრიანი დროშა. დროშაზე არსებული გამოსახულებების და ფერების ბოლომდე მკვეთრად გარჩევა ჭირს. მაგრამ აქ ნამდვილად გამოსახულია ერთი დიდი ჯვარი ცენტრში. მინდერებში ნახატულია ოთხი წრის მაგვარი საგანი. ფაქტიურად საქართველოს ტერიტორიასთან კვლავ ფიქსირდება ჯვრიანი დროშა, რომლის მინდერებში გარკვეული ფიგურებია მოთავსებული. მსგავსი დროშა ლოპო ჰომემის რუკაზე ნანს საბერძნეთშიც. მოგვიანებით სასურველი იქნება რუკის ორიგინალის ნახვა, რათა დადგინდეს, ხომ არა გვაქვს აქ საქმე იდენტურ დროშებთან. თემცა, როგორც ბევრჯერ აღინიშნა, ქრისტიანულ სამყაროში ცალკეულ ქვეყნებთან დროშათა გამეორება ხშირებრივი ამბავია.

დიოგო ჰომემის დასავლეთ ევროპის ატლასი
1559 წელი

შავი ზღვის პორტოლანის პარალელურად, მეტი თვალსაჩინოებისათვის [illegible] დიოგო ჰომემის მიერ შესრულებულ დასავლეთ ევროპის რუკასაც[84]. დიოგო ჰომემიც პორტუგალიური კარტოგრაფიული სკოლის წარმომადგენელია. ჰომემის დასავლეთ ევროპის რუკაზე კარგად ჩანს, რომ დროშების გამოსახვა კვლავ და კვლავ სახელმწიფოებს, ქალაქებს თუ მხარეებს უკავშირდება. საფრანგეთის ცენტრში მოცემულია საფრანგეთის გერბი სამი შროშანით და სახელმწიფო დროშა, ასევე შროშანებით. ბრეტანის პროვინციას ჰომემი აკუთვნებს ჯვრიან დროშას, ოღონდ მინდერებზე ჩახატულია შროშანები, რაც საფრანგეთისადმი დამოკიდებულებაზე მიანიშნებს.

შროშანებიან გერბს ეხედავთ ინგლისშიც. ეს ფაქტი აიხსნება ბრიტანელთა პრეტენზიით საფრანგეთის სამეფოსა და საფრანგეთის სამეფო ტახტზე. ინგლისის მეფის სამეფო დროშაზე შროშანები, როგორც საფრანგეთის ტერიტორიაზე პრეტენზიის სიმბოლო, 1801 წლამდეც კი რჩება. ირლანდიასა და შოტლანდიაში ეხედავთ ნაციონალურ დროშებს (ხსენათა შორის, როდესაც პეტრე პირველი რუსეთის არმიისა და ფლოტისათვის დროშებს ქმნიდა, რიგ შემთხვევებში პირდაპირ აიღო დასავლეთევროპული ქვეყნების დროშები და ფერები შეუცვალა მხოლოდ, მათ შორის შოტლანდიის დროშასაც[85], რადგან შესატყვისი ტრადიცია რუსეთში არ არსებობდა).

დიოგო ჰომემის შავი ზღვის პორტოლანი
1559 წელი

დიოგო ჰომემის შავი ზღვის პორტოლანის დასავლეთ ნაწილზე, თუ მცირე ანიიდან დაიწყებთ ათვლას, მოთავსებულია შემდეგი დიდი წარწერები[86]: Turqvia (თურქეთი), Occidens

[83] Portugaliae Monumenta Cartographica, v. 1 (1960), Pl. 27.
[84] Portulane (1984), რუკა: 52.
[85] Gerold Aspich, Adrian Cornford, Gudrun Cornford (1978), გვ. 48.
[86] Portulane (1984), რუკა: 54.

(დასავლეთი: ეს წარწერა უშუალოდ პორტოლანზე მოთავსებულ მხარეთა აღმნიშვნელ წარწერათა რიგში დგას), Valachia (ვლახეთი), Rusia (რუსეთი), Podolia, Lapestria. ყველგან დომინირებს თურქეთის ნახევარმთვარიანი დროშა. რუკის ზედა და ქვედა ნაწილში, ასევე შაავ ზღვის ცენტრში მოთავსებულია მხარეთა აღმნიშვნელი გამოსახულებები.

რუკის დასავლეთ ნაწილში დიდი შრიფტით ვხედავთ შემდეგ წარწერებს: Capadotia (კაპადოკია), Armenia (სომხეთი), Asia minor (მცირე აზია), Oriens (აღმოსავლეთი), Tartaria (სათათრეთი, ანუ ოქროს ურდო), Mengralia (სამეგრელო). საქართველოს შაავ ზღვის სანაპიროზე წითლად გამოყოფილია შემდეგი პორტები (პორტების წითელი ფერით აღნიშნა, როგორც ითქვა, მათს მნიშვნელობაზე მიუთითებდა): Pesonda (ბიჭვინთა), Sauastopoli (სოხუმი), Faxio (ფაზისი, ანუ ფოთი. სხვათა შორის, ფოთის ადგილას თითქმის ყველა დასავლეთევროპული პორტოლანი აფიქსირებს მნიშვნელოვან პორტს. ფაზისის შესასვლელთან წითლად მოხაზული ყურეც ნავსადგურის მნიშვნელობას უნდა უსვამდეს ხაზს. კიდევ ერთი ფაქტი: პორტოლანების ავტორებს უმთავრესად რუკებზე დაქონდათ ის მასალა, რაც პრაგმატული საჭიროების იყო. ასევე პორტოლანებზე თავსდებოდა ძირითადად ის ნავსადგურები, სადაც დასავლეთევროპელი მეზღვაურები შედიოდნენ ხოლმე. პორტოლანების მიხედვით, ცალკეული დასავლეთევროპელი ქვეყნების თუ ქალაქების წარმომადგენლებს საკმაოდ მნიშვნელოვანი სავაჭრო ურთიერთობები ქქონდათ საქართველოსთან. საქართველოს შაავ ზღვის სანაპირო ზოლის ანუ დეტალურად გამოსახვას სხვაგვარად ვერ ავხსნით), Lauati (ბათუმი).

ჰომემის შაავ ზღვის პორტოლანის აღმოსავლეთ ნაწილშიც დომინირებს თურქეთის ნახევარმთვარიანი დროშა. ჩრდილოეთში გამოსახულია კავკასიონის [illegible], ფაზისის აღმოსავლეთით, საქართველოს ტერიტორიაზე მოთავსებული გერბი საქართველოსთან არ უნდა იყოს დაკავშირებული. რადგან გერბზე გამოსახული ნიშანი თანხვედება სიმბოლოებს, რომლებიც დატანილია ასევე საქართველოს ტერიტორიაზე. მდებარე თურქეთის ნახევარმთვარიან დროშაზე. სამეგრელოსთან, როგორც ვხედავთ, აღმართულია დიდი ჯვრიანი დროშა. ჯვარი სადა ფორმისაა. ანუ საქართველოსთან განლაგებული ერთჯვრიანი დროშებიდან, XIV საუკუნის დასაწყისიდან დიოგო ჰომემის დრომდე გვაქვს რამდენიმე ვარიანტი (ორი პიეტრო ვესკონტესთან, ერთი XIV საუკუნის დასაწყისის I ანონიმთან, სავარაუდოდ 1450-60 წლების კატალანურ მსოფლიო რუკაზე, სალვატ დე პილესტრინასთან, ასევე რიგ პორტუგალიურ რუკებზე, რომელთა მოკლე ჩამონათვალსაც ქვემოთ მოვიტან). დიოგო ჰომემთან ეს დროშა, ყველა ნიშნის მიხედვით, არის უშუალოდ სამეგრელოს დროშა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს: საქართველოსთან ჯვრიანი დროშების მოთავსება არის ჩვეულებრივი მოვლენა.

დაახლოებით იგივე ვითარებაა თურქეთის დროშასთან დამოკიდებულებაშიც. თურქეთის დროშა დატანილია ფოთს ზემოთ, ანუ სადამდეც, ჰომემის ცოდნის მიხედვით, ერცელდება თურქეთის გაელენა. ორი საუკუნით ადრე, როდესაც საქართველო ერთიანი და მძლავრი იყო, საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა გახლდათ თურქეთის ტერიტორიაზე მოთავსებული. ანუ პორტოლანების დროშათა სისტემა უმეტესწილად გასაკვირი სიზუსტით ასახავს რეალურ ისტორიულ ვითარებას.

კიდევ ერთი დაკვირვება წერილობითი ცნობებისა და კარტოგრაფიის დროშათა სისტემის შესატყვისობის შესახებ. გავიხსენოთ XVI საუკუნის დასასრულის, დაახლოებით დიოგო ჰომემის პორტოლანის თანადროული, პილიგრიმის ცნობა, რომელიც ზემოთ განვიხილეთ: „ [...] *ასე გადაურჩნენ ქართველები მუსლიმანთა უღელს და თუმცა თურქები ხშირად დასხმიან თავს, ვერასოდეს მოახერხეს მათი დამორჩილება და დამონება. ქართველები მამაცურად იცავდნენ თავიანთ საზღვრებს, თურქების სასტიკი იერიშები შეუპოვარი და უდრეკი ვაჟკაცობით მოიგერიეს; ამიტომაც დღემდე, თუმცა ყოველი მხრიდან ბარბაროსებით არიან გარემოცულნი და მთელი დედამიწის ოთხი უძლიერესი იმპერიის შუა მოქცეულნი (თურქეთი, სპარსეთი, თათრები და მოსკოვი), რომელთაც ერთი სული აქვთ მათი ქვეყნის დაპყრობისა, კვლავ იმავე რელიგიის მეფეს ემორჩილებიან და აღმოსავლეთის*



დიოგო ჰომემი, 1559 წელი

ქრისტიანთაგან ერთადერთნი სარკეებლობენ თავისუფლებით. რაც მოიპოვეს, როგორც ეაუბეხელი მაჩაღობის ებადლო მოწმობა ამდენი საუკუნის განმავლობაში. [...] *ქართველები კი არ ეფრთხიან თურქებს.ეფრო თურქებს აქვთ მათი შიში*". დიეგო პომემის პორტოლანზე აღნიშნული ცნობის ხატოვანი სურათია თითქოს მოცემული,როდესაც თურქეთის დროშის საწინააღმდეგოდ ერთგულად ამაყად ფრიალებს ქართული სამთავროს დროშა.

ანდრე ჰომემის მსოფლიოს რუკა
1559 წელი

ანდრე ჰომემის მსოფლიოს რუკა თარიღდება 1559 წლით[87]. ანდრე ჰომემის მსოფლიოს რუკაზე შავ და კასპიის ზღვებს შორის მოთავსებულია წარწერები: Colchis, Yberia, Giorgia, Mengrelia. ამასთან, კოლხეთი და იბერია, რომლებიც აქ ცალკეულ ქართულ სამეფო-სამთავროებს აღნიშნავენ, თითქმის სცდებიან ახოეის და კასპიის ზღვების ზედა კიდეებს.

[87] Portugaliae Monumenta Cartographica, v. 2 (1960), Pl. 18.

დიოგო ჰომემის პორტოლანი
1560 წელი

კვლავ დიოგო ჰომემის პორტოლანზე გამოსახულია სამეგრელო,Megralia, რომელიც თითქმის აზოვის ზღვამდე აღწევს[88]. სამეგრელოსთან ვხედავთ ჯვრიან დროშას. თეთრ ფონზე დატანილია ერთი მუქი ჯვარი. ამ დროის პორტუგალიურ პორტოლანებზე საქართველოს ტერიტორიასთან გამოსახული დროშები საკარაუდოდ გახლავთ სამეგრელოს დროშების ვარიაციები.

დიოგო ჰომემის შავი ზღვის პორტოლანი
1561 წელი

დიოგო ჰომემის შემდეგი პორტოლანი თარიღდება 1561 წლით[89]. აქაც საქმე გვაქვს შავი ზღვის რუკასთან. კვლავ ვხედავთ წარწერას: Megralia. ქართველ სამთავროსთან გამოსახულია მუქ ფონზე დატანილი ერთი დიდი, თეთრი ჯვარი. დიოგო ჰომემის და სხვა პორტუგალიურ პორტოლანებზე მოთავსებული დროშები, მართალია, გარკვეულწილად განსხვავდება ხოლმე ერთმანეთისაგან, მაგრამ მათი საერთო სტილისტიკა მაინც ერთია.

[88] Portugaliae Monumenta Cartographica, v. 2 (1960), Pl. 118.
[89] Portugaliae Monumenta Cartographica, v. 2 (1960), Pl. 125.

ჯაკომო დი მაჯიოლოს პორტოლანი
1563 წელი

ჯაკომო დი მაჯიოლოს პორტოლანიც კარტოგრაფიული ხელოვნების ერთ-ერთი შედეევრია[90]. მისი დეტალური აღწერის აუცილებლობა აქ აღარ არის. ჩვენთვის მნიშვნელოვან საკითხს შეეეხოთ მხოლოდ. ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი მთლიანად დაფარულია თურქეთის ნახევარმთვარიანი დროშებით. ასევე ნახევარმთვარიანი დროშები მოჩანს შავი ზღვის ჩრდილოეთითაც. მაჯიოლოსთან საკმაოდ ზუსტადაა დროშების მეშვეობით იმდროინდელი პოლიტიკური რეალობა გადმოცემული. გენუის წითელჯვრიანი დროშა ტანასთან გაუგებარი ანაქრონიზმია, რადგან სხვა შემთხვევებში მაჯიოლო ზუსტ თანადროულ სურათს იძლევა დროშების დახმარებით. წინა აზიაშიც ყველაფერი თურქეთის ნახევარმთვარიანი დროშებითაა დაფარული. ერთადერთი, იერუსალიმის თავზე მოთავსებულია ჯვრიანი დროშა, იერუსალიმის საკრალურობის ნიშანი.

აგრეთვე მეტად ზუსტად უნდა გადმოცემდეს მაჯიოლო ქართულ ისტორიულ ვითარებას დროშების საშუალებით. Geria ანუ გურია, სანახევროდ დამოკიდებული ჩანს თურქებზე, ყოველ[illegible] ბერძნულ[illegible]ში, გურიის კუთვნილ ქალაქსა თუ ციხე-სიმაგრეზე ნახევარმთვარიანი დროშ[illegible] ასევე ნახევარმთვარიანი დროშები დომინირებს მესხეთის და შიდა ქართლის ქალა[illegible] [illegible]ამოსახულებებზე (სხვათა შორის, თანამედროვე ტექნიკის მეშვეობით თავის[illegible] [illegible] შეიძლება აღნიშნული გამოსახულებების გადიდება. მაშინ ხელთ გვექნება 1563 [illegible] შეიძლი ან რვა ქართული ქალაქის ან ციხე-სიმაგრის სურათი).

ში[illegible] [illegible]ილის ქალაქზე აღმართული დროშა თეორიულად სპარსეთისაც შეიძლებოდა ყოფილ[illegible], რადგან მაჯიოლოს პორტოლანი ისლამური სახელმწიფოების დროშებს არ ასახ[illegible] [illegible]�eს აკუთვნებს ნახევარმთვარიან დროშას. ეს კარგად ჩანს, თურქეთის დროშას თუ შეეადარებთ,მაგალითად,ჩრდილოეთ აფრიკაში,ატლანტის ოკეანის სანაპიროზე მდებარე ისლამურ დროშებს. მაგრამ, სავარაუდოდ, შიდა ქართლში აღმართული დროშაც თურქეთისაა. მაჯიოლოს პორტოლანი დროშათა სისტემის მეშვეობით განსაცვიფრებელი სიზუსტით უნდა ასახავდეს იმდროინდელ ქართულ რეალობას. რადგან შიდა ქართლის ნაწილი ამ დროს მართლაც თურქების ხელშია და მაჯიოლოს პორტოლანზე შიდა ქართლში, ლიხის ქედის აღმოსავლეთით გამოსახული ქალაქი, ყველა ნიშნის მიხედვით, არის გორი.

დასავლეთ საქართველოს ცენტრში მოთავსებულია Colchis და Mengrelia. კოლხეთი აქ აშკარად იმერეთის სამეფოა. ძალიან მნიშვნელოვანია: არც იმერეთთან და არც სამეგრელოსთან ნახევარმთვარიანი დროშები არ არის. კარტოგრაფიის ენაზე ეს ნიშნავს, რომ იმერეთიც და სამეგრელოც დამოუკიდებელნი არიან ამ შემთხვევაში თურქეთისაგან. მაგრამ, განსხვავებით დიოგო პომემისაგან, ჯაკომო დი მაჯიოლოსათვის სამეგრელოს თუ იმერეთის დამოუკიდებლობა ან ქრისტიანობა არ არის ისეთი აქტუალური,რომ ეს ჯვრიანი დროშებით აღნიშნოს. აქ განსაკუთრებით კარგად ჩანს პორტოლანების პრაგმატიზმი. ასევე თვალსაჩინოა, როგორ თანდათან ჩაენაცვლა საქართველოს ტერიტორიაზე ჯვრიან და უმთავრესად ხუთჯვრიან დროშებს თურქეთის ნახევარმთვარიანი დროშები. Avogaxia ანუ აფხაზეთი თურქეთისაგან სანახევროდ დამოუკიდებელი ჩანს. მისი ჩრდილოეთი ნაწილი ნახევარმთვარიანი დროშების არეალშია. აქ კიდევ ერთხელ ვხედავთ საქართველოს ტერიტორიისათვის უფრო ჩრდილოეთი მიწების მიკუთვნების ფაქტს.

[90] Portulane (1984), რუკა: 56; Gerald Sammet (1990), გვ. 6.

ფონზე. ოთხი შავი ნიშანი მინდერებზე. არ ეიცით რას აღნიშნავს. რადგან არც ერთი სხვა წყაროს მიხედვით აღნიშნულ ადგილებზე მსგავსი დროშები არ ფიქსირდება.

1585 წლის I პორტუგალიელი ანონიმი

1585 წლის პორტუგალიური ანონიმური პლანიგლობი საერთო სურათის თვალსაზრისით უკვე ოთქმის თანამედროვე ქვეყნიერების ხატთან მიახლოებულ მოდელს იძლევა[92]. თუმცა ცალკეული დეტალები კელავ შორს არის სრულყოფისაგან. ამის სამაგალითოდ საკმარისია დაუხედოთ ჩრდილოეთ ამერიკის ან გაბრტყელებული კასპიის ზღვის გამოსახულებებს. ინდოეთის ნახევარკუნძულიც მეტისმეტად წვრილია. რუკაზე არ ჩანს ავსტრალია, რადგან ის ჯერ არ აღმოუჩენიათ. ჯერებიანი დროშებით და გერბებით თვალსაჩინოდ არის აღნიშნული როგორც ევროპის ქვეყნები, ასევე, მაგალითად, პორტუგალიელთა საყრდენი პუნქტები აფრიკის სანაპიროზე, სამხრეთ აზიაში თუ სამხრეთ ამერიკაში. საქართველოსთან მოთავსებულია თურქეთის ნახევარმთვარიანი დროშა.

1585 წლის II პორტუგალიელი ანონიმი

1585 წლის II პორტუგალიელი ანონიმის რუკაზეც დეტალურად არის [illegible] შავი ზღვა და მისი მიმდებარე ტერიტორია[93]. სამეგრელოს სამთავროს ტერ[illegible]თან კელავ გამოსახულია მუქ ფონზე ერთი დიდი თეთრი ჯვარის მქონე დროშა[94].

იერუსალიმის სამეფოს ხუთჯვრიანი დროშა

იერუსალიმის სამეფოს დროშაზე გამოსახული გახლდათ ხუთჯვრიანი კომპოზიცია[95]. ეს არის ერთი ცენტრალური ჯვარი და მინდერებში ჩახატული ოთხი უფრო მომცრო ზომის ჯვარი. იერუსალიმის სამეფოს დროშის ცენტრალური ვარიანტი არის ყვითელი ფერის.

[92] Portulane (1984), რუკა: 63.

[93] Portugaliae Monumenta Cartographica, v. 3 (1960), Pl. 353.

[94] ამ ეპოქის პორტუგალიური რუკები საქართველოსა და ცალკეულ ქართულ დროშებთან დაკავშირებით კიდევ უხე მასალას გვთავაზობენ. მათი აქ დეტალური განხილვის და დანარჩენ რუკათა რეპროდუქციების მოტანის არც საშუალება და არც აუცილებლობა არ არის. ამ შემთხვევაში მხოლოდ დაკურთავ იმ რუკების მოკლე ჩამონათვალს და აღნერას, რომლებიც საქართველოზე ან ქართულ დროშებზე გარკვეულ მასალას იძლევიან. ამ რუკების აბსოლუტური უმრავლესობა ეკუთვნის ცნობილ პორტუგალიელ კარტოგრაფ დიოგო პომემს: 1535 ნლით დათარიღებულ ანონიმის ან პედრო რანნელის რუკაზე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოთავსებულია ქარისაგან გასაბერი დროშა, დაახლოებით სვანური დროშების ტიპის (PMC, v. 1, 1960, Pl. 14); დიოგო პომემის 1557 ნლის რუკაზე Megralia ადის აზოვის ზღვამდე, სამეგრელოსთან დატანილია დროშა მუქ ფონზე მოთავსებული ერთი თეთრი ჯვარით (PMC, v. 2, 1960, Pl. 99); ზუსტად იგივე სურათია დიოგო პომემის 1557 ნლის მეორე რუკაზეც (PMC, v. 2, 1960, Pl. 99); დიოგო პომემის 1558 ნლის ატლასზე Megralia აზოვის ზღვასაც კი ასცდა ზემოთკენ. Colchis და Iberia მოთავსებულია კასპიის ზღვის ზედა კიდის სნორზე. Iberia-ს ქვემოთ გაკეთებულია ნარნერა Georgia (PMC, v. 2, 1960, Pl. 158); დიოგო პომემის 1560 ნლის კიდევ ერთ რუკაზე Megralia ადის თითქმის აზოვის ზღვამდე, იქვეა ერთჯვრიანი დროშა, მუქ ფონზე ერთი თეთრი ჯვარით (PMC, v. 2, 1960, Pl. 117); დიოგო პომემის 1560 ნლის მეოთხე რუკაზე ეგრალია გამოსახულია აზოვის ზღვასთან, ქართულ სამთავროსთან აღმართულია დროშა, რომლის მუქ ფონზე ეხედავთ თეთრ ჯვარს (PMC, v. 2, 1960, Pl. 117); დიოგო პომემის 1561 ნლია რუკაზეც Mengralia აზოვის ზღვის უშუალო სიახლოვესაა, დროშაზე მუქ ფონზე დატანილია თეთრი ჯვარი (PMC, v. 2, 1960, Pl. 119); იგივე კონფიგურაციებს იმეორებს დიოგო პომემის 1561 ნლის მეორე რუკაც (PMC, v. 2, 1960, Pl. 122); დიოგო პომემის 1563 ნლის რუკაზეც Megralia ელაე აზოვის ზღვამდე აღწევს, გამოსახულია ლია ფერის დროშა თითქოს მუქი ნერტილებით (PMC, v. 2, 1960, Pl. 127); დიოგო პომემის 1565 ნლის ატლასზე Megralia აზოვის ზღვის უშუალო სიახლოვესაა (PMC, v. 2, 1960, Pl. 171); დიოგო პომემის 1566 ნლის რუკაზე Mengrelia ჩანს აზოვის ზღვასთან. დროშა არ არის დატანილი (PMC, v. 2, Pl. 155); დიოგო პომემის 1570 ნლის რუკაზე დატანილია აზოვის ზღვამდე მისული Megrelia, დროშა აქ არ ჩანს (PMC, v. 2, Pl. 146); ჟოაო ბაპტისტა ლავანიას და ლუის ტეიშეირას 1597-1612 ნლებით დათარიღებულ რუკაზე Colchis გამოსახულია აზოვის ზღვის მარჯვნივ, Hiberia – კიდევ უფრო მაღლა, კასპიის ზღვის ზედა კიდის სნორზე (PMC, v. 4, 1960, Pl. 426).

[95] Walter Leonhard, Das große Buch der Wappenkunst. Entwicklung, Elemente, Bildmotive, Gestaltung, München 1984, გვ. 129; იხლეთ ასევე: Otzfried Neubecker, Heraldik. Wappen – Ihr Ursprung, Sinn und Wert, Luzern 1990, გვ. 92, 107. იერუსალიმის სამეფოს დროშასთან დაკავშირებით მონოდებული ინფორმაციისათვის ასევე დიდ მადლობას ვუხდი თბილისის სახელმნიფო უნივერსიტეტის

თუმცა უფრო იშვიათად იერუსალიმის სამეფოს დროშას წითელ ფერებშიც ვხედებით. პორტულანურ რუკებზე კეიპროსის თავზე გამოსახული იერუსალიმის სამეფოს წითელი დროშის შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

ოღონდ ლათინთა იერუსალიმის სამეფოს დროშის საკითხიც საკმაო ბურუსითაა მოცული. ზუსტად არ ვიცით, როდიდან ფიქსირდება ეს დროშა იერუსალიმის სამეფოს დროშად. იერუსალიმის სამეფოს დროშასთან საინტერესო ანალოგიას უნდა გვაძლევდეს ვილჰელმ დამყრობელის ყვითელჯვრიანი დროშა, რომელიც მან რომის პაპისაგან მიიღო 1066 წელს ინგლისზე სალაშქროდ. იერსალიმის სამეფოს დროშად ხუთჯვრიანი კომპოზიცია შესაძლოა ფიქსირდებოდეს მხოლოდ XII საუკუნის მეორე ნახევარდან. არ არის გამორიცხული, ცალკეულ ჯვაროსნებს თავიდან ამგვარი დროშა ჰქონოდათ. მაგალითისათვის საკმარისია გოტფრიდ ბულონელის გამოსახულება ხუთჯვრიანი ყვითელი დროშით. თუმცა ამ ხუთი ჯვარის გარშემო კიდევ ხუთი ჯვარია მოთავსებული, სამი – მარცხნივ,ორი – მარჯვნივ[96]. ოღონდ აქ ისიც დასაშვებია,გვეანდელი წყაროები,რომელთაც ლათინთა იერუსალიმის სამეფოს დროშის შესახებ უკვე დეტალური ინფორმაცია აქვთ, ამ დროშას მიაწერდნენ პირველ ჯვაროსნებს. დაახლოებით XVI საუკუნიდან, შესაძლოა, უფრო ადრეც, ამ დროშით უკვე დაცურავდნენ იერუსალიმში რეგისტრირებული გემები, რადგან იერუსალიმის ნეიტრალიტეტი მათ ათავისუფლებდა გადასახადებისაგან.

იერუსალიმის სამეფოს დროშიდან ქართული სახელმწიფო დროშის გადმოღების ეარაუდის უსაფუძვლობაზე მიუთითა ბ-ნმა დავით მუსხელიშვილმა[97]. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, იერუსალიმის სამეფოს დროშის საკითხს ქართული სახელმწიფოს დროშისათვის პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. რადგან, როგორც ზემოთ ითქვა, საქართველოს ქრისტიანული დროშების ტრადიცია გაცილებით უფრო ძველია, ვიდრე დასავლეთევროპელების, სახელმწიფო ცენტრალური დროშა საქართველოში უკვე V საუკუნეშია დაფიქსირებული, იერუსალიმის ჯვარსაც იმიტომ ჰქვია იერუსალიმის ჯვარი, რომ მისი წარმომავლობის სათავე აღმოსავლური ქრისტიანული სამყაროა. ქართველებს იერუსალიმთან უშუალო მიმართება უკვე V საუკუნეში აქვთ დამყარებული და ამისათვის XII საუკუნეში ჯვაროსნების შუამავლობა ნამდვილად არ დასჭირდებოდათ. რაც შეეხება დროშათა ნაწილობრივ მსგავსებას (რადგან იერუსალიმის სამეფოს დროშის ცენტრალური ვარიანტი ყვითელია), როგორც ითქვა, ეს ჩვეულებრივი მოელენაა თვითონ დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ გარკვეული მსგავსება რომელიმე დასავლეთევროპულ დროშას ჰქონდეს აღმოსავლური ქრისტიანული სამყაროს ქვეყნის დროშასთან.

იერუსალიმის ჯვრის ვარიანტები გვიანდელ ხანაში

აქვე შეეხები იერუსალიმის ჯვარის გამოსახულებებს სხვადასხვა ევროპული ქვეყნებიდან[98]. იერუსალიმის ჯვარის ყველა ეს ვარიანტი უკვე შედარებით გვიანდელი დროისაა და არსად სახელმწიფო დროშად არ ფიქსირდება. იერუსალიმის ჯვარს წითელ ფერებში ვხედებით, მაგალითად, XV საუკუნის გერმანიაშიც, ერთ-ერთი გერმანელი დიდებულის გამოსახულებასთან დაკავშირებით[99].

საქართველოს ისტორიის კათედრის თანამშრომელს სიმონ ჯანაშიას.

[96] Otfried Neubecker (1990), გვ. 174.

[97] დავით *მუსხელიშვილი*, „ლიტერატურული საქართველო" (1998), 13-20 მარტი, გვ. 5.

[98] Walter Leonhard (1984), გვ. 292.

[99] Otfried Neubecker (1990), გვ. 218.

მაგრამ აქ მნიშვნელოვანი უნდა იყოს XIII საუკუნის უნგრეთში დაფიქსირებული ხუთჯვრიანი კომპოზიციები. იერუსალიმის ჯვრის ორიეე ეარიანტში უნგრულ ჯვარში პატარა ჯვრები ხაზებით არის შეერთებული. ხოლო პირველი ჯვარის პატარა ჯვრები იმგვარად არის ხაზებით ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ფრთოსანი ჯვარის მსგავსი კომპოზიცია იქმნება. საინტერესოა თეიოონ პრეცედენტი ქრისტიანულ ქვეყანაში ამგვარი ჯვარის დაფიქსირების და თეითონ ფაქტი, რომ ეს მცირე ჯვრები ამგვარი ხაზებით შეიძლება იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ეს ამბავი ჩვენს ეარაუდს გორგასალის ფრთოსანი ჯვარის შესახებ გაცილებით მყარ საფუძველს უნდა უქმნიდეს (თეითონ უნგრელები, ყველა ნიშნის მიხედვით, ალბათ უფრო ძველ, შესაძლოა ბიზანტიურ ტრადიციასაც ემყარებიან).

საქართველოს გერბები კონრად გრიუნენბერგის XV საუკუნის გერბების წიგნიდან

კონრად გრიუნენბერგის გერბების მასალა ქართული დროშების საკითხს არ უკავშირდება. მაგრამ გრიუნენბერგის გერბების მასალა ქართველი მკითხველისათვის უცნობია. ამიტომ აქაც მივიტან მცირე ინფორმაციას კონრად გრიუნენბერგის გერბების წიგნში საქართველოს შესახებ არსებულ მონაცემებზე. კონრად გრიუნენბერგის გერბების წიგნი თარიღდება 1483 წლით[100]. გრიუნენბერგის გერბების წიგნი უხვ მასალას იძლევა გერმანელი სამყაროს გერბებთან დაკავშირებით. გრიუნენბერგი გვთავაზობს აგრეთვე მსოფლიოს მრავალი სამეფოს გერბს. აღმოსავლეთის მრავალ ქვეყანაზე გრიუნენბერგის მონაცემები ნახევრად ლეგენდარულია (მაგალითად, გრიუნენბერგი გვაწვდის დეტალურ ინფორმაციას ამორძალთა სამეფოს გერბის შესახებ). საქართველოსთან მოტანილ მასალაშიც ლეგენდარულის ელემენტი უნდა იყოს. ამ შემთხვევაში არ განვიხილავ საკითხს,რამდენად ემყარება რეალობას გრიუნენბერგთან საქართველოსთან დაკავშირებით მოტანილ გერბებში ცალკეული ელემენტები. მკითხველს მხოლოდ მათს გამოსახულებებს შევთავაზებ. გრიუნენბერგი აფხაზეთის სამეფოსათვის (Aptdas, Abtsas) იძლევა ორ გერბს. აფხაზეთი გრიუნენბერგთან, სავარაუდოდ, აღნიშნავს დასავლეთ საქართველოს. ასევე ორ გერბს აკუთვნებს გრიუნენბერგი საქართველოს (Georryen, Gedryen), კონტექსტის მიხედვით ალბათ აღმოსავლეთ საქართველოს. აფხაზეთის ერთ გერბზე გამოსახულია ქუდი, მეორეზე – გეომეტრიული ფიგურები და ორნამენტები. აღმოსავლეთ საქართველოს გერბებზე ვხედავთ გვირგვინს, რომელიც ორი მაერის (ანდა მუქანიანის) ხელს უპყრია. მეორე გერბზე გამოსახულია ზღაპრული ხმლიანი არსება.

[100] Des Conrad Grünenberg, Ritters und Bürgers zu Costenz, Wappenbuch: vollbracht am nünden Tag des Abrellen, do man zalt tusend vierhundert drü und achtzig jar, in Farbendruck neu hrsg. von R. Graf Stillfried-Alcántara und Ad. M. Hildebrandt, Frankfurt a. M. 1884.

*

აქვე სასურველია მოკლედ, დასკვნის სახით ჩამოყალიბდეს ჩვენი გამოკვლევის შედეგები. ქრისტიანულ ქვეყნებში საერო ხელისუფლებასთან ქრისტიანული სიმბოლიკის მქონე დროშების გაჩენას წინ უძღვის საერო და სასულიერო ფენების დაახლოების პროცესი. დასავლეთ ევროპაში აღნიშნული პრინციპების მატარებელი მოძრაობა იწყება X საუკუნის დასასრულიდან და XI საუკუნის ბოლოს ჯვაროსნული ომების სახეს ღებულობს. შესაბამისად, ქრისტიანული სიმბოლიკის მქონე დროშები დასავლეთევროპელ ხელისუფლებთან უმთავრესად ჩნდება კლუნის რეფორმის შემდეგ. მაგრამ ჯვაროსნულ ომებამდე დასავლეთევროპელების დროშათა და გერბთა სისტემა არის მოუწესრიგებელი და ნაკლოვანი. ჯვაროსნული ომებისას, ბიზანტიელებთან და არაბებთან უშუალო შეხებაში მოსვლის შემდეგ, ბიზანტიელების და არაბების გავლენით, ეისთანაც დროშათა სისტემა უკვე რამდენიმე საუკუნეს ითვლიდა, დასავლეთევროპელებთან ყალიბდება მწყობრი დროშათა სისტემა.

ის იდეა [illegible] ტიერ-მსოფლმხედველობრივი საფუძველი, რაც აუცილებელია ქრისტიანული [illegible] სახელმწიფო სიმბოლიკაში და საერო დროშაზე გამოჩენისათვის, საქართ[illegible] თაეის ჩამოყალიბებული ფორმით უკვე არსებობს V საუკუნეში. ამგვარი მსოფლ[illegible]ლობის საქართველოში გამომუშავებაზე, არ არის გამორიცხული, ადრეულ შუა საუ[illegible]ში ბიზანტიასაც ეთამაშოს გარკვეული როლი, მაგრამ ამ საკითხს ჩვენი პრობლ[illegible]ის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ასევე უშუალოდ V საუკუნეშივე ქართველ[illegible]ები იერუსალიმის დამცველებად მოიაზრებენ უკვე თავს, რასაც თაეისთავად შეიძლებ[illegible] ფიქიოლოდა ქრისტიანობასა და იერუსალიმთან დაკავშირებული სიმბოლიკის სახელმწიფო დროშაზე გამოჩენა. ხოლო სახელმწიფო დროშის შემქმნელის ცხოვრებაში ცენტრალური მნიშვნელობა აქვს ქრისტეს საკარაუდოდ ხუთჯერიანი კომპოზიციის სახით ხილვას.

სამხედრო-ქრისტიანული იდეოლოგიის, რომელიც თაეისი საწყისი ფორმით უკვე ვახტანგ გორგასალთანაა დაფიქსირებული, პერიოდული განახლება ხდება ცალკეული ქართველი მეფეების მიერ. თორემ ამ იდეოლოგიის ძირითადი პრინციპები განსაზღვრავს ქვეყნის მთელ ცხოვრებას. სხვადასხვა ფორმით და სხვადასხვა მასშტაბით, მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში. სამხედრო-ქრისტიანული იდეოლოგიითაა გამსჭვალული მთელი სახელმწიფო ანროენება. იგივე ქართველ მეფეთა იშეიათი ტოლერანტობა ქრისტიანობის ფარგლებში თავსდება. ეს არის მაპმადიანებისადმი ტოლერანტობა ქრისტიანობის პოზიციიდან და არა ტოლერანტობის ფორმა, რომელიც დასაბამს ფრანგულ განმანათლებლობაში იღებს.

ქვეყნის სახელმწიფო სიმბოლიკა, ქვეყნის დროშა ყველა ნორმალურ ქვეყანაში შეესაბამება სახელმწიფო იდეოლოგიას. რაკი შუა საუკუნეთა საქართველოს სახელმწიფო იდეოლოგია ყოველგვარ ეჭვს გარეშე ქრისტიანობაა, შესაბამისად, არაფერი იმაში გასაკვირი არ არის, რომ დროშაზე გამოსახული ყოფილიყო ქრისტიანული სიმბოლო.

ქართული სახელმწიფო დროშა, სეფე-დროშა, პირველად ფიქსირდება ვახტანგ გორგასალთან. დასტურდება ამ დროშის ფაქტიურად უწყვეტი ხაზი ვახტანგ გორგასალიდან გიორგი ბრწყინვალის ეპოქის ჩათვლით. ქართული ქრონიკების მასალის მიხედვით, გიორგი ბრწყინვალისა და დავით აღმაშენებელის სახელმწიფო დროშა ერთმანეთის იდენტურია. იგივე ქართული ქრონიკები გვაფიქრებინებენ, რომ ეს სახელმწიფო დროშა ასეთივე უცველი ფორმით ვახტანგ გორგასალთან იღებს დასაბამს. მართალია, ქართული ქრონიკები არ გვეუბნებიან, თუ რა იყო სახელმწიფო დროშაზე გამოსახული. მაგრამ, როგორც ზემოთ განხილულმა მასალამ გვანახა, ეს დროშა ყველა მხრიდან, გინდა გადატანითი, ასევე პირდაპირი მნიშვნელობით, V საუკუნედან მოყოლებული, ლამის უწყვეტ ნაკადად ჩასმულია, შეიძლება ასეც ითქვას, ჯვაროსნულ იდეოლოგიაში, ანუ სამხედრო-ქრისტიანულ იდეოლოგიაში. ქართულ სამყაროსთან დაკავშირებული წყაროების თანახმად,

დროშა უნდა ყოფილიყო თეთრი და ზედ დატანილი გახლდათ წითელი ნიშანი. ქართული მასალის მონაცემებს პირდაპირ ასრულებენ დასავლეთევროპული პორტოლანები, რომლებშეც საქართველოს სახელმწიფო დროშად ისახება თეთრ ფონზე მოთავსებული ხუთი წითელი ჯვარი. ეს კონფიგურაცია უკავშირდება ქრისტეს და იერუსალიმს. ამგვარი დროშის სახელმწიფო დროშად არსებობის საფუძველი, როგორც ითქვა, საქართველოში უკვე V საუკუნიდან არსებობს და მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში აგრძელებს არსებობას.

ქართულ მონეტათა უმრავლესობაზე დაიტანება ხოლმე ჯვარის გამოსახულება. მონეტებზე სახელმწიფო სიმბოლიკის გამოჩენა რიგ შემთხვევებში საესებით დასაშვებია. იერუსალიმის ჯვარის ტიპის კომპოზიციებს გვთავაზობენ დავით კურაპალატის, თამარის, ვახტანგ მეფამის. XIV საუკუნის დასაწყისის ანონიმური ქართულ-ბულგუიდური მონეტები. გარდა ამისა, ქართულ ეკლესიებში უკვე ადრე შუა საუკუნეებიდანვე ფიქსირდება ან იერუსალიმის ჯვარის ტიპის კომპოზიციები, ან კიდევ უშუალოდ ხუთჯვრიანი გამოსახულებები. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ამგვარ კომპოზიციას საქართველოში კარგად იცნობდნენ.

აქვე შეიძლება ითქვას: დასავლეთევროპელებისაგან დროშის გადაღების არავითარი საფუძველი არ არსებობს. როდესაც დასავლეთევროპული, ქრისტიანული დროშათა სისტემა ბიზანტიელების გავლენით XI საუკუნის დასასრულისათვის ყალიბდება, იგივე ქართული, ყოველგვარ ეჭვს გარეშე, ქრისტიანული სახელმწიფო დროშა ფიქსირდება უკვე V საუკუნეში. ისევე როგორც მისი სახელმწიფო დროშად მიღებისათვის აუცილებელი მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიური საფუძველიც, რასაც იგივე დასავლეთ ევროპაში გაცილებით გვიან აქვს ადგილი. ასევე საკუთარი ბრძოლის იერუსალიმზე უშუალო მიმართვას, რაც ხუთჯვრიანი დროშისათვის დიდი მნიშვნელობისაა, როგორც ითქვა, საქართველოში მეხუთე საუკუნეშივე ეხვდებით. დროშებს შორის პარალელიზმი კი თვითონ ევროპულ ქვეყანათა შორისაც ჩვეულებრივი მოვლენაა.

დასავლეთევროპულ პორტოლანებზე საქართველოსთან ჯვრიანი დროშების გაჩენა სავსებით ლოგიკური გამოდის, დასავლეთევროპულ ცნობებში მოცემულ ქართველთა ხატს თვალს თუ გადავაყლებთ. ქართველთა შესახებ არსებულ შუა საუკუნეების ფაქტიურად ყველა დასავლეთევროპულ ცნობაში წინა პლანზეა ორი მთავარი ფაქტი: ქართველთა შემტევი ქრისტიანობა და მუდმივი კავშირი იერუსალიმთან. წერილობით დასავლეთევროპულ ცნობებში ქართველებთან დაკავშირებით ფიქსირდება ორი დროშა და, ბუნებრივია, ორივე ქრისტიანული სიმბოლიკით. ერთი გახლავთ ქრისტეს თაყვანისმცემელი სამი მოგვის დროშა, რომელიც ეკუთვნოდა ან ცალკეულ დიდ ქართველ თავადს, ან გარკვეულ ქართულ პროვინციას. მეორე დროშაა წმინდა გიორგის ჯვარი. ეს არის თეთრ ფონზე გამოსახული ერთი წითელი ჯვარი. წმინდა გიორგის დროშა, სავარაუდოდ, ყველა კუთხის ქართველებს უნდა ჰქონოდათ.

ქართველებისათვის ჯვრიანი დროშის მიკუთვნება ასევე ლოგიკური გამოდის, თუ გავეცნობით ქართველთა ხატს შუა საუკუნეების აღმოსავლურ ცნობებში, სადაც ყველგან ისევე წინა პლანზეა ქართველთა შემტევი და აგრესიული ქრისტიანობა (მაჰმადიან ავტორებთან დაფიქსირებული ქართველთა ტოლერანტობა უდავოდ მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენაა, მაგრამ ეს, როგორც ითქვა, ძირითად პრინციპებში ქრისტიანული იდეოლოგიის ფარგლებს გარეთ არ გადის და სახელმწიფო პოლიტიკის თუ იდეოლოგიის სურათს არ ცვლის).

XIV საუკუნიდან ევროპულ რუკებზე საქართველოსთან ჯვარის გაჩენას ზურგს უმაგრებს იგივე დასავლეთევროპული კარტოგრაფიული ტრადიციაც. მართალია, შუა საუკუნეების რუკებზე დროშებს არ ათავსებდნენ, მაგრამ აღნიშნული კარტოგრაფიისათვის, ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, საქართველოს სახელმწიფოსთან დაკავშირებული ტერიტორიაც არის ერთგვარი საკრალური ადგილი. ამდენად, ამ მხრივაც მყარი საფუძველი აქვს XIV საუკუნის პორტოლანებზე საქართველოს სახელმწიფოსთან ჯვრიანი დროშების

გაჩენას.

XIV-XV საუკუნეთა ქვეყნების დროშების განსასაზღვრად პორტოლანები გახლავთ ყველაზე სანდო წყარო. იგივე რომელიმე დასავლეთევროპული ქვეყნის დროშის დასადგენად, საკმარისია სულ რამდენიმე პორტოლანის მონაცემები თანხვდებოდეს ერთმანეთს. ამასთან, პორტოლანებზე არ დაიტანება მისიონერთა დროშები. ამიტომ, და ზემოთ მოტანილი კიდეე მრავალი არგუმენტის გამოც, საქართველოსთან მოთავსებული ჯვრიანი დროშების მისონერებისათვის მიკუთვნება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. თუ საქართველოსთან მოთავსებული რომელიმე ერთჯვრიანი დროშა ჰგავს გარკვეული ევროპული სახელმწიფოს ან ქალაქის დროშას (მაგალითად, ერთ წითელჯვრიანი წმინდა გიორგის დროშა გენუელების და ინგლისელების დროშებს), იგივე ევროპული წყაროებით დასტურდება, რომ ეს დროშა ქართველებთან უფრო ადრეა დაფიქსირებული.

პორტოლანების მიერ საქართველოსთან მოთავსებული დროშების აბსოლუტური უმრავლესობა არის ჯვრიანი. საქართველოსთან კავშირში პორტოლანებზე ფიქსირდება ოთხი ან მეტი სხვადასხვა ფორმის ერთჯვრიანი დროშა: ეს არის ერთჯვრიანი დროშა პიეტრო ეესკონტეს 1313 წლის პორტოლანზე, ერთჯვრიანი დროშა პიეტრო ეესკონტეს 1320 წლის პორტოლანზე, ერთჯვრიანი დროშა XIV საუკუნის დასაწყისის I ანონიმის შავი ზღვის პორტოლანზე, ერთჯვრიანი დროშა 1450-1460 წლების კატალანურ მსოფლიოს რუკაზე, ერთჯვრიანი დროშა სალვატ დე პილესტრინას 1511 წლის ძველი ქვეყნიერების რუკაზე, ერთჯვრიანი დროშა დიოგო ჰომემის თუ სხვა პორტუგალიელთა მთელ რიგ პორტოლანებზე. ოთხქმის ყველა შემთხვევაში ეს ერთჯვრიანი დროშები ერთმანეთისაგან განსხვავდება. ამასთან, უშუალოდ პორტულანების მასალის ანალიზის მიხედვით, ვერც ერთი ამ ერთჯვრიანი დროშიდან ვერ იქნება სახელმწიფო დროშა. ესენია ცალკეული ქართული მხარეების, სამთავროების, შესაძლოა სამეფოების და დიდებულების დროშები.

რაც შეეხება ხეთჯერიან დროშას. პორტოლანებზე ხუთჯერიანი დროშა ცენტრალური მნიშვნელობისაა საქართველოს სამეფოსთან და არა,მაგალითად, იერუსალიმის სამეფოსთან მიმართებაში. იერუსალიმის სამეფოს დროშა საქართველოს სამეფოს დროშაზე გაცილებით იშვიათად ჩნდება რუკებზე, ისიც მხოლოდ კეიპროსის თავზე (მიზეზებზე ზემოთ გექონდა საუბარი). პორტოლანების უმრავლესობაზე ფიქსირდება ხუთჯვრიანი დროშა ერთადერთ სახელმწიფოსთან, საქართველოსთან კავშირში.

საქართველოს სახელმწიფოსთან ხუთჯერიან დროშას გვთავაზობს რვა პორტოლანი (დროშები მინდორში ოთხი წერტილით, ყველა ნიშნის მიხედვით, ხუთჯერიანი დროშის ვარიაციებია). ესენია: პიეტრო ეესკონტეს 1320 წლის პორტოლანი,XIV საუკუნის დასაწყისის I ანონიმის შავი ზღვის პორტოლანი, ანჟელინო დულჩერტის 1339 წლის პორტოლანი, XIV საუკუნის პირველი ნახევარის II ანონიმის პორტოლანი, ძმები პიციგანოების 1367 წლის პორტოლანი, 1375 წლის კატალანური ატლასი, გაბრიელ დე ვალსეკას 1439 წლის პორტოლანი, გაბრიელ დე ვალსეკას 1447 წლის პორტოლანი. აქედან ოთხ პორტოლანზე, ანჟელინო დულჩერტთან, II ანონიმთან, პიციგანოებთან, გაბრიელ დე ვალსეკას 1439 წლის პორტოლანზე, ხუთჯერიანი დროშა ყოველგვარ ეჭვს გარეშე არის საქართველოს სახელმწიფო დროშა. საეარაუდოდ ასევე უნდა იყოს 1375 წლის კატალანურ ატლასზეც. პორტოლანების საერთო ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პიეტრო ეესკონტესთან, I ანონიმთან და გაბრიელ დე ვალსეკას 1447 წლის პორტოლანზეც ხუთჯერიანი დროშა არის საქართველოს სახელმწიფო დროშა. ამრიგად, მთლიანობაში რვა პორტოლანი საქართველოს სახელმწიფო დროშად სახავს ხუთჯერიან დროშას.

მთლიანი მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი დებულება: საქართველოს სახელმწიფო დროშა ვახტანგ გორგასალიდან მოყოლებული XV საუკუნეში საქართველოს დაშლამდე, არის დროშა, რომლის თეთრ ფონზე ხუთი წითელი ჯვარია დატანილი.

როგორც შესავალშიც ითქვა, ამ წიგნში განსრახ გავმიჯნე ერთმანეთისაგან ორი საკითხი: იყო თუ არა ხუთჯვრიანი დროშა საქართველოს სახელმწიფო დროშა შუა

საუკუნეებში და, თუ ეს დროშა საქართველოს მართლაც ეკუთვნოდა, უნდა აღდგეს თუ არა ის დღეს სახელმწიფო დროშად. წიგნი მიეძღვნა იმ საკითხის დასაბუთებას, რომ ხუთვალიანი დროშა შუა საუკუნეებში ეკუთვნოდა საქართველოს. ბუნებრივია, რომ მეც ამ დროშის აღდგენის მომხრეთა რიგებში ვარ. მაგრამ დროშის აღდგენის საკითხზე მსჯელობის აუცილებლობა ამ წიგნში აღარ არის. რადგან ყველაფრიდან ნათელია, რომ ამგვარი შინაარსის დროშა კარგად შეესატყვისება იმ კულტურულ თუ პოლიტიკურ მისწრაფებებს, რომლებიც ახლადჩამოყალიბებულ ქართულ სახელმწიფოს აქვს. ამდენად, დროშის აღდგენა ამ შემთხვევაში უკვე წმინდა პოლიტიკური აქტია,რომელიც პოლიტიკურ სიბრტყეზე უნდა გადაწყდეს, ცხადია, ყველა ცალკეული დეტალის თუ ნიუანსის სრული გათვალისწინებით.

წიგნში მოტანილი რუკების ჩამონათვალი

1. ჟან მანსელის რუკა (ქვემოთ ყველა რუკის დასახელებასთან მითითებულია გამოცემები, რომელთაც რუკების აქ მოტანისას ვემყარები). George KISCH, La carte image des civilisations, Paris 1984.
2. კოტონიანა ანუ ანგლო-საქსონური რუკა (P. D. A. HARVEY, Medieval Maps, The British Library 1991).
3. ტაბულა პოიტინგერიანა (Konrad MILLER, Die Peutingersche Tafel oder Weltkarte des Kastorius, Stuttgart 1916).
4. ბეატუსის რუკა (P. D. A. HARVEY, 1991).
5. XI. საუკუნის ანონიმური რუკა (Bayerische Staatsbibliothek, Die Karte als Kunstwerk. Dekorative Landkarten aus Mittelalter und Neuzeit, Ausstellung: September-November 1979, Unterschneidheim 1979).
6. ჰაინრიხ ფონ მაინცის მსოფლიოს რუკა (Konrad MILLER, Mappaemundi. Die ältesten Weltkarten, Bd. 3, Stuttgart 1895).
7. გვიდოს მსოფლიოს რუკა (Anna-Dorothee VON DEN BRINCKEN, Mundus Figura rotunda, in: Ornamenta Ecclesiae. Kunst und Künstler der Romanik, 1. Katalog zur Ausstellung des Schnütgen-Museums in der Josef-Haubriech-Kunsthalle, hrsg. von Anton Legner, Köln 1985).
8. ლამბერ დე სენ-ომერის მსოფლიოს რუკა (Konrad MILLER, Mappaemundi. Die ältesten Weltkarten. Bd. 3, Stuttgart 1895).
9. ფრანგა იერონიმუსის მსოფლიოს რუკა (Konrad MILLER, Mappaemundi. Die ältesten Weltkarten. Bd. 3, Stuttgart 1895).
10. ფსალმუნის მსოფლიოს რუკა (P. D. A. HARVEY, 1991).
11. ებსტორფის მსოფლიოს რუკა (ებსტორფის რუკას ვაქვეყნებ ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში დაცული ორიგინალის ასლის საფუძველზე. თვითონ რუკის ორიგინალი განადგურდა მეორე მსოფლიო ომის დროს).
12. ჰერეფორდის მსოფლიოს რუკა (Konrad MILLER, Mappaemundi. Die ältesten Weltkarten, Bd. 4, Die Herefordkarte, Stuttgart 1895).
13. პიეტრო ვესკონტეს შავი ზღვის ატლასი, 1313 წელი (Portulane, Seekarten vom 13. bis zum 17. Jahrhundert, hrsg. von Monique de la Ronciere und Michel Mollat du Jourdin, München 1984).
14. პიეტრო ვესკონტეს შავი ზღვის ატლასი, 1320 წელი (Roberto ALMAGIA, Monumenta Cartographica Vaticana, Bd. I, 1944).
15. XIV საუკუნის დასაწყისის I ანონიმი (რუკა ქვეყნდება ბ-ნ ელდარ შენგელაიას მიერ დიდი ბრიტანეთის ეროვნული ბიბლიოთეკიდან ჩამოტანილი რეპროდუქციის საფუძველზე).
16. პიეტრო ვესკონტეს მსოფლიოს რუკა, 1320 წელი (John Goss, The Mapmakers Art, 1993).
17. ანჟელინო დულჩერტის პორტოლანი (რუკა ქვეყნდება ბ-ნ ელდარ შენგელაიას მიერ პარიზიდან ჩამოტანილი რეპროდუქციის საფუძველზე).
18. XIV საუკუნის პირველი ნახევარის II ანონიმი (რუკა ქვეყნდება ბ-ნ ელდარ შენგელაიას მიერ დიდი ბრიტანეთის ეროვნული ბიბლიოთეკიდან ჩამოტანილი რეპროდუქციის საფუძველზე).
19. ფრანჩესკო და დომენიკო პიციგანოების პორტოლანი (Georges GROSJEAN, Rudolf KINAUER, Kartenkunst und Kartentechnik. Vom Altertum bis zum Barock, Bern 1970).
20. 1375 წლის კატალანური ატლასი (Der Katalanische Weltatlas vom Jahre 1375 nach dem in der Bibliotheque Nationale, Paris, verwahrten Original farbig wiedergegeben mit einer Einführung und Übersetzungen von Hans-Christian Freiesleben, Stuttgart 1977).
21. „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნისათვის" თან დართული დროშების და

გერბების კატალოგი (El Libro del conoscimiento de todos los reinos, The Book of Knowledge of all Kingdoms. Edition, Translation and Study by Nancy F. Marino, Arizona Center for Medieval and Renaissance Studies 1999).

22. გილერმო სოლერის ხმელთაშუა ზღვის ატლასი (Portulane, Seekarten vom 13. bis zum 17. Jahrhundert, 1984).

23. გაბრიელ დე ვალსეკას 1439 წლის პორტოლანი (Luisa Martin Meras, Cartografia Maritima Hispana, Barcelona, Madrid 1993).

24. გაბრიელ დე ვალსეკას 1447 წლის პორტოლანი (Portulane, Seekarten vom 13. bis zum 17. Jahrhundert, München 1984).

25. 1457 წლის პორტოლანი გენუიდან (George Kisch, 1980).

26. 1450-1460 წლების კატალანური მსოფლიოს რუკა (John Goss, 1993).

27. ფრა მაურის მსოფლიოს რუკა (The History of Cartography, Vol. 1, Cartography in Prehistoric, Ancient and Medieval Europe and the Mediterranean, Edited by J. B. Harley and David Woodward, Chicago and London 1987).

28. ხუან დე ლა კოსას მსოფლიოს რუკა (Portulane, Seekarten vom 13. bis zum 17. Jahrhundert, München 1984).

29. ანონიმის ძველი ქექენიერება (Ivan Kupčik, Münchner Portolankarten. „Kunstmann I.-XIII." und zehn weitere Portolankarten, Überarbeitete und ergänzte Neuausgabe des Originalwerkes von Friedrich Kunstmann aus dem Jahre 1859 mit 13 erneuerten Farbtafeln sowie zehn weitere Seekarten vom Anfang des XVI. Jahrhunderts einschließlich der seit 1945 verschollenen Seekarten aus Münchner Sammlungen, München, Berlin 2000).

30. სალვატ დე პილესტრინას ძველი ქექენიერება (Ivan Kupčik, Münchner Portolankarten, 2000).

31. მარტინ ვალდსეემიულერის მსოფლიოს რუკა (Die älteste Karte mit dem Namen Amerika aus dem Jahre 1507 und die Carta Marina aus dem Jahre 1516 des M. Waldseemüller, Unveränderter Nachdruck der Ausgabe Innsbruck 1903, Amsterdam 1968).

32. 1519 წლის მილერის ატლასი (Portugaliae Monumenta Cartographica, Reproduçao Fac-Similada da Edição de 1960, Imprensa Nacional-Casa Da Moeda, por Armando Cortesão, Avelino Teixeira da Mota, v. 1, Lisboa 1960).

33. ლოპო ჰომემის 1554 წლის რუკა (Portugaliae Monumenta Cartographica, v. 1, 1960).

34. ანდრე ჰომემის 1559 წლის რუკა (Portugaliae Monumenta Cartographica, v. 2, 1960).

35. დიოგო ჰომემის შავი ზღვის პორტოლანი, 1559 წელი (Portulane, Seekarten vom 13. bis zum 17. Jahrhundert, München 1984).

36. დიოგო ჰომემის 1560 წლის რუკა (Portugaliae Monumenta Cartographica, v. 2, 1960).

37. დიოგო ჰომემის 1561 წლის რუკა (Portugaliae Monumenta Cartographica, v. 2, 1960).

38. ჯაკომო დი მაჯიოლოს პორტოლანი (Portulane, Seekarten vom 13. bis zum 17. Jahrhundert, München 1984).

39. 1585 წლის II პორტუგალიელი ანონიმი (Portugaliae Monumenta Cartographica, v. 3, 1960).

40. საქართველოს გერბები კონრად ფონ გრიუნენბერგის 1483 წლის გერბების წიგნიდან (Des Conrad Grünenberg, Ritters und Bürgers zu Costenz, Wappenbuch: vollbracht am nünden Tag des Abrellen, do man zalt tusend vierhundert drü und achtzig jar, in Farbendruck neu hrsg. von R. Graf Stillfried-Alcántara und Ad. M. Hildebrandt, Frankfurt a. M. 1884).